114/4
980

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

1980

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 2 თებერვალი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

მარია ესენი — „სწორედ ეს არის მხატვრის ქალა" . . . . . . . . . . 3
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . . 7
ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 40
ოთარ შალამბერიძე — ლელა. ალილეური ლეგენდა . . . . . . . . . . . 45
გურამ ქაპანაძე — მოთხრობები . . . . . . . . . . 50
თამაზ ხმალაძე — ნასყიდას ვატერლოო. მოთხრობა . . . . . . . . . . . 64
იოსებ ჯაბადარი — მოთხრობები . . . . . . . . . 73
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . . . . . . . . 81
შირანგულ ავსაჯანიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 83
ვლადიმერ გელაშვილი — ვედრება. ლექსი . . . . . . . . . . 85
ჯემალ მეხრიშვილი — მოთხრობები . . . . . . . . . . . 87
შოთა ქავთარაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 101
სიმონ გალახაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 103
ვაჟა ოთარაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 105
ვაჟა გიგოლაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 107
აკაკი გეწაძე — ფეხშიშველა სასიძო. გაგრძელება . . . . . . . . . . . 110

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

კობა იმედაშვილი — მითი და თანამედროვე ქართული პროზა . . . . . . 152
თინა კობალაძე — რაც დრო გადის... . . . . . . . . . 164
ილია რურუა — ტბელობა . . . . . . . . . . . 169

### ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — მოგონების რამდენიმე ფურცელი . . . . . . . . 171
ალექსანდრა თოიძე — პოეტის მეზობლად . . . . . . . . . 188

### წიგნების მიმოხილვა

გ. გოცირიძე, ა. ვარაზაშვილი — ნაშრომი კავკასიის მთიელთა შესახებ . . . 189

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ჭატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 15/I-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-80 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08365. ტირაჟი 18.700. შეკვ. 139
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.





# „სწორედ ეს არის მხატვრის ძალა"

## მარია ესენი

**„მნათობი" განაგრძობს მოგონებების გამოქვეყნებას ვ. ი. ლენინზე; ამ მოგონებებში ნათლად ჩანს რევოლუციის დიდი ბელადის მარად დაუვიწყარი სახე. მოგონებათა ავტორები არიან ვლადიმერ ილიას ძის უახლოესი თანამებრძოლები, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება მრავალი წლის მანძილზე ემუშავნათ და ებრძოლათ ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით, ლენინის გვერდით, მოესმინათ მისი საჯარო გამოსვლები, თუ შინაური საუბრები ქვეყნის ბედზე, რევოლუციაზე, კულტურაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.**

**მარია ესენი (1872—1956), რომლის მოგონებას ვაქვეყნებთ, იყო ცნობილი რევოლუციონერი ქალი, რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ — ბოლშევიკი, რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება 90-იანი წლების დასაწყისში; არაერთგზის შეხვდა ვ. ი. ლენინს ემიგრაციის წლებში. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ერთხანს იგი იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე საქართველოში. 1925 წელს გადავიდა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო სახელმწიფო გამომცემლობაში. ეს მისი მოგონება ქართულ ენაზე პირველად იბეჭდება.**

1902 წლის ბოლოდან 1903 წლის მაისამდე მუშაობა მიხდებოდა პეტერბურგში, ისკრულ კომიტეტში. შემდეგ დამაპატიმრეს იმ კრებაზე, სადაც ირჩეოდა საპირველმაისო დემონსტრაციის საკითხი. გამანთავისუფლეს უკვე რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ.

გამომიშვეს თუ არა ციხიდან, წავედი კიევში, სადაც იმყოფებოდნენ მეორე ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრები (კრიჟიჟანოვსკი, ლენგნიკი და ნოსკოვი), რათა გავცნობოდი ყრილობის მასალებს და მიმეღო მიმართვა, რომ დამეწყო მუშაობა. უზარმაზარი მუშაობა გაიშალა და ცენტრალურმა კომიტეტმა კოოპტაციის წესით თავის წევრებად მიგვიღო კრასინი, გუსაროვი, ზემლიაჩკა და მე. მე დამავალეს მომევლო კომიტეტები და წამეკითხა მოხსენებები ყრილობის გადაწყვეტილებებსა და იმ უთანხმოების შესახებ, რომელმაც განხეთქილებამდე მიგვიყვანა.

მენშევიკები თავის მხრივ შეებრძოლენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და აგრეთვე დაიწყეს კომიტეტების შემოვლა, თანაც მოხსენებებით გამოდიოდნენ. თავიანთ მოხსენებებში ყალბად წარმოსახავდნენ მოვლენებს, აკრიტიკებდნენ ყრილობის მათთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებებს, ჩიოდნენ იმის თაობაზე „გაანაწყენეს მოხუცებიო" — არ

აირჩიეს ცენტრალურ ორგანოში აქსელროდი და ზასულიჩი. მენშევიკების გამოსვლები, თითქმის ყველგან, საკმაოდ ერთსულოვან წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. სოციალ-დემოკრატების უმრავლესობისათვის რუსეთში ნათელი იყო, რომ რაკი ყრილობამ გადაწყვიტა რედაქციაში მიზანშეწონილია იყოს არა ექვსი, არამედ სამი კაცი, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ. ტაქტიკურ და ორგანიზაციულ უთანხმოების საკითხებში, რომელზეც მენშევიკები ხმას არ იღებდნენ, კომიტეტები აღიარებდნენ, რომ მართალი იყვნენ ბოლშევიკები, მართალი იყო ლენინი. ჩვენ შევძელით შეგვეკრიფა 20 კომიტეტის რეზოლუცია, რომლებიც იწონებდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და სცნობდნენ ცენტრალურ კომიტეტს. მხოლოდ 5 კომიტეტი უჭერდა მხარს მენშევიკებს.

კომიტეტების ჩამოვლის შემდეგ გადაწყდა, რომ უნდა წავსულიყავ ჟენევაში, რათა ინფორმაცია წამეღო ლენინისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღეს პარტიულმა ორგანიზაციებმა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ლენინი სიხარულით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებში ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება სუფევს. ეს იყო უკვე „ისკრის“ რედაქციიდან მისი გამოსვლის შემდეგ. მენშევიკებთან ბრძოლა მთელი ძალით გაჩაღდა და ლენინმა დააყენა საკითხი ბოლშევიკების ახალი ქმედითი ორგანოს შექმნის აუცილებლობისა და მესამე ყრილობისთვის მზადების შესახებ.

ავტორების კრიზისს მწვავედ განვიცდიდით. ვლადიმერ ილიჩმა ჩამოთვალა ამხანაგების გვარები, რომლებიც გამოდგებოდნენ ლიტერატურული მუშაობისათვის. ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის კანდიდატურები პირველ რიგში იყო დასახელებული. „ვპერიოდის“ რედაქციაში შევიდნენ აგრეთვე ოლმინსკი და ვოროვსკი.

მე გამგზავნეს ჟენევიდან პარიზში, სადაც უნდა მეპოვნა ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და ოლმინსკი, რომლებიც მაშინ საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრობდნენ, უნდა მოველაპარაკებოდი მათ, თუ როდის შეეძლოთ ჟენევაში ჩამოსვლა, რათა შეხვედროდნენ ლენინს.

მახსოვს, გამგზავრების წინ მე ვკითხე ვლადიმერ ილიჩს:

— რას მირჩევდით, რა ვნახო პარიზში?

— უპირველეს ყოვლისა, წადით კომუნარების კედელთან, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, 1789 წლის რევოლუციის მუზეუმში და გრევენის ცვილის ფიგურების მუზეუმში. მხატვრული შესრულების თვალსაზრისით, ეს მუზეუმი, როგორც ამბობენ, დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ შინაარსით საინტერესოა...

— კიდევ რა?

— აუცილებლად შედით ზოოლოგიურ ბაღში, ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თითქოს მთელ დედამიწას ირგვლივ შემოუარეთ...

შემატყო, რომ კვლავ ველი რაღაცას, და დაუმატა:

— იცით, მუზეუმების, გამოფენებისა და სხვა ამგვარი რამეების თაობაზე მიმართეთ ჟორჟის (პლეხანოვი), მან ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცის და საჭირო მიმართებებს მოგცემს.

ლენინი იმ ხანებში ხშირად ფიქრობდა პლეხანოვზე, მაგრამ პლეხანოვმა ისეთი პოზიცია დაიჭირა, რომ მას ვერსაიდან ვერ მიუდგებოდი; მისი იმდროინდელი განწყობილებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი: 1904 წლის 1 მაისს ჩვენ გადავწყვიტეთ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე ერთიანი ფრონტით გამოვსულიყავით. გადაწყდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს გამოგვეცა საერთო ფურცელი. ფურცლის პროექტები დაწერეს ვლადიმერ ილიჩმა და მარტოვმა. საბოლოო ანგარიშით მიღებულ იქნა ლენინის პროექტი და შესათანხმებლად მე უნდა წამეღო იგი პლეხანოვთან.

პლეხანოვმა საკმაოდ კარგად მიმიღო, მაგრამ ისე, რომ თავის უპირატესობას არ მალავდა. მახსოვს მისი ასეთი ფრაზა: „რას იზამ, მაინც ასე სჯობია, ცუდი მშვიდობა უკეთესია, ვიდრე კარგი ჩხუბი“. მაგრამ ეს კეთილისმყოფლური განწყობილება ჩქარა ჩამოიშორა და შეუტია ცენტრალურ კომიტეტს: „აბა ეგ რა ცენტრალური კომიტეტია, თავვსაც კი ვერ გასრესსო“.

მე არ დავეთანხმე, ხაზი გავუსვი იმას, რომ გამოცდილი ამხანაგების მხარდაჭერით, აქ, საზღვარგარეთ შეიძლება მოვაწესრიგოთ პარტიული მუშაობა. ვუამბე მას პარტიული ორგანიზაციების განწყობილებებზე რუსეთში, რევოლუციებზე, რომლებიც თითქმის ყველგან მიიღეს. პლეხანოვი მისმენდა ძალზე ცივად და უნდობლად. მე ვიმოწმებდი იმ ამბავს, რომ პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინი, ეს შესანიშნავი ორგანიზატორი და ბრწყინვალე თეორეტიკოსი, უზრუნველყოფს სწორ ხელმძღვანელობას, სწორი გზით წაიყვანს მუშათა კლასს.

ვლაპარაკობდი მშვიდად, თან ვფრთხილობდი, ვინაიდან მახსოვდა ლენინის დავალება — არ გამელიზიანებინა პლეხანოვი, არამედ შევცდილიყავ დამეინტერესებინა იგი ჩვენი საქმიანობით. მაგრამ პლეხანოვი საშინლად განრისხდა... რა თქმა უნდა, ჩემი დიპლომატიური შესაძლებლობანი ძალზე სუსტი იყო, და თანაც ალარავითარი დიპლომატია საჭირო აღარ იყო. პლეხანოვი თავის თავს სთვლიდა ცენტრალურ ფიგურად პარტიაში და შეუძლებლად მიაჩნდა ვინმე დამდგარიყო მის გვერდით, ან ვინმეს საკუთარი აზრი ჰქონოდა.

არ შემხვედრია უფრო სიცოცხლის მოყვარული ადამიანი, ვიდრე ლენინი იყო. მისი უნარი გამოეყენებინა ყველა თავისუფალი საათი და ეპოვნა საბაბი მხიარულებისა და სიხარულისათვის — ამოუწურავი იყო.

მაგონდება საღამოები, რომელსაც ლენინთან ერთად ვატარებდით. ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა საკმაოდ სასიამოვნო ხმა და ხშირად მღეროდა გუნდში, ან უსმენდა სხვის სიმღერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ჩვეულებრივ ვიწყებდით რევოლუციური სიმღერებით — „ინტერნაციონალი“, „მარსელიოზა“, „ვარშავულა“ და სხვები. დიდი გრძნობით ვასრულებდით „თქვენ ხალხისათვის გასწირეთ თავი“, „ძველ ყურღანებში, გაშლილ მინდორზე“... მოსწონდა ლენინს ციმბირული სიმღერები — „ღმუოდა ქარი“ და სიმღერა სტენკა რაზინზე — „არის ერთი კლდე ვოლგის ნაპირზე“...

ხანდახან ამ საღამოებზე ვკითხულობდით ნეკრასოვის, ჰაინეს, ბერანჟეს ლექსებს.

ხშირად სეირნობის დროს, ან საღამოს ჩაიზე ვლადიმერ ილიჩი სიტყვას ჩამოაგდებდა ხოლმე ლიტერატურაზე, თავის საყვარელ მწერლებზე — შჩედრინზე, ნეკრასოვზე, ჩერნიშევსკიზე; მას განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მოსწონდა, აღნიშნავდა, რომ ჩერნიშევსკი არის არა მხოლოდ გამოჩენილი რევოლუციონერი, დიდი მეცნიერი, მოწინავე მოაზროვნე, არამედ, იმავე დროს დიდი მხატვარიც, რომელმაც შექმნა რახმეტოვის ტიპის უშიშარი, მამაცი მებრძოლების, ნამდვილი რევოლუციონერების სწორუპოვარი სახეები.

— აი ესაა ნამდვილი ლიტერატურა, რომელიც გასწავლის, თან მიჰყავხარ, შთაგაგონებს. რომანი „რა ვაკეთოთ“ ერთ ზაფხულში ხუთჯერ გადავიკითხე და ყოველ წაკითხვისას ვპოულობდი ამ ნაწარმოებში სულ ახალახალ, ამაღელვებელ აზრებს, — ამბობდა ლენინი.

მხატვრულ ნაწარმოებებში იდეურ მიმართულებას ლენინი ყველაზე მაღლა აყენებდა და ამიტომ აფასებდა და უყვარდა ნეკრასოვი, რომელიც თითქმის მთლიანად ზეპირად იცოდა. ერთხელ, როგორღაც მკითხა: იცით თუ არა ზეპირად ნეკრასოვის პოემა „რუსი ქა-

ლები“. მე ვუპასუხე — ვიცი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვკითხულობ ხმამაღლა, ცრემლები მახრჩობენ...

— სწორედ ეგ არის მხატვრის ძალა, — თქვა ლენინმა, — სულის სიღრმეში სწვდება ადამიანს...

დაუცხრომელი იყო ლენინი სეირნობის დროს; ერთი გასეირნება სამუდამოდ დამახსოვდა. ეს იყო 1904 წლის გაზაფხულზე. მე რუსეთში უნდა გამოვბრუნებულიყავ და გადავწყვიტეთ გამოთხოვების აღსანიშნავად „დრო ერთად გაგვეტარებინა“ — მოგვეწყო ერთობლივი გასეირნება მთებში. წავედით ვლადიმერ ილიჩი, ნადეჟდა კონსტანტინოვნა და მე. მონტრემდე გემით ვიმგზავრეთ, ვიყავით მოქრუშულ შილიონის ციხეში — ბონივარის დილეგში — ესოდენ ლამაზად რომ აღწერა ბაირონმა („წყალთა წიაღში დგას შილიონი“), ვნახეთ სვეტი, რომელზეც მიჯაჭვული იყო ბონივარი და ვნახეთ წარწერა, გაკეთებული ბაირონის ხელით.

მოქრუშულ აკლდამიდან გამოვედით და უცებ თვალი მოგვჭრა მზის ნათელმა შუქმა და მშფოთვარე, მოზეიმე ბუნებამ; მოგვწყურდა სიარული, მოძრაობა. გადავწყვიტეთ ავსულიყავით ერთ-ერთ თოვლიან მწვერვალზე. აღმართი ჯერ იოლად დასაძლევი და სასიამოვნო იყო, მაგრამ რაც უფრო ზევით მივდიოდით, გზა უფრო ძნელი ხდებოდა: გადავწყვიტეთ, რომ ნადეჟდა კონსტანტინოვნა სასტუმროში დაგვიცდიდა.

უფრო სწრაფად რომ მიგვეღწია მწვერვალისათვის, გადაუხვიეთ გზიდან და პირდაპირ ჯიქურ წავედით ზემოთ. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მიძნელდებოდა სიარული. ვლადიმერ ილიჩი კი მხნედ და დაბეჯითებით მიაბიჯებდა და თან ეცინებოდა ჩემზე, რაკიღა გამართულად ვერ მივდიოდით და თან ვცდილობდი თანამგზავრს არ ჩამოვრჩენოდი. ცოტა ხნის შემდეგ მე უკვე ოთხზე მივფორთხავდი, ვებღაუჭებოდი თოვლს, რომელიც ჩემს ხელებში დნებოდა: მაინც იმდენი შევიძელი, რომ ვლადიმერ ილიჩს არ ჩამოვრჩი.

ბოლოს მივაღწიეთ მწვერვალს. უნაპირო ლანდშაფტი, ფერების აუწერელი თამაში... ჩვენს წინაშე, როგორც ხელის გულზე, გამოჩნდა ყველა სარტყელი, ყველა კლიმატი. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა თოვლი. ცოტა ქვემოთ შეიმჩნეოდა ჩრდილოეთის მცენარეულობა, ხოლო შორს — გალაღებული ალპიური ველები და სამხრეთის ატეხილი სიმწვანე. მე განვეწყე ეგრედ წოდებულ მაღალ სტილზე და უკვე მზად ვიყავ დამეწყო შექსპირისა და ბაირონის ლექსების კითხვა. გავხედე ვლადიმერ ილიჩს: ის ზის, მძიმედ ჩაფიქრებული და უცებ წამოიძახებს: „ოხ, აამყრალეს ყველაფერი მენშევიკებმა“... სასეირნოდ რომ მივდიოდით, ჩვენ შევთანხმდით, რომ არ ვილაპარაკებდით მენშევიკებზე, რათა არ „წაგვეხდინა პეიზაჟი“. და ვლადიმერ ილიჩიც ამ განწყობილებით მოდიოდა, კარგ გუნებაზე იყო, შეჰხაროდა ქვეყნიერებას. ცხადათ ჩანდა ახლა ის აღარ ფიქრობდა არც მენშევიკებზე და არც ბუნდელებზე. მაგრამ აი, წუთით ჩამოჯდა პატარა ბორცვზე და აზრი უნებლიედ წარიმართა ჩვეულებრივი გზით.

იმ ხანებში მივიღე დავალება — დამეწყო მზადება პარტიის მესამე ყრილობისათვის. კარგად დასვენებული ვიყავ, თანაც დიდად გამამხნევა იმ გარემოებამ, რომ ჩვენს წინაშე ახალი პერსპექტივები ისახებოდა. წამოვედი რუსეთში, მაგრამ ბედმა არ გამიღიმა — საზღვარზე გადასვლისას დამაპატიმრეს. ციხეში მე მივიღე წერილი ლენინის და კრუპსკაიასაგან, რომლიდანაც შევიტყვე რა მდგომარეობა იყო პარტიაში, შევიტყვე ისიც, რომ რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო ფართოვდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

### წიგნი მეოთხე

### მუხლი მუხასა

### თავი მეშვიდე

უდაბნოში დაბანაკების მეხუთე დღეს სოლომონს სულ პირველი სიყრმის მეგობარი ბერი წულუკიძე ეახლა. მეფესაც და მის უახლოეს ქვეშევრდომსაც ერთმანეთის დანახვაზე ცრემლები წამოსცვივდათ და ორივეს კარგა ხანი დასჭირდა, სანამ დამშვიდდებოდნენ და საქმიან საუბარს გააბამდნენ.

სოლომონისათვის ბერი წულუკიძესთან შეხვედრა იმითაც სასიხარულო იყო, რომ მას შემდეგ, რაც გეგუთში ერთმანეთს დასცილდნენ და ურჯულო მტრისაგან ძლეულნი სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ, არც მისი და არც თავისი აღმზრდელის, ხოტევის ციხის პატრონ გიორგი წულუკიძისა, არაფერი იცოდა. მხოლოდ ის შეიტყო სათუო წყაროებიდან, რომ ქუთაისის სასახლეში დამკვიდრებისთანავე თეიმურაზ ბატონიშვილმა პირველი წულუკიძეები მოიკითხა და როდესაც თავის გვერდით ვერც ერთი ვერ იხილა, ცოლისძმა ერისთვიშვილ გიორგის უბრძანა, ხოტევს დასცემოდა და, როგორც სახელმწიფო დამნაშავენი, ორივე ძმა ქუთაისში ჩამოეყვანა.

სანდო პირებმა გიორგის და ბერის წინასწარ აუწყეს ავი განზრახვით ქუთაისიდან გამოგზავნილი გიორგი სარდლის მოახლოება და ძმებმაც, თავთავიანთი სახლეულით და შინაყმებით, ციხეში შესვლა და იქ საიმედოდ გამაგრება მოასწრეს.

გიორგი სარდალს თავი დიდად არ გამოუდია. ციხის გვერდოში ერთხანს იყურყუტა, იქნებ წულუკიძეები თვით მიხვდნენ, რომ შემდგომი წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არა აქვს და დანებების პირობების შემოსათავაზებლად ვინმე შუაკაცი გამოგზავნონო, მაგრამ როდესაც არც შუაკაცი მოვიდა და არც მეფის კარზე მყოფმა მამამ, ერისთავმა როსტომმა, შემოთვალა, სოლომონის კუდების შესაპყრობად მაინცადამაინც ძალა იხმარეო, თავისი მცირერიცხოვანი რაზმით წულუკიძის კუთვნილი სამი სოფელი: ხოტევი, წკადისი და სხარტალი დაარბია, ძროხის ჯოგი და ორმოციოდე ტყვე გოგო-ბიჭი

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

წინ გამოირეკა და ასე ხელდამშვენებული ქუთაისს დაბრუნდა.

თეიმურაზმა საგანგებო სიგელი გამოსცა, რომლის საფუძველზედაც გიორგი და ბერი წულუკიძეებს ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის დროს ნაბოძები ყმა-მამული და თავადობა ჩამოერთვათ, ამ ყმა-მამულის აწინდელ პატრონად კი მიჩნეულ იქნა მათივე ბიძაშვილი და განაყოფი, ოდესღაც მეფე ალექსანდრეს მიერ იმერეთიდან გაძევებული და ოტია დადიანისაგან შეფარებული პაატა წულუკიძე. პაატასავე ებოძა ხოტევის ციხეც და სახელმწიფო ბეჭდის მცველის სახელოც, რომელსაც აქამდე მეფე სოლომონის აღმზრდელი გიორგი წულუკიძე ფლობდა.

მეექვსე და მეშვიდე დღეს მეფის განმარტოებულ სადგომს მცირე მხლებელი რაზმებით ამოაღწიეს გიორგი წულუკიძემ და ქაიხოსრო აგიაშვილმა. ქაიხოსრო, ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად მოტეხილი გიორგისა და ბერის მსგავსად, თეიმურაზ ბატონიშვილისაგან შერისხული იყო და სახლეულითა და ერთგული შინაყმებით მუხურის ტყეებში იმალებოდა. ცუცხვათის მიუვალი ციხე, ხრესილის ომში ისე უწყალოდ რომ დაზიანდა, ფაშა ჰაჯი-ალიბეგს ახალციხიდან დაბარებული ქვითხუროებისათვის შეეკეთებინებინა და ახლა შიგ მისივე მეციხოვნე ჯარი იდგა. ასევე აღედგინათ და ფორტიფიკაციის ყველა წესისა და რიგის მიხედვით გაემაგრებინათ ხრესილისა და საწირის ციხეებიც. ქაიხოსროსეული სასახლე თეიმურაზისაგან ძღვნად მიეღო სოლომონის ციხისთავისა და ქეშიკთუხუცესის ჭკუანაკლე ძმას, უცოლშვილოდ დაბერებულ ონოფრეს, რომელსაც არც ის ესმოდა, თუ აქამდე რატომ იყო ყველასაგან მივიწყებული და არც ის გაუგია, თუ ახლა რისთვის გაიხსენეს და ესოდენ გულუხვი წყალობის ღირსი რისთვის გახადეს.

სოლომონს გული ჩასწყდა. აბა აქ რა იყო გასაკვირი და მოულოდნელი, მაგრამ გონებას მაინც არ უნდოდა ერწმუნა, რომ ულმობელმა ბედისწერამ ყოველივე ისე შეატრიალა და შეაბრუნა, რომ მისი თავგამოდებისა და ჯაფის ყოველგვარი კვალი წაშალა.

„ნუთუ ეს არის ჩვენი ხვედრი? — ფიქრობდა გულმოკლული მეფე. — ნუთუ ამ ქვეყნად ამაოდ ვიღწვით, რომ ჩვენს მერე ვიღაც სხვა მოვიდეს და ყველა ჩვენს ნაკეთებ საქმეს დავიწყების ნაცარი მიაყაროს, ცხოვრება კი თავის ჭკუაზე შეცვალოს და გადააკეთოს?“

სოლომონმა ქაიხოსრო აგიაშვილისაგან შეიტყო, რომ მიტაცებულ ტახტზე ნებივრად წამოსკუპებულ თეიმურაზს მიტროპოლიტი იოსები და ბატონიშვილი არჩილი, მეფე ერეკლეს საყვარელი სიძე, უთუოდ სახელოვანი სიმამრის მოსაქრთამავად და გულის მოსაგებად. შესაფერი პატივით სასახლეში მიეწვია, ვითომდა სისხლით ნათესაობა უნდა აღვადგინოთო და, რათა ეს ამბავი ყველას თვალწინ მომხდარიყო, ქუთაისის ციხისთავ მამედ-ალი კიკიან-ფაშასთან და სხვა ოსმალო ციხისთავებთან ერთად, სასახლის მთელი დიდკაცობა დაეპატიჟენა.

იოსების ნაცვლად ბატონს თვით უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი ხლებოდა, ტახტზე აბრძანება მიელოცა, მდიდრული საჩუქრებიც მიერთმია და იქვე დაეძინა, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები უქეიფოდ შეიქნა და როგორც კი ღვთის მადლით მოიკეთებს, პირობას გაძლევ, თავად მეგაახლებო.

დარბაზობაზე მოსვლა არც ბატონიშვილ არჩილს ენებებია. წინადღეს ის თანამეცხედრის დაჟინებით სიმამრის მოსანახულებლად წასულიყო ტფილისს და გულამღვრეულ თეიმურაზს ოქროს ჩარდახში გაშლილ სანადიმო სუფრაზე თავისიანთაგან მხოლოდ მისი, დაბერებულ-დაჩაჩანაკებული ბატონიშვილი მამუკა და სიბერისაგან არანაკლებ მოტეხილი მისი ძმა, ბიძა ბატონიშვილი გიორგი შერჩენოდა.

იოსებს კათალიკოსისაგან მიჩენილი ბერები უთვალთვალებდნენ და დარაჯობდნენ. მიტროპოლიტი ნაბიჯს ისე ვერ

გადადგამდა, ნამუსგარეცხილ მსტოვრებს ყოველივე რომ არ შეეტყოთ და ბოლო დროს უცნაურად ღაჩხეული და დამფრთხალი კათალიკოსისათვის არ შეეტყობინებინათ. ბესარიონი გრძნობდა თავის გაორებას, გრძნობდა, რომ საქციელი — ძლიერის მხარეზე უყოყმანოდ დადგომა, როცა ის ძლიერი ქრისტეს წმიდა ჯვრის მგმობელი იყო, და სუსტის, ტახტიდან ჩამოგდებული ღვთისმოსავი სოლომონის, მხარდაჭერაზე უარის თქმა მომაკვდინებელ გახსაცდელში ჩავარდნილი სარწმუნოების ღალატს უტოლდებოდა და ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც რა უნდა ჩაედინა ამაზე მეტი მკრეხელობა და ბოროტება!

იოსებს ეს არც დაუმალავს, შემზარავი სიმართლე კათალიკოსს პირში მიახალა, კიდევაც შეაჩვენა და როგორც ერთი უბრალო განდეგილი ბერი, თავის სენაკში ჩაიკეტა, მარხვად ლოცვა, წყლისა და ხმიადის მეტს არაფერს იკარებდა. კათალიკოსს სისხლი თავში აუვარდა, მოსვენება დაეკარგა. ღმერთი როგორ გაუწყრებოდა და ვინძესთან როგორ გაამხელდა, რაც დღე იოსებმა დააწია. ერთადერთს თავის ძმას, ერისთავ როსტომს გაუტყდა და რჩევა ჰკითხა.

— შე დალოცვილო, — უსაყვედურა ერისთავმა. — რა გაჩქარებდა, გაათრეულ ჩვენს სიძე-ბატონთან ძირზები და მუხლის მოყრა რომ ყველას ჰოგვასწარი! კათალიკოსი მაინც არ იყო. მე შენ მართლა ბრძენი კაცი მეგონე დაგავიწყდა, ვეყო, სოლომონი რომ ისევ ცოცხალია? ეგერ არი, ე! სანამ ის ცოცხალი გვეგულება, მეც, შენც და ჩემმა შვილებმაც, ვისაც ჩვენთვის სიკეთე უნდა, ფალია მშრალი უნდა ვიქონიოთ. სოლომონი და ეგ შენი ბატონიშვილი იოსები, ნუ დაივიწყებ ჩემ სიტყვას, ორივე ერთია. გინდა ერთი გადაგკიდებია და გინდა მეორე. ეგენი ერთიმეორის ტყავს არ დახევენ. ხვალ რომ ადგეს, ხონთქარი მოქრთამოს ან თავისი მოყვარე მეფე ერეკლე მოიშველიოს, გურიელი და დადიანიც ფეხის ხმას აჰყვნენ და ტახტი ისევ სოლომონს მისცენ, ერთი პასუხი გამეცი, სად მიდიხარ მერე?

— ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, ძმაო როსტომ, რომ ეგ არ მოხდეს! — მიუგო გაფითრებულმა კათალიკოსმა, რომელსაც ნელსაცხებლით განზინთული ხელები უთრთოდა და თავიც საგრძნობლად უძიგძიგებდა.

— ეჰვი ნუ შეგეპარება, მე და ჩემი ვაჟები ცდას არ დავაკლებთ, — თავდაჯერებულად იანაგრძო საკუთარ ძალასა და სამთავროს შეუვალობაში ღრმად დარწმუნებულმა როსტომმა — მაგრამ მაინც უმჯობესია, მტრის რიცხვი ამთავითვე შევამციროთ და მოყვარე გავიმრავლოთ. ერთმა უფალმა უწყის, ვინ რა საქმეში დაგვჭირდება. მით უფრო იმისთანა გავლენიანი კაცი, როგორიც ბატონიშვილი იოსებია. ეგ კი არა, მე თუ მკითხავ, საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, თუ ღმერთმა გაგვიმართლა, რომ იოსები ძმას პირისპირ დავუყენოთ და ჩვენი საქმე ვაკეთებინოთ!

— გადამრევ, როსტომ, — ბესარიონს ცრემლჩამდგარი დიდრონი თვალები გაუბრწყინდა. — ეგ რანაირად? გეტყობა, იოსებს ხეირიანად არ იცნობ, მე კი გეტყვი: ძმაზე უარესია!

ერისთავმა მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია:

— დიდი დედოფალი თამარი სასახლეშია. სწორედ ამ დილას მობრძანდა ოდიშიდან. კაციას გაპოტიწებული ბრწყინვალე ამალა ახლავს. ბატონ მეფეს ეახლა და ქვეყნის სარგო საძნახური შესთავაზა.

— ნუ იტყვი, როსტომ, თამარს აქ რა უნდა! რომელი ღვთისნიერი დედა ულალატებს შვილს და მის მოსისხლე მტერს მიუვა. ცოდვაში გვიდგას ფეხი! წავწყდებით! ღმერთო დიდებულო!..

— ყური მიგდე, ბესარიონ, — ერისთავმა წარბი შეიკრა. — რა დაგემართა, შე კაცო, მე შენგან მოველი შეწყნობას და შენ სულ წახდი? დიდი დედოფალი თამარი მცირედი ძალა როდია. ხანამ გვიან არ არის და შვილისაგან მიყენებული წყენა არ განელებია, დრო უნდა

ვიხელთოთ და ჩვენი საქმისათვის გამოვიყენოთ!

— მაინც როგორ? — კათალიკოსი ბესარიონი, ყოველ ძნელ ვითარებაში რომ გამოსავალს პოულობდა და თვით უძნელეს კითხვებზეც მზამზარეული პასუხები ჰქონდა, უჩვეულოდ მოეშვა და ძმის ნებისყოფას მთლიანად მიენდო.

— ჯერ ბატონიშვილებს, იოსებს და არჩილს, მიუჩინეთ. არჩილიც, ისევე როგორც მიტროპოლიტი იოსები, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სოლომონს უნდა ჩამოვაშოროთ და ჩვენს ბანაკში გადმოვიყვანოთ. არჩილის უკან მეფე ერეკლე დგას. გუშინ ეს შეუძლებელი ჩანდა, ჩემო უწმიდესო ძმაო. სოლომონი ტახტზე იჯდა და სამეფო კვერთხი ხელთ ეპყრა. დღეს სხვა დროა. ხიდავი უნდა მოისინჯოს. ამ საქმის აღსრულებაში დიდ დედოფალ თამარზე უკეთეს სამსახურს ვერავინ გაგვიწევს. მაშინათვე ეს მომივიდა თავში, როგორც კი ეგ ცხენის კუდზე გამოსაბმელი როკაპი სასახლეში დავინახე. ნუ აყოვნებ, დღესავე ეახელი და სამემკვიდრეო მამულში მშვიდობით მობრუნება შენებურად მიულოცე. გასაკვირია, თავად რომ არ მოგიკითხა და ლოცვა-კურთხევა არ გთხოვა. საფრთხილე გვმართებს. თამარი, რაც უნდა იყოს, მაინც დედა არის და შვილი დასაღუპავად არ ემეტება, თუმცა სხვა მხრივ არ ზოგავს. თუ ვიმარჯვეთ და იოსები და არჩილი ჩვენს მხარეზე გადმოვიბირეთ, იცოდე, ბესარიონ, წვრილფეხა თავადუაზნეებიც სათითაოდ წამოვლენ ვაჟბატონს და, მამაჩემ შომიტასა აქვს ცხონება, სულ მალე თითივით მარტო დარჩება!

მაგრამ, როგორც ხალხში იტყვიან, ღმერთი სხვაგვარად სჯიდა.

ერთ მშვენიერ დღეს განათელ მიტროპოლიტ იოსების სენაკი მონასტრის მორჩილებმა ცარიელი ნახეს და უწმიდეს კათალიკოს ბესარიონის პირ მიჩენილ მსტოვრებს ელდა ეცათ. აბა ვის რა უნდა ეფიქრა, გარდა იმისა, რომ მიტროპოლიტს თავისი მოუსვენარი ძმისაგან ნიშანი მოუვიდა, აქა და აქ გელოდებით, იმანაც მსტოვრების სიფრთხილის მოდუნებით ისარგებლა და მონასტრიდან მართლმადიდებელი გაიქცა.

სამი შეიარაღებული გამყოლი და მარქაფა ცხენი, რომელიც მეფე სოლომონის ბრძანებით ქაიხოსრო აგიაშვილის კაცებმა მოაგებეს, მღვდელმთავარ ბატონიშვილს სოხასტერის კლდესთან უცდიდა. ცხენოსნებმა, როგორც ნაბრძანები იყო, მთელ ღამეს შეუსვენებლივ იარეს, არც ცხენებს ზოგავდნენ და არც თავს. დროდადრო ჩერდებოდნენ, აყურადებდნენ, მდევარი ხომ არ წამოგვეწიაო და მერე ისევ განაგრძობდნენ გზას. ტყიბული რომ უკან მოიტოვეს და ცხრაჯვარის ტყიან აღმართს შეუდგნენ, თავზე დაათენდათ. დღისით სიარული საშიში იყო. მოულოდნელი საფრთხისაგან თავის დასაცავად ცხენები გზისაგან მოშორებულ ღელეში დამალეს და თავადაც იქვე დაიდეს ბინა. იოსები გულხელდაკრეფილი იჯდა, არც არავის გამოლაპარაკებია, არც უსვამს, არც უჭამია. დროის გავლას მოთმინებით ელოდა. ღამე უმთვარო და ნისლიანი გამოდგა. ცხვირწინ არაფერი ჩანდა. ცხენებზე ამხედრებას ისევ ქვეითად სიარული ამჯობინეს. ციცაბო, ალმასივით პირწამახებული ქვებით მოფენილ აღმართზე კუს ნაბიჯით მიიწევდნენ. გათენება უკვე მოახლოებული იყო, ნისლი რომ ნელ-ნელა გაიფანტა და ლურჯი კლდის დაკბილული თხემების უკან მტრედისფრად შეფერადებულმა ცამ იელვა.

— სადა ვართ? — იკითხა უღონოდ დაღლილმა და ქვებზე ფორთხვისაგან ხელფეხდასისხლიანებულმა მიტროპოლიტმა იოსებმა.

— ნაქერალას მთაზე ამოვედით, თქვენო მეუფებავ, — უპასუხეს წამსვე. — ღმერთი ჩვენკენ გახლავს, აქეთ ბურუსი აღარ არის!

— აქედან საით?

მხლებელს პასუხის გაცემა აღარ დასცალდა. ჩოხაამოკალთავებული, ჩაბალახით თავპირახვეული, სატევარგაშიშვლებული ვიღაც მოჩვენებები თავზე ქორივით დააცხრნენ და თვალის დახა-

მხამებაში მიწაზე დასცეს. რას ჩადით, ხომ მოკალით კაცი, თქვე უკეთურებოო, უნდოდა ეყვირა მღვდელმთავარს და სხვები საშველად მოეხმო, მაგრამ რისამე დაძახება ვერც მან მოასწრო: თავში რაღაც ბლაგვი ჩაარტყეს, თოფის კონდახი თუ ხმლის ყუა, თვალებიდან ნაპერწკლები გააყრევინეს და ისიც მოცელილივით დაეშვა წვეტიან ქვებზე.

უგონობამ თუ ბურანმა დიდხანს გასტანა. თვალი რომ გამოახილა, გათენებული იყო, მზესაც მოესწრო ამოსვლა და კლდე და ღელის პირი, წუხელ ისე იდუმალი და საშიში რომ ჩანდა, დამაბრმავებელი შუქით გაენათებინა.

იოსებმა თავი წამოსწია. ნესტიან ჩამოღვენთილი კლდის ძირას, გვიმრებში, ბაწრით ხელფეხგაბორკილი მისი წუხანდელი თანამგზავრები და კიდევ ვიღაც სხვები ეყარნენ. სიცოცხლის ნიშანწყალს არც ერთი არ აჩქლავნებდა. იქვე წიფლის ფესვზე გამოებათ ექვსი თუ შვიდი უბელო ცხენი და ორი სახედარი. იოსები თავადაც გაბორკილი იყო. „როდის მოასწრეს? მას შემდეგ, რაც გონება წამერთვა? — გაიფიქრა პატივსა და მოწიწებას ჩვეულმა ბატონიშვილმა და უსაზღვროდ დამცირებულსა და შეურაცხყოფილს ყელში შეურისძიების დაუცხრომელი წყურვილი მოებჯინა. — ეი, ვინ ხარ მანდ? — დააპირა დაძახება, მაგრამ ვერც ეს შესძლო. პირი რაღაც მყრალი ნაჭრით, მგონი ჩოხის კალთის ნახევით ჰქონდა ამოტენილი. — მაშ, ასე ბრიყვულად დავიღუპე? სადა ხარ შენ, ღმერთო? — შანთივით გაურბინა გონებაში. — ამბის წამღები მაინც თუ გადარჩა ვინმე? ასე როგორ გავებით ხაფანგში!“.

ლაწვზე ბუზი დააჯდა. დიდი შავი ბუზი იყო. ორ ადგილას მწარედ დაგესლა და ცხვირისაკენ წალოლდა. იოსები ხედავდა ბუზს, უმწეობისა და რისხვისაგან თვალები ცრემლით ევსებოდა და სისხლისმწოველის თავიდან მოშორება კი მის ძალღონეს აღემატებოდა.

„მალე მაინც მოშავდნენ, ვინც არიან და წესი აგვიგონ, — ინატრა ბოლოს. — ამ მტანჯველ გაურკვევლობას ყველაფერი ჯობს!“

— თქვენო მეუფებავ, — მოესმა სულ ახლოს და იოსებმა უმალვე იცნო იმ მხლებლის ხმა, წუხელ თუ ამ დილას რომ გამოელაპარაკა. — ცოცხალი ბრძანდებით?

იოსებმა ხმა ვერ გასცა. პირში ჩატენილი ჩოხის ნახევი უშლიდა და გულს ურევდა. მხლებელმა როგორ-ღა მოახერხა დალაპარაკება? ნუთუ ბოროტი საქმის მოქმედთ დაავიწყდათ და მისთვის პირში ჩვარი არ ჩაუტენიათ? იოსებს განმეორებით უნდოდა ეკითხა, სად იყვნენ, ისევ ნაქერალას მთაზე, სადაც ჩასაფრებულ ყაჩაღებს წააწყდნენ, თუ სადმე სხვა ადგილას, კიდევ ვინ იყო აქ მათ გარდა და სად გადაიკარგნენ ისინი, ვის ხელშიაც ჩავარდნა მაღალმა ღმერთმა არგუნათ?

— ისვრიან! — ჩურჩულით თქვა ისევ მხლებელმა და დიდი წვალებით გულაღმა მწოლარე ბატონიშვილისაკენ გადმობრუნდა, კიდევ უფრო ახლოს მოჩოჩდა. — დახვდნენ ვინცხას!

თოფ-დამბაჩის სროლა ჯერ გაშორდა, მერე თანდათან შენელდა და მალე კანტიკუნტად-ღა ისმოდა. მათრახების ცემითა და ლანძღვა-გინებით თავპირახვეულმა მეკობრეებმა ღელის პირზე ახალი ტყვეები, ქალები და კაცები, მორეკეს და მხარგაკრული და სისხლით მოთხვრილები ადრე მოყვანილების გვერდით დაყარეს.

— არ გაამხილო, ვინც ბრძანდები, ბატონიშვილო, თუ არა არ დაგვზოგავენ ეს წყეულები, — წასჩურჩულა იოსებს მხლებელმა. — გინდა კაცი მოუკლავთ და გინდ...

— რომელია, ენა რომ ამოიდგა? — იმერულ კილოზე დასჭყივლა ერთ-ერთმა ჩოხიანმა. იგი მიტროპოლიტსა და მის მხლებელს შორის გაჩერდა და ორად მოკეცილი მათრახის აქნევით პირზე ჩამოფარებული ჩაბალახი აიწია, შავი წვერი, სისხლივით წითელი ტუჩე-

ბი და გამტკიცული პურივით თეთრი პირისახე გამოაჩინა.

მხლებელი გაყუჩდა. პასუხი არც სხვა ვინმეს გაუცია.

იოსები ხედავდა მის თვალწინ ცამდე აღმართულ წყვილ ბოჯინჯგალა ფეხს, სატევრის შავი ქარქაშის წვერს, მეკობრეს მუხლებთან რომ უკონწიალებდა და ყოველგვარი სიფრთხილის დაცვით ცდილობდა, მისი სახე როგორმე უკეთ დაენახა.

მეკობრეებს მალე ამხანაგები მოემატნენ, დანარჩუნებული ცხენები მოიყვანეს, ლაგამ-უნაგირი აჰყარეს, ნაძარცვი ქონება უნაგირებთან და ცხენის მოსართავებთან ერთად იქვე კლდის ძირას დაახვავეს, მერე მწვანეზე გაშლილ სუფრას მიუსხდნენ და მოშიებულნი ისე გემრიელად შეექცნენ, თითქოს საყაჩაღოდ კი არა, დილას აქეთ კარის ვენახში ყოფილიყვნენ და შრომაში მოღლილნი თავიანთი ოფლით მოპოვებულ მადლიან ლუკმას მშიერსა და უქონელს უყოფდნენ.

ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული ტყვეებისათვის მხოლოდ ნასაუზმევს მოიცალეს. საგულდაგულოდ მოჭერილ ბაწარს მარტო ფეხებზე ხსნიდნენ, რათა ტყვეს სიარული შესძლებოდა და სათითაოდ გვერდზე გაჰყავდათ. იქ უთუოდ გამოსასყიდს შეაწერდნენ და ძირისძირობამდე გამოიკითხავდნენ, თეთრი სად და ვისგან მოეთხოვათ.

ჯერ ტყვეების ნახევარიც არ იყო გასინჯულ-გაჩითული, რომ სადღაც ზემოთ დაყენებულმა მზირმა მთელი ხმით დაიღრიალა, არიქა, ძმებო, წულუკიძე დაგვეცა, თავს უშველეთო და თოფი დასცალა.

„ეს რა ხდება? ვინ წულუკიძეა?“ — გაუელვა იოსებს და იგრძნო, რომ ქვეშ მიწა ეცლებოდა, უფსკრულმა პირი უყო, გონებას კარგავდა.

## თავი მერვე

— იესე! ხმა გამეცი, ძმაო, შემომხედე! ვერ მიცანი? მე ვარ, მე, შენი უბედური ძმა, სოლომონი! ნუთუ ველარ მცნობ? — საკაცეზე დაწრილმა მეფემ ერთხელ კიდევ ჩასძახა გრძნობამიხდილ საფიცარ ძმას და ელდისაგან მთლად მოსხლეტილი ორივე მუხლზე დაეშვა.

ანაფორაშემოგლეჯილმა, ფეხშიშველმა და ნაცემ-ნაგვემმა ბატონიშვილმა ეს ხმა გაიგონა, თვალი ოდნავ გაახილა, მაგრამ დღის კაშკაშა სინათლე ეუცხოვა და ისევ დახუჭა. სოლომონი ორივე ხელით დაეყრდნო ნედლი მარგილებისაგან ოსტატურად შეკრულ საკაცეს, საამქვეყნიოდ მობრუნებულ იოსებს სახეზე დააცქერდა, სველი ღაწვი ცივ ყვრიმალზე შეახო, ყური მიუგდო მის არათანაბარ სუნთქვას და მერე თითქოს მხოლოდ მარტო თავისთვის თქვა:

— ვგონებ დაგვიფარა მაღალმა ღმერთმა! ცოცხალია! აწი, ღვთის შეწევნით, აღარაფერი უნდა გაუჭირდეს!

ხმა გაიგონა თუ რა იყო. მუხისა და წიფლის შტოების სარეცელზე მწოლარე იოსებმა თვალი ისევ გამოახილა, დაინახა ყველა, ვინც საკაცეს გარს შემორტყმოდა, დაინახა თვით სოლომონიც, იცნო, თვალები შვებით ჰილულა და მისუსტებული ხმით ძლივს წამოთქვა:

— გმადლობ შენ, ღმერთო!..

მეკობრეთა ხელიდან სასწაულებრივ გამოხსნილი მღვდელმთავარი ბერებმა თავიანთ ღარიბულ ქსენონში მოათავსეს და მკურნალად აქიმობაში სხვებზე მეტად დახელოვნებული მამები მიუჩინეს. სოლომონი ერთ წუთსაც არ მოსცილებია ძმას. ღამეს იქვე, ქსენონში ათევდა და იოსების ყოველ უცაბედ წამოკვნესებაზე უკვე ფეხზე იყო, მომვლელ ბერებთან ერთად, მიუხედავად მათი ყრუ წინააღმდეგობისა, ავადმყოფს უვლიდა.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს, როდესაც იოსებმა იმდენად მოიკეთა, რომ

მის ჯანმრთელობას საფრთხე უკვე აღარ ემუქრებოდა და აქიმებმა ლაპარაკის ნება დართეს, სოლომონმა ძმა თავის კარავში გადააყვანინა და ბერები დაითხოვა, აწი თავად წვერ მოვუვლით, საშიში ვგონებ აღარაფერი უნდა გვჭირდესო.

ბაგე გახსნა თუ არა, იოსებმა რძალი და ძმისწულები: ალექსანდრე, დარეჯანი და თამარი მოიკითხა, ისევ მოლაპარაკეში, ქაიხოსრო წერეთლის ჭერქვეშ აფარებენ თავს, თუ სადმე სხვაგან, უფრო უშიშარ ადგილზე გადაიყვანეს.

მეფის სახლეული და მისი ნაცრეტიცხოვანი ამალა, ორმოციოდე კაცისაგან შემდგარი მცველი რაზმითურთ, მტრისაგან გარსშემორტყმული მოდიხახის ციხიდან მშვიდობიანად გასვლის შემდეგ, ჩიხურის ვიწრო ხეობის ერთ პაწაწინა სოფელ კვერეთში იდგა და მეფესთან შეერთებას მოუთმენლად ელოდებოდა.

სოლომონმაც ასე უთხრა ძმას.

— მერე ახლა რას აპირებ? — ჰკითხა იოსებმა. — გადმოიყვან, თუ ერთხანს ისევე იქ დასტოვებ?

— ვშიშობ, იესე, ვერ გადმოვიყვანტია. აქ დაბარებით ვაითუ უარეს საფრთხეში ჩავყარო და თავი მოსაკლავი გამიხდეს. სარწმუნო ცნობები მაქვს: პირშავი ერისთავი ჯარს აგროვებს. ჩვენი ურჯულო ბიძაშვილისაგან, ოქროს ჩარდახში რომ გაბატონებულა, ბრძანება მიუღია და რაჭაში შესასვლელი გზების მოჭრას გვპირდება. იქიდან, — მეფემ ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და ცისკიდურს მოატარა. — ფაშა ალიბეგი გვიპირებს გზების მოჭრას. საწერეთლო და არგვეთი გინდაც არ გქონია! დაზამთრებამდე თუ აქ არ მოვიდნენ და წესი არ აგვიგეს, ერთიცა და მეორეც, შინაური ტურაცა და გარეული აფთარიც, იმას მაინც ეცდებიან, ლუკმა და ჩვენიანებთან კავშირი მაინც შეგვიწყვიტონ. შეხედე ღმერთს და მიპასუხე: როდემდე გავძლო?

— შენ ყველაფერი დაწვრილებით გცოდნია. ძმაო სოლომონ ეტყობა, ერთგულიც ბევრი გყავს, რაღაი მტერს თეთრ კბილს უჩვენებს და გულით კი შენთან არის!

— ღმერთმა აგრე ინებოს, იესე, მაგრამ აგრეა? ვაიმედებ, ვუთვლი, ცოტაც მოითმინეთ, სასოს ნუ წარიკვეთთ, ძალას მოვიკრებ და მოგეშველებით-თქვა. როდის? როდემდე? ხომ გაგიგონია, სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო? ძალის მოკრებას ორი რამე უნდა: დრო და ფული! მე არც ერთი მყოფნის და არც მეორე. ფული კიდევაც რომ ვიშოვნო და ჩერქეზეთში ან ლეკეთში დამხმარე ჯარის დაქირავებას შევუდგე, დღეს და ხვალ, თავადაც იცი, ეს არ მოესწრება, ზეგამდე კი ვინ-ღა დაგაცლის, ხანჯლის წვერი ზედ ყელზე მაქვს მობჯენილი!

— რას ფიქრობ მერე, ადამიანო, როგორ გინდა გალონიერდე?

— მთავარ იმედს ჩვენს მფარველ მეფე ერეკლეზე ვამყარებდი. იმას ფულით მოხმარებაც შეუძლია, ჯარითაც და, თუ მოინდომა, ხონთქართანაც უჭირის სიტყვა. შუამდგომლობას არ დამზარდებოდა, მაგრამ რანაირად, შენც გაიგებდი, ჩვენგან პირი მაგ კურთხეულმაც იბრუნა და სხვა გულით საყვარელი გაიჩინა!

იოსებმა კოპები შეიკრა, სასთუმალზე წამოიწია და ნიდაყვს დაეყრდნო.

— ერეკლემ ჩვენგან პირი იბრუნაო? რას ამბობ? ვინ თქვა ეგ! ჭორიკანების ენას აჰყევი? ეგ-ღა გვაკლდა! ვინ გულით საყვარელი? მე არაფერი ვიცი, შენს თავს და მაღალ ღმერთს ვფიცავ, ეგ ამბავი პირველად მეყურება!

სოლომონი აენთო, წამოჭარხლდა. ის, რაც უკვე თქვა და გაამხილა, ყველაფერზე უფრო უსიამო იყო იმ ამბავთა შორის, რაც ჰქვიანი, გულშემატკივარი და ჭირში ნიადაგ შემწე ძმისთვის უნდა გაენდო.

— რა გეყურება, კაცო, პირველად, ერეკლე რომ ჩემს მტერ-მოყვარე ცოლისძმას, ოდიშის ბატონ კაციას, დაუმოყვრდა, დღე-დღეზე ამილახვრის ნაცოლარ დას სჯულიერ თანამეცხედრედ

აძლევს, აქამდე ეს არ შეგიტყვია და ეს გეყურება პირველად?

— ეგ დიახაც ვიცი, — იოსები დამშვიდდა და ისევ დაეშვა სასთუმალზე, ხელი თავქვეშ ამოიდო. — ვინ მოგახსენა, არ ვიციო?

— შენ თავად არ თქვი ახლა?

— დადიანთან დამოყვრება და ერეკლესაგან ჩვენთვის ზურგის შემოქცევა, სხვა გულით საყვარლის გაჩენა, როგორც შენ ამბობ, ერთი და იგივე არ არის, სოლომონ, შენ ნუ მომიკვდები. ერეკლე არც რაჭის ერისთავს ურისხდება და რა ხანია მეგობრობის ხელს უწვდის, მაგრამ ეს ჩვენ ჩვენთვის ზურგის შემოქცევად და სხვა გულით საყვარლის გაჩენად აროდეს მიგვიღია, რაღა მაინცდამაინც უამისოდაც ამრეზილი კაცია ამოვიღოთ თვალში და მასთან დამოყვრება ერეკლეს იმერეთის ტახტის მტრობად და პირის გატეხად ჩავუთვალოთ? უფრო ადრე მაგ კურთხეულმა ასული მისცა ჩვენს ღვიძლ ძმას, არჩილს, და დაგვიმოყვრდა. მაგრამ ეს დადიანის მტრობად ჩაუთვალა ვინმემ?

— მე სხვა ვარ, იესე, და დადიანი სხვა. ეს ერეკლემაც კარგად იცის და არც შენ უნდა გეშლებოდეს!

— აქ თუ საჩხუბრად მომიწვიე, პირდაპირ მითხარი, ძმაო, თუ არა და ყური დამიგდე, იქნება შენი მოსაწონი სიტყვა მეც ვთქვა!

— თქვი, ჰე, მე არ გიშლი!

— რას გვეუბნება ერეკლეს ეს ნაბიჯი? იმას, რომ ქართლ-კახეთის მეფის მოწყალე თვალი ერთნაირად წვდება ამერსაც და იმერსაც. ერეკლეს მიაჩნია, რომ ორთავ საქართველოს მეფემთავრები, სანამ ჯერ კიდევ ასე გათიშულად ვართ და მტერს ცალ-ცალკე მორევას ვუადვილებთ, მომავალი ერთობისა და თანადგომის საწინდრად ერთმანეთს მარტო აზრითა და განზრახვით კი არა, ნათესაური კავშირებითაც უნდა დავუახლოვდეთ. ეს ხომ ახალი ამბავი არ არის, სოლომონ, ერეკლეს ხომ არ გამოუგონია. ჩვენი მამა-პაპა მოყვრობასა და ნათელ-მირონობას უხსოვარი დროიდან ერთმანეთისათვის მხრის მიცემის იარაღად იყენებდა და, შენც დამემოწმები, ამ ნაცადმა იარაღმა ბევრჯერ გასჭრა. ეს ერთი! მეორე... ოღონდ პირობა დამიდე, რომ სიმართლეს არ მიწყენ და შენებურად არ გამირისხდები!

— ნეტავი კაცის ხორცის ჭამასაც არ შემწამებდე! როდის იყო, რომ გაგირისხდი?

— მაშინ არ მოგერიდები და, რაკი ნებას მაძლევ, პირდაპირ გეტყვი!

— გისმენ!

— მე არ მჯერა, მაცხოვრის ხატის წინაშე არა მწამს, გული არ მეუბნება, რომ შენი ცოლისძმა, ოდიშის ბატონი კაცია, შენი მტერი და ავის მდომელია, თუმცა...

— რა თუმცა? — სოლომონი ისევ აენთო, მოიღუშა, ისევ ჰოედო ალმური სახეზე.

— თუმცა, შესაძლოა, შენს თავს ერეკლე ერჩიოს.

— საქმეც ეგ არის, ძაღლის თავიც სწორედ მანდ არის დამარხული!

— ნუ ფიცხობ, ბოლომდე მომისმინე. კაცია თავის სამთავრო ოდიშში თავს მეფედ თვლის. ეს ნურავის გააკვირვებს. ასევე თვლიდნენ ოდიშის სხვა ბატონებიც, თუნდაც მამამისი, შენი მამად სახელი სიმამრი ოტია, და იმერეთის მეფეებისაგან თავის დასაცავად ძმათა სისხლს ზღვად აქცევდნენ. ერეკლესთან მოყვრული კავშირის გაბმით, როცა შენ აგარიანისაგან წაქცეული დაგინახა, ამ შიშიანობის დროს კაცია ორ საქმეს იკეთებს: ოსმალოს მხარდაჭერით წამოსკუპებულ იმერთა მეფისგანაც იფარავს სამთავროს და თვით ოსმალოსგანაც. ერეკლეს შიში და მორიდება რომელს არა აქვს! დღესდღეობით იმერეთის ტახტის მოცილე თეიმურაზს უჭირავს. კაციას უშენოდ ძალი არ შესწევს თეიმურაზს და მის ძხედრობას წინააღმდეგობა გაუწიოს. იძულებით თავსაც უკრავს, მორჩილებასაც უცხადებს, მაგრამ მტრის ზურგსუკან ძლიერ

მფარველსაც ეძებს და უკეთესი დღეების შესახვედრად ემზადება. ამასთან, ესეც მთავარია, იცის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე სამთავროზე ვერ შემოედავება, დაყმობასა და დაქვემდებარებას ვერ მოუნდომებს. ასეა ეს, სოლომონ. ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ კაცია, რა ხარბი და გულღრძოც არ უნდა იყოს, შენს თავს ურჯულო თეიმურაზი ურჩევნია?

კოპებშეკრულ მეფეს შუბლი გაეხსნა, თვალებში შუქი მოემატა.

— მაშ, შენ ფიქრობ, რომ ჯერ ყველაფერი არ არის დაღუპული და კაცია დადიანის იმედი კიდევ შეიძლება ვიქონიოთ?

— ვფიქრობ და ღრმადაც მწამს ეს ამბავი, თითქოს კაციასთან წინასწარ მელაპარაკოს და პირობაც მქონდეს მიღებული! კაცია შესაფერ წუთს უცდის და დადგება თუ არა ეს შესაფერი წუთი, მერწმუნე, როგორც ხრესილის ომის დროს, ქუდზე კაცს შეკრებს და ისევ შენს წიაღს მოაშურებს!

— მაგრამ როგორ მოვახლოოთ ის წუთი? სად შევინახოთ თავი იმ სანატრელი წუთის დადგომამდე? წელან არ გეუბნებოდი, ერეკლეს იმედი მქონდა-თქვა? ახლა, შენ რომ მოგისმინე, მცირედი იმედი კიდევ გამეღვიძა, მაგრამ მაინც არა მგონია, ჩვენი გულისთვის ერეკლემ ხონთქარი მტრად მოიკიდოს, კარი გაგვიღოს და თუნდაც ერთი დღით თავშესაფარი მოგვცეს. ამას ხომ ათასი დავიდარაბა მოჰყვება! ფაშა ელჩებს გამოგზავნის და ერეკლეს ჩვენს გაცემას მოსთხოვს, არა და ომით დაემუქრება. აქედანვე განსაჯე ჩვენი ძოყვრის მდგომარეობა — მოშენებული ქვეყნის უწყალო აოხრებას არჩევს თუ შემოკედლებული თანამოძმის გაცემას? ჩვენ აქ შენს მოსვლამდე თავი ვიმტვრიეთ და ვგონებ ხსნის ერთადერთ გზას მივაგენით...

იოსები გამოცოცხლდა, ნიდაყვზე ისევ წამოიწია.

— რომელ გზას?

— ის გზა რუსეთში მიდის!

— მეტისმეტად შორი გზა არ არის?

— გზა მეტისმეტად შორია, თასაკვირველია, მაგრამ საიმედოა, თუ ამ იმედმა არ გვიმტყუნა და გაგვიმართლა, მერე ჩვენი ცდითა და ღვთის მოწყალებით სხვა გასაჭირსაც მოვევლებით და ქვეყანასაც გამოვიხსნით სატანჯველიდან. ვწუხვარ, რომ შენს ამობრძანებას ვეღარ მოვუცადეთ. ძვირფასია ახლა ყოველი წუთი. ელჩიონი უკვე გავგზავნე. თუ ღმერთმა ხელი მოუმართოთ და გზაში ხიფათი არაფერი შეხვდათ, ახლა უკვე ოსეთში იქნებიან. მალე, ღვთით, პასუხიც უნდა მოვიდეს!

— ვინ გაგზავნე ელჩად, გამოცდილი და სანდო კაცია?

— მაქსიმე ქუთათელი და თავადი დავით კვინიხიძე. აჯობებდა, რაღა თქმა უნდა, შენ წასულიყავი და არჩილიც გეახლებინა, მაგრამ...

ეს მეფემ იოსების სასიამოვნებლად თქვა, თუმცა ელჩიონის გაგზავნის დროს ისიც რომ აქ, უდაბნოში, ყოფილიყო, შესაძლოა, არჩევანი მაინც ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელზე შეეჩერებინა. მაქსიმე გამოცდილი ჰყავდა საგარეო საქმეებში. ქართულის, ბერძნულისა და თურქულის გარდა რამდენიმე სხვა ენის საყველპურო ცოდნაც მაქსიმეს სხვებზე მაღლა აყენებდა. თუ მოლაპარაკებითა და შეგონებით ვინმე რაიმეს შესძლებდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, მაქსიმე ქუთათელს უნდა მოემოქმედებინა და მეფეც იმედს მის ცოდნაზე, ტახტისადმი უყოყმანო ერთგულებაზე, პიროვნულ მომხიბვლელობასა და სხვათა დარწმუნების განუმეორებელ უნარზე ამყარებდა. მარტო იმ საშახსოვრო დღის მოგონება რად ღირდა, ქუთათელმა რომ ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი გააწბილა და თავლაფდასხმული საეკლესიო კრებიდან გააქცია! გარდა მეშურნეებისა, რომელთა შორისაც სოლომონს თავისი მღვდელმთავარი ძმა, ბატონიშვილი იოსებიც ეგულებოდა, მაქსიმე აბაშიძის მამულიშვილური შემართებით, ღრმა განსწავლულობითა და სწორუპოვარი მჭევრმეტყ-

ველებით ყველა მოხიბლული და მოჯადოებული იყო.

იოსებმა თავს სძლია, წვრილმანი გრძნობა, მაქსიმე ქუთათელისადმი ფარულ შუღლში რომ გამოიხატებოდა, უკუაგდო და მეფეს არჩევანი მოუწონა, მხოლოდ კვინიხიძის მაგიერ რუსხელმწიფის კარზე არჩილ ბატონიშვილის გაგზავნას ბევრად უფრო სასურველად და სასარგებლოდ თვლიდა. არჩილი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორისა და მთელი განათლებული ევროპისათვის კარგად ცნობილი მეფე ერეკლეს სიძე იყო და იმერთა მეფის ელჩიონში მისი ყოფნა საქმეს უთუოდ წინ წასწევდა.

— მართალი მოგახსენო, ეგ მეც ვიფიქრე, — დაეთანხმა ძმას სოლომონი. — მაგრამ არჩილის ლოდინი ძვირად ღირებულ დროს გვაკარგვინებდა და ამიტომ ისევ უარჩილოდ ფონს გასვლა ვამჯობინეთ. იყო სხვა მოსაზრებაც. ბატონმა გიორგი წულუკიძემ წამოაყენა. გიორგის ზოგიერთი სხვაც უკრავდა კვერს. ვითომ რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებული კაპიტანი ლვოვი მისთვის მისაღებ ადგილზე მოვიწვიოთ, ავუხსნათ ჩვენი უსასოო მდგომარეობა და ხელმწიფე-იმპერატორთან სათხოვრის წიგნი გავატანოთ. ვერ დავადექით ამ გზას. ლვოვი, რაც უნდა იყოს, მაინც უცხო კაცია. რა გვიჭირს და რა გვილხინს, აგრე ადვილად ვერ გააგებინებ, რომ წავიდეს და იმან კიდევ სხვას გააგებინოს. საკუთარი ელჩები საქმეს ბევრად უკეთ გასწვდებიან და შედეგიც, მე მგონია, ჩვენთვის სასურველი იქნეს!

— მაღალმა ღმერთმა გისმინოს, სოლომონ, იქნებ მართლა ცა გაგვეხსნას და დიდი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა მოწყალე კალთა გადაგვაფაროს. მაგრამ ამჯერად რას ითხოვ, ჯარის მოშველების იმედი გაქვს?

— ეჰ, მაგას ვინ მოესწრება, იესე, საცოდავ მამაჩვენს ხომ მაგის ნატვრასა და წადილში ამოუვიდა სული! მის უდიდებულესობა ხელმწიფეს მუხლმოყრილი ვევედრები, პატარა ხანს, სანამ ხელს მოვიწყობდე და ტახტს დავიბრუნებდე, ნება გვიბოძოს, თავი მის კურთხეულ მიწა-წყალს შევაფარო!

იოსებს ელდა ეცა, ფერი ეცვალა, ორივე ხელით დაეყრდნო საწოლს და წამოჯდა.

— რუსეთში წასვლას აპირებ? როგორც ვახტანგ მეფე წავიდა და ქართლი დააცარიელა!

— დამრჩენია სხვა გზა? თუ დამრჩენია, აგერ ხარ და მითხარი!

— ჩვენს თავს ღვთის რისხვა გადმოსულა, სოლომონ, ეტყობა, დაგვიდგა განსაცდელის ჟამი! ნეტამც ამ დღეს არ მოვსწრებოდი და ის მერჩია, ყაჩაღებს ავეკუწე ნაქერალზე!..

— საყვედური და ვიშვიში ადვილია, ძმაო იესე, შენ საქმე მითხარი! იქნებ ბერს ეგ ეპატიებოდეს, ახლა რომ თქვი და ინატრე, მაგრამ მეფეს ვიშვიში და საყვედურები ვერას შემატებს, ჩემგან მარტოოდენ საქმეს მოელიან. საქმეს! — გაიმეორა სოლომონმა და მის ხმას ლითონი ჟღერა გაერია, თვალებში კი სიცივე ჩაუსახლდა. — მე ჯარი მჭირდება, თოფ-დამბაჩა, ზარბაზნები, ტყვია-წამალი, ნუზლი! დრო და შეძლება უნდა ყველაფერი ამის მოგროვებას და წუნკალ მტერზე გალაშქრებას. შიშველი ხელებით, პირჯვრის წერით და სამღვდელმთავრო კვერთხის კაკუნით, ნუ მიწყენ და, ვერავის ვერაფერს დააკლებ. გადასაწყვეტი, როგორც გითხარი, მე უკვე გადავწყვიტე! სახარებაში ხომ სწერია: რომელსა ჰნებავს შემომდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე! მივაპყროთ თვალი დიდ რუსეთს. ეს არის ჩვენი გაჭირვება. ერთხელ კიდევ ვცადოთ ბედი და იქნებ, შენი თქმისა არ იყოს, ცა მართლა გაგვეხსნას, ქედს გადაღმა უანგარო ქომაგი გამოგვიჩნდეს!..

## თავი მეცხრე

ერთგული ქვეშევრდომებითა და მცირედი ჯარით უდაბნოში დაბანაკებულ სოლომონ მეფეს ათას ხუთასი რჩეული მხედრის თანხლებით ნაბერალ მეთოდესა და გიორგი სარდლის შხივანას მოსვლა სწორედ მაშინ აუწყეს, როდესაც უკანასკნელ განკარგულებებს სცემდა და ძიძიშვილ ნიკოლოზა ნაფიჩვაძის მორთმეულ ცხენზე ჯდებოდა.

ერისთვიშვილებისა და მათი ჯარის საწულუკიძეოში გამოჩენა არავისათვის მოულოდნელი არ იყო. ამიტომ სოლომონმა ადრევე გადაწყვიტა. აქაურობა მანამდე დაეტოვებინა, ვიდრე ერისთავის კარზე საომრად გამოლაშქრებას მოასწრებდნენ, რათა უდანაშაულო ბერები მოსალოდნელი შეწუხებისა და აწიოკებისაგან დაეფარა, მაგრამ კვერეთში მდგომი ქაიხოსრო წერეთლისაგან მალემსრბოლებს ელოდა და უდაბნოში ამან შეაყოვნა.

ბერი წულუკიძეს სამასიოდე გვარიანად შეიარაღებული მხედარი ახლდა, ორი ამდენი ქაიხოსრო აგიაშვილმაც მოიყვანა და თუმცა ერისთვიშვილები ჯარის სიმრავლით ორივეს ჭარბობდნენ, სახუნდარების მოწყობა და ბრძოლის მიღება მაინც შეიძლებოდა.

ეს რომ უთხრეს, სოლომონმა შორს დაიჭირა. ძმათამკვლელი ომის გამართვა, თუნდაც ამ ომში გამარჯვებულიც გამოსულიყო და მოღალატე ერისთავს ბარაკონზე მიხტომოდა, მის მართალ საქმეს სამუდამოდ სახელის გატეხას უქადდა და მთელი თავისი გავლენის გამოყენება დასჭირდა, რათა ერისთვიშვილების წინააღმდეგ ერთპირ აღძრული, გულგახურებული სარდლები და ჯარი შეეკავებინა და მომხვდური მტრის მტრულად დახვედრის ჟინი როგორმე დაეცხრო.

გიორგი სარდლისა და ნაბერალ მეთოდეს გულდაგულ შხივანას მოსვლა და გზის აქეთ აღება იმას მოასწავებდა, რომ ძმებმა დანამდვილებით იცოდნენ ტყეში თავშეფარებული მეფის ადგილსამყოფელი. რაკი ეს ასე იყო, მაშასადამე, როსტომსა და მის ვაჟებს ამქვეყნიურ სიტკბოებათაგან საუკუნოდ განმდგარ ბერებს შორის თავიანთი მსტოვარი ჰყავდათ და სოლომონის ყოველ ნაბიჯს შორიდან თვალს ადევნებდნენ. გამოძიება, თუ ვინ წაიწყმიდა სული და ეშმაკს ვინ მიეყიდა, დროს ითხოვდა. მეფემ ამიტომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს მის გულში ეჭვსაც არ გაევლოს და, როგორც კი დარწმუნდა, სამზადისი მოთავებულიაო, დაძვრის ბრძანება გასცა. წინ აქაური ადგილმდებარეობის უკეთ მცოდნე პერი წულუკიძე გაიძღოლეს, ზურგის მხრიდან მტრის უეცარი თავდასხმისაგან რაზმის დაცვა კი ქაიხოსრო აგიაშვილმა იკისრა და მეფიონს მცირედ ჩამორჩა. შუაში სანოვაგით დასაპალნებულ ცხენებსა და სახორცე პირუტყვის ჯოგს მოერეკებოდნენ. თუ ვინიცობაა, დღე იქნებოდა თუ ღამე, ჯრუჭულის პირზე ჩასაფრებულ მტერს წააწყდებოდნენ, გზა ომით უნდა გაეკაფათ და ქაიხოსრო წერეთელთან შესაერთებლად გაღმა ისე გასულიყვნენ, ხოლო თუ ღმერთი ინებებდა და იქ არავინ დაუხვდებოდათ, სოლომონი მხლებელ ჯარს უკან გაისტუმრებდა და კვერეთისაკენ, სადაც თანამეცხედრე მარიამი და ბატონიშვილები ელოდებოდნენ, სულ რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარი ამალის თანხლებით გაეშურებოდა.

სამხრობის ჟამს ბერი წულუკიძის მეწინავე რაზმმა მოხვის კალოებს ჩააღწია და იქაურობის გულდასმით დათვალიერებისა და ადგილობრივ მკვიდრთა ფრთხილი გამოკითხვის შემდეგ უსაშველოდ გრძლად გაწელილი ტყიდან გამოვიდა. სოფელი ფეხზე დადგა. სწორედ ორი დღით ადრე ჯრუჭის ზეობის სოფლები ოსმალთა რაზმებს მოევლოთ და მოეთარეშებინათ. ხალხი ახალი გამოსული იყო სახიზრებიდან. შემოდგომის ალო, როცა ვაჟკაცის მარჯვენას ფასი არ დაედება, კარზე მოსდგომო-

2. „მნათობი", № 2.

საქართველოს სსრ სახ. საჯ. ბიბ-ლიოთეკა

დათ. წვითა და დაგვით მოყვანილი ჭირნახული, ყურძენი, სიმინდი, ლობიო თუ ღომი ასაღები და მისაკოჭებელი იყო. მტერს ალაგ-ალაგ სახლები, მაღალ ხიმინჯებზე შეყენებული ნალიები და პირუტყვის საკვებით გატენილი საბძლები დაეწვა. სახიზრიდან მობრუნებული თავზარდაცემული გლეხები და ლაწვჩამოხოკილი, თალხებში გახვეული დედაკაცები გადაბუგულ სახლ-კარს დედაბუდიანად მისეოდნენ, მეზობლებიც დაეხმარებინათ და დროებით თავშესაფრის შესაკოწიწებლად ნაცარში გადარჩენილ ძელებს, კოჭებსა და თავსეებს ეძებდნენ.

— მეფე მობრძანდება, ხალხო, მეფე! — გაისმა ვიწრო შუკაში, სადაც პირველმა მხედრებმა შემოაბიჯეს, მტვერი დააყენეს და ეს ხმა შემოდგომის წითელ-ყვითელი ფერებით უცხოდ განათებულ სოფელს მოედო.

ეზო-ბაკეებში და ყანა-ვენახში მოფუსფუსე ხალხი დაფრთხა, აქეთ-იქით შეშინებული იყურებოდა და პირჯვარს იწერდა, ღმერთო და იესო მაცხოვარო, შენ გვიხსენი ახალი აწიოკებისგანო.

— ვინ მეფე, ბოშო, ხომ არ გადარეულხართ თქვენე?

— მეფე, ჩვენი მეფე, სოლომონი, ჩვენი ქრისტიანი მეფე!.. დიდება! დღეგრძელობა მეფე სოლომონს!..

უბანმა უბანს გასძახა და დიდი და პატარა, წელან რომ თვალი გაქცევაზე ეჭირა და სამალავს ეძებდა, ყოველის მხრივ სოფლის შუაგულს მოაწყდა. აქ უკვე ტევა აღარ იყო. მოსული და დამხვდური, შინაური და გარეული, ცხენი და კაცი ერთმანეთში აირია. მაშ, ჩვენი ქრისტიანი მეფე, ჩვენთვის ჯვარზე გაკრული, გლეხკაცის შემწე და მფარველი, ურჯულო აგარიანის რისხვა და შეჩვენება ბატონი სოლომონი მობრძანებულაო? მოხველებს სიფრთხილე და შიში დავიწყებოდათ. საქმე ყველას მიეტოვებინა და თავქუდმოგლეჯილი აქეთ მორბოდა. ხელცარიელი თითქმის არავინ იყო. ვინ აცმა ჩირს ან ლადარში შემწვარ და ჯერიც ნაცარში ამოგანგლულ ღორა-კვახს მოართმევინებდა, ვის შუაცეცხლზე შებრაწული სიმინდის ტაროები ან ვაშლისა და ატმის კუნწულები წამოეღო და პირველსავე შემხვედრს მოლაშქრეს ხელში აჩრიდა, მიირთვი, შენ შემოგევლე, ღმერთმა შეგარგოს, შენზე ალალია წლის მოსავალიო.

სოლომონმა რომ ეს აურზაური გაიგონა, მიზეზი გამოიკითხა და გულაძგერებულმა სოფელში ფეხი შემოსდგა, მტრისაგან გაძარცვულ-გატიალებული ეკლესიის სამრეკლოზე აბალუხებამარა პირტიტველა ბიჭები ასულიყვნენ, რაღაც მანქანებით თუ ღვთის განგებით გადარჩენილ ზარებს არისხებდნენ და თავიანთ წრეგადასულ სიხარულს მთელ ქვეყნიერებას ატყობინებდნენ. აღარავის ახსოვდა და არც სურდა გაეხსენებინა, რომ ის, ვისაც ასე ზარ-ზეიმით და ლიტანიობით ხვდებოდნენ, მათებრ დევნილი, უსახლკარო და ყოველგვარ ადამიანურ უფლებას მოკლებული ღვთის შვილი იყო.

სოლომონს თვალწინ დაუდგა ის დღე, სხარტალიდან საწერეთლოში მომავალმა პირველად ჯრუჭულის პირი რომ გამოიარა და გული აუკანკალდა, თვალებში სისველე იგრძნო. ღარიბ-ღატაკი, ზამთარ-ზაფხულ ლუკმაპურის მაძებარი, შინაური თუ გარეშე მტრის ძალმომრეობით უზომოდ შეწუხებული და წელში გადრეკილი, მაგრამ მაინც ხალისით, იმედითა და მხნეობით აღსავსე ხალხი მაშინაც ასევე გახარებული ხვდებოდა, ჰაერში საეკლესიო დროშებს აფრიალებდა და გამარჯვება და დღეგრძელობა ნუ მოაკლოს ჩვენს მირონცხებულ მეფე სოლომონსო, საქვეყნოდ გაიძახოდა.

„მერე რა მოუტანე ტანჯვის მეტი? — ჰკითხა შინაგანმა ხმამ. — სადაც შენა ხარ, მტერიც უმალვე იქ გაჩნდება და ქვას ქვაზე აღარ დასტოვებს. მოერიდე მაინც, ტყე-ტყე მაინც იარე, რომ შენი ჯავრი სხვას არ აზღვევინონ და ცოდვას ცოდვა არ მიუმატო!“

თლილი ქვით ამოშენებულ სოფლის წყაროსთან, ჯერ კიდევ დაუბერტყავი ასწლოვანი კაკლების ქვეშ, სადაც მწვა-

ნე მოლზე ნაუცბათევი სუფრა გაეშალათ, სოლომონმაც და მისმა მხლებლებმაც ცხენები შეაყენეს. იქით გზა აღარ იყო. ყოველი კუთხე და გასასვლელი ნაყარი ფუტკარივით მოჯარულ ერს დაეკავებინა.

— გამარჯობა შენი, ხალხო! — რამდენადაც შეეძლო, მხიარულად და მხნედ დაიძახა მეფემ და მარჯვენა ხელი ასწია.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მეფე-ბატონო! — წინ მდგომმა ბერიკაცებმა ფაფანაკები მოიხადეს, თავი მდაბლად დაუკრეს და, როგორც ყმაგლეხის წესი და რიგი მოითხოვდა, სხვებთან ერთად მუხლი მოიყარეს.

— იცოცხლე, შეგეწიოს მამაზეციერი!

— დაგლოცოს ჩემმა გამჩენმა! სულ წალმა გარონიოს გორიჯვრის წმინდა გიორგიმ!

— რას შვრებით, რავა მყავხართ, ჩემო ერთგულო მოხველებო, ძალიან შემივიწროვეს განა თქვენი თავი ურჯულო თეიმურაზმა და არაკაცმა ჰაჯი-ალიბეგმა?

— აღარ არი გაძლება, მეფე, ჩვენ სიცოცხლეს დაბმული ძაღლის ყოფა ჯობია. მე მოვკვდე, თუ არა! მოგვხედე, მოგვეხმარე, გვისაშველე რამე, შენი სახელის ჭირიმე, ამეიღე ე ხმალი ქარქაშიდან და შეები ჩვენს დამღუპველ ურჯულოს! შენ არ იყავი, ხრესილში რო უზღვავი თათარი დაამარცხე? შენ ვინ მოგერევა, წინ ვინ დაგიდგება, თუ გულით მოიწადინებ?!

— სუ, ბოშო, — გაისმა გესლიანი ჩურჩული უკანა რიგებში. — ნუ გეიწყვეტთ შუბლის ძარღვს. დიდი ბატონი მეფე თქვენი ტოლი და სწორი ხომ არ გგონიათ, რომ ამეიდგით ენა და აღარ გაგეგებათ, რას როშავთ?

— მე ვროშავ, ბაბუა? დაგელოცა ზრდილობა და სიტყვა-პასუხი! არ ვუთხრა, აბა, ჩემი გაჭირვება არ შევჩივლო? ვის შევჩივლო სხვას, თუ ღმერთი გწამს! ამოვარდა სოფელი, დიდო ბატონო, გავნახევრდით, ნახევარიც აღარა ვართ. ეიმსო თათარი ობლობაში სიმწრით გამოზრდილი ჩვენი შვილებით და შვილიშვილებით. არ არი სამართალი! ღმერთმა დაგვივიწყა. გვისაშველე რამე, შენი მუხლების ჭირიმე. შენმა იმედმა აქამდი სული მოგვატანინა. აწი აღარ ვიცი, რავა იქნება საქმე!..

— ცოტაც მომითმინეთ, — ძლივს დასძრა ხმა გლეხის გულისმომწყვლელი მუდარით თავზარდაცემულმა მეფემ და თუმცა ეს ახლა საჭირო არ იყო, ცხენს სადავე მოზიდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაახევინა. — მაცალეთ ცოტა და ვფიცავ გორიჯვრის წმინდა გიორგის, ქრისტეს ცხოველმყოფელ ჯვარს, რომ მტერს არ შერჩება ჩემი საბატონო ქვეყნისა და ერის ასე ულვთოთ გაპარტახება!

— მერე რაღა სახვალიოდ გადავდოთ საქმე, შე დალოცვილო, გაგვიმეხი, აგერ არა ვართ? ქალი, კაცი და ბოვში შენს დროშის ქვეშ დავდგებით!

— არ ვეყოფით. ერთი და ორი სოფელი, ისიც განახევრებული, თუნდაც ათი და ოციც იყოს, კალიასავით შემოსეულ მტერს რას დააკლებს! უფრო გავახელებთ და მეტად დავზარალდებით. დიდი ჯარი უნდა შეიყაროს, ისე დიდი, რომ ურჯულოს კუდით ქვა ვასროლინოთ და სულ ვაი დედა ვაძახოთ!

— ეგ როდის იქნება, მამავ და შვილო, დიდი ჯარის შეყრას დიდი წელი უნდა!

— მეც მანდა ვარ და ჩემი მრჩევლებიც მაგას მიჩიჩინებენ! აჩქარება არამცდაარამც არ გვმართებს. ვინც აჩქარდა, რა მოიგო? ხომ გაგიგონიათ, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია. საფუძვლიანად უნდა მოვუყაროთ თავი ყველაფერს, რაც ამისათვის საჭიროა და როცა დავრწმუნდებით, რომ ახლა კი სასწორი ღვთის მადლით ჩვენკენ გადმოიხრება, მაშინ დავკრათ და გავათავოთ!

— დოუჩქარე, მეფეო, რამენაირად დოუჩქარე. ჩემ ბებერ ძვლებს ნუ ჩამაყრევინებ საფლავში ისე, რომ აქაუ-

რობის ჯარი თან ჩამყვეს! ჩაპობრძანდი, თუ გვიკადრებ, ამ ზედაშით პირი გეისველე და ჭადს ყუა წაატეხე, ნამგზავრი ბრძანდები!

უარის თქმა არ ეგებოდა და მეფე და დიდებულები ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ. ამან სოფელი ერთიორად გაახარა. წყაროს ირგვლივ რკალად შემორტყმულ ხალხში ყველა წინ მოიწევდა და წინა რიგებში მოხვედრას ლამობდა. ყველას უნდოდა, სულ ახლოს დაენახა და მეხსიერებაში კუბოს ფიცრამდე ჩაებეჭდა ხრესილის გმირი მეფე, ვინც ერთი შეხედვით აგარიანის იმოდენა ჯარი წაახდინა, სერასკირი პირქვე დაამხო და უკან, ოსმალეთში, ამბის წამღებიც არ გაუშვა.

— ბოვში კაცი ყოფილა!.. — გაისმოდა აქა-იქ აღტაცებული შეძახილები.

— ნეტაი შენ დედას, იმან უნდა თქვას სწორედ, შვილი გავზარდეო!

— დედას, აპა! იმას ძალიან არ ეპიტნავება თავისი შვილი?

— გაჩუმდი, ქალო, გაგიგონია მაგის თქმა?

— ნუ იტყვი შენ, თუ გინდა! გუშინ არ ლაპარაკობდნენ, ურჯულო მეფეს ეახლა ქუთაისში და შეეხვეწა, ჯარი მომეცი, მე თავად გოვუძლვები და ჩემს ურჩ ვაჟიშვილს ბორკილებშეყრილს მოგიყვანოო?

— უი, ბეჩა!..

— ნუ უყურებ, გოგო, მაგრე ურცხვად, დამიწდი შენ!

— აპა, თუ ვაჟკაცია, მე წამახდინოს, აპა ერთი, მე წამახდინოს!

— უიმე, რავა მოგვჭრა თავი ამ სასიკვდილემ, ჩამოდი, შე საშიწე, ჩამეეთრიე ძირს, თუ არა ამ ჯოხს გადაგამტვრევ, მამა ნუ წამიწყდება!

სოლომონმა ჭუკისფერი თავი ღვინით პირამდე გაპიპინებული ვერცხლის ჯამი ასწია, ფუძის ანგელოზი ადღეგრძელა, ხალხს მხნეობა და მომრავლება უსურვა, ერთხელ კიდევ მხურვალედ დაპირდა, სულ მალე მუხთალ მტერზე გასალაშქრებლად მოგიწოდებთ და აბა თქვენ იცოდეთ და თქვენმა ვაჟკაცობამო, გამოსცალა და სასმისი ძმას, გენათელ მიტროპოლიტ ბატონიშვილ იოსებს მიაწოდა.

— შეგარგოს, მეფეო! — გაისმა ხალხში.

— ღმერთმა და იესო მაცხოვარმა გიწინამძღვროს!

— ჯანის სიმრთელე მოგცეს!..

მეფის მხლებელი ჯარი სოფელს უკვე საკმაო მანძილით გასცდა, სანახევროდ წითელ-ყვითელ-მწვანე ფერებით აბრიალებულ ხეობაში ჩაიმალა, ხალხი კი იშლებოდა, უკეთესი მერმისის იმედით გაბრუებული იმავე ადგილზე იდგა და მოულოდნელი სამახსოვრო შეხვედრის წვრილმანებს იგონებდა, ერთიმეორეს უზიარებდა. სოფელს სამოვარზე გარეკილმა ნახირმა მოაკითხა. ზანზალაკების დინჯი ჟღარუნით პირუტყვი ატალახებულ შუკებს მოედო და ტკბილი ზმუილით ნაცნობ ჭიშკრებს მიადგა. სოფლის მკვიდრთ ამან-ღა მოაგონა, რომ ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, შუაზე გაწყვეტილი შინაური საქმე მათ უცდიდა და დალევრემილდალონიებულნი, საყოველთაო ზეიმი და მხიარულება რომ ასე მცირე ხანს გაგრძელდა, თავიანთი სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

## თავი მეათე

ეპისკოპოსი მაქსიმე ქუთათელი და თავადი დავით კვინიხიძე, მეფე სოლომონის ელჩები, გლოლის, მამისონის უღელტეხილისა და ალაგირის გზით ღვინობისთვის თერთმეტს მივიდნენ ოსურ სოფელ ჩერვლენს, სადაც ნეტარხსენებულ მეფე თეიმურაზის ამალაში ნამყოფი ეპისკოპოსი ზედმა ეს მეორედ

მოახვედრა, და აქედან, წესისამებრ, ნაცნობი ოსი გაუგზავნეს ყიზლარის ციხის კომენდანტ გენერალ-მაიორ ფონ ფრაუენდორფს, თავიანთი აქ მოსვლა შეატყობინეს და იმერთა მეფე სოლომონის წიგნის გადასაცემად ციხე-სიმაგრეში მიღება სთხოვეს. ოსი მხოლოდ მეხუთე დღეს დაბრუნდა და სოლომონის ელჩებს, რომელთაც თავიანთი ხელმწიფისაგან ყოველი წუთი დათვლილი ჰქონდათ, გზის გაგრძელების მოწყალე ნებართვის მაგიერ ერთობ არასასიამოვნო ამბავი მოუტანა: ფონ ფრაუენდორფი ამჟამად ციხე-სიმაგრეში არ იმყოფებოდა, ერთი კვირის წინ წასული იყო ასტრახანს, სადაც სამხედრო გენერალ-გუბერნატორ ნერონოვის რაღაც ბრძანებას ასრულებდა და უკან მხოლოდ სამიოდე კვირის შემდეგ ელოდნენ.

ელჩები ამ ამბავმა დიდად დააღონა და საგონებელში ჩააგდო. ორივეს ჩინებულად მოეხსენებოდა, რომ ფრაუენდორფის სათანადო ნებართვისა, ღიური ხარჯისა და კაზაკებისაგან შემდგარი მცველი რაზმის მიღების გარეშე ასტრახანისაკენ გზას ვერ გააგრძელებდნენ, ასტრახანის გენერალ-გუბერნატორის კარზე მიუსვლელად კი საქმიანი მოლაპარაკების დაწყებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

ვითომ კიდევ ეცადათ ბედი და ციხე-სიმაგრეში კომენდანტ ფონ ფრაუენდორფის მოადგილედ დატოვებული უფროსი ოფიცერი მოეკითხათ?

ოსმა რაღაც გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა, ბლაგვი სამართებლით დალოჯნილი ყბა მოიქექა და ყიზლარში განმეორებით წასვლაზე ეპისკოპოსს უარი ჰკადრა. მაქსიმემ საგზაო ანაფორის კალთა გადაიწია, ჯიბეზე გაიკრა ხელი. იცოდა, ათასი მიმსვლელ-მომსვლელის სამსახურში გაქსუებული ჩერჩეტი ოსები თეთრს გულგრილად ვერ უყურებდნენ. მის ნაცნობ ოსს უმალ შეეცვალა გუნება, გადაუდებელი საქმეც დაავიწყდა, წინანდებურად თავაზიანი და დამყოლი გახდა. დათქვეს, ეპისკოპოსს შეპირებული თანხა მაშინ გადაეხადა, როდესაც ოსი კომენდანტის მოადგილესთან შეხვედრას მოუწყობდა, მანამდე კი, გზის ხარჯების ასანაზღაურებლად, მხოლოდ ბე მიეცა.

სამ დღეს კიდევ დასჭირდათ ლოდინი. ოსი ხელცარიელი დაბრუნდა, ოღონდ ელჩები დააიმედა, ორ-სამ დღეში ისევ წავალ და ფრაუენდორფის მოადგილეს უსიკვდილოდ ვნახავო.

გამოირკვა, რომ ციხე-სიმაგრეში ამჟამად არც კომენდანტის მოადგილე, ვინმე პოდპოლკოვნიკი რიაბოშაპკა იმყოფებოდა.

მაქსიმე დაეჭვდა, ვაითუ ეს ვერცხლისმოყვარე ქლესა ცრუობს, მეტი ფულის გამოძალვის იმედით აქ სულ ტყუილ-უბრალოდ გვაყურყუტებს და ოქროდ საღირალ დროს გვაკარგვინებსო.

ეს ეჭვი არ გამართლდა. სამი დღის შემდეგ ოსმა ცხენი შეკაზმა და ათიოდე ყონაღის თანხლებით ისევ გაუდგა ყიზლარის ციხე-სიმაგრის გზას. ამჯერად მალე მობრუნდა. პოდპოლკოვნიკი რიაბოშაპკა პირადად ენახა და მისი დანაბარები პასუხიც მოიტანა: ქართველებს, როგორ არა, მშვენივრად ვიცნობ, ქრისტიანები არიან, მაგათი საეკლესიო ღვინის გემო, პრინცმა თეიმურაზმა რომ მოგვართვა, ახლაც პირში მიდგას, გულით მწადია, რითიმე დახმარება აღმოვუჩინო, მაგრამ პატარა კაცი ვარ, ვიდრე მისი აღმატებულება ბატონი გენერალი ასტრახანიდან არ მობრუნდება და არ მიბრძანებს, არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო.

მაქსიმე ქუთათელმა და დავით კვინიხიძემ, ჯმუხმა, ტანთან შედარებით მოკლე, ბოჯინჯგალა ფეხებზე შემდგარმა, ძვალმსხვილმა, შავთვალწარბა კაცმა, ერთმანეთს შეხედეს და გულში იმედი გადაეწურათ. ციხე-სიმაგრეში წლობით უსაქმო გდებისაგან გალოთებული ოფიცერი ქრთამად სასმელს, ქართულ ღვინოს, ითხოვდა, რომელსაც რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში მხოლოდ ზიარებისას ხმარობდნენ

და რით დათრობაც წარმოდგენითაც ვერავის წარმოედგინა.

ოსმა სამსახურის ფასს აუწია. გამყოლებმა გამატყავეს, ორჯერ იმაზე მეტს მახდევინებენ, ვიდრე ადრე ვიღლევდი და თუ გასამრჯელო არ მომიმატეთ, ადგილიდან ფეხის მომცვლელი არა ვარო.

გზა მართლაც ძნელი და საშიში იყო. ყველგან მთიელთა მოდგმის აბრაგები დაძრწოდნენ, გამვლელ-გამომვლელს ძარცვავდნენ და ვინც წინააღმდეგობის გაწევას გაუბედავდა, იქავე უწყალოდ ხოცავდნენ, ანდა ტყვედ მიჰყავდათ ყირიმის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად. ამას ზედ ერთვოდა ყირიმის ხანის მიერ საგანგებოდ დაქირავებული რაზმების განუწყვეტელი თარეშიც, რომლებსაც რუსეთ-საქართველოს გზების ჩაკეტვა და ჩახერგვა ჰქონდათ დავალებული. ოსმალები ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრის აშენებას თავიანთ შინაურ საქმეებში ჩარევად თვლიდნენ, კავკასიის მაჰმადიან მთიელ ტომებს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და იარაღ-საჭურვლითაც ხელს უწყობდნენ. ოსმალო დიპლომატები ციხე-სიმაგრის დაუყოვნებლივ დანგრევას და იმპერიის სანაპირო ხაზის უკან, ყალმუხეთის ველებში გადატანას მოითხოვდნენ. რუსეთი ყურს არ იბერტყავდა, სანაპირო ხაზს დღითიდღე კიდევ უფრო ამაგრებდა და ყირიმის ხანის მოთარეშე რაზმების ასალაგმავად ქვეყნის შიგა გუბერნიებიდან ჯარები გადმოჰყავდა.

— რუსები ჩვენებს არ ესმიან, — დამტვრეული რუსულით თქვა ოსმა, — მარტო თავს იცავენ, ხელში ჩაგდებულ ტყვეებს ათავისუფლებენ, პირობას ართმევენ, მეორედ აღარ ჩაგვიგდებდეთო და ყირიმის ხანს მუქარას ეთვლიან, უკან გაიწვიე ეგ დაქირავებული ყაზახები, თუ არა შენს სიხარბესა და ავკაცობას მის უმაღლესობა სულთანს ვაცნობებთო.

ეს, რასაკვირველია, დიპლომატიური ფანდი იყო. ზემოდან მიღებული ბრძანების თანახმად, მოთარეშე ბრბოების პარპაშს რუსები ვითომ ყირიმის ხანის კერძო გამოხდომად თვლიდნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ, თავიანთი საპასუხო გამოსვლებით პორტასთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინათ.

მაქსიმე ქუთათელი კვინიხიძეს მოეთათბირა და ოსისათვის დანატოვებით მისაცემი თეთრი გადათვალა. ფული ისედაც ცოტა ჰქონდათ. აქეთობას ბლომად დაეხარჯათ და ბინის ქირასაც მამასისხლად ახდევინებდნენ. თუ რუსი ხელისუფალნი ხელმომჭირნეობას გამოიჩენდნენ და რუსეთის მიწა-წყალზე მათ ხელმწიფის ხაზინის ხარჯზე არ ამგზავრებდნენ, ელჩებს არამცთუ მოსკოვამდე ან სანკტ-პეტერბურგამდე მიღწევა, უკან დაბრუნებაც კი გაუჭირდებოდათ.

ოსი ხელდამშვენებული გაემგზავრა. სწორედ იმ დღეს მოვიდა კაკილ სოლომონისაგან და ჩერვლენში ღამის გასათევად გაჩერდა. „ვინ უნდა იყოს?" — თავის თავს ჰკითხა ეპისკოპოსმა, როცა მისი მოსვლა აუწყეს და ძილად მივარდნილი კვინიხიძე გააღვიძა. რამდენიმე წუთის შემდეგ კირით შეფეთქილ პაწაწინა ოთახში, სადაც ელჩები ღამეს ათევდნენ, მეფის მელქისედეთუხუცესი, აზნაური სულთამ ავალიანი შემოვიდა. ავალიანი მაქსიმეს ჭარციხის სასახლიდანვე ახსოვდა, სადაც ის შეცდომით ლევან აბაშიძის საქმის გამო შეიპყრეს და ისევ მალე გაათავისუფლეს. ჯვარი გადასწერა, მშვიდობა შენს მობრძანებასო, როგორც ახლობელი, გულში ჩაიკრა, გვერდით მოისვა და იმერეთის ამბები წვრილად გამოჰკითხა.

— მეფე ჭალის მთაში ბრძანდება, — თქვა სულთამ ავალიანმა. — დედოფალი მარიამი და ბატონიშვილებიც, მცირედი ამალით, თან ახლავს. კვერეთში კიდევ შეიძლებოდა გაჩერება და თავის შენახვა, მაგრამ ბატონმა არ ქნა: ჯობს, ჭალის მთაში ავიდეთ, იქიდან რუსხელმწიფეც უფრო ახლოა და მეფე ერეკლეცო.

— სხვა?

— სამცხიდან თეიმურაზს ახალი ჯარი მოუვიდა. ათას ხუთას კაცს ამბობენ. ვაჟე იმერეთში ქრისტეს ტირილია. დიდძალ ტყვეს უყრიან თავს ყულევის გზით ტრაპიზონში გასაგზავნად. მარტო ოდიშის ბატონ კაცია დადიანს ექვსი ათასი წყვილი ქალ-ვაჟი შეაწერეს. ამის ნახევარი გურიელმა მამიამ უნდა მოიყვანოს და ფოთის ციხისთავს ჩააბაროს. ხონთქარიც და დიდი ვეზირიც ერთობ განრისხებული ყოფილან. თეიმურაზისაგან მეტს მოელოდნენ. რა ხანია ტახტზე ზის და ჩვენ მისი შაურიც არ ვიცითო, სოლომონი გიაური იყო, მაგრამ ნაკისრ გადასახადებს მაინც იხდიდაო. ვინ იცის, მართლა ასეა? ამბობენ, მაჰმადიანი ბატონიშვილის იმერეთის ტახტზე აყვანას კონსტანტინოპოლში შეცდომად თვლიან, რადგან გათათრებულ ბატონიშვილს ქრისტესმოსავი ერი პირველივე დღიდან განზე გაუდგა, და რაკი ეს ჰასან-ფაშას დაჟინებული მეცადინეობით გაკეთდა, მასაც ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. შეიძლება, ახალციხეში აღარც კი გააჩერონ, თუ ხონთქრის რისხვას გადაურჩა, სადმე სხვაგან გაგზავნონო.

— ბიჭოს! — შესძახა ქუთათელმა და ძილით თვალებდასიებულ კვინიხიძეს გადახედა. — ეგ მართლა საგულისხმო ამბები მოგვიტანე, ბატონო სულთამ, მაგრამ საიდან შეიტყვეთ ასე დაწვრილებით?

— არ ამხელს ბატონი მეფე, თქვენო მეუფებავ, ისე კი ამბობენ, ამბები ვაჭარ ისაკა თეთრუაშვილის მოტანილი უნდა იყოსო. თეთრუაშვილმა მეფე კვერეთში ინახულა და ვგონებ ცოტაოდენი ფულიც დაუტოვა სესხად.

— ეგ კარგი ნიშანია, ბატონო სულთამ, იცოდე, ისაკა თეთრუაშვილს არაფერი შეეშლება და არც წვითა და დაგვით ნაშოვნ ფულს გაიტანს ქარს. ღმერთმა დიდი დღე მისცეს, თუ მეფის ასე ერთგულია და მის სამსახურს არც ახლა გაურბის. მაშ, შენი ნაბოძებიდან, ბატონო სულთამ, მე ის აზრი გამოვიტანე, რომ, თუ ჰკუით მოვიქცევით, შესაძლოა, სულთანმა სოლომონზე გული მოიბრუნოს, უვარგის გამგედ შერაცხული თეიმურაზი კონსტანტინოპოლში დაიბაროს და იმერეთის ტახტი ისევ სოლომონს მისცეს?

— ნუ დაგვავიწყდება, რომ არც თეიმურაზს ძინავს, თქვენო მეუფებავ. უჭკუო და სხვისი ხელით სათრევი როდია. არ იზამს ისე, რომ საქმე მადამდე მიუშვას. რკინის მკვნეტელა სიმამრი და ცოლისძმები გვერდში უდგანან. დიდი დედოფალი თამარიც მხარს უმაგრებს. ნეტავი რას გამოელის ამის სანაცვლოდ! მომხრე და ხელისშემწყობი, ჩვენდა სათავცემოდ, სხვაც ბევრი გამოუჩნდა. ყველაფერს იღონებს, ყველაფერს, თუნდა ყოველ ხესა და ჩირგვს ალყას შემოარტყამს, ოღონდ შეპირებული გოგო-ბიჭები დათქმულ დროზე თათარს მიაწოდოს, წირვა-ლოცვა მოგვიშალოს, ეკლესია-მონასტრები მეჩეთებად გადააკეთოს და ხონთქარს ერთგულება დაუმტკიცოს! ახლა ასეც დაირხა ხმა: თუ გახიზნული ხალხი ტყიდან არ გამოვა, მორჩილებას არ გამოაცხადებს და მეურნეობას ხელს არ მოკიდებს, ფაშა არზრუმელ სომხებს გადმოასახლებს, ვისაც უფრო ეიმედება, და მათ კარმიდამოზე უსასყიდლოდ დაამკვიდრებსო. ხალხი შიშობს, თქვენო მეუფებავ, ორწყალშუა არის მოქცეული. სახიზარში წაძღვანილი ლუკმა რომდემდე ეყოფა? გაის წვრილშვილი რით გამოკვებოს? ბევრი თავისი ნებით გამოდის სახიზრებიდან და თვეობით მიტოვებულ, გაპარტახებულ სახლკარს უბრუნდება. რაც მომივა, ისევ აქ მომივიდესო.

— ეს ყველაფერი თეიმურაზის წისქვილზე ასხამს წყალს, — ფიქრიანად თქვა მაქსიმე ქუთათელმა. — სული მწარეა. ვერც მაგ უბედურებს გაამტყუნებ. ქართლიდან რა ისმის? ჩვენი კეთილისმყოფელი მეფე ერეკლე ხომ არაფერს იტყობინება?

— ბატონიშვილი არჩილი მიბრუნდა ენკენისთვის დამლევს და მეფეს პა-

რდაპირ ბანაკში ეახლა. შეთქმულების საქმე, ღვთის შეწევნით, ერეკლეს გამარჯვებით დაგვირგვინდა. პაატა ბატონიშვილს თავი გააგდებინა ხმლით ჯალათმა. მისი მომხრეები, შეთქმულების მონაწილენი, ზოგი დაამდაბლეს, ზოგი, თქვენს მეუფეობასთან ბოდიში და, ვირზე უკუღმა შესვეს და ქუჩა-ქუჩა ჩამოატარეს, ზოგს ყმა-მამული ჩამოართვეს და ზოგი სულ გადენეს ქვეყნიდან!

— დიდი სისასტიკე ჩაუდენია მის უმაღლესობას, — მოწმეებს არ მოერიდა და თავისი პირუთვნელი აზრი ეპისკოპოსმა მაქსიმე ქუთათელმა დაუფარავად გამოთქვა. — არ მეგონა, მართალი მოგახსენოთ, თუ შეთქმულთა ბანაკს ერეკლე ასე ულმობლად გაუსწორდებოდა!

— შეთქმულების საქმე სახელმწიფო დარბაზმა გაარჩია, თქვენო მეუფებავ, მსჯავრიც იმან დასდო. მეფე იქ მხოლოდ მომჩივანად გამოდიოდა.

— ღმერთმა მშვიდობა მიცეთ, ბატონო სულთამ, ისე კი, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, დარბაზი ერთი კი არა, დრო გაარჩევს და ვაითუ იმ მოუსყიდველმა მსაჯულმა ჩვენ გაგვამტყუნოს და სხვა გაამართლოს! ბატონიშვილისაგან წიგნი გექნება, რატომ არ მაძლევ?

— სიტყვის შეწყვეტინება ვერ შემოგკადრე, თქვენო მეუფებავ, — თქვა ავალიანმა, შინდისფერი ახალუხის საკინძე გაიხსნა, უბეში ხელი ღრმად ჩაიყო და ორი დალუქული პაკეტი ამოიღო. — ეს მეორე აშტრახანის გენერალ-გუბერნატორ ნერონოვის სახელზე გახლავთ. თქვენ რომ არ მოგწერდით, მე პირადად უნდა მიმერთმია...

ეპისკოპოსმა პაკეტს ბეჭდიანი ლუქი ააგლიჯა, თვით მეფის ხელით შედგენილი მოგრძო ნუსხა ამოიღო და კითხვას შეუდგა.

— უკან გაბრუნებას როდისთვის აპირებ? — დავით კვინიხიძემ დრო იხელთა, ჩაახველა, მეფის წიგნის კითხვაში გართულ ქუთათელისათვის ხელი რომ არ შეეშალა, ავალიანისაკენ გადაიხარა და ჩურჩულით ჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთამმა ჩურჩულითვე უპასუხა, ოღონდ ისე, რომ ორივეს გაეგონა:

— მე დღესავე გავბრუნდები, ბატონო დავით, თუ პატივს დამდებთ და საიმედო პასუხს გამატანთ. მეფე მოუთმენლად ელის თქვენს პასუხს. დღე ისე არ გავა, ორჯერ მაინც არ იკითხოს, ქუთათელი და კვინიხიძე ხომ არაფერს იტყობინებიანო. თქვენს ამბავს რომ ასე ძალიან შეაგვიანდა, მიმიხმეს და მეც აქეთ გამომგზავნეს.

— ხალხი ბევრი გახლავს?

— აქ, ჩერვლენში, ექვსი კაცით მოვედი. დანარჩენები ალაგირში დამატოვებინეს. ფული აღარ მეყო. თითო კაცის თავზე ქრთამად თითო ძროხის ფასს ითხოვენ. ჯავრით აღარა ვარ. ვაითუ იმ ხალხს რაიმე მომიწიონ. გზა აბრაგებით არის სავსე. ვისაც ხედავ, ყველა მკვლელი და აბრაგია. მე შენ გეტყვი, ვინმე გამოგესარჩლება, ვინმეს სინდისი შეაწუხებს!..

— შეიტყობდი: დღეს მეოთხედ ვაახლეთ კაცი ყიზლარის ციხისთავს. მიღებას ვევედრებით. ღვინო შემოგვითვალეს. ცოტაოდენი აქამდე მოგვყვა და გავუგზავნეთ. თუ ახლაც უარი მოგვივიდა და ციხეში შესვლის ნება არ დაგვრთეს, არ ვიცი, მისი მეუფება რა აზრის ბრძანდება, მაგრამ მე, ჩემდათავად, აქ ველარ გავჩერდები. ხომ უნდა ჩავხვდეთ, ბოლოსდაბოლოს, რომ ძაღლად არავინ გვაგდებს და ჩვენთან ლაპარაკიც არავის უნდა?

ეპისკოპოსს წიგნის კითხვა დაემთავრებინა და ახლა ხელმეორედ კითხულობდა, მაგრამ ყური აქეთ ჰქონდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მიხვდა, დამამცირებელი ლოდინით თავმობეზრებული ამაყი კვინიხაძე ამას მე მიარაკებსო და კითხვას თავი ანება, თანამემამულეებს მოუბრუნდა.

—თქვენგან მიკვირის სწორედ, ბატონო დავით, ისე ბრძანებთ, თითქოს გაგვაჩნდეს სხვა გზა და მე მაინცდამაინც ჩემსას ვიჩემებდე, იმ ლოთი პოლკოვნიკის

ნახვის სურვილით ვიკლავდე თავს. მიჩვენეთ სხვა გზა და მე ჰჩედ გახლავართ, თქვენს რჩევას უყოყმანოდ დავემორჩილო, — ქუთათელმა სოლომონის ხელრთვით დამოწმებულ ნუსხას დახედა და ჰაერშიააფრიალა — აგერ ჩვენი ბატონი მეფე მეტს კი არაფერს გვეხვეწება და გვემუდარება. არაჩც და არამც უკან ხელცარიელი არ მობრუნდეთო, ქვა გააპეთ და როგორმე მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს ყურამდე ჩვენი უსასოო მდგომარეობის ამბავი მიიტანეთ და როცა ყველაფერი დაწვრილებით ეცოდინება, არ შეიძლება, დოიებით თავშესაფარი არ გვიბოძოს, რათა ჩვენს მტრებს ჩვენვე მოვუტრიალდეთ და ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდნილი ქვეყანა გამოვიხსნათო. დავბრუნდეთ, კი ბატონო, მე რა მაქვს საწინააღმდეგო, თუ ასე თვლით საჭიროდ, მაგრამ ჩვენს იმედზე მყოფ მეფეს რა პასუხი მივცეთ? არად ჩაგდება ველარ ავიტანეთ და უკან გამოვიქეცით-თქვა? აგერ მესამე დარბაისელია ჩვენს შორის, ბატონი სულთამი, და ამან გაგვასამართლოს!

— მე მაგას არ მოგახსენებ, თქვენო მეუფებავ, უკან გავბრუნდეთ-თქვა, — დაასწრო ავალიანს და ხმა აიმაღლა ეპისკოპოსის საბუთიანი მსჯელობით განიარაღებულმა კვინიხიძემ. — ეგ ხომ საქმის ღალატი იქნებოდა ჩვენის მხრივ! გულისწყრომა გამოვთქვი და ბოდიშს ვიხდი. გადამელია გული ლოდინში. უსაქმობა, შერცხვენილი კაცი დამიძახეთ, თუ არა, ყელში ამომიკიდა. მივლევ თავს, წავთვლემ, გამოვიღვიძებ, თვალს გავახელ, ვხედავ, არაფერია და ისევ ძილად მივეგდები! რა ვაქეთო მეტი! რომდემდე შეიძლება აქ ყურყუტი?

მაქსიმე ქუთათელმა მშვიდად უპასუხა:

— მანამდე, ჩემო შვილო, სანამ ჩვენთვის საჭირო პასუხი არ მოვა და კურთხეული ჩვენი მეფის ბრძანებას პირნათლად არ აღვასრულებთ!

ღამით საშინელი სიცივე დაიჭირა. დილას რომ წამოდგნენ და პირის დასაბანად ღელეზე გამოვიდნენ, [illegible] მთები ჩამოთოვილი იყო.

სულთამ ავალიანს მოუსვენრობა დაეუფლა. ალაგირში უპატრონოდ დატოვებული თავისიანების ჯავრი აწუხებდა. უფრო კი იმის ფიქრი ჰქონდა, ვაითუ ზვავებმა გზა შეგვიკრან და გამოზაფხულამდე აქ დარჩენა მოგვიწიოსო.

ქუთათელმა დაამედა. მისი აზრით, არ შეიძლებოდა, ამ კვირაში რაიმე არ შეეტყოთ და პირველივე სანუგეშო ცნობის მიღებისთანავე მის ხალხთან ერთად სამშობლოში გასტუმრებას ჰპირდებოდა.

კიდევ ერთი კვირის ამაო ლოდინმა ელჩები დაარწმუნა, რომ პოდპოლკოვნიკ რიაბოშაპკას მოსანახულებლად გაგზავნილ ოსს ან გზაში რაღაც ფათერაკი შეემთხვა, ანდა მათთან შემდგომ შეხვედრას თავს რატომღაც არიდებდა. გაიკითხ-გამოიკითხეს, შინაც მიადგნენ, მაგრამ ოსის მნახველი ან მისი ამბის მცოდნე ვერავინ იპოვნეს.

— თუ ნებას დამრთავთ, მე დავწინაურდები, თქვენო მეუფებავ, — მიმართა ქუთათელს დავით კვინიხიძეზე არანაკლებ გულაღრენილმა სულთამ ავალიანმა. — ისე რავა წავხდები, რომ ციხის კარი ვერ გავაღებინო. ხვალ ამ დროს ისევე აქ ვიქნები!

ეპისკოპოსი დაეთანხმა.

— ვატყობ, აგრე აჯობებს, ბატონო სულთამ, რაკი იმ ღვთის მგმობელმა სვინდისზე ხელი აიღო და მოგვატყუა. ნეტავი თავსავე აგრე გვექნა, ვინმე ჩვენიანი გაგვეგზავნა, მაგრამ მოვერიდე, ვაითუ გვიწყინონ-თქვა.

ეს მთლად ასე არ იყო. ეპისკოპოსს გადაწყვეტილი ჰქონდა, კაცის გაგზავნით და წინასწარი შეტყობინებით, ესა და ეს პირნი ციხე-სიმაგრეს უახლოვდებით და ჩვენი მეფე სოლომონის სახელით კომენდანტ ფონ ფრაუენდორფის პირადად მონახულების დიდი მოწადინე ვართო, მეციხოვნეთა ყურადღება მიეპყრო და მათი მოლოდინიც თავისი საქმის სასარგებლოდ გამოეყენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა. ნაცნობი ოსის გადაკარგვამ და გენერალ ფრაუენდორფის ყიზლარში არყოფნამ ეს წინასწარ დაწყობილი გეგმა ჩაშალა და ახლა მაქსიმე იძულებული ხდებოდა მცირედით დაკმაყოფილებულიყო.

საღამოს კვინიხიძემ და ავალიანმა სოფელში ქართულის გვარიანად მცოდნე სომეხი მედუქნე აღმოაჩინეს, რომელსაც რუსულიც ასევე ემარჯვებოდა, და თავიანთი გაჭირვება შესჩივლეს. სომეხი აღაშფოთა უგზოუკვლოდ დაკარგული ოსის საქციელმა, საყვედური გამოთქვა, რატომ მოსვლისთანავე მე არ მომმართეთო, დუქანს დარაბები ჩამოაფარა, ურდული გაუყარა და მეორე დღესვე ავალიანსა და მის ექვს მხლებელს ყიზლარში დაუზარებლად გაჰყვა.

ფრაუენდორფი ახალი მობრუნებული იყო ასტრახანიდან. ყირიმის ხანთან ურთიერთობის გართულების გამო, რაც ოსმალეთთან ომს გარდაუვალს ხდიდა, მას ახალი საზრუნავი გასჩენოდა და სათხოვარზე მოსული ქართველები, იმერლები, როგორც მას მოახსენეს, საღამომდე ალოდინა და მხოლოდ ვახშმის წინ მიიღო. მანამდე თავისი ძველი ნაცნობი სომეხი ვაჭარი დაიბარა და სოლომონ მეფის ელჩების მოსვლის მიზანი გამოჰკითხა. ციხეში თქვენი მიღების უფლება არა მაქვს, სანამ ჩემი უშუალო უფროსების წერილობითი განკარგულება არ მომივაო, განუცხადა მან ჯერ თარჯიმნად მოწვეულ სომეხ ვაჭარს, ხოლო შემდეგ თვით ავალიანს, გენერალ-გუბერნატორს კაცს გავუგზავნი ასტრახანში და თქვენს ამბავს ვაცნობებ, თუ წერილები გაქვთ რაიმე პრინც სოლომონისაგან, ისინიც მე გადმომეცით გენერალ-გუბერნატორთან გადასაგზავნად, თქვენ კი მანამდე ჩანდ, ჩერვლენში მოიცადეთო.

კვინიხიძე ისევ აენთო. პირზე უწმაწური სიტყვა მოადგა. ეს, რაც ელჩებს სომხისა და ავალიანის პირით ფონ ფრაუენდორფმა შემოუთვალა, ბევრ განსჯა-გამოძიებას არ საჭიროებდა. გენერალი იმერთა მეფის წარმოგზავნილებისაგან თავს შორს იჭერდა და ამას, რაღა თქმა უნდა, ზემდგომი უფროსების ნებასურვილისამებრ აკეთებდა.

— ახლაც აღარ დამიჯერებთ, თქვენო მეუფებავ? ახლაც ბრძანებთ, რომ მაგ სკვითებისაგან რაიმე საკეთილო გამოდნება?

თავად კვინიხიძესთან შედარებით, ქუთათელი ეპისკოპოსი ბევრად უფრო კერპი, მომთმენი და გაუტეხელი აღმოჩნდა. მან ტყეში გახიზნული თავისი მეფის სახელზე სახელდახელო წიგნი შეადგინა, თავს გადანახედი ყველა გაჭირვება შიგ კეთილსინდისიერად მოიხსენია, და ბოლოს იმედიც გამოთქვა, გულს ნუ გავიტეხთ, წყალს ნაადრევად ნუ გადავწურავთ, ვინაიდან მაღალი ღმერთი მის მხურვალე მავედრებელთ უნუგეშოდ არ დაგვტოვებსო, წიგნი სულთამ ავალიანს გადასცა და დაპირებისამებრ გზა დაულოცა, ხოლო თვით ყიზლარში გასამგზავრებლად შეემზადა. რა გულქვა და მიუკარებელიც არ უნდა ყოფილიყო, იმ ვიღაც ფრაუენდორფს არ შეიძლებოდა, კეთილი არ ენება და ციხის კარის გაღების ბრძანება არ გაეცა, როდესაც თვით მღვდელმთავარი ელჩის მობრძანების ამბავს შეიტყობდა. მაქსიმე, მართალია, ფიქრობდა, რომ ციხე-სიმაგრეში ელჩებისათვის განკუთვნილი პატივით მიიღებდნენ, რის შემდეგაც საქმეც თავისთავად აეწყობოდა, მაგრამ ამჯერად ამის იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონოდა.

მღვდელმთავრის ვარაუდი სწორი გამოდგა: ციხეს თოფის სასროლ მანძილზე რომ მიუახლოვდნენ, კომენდანტი თვით გამობრძანდა ელჩის შესახვედრად, ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვა, ჯერ ჯვარზე, მერე კი ხელზე მედიდურად, უხეიროდ შენიღბული ზიზღით ეამბორა და მაქსიმესათვის ძნელად გასაგები რუსულით რაღაც წაიბუტბუტა.

ფონ ფრაუენდორფი, ისევე როგორც რუსეთის ბევრი სხვა სახელმწიფო მოხელე და სამხედრო პირი, უცხოელი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ თავის ამ ახალ სამშობლოში საცოცხლის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი წილი გაეტარებინა, რიგიანი რუსული მაინც ვერ ესწავლა, საკუთარი დედაენაც სანახევროდ დავიწყებოდა და რაღაც უცნაურ გერმანულ-რუსულ ნარევზე მეტყველებდა.

— მისი აღმატებულება გენერალი აგრე მოგახსენებს, ბოდიშს გიხდით რომ, ჩერვლენში ამტოლ ხანს გალოდინეთო, — უთარგმნა ეპისკოპოსს სომეხმა. — მის აღმატებულებას მითამ არა სცოდნია, რომ ელჩად ისა, ასე დიდი პატივსაცემი რაღა ბატონი გამოგზავნეს!

— გთხოვთ მადლობა მოახსენოთ მის აღმატებულებას ჩვენი უმნიშვნელო პიროვნების კეთილად მოხსენიებისათვის, — ქართულად თქვა მაქსიმემ და დაუცადა, სანამ სომეხი თარგმნიდა. — ვიმედოვნებ, რომ ყველა გაუგებრობა, რომელიც ჩვენს შორის წარმოიშვა, ამიერიდან გაიფანტება და ჩვენ საერთო ენას გამოვნახავთ!

გენერალმა კიდევ წაიბუტბუტა რაღაც მხოლოდ სომხისათვის გასაგებ ენაზე, მაგრამ ეს თარჯიმანს აღარ უთარგმნია, შავ-თეთრი ირიბი ზოლებით აჭრელებულ ბოძთან გაჭიმულ სალდათს, რომელსაც აქეთობასაც უთუოდ გამოუარა, ხელის აქნევით მხედრულად მიესალმა და ჯავრით გასიებული მოუპატიჟებელ სტუმრებს ციხეში შეუძღვა.

ქუთათელს საცხოვრებლად იგივე ნესტიანი და ნახევრად ბნელი სენაკი ერგო, რომელშიაც სულგანათლებული მეფე თეიმურაზის აქ ყოფნის დროს, 1760 წელს იდგა. მოხუცმა ღენშჩიკმა კოზმა დიაკონოვმა იცნო, გახარებულმა დაიჩოქა, ეს ვინ მოგვივლინა მადლმა ღმერთმაო, რუსული წესის მებრ მიწას სამგზის შუბლით შეეხო, მერე მუხლებზე წამოიმართა და, როგორც ჭეშმარიტ ღვთისმოსავს შეჰფერის, პირჯვარიც სამგზის გადაისახა.

— გამარჯობა, შვილო კოზმა, — მიესალმა ეპისკოპოსი და მარჯვენა ხელი, რომელზედაც ჯერ კიდევ გრძნობდა გენერლის სველ, ფუმფულა ტუჩებს, საკოცნელად დაანება. — შენ ისევ აქა ხარ? ყავლი არ გაგივიდა?

— აქა ვარ, მამაო, ბერიკაცი სად-ღა წავიდე. ორმოცდაათი წელიწადი ხელმწიფისთვის პატიოსნად მემსახურია. ახლა კარზე ვის მივადგე, ვის რაღაში ვარგივარ? აღარ მეგონა, თქვენო ბრწყინვალებავ, თუ კიდევ გნახავდი. თქვენს ამბავს ყველას ვეკითხებოდი. და აი, ღმერთმა ინება, ისევ მობრძანდით!

— ხომ არ გინდა, საქართველოში წაგიყვანო?

— ეჰ, თქვენო ბრწყინვალებავ, იქ თქვენისთანა დიდებული კაცებიც ვერ პოულობენ ადგილს, საწყალ ბებერ კოზმას ვინ მოაწვენებს, ან მომკლავენ ან ტყვედ გამყიდიან!

— შენც მართალი ხარ, ჩემო კოზმა, ჩვენს სამშობლო ქვეყანაში თავიდაც არ დაგვედგომება. ურჯულო თათარმა მამა-პაპის ნაშენები ბუდე აგვიწერია, დიდი რუსხელმწიფის მოწყალე მფარველობის მონატრული შევიქენით!

— ღმერთი შეგეწიოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — ათას ოსში ნაგვემნაჩეხმა მოხუცებულმა ჯარისკაცმა ისევ დაიწერა პირჯვარი და თანაგრძნობის წრფელი ცრემლებით ავსებული ცისფერი თვალები სამშობლოს ბედის საძიებლად გადმოხვეწილ ბერს მიაპყრო. — თუკი რამეს შევიძლებ, ნუ დამზოგავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ბრწყინვალების გულისათვის, მიბრძანეთ და, ცეცხლში ჩავდგები!

— რა მეთქმის მადლობის მეტი, შვილო კოზმა, მაგრამ ვაითუ უფროსებს არ მოეწონოთ ეგ შენი ქრისტიანული გულმოდგინება და ჩემს გამო რაიმე წყენა შეგხვდეს?

— ჩემი ულირსი თავი თქვენი ბრწყინვალების ჭირის სანაცვლო იყოს! ვის რას ვუშავებ? კაცურმა კაცმა, ღვთის აღმსარებელმა, ქვეყანაზე სიკეთე უნდა დათესოს. თავად ღმერთი ამას გვიკარნახებს. ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას! ნეტავი კი, თქვენო

ბრწყინვალების კარგად ყოფნით, რამე შემეძლოს!..

ყმაგლეხობიდან გამოსული სალდათის კვალობაზე კოზმა დიაკონოვი მეტად ცნობისმოყვარე, ცოდნას მოწყურებული და გონებაგახსნილი კაცი იყო. გამუდმებით უფროსებთან ნამსახური და ციხქვეშ აღმა-დაღმა ნაწოწიალევს ბევრი რამ გაეგონა, ბევრი ავისა და კარგის, სამართლიანობისა და უსამართლობის მოწმე გამხდარიყო, ბევრი რამ გონების სასწორზე აეწონ-დაეწონა და ამის საფუძველზე საკუთარი რწმენა და შეხედულებებიც გამოემუშავებინა.

კოზმასათვის რომ გეკითხათ, ეს სააქაო ქვეყანა რუსებისა და მუსულმანებისაგან, ურჯულოებისა და მართლმორწმუნე ქრისტიანებისაგან შესდგებოდა და გულწრფელად უკვირდა, როცა იმავე ქვეყანას ზოგჯერ გონების მიერ წინასწარ შეკრულ ამ ჩარჩოში ვერ ათავსებდა. იყვნენ მართლმორწმუნე ქრისტიანები, რომლებიც გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, რუსულად ენასაც ვერ დაასველებდნენ, და იყვნენ ისეთი მუსურმანებიც, ურჯულონი, რომლებიც უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის მზეს იფიცავდნენ, თავისავით ურჯულოებს კი კრიჭაში უდგნენ და გასაქანს არ აძლევდნენ.

კოზმა დიაკონოვის აზრით, ღვთისაგან გაჩენილ სააქაო ქვეყანას მოწესრიგება სჭირდებოდა და ვის უნდა ეკისრა ეს საღვთო საქმე, თუ არა დიდი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს და ღმერთის ენაზე მეტყველ მის ჭეშმარიტად მორწმუნე ქვეშევრდომთ, ერთი სიტყვით, დედა-რუსეთს!

თვით კოზმა მზად იყო, საშვილიშვილო საქმეს მთლიად დასდებოდა, ბნელში მყოფთათვის თვალი აეხილა და სიკეთის გზა ესწავლებინა, ხოლო იმათ, ვინც ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და, მაშასადამე, დედა-რუსეთის მტრობის გზას იდგა, ტყვიით გასწორებოდა.

დიაკონოვის აზრებში ვერაფერს იპოვნიდით ყურით მოთრეულსა და მოყვასზე ძალმომრეობისათვის განზრახ გამოგონილს, პირიქით, მისი ეს აზრები კაცთმოყვარეობის დიად მიზნებს ემსახურებოდნენ და კაცთა შორის უანგარო ძმობას ქადაგებდნენ.

მაქსიმე ქუთათელი კანტიკუნტად იცნობდა თავისი ძველი ნაცნობის შეხედულებებს, მისი გულუბრყვილობა და უბირი გლეხის უწვრთნელი გონების გაუწაფაობა ღიმს ჰგვრიდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ჭეშმარიტად ღრმა ქრისტიანე კოზმა დიაკონოვი მოყვასის კეთილმოსურნე ადამიანი იყო და მის ახირებულ შეხედულებებს ვისთვისმე ზიანის მოტანა არ შეეძლოთ. მღვდელმთავრის შემწყნარებლობა დიაკონოვს საბაბს აძლევდა, მაქსიმე ქუთათელი თავის ნაფიც თანამოაზრედ ეცნო და მისდამი ღრმა პატივისცემაც ამის შეგნებაზე დაეფუძნებინა.

— როგორ ფიქრობ, კოზმა, გენერლის მიერ გაგზავნილი კაცი ასტრახანიდან მალე უნდა მობრუნდეს? — ჰკითხა ქუთათელმა დიაკონოვს, როცა ის დეკემბრის ერთ სუსხიან და ბურუსიან დღეს სენაკში შემოვიდა და ხელსახოცგადაფარებული ხონჩით საუზმე მოართვა.

— ყალმუხეთის ველებში, თქვენო ბრწყინვალებავ, ამ დროს საშინელი ქარბუქი იცის. სადგურებში დიდხანს ლოდინი გჭირდება. როდის ხეირიან ცხენებს გიშოვნიან, როდის რაზმი შედგება... ძალიან ჩქარობთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

— ეკლებზე ვზივარ!

— თუ არ იუკადრისებთ, მე გასწავლით ერთ უებარ ხერხს, რითაც შეიძლება თქვენი საქმე დააჩქაროთ!

— გვიქენი სიკეთე, კოზმა, ღვთის გულისათვის, თუკი რამე იცი ამისთანა!

— კომენდანტს უნდა გაუცხადოთ, რომ აზრი შეიცვალეთ, თქვენს მეფესთან აღარ აპირებთ დაბრუნებას და აქ, რუსეთში, სამუდამოდ გსურთ დარჩენა!

— სუ, რას ამბობ, კოზმა, სული წავიწყმიდო? მაგისთანა ტყუილს რა მათქმევინებს!

— თუ საქმეს ჭირდება, თქვენო

ბრწყინვალებავ? სამაგიეროდ, გენერალი სალდათებს გაგატანთ და ახლავე ასტრახანში გაგისტუმრებთ! ურიგო საქმე იქნება?

ეპისკოპოსს თანდათან ჭკუაში უჯდებოდა სალდათის რჩევა.

— შენ ფიქრობ, ეგ ხერხი გასჭრის? აი, თეთრი, წადი და ამ ფულით შენთვის თბილი წინდები იყიდე!

— გმადლობ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი წყალობა ღმერთმა ნუ მოგაკლოს! — კოზმა დიაკონოვმა დაიხრიქა და ქუთათელს ფული ისე გამოართვა. — ამ ფულით მართლა წინდებს ვიყიდი. ოსის ქალები ქსოვენ. ნამდვილი ლაზლია! გინდა ის ჩაგიცვამს და გინდა მდუღარეში გიტუცია ფეხი! ბოლო დროს ფეხები ნამეტურ მეყინება. სიბერის ნიშანია!..

## თავი მეთერთმეტე

იმერთა მეფის ელჩები და მათი მცირე ამალა თავზე სარჩენად დააწვნენ ყიზლარის მეციხოვნეთ. ფონ ფრაუენდორფმა ძველი დავთრები მოაქექინა, მოაძებნინა, იმერელ თუ ქართლ-კახელ ელჩთაგან სხვადასხვა დროს ვის რა დღიური ულუფა ჰქონდა დანიშნული და ახლანდელი ულუფაც იმის მიხედვით დააწესა. ზამთრის უგზოობა შიგა რუსეთიდან პროვიანტის შემოზიდვას აბრკოლებდა, მისი მარაგი კი ციხე-სიმაგრეში არცთუ ისე დიდი იყო და ადუღებულ წყალში ჩავარდნილი ყინულის ნატეხივით ილეოდა. საშობაო დღესასწაულების დადგომამდე კომენდანტმა ულუფის ერთი მესამედით შემცირება ბრძანა. სხვები რომ არ აეღაპარაკებინა, თავად ნახევარ ულუფაზე იჯდა და ხელქვეითებს თავშეკავებისა და ამტანობის მაგალითს აძლევდა.

შობის წინაღამეს სარდაფში შავი დღისათვის გადანახული სპირტი ჩამოარიგეს. დაღვრემილი მეციხოვნეები ამან ერთბაშად გამოაფხიზლა. ბევრმა ჯარისკაცურ სადღესასწაულო სუფრასაც ველარ მოუცადა და მაგარ სასმელს მონატრებულმა თავისი წილი წყალგარეული სპირტი იმავე ღამეს გამოყლურწა.

საშობაო წირვის შემდეგ, რომელიც ციხის ეკლესიაში გადაიხადეს, კომენდანტმა ფონ ფრაუენდორფმა გენერალ-გუბერნატორ ნერონოვის პასუხის მოლოდინით ქანცგამოლეული ქუთათელი ეპისკოპოსი მაქსიმე და თავადი დავით კვინიხიძე შინ, სუფრაზე მიიპატიჟა. მათ გარდა სუფრას წინადღეს ლაზათიანად გამომთვრალი და თავატკივებული პოდპოლკოვნიკი რიაბოშაპკა შემოუჯდა. მაქსიმე ქუთათელი სწორედ პოდპოლკოვნიკსა და გენერალს შორის მოხვდა. პოდპოლკოვნიკის მხრიდან ისე მძაფრად სცემდა სპირტისა და მჟავე კომბოსტოს შეზავებული სუნი, რომ ცოტა-ღა დააკლდა, მღვდელმთავარი არ წამოდგა და სულის მოსათქმელად გარეთ არ გავიდა.

საშობაო სუფრა ციხე-სიმაგრის მღვდელმა ნაჩქარევად აკურთხა და მთელი დღის უხემსური ტრაპეზსაც პირველი მისწვდა.

— ინებეთ! — სამხედრო ბრძანებებს შეჩვეული მკვეთრი ხმით თქვა გენერალმა. — ბევრი არაფერი გაგვაჩნია, მაგრამ, სამაგიეროდ, სპირტი რამდენიც გნებავთ! ამ პატარა სურებში წყალია. სპირტი გემოვნების მიხედვით ძეაზავეთ!

ქუთათელს მოეჩვენა, რომ მასპინძელმა ეს დაუპატიჟებლად შემოსულ რიაბოშაპკას მისამართით თქვა. ეტყობოდა, რაღაც საგულისხმო საქმის გამო მოსათათბირებელი ჰქონდა, ღოთი და ყბედი მოადგილის თანდასწრებით რისამე გამხელა არ უნდოდა და იმედს ისევ მის მალე დათრობაზე ამყარებდა.

— თქვენ ამათი საეკლესიო ღვინო დაგილევიათ, თქვენო ალმატებულებავ?

— მიმართა გენერალს რიაბოშაპკამ, რომელიც მშვენივრად გრძნობდა, რომ აქ სასურველი სტუმარი არ იყო, მაგრამ ამას ჩირადაც არ აგდებდა. — ჭეშმარიტად ღმერთების სასმელია!

— როგორ არა, — პირქუშად მიუგო გენერალმა. — ბევრჯერ დამილევია!

— მერე? მოგწონთ? — ისევ წუთს ხელახლა ჰკითხა რიაბოშაპკამ, აკანკალებული ხელით სპირტი დაისხა და შიგ სულ რამდენიმე წვეთი წყალი გაურია.

— არც მაინცდამაინც!

ძროხის ანალოკივით თმაგადაგლესილი შავანაფორიანი წითური მღვდელი გამალებული ჭამდა, დროდადრო საშოვარში შესული ზღარბის მსუნაგი თვალებით მიიხედ-მოიხედავდა, თითქოს ეშინია, ლუკმა არავინ წამართვასო და დაცარიელებულ თეფშს ისევ აივსებდა.

— არ მოგწონთ? — რიაბოშაპკა მაღალ წრეებში მიღებული მსუბუქი საუბრის გუნებაზე დამდგარიყო. — ნუთუ არ მოგწონთ, თქვენო აღმატებულებავ?

— ჭაჭას ვამჯობინებ! — განერალმა ისე მჭახედ ისროლა, თითქოს ხელი აიქნია აბეზარი ბუზის მოსაგერიებლადო.

— უფრო მალე გათრობთ და მუცელსაც ნაკლებად ბერავს, არა? — რიაბოშაპკას თვალები გაუბრწყინდა. — მიგიხვდით! სწორედ გულში მეჯექით და ჩემი სათქმელი ბრძანეთ, თქვენო აღმატებულებავ. ჭაჭას, უფრო კი სპირტს, რა შეედრება. იფ! დალევ და თვალებიდან ნაპერწკლები წამოგცვივდება. ასე გგონია, ელვა გადაყლაპე!..

სპირტის ეს თვისება რიაბოშაპკასათვის მალე დამღუპველი გამოდგა. ერთხანს კიდევ იქაქანა. არ უნდოდა, მაღალ წრეებში მიღებულ მსუბუქ ჩასლაათს ასე ნაადრევად გამოთხოვებოდა, მაგრამ სპირტმა მაინც თავისი გაიტანა და ის ერთბაშად მოწყდა, თავი იქვე, მაგიდაზე ჩამოუვარდა. გენერალმა კოზმა დიაკონოვს მოუხმო. მოხუცმა ჯარისკაცმა თავის მხრივ კიდევ ერთ ჯარისკაცს, ალბათ, კარს უკან დადარაჯებულ რიაბოშაპკას დენშჩიკს, დაუძახა და ფეხებგაჩაჩხული [illegible]ნიკი[illegible]რის ვაივაგლახით ორივემ [illegible] გაიყვანა.

— თქვენ კი სრულებით არავერს მიირთმევთ, — მიმართა გენერალმა ელჩიებს. — პოდპოლკოვნიკს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეს მისი ავადმყოფობაა. ცოტად თუ ბევრად ყველას გვჭირს ეს ავადმყოფობა. გამოფხიზლდება და ისევ ის კაცია, რაც იყო. სპირტის მიუღებლად ერთ დღესაც არ შეუძლია გაძლება. მიირთვით, მიირთვით, თითო სირჩა მაინც დალიეთ, გამიგონია, ქართველები მსმელი ხალხიაო.

სხვა გზა არ იყო, ეპისკოპოსმა წყალში გაზავებული სპირტით სავსე ვერცხლის სირჩა ასწია, სუფრის წევრთ ბედნიერი შობა-ახალწელიწადი მიულოცა, ოდნავ მოწრუპა და ისევ მაგიდაზე დადგა. სამაგიეროდ, კვინიხიძემ სპირტი უსიტყვოდ გადაჰკრა და მაშინვე წყალი მიაყოლა.

— მამა თევდორე ჩვენი კაცია და ამასთან დასამალი არაფერი მაქვს, — დაიწყო უცებ კომენდანტმა, როდესაც მეოთხე თუ მეხუთე სირჩა სულმოუთქმელად გამოსცალა და ჭარხალსავსე, ფუმფულა სახე ყინჟლლივით გაუხდა. — თუ თქვენ, რასაკვირველია, არაფერი გექნებათ, ბატონებო, საწინააღმდეგო!..

— არაფერი, როგორ გეკადრებათ, თქვენი სანდო კაცი ჩვენი სანდო კაცია! — შეაშველა მღვდელმთავარმა და სმენად გადაიქცა.

— თქვენი მეგობარი ჩერვლიენელი სომეხი უკვე აქ არის. მე ის თქვენს დაუკითხავად მოვიწვიე. თარჯიმანი, ვატყობ, დაგვჭირდება, — და პასუხს აღარ მოუცადა, კომენდანტმა კარს გასძახა: — ეი, კოზმა!

კარი გაიღო და ზღურბლზე კოზმა დიაკონოვი გამოჩნდა. გენერალმა ახედდახედა. შეატყო, ნასვამი იყო.

— თქვენ მანდ უჩვენოდ მოულხინეთ? ძაღლიშვილებო! სად არის სომეხი?

— აქ განლავს, თქვენო აღმატებულებავ! — კოზმა ქანაობდა, მაგრამ პასუხით მაინც ყოჩაღად უპასუხა.

— უთხარი, შემოვიდეს!

— ახლავე, თქვენო აღმატებულებავ!

— პიროტყვი, მოხედვას კერ ასწრებ, უკვე მთვრალია!

ოთახში ქუთათელისა და კვინიხიძის ნაცნობი სომეხი ვაჭარი შემოვიდა, დამხვდურთ შორიდანვე მიესალმა და მათი შორიახლო კედელთან ჩამოჯდა. გენერალმა თითით ანიშნა, სადაც უნდა დამჯდარიყო, ხოლო შემდეგ ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ოთხი დღის წინ ფელდიეგერი მოვიდა ნერონოვისაგან. ჩვენ ციხეში თარჯიმანი არა გვყავდა და ეს აქამდე ვერ შევატყობინეთ...

სომეხს თარგმნა არ დასჭირვებია. ელჩები მდუმარედ და ღირსებით უსმენდნენ. ორივეს კარგად ესმოდა, რომ მოუთმენლობის გამოჩენა და ზედმეტი შეკითხვები საჭირო არ იყო. ფრაუენდორფი თავის სათქმელს ისედაც იტყოდა.

— გენერალ-გუბერნატორი შესაძლებლად თვლის ასტრახანში თქვენს გამგზავრებას, როგორც კი გამოიზაფხულებს და გზა უხიფათო გახდება, ოღონდ სავალდებულო პირობას გიდებთ, რომ მიზანი, რის გულისთვისაც უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის მოწყალზე მიბრძანებულხართ, აქვე გულახდილად გაგვიმხილოთ. თუ ამას არ იქთ, — გენერალმა სომეხს შეხედა და თითქოს მას დაემუქრა, — ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ერთი კვირის საგზალი მოგცეთ და უკან, თქვენს ქვეყანაში გაგისტუმროთ!

— სწორედ უცნაურია, — ქართულად თქვა მაქსიმე ქუთათელმა და ეხრები აიჩეჩა. — ნუთუ ორთვეწახევარი იყო იმისთვის საჭირო, რომ თქვენი აღმატებულებისაგან ეგ პასუხი მოგვესმინა?

— ეს ვთარგმნო, მამაო? — ხაოცაბლა ჰკითხა სომეხმა. ის მიხვდა, რომ კომენდანტის ნათქვამით უკმაყოფილო და გულმოკლული ეპისკოპოსი ამას მხოლოდ თავისთვის ამბობდა და თარგმნა საჭირო არ იყო.

— რას ამბობს? — მოუბრუნდა გენერალი სომეხს.

— ეპისკოპოსი ბრძანებს, რუსთხელმწიფის კარზე სათხოვრად მოვსულვართ და ნუ გვიწყენს. თუ ის, რაც ჩვენი მეფის სახელით მის უდიდებულესობა ხელმწიფესთან ითქმის, ყველგან არ ითქმისო.

მაქსიმე ქუთათელი გაოცებული დარჩა სომხის უკმეხი და აზრიანი პასუხით, თუმცა ეს ზუსტად ის იყო, რის თქმაც მას მართებდა. თარჯიმანს მადლიერებით შეხედა, დუმილით აგრძნობინა, კმაყოფილი ვარო, გულხელი დაიკრდო და მეორე მხარის პასუხს დაელოდა.

— მე ნაბრძანები მაქვს გაგიმხილოთ, რომ სულთნის კარზე უკვე იციან თქვენი აქ ყოფნა, — თითქოს ვინმეს საყვედურობს ან ტუქსავსო, წავახედ თქვა კომენდანტმა. — ყირიმის ხანს ვერაფერს გამოვაპარებთ. ეგ ურჯულო ყოველ ჩვენს ნაბიჯს უთვალთვალებს და რასაც მოსყიდული ხალხის საშუალებით შეიტყობს, მაშინვე კონსტანტინოპოლს ატყობინებს. სულთანთან მის უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორს საზავო ხელშეკრულება აქვს დადებული. ამ ხელშეკრულების სათანადო არტიკულის თანახმად ჩვენ უფლებამოსილი არა ვართ, მის შინაურ საქმეებში ჩავერიოთ. სულთანი იმერეთის მეფეს თავის ხელდებულად თვლის. ჩვენ ეს ვიცანით და სანამ ხელშეკრულება არ გადაისინჯება, ამას ვერც ვერავინ შეცვლის!

წამიერი დუმილის შემდეგ, რომელიც ამ სიტყვის ქართულად გადმოთარგმნისთანავე ჩამოვარდა, ქუთათელმა ეპისკოპოსმა იკითხა:

— ეს პირადად თქვენი აღმატებულების პასუხია, თუ თვით ასტრახანის გენერალ-გუბერნატორის, ანდა საგარეო საქმეთა კოლეგიის პასუხად უნდა მივიჩნიოთ?

კომენდანტმა დელიკატურ შეკითხვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყური არ ათხოვა, კვლავ თარჯიმანს მიუბრუნდა და იმავე მკვახე კილოზე განაგრძო:

— ამას გარდა, როგორც ირკვევა, მისი ბრწყინვალება სოლომონ ალექსანდროვიჩი, ვისაც თქვენ მეფედ იხსენიებთ, ამჟამად სრულებითაც არ ბრძანდება მეფე. სულთანმა იგი გადააყენა და მისი ბრწყინვალების ნაცვლად ტახტი თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონს უბოძა!

— ეგ, თქვენო აღმატებულებავ, პირველსავე დღეს მოგახსენეთ! — თარჯიმნის პირით შენიშნა ქუთათელმა.

სასმელითა და წელანდელი გამომწვევი პასუხით აღგზნებულმა კომენდანტმა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ამ თავხედი აზიელებისათვის დამსახურებული სამაგიერო რომ უნდა მიეზღო, მისი ეს შენიშვნაც უპასუხოდ დასტოვა და თითქოსდა წინასწარ გაზეპირებული სათქმელი განაგრძო:

— ამის შემდეგ ჩვენ საქმეს ვერ დავიჭერთ მის ბრწყინვალებასთან, როგორც მეფესთან. ჩვენ სოლომონთან, როგორც იმერეთის მეფესთან, მოლაპარაკებას განვაახლებთ, თუ ტახტს ისევ დაეპატრონება და ოსმალეთიც მის ბრწყინვალებას სცნობს მეფედ. სოლომონი ამჟამად კერძო პირია. ჩვენ ასე გვესმის. თქვენც, ბატონებო, აქ კერძო პირს წარმოადგენთ!

— მიახვედრე ეგ ვირიშვილი, თავს ძალიან ნუ გაუვა! — აქამდე პირში წყალჩაგუბებულივით გაჩუმებულმა დავით კვინიხიძემ ეპისკოპოსის უსიტყვო მუდარას, ე ბიჭო, საქმეს ნუ ჩამიშლი, თავი შეიკავეო, ანგარიში აღარ გაუწია, ანთებული თვალები თარჯიმანს მიაპყრო და ორივე ხელი სატევარზე იტაცა. — სანამ მშველელი შემოუსწრებდეს, ახლავე ბაბუამისთან გავაგზავნი! მართლა ჩალით ხომ არ გონია ქვეყანა დახურული? იცის თუ არა, რომ ჩვენც ხალხი ვართ და ქვეყნის ავ-კარგი ჩვენც გაგვეგება?

— მე მაგას ვერ ვუთარგმნი, ბატონო დავით, აღარ გინდა, კაცო, აქედან ცოცხალი გავასწროთ? ვაჰმე, რა მეხი დამეცა და აქ ჩემი ფეხით მოვედი! გეკადრება? ციხე სავსეა ჯარით. ხელის განძრევასაც ვერ მოვასწრებთ, ხმლებზე წამოგვაგებენ. შენ ნუ მომიკვდები. ამ შობა დღეს!.. ღმერთო დიდებულო! სულგანათლებული მამაშენის ცხონებამ, მეფემ ამ პირძაღლ ნეზვის გედასთან საომრად გამოგაგზავნა?

თითქმის ულუკმაპუროდ და უსახსროდ სხვის ჭერს შეკედლებული ელჩებისა და გენერალ ფონ ფრაუენდორფის უშედეგო მოლაპარაკების ამბავი იმერეთში მაქსიმე ქუთათელის მხლებლებად გაყოლილმა მოწამეთელმა ბერებმა მოიტანეს. თვით ქუთათელი და კვინიხიძე ამ დროს უკვე ასტრახანში იმყოფებოდნენ, გენერალ-გუბერნატორ ნერონოვს ერთმორწმუნე ქვეყნის უსასოო მდგომარეობას უხატავდნენ და მოთმინებით აღჭურვილნი კანცლერ გრიგოლ პოტიომკინისაგან სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგისაკენ გამგზავრების მოწყალე ნებართვას ელოდებოდნენ.

მშობლიურ მიწა-წყალზე მშვიდობით შემოსული ბერები გლოლის ციხეში მდგომმა ერისთავის კაცებმა დააკავეს და დაჰკითხეს, რუსეთს რა საქმისათვის გივლიათ ან ახლა საით გაგიწევიათო.

ბერებს ნაბრძანები ჰქონდათ, სიტყვა რაა, სიტყვაც არ გაემხილათ და თუ ძალას დაატანდნენ, მხოლოდ ამის ეღიარებინათ, რომ რუსეთში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ბატონიშვილ ანტონს ახლდნენ და ვინაიდან საეკლესიო ტახტიდან გადაყენებული მისი უწმიდესობა მეფე ერეკლემ შეიწყალა და კვლავ სამშობლოში დააბრუნა, ახლა, ღვთის შეწევნით ისინიც უკან ბრუნდებოდნენ.

ბერებს იმედი ჰქონდათ, ელჩებიც იმედოვნებდნენ, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი გზის თვალყურის სადევნებლად გლოლის ციხეში ჩაყენებული მზირები საქმის გარჩევაში არ შევიდოდნენ, მათს საეკლესიო წოდებასაც პა-

ტივს დასდებდნენ და არ შეაყოვნებდნენ.

ანტონი უკვე ხუთი თუ ექვსი წლის მოსული იყო რუსეთიდან. გვირგვინოსანი მამის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ეკლესიის საქმე გადასინჯა, ანტონის ფარული დანაშაულებრივი კავშირი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, რასაც ვითომდა საიდუმლო ვითარებაში გაკათოლიკებული კათალიკოსი მისიონერი პატრების ხელისშეწყობით ახორციელებდა და რასაც ტფილისისა და გორის მისიონების მოშლაც მოჰყვა, დაუსაბუთებლად სცნო და ექსორიაქმნილი ნათესავი რუსეთიდან შინ დაიბარა. ბიძისაგან სხვათა ჩაგონებით თოვალწუნებულმა ანტონმა ქართლ-კახეთის მეფის წინადადება სიხარულით მიიღო და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და მცხეთის მთავარეპისკოპოსის კვერთხის კვლავ მისაღებად დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნდა.

თუ ეს ამბავი გლოლის ციხეში მდგომ ერისთავის მზირებს ზედმიწევნით ეცოდინებოდათ, მაქსიმე ქუთათელის მიერ მალემსრბოლებად გამოგზავნილი ბერების ჩვენება უმალ ეჭვს აღძრავდა და მათ, როგორც ტაატიდან გადაგდებული სოლომონის მსტოვრებს, ჯერ წესში, ერისთავის კარზე, ხოლო შემდეგ ქუთაისს გაგზავნიდნენ.

ბერების საბედნიეროდ, გლოლელი მეციხოვნენი, იმავე სოფლის წევრნი, სადაც ხეობის ვიწრო ყელში თითქმის კუთხივ მიუდგომელი ოდიშენი ციხე იდგა, უდარდელი და გულმოწყალე ხალხი აღმოჩნდა. ბერები ციხეში სამიოდე კვირა გააჩერეს, შეძლების კვალობაზე კარგადაც გაუმასპინძლდნენ, მაგრამ ერისთავის კარზე მათი გაგზავნა უკვე აღარ მოხერხდა. ერთ ღამეს ქვენა ქარი ამოვარდა, ღრუბლები ამორეკა და დილამდე იმდენი თოვლი ჩამოყარა, რომ საძრაობა აღარ იყო. თოვა არც მეორე და მესამე დღეს შეწყვეტილა. ჭანჭახის ხეობა თოვლით პირამდე ამოივსო. თვალშეუდგამ ნაქვეპსა და ფიჭვებს, გაზაფხულ-ზაფხულში აქაურობას უცხო იერს რომ აძლევდა და ედემს ამსგავსებდა, თოვლს ზემოთ კენწეროები-ღა მოუჩანდა. მეციხოვნეთ ნუზლი შემოაკლდათ. მაშინ გადაწყდა, ბერები თავისი გზით გაეშვათ, რათა ამით მჭამელთა რიცხვი ცოტათი მაინც შემცირებულიყო, მაგრამ ახლა, ამ მეორეთმოსვლაში ან მათ რაღა ეჭირვებოდათ გათავისუფლება, სად და როგორ-ღა უნდა წასულიყვნენ! სხვა რა არჩევანი ჰქონდათ, დიდი ჯაფით ციცაბო კლდოვან ფერდობზე გზა გაიკვლიეს, გაყინულ საკალმახე ღელეზე გადავიდნენ და თავი ერთი ღარიბი კაცის ფართალალა ქოხს შეაფარეს. იმ დალოცვილს საძღომი საჭმელ-სასმელი და ძვალ-რბილის გასათბობი დასაგებ-დასახურავი თავადაც არ ჰქონდა, ბაღლები კი ბლომად მოემრავლებინა. სულ ერთიმეორეზე პატარები იყვნენ, ერთმანეთს ძლივს აყენებდნენ. ბავშვების გაუთავებელი ზიაქისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

მრავალრიცხოვანი ჯალაბი ღვთის გამოგზავნილ სტუმრებს მაინც გულღიად შეხვდა, თბილი ლუკმა მიაწოდა და დასაძინებლად ყველაზე გამორჩეული ადგილი დაუთმო კერიასთან.

ნახევრად მშიერი ბერები მთელ ღამეს ლოცვაში ატარებდნენ და მასპინძლებს ძილს უფრთხობდნენ. არც კი სჯეროდათ, თუ მეფე სოლომონზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული როსტომ ერისთავის კაცებს ხელიდან ასე ადვილად დაუსხლტნენ და ახლა შეეძლოთ თავისუფლებით დამტკბარიყვნენ.

ეს მართლა ძნელი დასაჯერებელი იყო. ამიტომაც შიშობდნენ, ვაითუ ნიადაგ ღვინით გამობრუჟებული მზირები უცებ გონს მოვიდნენ, ან ვინმე ბოროტმა სულმა ჩვენი საწინააღმდეგო რამე ჩააგონოს, ღამით თავს დაგვეცნენ და ისევ ციხეში შეგვყარონო.

სწორედ შემოჩენილი შიში შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ნავახშმევს, როცა საკვამურებამდე ღრმა თოვლში ჩაფლ-

ულ სოფელს გულის ძილით ეძინა, სტუმართმოყვარე მასპინძლის ქოხიდან ბერები სათითაოდ გაიკრიფნენ და ალალბედზე ხეობას დალმა დაჰყვნენ.

აქ ისევ ღმერთი მოეხმარათ: ხეობაში სისინა ქარი უბერავდა, წვრილად თოვდა და თოვლი ნაფეხურებს უმალვე ავსებდა.

დილას სოფელში განგაში და წივილ-კივილი ატყდა. ბერები დაიკარგნენო. ამისთანა ამინდში გარეთ ძაღლიც არ გაიგდებოდა. ნამქერსაც რომ გადარჩენოდი, სადმე ნადირი გაგაფუჭებდა და კაცი-ქრისტიანი მშველელი ვერ გამოგიჩნდებოდა.

ბერების სასწაულებრივი გაქრობა ბევრმა ზებუნებრივი ძალების ნამოქმედარად და ღვთის განგებად მიიჩნია, მეტადრე იმ გაჭირვებულმა ოჯახმა, სადაც სოფელს შემოკედლებული უცხო მგზავრები ღამეს ათევდნენ და მათ ღარიბულ ლუკმას იყოფდნენ, და გულგახეთქილი ლოცვად დადგა.

ციხეში ამ ამბავს სულ სხვა თვალით შეხედეს. მიხვდნენ, მეტისმეტი გულმოწყალებით მტერი ხელიდან წაგვსვლიაო და წმიდა ბერის ანაფორით შემოსილ ორფეხა ეშმაკებს მდევარი დაადევნეს.

ლტოლვილთა კვალი სოფლის ბოლოშივე წყდებოდა. აქ ქარს თოვლი ზვინებად დაედგა, ღრანტეები ამოევსო და ალაგ-ალაგ მიწა მთლად გაეშიშვლებინა.

## თავი მეთორმეტე

რუსეთიდან მიღებულმა ახალმა ცნობამ, ათას სატანჯველში გამოვლილმა მოწამეთელმა ბერებმა დანიშნულ ადგილზე ბოლოს რომ მაინც მიიტანეს, სოლომონს მუხლი მოჰკვეთა და თავზარი დასცა. არაფრით არ ეგონა, თუ ასე გაიმეტებდნენ და გამძვინვარებული ლომის ბრჭყალებში ჩავარდნილს თავშესაფარს არ მისცემდნენ. რუსეთისაგან გალონიერებულსა და ფეხზე წამოყენებულს მასაც ხომ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო იმავე ერთმორწმუნე რუსეთისათვის. ერთხანს ხმაგაკმენდილი იჯდა და მოუქარვებელი ჯავრით შეპყრობილი, რამდენიმე წლით ნაადრევად მოტეხილი და წელში მოხრილი თავის წინ ველარაფერს ხედავდა. გლოლაში ბერების დაკავებისა და გულღრძო ერისთავის ახალი მტრობის ამბავმა თითქოსდა შეხორცებული ჭრილობა გაუხსნა და ცოტა ხნის შემდეგ თანმხლებ დიდებულებს და დედოფალ მარიამს, რომელიც ამიერიდან თანამეცხედრეს გვერდიდან აღარ შორდებოდა და ბავშვებთან ერთად მის ყოველ ჭირსა და ლხინს თანაბრად იზიარებდა, პირდაპირ უთხრა:

— ჩანს, მაღალმა ღმერთმა უკვე გადაწყვიტა ჩემი და ჩემი ტანჯული ერის ბედი, ყველა გზა გადამიკეტა და მხოლოდ ერთი გზა დამიტოვა — უსახელო სიკვდილის გზა!

დიდებულებმა ჯერ ფრთხილად, შემდეგ და შემდეგ კი უფრო და უფრო მოურიდებლად შემოუტიეს. სოლომონის მიერ ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაზე ხელის აღება ხომ მათი გარდაუვალი დაღუპვაც იყო! საბოლოოდ გამარჯვებული და მიტაცებულ ტახტზე მომძლავრებული ბატონიშვილი თეიმურაზი სოლომონის გუშინდელ მომხრეთ სასტიკად გაუსწორდებოდა, იმასაც არ აკმარებდა, რაც აქამდე დამართა, მათ შვილსა და გასაგისს თავის სამემკვიდრეო მამულში აღარ გააჭაჭანებდა!

წამოდგა მეფის ბანაკს სულ ბოლო დროს შემოერთებული სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი და ბატონს ყველას მაგიერ განუცხადა:

— ჩვენ უკან დასახევი გზა აღარსაით გვაქვს, თქვენო უმაღლესობავ. ურჯულოს ტახტზე ვერ ვიგუებთ. ეს ხომ დღესავით ცხადია! ქვეყანა, ხედავთ თქვენი ბედნიერი თვალით, სულს და-

ფავს. ათუ ომმა მოგვიღო ბოლო, ათუ შიმშილმა და სიტიტვლემ, ათუ სახადმა და ათუ ტყისმსყიდველების დაუსჯელმა პარპაშმა. ორ-სამ წელიწადში, ამდენიც არ უნდა, თუ არ მივდექ-მოვდექით და რამე არ ვისაშველეთ, პირი ქვისკენ მიქნია, ჩვენი სინსილა გაწყდება და მამა-პაპის ოფლით გაპოხილ ნაფუძარზე თათრის თესლი იხარებს. ჰა, რას იტყვით, ბატონებო? მაგრამ არა, დღეს-დღეობით არც ისე ცოტა ვართ, არც ღონე გამოგვლევია მკლავში, ღვთის მადლით, არც დავლაჩრებულვართ, რომ მტერს იაფად დავუსვათ ჩვენი გასრესა. გული ასე რამ გაგიტეხა, მეფეო!

სოლომონმა სიმწრის ოფლი მოიწურა შუბლზე და ძლივს გასაგონად გამოსცრა:

— რამდენჯერ მითქვამს: რისთვის ივიწყებთ, რომ მეც თქვენებრ კაცი ვარ?

— არა, თქვენო უმაღლესობავ, — წერეთელი იქ მყოფთა სრულ მხარდაჭერას გრძნობდა და თუმცა ატყობდა, მისი სიტყვები მეფეს შიგ გულში ხვდებოდა, მაინც არ შედრკა. — ახლა გვიანია მაგის თქმა. თუ ბრძოლის ველის მიტოვებას ვაპირებდით და მტრის გამკლავების თავი არ გვქონდა, შე კურთხეულო, ჩვენ ეს ადრევე უნდა გვცოდნოდა და ან ასე გამოვაწყობდით ჩვენს საქმეს და ან ისე. ახლა საით წავიდეთ? ჩვენი ხელით გავითხაროთ საკუთარი სამარე და შიგ ჩავწვეთ? ვერა, ვერ ვიზამთ ამას, მოყვარეს გულს ვერ მოვუკლავთ და მტერს ვერ გავაცინებთ! იჭიატებს და ანამყოლ გამოზაფხულდება თუ არა, ჩემი ძმა ქაიხოსრო მობრუნდება დაღისტნიდან და შეპირებულ ჯარს მოიყვანს. ამასობაში აქ ჩვენც შევემზადოთ, ვახსენოთ ღმერთი და შეერთებული ძალით ვეკვეთოთ მტერს. იქნება არა ვართ მთლად გაწირული, იქნება კიდევ ამობრწყინდეს ცაზე ჩვენი ვარსკვლავი!

დარბაზის ერი და მასთან ერთად დედოფალი მარიამიც სახლთუხუცესის გაბედულ და პირუთვნელ სიტყვას გულწრფელი მოწონებით შეხვდა. ბატონიშვილ ალექსანდრეს, რომელიც ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, მაგრამ უკვე მოზრდილად თვლიდნენ და ქვეყნის საჭირბოროტო საქმეების გარჩევის დროს ისწრებდნენ, თვალები უბრწყინავდა, სახე უელავდა და ხან ხავსიან ქვაზე ჩამომჯდარ საცოდავად მობუზულ მამას უყურებდა, ხან დედას, დღეს რომ ასე მშვიდი და აუმღვრეველი ეჩვენებოდა, ხან კი დარბაზის წევრებზე გადაჰქონდა აღტაცებული მზერა. აგიაშვილმა და წულუკიძეებმა წერეთელს მხარი აშკარად დაუჭირეს და სასოწარკვეთილი მეფე სულმოკლეობაში ამხილეს.

— მე თუ მკითხავთ, — თქვა უჩვეულოდ გაფიცხებულმა გიორგი წულუკიძემ, ოქროს სათვალე მოიხსნა, მოკეცა და კაბის უბეში ჩაიდო. — არც ქუთათელის მიერ მოწოდებული ცნობა მეჩვენება დიდ უბედურებად.

სოლომონმა თავი ასწია, შუბლი შეიკრა, თითქოს მხოლოდ ახლა გამოერკვა, რა ხდებოდა მის გარშემო.

— როგორ თუ არ გეჩვენება, უარესი რა უნდა მოგვსვლოდა?!

— ნუ შემრისხავ, მეფეო, და არ მეჩვენება იმიტომ, რომ ყიზლარის ციხესიმაგრის კომენდანტი ვიღაც ფროენდორფი სხვა არის და რუსეთი კიდევ სხვა! მაგისთანა ციხისთავები და მაგისთანა გენერლები ცათა სწორ რუსხელმწიფეს ათასი ყავს! მართალს არ მოგახსენებთ, ბატონო ქაიხოსრო? — იგი აგიაშვილისაკენ მიტრიალდა და პირდაპირ მას მიმართა.

— სწორი ბრძანებაა! — უმალ კვერი დაუკრა ქაიხოსრო აგიაშვილმა, რომელიც უკვე მიხვდა, მეფის ბრძენ აღმზრდელსა და ოდესღაც უებრო მეომარს მსჯელობა საითაც მიჰყავდა.

წულუკიძემ მტკიცე ხმით განაგრძო:

— ჩვენ გენერალ ფროენდორფის პასუხი ვიცით, მაგრამ არ ვიცით რუსეთის უზენაესი ხელისუფლის, კანცლერ პოტიომკინის, და თვით ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს პასუხი, ასე გასინჯეთ, აშტრახანის გენერალ-გუბერ-

ნატორ ნერონოვის პასუხიც კი არ ვიცით!

დარბაზის ერი სიჩუმემ მოიცვა. აღარავინ უწყოდა, იმის შემდეგ, რაც უკვე ითქვა, კანონიერი მეფის უყოყმანო თანამდგომობის გამო სამაგალითოდ დასჯილი გიორგი წულუკიძე კიდევ რას იტყოდა.

— უფრო გარკვევით ბრძანეთ, — ნავსი გატეხა და კამათში ახლა გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები ჩაერია. — ნიშნავს თუ არა თქვენი ნათქვამი იმას, რომ რუსხელმწიფის კარზე ელჩად წარგზავნილმა ქუთათელმა ეპისკოპოსმა მაქსიმემ და თავადმა დავით კვინიხიძემ ჩვენი იმედი ვერ გაამართლეს, ძვირად ღირებული დრო დაგვიკარგვინეს და ახლა ყველაფერი თავიდან არის დასაწყები?

— არა, არ ნიშნავს, თქვენო მეუფებავ, და აი, რატომ, — გიორგი წულუკიძე ადვილად ჩასწვდა ბატონიშვილის ფარულ ზრახვას და მშვიდად უპასუხა: — ეპისკოპოსი მაქსიმე და თავადი კვინიხიძე, ბატონი მეფის ელჩები, როგორც გვატყობინებენ, დღესაც გზას ადგანან. ჯერ უკან ხომ არ მობრუნებულან და საბოლოო პასუხი არ მოუტანიათ? ვიცით ჩვენ, ხვალ რა იქნება და ვითარება რაგვარ შეტრიალდება? არ ვიცით, თქვენო მეუფებავ! იქნებ ეს დალოცვილი რუსხელმწიფე ხვალ ომს უცხადებს ოსმალოს და აქეთ ჯარსაც კი გზავნის, რომ ჩვენი და ერეკლეს დახმარებით ახალციხის საფაშოს შეესიოს?

— ღმერთმა გისმინოს, ბატონო გიორგი! — ქაიხოსრო აგიაშვილს სახეზე შუქი მოეფინა, ჭაღარით შეჭირხლულ ულვაშებზე ხელი გადაისვა და წულუკიძის იმედიანი სიტყვებით გამოცოცხლებულ დიდებულებს გადახედა. — ნეტავი მაგ ბედნიერ დღეს მომასწრო და, თუ გინდა, ჩემი დღე ორად გაყო, სიკვდილს აღარ ვინაღვლი!

— ნუ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ ოცნება გახლავთ, ბატონებო, — დიდებულების მოულოდნელი გამხიარულება გიორგი წულუკიძეს უადგილოდ ეჩვენა და ამ სიტყვებით მეფეს მიმართა. — ჩვენ ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ და პირველსავე დაძახებაზე მტრის შესამუსრად გამოვიდეთ. მართალია, დღესდღეობით გამარჯვებულად ითვლება და მეფის ტახტზეც ზის, მაგრამ, ყველას მოგეხსენებათ, ბატონიშვილ თეიმურაზს ვერ მიუდის საქმე წაღმა. სიძულვილმა, გაბოროტებამ თვალი აუბა, გააცოფა, მართლმორწმუნე ერის ურჩობამ გახელა და იმის შიშით, რომ ხვალ სულთანთან დაიბარებენ და მეფის ღირსებას ახდიან, ისეა გადარეული, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვეღარ გაურჩევია. დღე ისე არ გაივლის, ქუთაისში კაცი არ ჩამოახრჩონ, ან არ დაასახიჩრონ. ყოველი ბუჩქის უკან ჩასაფრებული მკვლელი ელანდება. ეს შიში უსაფუძვლო როდია. ორჯერ ხომ შეუცვივდნენ კარავში უცნობი პირები და კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. გუშინ შევიტყვეთ: მცველი რაზმი რვაას კაცამდე გაუზრდია. რვაასი კაცი! ამდენ მუქთა მჭამელს რჩენა არ უნდა? დადის და უკან წყევლა-კრულვა მისდევს. სწორედ ამ დროს გვმართებს ყველა ძალის ერთად თავმოყრა!

მეფის აღმზრდელი ისე დარწმუნებით, ისე თავდაჯერებით ლაპარაკობდა, რომ აშკარად ეტყობოდა, გუნებაში ერთობ საგულისხმო და მრავალმხრივ აწონილ-გაზომილი განზრახვა ედო.

— იქნებ აგვიხსნა, ბატონო გიორგი, მაგით რის თქმა გსურს? — ჰკითხა მეფემ და სმენად გადაიქცა.

— შინაური მტრის ბანაკი უნდა დავშალოთ და თუ რომელიმე ნაწილის მომხრობა და გადმობირება ვერ შევძელით, განხეთქილების ვაშლი მაინც ჩავუგოროთ შუაში.

სოლომონი მიხვდა: გიორგი წულუკიძე მის ცოლისძმა კაცია დადიანსა და რაჭის ერისთავ როსტომს გულისხმობდა. უმალ ძმის, გენათელ მიტროპოლიტ იოსების, თათბირიც გაახსენდა, გაიფიქრა, ესენი წინასწარ მოლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებული ხომ არ არიანო და კვლავ იკითხა:

— ფიქრობთ ვითამ, რომ ეგ მოხერხდება?

— მოუხერხებელი არა არის რა, მეფეო, — იმით იმედმოცემულმა გიორგი წულუკიძემ, რომ თავისი აღზრდილის ყურადღება მთლიანად მიიპყრო, მას სიტყვა ჩამოართვა და კიდევ მეტი შთაგონებით განაგრძო: — კაცია დადიანი უჭკუო კაცი არ გახლავთ. არ შეიძლება, კაცია თვალს იბრმავებდეს და არ ხედავდეს, რაც იმერეთში ხდება. თავისივე უჭკუობით განწირული თეიმურაზისაგან კარგს რას უნდა მოელოდეს, მაგრამ ერთის მხრივ თითივით მარტო დარჩენისა ეშინია, მეფე ერეკლესაც ამის გამო დაუკავშირდა, და მეორეს მხრივ ვერც თავის სისხლით ნათესავ რაჭის ერისთავ როსტომს უტეხს ხათრს. თუ ერისთავს დაკარგავს, დადიანს ძალა უნახევრდება და თითქმის ამავე დღეშია კლდეკარებში გამოკეტილი რაჭის ერისთავიც. ამიტომაც ერთმანეთს ებღაუჭებიან და ერთგულების ფიცს ყოველდღე დებენ. უნდა დაირღვეს ეს კავშირი! მეფის ტახტისათვის მას სიკეთე არასდროს არ მოუტანია. ერისთავი უნდა დავაშინოთ, ძალით მოვდრიკოთ, დადიანი კი როგორმე დავარწმუნოთ, რომ, თუ ისევე ჩვენ არ ამოგვიდგება მხარში, თავს დაიღუპავს. მისი უმაღლესობა დედოფალი დაგვემოწმება, რომ სხვა გამოსავალი ჯერჯერობით არა გვაქვს!

ყველამ ჩიხტაკოპით თავდახურულ მარიამს შეხედა, რომელიც სოლომონის მხარმარცხნივ ხავერდის წითელ მუთაქაზე იჯდა და მღელვარება მხოლოდ იმაზე ემჩნეოდა, რომ თოვლივით თეთრ ხიქილას თლილი თითებით აწვალებდა. შინდისფერ ქულაჯაში და მაღალყელიან ყვითელ წაღებში გამოწყობილი ყმაწვილი ბატონიშვილი ალექსანდრე დედას ზურგსუკან უდგა და სახეატკეცილი და ყურადღებად გადაქცეული გიორგი წულუკიძეს შეჰყურებდა.

— ბატონო მეფევ, — დედოფალმა თავადს პასუხი არ გასცა, თავი სულ ოდნავ მიაბრუნა და დიდრონი, მშვიდი თვალები თანამეცხედრეს მიაპყრო. — გვიბოძეთ ნება მე და ბატონიშვილ ალექსანდრეს, ოდიშს გეახლოთ და ჩემს ღვიძლ ძმას, ოდიშის ბატონ კაციას, თქვენი და დარბაზის ერის სახელით მოველაპარაკოთ. მე იმედი მაქვს, დისა და მოსწრებული დისწულის შეგონებას დადიანი ვერსად წაუვა და მისი სახით ჩვენ ძლიერ თანამდგომს და ტახტის მსახურს შევიძენთ!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ, როგორ ბობოქრობდა კუდიანი ქარი გარეთ, ასწლოვან ულრან ტყეში, სადაც მეფის ყოველმხრივ გამაგრებული ბანაკი იდგა, და კარვის კალთებს ნამქერს აყრიდა. მამაკაცების საქმიან მსჯელობაში მარიამის უცაბედი ჩარევა და მის მიერ სრულიად ახალი მოსაზრების წამოყენება, რომლის ირგვლივაც ადრე არავის უფიქრია, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წუთით თვით გიორგი წულუკიძეც კი შებორძიკდა და ენაზე კლიტე დაიდო.

— თუ ჩვენი ცდა და მოწადინება სასურველ შედეგს არ მოგვცემს, — მშვიდად განაგრძო მარიამმა, როგორც კი მეფესა და დიდებულებს დაბნევა შეატყო, — გაფუჭებით მაინც არაფერი გაფუჭდება. გულს შევაჯერებთ, მოვბრუნდებით და დანამდვილებით გვეცოდინება, რომ სხვა გზა უნდა ვეძიოთ!

— რას იტყვი, იესე? — სოლომონი უკან გადაიხარა და ძმას შეხედა.

რძლის მოულოდნელი წინადადებით საგონებელში ჩავარდნილ მიტროპოლიტს პასუხი ერთბაშად არ გაუცია, კოპებშეკრული იჯდა და საფიქრალს ფიქრობდა, შემდეგ კი, როცა დუმილი უკვე შეუძლებელი გახდა, თავი ასწია და სახეში შემოჩერებულ მეფეს ყველას გასაგონად მთახსენა:

— მისი უმაღლესობა დედოფალი სწორად სჯის!

ყველამ შეატყო, რომ მეფე ღელავდა და დედოფლის მიერ მოულოდნელად წამოყენებულ წინადადებისადმი თავისი დამოკიდებულების გამჟღავნება უმძიმდა. სოლომონის მდგომარეობა გაცილებით იოლი იქნებოდა, მარიამს რომ კეთილი ენება და ეს ფიქრი წინასწარ გაენდო, ახლა კი ის იძულებული იყო, ძნელად გადასაწყვეტი საჭოჭმანო საქმე აქვე, სხვათა თანდასწრებით გადაეწყვიტა.

— შენ? შენ რაღას გვეტყვი, შვილო ალექსანდრე? — რათა დრო მოეგო და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წუთი რაც შეიძლებოდა შორს გადაეწია, სოლომონი თავის სიამაყეს, ღაწვებწამონთებულ ბატონიშვილ ალექსანდრეს მიუტრიალდა. — გაბედავ ასე შორ და საშიშ გზაზე წასვლას?

ყმაწვილმა თვალი გაუსწორა.

— გავბედავ, ბატონო მამა. ბატონ დედას მარტო ხომ ვერ გავუშვებთ!

— მერე გზაში რომ რამე მოიწიო, ჩვენ რაღა ვქნათ აქ?! — სოლომონს მოერიდა, თავისი გრძნობები შვილისადმი სახალხოდ გამოემჟღავნებინა და „ჩვენს“ ამოეფარა.

— ღმერთი მოწყალეა, ბატონო მამა, სიმართლე დაგვიფარავს!

„შენი ჭირიმე, ბიჭო!“ — გაუელვა სოლომონს და უპეებზე ცხელი ცრემლის ტბორი მოეძალა. ხმა გაუწყდა. მიხვდა, ახლა რომ კიდევ რაიმე ეთქვა, ქვითინი წასკდებოდა. მარიამმაც უტყუარი ალღოთი იგრძნო ეს. თვალები თავადაც აუწყლიანდა, ბატონიშვილი წინ წამოაყენა, თითქოს სურს ყველას აჩვენოს და დაამახსოვროსო, წელზე ხელი მოხვია და მის მკლავს ყრიმალით მიეყრდნო.

— იყოს ნება თქვენი! — უმისამართოდ ბრძანა სოლომონმა. — ახლავე შეადგინეთ გამყოლი რაზმი. ბევრი ხალხის საჭირო არ არის. ნუზლი აქავე მოუმზადეთ. საუკეთესო ცხენები დაჭირდებათ. რაზმს სულთამ ავალიანი უწინამძღვრებს. სულთამ!..

— აქ გახლავართ, ბატონო მეფევ! — ავალიანი კარვის ბინდბუნდს გამოეყო და წინ წამოდგა.

— შენთვის ჩამიბარებია ცოლი და შვილი. შენ იცოდე და შენმა ვაჟკაცობამ!

— ფიქრი ნუ გაქვს, ბატონო მეფევ, არაფერს გავუჭირვებ!

— თქვენი შეპყრობა და საქმის ჩაშლა, იცოდე, ერთი იქნება. დიდი სიფრთხილე და მოხერხება გვმართებს. ბერი ლორთქიფანიძესთან და ზურაბ მიქელაძესთან წინასწარ კაცები წარგზავნე. ხალხს მოგაშველებენ და ოდიშს მშვიდობით გაგიყვანენ. წინასწარ შეუტყობინებლად მათს საბატონო მამულებზე გავლა უნდობლობის გამოცხადებად ჩაგვეთვლება და, იწამეთ ღმერთი, ერთგულ ქვეშევრდომებს ნუ მომამდურებთ. მთავრის ადგილსამყოფელსაც ეგენი მიგასწავლიან. ბატონი ჩემი ცოლისძმა მოუსვენარი კაცი ბრძანდება, არ უყვარს ერთ ადგილზე გაჩერება, ხან სად არის და ხან სად! თუ ერთ რომელიმეს ან ორივეს, ბერის და ზურაბს, პირადად შეხვდი, აუწერე, როგორც არის ჩვენი საქმე. ქაიხოსრო წერეთელი და როსაფ მაჭავარიანი დაღისტანს არიან-თქვა. თუ ღმერთმა ინება და გაგვიმართლა, ნაალდგომევს იქიდან ჯარს ველით. უკანასკნელი თეთრი, რაც კი გაგვაჩნდა, შემონახულიც და ნასესხებიც, ჯარის დასაქირავებლად და იარაღსაჭურვლის შესაძენად გადავდევით. ამ დროისათვის ეგენიც მზად იყვნენ. თუ გურულებსაც მიაწვდიან ხმას და ჩემი დროშის ქვეშ დააყენებენ, მაგას რაღა აჯობებს. შეხვედრის დღესა და ადგილს დავთქვამთ და საგანგებო მალემსრბოლის პირით ვაცნობებთ. მაშ, არ იშლი, შვილო ალექსანდრე, შენც მიდიხარ? — მეფე ისევ საფიცარ პირმშოს მიუბრუნდა და წამწამზე ცრემლის წვრი-

ლი წიწკალი აუციმციმდა. — ვერ დაგკავებ. ჯერ პატარა ხარ, მაგრამ უკვე დროა, ჩვენი უკუღმართი ცხოვრების სიმწარე შენც იგემო. დამილოცნიხარ!..

ბატონიშვილმა პასუხი არ გასცა, რადგან ყელზე მოწოლილი ქვითინი უშლიდა, მხოლოდ მაღმერთებელი, უაღრესი ერთგულებითა და თანაგრძნობით აღვსილი თვალებით შემოჰხედა და ხმაგაკმენდილ დედას მიეკრა.

ყველიერის ოთხშაბათს, 19 თებერვალს, ასე მზის ამოსვლის ჟამს, პერანგას მთის თავქვეზე ნაბდებში გახვეული და ჩაბალახით თავწაკრული მხედრების კარგა მოზრდილი გუნდი დაეშვა, მდუმარე ტყე უკან მოიტოვა, სანახევროდ გაყინული პაწაწინა მდინარე თქიფინ-თქიფინით გადავლო და მაშინვე ციცაბო აღმართს შეუდგა. აღმართის თავში გზა ისევ დაღმა ეშვებოდა. ტყვიისფერი ღრუბლებით მოგრაგნილი ცა საოცრად დადაბლებული იყო. შორს, თოვლით გადათეთრებული სერების უკან, ყომრალ ნისლში, კუზიანი მთის კლდოვან თხემზე, მტრისაგან უწყალოდ აკლებული მოდინახის გოდოლები მოჩანდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

## ამ ქალბატონმა...

...ჯერ იყო და,
მიატოვა მშობლიური იტალია,
ახალგაზრდა ფრანგ გენერალს გაეკიდა პარიზში.
მერე ჩუმად გაიპარა მეფეების სასახლიდან,
უცნობ მამაკაცთან ერთად ბევრი იხეტიალა.
ორ წელიწადს დაეძებდნენ,
ორი წელიწადის შემდეგ
იპოვნეს და დააბრუნეს,
                    ჩაუკეტეს კარები.
მაგრამ ისევ გაიპარა,
                    ისევ უკან დააბრუნეს,
მესამედაც გაიპარა,
                    მესამედაც მოძებნეს.
შეისვენა.
გზას გაუდგა.
ოკეანეც გადალახა.
ვაშინგტონშიც ბრძანდებოდა,
                              ტოკიოშიც.
                              მოსკოვშიც.
ახლა ისევ სასახლეში ზის და მშვიდად იღიმება —
                    ქალბატონი ჯოკონდა.

* * *

შენს ღიმილთან,
            ჯოკონდა,
უნდა დაიჩოქოს და
ვარდიც უნდა იშოვნოს,
ვისაც ყაყაჩო ჰქონდა,
და ვისთვისაც შენი მზე
ამოჭიაკოკონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოჰყვა ტალღების ყიჟინას,
ჩერო მონახა მუხის...
ჯერ კოჰი გამოგვიჩინა,
მერე—
        წვივი და მუხლი...

და ასე შემდეგ...
                ასე და
ასე და ასე შემდეგ...
ზღვა აღელდა და აღზევდა...
ვერც მე დავწყნარდი დღემდე...

## ისევ ვან გოგი

ისევ მიქებს კიპარისებს
და გულს ისევ მიხალისებს,
ისევ ისე,
ისევ ისე,
ისევ,
    ისევ,
        ისევ,

                ისევ —
მიგერიებს მაამებელს,
ისევ ერთი,
ერთადერთი, —
ჩემი ყურმოჭრილი მეფე,
ჩემი ყურმოჭრილი ღმერთი.

* * *

ქრის ათასი ფუთი ქარი,
უზის თავის კერას ანა:
ფუტკარია,
        ფუტკარი!
არ გეგონოთ კრაზანა!

* * *

ყველაფერი შეიცვალა,
შენ ხარ ჩემი ბატონი,
კოკამ წყალი მოიტანა,
        ძაღლმა იცნო პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზი წყალში შეაფასეს,
დაიწმინდა მორევი,
ორი კურდღლის მადევარმა დაიჭირა ორივე.
ცოტა წყალმა ჩაიარა,
არ ლოცულობს მენავე,
ვარდებს კრეფენ უეკლოდ და ცეცხლს თივაში მალავენ.
თივამ ნიშა ხარი მოკლა,
ძაღლი მოკვდა კოჭლობით,
მწვადიც დაწვეს და შამფურიც,
          ალულუნდა კოჭობი.
მჯობნის მჯობნი დაილია,
დაიქანცა არწივი,
როგორც ჰქუხდა,
          ისე წვიმდა,
                    მთა მთას შეხვდა კაცივით.
წვიმამ ასი სალამურის ტევრი ააწიკწიკა,
გაზაფხული მოიყვანა ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა.

* * *

ახლა ვინც არ იცინის,
დააბრალოს თავის თავს,
მე კი გული დაღლილი
     ისევ გამიხალისდა,
თითქოს მოწაფე ვარ და
     გაკვეთილი გამიცდა.

* * *

ამ ლექსს უყვარს სიჩუმე, —
მაგრამ არა კოსმოსური სიჩუმე,
არც საყდრების სიჩუმე და მღვიმეების სიჩუმე,
არც ტყეების,
          არც სტეპების,
                    არც უდაბნოს სიჩუმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ღამის,
არა მთვარის ,
არა თოვლის,
არა ზღვის, —
ასიათასიანი სტადიონის სიჩუმე,
ვიდრე თერთმეტმეტრიანს დაარტყამდეს ფორვარდი.

* * *

შენ არ მონაწილეობ ახალ კომედიაში:
ისე კოცნის კაცი კაცს,
როგორც დიაცს დიაცი.
შენ სხვა მოგწონს პიესა,
შენ შენი გაქვს პრინციპი, —
ვერც მისნები შეგიცვლიან,
ვერც დანიის პრინცები.
ძველი მონოლოგების გევაჭრება ცთუნება,
არ დაყარეს ფარ-ხმალი ძველმა ვაჟკაცუნებმა.
მოითხოვენ:
ტკბილად მაინც დაგველაპარაკოსო...
გირჩევნია:
გაყინულ ლიანდაგებს აკოცო.

* * *

მზე ჩადის და,
მზე ჩადის და,
ჩამავალი მზის
ერთი მომაკვდავი სხივი ხელის გულზე მიზის.
ისე კვდება,
ვერ გაუძლებს ავი თვალიც მტრის,
ნელა კვდება
და მეც გული მიკვდება და მიტირის.
მზე ჩადის და
ემსგავსება სხივი დამჭკნარ ვარდს,
მზე ჩადის და
ვიღაც მღერის ვარალეს და ვარადას.
ნაიწურა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეღარ ისვრის ოქრო ვერცხლის შხეფს,
და სისხლისფრად დასავლეთი შეფერეს და შეღებეს.
მზე ჩავიდა,
წაიშალა სილუეტი მთის,
სიზმრისა და სიცხადისა,
მიწის და მითის.

* * *

აი ჯვარიც!
ეს სიჩუმე მიხმობს,
მაინტერესებს,
გადავყურებ მდუმარებით გაოცებულ ტერასებს,
და დუმილის გალავანი ხელმეორედ შენდება,
ამ სიმშვიდეს,
ამ სიწყნარეს არ სჭირდება შენდობა.
ამ დუმილთან ხმას ვერ იღებს ჩურჩული და ტიტინი,
თხუთმეტსაუკუნოვანი —
დგას დუმილის ტიტანი.
ეს დუმილი —
დღეს თუ არა —
ამღერდება ხვალ თუ ზეგ,
და მე ძველი ქართულიდან ვთარგმნი ახალ ქართულზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

# ლ ე ლ ა

## ადიღეური ლეგენდა

ამაყად დგანან ზიხეთის მთები,
ზიხეთს ქართულად ჯიქეთი ჰქვია.
აქაც შეხვდები ერთურთის გვერდით
ორ მთიელ დობილს — დეკას და ღვიას.
აქაც შეხვდები სიმინდის ყანას,
რემას და ნახირს, არვეს და ფარას.
თვალს უხარია მოვლილი ეზო,
ფერსავსე ქალი, ბარი და ფერსო...
ქორს დაადევნებს ბიჭუნა „ჰაუს",
კრუხი წიაქით წიწილებს ძებნის...
და გადაბმია აული აულს,
როგორც ფერხულში ჩაბმული ძმები.
როგორც ღიმილიააფრენს ღიმილს,
სალამიც ღვთისა სალამს შობს ღვთიანს;
ყველაზე ადრე მამალი ჰყივის
და ცეცხლი ქრება ყველაზე გვიან.
შრომის სუფევა აქაც დგას ტახტად,
გულიც ლაღია, სიმღერაც — ლაღი...
ეს მხარე ზიხთა ტომისა გახლდათ,
დღეს კი ადიღეს უწოდებს ხალხი.
აქ ბევრ ქარტეხილს გადაუვლია,
ლექსად ვაქციე ერთი მათგანი
და ეს ამბავიც აქაურია,
ადიღეველი გლეხის ნათქვამი.

ადიღეველთა მრისხანე ბატონს
პირველად მაშინ ეცვალა ფერი,
როცა დილეგში შევიდა მარტო
და ტყვე ქალიშვილს შეახო ხელი...
შეკრთა თავადი: გრძნეულმა სითბომ
მის ქვაურ სხეულს დაჰკრა ზეირთივით,
მკერდქვეშ ყინული დაიძრა თითქოს,
თუ ციურ ებნებს წასკდათ ქვითინი?!.
უგრძნობელობის ლიპით გათოშილს
ჩამოერეცხა მკაცრი იერიც
და იგი მიხვდა: თავის სამწყოსში
სუფევდა ძალა მასზე ძლიერი!
ვერ ჩასწვდა მხოლოდ, თუ ბადაგებად
რამ გადმოღვარა ეს მწველი ალხი?!,
და ახლა იმის სურდა გაგება,
რას უწოდებდა ამ გრძნობას ხალხი?!.

— გურჯის ასულო, რა გქვია **შენა?** —
ჰკითხა თავადმა და იგრძნო ხელად,
რომ სიცოცხლეში ბაგენი მისნი
პირველად გახდა ღიმილის ღირსი...
— ლელა! — მოიჭრა პასუხი მკვახედ
და ქალმა განზე მიდრიკა თავი.
— რატომ მარიდებ, ძვირფასო, სახეს,
ჩემი სახელი თუ იცი? — ავი!
— სწორია, მაგრამ არც არის სწორი,
ავს — როდი, „დახი" ამღვრეულს
ნიშნავს.
თუ შეხვედრიხარ მრისხანე მორევს,
ჩემი სახელიც იქიდან იშვა.

ქალს გაუკვირდა: გუმანი მისი
როგორ დაემთხვა ბატონის ნათქვამს?!.
და უპასუხა ამაყი ზიზღით:
— ეგ სულერთია, სულერთი, რადგან,
სადაც ღამეა, იქ სიბნელეა,
გინდ მღვრიე გითქვამს, გინდა —
ბოროტი!..
— ვატყობ, უხემსოდ ღონე გელევა,
არა მგონია დარჩე ბოლომდი
ასე ცივი და მიუკარები.
ვბრძანებ, განაღონ ახლავ კარები,
დასთმო დილევდი გულშემზარავი,
დასთმო ეგ რაღაც ზრახვნი, ფალასი,
რომ დაამშვენო შენ სილამაზით
ჩემი განთქმული ყალა-სარაი!..
და დახმა სამჯერ დაჰკრა ხელი ხელს.
იმავ დროს, ვითა ჩრდილი, შეირხა
კარს უკან ერთი მხევალი ქალი,
რომელმაც ლელას მოხვია მკლავი
და გაიყვანა გარეთ ტაატით.

ეს მერამდენე ღამეს გაათევს
დახი უძილოდ და ბორგნეულად?!
ვერ იქნა, ვერაფრით გამოერკვეულა,
რა ჭირს, რა სახადს გადაეყარა?
თითქოს დაემხო ცა და ქვეყანა
და დაეუფლა სურვილი მქისე.
იხმო მცნობელი და გულყრის მიზეზს
უჩვეულო, პირადად აუწყებს იგიც:
— დიდო ბატონო, ნურაფერს გიკვირს,
უგუნებობამ თქვენსას მისუზე
სიყვარულია — უფაქიზესი,
გრძნობა სხვა ღვთიურ გრძნობათა
შორის.
მთელ სამშობლოში დაეძებდე ქალა...
აქ მცნობელმა თითქოს დაიწყო სიტყვა,
წელში მოიდრიკა და ასე დადისხმი
დარჩა მდუმარე და მოკრძალებული,
ვითარცა ზარი ჩამორეკილი.

— რა ჭირდებაო? — ჰკითხა თავადმა,
კარგად უწყოდა თუმცა თავადაც.
— ამბობენ, თითქოს გულს ნაღვლიანად
ტყვე ქალიშვილის უცხო მშვენება.
ო, ეს მშვენება ბრუნავს ვარდივით
თქვენსს სრა-სასახლეს მოამშვენებს.
გურჯისტანელი ქალების ქება
სიყრმიდან მესმის, ვხედავ ამადო,
მათი თვალების შავი ნათება
საფრთხილოც არის მეტად, თავადო.
დაუვიწყარი ღიმილი მათი,
სევდანარევი ღიმილი სათნო
მოფენილია ციური მადლით
და, როგორც ვხედავ, ქვის გულსაც
ადნობს!..
— ნუ გაიკრიფე ენად, მცნობელო,
ქვის გული მაინც ქვის გულად რჩება.
მაშ, ეგრე ცივი და უგრძნობელი
რად არის იგი, რად მეურჩება?!.
— დიდო ბატონო, არ გახსოვთ, განა
ამ ერთი თვის წინ... — გაჩუმდი,
კმარა! —
შეაწყვეტინა ბატონმა მცნობელს.

როგორ არ ახსოვს, გურჯების სოფელს
რა შიშის ზარად დაატყდნენ თავზე
დახი და მისი ავაზაკები;
ააწიოკეს, არბიეს, ძარცვეს
მშვიდობიანი ფაცხა-ბაგები.
და როს აჰკიდეს ცხენებს ალაფი —
ათასი ფუთი ნათალმ-ნალამზი
და გაბრუნებულნი მიჰყვნენ თადარიგს,
წინ გადაუდგა ერთი მოხუცი
და მიაძახა წარბებშეკრულმა შეით:
— ჩანს, სამართალი ღრმად დამარხულ არის,
ფუ, თქვენს კაცობას! — რაოდენ
მაძღარიც! —
შავრა ცხენიდან დახმა იფეთქა.
— მე მეფე ვარ, შენ კი — ყაჩაღი,
ვის შეიწყალებს სიკვდილი საღეჯი,
არც შენ შეგრჩება — სმა კვინტი,
ძაღლო! —
და მოიქნია თავადმა ხმალი.
მოხუცი იქვე დაეცა მკვდარი.
— მამა! — კივილმა გაჰკვეთა ახო,
სამალავიდან ყმაწვილი ქალი
მყის გამოიჭრა, ვითარცა ქარი
და მიეწყვეთა მამასთან სანამ,
— შეჰკარით! — ისევ თავადმა ბრძანა.
და ისიც შეიკრეს... ასე გაირჩა
ის დღე აწეულთა და თავგანულთა.

მომოგონებებმა შედღეგებულ ნაღვლს
ძლივს დააღწია თავი თავადმა.
ახლა პალატში ის ტყვე ელოდებს,
ვის გამოც გახდა იგი ავადა.

მაინც ვერ მოჰქნა და ვერ მოქონა,
თუმც ფარეშებიც ჰგზავნა სანდონი;
როგორ მოდრიკა გურჯის გოგონამ
ადიღეველთა ურჩი ბატონი?!
იცის, ლელასთვის მართლაც ძნელია,
რომ მამის მკვლელის გახდეს მეუღლე,
მაგრამ, ისიც ხომ საფიქრელია,
რომ ყოველგვარ წყლულს ყამი
შეუხვევს.

„ეგეც არ იყოს, — ფიქრობდა დახი, —
ჯერ სულ ნორჩია, როგორც ბიჟინა;
ერთბაშად ძალის მიტანა არ ღირს,
უნდა ვეფეროთ უფრო ხშირ-ხშირად.
რა ცოდოც მადევს და ვიცოდვილე,
ამ ერთმა ცოდვამ მოჰქნა უილბლოდ;
ეგეც არ იყოს, რა ვიცოდი მე,
ის მწყემსი ლელას მამა თუ იყო?!.
რაც გინდ გეენას შემრთონ საშინელს,
მზეც გამიხუნდეს და დამიღამდეს,
ჩემში ის მაინც აღმოვაჩინე,
რომ შემძლებია, ვინმე მიყვარდეს!..
ეგეც არ იყოს, სოფელს დარბეულს
ხომ დავუბრუნე ნაალაფევი?
არც ერთი ძროხა, ცხვარი თუ ცხენი
არ დაკლებიათ, საკუთრივ ძღვენიც
მიართვეს ჩემგან იმ სოფლის თავკაცს
და გულუხვობა ფრიადი, აქაც
გამოვიჩინე, ღმერთია მოწმე,
იგივე ღმერთი სირცხვილსაც
მომწმენდს“.

სულ სხვა წუხილი სტანჯავდა ლელას,
სხვა გეზი ჰქონდა და საფიქრალი;
სამაგიეროს ლოდინში ნელა
ვიდოდნენ დღენი... როგორც ფიქალი,
არავის იგი არ სცემდა ხმასა,
მხოლოდ ერთ ფარეშს გაეცნო ახლოს,
რომელსაც ძვირფასს შეჰპირდა
ფარღულს
ერთი უბრალო ლეკურის ფასად.
ახლაც დუმს იგი, დუმილს შერთვია,
მაგრამ, წინაპრებს თუ დავუჯერებთ,
სიმართლე სულის ბარომეტრია
და დუმილს, როგორც გრიგალს
უჩვენებს!..
რისხვის წამები წამებს მიება,
თითქოს ამ ქალში მოქცეულა ლამიზნს,
რაც ქვეყანაზე შურისძიება
არ ჩადენილა სიმხდალის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინავს პალატი ნაირფერებად,
როგორც მრისხანე დახის ხალათი.
ერთ სიცოცხლედ ღირს თვალის
შევლებაც,
ისე ზღაპრულად ბრწყინავს პალატი.
თითქოს სციოდეს ლელვანა ქსოვილს,
ხასხასებს ხასი, ცახცახებს მოვი,
ძოწეულსა და ლაჟვარდა ფერებს,
უქარო ქარი უხმოდ ამღერებს...
საბრალო ლელას ობოლი ცრემლიც
ბროლ-ბადახშს შორის ბრწყინავს
ფარულად;
დანთქმულა მისი ჰერხო და ჰერი
და მშობლიური მზეც გაპარულა...
არც ხსნა, არც რამე საესავია,
მარტო — დარდი და სასოწარკვეთა;
ეს მიწაც ქართვლის ნათესავია,
მაგრამ შორს არის ქართლი აქედან.
სიტკბოსაც მწარე გემო ხლებია,
სულ სხვაა მისი გრილი სოხანე,
ეს მთებიც მის მთებს ემოყვრებიან,
მაგრამ არა ჩანს ერთი მოყვარეც.
თანდათან თვალში უშრება ნამი
და შურისგების თრთოლვით ივსება;
ეძახის სისხლი მოხუცი მამის
და ნაოხარი სოფლის ღირსება.

რა განგიზრახავს, ქართველო ქალო,
თმა რომ დაგღვრია დაბლა ჩქერივით?
სიძულვილს თავი ვით ანაცვალო,
სიყვარულისთვის ხარ გაჩენილი.
რად მოითხოვე ფარჩა-მუარი,
რისთვის ირთვები ასე ბეჯითად?
ხომ მიახალე ბატონს უარი,
ამაო ვნებას რომ შეეჰიდა?!.
რად დაფაცურდნენ პირისფარეშნი,
ვით ერთი, ყველა გივლის ალერსით.
არ მოელოდა ამას არავინ,
მთლად ფეხზე დადგა ყალა-სარაი.
რა გადაწყვიტე, რა მოიაზრე
ყველაფრის მომსპობ დროთა
სრბოლაში?
შენ მარტო დარჩი ბედის წინაშე
ამ უკანასკნელ ორთაბრძოლაში.

— მე თანახმა ვარ! — მართლა,
გოგონი? —
ისევ ჩაჰკითხავს ნელა, ფარეში;
ეს აღარ ჰგავდა ამბავს მოგონილს, —
ცეცხლი ცეკვავდა ლელას თვალებში!..
— მზადა ვარ-მეთქი, დახს ცოლად
გავყვე,
თუკი შევფერი მის მაღალ სახელს! —
გაუმეორა მოახლეს ლელამ
და ბოლთის ცემას შეუდგა ხელად.

— ის თანახმაა! — კარისკაცებმა
ჩაუჩურჩულეს ერთურთს ქირქილით;
— ის თანახმაა! — აიტაცებენ
ვითარცა ექოს, ბჭენიც ქვითკირის.
— ის თანახმაა! — გადასარევი
დახს მიემადლა ზნე და გუნება;
— ის თანახმაა! — ყალა-სარაიმ
ზადიკით ამცნო დედაბუნებას.
უკვე სულს ლაფავს ღამე ნაისრი
და უგალდება ფერი ყოველ წამს;
ჩუგუშის მთაზე დადგა აისი
და მთისწინეთის ველი მოვერცხლა.
ზეცა ისეა ჩამოდაბლული,
გადამხობია ლამის შიშველ მთებს
და ქარახვეტის ნისლში დაფლული
სველი ტყეები თვალებს იფშვნეტენ.
დაცურდა სხივი და დაფაცურდა,
სითბო ფესვიდან იგრძნო მწვანემა;
ჩობანმაც ბუკით დაადასტურა
აღილეური დღის მობრძანება.
წამებსლოა ითვლის ჟამი განკითხვის,
სცივა მიწასაც, წუხელ მოთქორილს.
მთვარე რომ ცაში საფლავს გაითხრის,
ქვრივივით დგება მზეც შემოდგომის.
სამარადისო დამმობილებით
დედაბუნება ყოველთვის ცდილობს
მიესადაგოს და დაეწყვილოს
ადამიანის განწყობილებას,
რადგან თრთოლვაა იგი ბუნების
და არც ბუნება უდგას მას მონად
და ერთმანეთის მიზიდულებით
ქმნიან ერთ მძლავრ და სრულ
ჰარმონიას.

გალავნის გასწვრივ, ეკვდერის ახლოს,
ნევატივებად ჩანან ცხენები...
ჩემო მკითხველო, როგორც გენებოთ,
მაგრამ მე ძალმიძს, რომ ხელი ვახლო
შურისძიების იდუმალ სიმებს
და ძარღვებივით ვათრთოლო იგი,
ბოროტს მივუზღო სასჯელი მძიმე
და არ შევშალო წესი და რიგი,
რაიც ლეგენდებს ჩვენამდის მოაქვთ...
ჩემო მკითხველო, ახლა კი დროა,
მივდიოთ დახის ვნებიან ფიქრებს,
გოროზი საქმრო მზად არის იქნებ?!.

აგერა, ისიც, ძვირფას სამოსში
გამოწყობილი თავადი დახი,
მოდის, მოფშვინავს კმაყოფილ სახით
და მხრებით მოაქვს წელი სამოცი,
თუმცა არ უჩანს ერთი ნაოჭიც,
ასეა, როცა ღმერთი გამოგჭრის
თავის ფარგალში... იცით თავადაც,
ყველა უბადრუკს მოჰქნის ავადა
ცხოვრება მძიმე და უბადრუკი,
როცა ძლივს ბჟუტავს შენი პატრუქი.

დახს არ დასჭირდა კაკუნი კარზე,
ქალიშვილს ოდნავ მოეღო კარი.
„საქმროს“ შემოსვლას ელოდა ასე,
ყელმოღერებით სარკმელთან მდგარი.
ზურგს უკან ეწყო ორივე ხელი,
ესოდენ სათნო, ესოდენ თხელი.
მარჯვენა ხელში სიკვდილი ეპყრა
და სიცოცხლესთან ჩქარობდა შეყრას...
აჰა, თავადიც შედის ოთახში,
მინებებული ბედის მოძახილს.
დრო მოუმწიფდათ „ძალად
მიჯნურებს“,
რომ წარმოეთქვათ სიტყვა პირველი;
ჯერ კი მათ შორის ეგდო სიჩუმე,
როგორც დიდი და შავი ფრინველი...
და ის მანძილი, მათ ჰყოფდა რაიც,
წუთში გაზომეს თორმეტჯერ მაინც...
— როგორ გეძინათ? — ჰკითხა თავადმა.
— გმადლობთ, თავადო! — თითქოს
ავად ვარ!“ —
შორით მოისმა ქალის პასუხი.
მის ყოველ სიტყვას დახი თავს უხრის.
თან ფიქრობს: „ესეც ახალი ხერხი,
არ ჩაგივათ, ეშმაკო, ფეხი“.
— წინდახედული ყოფილხართ, ლელა,
უფრო ჭკვიანიც, ვიდრე მეგონა! —
თქვა და ლელასკენ დაიძრა ნელა,

თვალში ჩახედა და... ჩაეკონა.
ქალმა გაუძლო წამიერ ტანჯვას,
მერე კი ფერდში დაჰკრა ხანჯალი.
ამ მარჯვე მომენტს სულ დაახარჯა
რა ძალაც ჰქონდა დასახარჯავი.
კარგად ცოდნია თავის გზა ხანჯალს,
თითქოს შეცურდა სხეულში რბილად...
დახს კი გაღებულ თვალს მიღმა დარჩა
გაოცება და... უკმური დილა.

ლელა ეზოში ჩავიდა დინჯად
თეთრი კაბით და თეთრი თავსაფრით.
ფარული მზერით გარემოს სინჯავს
ყურმახვილი და ერთობ თვალსწრაფი.
ტალავრის თავზე ბულბულის ყელი
სიყვარულს ჰყეფდა გულამოსკვნითა...
ლელამ ეკვდერთან მიბმული ცხენი
ახსნა და მიწას უმალ მოსხლიტა.
ჯუჯა მერემემ მყისვე იაზრა:
— საფრთხე ან მოხდა, ან უნდა მოხდეს!
იმავ დროს ბანზეც ატყდა გნიასი:
— თავადი მოჰკლეს! თავადი მოჰკლეს!
ღვარივით მოსკდა ხალხის ღრიალი,
(ზოგმა სიამეც იგრძნო შეფარვით).
კბილთა ღრჭიალით, და ხმლის
ტრიალით
სულ მალე მიჰყვა ლტოლვილს მდევარი.
მაგრამ ეს რაა? — წინ ფრიალო ჩანს,
ხოლო მის ძირში მდინარე ღელავს;
ქროლვის დროს ერთი ფიქრი გამორჩა
და შეეშალა ბილიკი ლელას.
ზურგს უკან მდევრის სუნთქვა მოესმა,
„ცხენს მაინც ფეხი რამ დაუბორკა?!.“
გაფრენის ნდომამ უამოესმა
აუვსო გული და აუბორგა.
წინ — ფრიალო და უკან — მდევარი,
გზა და საშველი არ ჩანს მესამე;
ანთია ლელას თვალთა ელვარი,
ცხენის თვალებიც ელვას კვესავენ.
„გულო, გასკდი და გათავდი ბარემ!“—
გზა მორჩა. მხოლოდ სივრცეს
გასცქეროს.
უკანდახევის სინანულს მწარეს
ჯობს გადაფრენა უკანასკნელი!..
და გადაეშვა ფრიალო ბანით
ორი დობილი — ქალი და ცხენი...
ასე თავდება ეს სევდიანი
ადილეური ამბავი ძველი.
წარვიდნენ დრონი. ცხოვრების სახრე
ცოტად თუ ბევრად გადასწვდა ყველას;
გმირის სახელმაც იცვალა სახე
და „ლელა“ სოფელს შემორჩა „ბელად“.
...ქალის გვამიო,—ასკვნის ლეგენდა, —
გამორიყული ნახეს გლეხებმა
და მიაბარეს პატივით მიწას,
ხოლო, მდინარეს უწოდეს „ბელა“.
ამ სახელს იგი აქამდე იცავს,
ამ სახელითვე მას იცნობს ყველა.
არც თავადია დავიწყებული,
უძლებს ჟამთასვლას, სიცივეს, სიცხეს;
მდინარის პირას დამიწებული
დახის სახელიც მდინარეს მისცეს.

მიედინება მას მერე ბელა
და ჭრელ ყვავილებს ახარებს ველად.
მიედინება მას მერე დახი
და მღვრიე შხეფებს ეკლნარებს
აღვრის...
ხოლო, იქ, სადაც წმინდა წყალს
ერთვის,
გიჟირს გარჩევა შავის და თეთრის.
მას მერე კეთილს მოსდევს ბოროტი,
მაგრამ არ ყოფნის ღონე ბოლომდი
და იკარგება კამკამა წყალში...
სიკეთის მირონს რა ძალა წაშლის?!.
ცხოვრება მაინც ერთი გზით მიდის
და ერთ წისქვილში თავს უყრის
ყველას;
დროით სრულდება აღება მიცემის,
დროით ნათობს და დროითვე ბნელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# მოთხრობები

## მხატვარი

### 1

მხატვარი ჟანას ხატავდა. პატარა ოთახში, რომლის ერთადერთი სარკმლიდან მთელი თბილისი ჩანდა, პაპიროსის კვამლი იდგა.

ჟანა პირმრგვალი, ჩასუქებული, ლამაზი ქალი იყო. რამდენიმე წლის წინ ისინი ზღვაზე, მახინჯაურში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ჟანა მოქანცული, ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა ჰორიზონტს და მაბეზარა ბიჭებს ბუზებივით იგერიებდა. მხატვარი კი შორიახლო იდგა და კენჭებს ისროდა ზღვაში. ნამით მათი მზერა ერთმანეთს შეეჯარა, და მას შემდეგ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მოფრინავდა ჟანა კიევიდან თბილისში.

დივანზე ძაღლს ეძინა, შავ, პატარა ბრაზიან ძაღლს. დაბალ სამფეხა მაგიდაზე ლუდის ორი კათხა, ოთხი სირჩა და ნახევრად სავსე კონიაკის ბოთლი იდგა.

ჟანას შავი დიდრონი თვალები ჰქონდა, დიდი ქალი იყო. მაგრამ ქალური კდემამოსილება, სინაზე და სიახალგაზრდავე დაკარგული არ ჰქონდა. უყვარდა ხიცილი, ბურზაური, და მასთან დროს ტარება ხაინტერესო გახლდათ.

მესამე დღე ხატავდა უკვე ჟანას დავითი. სარკმელში თავი შემოეყო აკაციის ტოტს. მხატვარი უხმოდ უსვამდა ტილოზე ფუნჯს.

— დივანზე დაჯექი, — მითხრა ისე, რომ ჩემსკენ არც კი გამოუხედავს.

ჩემი დანახვა ესიამოვნა ჟანას. ღიმილისაგან ლოყები ჩაეჩრუტნა.

ოთახი, სადაც ხატავდა, მუდამ არეული იყო. სკამებზე მხატვრის პერანგები და საცვლები ეყარა. მტვრიან იატაკზე დაუმთავრებელი სურათები ეწყო.

ჟანა დაბალ სკამზე იჯდა. მოკლე კაბა ეცვა და მომრგვალო ლამაზი მუხლისთავები მოუჩანდა. ეს იყო და ეს. არწმუნებდნენ, რომ თუ შიშველი დათანხმდებოდა დახატვას, საუკეთესო სურათი გამოვიდოდა — კიეველი მონა ლიზა, ან უკრაინელი მადონა. უარეს შემთხვევაში, გუდიაშვილის შიშველი ქალი. მაგრამ ჟანა უარზე იდგა. არც დავითი ჩააცივდებოდა ხოლმე, მაინცდამაინც, თორემ ალბათ მიაღწევდა თავისას. მას შესწევდა ძალა დაემორჩილებინა ქალი ერთი საათით, ერთი დღით და ერთი თვითაც კი.

როდესაც ვინმე მოეწონებოდა, თვალებში საიდანღაც ნაპერწკლები უჩნდებოდა. მაშინ მხატვარი მიმზიდველი ხდებოდა.

ჟანას მობეზრდა გაუნძრევლად ჯდომა, მაგრამ წარბის შეტოკებასაც კი ვერ ბედავდა. მორჩილება მოსწონდა კიდეც. ეს მსხვერპლის გალებას ჰგავდა. აზრი, რომ ძვირფასი ადამიანისათვის იტანჯებოდა, ხიბლავდა და ამყუროებდა.

მხატვარმა პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა.

— პაპიროსი მეც მინდა, — თქვა ჟანამ.

მაგრამ მხატვარმა ყურადღება არ მიაქცია და ხატვა განაგრძო.

დავითი დაბალი კაცი იყო. მაგრამ ძველ რომაელებს, რომელთა საშუალო სიმაღლე ალბათ დაახლოებით 160 სმ უდრიდა, საკმაოდ სჭარბობდა. ხატვის გარდა თითქმის არაფრით არ იყო გატაცებული. ფული კი არასოდეს გააჩნდა. მრგვალი სახე ჰქონდა და ამხანაგები წვერის გაშვებას ურჩევდნენ. ეს მიმზიდველი და იმპოზანტურიც იქნებოდა. ქართველი მხატვრები ცდებიან, წვერულვაშს რომ არ იზრდიან.

ახლა მხატვარი თავისუფალი იყო. ეს სინამდვილე გახლდათ, არცერთ ადამიანთან აღარ იყო დაკავშირებული მტკიცედ. მაგრამ თავისუფლება რაღაც ფასად მაინც დაუჯდა, რადგან სამი წელიწადი ებრძოდა თავს, წარსულსა და გრძნობებს. ოღონდ ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული. მას უნდა გაემარჯვა. შედეგი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. თუმცა მაინცდამაინც საინტერესო არ უნდა იყოს შედეგი, როცა მხოლოდ ორი გამოსავალი რჩება: ან მარცხი ან წარმატება, ან ქრება ადამიანი, ან თვითკმაყოფილ ინდაურს ემსგავსება. გზა ამ „შედეგამდის" კი მოულოდნელობითაა სავსე. ამ ძნელ გზაზე ხვდება პირველად კაცი თავის თავს. მაშინ ირკვევა, აქვს თუ არა იმდენი გამბედაობა, რომ გაუსწოროს თვალი თავის ორეულს, შერჩა თუ არა კიდევ შიშის, ნაღვლისა და სირცხვილის გრძნობა. თუ საბოლოოდ ვამოიფიტა და ყველაფერი ის, რასაც გზადაგზა ჰკარგავდა, თითქოს წვრილმანსა და უმნიშვნელოს, აღარ აღელვებს, აღარ უშფოთებს ძილს. შეიძლება ვაჟკაცი იყოს, შეიძლება მხოლოდ არამზადა, რადგან ყოველთვის ერთი ვიღაც გმირად იბადება ამ ქვეყნად, მეორე ავაზაკად, ხოლო მესამე კი არაფრად. მაგრამ ზოროტებაზე და სიკვდილზე უარესი ალბათ მაინც ხელოვნება და ქიმერაა.

როდესაც ისინი, დავითი და ესმა დაქორწინდნენ, წვიმდა. ფანჯრები დაბურული და წვიმა ირიბად ესხურებოდა სარკმელს. ღია იდგა რუხი. ჩვენ კი საზეიმო განწყობილება გვქონდა. მაგიდასთან ახლად დაქორწინებულები, მხატვრის დედა, ძმები, ესმას ორი მეგობარი გოგონა და მე ვისხედით. ესმას მეგობრებს ცხელი ჩამოუშვათ და იატაკს მიშტერებოდნენ. სხვანაირად წარმოედგინათ ქორწილი. მუშმუშა სასმელები, ღვინო, ყანწები, მხარბეჭიანი ბიჭები და აურზაური. მაგრამ დროდადრო იღიმებოდნენ და კიდევ უფრო ემსგავსებოდნენ გალურსულ ქათმებს. მერე მხატვარმა მაგნიტოფონის მეათე კონცერტი დაუკრა და გოგონებს სიცილი წასკდათ. გაიღიმა დაკითმაც. ჩვენც გავიცინეთ. იმ საღამოს მხოლოდ ნაპერწკლებს ისროდა მხატვარი თვალთაგან. ოღონდ ეს უბრალო გატაცება არ ყოფილა. მას უყვარდა ესმა.

შემდეგ, როდესაც დაშორდნენ, კიდევ დიდხანს იგონებდა ამ ქალს, ალბათ სამი ან ოთხი წლის განმავლობაში. ამ ბრძოლაში, უსამართლო ბრძოლაში თითქმის უმწიკვლო და გამარჯვებული გამოვიდა მხატვარი; თითქმის, რადგან პირველ თვეებში საშინლად ილანძღებოდა და იფურთხებოდა. იმ ხანებში მხოლოდ ესმას გინებით იყო გატაცებული და საუბარში მის სიყვარულს უარყოფდა.

მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. სინამდვილეში სამი, ოთხი წელი ებრძოდა ამ გრძნობას, გარდამავალი წარმატებით იგერიებდა მას. ხან სასოწარკვეთილება იპყრობდა, ხან ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი დასრულდა, ჩაბარდა წარსულს. უძილო ღამეები არ ჰქონია, მაგრამ დანარჩენი დრო ესმას ეპყრო. ზოგჯერ ღვინოს ეტანებოდა და მაშინ რამდენიმე საათით თავისუფლებას იხვეჭდა. მაგრამ მეორე დღეს კიდევ უფრო დაღვრემილი ჩანდა და კრინტს არ ძრავდა. შეიძლება მისი ცხოვრება იმ პერიოდში მართლაც ჰგავდა პატარა ჯოჯოხეთს. მაგრამ როდესაც ჯანმრთელი ადამიანი იტანჯება, განა ნამდვილი ცხოვრებაც მაშინ არ იწყება? ასე ვფიქრობდი მეც.

განშორებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მხატვარმა ისევ მოჰკიდა ხელი ფუნჯს. ახლა უკვე აღარ ლანძღავდა ესმას, თითქოს წყალმა წაიღო ყველაფერი. მაგრამ სინამდვილეში კიდევ დიდხანს იგონებდა ძილის წინ მის სხეულს, ტუჩებს, წვივებსა და უცნაურ გამოხედვას. მართლაც, მას საოცარი გამოხედვა ჰქონდა. მხატვარი და მე ასე ვიყავით დარწმუნებულები.

სარემონტო კანტორაში ვმუშაობ ინჟინრად. არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მხოლოდ ხელფასზე ცხოვრობენ. მხატვრისაგან განსხვავებით, ფული მიყვარს. სხვა ადამიანებისგან განსხვავებით კი ამ სიყვარულს, მიდრეკილებას არასოდეს ვმალავ. ერთხელ ეს საჯარო კრებაზეც განვაცხადე, რისთვისაც საყვედური გამომიცხადეს. ამის გამო კანტორის უფროსი მომიახლოვდა და მხარზე დამკრა ხელი. — ჩვენც გვიყვარს ფული, ყველას უყვარს ფული. ოღონდ რა საჭიროა Y.etranger-ის როლის თამაში, — თქვა მან.

გამიკვირდა. პირდაპირ შევხედე ცნობისმოყვარე თვალებით.

— ნუთუ თქვენ იცნობთ ალბერ კამიუს? — ვკითხე მას.

გაიცინა და გამშორდა. გამიკვირდა, რადგან ფსიქოანალიზით, პარაფსიქოლოგიითა და სოციოლოგიით ვარ გატაცებული და შემიძლია ერთი საუბრის შემდეგ აზრი გამოვთქვა

მოსაუბრეზე, დავინახო მისი სულიერი სამყარო, ვთქვა, თუ რა აწუხებს, რაზე ფიქრობს, რა წარმოადგენს მის მრწამსს. გამიკვირდა — დღემდე აზრადაც არ მომდიოდა, რომ კაცს, რომელიც უამრავ ფულს შოულობდა, რომელსაც თითქოს ყოველდღე ვხვდებოდი, არ ვიცნობდი. მაგრამ მხატვარი, რომელიც ხატვასა და ცნობიერებას „ვოლგაზე" და ავეჯზე წინ აყენებდა, კარგად მყავდა შესწავლილი. იდეალისტები საშიშნი არიან ადამიანებისათვის. მათი ნიადაგი უკმაყოფილებით, ურწმუნოებით, მოუდრეკლობით, ძიებითა და მოუსვენრობით „ნოყიერდება". ვიდექი სათანადო მანძილზე მისგან და ყველაფერს უნდობელი თვალით ვუყურებდი.

## 2

მხატვრის დას, პატარა ელენეს, მალე ექვსი წელი შეუსრულდება.

ერთხელ, შემოდგომის ერთ მოწყენილ დღეს, მარტონი დავრჩით სახლში. მაინცდამაინც არ მოვწონდი. შეიძლება ვეჯავრებოდი კიდეც, რადგან გრძნობდა ჩემს დამოკიდებულებას მხატვრისადმი.

— გინდა ვითამაშოთ? — ვკითხე მას.

მაღლა ასწია თავი და უნდობლობით გამომხედა. მოწყენილი იჯდა დივანზე და დედას ელოდებოდა. ფეხებსაც კი არ ათამაშებდა. მიშტერებოდა იატაკს და ფიქრობდა. უკვე იგრძნობოდა ქალი ამ პატარა გოგონაში. ვის გადაელობება, როცა გაიზრდება? რამდენი მამაკაცის სურვილი გახდება?

— მაშ ასე, — ვუთხარი მას, — როდესაც პატარა ვიყავი, სათამაშო ორთქლმავალზე ვოცნებობდი. მაგრამ მაშინ ორთქლმავლები არ იშოვნებოდა, ან ზღაპრული ფასი ედოთ... ეს სურვილი კი აქნობამდის გამომყვა... მოდი, რაც იქნება იქნება, შენი რკინიგზა გავაწყოთ.

გამიღიმა და მეორე ოთახში გავიდა სათამაშოს გამოსატანად. რამდენიმე ხანში რკინიგზა ავაწყეთ და მასზე მატარებელი გავუშვით.

შავი წარბები აქვს და ჰგავს და არც ჰგავს მხატვარს. დაჯილდოებულია მონიფული ქალის სიჯიუტით და ლოდინს უკვე შეჩვეულია. ხან ელოდება დედას, ხან ძმას, რომელიც დედაზე ნაკლებ არ უნდა უყვარდეს. ბევრი რამ გაურკვეველია ჩემთვის. რატომ უყვარს ყველას ეს ცივი კაცი: დედას, დას, ჟანას, და თავის დროზე ესმასაც რატომ უყვარდა? რით დაიმსახურა? საინტერესოა, სიყვარულის სანაცვლოდ რას აძლევს სხვებს? შეიძლება მისი მხოლოდ არსებობა, სიახლოვე, მათთვის უკვე ყველაფერია: ბედნიერება, ბედიც და გამარჯვებაც. შეიძლება მისი ერთი გამოხედვა ან გაღიმება მათთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც სხვა დედაკაცისათვის ძვირფასი ბენვეული თუ ოქრო? ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ღიმილი, თუ სხვა ამის მსგავსი არამატერიალური რამ, ფულზე მეტად ფასობდეს.

მატარებელი წრეს უვლის. ელენეს თვალებიც მისდევენ მას. სადგურთან ელმავალი ყირავდება.

— ხომ მოგენატრა ესმა?

ყურადღებას არ მაქცევს. გადაბრუნებული ორთქლმავლის ლიანდაგზე დაყენებას ცდილობს.

— ვერ ხედავ, თავი რომ ვერ მოვაბი საქმეს?

— მარჯვნივ მოსწიე, — ვეუბნები, — და საქმეც დამში მოვა.

— ასე?

— მომეშვი, რა მოუქნელი ხელები გქონია, — ვეუბნები და ორთქლმავალს ლიანდაგზე ვაყენებ.

შემდეგ მეკითხება:

— რატომ წავიდა ესმა?

— ასეც ხდება.

უცებ იგი ამბობს:

— მე ესმაზე ლამაზი ვარ.

ამ აზრს, ესე იგი, რომ ლამაზია, სხვა ადამიანები უნერგავენ. მაგრამ ეს თვითონაც იგრძნო უკვე. ეს თანდაყოლილი ალღოა, არასოდეს ულალატებს. ამ უპირატესობას უხმოდ, ღირსეულად გამოიყენებს, რადგან თავისთავად მეტყველებენ მისი თვალები, თეთრი კანი და გრძელი წამწამები. ისინი მოუხვეჭენ სახელს და ოციოდე წლით, თუ მეტით არა, გააბატონებენ დედამიწაზე.

— დავითმა ცოლი უნდა შეირთოს.

დედის სიტყვებს იმეორებდა. თავისი აზრი არც მერე ექნება. როგორც პარაფსიქოლოგმა, ვიცოდი ეს. თუმცა ის ორგანო, სადაც აზრები იბადება, მაინცდამაინც არ დასჭირდება. სხვები იფიქრებენ მის მაგივრად. იგი კი შთაგონების წყარო იქნება, როგორც მზე, ზღვა და ტყემალი ან ალუჩა.

საბავშვო ბაღში არ დაჰყავთ. ტოლებს ერიდება. დედისა და ძმის საზოგადოებას ამჯობინებს მათ. ერთი წლის არც იქნებოდა, როცა მამა მოუკვდა. ამ თვითდაჯერებულ კაცს კარგად ვიცნობდი. თითქოს უცხო, თუ რაღაც ზედმეტი იყო ამ ოჯახში. შემთხვევის შედეგად, უნდოდა თუ არა, წავიდა მათგან სამუდამოდ. თვალწინ მიდგება ჩასუქებული საშუალო სიმაღლის მამაკაცი. იგი გატაცებული იყო საკუთარ თავზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვით. მაგრამ „ვიღაცამ" მაინც სეირი უყო. ერთხელ ჩაჯდა თვითმფრინავში და დაიღუპა. თვითმფრინავი აეროდრომზე დაშვებისას აფეთქდა. ელენეს მამა არ ახსოვდა. იქნებ მამის სიყვარული ძმაზე გადაიტანა?

ელენეს ყველა იცნობს თავის ქუჩაზე. ზოგიერთ ადამიანში იგი უკვე ინვევს შურს. მაგრამ ფარულად მაინც თაყვანს სცემენ. ბევრმა მისი სახელიც იცის. ელენე. მართალია, იგი ჯერ კიდევ სულ პატარა ტალღაა, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ამ ტალღას სახლის, მთელი ქალაქის ნალეკვაც შეეძლება. ამას გრძნობენ, ამიტომ თაყვანს სცემენ ჩუმად, მტკივნეულად. მერე არავის დაემორჩილება. ჩინეთის იმპერატორი, თუ ამერიკის პრეზიდენტი მისთვის ცარიელი ტიკინა იქნება. მხოლოდ ერთი ადამიანის წინაშე დახრის თავს მორჩილად. ერთი ეყოლება კერპად და ვერავითარი სხვა ძალა ვერ ჩააქრობს, ვერ შეანელებს მის სიყვარულს დავითისადმი, იმ კაცისადმი, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია და რომლის კეთილდღეობა ჩემში ზოგჯერ სევდასა და მწუხარებას ინვევს.

ელენემ შორიდანვე იცნო ძმის ფეხის ხმა და ზეზე წამოიჭრა. ოთახში შემოსულ მხატვარს ღიმილით შეხვდა.

3

გადიოდა დრო. ახლოვდებოდა დღე, როდესაც მხატვართა საშემოდგომო გამოფენა უნდა გახსნილიყო. გამოფენაში დავითიც იღებდა მონაწილეობას.

ერთხელ ავლაბარში ესმას მოვკარი თვალი. გაახალგაზრდავებული ჩანდა. ყოველშემთხვევაში, ალბათ ღონეს არ იშურებდა, რათა სხვებს მაინც ასე ეფიქრათ.

დავითის ნახატებს მაინცდამაინც არ აფასებდნენ სპეციალისტები. როგორც მხატვარი, თითქმის უცნობი იყო. ის კი გატაცებით ხატავდა. ხატავდა ქალებს, მამაკაცებს, ბავშვებს, მთებს, ზღვასა და ველებს. მაგრამ ეს სიჯიუტე მომხიბვლელი არ უნდა ყოფილიყო. ამ სიჯიუტის მიღმა, როგორც ფარდის უკან, რაღაც იმალებოდა: ეს „რაღაც" შეიძლება მართლაც რაღაც ღირსეული ყოფილიყო. მაგრამ შესაძლებლობას ვერ მიენდობა ქალი. მითუმეტეს, თუ არ უნდა ესმოდეს მამაკაცის. მართალია, ესმა ბევრს არ მოითხოვდა, მაგრამ გარანტია უნდოდა, რომ მომავალში, როდესაც ჩაქრება მისი თვალთა ელვარება და ნაოჭებით დაღარება სახე, საფიქრებელი აღარ ჰქონდეს ბინაზე, ავეჯზე და საჭმელზე. მაშინ დავითი უმტკიცებდა, რომ ცნობიერება პირველადია...

და ესმა მისგან წავიდა.

ორშაბათი, სამშაბათი... კვირას გამოფენა იხსნებოდა.

კვირა დღეს გამოფენა კულტურის მინისტრმა გახსნა. თმაშეღებილმა მოკლეკაბიანმა გოგონამ თქვა: „ინებეთ" და თეფში გაუწოდა მინისტრს. მინისტრმა თეფშიდან მაკრატელი აიღო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ლენტი გაჭრა. დამსწრე საზოგადოებამ ტაში დაუკრა. მინისტრმა მაკრატელი ისევ თეფშზე დადო და დარბაზში შევიდა. მაშინ ჩვენც მოგვეცა საშუალება გამოფენის დათვალიერებისა.

დავითის ამ სურათს, რომელიც გამოფენაზე წარმოედგინა, პირველად ვხედავდი. იმერეთის პეიზაჟი დაეხატა. წოწოლა გორები, მდელოები, ხეები და ნაკადული. ეს სურათი მის სხვა ნამუშევრებს არ ჰგავდა. შემდეგ ამის შესახებ ერთმა კრიტიკოსმაც აღნიშნა. რაღაც ფარული, ამაღელვებელი იგრძნობოდა მასში. მაგრამ როგორც პარაფსიქოლოგი, სულ სხვა მომენტმა დამაინტერესა. სურათის პირდაპირ ჩამოვჯექი სკამზე და ხელები მუხლებზე დავინყე. ვგრძნობდი, რომ სულ მალე რაღაცას აღმოვაჩენდი, მნიშვნელოვანს, საიდუმლოებით მოცულს. ამიტომ თვალს არ ვაშორებდი დავითის სურათს... უცებ მივხვდი: ესმა არ წასულა მისგან, ეს მხატვარმა აიძულა, რომ გაქცეულიყო. განგებ გადადგა ეს საშინელი ნაბიჯი მხატვარმა.

ყველანი მოვტყუვდით, მათ შორის ესმაც და მეც. დაშორება გაუჭირდებოდა. ეს იცოდა, ამიტომაც გადადგა ასეთი ნაბიჯი. ალბათ ყური ჰქონდა მოკრული, რომ ნამდვილი ხელოვნება იბადება შიმშილის, ტანჯვის, სიყვარულისა და სიკვდილის გვერდით. ვერ წარმოედგინა სიცოცხლე სალებავების, ტილოსა და ფუნჯის გარეშე. ხოლო თავის ნიჭში შეიძლება უკვე ეპარებოდა ეჭვი. ამიტომაც შეაგდო ბედი სასწორზე. ამ ფაქტში ერთმანეთში იყო არეული — უაზრობა, სასოწარკვეთა, წვრილმანობა და გამბედაობა. ვუყურებდი მის სურათს და ჩემს თავზე ვფიქრობდი. ამ სურათმა სევდა მომგვარა. პარაფსიქოლოგი ჩემგან ვერ გამოვიდა. ადამიანის გულები ვერ დავიპყარი. ხოლო ცხოვრება წვრილმანი წარმატებებით და დათმობებით იყო აღსავსე, და მათ შორის არცერთი ღირსეული, დიადი გამარჯვება! ვუყურებდი და ვფიქრობდი ამქვეყნიურ უსამართლობაზე, ყოველდღიურობაზე, ჩვეულებრიობაზე.

მხატვრის ნაცნობებს სურათი მოეწონათ.

მაგრამ ერთმა გარემოებამ დიდად შეუშალა ხელი მის აღიარებას. საქმე ის იყო, რომ დავითის სურათის გვერდით ვიღაც შიშველი, ტახტზე წამოწოლილი დედაკაცის სურათი ეკიდა. დედაკაცს ჰიპერტროფიული ძუძუები ჰქონდა და მნახველების ყურადღებას იპყრობდა. მის წინ ერთი წუთით მინისტრიც შეყოყმანდა. ამ სურათმა შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის საზოგადოებაზე.

ერთხელ საღამოთი შევიარე გამოფენაზე. ისევ უამრავი ხალხი იდგა ამ სურათის წინ. ხანშიშესული დარბაისელი მამაკაცი გატაცე-

ბით ლაპარაკობდა. მან თქვა, რომ ეს სურათი აუცილებლად გაუძლიერებდა სქესობრივ ლტოლვას მამაკაცებს. ორატორს მხოლოდ ორი კახელი ვაჟი არ უგდებდა ყურს. გაშტერებულნი შესცქეროდნენ სურათს.

სურათის წარმატებას ავტორის პიროვნებაც უწყობდა ხელს. ამ სურათის მხატვარი მაღალი, შავწვერებიანი და გრძელთმიანი ახალგაზრდა ვაჟი მუდამ დარბაზის კუთხეში იდგა ჩაფიქრებული და მდუმარე. ადონაის ჰგავს, მითხრა ერთმა ნაცნობმა ქალმა. მხატვრის უძრავ თვალებში გაწურჩევლობა ჩაღვრილიყო. ხოლო ახალგაზრდა ნაძვებივით ტანწერწეტა გოგონები, რომელთაც შიშველი ქალი მაინცდამაინც არ აინტერესებდათ, ჩუმჩუმად იყურებოდნენ მაცდური სურათის ავტორისაკენ.

ასე დაჩრდილა „შიშველმა ქალმა“ დავითის სურათი. მაგრამ მხატვარს ღირსეულად ეჭირა თავი. სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. მიხვდა, რომ პეიზაჟი, თუნდაც საყვარელი იმერეთის პეიზაჟი, ვერასოდეს გაიმარჯვებდა შიშველ ქალთან ორთაბრძოლაში. დროებით ისევ დაემორჩილა ბედს. მაგრამ შემთხვევითობა მაინც ხშირად თამაშობდა გადამწყვეტ როლს ამ კაცის ცხოვრებაში. მისი მომავალი ისევ ბურუსით იყო მოცული. შეიძლება ვერაფერს მიაღწიოს ცხოვრებაში, მაგრამ შეიძლება გაუმართლდეს კიდეც. მთავარი ეს არ იყო. მთავარი ის იყო, რომ იგი იმ გამონაკლის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ, რაც სიამოვნებას გვრით და არა იმას, რასაც მათგან სხვები მოითხოვენ.

შემოდგომის ერთ დილას კიევიდან ჟანა ჩამოფრინდა. აეროდრომზე მხატვარი დახვდა. სამ საათზე კი გამოფენის დარბაზში შევედით. გარეთ ცივი ქარი ჰქროდა.

— სად არის თქვენი განთქმული სამხრეთის მზე? — იკითხა ჟანამ.

დარბაზში ხალხი დიდხანს ყოვნდებოდა. ჩვენ დავითის სურათის წინ შევჩერდით. ჟანამ მაშინვე შეამჩნია საბედისწერო სურათიც.

— მაპატიე, — უთხრა შემდეგ მხატვარს. ხოლო მაშინ მე მომიბრუნდა და მითხრა: — ამ ქალს ჯიბეში ჩავისვამდი.

დავაკვირდი. ალბათ არ ტყუოდა, რაღაც მსგავსებაც კი იყო მათ შორის.

გამოფენიდან დავითს გავყევით შინ. ელენე და დედამისი ცივად შეხვდნენ სტუმარს. მაგრამ ჟანამ ყურადღება არ მიაქცია მათ და როდესაც დავითის ოთახში განვმარტოვდით, გაშიშვლდა და დივანზე წამოწვა. დავითმა პიჯაკი სკამზე მიაგდო და მკლავები დაიკაპიწა. შემდეგ კათხაში ლუდი დაისხა და მოსვა. თვალს არ აშორებდა ჟანას. მე სავარძელში ჩავჯექი.

— ასე ივარგებს? — იკითხა ჟანამ და ერთი ხელი თავქვეშ ამოიდო.

დავითმა ყალიონი დატენა.

— წვერის მოშვებაც არ დაგავიწყდეს, — უთხრა მხატვარს ჟანამ.

მხატვარმა ფუნჯი მოიმარჯვა.

ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე, ვფიქრობდი ჩემთვის, ხოლო სიცოცხლე არასოდეს გახდება მოსაწყენი, ვიდრე ვაჟკაცურად იტყუებ თავს.

**არიო დევერჩა, ხენიორე!**

## ქრისტეფორეს ინსტრუმენტი

მარლენმა თვალი მოწყვიტა ნამმზომს და უხალისოდ გახედა სირბილით მოახლოებულ მორბენალს.

მარლენს მარჯვენა წარბი უთამაშებდა. შეჩერდიო, ხელით ანიშნა სოლომონს. მორბენალი შედგა. ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

— კასიუს ეტრუსკელმა იმდენი ლექსი შეთხზა, რომ სიკვდილის შემდეგ ამ ლექსებით დაწვეს, იხე რომ ფიჩხი და ნახშირი არც დასჭირვებიათ, — უთხრა მწვრთნელმა სოლომონს.

— უფრო გასაგებად რომ თქვა? — ჭვრიტი თვალები შეანათა მორბენალმა.

მარლენმა ქუდი მოიხადა და თავზე გადაისვა ხელი.

— სოლომონ, ზოგიერთ რამეს თავად უნდა მიხვდეს კაცი, — მარლენმა თავი გააქიცინა,

— ომი ხომ არ გამოუცხადე კუჭს?

— გვარიანად ვჭამ, — იცრუა მარლენმა და ოფლი მოიწმინდა შუბლზე.

1946 წელი იდგა.

—მომისმინე, მხოლოდ სიყვარულით, თუნდაც თავდავიწყებული სიყვარულით, ამა თუ იმ საქმიანობაში ფონს ვერ გახვალ. ხორცი და კიდევ სულ უმნიშვნელო რაღაც გაკლია — ღმერთების პატარა საჩუქარი — ტალანტი, ნიჭი. დღეს ძლივს ჩაეტიე მეორე თანრიგოსანის ნორმაში. ეს კი ძალიან ცოტაა, ან სულ არაფერია. სოლომონ, მერკურიუსი შენგან ვერ დადგება.

„ამისთანებს პირდაპირ უნდა უთხრა“.

— გამონაკლისი ყველაფერშია, მარლენ! მწვრთნელს ეღიმებოდა, როცა ასე მიმარ-

თავდაც სოლომონი. „ან რა უნდა მოსთხოვო ბრიყვს?"

— გამონაკლისი ყველაფერშია, გარდა ათ კილომეტრზე სირბილისა... ცეკვა, განტოლებების ამოხსნა, თევზის ჭერა, ჭკუის სწავლება, სურათების გადაღება, აკადემიკოსობა, ათასი სხვა გატაცებაცაა ამ ქვეყანაზე. მაინც სად გიზის სნეულება?

— მუხლებში, მარლენ!

მწვრთნელმა ხელი ჩაიქნია და გაშორდა. „სირბილის ხუშტური სჭირს, მე კი დროს მაცდენინებს".

სოლომონი გასახდელში ჩავიდა. წყალი გადაივლო, და ტანი სარკის წინ შეიმშრალა. შესარჩევი ტურნირი რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყებოდა. სოლომონმა პირსახოცი სკამზე მიაგდო და ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი სხეული. მან გაიფიქრა, რომ მარლენი ნაწილობრივ მართალი იყო.

მაგრამ გამონაკლისი ყველგან გვხვდება. ანატოლ ფრანსის თავის ტვინი მხოლოდ ათას გრამამდე იწონიდა.

სირბილის დროს ყველაფრის დავიწყება შეეძლო სოლომონს. სირბილი ათავისუფლებდა ყოველდღიურობისაგან, აადამიანურებდა, ხვეწდა, თავისუფლებისათვის ამზადებდა. მას სწამდა, რომ კაცობრიობის მოწოდება რბოლა იყო ტრიალ მინდორში თუ მოასფალტებულ გზატკეცილებზე, ღრუბლებში თუ კორიდორებში. ის, ვინც დარბის, ყოველთვის კმაყოფილია და საზოგადოებისთვისაც სანდოა. რა არის სიცოცხლე, ან ისეთი წვრილმანი, როგორიცაა საკუთრება, სისასტიკე, ძალადობა — სირბილის დროს ასეთი კითხვები არასოდეს არ მოსდიოდა თავში. სირბილი თავდავიწყებას ბადებდა, ჰქრებოდა მიწიერი დრო, ჩნდებოდა ტალღები და გაქანება.

სირბილი საბურველს ხდის ადამიანს და სიშიშვლის მთელ მშვენიერებას წარმოგიდგენს. ამ დროს სხეულის იდუმალი და საუკეთესო ნაწილები ისე გამომზეურდება, თითქოს პირველად ტკბებოდე მათი ხილვითა.

როცა გარბიხარ, კაციშვილი არ გეკითხება ვინ ხარ, სადაური ხარ, ვაჟკაცი ხარ თუ დედალი, რამდენი გაქვს ხელფასი, გწამს თუ არა ის, რაც უმრავლესობას ერთმა თუ ორმა კაცმა დაუსახა მიზნად... გარბიხარ და ფეხებზე გკიდია აწმყოც და მომავალიც. არა, უწყინარი მორბენალი ნამდვილად უფრო მიმზიდველია, ვიდრე ცხოვრების გზაზე მოსეირნე მალაზიის გამგე, ან ვინმე ჰალსტუხიანი მქადაგებელი.

რა შეედრება იმ წუთს, როცა ჰაერის ნაკადი რბილად გირტყამს სახეში, როცა გულმკერდის კოლოფს შიგნიდან რაღაც ანვება და ირგვლივ ყველაფერი ჰქრება, როცა თავი მამაკაცად წარმოგიდგენია.

მაგრამ მწვრთნელი ეჭვის თვალით უყურებდა სოლომონის გატაცებას. „სპორტის იდეა მაინც შედეგი და გამარჯვებაა". „ეგეც იქნება", — ამბობდა მორბენალი. მეუღლის, იმისი ნათესავებისა და ზოგიერთი მეგობრის აზრით ნესიერი ოცდარვა წლის მამაკაცი მხოლოდ ფულის საშოვნელად უნდა დარბოდეს. ხოლო ერთმა ახლობელმა, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, უთხრა, რომ ჩინელი ლაოძი უმოქმედობას ქადაგებდა, ყველა ადამიანმა ხელი რომ აილოს მოქმედებაზე, მოძრაობაზე, ღედამიწაზე სწრაფად გამეფდებოდა მშვიდობა, ურთიერთგაგება და ბედნიერებაც. სიმშვიდე, მყუდროება და მორჩილება ყველა პატრიოტის და მოქალაქის უპირველესი მოვალეობააო.

მაგრამ ზოგიერთს კალამი უდევს თავში, ზოგიერთს — ფონენდოსკოპი, ზოგს — სავარძელი, ზოგს — ვირის კურტანი. სოლომონს კი ფეხები, პატარა, მინიატურული ფეხები ედგა — მარცხენა ფეხი თავის ტვინის მარჯვენა ჰემისფეროში და მარჯვენა კი — ტვინის მარცხენა ნახევარში. ამიტომაც ამდენს დარბოდა სოლომონი. მან მთაში წასვლა გადაწყვიტა.

მეორე დღეს სოლომონმა განზრახვა გაუმხილა მეუღლეს. თავჩაღუნული ელაპარაკებოდა და თვალს ვერ უსწორებდა. ქალი კი კრინტს არ სძრავდა, ქანდაკებასავით იდგა. ამ წუთში სიამოვნებით გადახვევდა ხელს ლედი კლიტემნესტრასა და ელენეს, ასე ლამაზად და აუღელვებლად რომ გამოასალმეს წუთისოფელს ქმრები. მაშინ სოლომონმა მოფერება სცადა, რითაც მსოფლიოს ყველა ქალს აყუჩებენ ხოლმე. მაგრამ რუსიკომ არ მიიკარა.

რუსიკოს სათნო სახე, კეთილი გული და თავისი ოცნება ჰქონდა — ბროლის ჭაღები, „ტულპანის" საწოლი, აბრეშუმის ფარდები, იაპონური გადასაფარებლები, ფორტეპიანო. გაუგებრობის ნაპრალის მოპირდაპირე ნაპირებიდან შესცქეროდნენ ერთიმეორეს სოლომონი და რუსიკო.

მორბენალმა მთაში შორეული ნათესავი ანტიოფე გაიყოლია. მწყაზარმა ქედებმა მოხიბლეს სოლომონი. დიად სანახაობათა შორის მოხვედრილი, დიდხანს გარინდებული გასცქეროდა სივრცეს. ხოლო როცა მდინარეზე გადებულ ბონდზე გაიარა, თრიაქმოწეულს დაემსგავსა.

— ანტიოფე, ხედავ რა ლამაზია ბუნება!

მიუვალ სოფელში დაიდეს ბინა. ერთი ლამაზი შანდაკი ამოირჩიეს და გაშალეს კარავი. აქ ხელუხლებელი ჰაერი ტრიალებდა და გარშემო ძირძველი წიწვები იდგნენ. ხოლო ყომრალ ღრუბლებს ხელით წვდებოდნენ. კაკაჩ-

მა ღამემ კი მთის დიდი მგოსნის ძალის და უკვდავების საიდუმლო გაუზიარა.

სოფლიდან სოლომონმა ძროხა ამოიყვანა. ცხოველს დიდრონი, წყლიანი თვალები ჰქონდა. ხორცის საქმეც მოაგვარა სოლომონმა. მეტყევე მამუკას სამ დღეში ერთხელ უშობელის ბეჭი ან ბატკანი უნდა მოეწოდებინა.

განუმეორებელი დრო დადგა. ჭყრტიალა, სულის დამღუპველი, სურნელოვანი, სავსე ხორცითა და ოზონით. სულ მალე ნეკნებს ველარ დაუთვლიდით მორბენალს. ჭყაპურტებიც გაუქრა.

დარბოდა და დარბოდა, არ ერიდებოდა არც მზეს, არც ქოროფს. შესვენების დროს კი ტინზე დაძვრებოდა, ორწოხებში გადიოდა, მეხეჭრელას დასდევდა, უსმენდა ჩიტების ჭროკინს. ველარ ელეოდა ამ სავარცხლის კბილებივით ამოწეულ ქედებს. მარიამ ღვთისმშობელო, რა უკიდეგანო სივრცე მოჩანდა მათგან. თანაც როდესაც ქალის, თუნდაც ეშმაკის მაშხალის მსგავსისას, მზრუნველობას გრძნობ, ყველაფერი სასიამოვნო და გაბრწყინებული ჩანს.

— ანტიოფე, სიცოცხლე საინტერესოა, რადგან ადამიანს ფეხები აქვს და სირბილი შეუძლია.

— ფრთები უფრო არ დაამშვენებდა კაცს?

— არა, ანტიოფე... მთავარია თავი გმირულად გეჭიროს და იმით დაკმაყოფილდე, რაც შენს ძალღონეს, ნიჭსა, ანატომიურ მონაცემებს, ნებისყოფასა და ბედს არ აღემატება.

— ამდენი ფული სად იშოვნე?

მორბენალმა თავი დახარა.

როცა დაბინდებისას სოლომონი კარავში ბრუნდებოდა, ანტიოფე ცეცხლს ანთებდა და ვახშმობდნენ. დიდხანს ღეჭავდნენ საჭმელს, ყოველ ლუკმას გემოს ატანდნენ. ბოლო დღეებში სოლომონი ერთ ჭამაზე მთელ ბატკანს და ერთ ქვაბ კირკაჟს ათავებდა.

მაგრამ ორი თვე ეფემერული ყოფილა... ცხოვრებასავით სწრაფად გავიდა, მიიწურა, დასრულდა...

პისტოლეტი დაიცალა. მორბენლები მინას მოწყდნენ. სოლომონს ჭრელი მაისური ეცვა და ყველასაგან გამოირჩეოდა. კაჟისფერი სახე, ყელი და კიდურები შორიდანვე იპყრობდნენ ყურადღებას. ხოხმიკად მირბოდა სოლომონი. პირველი წრის შემდეგ დაწინაურდა. მაგრამ ორმოცდარვა ნომრით მოასპარეზე მორბენალის მწვრთნელებს არ ეშინოდათ, რადგან თითოეული მათგანი დარწმუნებული იყო თავისი მონაფის წარმატებაში. სოლომონი კი თანდათან შორდებოდა მოწინავე ჯგუფს, თანდათან მიუღწეველი ხდებოდა.

მარლენი დასავლეთ ტრიბუნის მოაჯირთან იდგა. შეჯიბრების მონაწილეებმა მეხუთედ შემოურბინეს სტადიონს. წინ ისევ სოლომონი გარბოდა. მარლენმა ქუდი მოიხადა და წამზომს დახედა. მეხუთე წრე სოლომონმა მეოთხეზე სწრაფად დაფარა. სარეკორდო დროს აჩვენებდა. „რაღაც ყიამათი დატრიალდება“, გაიფიქრა მწვრთნელმა. ოცდაჩვიდმეტ ნომერსაც არ აშორებდა თვალს. მეხუთე წრის შემდეგ მან საგრძნობლად მოუმატა სირბილის ტემპს.

სოლომონი თავისუფლად ამოძრავებდა ხელებს და მსუბუქად ისროდა წინ ფეხებს. ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უბერავდა. როცა სამხრეთისაკენ გარბოდა, სოლომონი მის ძალასაც იყენებდა. მან გაიფიქრა, რომ საშინლად დაწვრილმანდა. რაც უფრო ძლიერდები, მით უფრო გამეტებით ეპოტინები წარმატების ქალღმერთის კაბის კალთის ყოველ გამოშვერილ ძაფსა.

მხოლოდ ერთხელ წამოუქროლა სოლომონს სასოწარკვეთილების ტალღამ. ეს გაჭირვების წამები იყო. აუტანელი ტკივილი იგრძნო გულის კოვზთან და რამდენიმე წამით სუნთქვა შეეკრა. მისი თვალები სავსე მთვარეს დაემსგავსნენ, ტუჩები კი პარკის ლობიოს. მაშინ ნებისყოფის დაძაბვა მოუხდა სოლომონს.

მეათე წრის გარბენის დროს მაყურებლებში ჩოჩქოლი ატყდა. აღმოსავლეთ ტრიბუნასთან რომელიღაც მორბენალი წაქცეულიყო. მარლენი ასეც მოელოდა. დიდიხანია უნდა მოესმინა საგანგაშო ზარების ცემა. „სამაგიეროდ ახლა მაინც გაუგრილდება ჯიგარი“. მაგრამ როდესაც სოლომონი ისევ სარბენ ბილიკზე დაინახა, თვალებს არ დაუჯერა. ოცდაჩვიდმეტი არ ჩანდა. მარლენი მოაჯირს მიეყრდნო. ცალი წარბი უთამაშებდა. შემდეგ ისევ გასწორდა და თითების მტვრევა დაიწყო. წამზომი გაუგონარ დროს აჩვენებდა. ნუთუ, როგორც ყოველთვის, ამ კაცშიც შეცდა? ნუთუ ახალი ნაპირების დანახვით განცდილი სიხარული არასოდეს ეწვევა? ეტყობა, ახალი მიწების აღმოჩენა კაცუნების საქმე არ იყო. ახლა კიდევ ერთხელ უმტკიცებდნენ ამ ჭეშმარიტებას.

— მარლენ, მარლენ! — რამდენჯერმე დაიძახა სტადიონის დირექტორმა. შემდეგ მიუახლოვდა და მხარზე დაადო ხელი: — ვერაფრით ვერ გაგაგონე.

მის გვერდით ახალგაზრდა ქალი და მილიციის ლეიტენანტი იდგნენ.

— შეჯიბრებამ გამიტაცა.

— სოლომონს კითხულობენ, — თქვა დირექტორმა, — მისი მეუღლე და უბნის ინსპექტორი.

მარლენმა წარბზე მოისვა ხელი. ლეიტენანტმა მრისხანედ შეანათა თვალები, მარჯვენა ხელი ქუდთან მიიტანა და თქვა:

— უნდა დავაკავო.

— ვინ?

— სოლომონ დგებუაძე.

— შეჯიბრება საცაა დამთავრდება, მერე თქვენი ნებაა.

— ახლავე გავთოკავ.

— მარლენმა ახედა და გაიღიმა.

— ამდენ ხალხს რა პასუხს გასცემთ? — ხელი გაიშვირა ტრიბუნებისკენ, — მაინც რა ჩაიდინა?

— ფორტეპიანო მოიპარა.

— დიდი ოსტატი ქრისტეფორეს ინსტრუმენტი, — თქვა თვალცრემლიანმა ახალგაზრდა ქალმა.

— სად მოიპარა?

— საკუთარ ოჯახში, — განუმარტა ლეიტენანტმა, — სამი თვის წინ, მთაში გამგზავრებამდე.

— მერედა აქამდის სად იყავით?

— დღეს აღმოვაჩინე, — წაიცრემლა ქალმა.

— სათამაშო ფორტეპიანო იყო? — გაიღიმა მარლენმა.

— ფორტეპიანოს შესაძენად გადანახული ფული გაიტაცა და გაფლანგა, ორ წელიწადს რომ ვაგროვებდი... ვირის აბანოს არ აცდება.

— კონსერვატორია დაამთავრეთ?

— საბუღალტრო კურსები.

— რომელი გიზით გულში: მოცარტი თუ ბარტოკი?

— არცერთი.

— ჰენდელი?

— ჯაზის ტრფიალი ვარ.

— ფორტეპიანოზე თავისუფლად უკრავთ?

— მეგობრები და ნათესავები უკრავენ... მე გიტარაზე შემიძლია აკომპანირება.

ლეიტენანტი თვალს არ აშორებდა ქალს. უბედურებას საიდუმლოებით და სინატიფით მოეცვა რუსიკოს ნაკვთები. დიდი სევდა ქალის სახეზე — დიდი მხატვრის — ბუნების განუმეორებელი შუქ-ჩრდილებია. როდესაც დედაკაცი სიცოცხლეს კარგავს და სამუდამოდ დავიწყებისაკენ მიისწრაფვის, მაშინ უნდა უცქირო მას.

ირგვლივ მზე, შეძახილები და სპორტული ჟინი სუფევდა. მხოლოდ რუსიკო იდგა თვალებშეშუპებული. ამ ქვეყანაზე არაფერი იცოდა, გარდა ადამიანების სიმუხთლისა და ქარისა, რომელიც დაცარიელებულ გულს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უბერავდა.

ამ დროს სოლომონმა ჩაირბინა. ლაღად, თავისუფლად გარბოდა. მაყურებელი ყიჟინით ამხნევებდა თავის რჩეულს. მაყურებელი მზესუმზირას აკნატუნებდა, პაპიროსს აბოლებდა, ნაყინს შეექცეოდა და გმირობისკენ მოუხმობდა მორბენალს. სოლომონის ფეხები აღაფრთოვანებდნენ თბილისელებს. ისინი სიყვარულს, რწმენას, სიხარულს, ღიმილს და მტვერს აფრქვევდნენ და ადამიანებს მეგობრობისათვის განაწყობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველაფერი რუსიკომაც იგრძნო და დაინახა. უბედო, მოტყუებული, მუდამ მშიერი და უფულო ადამიანი, თვალსა და ხელს შორის კაცი ხდებოდა.

როდესაც ერთი ფეხზე დგება, წელში იმართება და სადღაც უმართლებს, მეორეს სისხლი ექცევა თავში. და უეცრად რუსიკოს წყლის ნაცვლად თვალებში ცეცხლი ჩაუდგა.

— ახლავე ყულფში გააყოფინეთ ფეხი, — მიუბრუნდა რუსიკო ლეიტენანტს.

— მას, ვინც სირბილი ისწავლა, ველარაფრით დააკავებენ, — თქვა მარლენმა.

— ხომ არ შევეშვათ, ქალბატონო? კაცი, რომელიც ფორტეპიანოს ფეხებზე დაიკიდებს და გაიქცევა, თქვენი ღირსი არ არის.

— ასეც მოველოდი თქვენგან, — შემდეგ მწვრთნელს მიუბრუნდა რუსიკო.

— რამდენი წრე დარჩა გასარბენი?

— ერთი და ყველანი საოცრების მოწმე გავხდებით, — ისევ აუთამაშდა წარბი მარლენს.

— უკანასკნელი? — გაიმეორა რუსიკომ და ჩაიღიმა.

— მე არ გამშვიდებთ, მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერს ეშველება... ღიმილი კი გიხდებათ, ქალბატონო, და გთხოვთ მოემზადოთ მოლოცვების მისაღებად.

სირბილის და თავისუფლების გარდა, სოლომონს მეუღლეც უყვარდა, თავისებურად უყვარდა ეს ქალი. სიყმაწვილეში ყოველთვის გეჩვენება, რომ სიცოცხლე ულევია და ის ყველასათვის და ყველაფრისთვის გეყოფა. და არ გეშინია არც სიცხის, არც მეზობლის, არც თანამშრომლის, არც სიშიშვლის და არც კარტოფილის ცუდი მოსავლისა. დედამიწის უხეში კანი ბევრ ადგილას ეგზემითაა დაზიანებული და ერთადერთი რამაც შეიძლება ნუგეში გცეს, როდესაც მუხლები გიმტყუნებენ და თავისუფლებაც სიზმარივით მოჩვენება გამოდგება, ეს მეორე ადამიანის, საყვარელი ქალის გულია. ამას კარგად გრძნობდა სოლომონი. მას და რუსიკოს ფორტეპიანოს გარდა სხვა ბევრი რამეც აკავშირებდათ. უკვალოდ წვრილმანი რამ ჰქრება, მნიშვნელოვანი — უეცრად გაელვებული ღიმილი, დაპანღურება, ათმანეთიანის პოვნა ორლობეში, თუ პირველი ალერსი — სამუდამოდ რჩება გონებაში. ეს ყველაფერი კარგად ესმოდა სოლომონს, ამიტომ როდესაც უეცრივ სარბენ ბილიკზე გამოვარდა რუსიკო და კისერზე ჩამოეკიდა, ესიამოვნა. თვითონაც მიუალერსა. შემდეგ უთხრა

— ახლავე დაგიბრუნდები.

მაგრამ ქალს მაგრად შემოეჭდო ხელები.

— ნუ მიმატოვებ, — ეღიმებოდა რუსიკოს.

— რუსუდან, მართალია თითქმის გავიმარჯვე, მაგრამ თითქმის ყოველთვის თითქმისაა და არასოდეს არ არის საკმარისი. აი, თასმასაც გავწყვეტავ და შემდეგ თუ გინდა ხელში ატატებულს აქეთ-იქით გაგატარებ.

კიდევ უფრო მაგრად მიეკრა ქალი. მაშინ ფრთხილად სცადა მისი ხელების მოშორება, ერთი მორბენალი საცა იყო გაუსწრებდა.

— ყველაფერში უცნაური ნუ იქნები... ცოლი მხოლოდ ლოგინში უნდა ეწებებოდეს ქმარს... აქ რომი არ არის და არც ბაბილონია, აქ თბილისის სტადიონია, რუსუდან!

მხოლოდ თვალებში ჩახედვა მოახერხა, კატის თვალებში. როდესაც შიგ არსებული დაინახა, შეძრწუნდა სოლომონი და საშინელი ძალით გაიწია. ოცდაათი მეტრი ასე მირბოდა. შემდეგ ერთმა მოწინააღმდეგემ გაუსწრო. „ქალი ყველაზე მძიმე ტვირთი ყოფილა". როდესაც მუხლები მოეკვეთა, ეჭვი შეეპარა ადამიანის უძლეველობაში.

ყელზე ჩამოკიდებული რუსიკო კი მეუღლის ზურგს იქით იყურებოდა და თავისთვის ითვლიდა: „ერთი ფორტეპიანო, ორი, ექვსი, თოთხმეტი ფორტეპიანო..." როგორც წლები და საუკუნეები, ერთი მეორეზე ასწრებდნენ შეჯიბრების მონაწილენი ლიდერს.

ასეთ წუთებში შუქი აკლდება დღეს, ბოროტებით ივსება სული და, სიცრუე და სასოწარკვეთა იბადება. როგორ მოიქცეს მაშინ უზარმაზარი ცის თაღის ქვეშ მდგარი პატარა დაბნეული ადამის ძე? რა ილონოს, როდესაც მიხვდება, რომ ყველაფერი ამაოება და ქარის ქერაა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაბერილი ნიავის ბადეში გაბმის სურვილის მსგავსი რაღაცაა? საით გაიხედოს კაცმა, თუკი ჯაფისა და გულის წუხილის სანაცვლოდ ირგვლივ მხოლოდ განურჩევლობას და გულგრილობა's აწყდება? ვის გაუზიაროს ერთი აღმოჩენა, რომ მტკნარი სიცრუეა, თითქოს ორნი უფრო სიმპათიურები იყვნენ, ვიდრე მარტოხელა, რომ შეიძლება მართლაც ორნი დაცემისას ერთმანეთს მიეშველონ, მაგრამ სირბილის დროს, წარმატების საფეხურზე ასვლის მომენტში, ყოველთვის ერთი ხელს უშლის მეორეს. ეს ნათელზე ნათელია. ეს ყველა მორბენალმა, სავარძლის მოყვარულმა თუ გასათხოვარმა გოგონამ იცის.

მაგრამ ახლა მაინც როგორ მოიქცეს?

— შენ უფრო საშინელი მკრეხელობა ჩაიდინე, ვიდრე მე, — თქვა სოლომონმა.

შემდეგ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, გაიწია და ფინიშის ხაზი მეუღლესთან ერთად გადაკვეთა. მაყურებელი ვერაფრით ვერ მიხვდა, თუ რა ტრაგედია დატრიალდა ქვემოთ. მაგრამ მის სიხარულს მაინც საზღვარი არ ჰქონდა. ესეც გამარჯვება იყო. რა ბედენაა, თუ როდის დაასრულებ რბოლას, პირველი იქნები თუ უკანასკნელი, ორმოცი წლის მოკვდები თუ ოთხმოცდაათისა, ქალაქში იცხოვრებ თუ სოფლად, ათი ბავშვი გეყოლება თუ ერთი. მთავარი ეს არ არის. მთავარია, თუ როგორ გაირბენ გზას, როგორ დაიჭერ თავს ბრძოლის, გაჭირვების დროს, რამდენ მანეთად ან რა საფასურად გაყიდი მეორე კაცს, რა გიჯდება კეთილდღეობა, რაში ცვლი სულსა, ვაჟკაცობას, თავისუფლებას, თუკი ასეთი რამეები არსებობენ, ან შენ თუ გაგაჩნია.

რუსიკო კი ილიმებოდა, ასრულებული სურისგების სასიამოვნო თბილი ტალღა უვლიდა ძარღვებში. მაგრამ მაშინ, როდესაც სამუდამო გამარჯვება უნდა ეზეიმა, უცებ შეკრთა. რაღაც ახალი გრძნობაც ეუფლებოდა. ტკივილი, მძვინვარება, დაბნეულობა თანდათან ნელდებოდა, იფანტებოდა, ჰქრებოდა. მის ნაცვლად ტყეში დაკარგული ლეკვის, მეგობრის ან სამაჯურის შემთხვევით ისევ ნახვით გამოწვეული სიხარულის მსგავსი რაღაც იბადებოდა.

მეუღლის აღელვება სოლომონსაც გადაეცა. „ქალი არც მახე, არც ასმანაკია. ხოლო რუსიკოს ძვირფასი ხელები მხოლოდ ალვირი როდია", ფიქრობდა იგი.

ასე კარგად და ლაღად პირველად გრძნობდნენ თავს.

—რა ბედნიერი ვარ, — მოღიმარი თვალები შეანათა რუსიკომ.

— მეც, ძვირფასო... რა მემართება?

კიდევ უფრო მიეკრო, მიეწება ქალი. და როდესაც ერთ არსებად გადაიქცნენ, რუსიკომ მისუსტებული ხმით ჰკითხა:

— ერთ პიანინოს მაინც ხომ მიყიდი, სოლომონ?

**ინნეს მანეთა**

შუადღეზე ცა მოიქუფრა. ბიჭმა ძირმაგარაზე სამყურა ბალახი დაიდო და ქინქით შეიხვია.

დილით კი წვრილმანი უსიამოვნება შეემთხვა: ალუჩის ძირში ყველის ნაჭერი გაუვარდა ხელიდან და ვიდრე გონზე მოვიდოდა, ყველაფერი დასრულდა. მიწაზე დაცემაც კი არ აცალა ყურშამ, ისე გადასანსლა მოულოდნელი საჩუქარი. თვალის დაფახულებაში გააქრო და ისევ გაშტერებული შეაცქერდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს პირიდან არ გამოეცალოს ლუკმა. „ძაღლი მაინც

ძაღლია, გინდ შენი დოსტი იყო, გინდა ბიძაშვილი... უ, შე ძუნკალო!“ — შეუკურთხა, პანღური ამოჰკრა და გააგდო...

როდესაც წელში გასწორდა, შარვლის ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი წაუკიდა და ორღობეს ჩაუყვა. წყაროსთან შედგა. ღრმა ნაფაზი დაურტყა და ორთქლმავალსავით გამოსტყორცნა ნესტოებიდან თეთრი დახვეული ბოლი. მერე ფეხისწვერებზე აიწია. მაგრამ აქედან არ ჩანდა, ღობე იყო მაღალი, ეკლიანი, უსიამოვნო.

სიარულის დროს ბექებში იხრებოდა ოდნავ. ერთი-ორჯერ გაუჯავრდნენ, პავლე ბაბუასავით კუზიანი გამოხვალო. მაგრამ ბიჭს ყურადღება არ მიუქცევია. რა დროს პავლე ბაბუა იყო, როდესაც ქვეყანაზე სხვა უფრო საინტერესო რამეები ეგულებოდა: ჯაყვა დანა, თავკომბალები, შაშვები, კვესაბედი, საადრეო ყურძენი. არც ის აინტერესებდა, ძველ რევოლუციონერს რომ უწოდებდნენ იმ მოხუცს. თურმე პავლემ პირველმა დაიძახა სოფელში: პროლეტარებო ყველა სოფლისა, შეერთდით! და ახლა, მრავალი წლის შემდეგ, როდესაც საგნები, სინამდვილე, ვნებები თავთავიანთ ადგილებზე მოთავსდნენ და ირგვლივ კარგი და საკეთილო ცხოვრება დამკვიდრდა, დადიოდა ხმები, რომ შეიძლება პენსიაზეც კი წარედგინათ. „გეიმართე მხრებში, — ეხვეწებოდა ზოგჯერ მამიდა ბიკენტის, — აპა, კაი საქმეში კი არ მიბაძავ იმ ღვთისნიერ კაცს“...

მარჯვენა წარბის ზემოთ ბიჭს ერთი მოზრდილი ხალი, და ნაკადულივით მხიარული თვალები ჰქონდა. გულზე კი ალის კბილი უბზინავდა, მამიდამ რომ ჩამოკიდა გასულ წელს.

ბიკენტიმ ცხვირში შეიყო ნეკი და მონდომებით მიატრიალ-მოატრიალა, შემდეგ გზა განაგრძო. დიდი კოპიტის პირდაპირ საბოლოოდ შეჩერდა. ღობე აქ გაცილებით დაბალი ჩანდა. ბოლომდის აიკაპიწა პერანგის სახელოები, პაპიროსი გადააგდო და გადაძვრა.

გაღმა ჭიჭიკოს ძაღლი ლადიკოს ძაღლს ლანძღავდა. წყლის პირას პალოზე მიბმული მათიკოს ძროხა ბღაოდა. ანუშკა შვილიშვილს წყევლიდა. ის კი ჩაცუცქული მიიპარებოდა ოლიფანტეს ვენახში.

ოლიფანტე ინჩეს შვილი იყო. ომამდე ინჩეს ერთი კილოგრამი საადრეო ყურძენი მანეთად იყიდებოდა. ინჩე, როგორც ხდება ხოლმე, მოკვდა. ინჩეს „მანეთა“ კი დარჩა.

ბიკენტიმ ყველაზე დიდი მტევანი მოწყვიტა.

პირველი მტევანი კი მიჰყვა ხელს ადვილად, მაგრამ მეორეს ვერაფერი მოუხერხა, ღელავდა. დიდხანს ატრიალებდა ყუნძს აქეთ-იქით. მერე შეეშვა და სხვა მტევანს მისწვდა. მაშინ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელი იგრძნო. ჯერ გაიტრუნა, შემდეგ სწრაფად წამოხტა და შემოტრიალდა. მის წინ ოლიფანტე იდგა. უნებლიეთ პირი დააღო, კისერი წინ წააგდო და თვალები დააჭყიტა ბიკენტიმ. „ვაი, მამიდაჩემო, მიხსენი ახლა“...

ასე პირისპირ ამ კაცს, ამ განიერ მხრებს, მსხვილ და მოკლე კისერს, ორად გაყოფილ ნიკაპს, დაღარულ, დანაოჭებულ ღაწვებს, მოკუმულ თხელ ტუჩებს პირველად ხედავდა...

— მოკლეზე მინდოდა გადასვლა, ბიძია, — თქვა ბიჭმა და ძალაუნებურად ხელზე დაიხედა. ხელში კი ყურძენი ეჭირა. „ეს იხე, პირის გასასველებლად“...

შუა ვენახში სარზე ბოლოქანქარა შესკუპებულიყო. ესეც საქურდლად მოფრენილა, გაუელვა თავში. ორივე ქურდობდა. მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც იყო. ბოლოქანქარა გაფრინდებოდა. ის კი ვერსად გაექცეოდა ამ ღვარძლიან თვალებს. მაშინ ქლესურად, ფარისევლურად გაიღიმა.

„შენ შეგიწუხდა გული“, ანუშკა იხევე ქოქოლას აყრიდა შვილიშვილს. ქვემოდან „ქუთაისი-საჩხერეს“ მატარებელი შემოდიოდა სოფელში. ბიჭმა ნელ-ნელა მოკუმა ტუჩები. რამდენიმე წამი ასე იდგნენ.

— მიყურე ცინდალო, — თქვა ბოლოს გლეხმა, — ბათუმში მე და მამაშენი ორი წელი ერთად ვმუშაობდით. მასავით გლახაკი გამოხვედი.

ბიკენტიმ კიდევ უფრო ჩაკიდა თავი. იგი ძალზე ერთგული იყო მამის ხსოვნისადმი. ხოლო მეზობლები არ ცდებოდნენ, ოლიფანტეს ძვალ-რბილში გაჯდომოდა ნაღველი და ბაღლამი. მის ძარღვებში შავი, მძიმე სისხლი ჩქეფდა.

— რამდენი წლის ხდები, ვირის რქით გაზრდილო?

— ცამეტის, — უპასუხა ბიჭმა და ნიკაპი აუთრთოლდა.

— ნაბიჭვარო, მამაშენი ყველაფერს კადრულობდა, მაგრამ არასოდეს არ უქურდია... სად გადმოძვერი?

განგებ აჯანჯლებდა. ყველაფერი იცოდა.

— კვახიც შენ მომპარე წყაროს თავთან, ღვთის გლახავ?

— კვახი არ მიყვარს, ბიძია... დედა ნუ მომიკვდება, — თქვა ბიჭმა და აიხედა.

დაქყანულმა, სმისგან დაფიუვინებულმა სახემ შიშთან ერთად ზიზღიც აღუძრა საკუთარ თავისადმი.

მამის შეურაცხყოფამ, ქურდობაზე წასწრებამ კი არ განაცდევინეს რაღაც ახალი, გაუგებარი გრძნობა, არამედ დედლობამ, ლოდივით დამძიმებულმა ფეხებმა, უმწეობამ. მაინც სცადა უკან ნაბიჯის გადადგმა და გაქცევა.

— უ, შენი..., — შეუკურთხა მაშინ გლეხმა და უშველებელი ხელი ყბაში გასცხო.

ბიკენტი წაიქცა. ბოლოქანქარა კი გაფრინდა, გაუჩინარდა ჭალაში. წაქცეულმა დაინახა გაფრენილი, თავისუფალი, ლაღი ფრინველი. გაფუჭებული წამოდგა, ნირწამხდარი. პირი მლაშე სითხით ევსებოდა. ისევ სდრუზა ოლიფანტემ. მაგრამ ახლა მხოლოდ წაიბორძიკა, არ დაცემულა.

როდესაც ოლიფანტე წავიდა, ბიჭმა მიწაზე დაანარცხა ყურძნის მტევანი. ხარის თვალის ოდენა მარცვლები მიმოიფანტნენ მიწაზე.

ბიკენტი ფეხმოტეხილი ლეკვივით გაუყვა გზას. მდინარისკენ წავიდა, მოტეხილი ფეხის ასალოკად, დასასვენებლად, ძაღლივით კიბის ქვეშ დასამალავად, ჭრილობების მოსაშუშებლად. შქერთან რიყის ქვებზე ტანისამოსი დაყარა და მდინარეში შეცურდა. ყორნისფერმა ტალღებმა ფრთხილად, ნაზად ჩაიკრეს ბიჭი. საჩხერეში კი მდინარეში ყელამდე ჩამდგარი კაცი საკუთარი ფეხის თითებს ხედავს. მაგრამ რა ბედენაა ფერი, როცა ვინმე გიყვარს. ყვირილა მისი მეგობარი იყო, მისი ყოველი დღე, თანატოლიც და ჭკუის დამრიგებელიც, ძაღლივით ერთგული, ქალივით თბილი და ალერსიანი. ბიკენტის თანატოლებიდან ერთს ჩიტების დაჭერა იზიდავდა, მეორეს კუკუ-მალობია, მესამეს არაფერი. იგი კი ყვირილას ტრფიალი იყო.

ბანაობის შემდეგ ჭალებისკენ გასწია. სველი პერანგი იღლიაში ამოიჩარა. პაპიროსი გააბოლა. ასანთის ცარიელ კოლოფში რიყის ქვა ჩადო და გაისროლა. შემდეგ კოლექტივის ყანა პირდაპირ გადაჭრა. ყანის თავში შედგა.

კაკლის ქვეშ ბიჭები ჭიდაობდნენ. აყლაყუდა ნუგზარი შუა წრეში იდგა გაბღენძილი. „ამ ტეტიამ ჭიდაობის მეტი არაფერი იცის, სხვა არაფერი აინტერესებს. ჭიდაობაა მისი თავი და ბოლო.

საქართველოს დედაქალაქის დასახელება გაუჭირდება. ინდაურს ბატისგან ვერ გაარჩევს, ქლიავს წაბლისგან. მთელი სოფლის გოგოები კი მისთვის ირევიან. სადაა სამართალი? გადმოკარკლავენ თვალებს და ჩუმჩუმად ოხრავენ. თხასავით გამოტვინებულ თავში ლაყე კვერცხები რო უწყვია, ამას კი თითქოს ვერ ამჩნევენ... ან ჭამს, ან ფეხსადგილში ზის, ან ჭიდაობს, ან გოგოებს ელლაბუცება"—

ბიკენტიმ კაკლის ხისკენ გასწია. აყლაყუდას უტიფარი სახე ჰქონდა. ისე კი, ჭიდაობა ნამდვილად იცოდა. აი ახლაც გვერდულით გადმოიღო გალმელი ჯუმბერა და ბალახებზე დაატყეპნა.

— კიდევ ვის უნდა ძიძგილობა? — ქოჩორზე გადაისვა ხელი და გააფურთხა.

„ძალიან ბრიხინობ, ბიძია", — გაიფიქრა ბიკენტიმ.

მაღლა იხვების გუნდი მიფრინავდა. იხვები შემოდგომის დასაწყისში გადაიფრენდნენ ხოლმე. საიდან გაჩნდნენ ასე ნაადრევად? ფრინველებმა წარსული მოაგონეს ბიჭს. სექტემბრის ერთ დღეს სანადიროდ წავიდნენ. მამამ გაფრენილი იხვი მოკლა. ფრინველი მდინარეში ჩავარდა და წყალმა წაიღო. ბიკენტი ყვირილაში გადაეშვა. როდესაც ნაპირზე გამოვიდა, ხის ქვეშ წამოწვენ და როგორც ტოლებმა, ისე ისაუბრეს. სულ ბოლოს ოლიფანტეზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მამამ თქვა, რომ მას, ოლიფანტეს, თავისი უბედურება ჰქონდა. ბიძია, ყველას უნდა, რაღაც თავისი საკუთარი ჰქონდეს. საზიარო, თუნდაც უბედურება, გლეხის ბუნებას არ ეწყობა. ხომ წარმოუდგენელია კოლექტიური ღვიძლი, თვალისჩინი, ან საზიარო სიზმარი? უბედურება ოლიფანტეს თავშესაფარია, ისე როგორც მეორისათვის ვერაგობა, იდეურობა ან კაიკაცობა... „ოლიფანტე, არ დაგივიწყებ დღევანდელ დღეს. კაცი, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტებს მეორეს ერთი კიმპალი ყურძნისათვის, შავ მორევში უნდა ჩაალრჩო ან ძროხის ფუნაში უნდა ჩააყუდო თავით".

ნუგზარი ახლა უსტვენდა. „ასე ყვავიც არ ჩხავის ალბათ... მაინც რა მოსწონთ მისი ამ ხვლიკის მსგავს გოგოებს? თუმცა თხა თხას ეტანება და ბატი ბატს, ასე იყო ყოველთვის, ასე დარჩება მუდამ".

— აყლაყუდავ, მე მეჭიდავები? — დაუძახა ბიკენტიმ.

— აპა არა... ი, რაიო, რა თქვი, შე თავკომბალავ? — თვალები დაჭყიტა ნუგზარმა.

— რაიო და პირში ჩალა მინდა გამოგავლო...

— შენა, ქათმის სკლინტო?

— ხო, მე... სოი, სოი, ბატო!

— კატების ნათრევო, ახლა რო წაგავლებ ხელს და გისვრი, შორაპანი აქეთ დაგრჩება.

— მოი, მომიახლოვდი... ნუ იტყლარჭები უშნოდ.

— მაცა, ახლავე დაგაყრევინებ ფაშვ-ნელებს.

ნუგზარმა ერთი ხელი კისერში წაავლო ბიკენტის, მეორე წელზე მოხვია, შემდეგ თითქოს ცეკვავსო, სარმა გამოსდო და მიწაზე გაანვინა. კიდევ რამდენჯერმე სცადა, ბედი ბიკენტიმ. აყლაყუდა ყველა ხელს უგებდა.

ყვირილას გაღმა კორტოხზე მდგარი ჩამონგრეული ციხის ხნის პავლე ტყიდან ბრუნდებოდა. ჯირკს მოათრევდა.

— ქეციანო, — არ შეჩერებულა, ისე გასძახა ბიკენტის — წერას ხომ არ აუტანიხარ,

გერევა ხომ ხედავ... მაინცდამაინც ფაშვზე გინდა გაგხეთქოს?

ბებრული, ახირებული სიცილი მორთო.

— რა გითხრა იცი, ბაბუა...

რაღაცის თქმა უნდოდა ბიკენტის, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

— კაკვავ თითს? — იკითხა ნუგზარმა.

— ვკაკვავ.

დღეს ჩემი საშველი არ ყოფილა, გაიფიქრა მან, როცა იქაურობას გასცილდა. სისხლიანი პერანგი კაკლის ქვეშ დარჩა. მან არ იცოდა, რომ თანდათანობით ყველაფერი დავიწყებას ეძლევა, რომ თავის დროზე ყველაფერი — მწუხარება თუ სიხარული ყვირილას ტალღებს მიეცემა.

იმ საღამოს ცამ ძირი მოიდგა. გათენებამდის წვიმდა. მსხვილი წვეთები უბრახუნებდნენ კრამიტის სახურავს, ჯერ სასიამოვნოდ, შემდეგ ერთფეროვნად, მოსაბეზრებლად, ამ უკუნეთში, ამ აურზაურში, როდესაც ქვეყნის ავი ძალები დაძრწოდნენ სოფლის ყველა კუნჭულში, როდესაც სარკმელში ვიღაც იჭყიტებოდა, როდესაც სახლის სხვენზე ატრაოზი დაძვრებოდა, ხოლო ძილის ქურუმები კი სადღაც გამქრალიყვნენ, რა მიმზიდველად გაისმოდა დროდადრო ყურშას წამოყეფება ან მამიდას ხვნეშა და წრიალი საწოლში. „ყურშა, ხვალ ყველის დიდ ნაჭერს მოგართმევ, ჩემო ერთგულო ყურშა". შემდეგ მოდუნება, მინებება, თანდათან, თანდათან, გაოგნება, ძილი, სიზმრები.

მამლების მეორე ყივილზე გაეღვიძა ბიკენტის.

აღარც წვიმდა, აღარც მოჩვენებები იყვნენ. კიდევ ერთხელ გაქრნენ, კიდევ ერთხელ მიემალნენ სინათლის სხივებს. ცაცხვის ფოთლებზე წვეთები ბზინავდნენ, გაჟღენთილ მიწას მუქი ფერი დასდებოდა.

ზმორებ-ზმორებით გამოჰყო ბიჭმა თავი აივანზე. ეზოში მამიდა საკენკს უყრიდა წიწილებს.

— წია-წია... სად ხართ, დაგერიათ ჟუჟი.

— სალამ ალეიქუმ, მამიდა!

— ბიკენტია, დედუა, ამომიტანე თუნგულით წყალი!

— ამ უთენია რა დროს წყალია... ა, ვედროში სავსეა წვიმის წყალი.

— ჭინჭარი მაინც მომიკრიფე ჭუკებისათვის.

— მაგი რა მითხარი მამიდა, თავი გინდა მომჭრა?

— რავა...

— ქალი ხომ არ ვარ... ბალახის კრეფა რა კაცის საქმეა!

— უი, ჩემი ჭანჭალა ბიჭი, შენ შემოგევლოს მამიდა.

წყაროზე პირი დაიბანა. შემდეგ გაპიპინებული ჩაფი მხარზე შეიდგა და შინ დაბრუნდა. ყველი და ლადარის მჭადი მოიტება და ადიდებულ მდინარისკენ დაეშვა. შერიგებული ყურშა კუდის ქნევით დაედევნა უკან. ახლა ბიკენტის მაგრად ეჭირა ყველის ნაჭერი, ხუთივე თითით უჭერდა საიმედოდ. ბინდი თუ ღამის ფრთები მთლად არ გაყრილიყო, სასიამოვნოდ, ფრთხილად ეკიდებოდა გარიჟრაჟის სანთელი სოფელს.

ბიკენტი სახტად დარჩა. ხმაურით მოჰქროდა ყვირილა და მის ტალახისფერ ტალღებში ირეოდა ზემოდან წამოლეკილი ხე და ბუჩქები, დალეწილი კალათები და ფეხსაცმელები, მანქანის გაცვეთილი საბურავები, სიმინდის ტაროები, შპალები, ვენახის ძირები და ჭინჭები. იდგა წვიმის, წყლის, სველი მიწის სუნი.

რიყეზე ანუშკა პავლეს ეუბნებოდა:

— უი, დამეფსოს თვალები, რამხელა მოიზლაზნება, წარღვნაა კაცო?

— ჯერ სა ხარ, ჯერ ბალანაა, ბარტყი, კიდევ გეიზრდება.

— დალახვროს ეშმაკმა, ამაზე მეტი რა უნდა მეიმატოს... არ წაგვლეკოს ამ ოხერმა.

ვეღარ ეტეოდა ყვირილა კალაპოტში. გადმოდიოდა, ღმუოდა, მოილტვოდა.

— ანუშკა, ერთხელ ყველას ბეზრდება ძველი გზა, ძველი ლოცვა, ერთი და იგივე საჭამადი.

— იმე, ბზიკმა ხომ არ გიკბინა, პავლე?

კი მაგრამ ბიკენტი რამ ააკუნტრუშა, რაზე აფორიაქდა? რატომ ისროდა რიყის ქვებს მდინარეში, რაზე ინატრა იალქნიანი ნავი, ან რა შთაუნერგა ამ უჩვეულო ტალღებმა: სიძლიერე, ძალადობა თუ მოუდრეკლობა?

— ბიკენტია! — დაუძახა ანუშკამ.

— რა მოხდა?

— ბიჭო, თხები გამომარეკიე გაღმიდან, მართლა არ გედეირიოს ეს დასალუპავი მთლად.

— კი, ბებია, ამ წუთში, — თავი დაუკრა ბიჭმა.

— წევეით, აპა...

თხები ძლივს გამორეკეს. უხალისოდ გაპაკუნდნენ ბონდზე. წყალი თითქმის ჩელტებს ეხებოდა. ხოლო ტირიფები მთლად ჩაძირულიყვნენ. ტალღები კი ტალღებს ეხეთქებოდნენ, ქაფთებოდნენ. მათ არ უფიქრიათ ხიფათზე. ერთი ბავშვი იყო, მეორე — გამოჩერჩეტებული. ანუშკა წყევლა-კრულვით მიდიოდა ბონდზე.

წყალი უეცრივ ეძგერა ჩელტებს, ძლიერად, პირქუშად, თვალის დახამხამებაში გაპფანტა ფიცრები. ანუშკამ და ბიკენტიმ ძლივს მოასწრეს ზედა მავთულზე ჩამოკიდება.

დედაკაცმა მხოლოდ რამდენიმე წამი გაუძლო.

— მიშველეთ, ხალხო, ვიხრჩვები, მიშველეთ! — საცოდავად ყვიროდა, უძლურად, ბიკენტისაც კი ძლივს ესმოდა მისი ხმა.

უცებ მოიტაცა მდინარემ. ჯერ ერთი ხელი გაეშვა, შემდეგ მეორე და სამუდამოდ გაქრა. სწრაფად, ისე, თითქოს არც ყოფილიყოს ამ სოფელში დაბადებული, გაზრდილი და დაბერებული. ნაფოტივით მოიტაცა, ღიმილით, ხუმრობით. თაგვივით გაქრა, ბუშტსავით აორთქლდა, ნისლივით გაიფანტა.

შემდეგ მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ყაყანი, მერე უაზრო მსჯელობა, პაპიროსის ქაჩვა, თმების წეწვა, ძალდატანება გრძნობებზე, მოჩვენება და სინამდვილე.

ბიკენტიმ ძალა მოიკრიბა, აიწია და ფეხებითაც შემოეხვია მავთულს. წუთით თავისი პატარა ტვინით შეეცადა აეხსნა, თუ რა ხდებოდა, შეეცადა გაერკვია ის, რაზეც თავს იტეხდნენ წლობით ადამიანები — გამოეცნო დიდი საიდუმლოება, საიდუმლოებათა საიდუმლოება, ვინ გვიბიძგებს მდინარის ტალღებში ხელს, რაზე ვკიდივართ, ბაწარზე, ძაფზე? სად იკარგება სითამამე, ძალა? რაზე მოგვდის მარცხვი ცხოვრებაში ასე ხშირად. თანასოფლელებიდან შველას არ მოელოდა, თავის იმედიც არ ჰქონდა.

— ბიკენტია, ბიკენტია! — აყვირდა ვიღაც გალმა.

ცალი თვალით გახედა ბიჭმა. ოლიფანტე ყვიროდა. ნახევრად შიშველი იდგა და ღრიალებდა. „რას იფხრიწება პირძაღლი შუაზე, რა უნდა?“

ოლიფანტე ძუნძულით აჰყვა ნაპირს. ციხის ნანგრევების ოდნავ ზევით წყალში გადახტა და გაუჩინარდა. შუა მდინარეში თავი ამოჰყო. ღონივრად უსვამდა მკლავებს, მაგრამ ბიჭს მაინც ვერ დაუახლოვდა, ოდნავ გვერდით ჩაუარა.

ბიკენტიმ კი დაღლა იგრძნო. პატარა შუბლი წვეთებით დაეცვარა. ხომ არ გაშალოს თითები ანუშკასავით? ეს აზრი ჩუმად, ფრთხილად მიეპარა. მაშინ თავის გამხნევება სცადა და წაიმღერა. მან არ იცოდა სხვანაირად როგორ დაეძლია შიში. მისი ნერვული სიმები, ჯერ თხელი და ნაზი, ძალზე იყო მომართული. შემდეგ ისევ მოაგონდა მამა, მისი ნათქვამი: ადამიანი იბადება სუნთქვისათვის, ღიმილისათვის, ბრძოლისათვისო. ბრძოლაში უნდა მოკვდეს კაცი და არა კაკლის ჩრდილში ან ქილოფზე წამოწოლილიო... მღეროდა, წრიპინებდა ბიჭი. მერე ცრემლები წასკდა...

მეორე ცდამაც ფუჭად ჩაუარა ოლიფანტეს. მაშინ მესამეჯერ დაჰყვა მდინარეს. მანამდე კი ქიქა არაყი მოითხოვა. არყისათვის ბავშვი აფრინეს სოფელში. [illegible] ნუგზარი კისრისტეხით გავარდა. მაგრამ ოლიფანტე აღარ დაელოდა მას. ახლა ძაღლივით მიცურავდა, თავაწეული, ფრთხილად. გამოზომილი მოძრაობა, სუნთქვა, გამოხედვა, ფიქრი. როდესაც მავთულზე ღამურასავით ჩამოკიდებულ ბიკენტის მიუახლოვდა, წყალბურთელივით ამოხტა წყლიდან.

სინამდვილეც ხშირად სიზმარივით მიმდინარეობს, წყვეტილად, ზერელედ, აუხსნელად სიზმარივითვე უეცრივ მთავრდება. ნაპირიდან დიდხანს აღარ ჩანდნენ ოლიფანტე და ბიკენტი. მაგრამ მერე, როდესაც რკინიგზის ნიშანსვეტთან ამოყვეს თავი, სოფლელებს წუთიერმა საზიარო ზმანებამ გაუარათ და ისევ ახმაურდნენ, აყაყანდნენ.

— უიმე, რამსიშორეს მოუტაცია...

— აპა, მარანში გეგონა წამოსკუპდებოდნენ?

ბიჭი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქნევდა ხელებს და ნაპირი, მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მისკენ მოიწევდა.

— ეგრე, შენი ჭირიმე, ბიკენტიავ... აგრე, შენი ჭირიმე, ანგრე მოუსვი! — ღრიალებდა ოლიფანტე.

მერე კი მთელი სოფელი შემოეხვია ბიჭს. იგი კი გაშტერებული იდგა და ვერ ხვდებოდა, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში თვეები, წლეები და შეიძლება მთელი ცხოვრებაც კი განიცადა.

გლეხი, სოფლელი კაცი, ნასვამი თუ არ არის, იშვიათად გამოხატავს სიხარულს ხმამაღლა. გახმაურებულ სიხარულს, ბედნიერებას ხშირად სიყალბე გადაჰკრავს. იგი გრძნობს, ხვდება ამას, იმიტომ არ ხორხოცობს. ან რად უნდა მის სიხარულს: ვენახს, ყანას, მათ მარჩენალ უტვინო ძროხას, ტყეში დაკრეფილ სოკოს, მათ ლოყაწითელა ბალნებს — ტაშ-ფანდური, „ვაშას“ ძახილი. მაგრამ ახლა ამ წესს გადაუხვიეს, ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს, ბიკენტის გარშემო დადგნენ და „იმერული მგზავრული“ დასცხეს. ყველა მღეროდა. მართალია, სასაცილოდ და უფხოდ მღეროდნენ, რადგან ერთს ხმა არ ჰქონდა, მეორეს სმენა, მესამეს კი საერთოდ არაფერი, მაგრამ გულწრფელობას, სიხარულს, თავისი გაჰქონდა მაინც.

— ვაი, თქვენს პატრონს, — იღიმებოდა ბაბუა პავლე, ბიკენტის კი უთხრა, — ბაბუა, ეტყობა მთლათ გამოვჩერჩეტდი, აქომამდის ვერ მივხვდი, ვის მაგონებდი... დღეს, ამ წუთას, ჩემი ბალღობა გადამიშალე თვალწინ.

შენხელა ვიყავი, წისქვილთან მგელი რომ მივახრჩე ცარიელი ხელებით... ამ დალოცვილ ქვეყანაში ყველაფერი მეორდება გარკვეული დროის შემდეგ.

— რაფიელას შიმშილისგან დაძაბუნებულ ძაღლს გააბზიკინებინა ფეხები ამ გამოჩერჩეტებულმა, — ყურში ჩასჩურჩულა ბიკენტის ხრონცმა ერემიამ.

ყურშა კუდს იქნევდა და ფეხს ულოკავდა ბიჭს. შორიახლოს ორი ყვინჩილა ჭიისათვის, ისევე როგორც ბიჭები ფანქრისათვის თუ ლელვის ჩირისათვის, გამალებით ურტყამდნენ ერთმანეთს ნისკარტს. ხოლო ოლიფანტემ, ამ ძუნწმა კაცმა, ერთი გოდორი ინჩეს მანეთა ჩამოიტანა ზემოდან.

— ჭამე, ბიკენტია... თქვენც ჩახეთქეთ, მოდით, — ილრიჭებოდა ოლიფანტე.

„იმერული მგზავრული", ინჩეს მანეთა, იქიდან მოსული ბაბუა პავლე, იქით წასული ბებია ანეტა, ყურშა, ორი მამლაყინწა, სოფლის გოგოების აღფრთოვანებული მზერა, განცვიფრებული აყლაყუდა ნუგზარი, იქ, სოფელში, ყველაზე საყვარელი ადამიანი — მამიდა, და ბიკენტის გაელიმა და მისი ჩასისხლიანებული თვალები ისევ ნაკადულს დაემსგავსნენ, უფლისწულის თვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ხმალაძე

# ნასყიდას ვატერლოო

## მოთხრობა

წლები გადიოდა. ქვეყანა იცვლებოდა. სამყაროს ხანი ემატებოდა. დედამიწა თანდათან მძიმდებოდა და ზოგიერთ მეცნიერს თუ დავუჯერებთ, მზეს დღეში სამი ტონა ენერგია აკლდებოდა და ცივდებოდა. სოფელიც ფერს იცვლიდა: ძველი ინგრეოდა, ახალი შენდებოდა, ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა. ნასყიდა კი დროთა სვლას აინუნშიც არ აგდებდა, გულთან ახლოს არაფერს იკარებდა და ამქვეყნიურ ამაოებას არ ეჩაგვრინებოდა. დილით მზის ნაცვლად ყინულის ლოდი რომ ამოგორებულიყო გაღმა მთებიდან, არ გაიკვირვებდა, არ შეშფოთდებოდა და ფეხებზეც არ დაიკიდებდა. ერთი სიტყვით, დრო-ჟამი ვერაფერს აკლებდა მის ცქვიტსა და მოუსვენარ თვალებს, ამხნის კაცისათვის შეუფერებელი სიცელქით, რომ უციმციმებდა და ნასყიდას საფიცარ ჭაღარა ულვაშებსაც ძველებურად თავმომწონებით აცქვიტათ ბოლოები.

ერთი უსაქმური და ხელთუპყარი კაცი იყო ნასყიდა. ხელობა არაფერი ჰქონდა, სხვის დაუხმარებლად ვირს ვერ მიაბამდა ბაგაზე, ლობიოს სარს ვერ შეუდგამდა, თხილის ყლორტიდან სახრეს ვერ გამოჭრიდა, მაგრამ ცხოვრება მაინც არ უჭირდა. ენა ჰქონდა, ნატვრისთვალში არ გაიცვლებოდა, ოჯახს ის ანახვინებდა, იმით ხნავდა და თიბავდა, და ბარისა და თოხის მაგივრობასაც ის უწევდა. სოფელში ნასყიდას მუშაობას არავინ მოსწრებია, თუ ზოგჯერ მოეხასიათებოდა და ზვარში ან მინდორში წაჰყვებოდა კოლმეურნეებს, ბრიგადირები და მერგოლეურები აქეთ ეხვეწებოდნენ: ოღონდ ჩემს ხალხს მოსცილდი, ლაპარაკით ნუ მოგვიცდენ და რამდენ შრომადღესაც სხვებს ვუწერთ, შენც იმდენს დაგიწერთო. კატას ფილტვი ესროლეს და ღმერთმა ეგეთი მეხი ნუ მომიშალოსო, ნასყიდაც მთელ დღეს სადალაქოს წინ იდგა და მასლაათში აღამებდა. ეს კაკლის ხის ქვეშ შეყუჟული თეთრი ქოხი შესახედავად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა სხვა სოფლის საპარიკმახეროებისაგან და ბებერი დათებაც იმავე საქმეს ემსახურებოდა, რასაც სხვა სოფლის პარიკმახერები ემსახურებიან, მაგრამ რატომღაც ყველა მაინც დალაქს ეძახდა და მის მომცრო სადგომს კი სადალაქოს. აი, ამ კაკლის ქვეშ, ამ ქოხთან ჰქონდათ დინგა — სოფლის

ბიბლიოთეკა

სალაყბო, აქ იკრიბებოდნენ მოცალეობის ჟამს კაცები და ნასყიდაც მუდამ მათ შუაგულში იდგა. რაზეც არ უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, ყველაფერი სხვებზე უკეთ ნასყიდამ იცოდა, არავის დააცლიდა ლაპარაკს, ხელად ჩაუჭრიდა სიტყვას და თვითონ გააგრძელებდა, თანაც ისე სწრაფად, რომ სულის მოსათქმელი პაუზების დროსაც მხოლოდ გაკვირვება-გაოცების უმოკლეს შორისდებულების ჩართვას თუღა ახერხებდნენ მსმენელები.

ერთხელ გიობელამ, სოფლის ოქროხელა დურგალმა, ცხვარივით უწყინარმა კაცმა, შეჰბედა და უთხრა:

— რა არი, ნასყიდ, სულ რომ შენა ლაპარაკობ, ერთი ჩვენც დაგვაცალე; იქნება ჩვენცა გვაქვს რამე სათქმელი.

— ეგ რა წამოგცდა, კაცო, — გაოცდა ნასყიდა, — პირში ენა როგორ მოგიტრიალდა მაგის სათქმელად, გაფიქრებით თუ გაიფიქრე, ხმამაღლა მაინც როგორღა სთქვი! როცა შენ შენს საქმეს ადგეხარ, მე რომ მოვიდე და გითხრა, შალაშინი მომეცი, ახლა მე უნდა გავრანდო-მეთქი, დამითმობ? არ დამითმობ. მართალიც იქნები, იმიტომ რომ შენ შენი ხელობა გაქვს და მე ჩემი, შენ შენი საქმე იცი — მე ჩემი.

სალაპარაკოსა და სამასლაათოს რა გამოულევდა ნასყიდას, მაგრამ ყველაზე მეტად ნაპოლეონზე საუბარი უყვარდა მაინც, იგი იყო ნასყიდას სათაყვანო კერპი და მისი ბიოგრაფიის ყველა წვრილმანიც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა.

— არა, ძმისწულო, ნაპოლეონს არცერთი ომი არ წაუგია, დამიჯერე, — შეგონებით ეტყოდა რომელიმე ახალგაზრდას, მერე მოიწყენდა, სახე მოეღრუბლებოდა და ნაღვლიანი ხმით დააყოლებდა: — მან მხოლოდ რამდენიმე ბრძოლა დათმო საჭიროებისამებრ.

როცა ნაპოლეონზე ლაპარაკობდა მეტი დამაჯერებლობისთვის მწიგნობრულ სიტყვებს გამოურევდა ხოლმე, მაღალფარდოვნებას ეტანებოდა. სულ არ ენაღვლებოდა, უჯერებდნენ თუ არა, მთავარი ის იყო რომ არავინ ეკამათებოდა, ყველანი ღიმილით უქნევდნენ თავს.

სხვა დროს მეორეს შეედავებოდა:

— რაო, როდის მოკვდაო ნაპოლეონი, შემოგევლე? ნურას უკაცრავად და ცოტა გეშლება. იმ ბოლო ომის მერე სამხედრო მაღაზიის დირექტორად იყო პარიზს იქით რომ ქალაქია, იქა. სიბერეში პენსიაზე რომ გავიდა, აბა, ამ გადაყრუებულ დათებას კი არ ჰგავდა, ძლივ რომ დაფამფალებს და სადალაქოს კი მაინც არა შორდება. ენა ვერ მოუტრიალებია, კაცო, სად გაგონილა, დალაქს ლაპარაკი ეზარებოდეს, ულვაში ნუ შემირცხვება, კარგი დალაქი ნახევარს ენას უნდა აჭრევინებდეს და ნახევარს სამართებლოს. ჰო, იმას გეუბნებოდით, ნაპოლეონი პენსიაზე რომ გავიდა, მოგზაურობა დაიწყო. რუსეთშიც იყო, მოსკოვს რომ ათვალიერებდა, ტირილი დაიწყო თურმე: ეს მშვენიერი ქალაქი ერთ დროს ჩემი მიზეზით გადაიბუგაო. რას იზამ, დიდ ხალხს შეცდომებიც დიდი ემართებათ, მაგრამ ეგ არის, არ უჭირთ საკუთარი შეცდომების აღიარება, კაკაანთ ოთარასავით მე ვარ და ჩემი ნაბადიო, იმას კი არ გაიძახიან.

ნასყიდას ფანტაზიის მქონე კაცს განათლება რომ მიეღო, ვინ იცის სადამდე მიეღწია, რა გამოსულიყო, მაგრამ თვითონ ნასყიდა რადიოში ყურმოკრული თუ კინოში ნანახი, ან აქა-იქ წიგნებში ამოკითხული ცოდნითაც კმაყოფილდებოდა, უსწავლელობის გამო უკმარისობის გრძნობას არასოდეს შეუწუხებია და ხელი არ შეუშლია, საქვეყნოდ აღიარებულ ავტორიტეტებსაც შეედავებოდა.

— ხალხო, რატო ღმერთი არ გაიცინებს, ხალხო! — გაოცებული შლიდა ხელებს ნასყიდა, — გაიგეთ, რა კინო გამოსულა? სპილო ჩვენი მეგობარიო. ვაიმე, ვაიმე, ასეთი სისულელის გადაღება შეიძლებოდა? ულვაში ნუ შემირცხვება, ულვაში, სპილოზე მუდრეგი ცხოველი დედამიწაზე არ დადის! იმათ

ქვეყანაში, სადაც ეგ უჯიშო ოტროველები ბინადრობენ, ძალიან მშრომელი ხალხი ცხოვრობს. დათესავენ გლეხები ხორბალს, სიმინდს, ლობიოს, უვლიან, ოფლითა რწყავენ, ზედ ევლებიან, ჰა და ჰა, უნდა მოიწიონ ჭირნახული და რად გინდა, მოვლენ ეს ოხერი სპილოები, გაგორდებიან და გამოგორდებიან ერთი თავიდან მეორემდე, გაგორდებიან და გამოგორდებიან. საწყალი გლეხები ეხვეწებიან, ემუდარებიან, რას არა ჰპირდებიან, მაგრამ ერთი კაკაანით ოთარაშ შეაგნებინებ ლაპარაკით რამეს და მეორე — მაგათ. სანამ სულ არ მოაოხრებენ ეგ უპატრონოები მოსავალს, არ გაჩერდებიან. ტირიან გლეხები, ჩამოსდით ოთხსავ კუთხივ მღვიარე ცრემლი, სპილოები კი ასწევენ მაღლა ხორთუმებს, დააღებენ ვეება პირს და ხორხორცებენ, გლეხების უბედურებას დასცინიან. აბა, სხვა ცხოველი ამას გააკეთებს? ულვაში ნუ შემირცხვება, სახედარი რომ სახედარია, ის არ იზამს ამასა. სახედარს თუ მაინცდამაინც გორვა მოუნდება, ნაცარში გაგორდება, ისიც ჰიგიენის მიზნით. ეჰ, რას ამბობ, სახედრისა და სპილოს შედარება არც შეიძლება. ჯერ სახელს დაუკვირდით, ხალხო, ნათელი სახისაო, სახე დარიო. ის კი არა, ერთ წიგნში წავიკითხე, თურმე მაგრად დატვირთული სახედარი დიდ ტალახში რომ გაატარო, მერე უტვირთოდაც არ გაივლის იმ ტალახში და უკან სხვა გზით დაბრუნდებაო.

— ეგ იგავ-არაკი სკოლაში ვისწავლეთ, სხვანაირად არის... — თქვა ხალხის უკან მდგარმა მაღალმა ჭორფლიანმა ბიჭმა.

— გასწი, დაიკარგე აქედან! — შეუტია ნასყიდამ, — სხვანაირად არის! შენ ეგ წიგნები წესიერად რომ გეკითხა, მეორედ კი არ გამოგაპანღურებდნენ მისაღები გამოცდებიდან, ჩემი გოგოსი არ იყოს!

— ვერც წელს ჩაირიცხა შენი გოგო, ნასყიდ? — ჰკითხა ვილაცამ.

— ჩაირიცხა არა, ჯანდაბა! ვინ ჩარიცხავდა, კაცო, შეკითხვებზე ისეთ პასუხებს აძლევდა, გამომცდელები მელაანამდე ქვის სროლით მოგვყვნენ, ცოცხლებმა ძლივ გამოვასწარით. ჰო, იმაზე ვლაპარაკობდი, სპილოებზე არა? მაგრამ რალა შორს წავიდეთ, სპილო რად გინდათ, თქვენ მაჩვის ამბავი უნდა იკითხოთ. ეგ რა სასწაული ყოფილა, კაცო, ჩვენს არემარეზე მაგისთანა ცხოველი არ დადის თურმე. ხვალე ხომ კვირაა, არა? ამოდით ჩემთან და მაჩვის ამბავს იქ მოგიყვებით. თოხებიც გამოაყოლეთ ხელს, აბა, მე ხომ მაგდენი თოხი არ მექნება.

— ხვალისათვის არა მცალია, ნასყიდ, არ გეწყინოს და ჩემი იმედი ნუ გექნება. — თქვა პატარა, გამხდარმა კაცმა.

— შენ ნურც ამოხვალ, ესტატე, ისედაც ერთი გაბანებალა ხარ დარჩენილი და ჩემი საბაბით რომ რამე დაგემართოს, სოფელში თავი როგორღა გამოვყო.

უცნაური ამბების ულევი მარაგი ჰქონდა ნასყიდას: ძველი თუ ახალი, გაგონილი თუ გამოგონილი, ვითომ სხვების სატყუარად რომ ჰქონდა და მოყოლისთანავე თვითონ მათზე მეტად რომ იჯერებდა. ოდნავადაც არ ეჩოთირებოდა, თუ ზოგჯერ უმოწყალოდ აურევდა ერთმანეთში მოქმედების ადგილებს ან დროს, იცოდა მაინც არავინ შეედავებოდა.

— ეჰ, ცხოვრების ყადრი დაკარგა ახალგაზრდობამ, მარტო საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნვას უნდებიან, აღარც ოჯახზე ფიქრობენ, აღარც შვილებზე. იმკვირია თბილისში ვიყავი ბიჭთან, იმისთანა ამბავს შევესწარი, ულვაში ნუ შემირცხვება, ჩემს ადგილას სხვები გაგიჟდებოდნენ. ჩემს რძალს ერთი ჭრელი ქოლგა ეყიდნა ხელზე, ორმოცი მანეთი მიეცა. იაპონურიაო, მითხრა. სადაურიც გინდა იყოს, კაცო, რომ ყიდულობ, ხომ უნდა გამოგადგეს რამეში, ის ვერანა კი ისეთი ლამაზი იყო, შიშით წვიმაში ვერ გაშლიდი, დაგენანებოდა. ჰაი დედასა, ჩვენ დროს რა ქოლგები იყო! შავი, დიდი ქოლგები, აი, დათებას ემახსოვრება კარგად. იმას სულ სხვა

ლაზათი ჰქონდა, გაშლიდი და გეგონება ქოხს შევეფარეო, აღარც ქარ-წვიმისა გეშინოდა და აღარც მზისა, ყველაფერში გამოგადგებოდა. ერთი იმდროინდელი ამბავი მახსოვს, ესტონელი თუ ტუნგუსი ქალის ამბავი. ეს ქალი ვიღაც მექალთანე კაცს შეეცდინა და მერე ცოლად აღარ წაეყვანა. ქალის ჭკუისას ხომ ვერაფერს გაიგებ, ერთ წუთში რომ მზესა და მიწას შეჰხარის, მეორე წუთში, შეიძლება, მთის მდინარესავით აურიოს და დამბადებელი გაწყევლინოს. ამ ქალსაც, ერთხელ თვითმფრინავით მგზავრობისას თავი მოსძულებოდა: განა ეგეთ შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი არ მირჩევნიაო? უფიქრია და ბევრიც აღარ დაუხანებია, მოუკრეფია თავისი ბარგი-ბარხანა, გაუხსნია თვითმფრინავის კარი და გადმომხტარა. სანამ მიწამდე ჩამოაღწევდა, თურმე ბევრი იფიქრა, ყველამ კარგად იცით, ეხლანდელი თვითმფრინავები ათი-თორმეტი კილომეტრის სიმაღლეზე დაფრინავენ, და მე შენ გეტყვი, ფიქრისათვის დრო არ დარჩებოდა, ჰოდა, ამ ქალმაც ყველაფერი კარგად აწონდაწონა და გადაწყვიტა: თავის მოკვლით ჩემს საქმეს არაფერი ეშველება, ის სალახანა კაცი კვლავაც ბედნიერად იცხოვრებს და მეკი ისე გავქრები, ჩემს გვამსაც ვერ იპოვიანო. ხელში ისეთი ქოლგა სჭერია, წეღან რომ გეუბნებოდით, გაუშლია ის ქოლგა და რუსეთის რომელიღაც სოფელში კი დამჯდარა ნარნარად, მშვიდობიანად. გადარეულან იმსოფლელები, მა რა მოუვიდოდათ. ამ ქალის ცხოვრება მერე სულ სხვანაირი გზით წავიდა, ხვალე ხომ კვირაა, არა? ამოდით ჩემ ვენახში, ჩამოვსხდეთ ჩრდილში და დანარჩენს იქ მოგიყვებით. აპარატისა და შაბიამნის წამოღება არ გინდათ, მე თვითონა მაქვს.

ხალხი ნასყიდასაც იცნობდა და მის მიერ მოყოლილი ამბების ფასი და ღირებულებაც კარგად იცოდა, მაგრამ არც ის ეშლებოდა, რომ თუ სოფელს სოფლობა უნდოდა, ერთი ნასყიდასნაირი კაციც უნდა სახლებულიყო იქ, უნდა შეენახათ და ინახავდნენ კიდეც.

ახალი შებინდებული იყო. ვასიკო მონტიორს ჯერ არ ჩაერთო ქუჩის განათება. ყორეებთან მოთამაშე ბავშვებს ჯერ არ გადაეძახათ ერთმანეთისათვის: — ყველა თავის ბუდეში, კურდღელი კი ბუჩქებშიო, რაც მათ ენაზე დამშვიდობებას ნიშნავდა. ეხლახან ჩავლილ ნახირს თბილი, ნაცნობი და სასიამოვნო სუნით აევსო ჰაერი. ნასყიდა საზღვაო ბრძოლებზე ყვებოდა.

— ...ისტორიას კეისარზე დიდი ადმირალი არ ახსოვს, ზღვის ვეშაპი იყო, ოკეანის კაშალოტი. სულ უმნიშვნელო ტექნიკის გამოყენებით სასწაულებს ახდენდა ზღვაზე. ამიტომაც იყო, ჯავშნოსანი საბრძოლო გემი როცა გამოიგონეს, მის პატივსაცემად კრეისერი უწოდეს. კრეისერი ქართულად კეისარს ნიშნავს...

ნასყიდას სიტყვა არა ჰქონდა დამთავრებული, რომ კანტორიდან ბიჭი მოვარდა: თავმჯდომარე კლუბში გიბარებთ, რაიონიდან თუ ქალაქიდან ხალხია ჩამოსული, ლექციის წაკითხვას აპირებენ და ყველანი იქ უნდა იყვნეთო.

— წავიდეთ, — თქვა ნასყიდამ, — წავიდეთ, ერთი ვნახოთ, რა ლექციას წაიკითხავენ.

კლუბი ხალხით იყო გავსილი. ვისაც სკამი არ ერგო, კარებთან მიგროვილიყვნენ და იქიდან უსმენდნენ ტრიბუნაზე მდგარ პატარა მელოტ კაცს, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე რომ ლაპარაკობდა. თურმე ესეც მეცნიერება იყო და ძალიან შესაფერი სახელიც ერქვა — გერონტოლოგია. მელოტი ხალხს არიგებდა: თუ დაბერება არ გინდათ, კვამლს, განსაკუთრებით მანქანების გამონაბოლქვ გაზებს ერიდეთ და სუფთა ჰაერზე რაც შეიძლება დიდხანს იყავითო, თამბაქო არ მოსწიოთ, ღვინოარაყს არ მიეკაროთ, ცოტა ჭამეთ და ბევრი იმუშავეთო.

ნასყიდა ადგილზე ცმუკავდა, ვერ ისვენებდა, უმოქმედობისაგან გული უწვ-

რილდებოდა. საუბარში ჩარევა უნდოდა, სიტყვის შეშველება, საკუთარი აზრის გამოთქმა, მაგრამ თავმჯდომარე სცენიდან ისე გადმოხედავდა ხოლმე, ლაპარაკის ხალისი ეკარგებოდა.

ლექციის შემდეგ, როცა ყველანი კლუბის ეზოში გამოიშალნენ და თავმჯდომარემაც რაღაც საქმის გამო რამდენიმე წუთით მიატოვა სტუმარი, ნასყიდამ დრო იხელთა:

— თუ უკადრავად არ ვიყო, ბატონო, ერთი შეკითხვა შეიძლება?

— მკითხეთ, ამხანაგო, მკითხეთ. — დარბაისელი მოხუცის ასეთი მოკრძალება ესიამოვნა ლექტორს.

— თქვენი სახელი მაინტერესებს, პატივცემულო!

— კიტა, — გაეღიმა სტუმარს, — კიტა სევასტის ძე. — უცებ დასერიოზულდა მერე.

— კიტა თუ ქიტა, კაცო? — ყურთან ხელი მიიტანა ნასყიდამ.

— კი-ტა! არა ქიტა, არამედ კი-ტა. — დაუმარცვლა თავისი სახელი ლექტორმა.

— ტა-ტა-ტა-ტა-ტა, აფსუსი არ არის, კაცო, აფსუსი არ არის!

შორიახლოს მომდგარ სოფლელებს შეკავებული სიცილი ციყვებივით უხტოდათ თვალებში.

— რატომ ამბობ მაგას, ამხანაგო, — გაოცებით გაშალა ხელები სევასტის ძემ, — ჯერ ჩემთვის სახელი არავის დაუწუნებია!

— დაწუნება-არდაწუნებაში არ არის საქმე, თქვენისთანა ნასწავლ კაცს ბასა უნდა ერქვას, მიხა ან თუნდაც ქიტა.

— რაო, ვითომ, რატომ, ეგ საიდან მოიტანეთ. — გაბრაზება დაეტყო ლექტორს.

— იმიტომ, რომ ესენი დიცხანსა სძლებენ.

— რას შვრებიან?

— დიდხანსა სძლებენ-მეთქი, ვისაც ეგეთი სახელები ჰქვიათ, დიდხანს ცოცხლობენ.

— კარგით ერთი, როგორ არ გრცხვენიათ, განათლებული კაცი ჩანხართ და რაღაც დრომოჭმულ ცრურწმენებს კი აჰყოლიხართ, არ გეკად[illegible]ლად არ გეკადრებათ. ეგ [illegible] იყოს, როგორ გგონიათ, მეცნიერებისთვის უცნობი იქნებოდა აქამდე? — შეარცხვინა ნასყიდა კიტა სევასტის ძემ.

— ცრურწმენა რა შუაშია, ძველებს უფრო არ დაეჯერებათ?! აი, თუნდაც მე, რამდენი წლისა ვიქნები თქვენი აზრით?

— თქვენ... დაახლოებით სამოცდახუთის...

— სამოცდათექვსმეტიც ნუ გშურს, მაგრამ მე რომ აბრია ან ყაყიტა მრქმეოდა, ათი წლით ახალგაზრდა მაინც ვიქნებოდი. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ჩემნაირ საწყალ კაცს რა სახელი ერქმევა და რამდენ ხანს გასძლებს, მთავარია, თქვენისთანა ჭკვიანი ადამიანი, ეგეთ სასარგებლო საქმეს რომ ემსახურება, ისა ცოცხლობდეს დიდხანს. რა იცი, იქნება არც ეხლაა გვიან, ქალაქში რომ ჩახვალთ, სახელი გამოიცვალეთ, ან თუნდაც მეტსახელი დაირქვით რამე.

კიტა გაოგნებული შეჰყურებდა. ვერ მიმხვდარიყო, ვისთანა ჰქონდა საქმე, რა უნდოდა ამ მოხუცს, რაღაც აბდა-უბდით რომ უბნევდა თავგზას. ამ დროს გაუჩინარებული თავმჯდომარეც დაბრუნდა, ნასყიდას მკაცრად დაუბრიალა თვალები და ლექტორი ხელკავით წაიყვანა ჭიშკართან გაჩერებული მანქანისაკენ.

— ულვაში ნუ შემირცხვება, მართლა აფსუსია, მართლა მეთანაღრება გული. — მათ გასაგონად ჩაილაპარაკა ნასყიდამ და ხალხისაკენ მობრუნდა.

— რაშია საქმე, ნასყიდ, — საიდანღაც კაკაანთ ოთარი გამოტყვრა, ფეხზე ძლივს იდგა, დღესაც სადღაც გალეშილიყო. — ხომ არავინ გაწყენინა, თუ გინდა, იმ შენს ლექტორს ერთი გემრიელად მიგიმყავებ. ხომ იცი, მე ცოტა მიწერია, თავმჯდომარისა კი არ მეშინია.

— მომწყდი თავიდან. გამომივიდა ესეც ქომაგი და მხარში ამომდგომი... ქაჩალმა რომ წამალი იცოდეს, თავის

თავს მიხედავდა. — დამცინავად აავლო თვალი ნასყიდამ.

— რათა, ნასყიდ, მე შენსკენ, კაცო, და ...ვიღაცამ გაგაბრაზა ჩემგან რა გინდა.

— რა მინდა და შენი ნაცვამი ხალათი. შე მუდრეგო, დაამჟავებ რა, ლექიანობაა, ცოტა გააქანე ეგ გამოცარიელებული გოგრა.

— რა დაგიშავე, კაცო, რა, — აყვირდა ოთარა. — შენი მოსაწონი რა ვერაფერი გავაკეთე. მე რას დამადგი კბილი, ჩემს მეტი ვეღარავინ ნახე მასხარად ასაგდები!

— ეშმაკმა რომ სილა გტკიცოს. მაშ ქება დაგიწყო, ამ ხნის მუტრუკი ისევ მამაშენს რომ აზიხარ კისერზე? გაიხედ-გამოიხედე, შენსავით უსაქმურად დაყალაღანად რომელი დალაყუნობს სოფელში. არ შეგეძლოს მაინც, შენი შესახედაობის ცხენი რომ მყავდეს, ხუთას თუმანს არავინ დამალაპარაკებდა ბაზარში.

— ჰო, უსაქმური მეძახე თორემ შენ ხომ ოქრო-ვერცხლს მიყურსებ.

— ე, ვერ უყურებთ ამას! შე ბაითალმანო, მთელი შენი საგვარეულო ერთ წელიწადს ვერ გააკეთებს იმდენ საქმეს, რასაც მე ერთ კვირაში ვაკეთებ. დაიკარგე აქედან, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახონ. ჰმ, უყურეთ ერთი, მე არ შემადარა თავი ამ შარახვეტიამ!

სიბერეში ხომ ეგეთი სანდომიანი შესახედაობის მოხუცი იყო ნასყიდა, მაგრამ ვისაც იმის ახალგაზრდობა ახსოვდა, იგონებდნენ: ამ მხარეში ნასყიდას ფასი ვაჟკაცი არ დადიოდა, ქალებს მაგის შეხედვაზე სულ ელეთმელეთი მოსდიოდათ და მუხლები თავისთავად ეკეცებოდათო. ამის მიუხედავად, ცოლის გარდა სხვა ქალისაკენ არასოდეს გაუხედავს. არასოდეს ყოფილა, თამროსათვის უნდობლობის საბაბი მიეცეს, ეჭვიანობის გამო ოჯახში დავა არა ჰქონიათ და მაინც, ნასყიდა და იმისი მეორე ნახევარი გაუთავებლად ჩხუბობდნენ ყოველ დღე: ულევი საქმისაგან თავქარშეყრილი, ხელგაუჩერებელი და მუხლჩაუხრელი თამრო ვერ იქნა და ვერ შეეგუა მოჭრიჭინე და უქნარა ქმარს.

— კარგი, გეყოს, დედაკაცო, — აუღელვებლად, ხმის აუწევლად ეტყოდა ნასყიდა, — ახალგაზრდობა ხომ გამიმწარე შენი შხამიანი ენით და ეხლა სიბერესაც ნუ მიწამლავ. რაღა დროს ჩემი გამოსწორებაა, ერთი-ორი წელიც მაცალე, მოვა მიქელ-გაბრიელი და ის გამასწორებს.

ნასყიდას შუადღემდე ძილი და ლოგინში ნებივრობა უყვარდა (კიდეც რომ ამდგარიყო, რა უნდა ეკეთებინა, სად უნდა წასულიყო, ვის უნდა მისდგომოდა დილაადრიან კარზე, ვინ მოიცლიდა მისთვის). საწყალი თამროც ალიონიდან შუადღემდე ქაქანებდა, სწყევლიდა საკუთარ ბედსა და თავის დასაბრმავებელ თვალებს, დაუნდობლად ისტუმრებდა საიქიოსკენ ნასყიდას და მთელ მის საგვარეულოს. ნასყიდა ყურადღებას არ აქცევდა, ძილს არ იმწარებდა. შუადღისას ნელ-ნელა წამოდგებოდა და თამროსაც იძულებითი შესვენების ჟამი უდგებოდა, აბა, ქმარი სიტყვის თქმას რაღას დააცლიდა.

— დიდება შენდა, ღმერთო, — იწყებდა ნასყიდა წყნარი, წყნარი, მღაღადებელი ხმით, — ტყუილად კი არ უთქვამთ, წინასწარმეტყველს თვისსა სოფელსა პატივი არა აქვსო. ნაპოლეონი არ დააფასეს თავისიანებმა და მე დამაფასებენ! თორემ მთელი რაიონი ჩემით ამაყობს, ყველას ჩემი სახელი აკერია პირზე და საკუთარი ცოლის გული რატო ვერ უნდა მომეგო, ჩემი წყევლის მეტს რომ არაფერს აკეთებს. არა, მაინც რა გინდა, დედაკაცო, რათა მტიტავ, სიკეთის მეტი რა გამიკეთებია შენთვის? ამდენი ხანი გინახავდი, საჭმელი არ მოგკლებია და საცმელი, სამი შვილი გაგაჩენინე, შენს ბიჭებს უმაღლესი დავამთავრებინე და ქალაქში დავასახლე, არც გოგო დაგიტოვე უსწავლელი და ისიც ღირსეულად ჩავაბარე პატრონს. ბიჭოს! სხვა რაღა გინდა, მეტი რა გამეკეთებინა. ახლა იმათ ჩვენი აღარაფერი

სჭირდებათ, ჩვენ კიდევ რაცა გვაქვს, სიკვდილამდე თავზესაყრელად გვეყოფა. გინდა რომ მაინცდამაინც ბარვისას ამომხდეს სული, არა? ისედაც მოვკვდები, ნუ გეშინია, მერე, მარტო რომ დარჩები, იმდენი იმუშავე და იმდენი ქონება დააგროვე, მთელი სოფელი შენ შემოგნატროდეს. ეჰ, სულით განათლდეს ჩემი სიმამრი, განა არა, მეუბნებოდა: ჩემო სახელქებულო და საამაყო სიძევ, ვიცი, ვისაც გატან და რა დღეშიც ჩაგივარდება თავი, მაგრამ ვაჟკაცობა ის იქნება, ეგეთ ქალს გაუძლო და აიტანოო. აკი ვუძლებ კიდეც, ხალხო, აკი ვუძლებ და სხვა რაღა ვქნა.

ამ ლაპარაკში ჩაიცვამდა, საჭმელს ჭამდა, ულვაშსაკარს მოიხსნიდა (ჩემი ღრმა რწმენით ეს იყო უკანასკნელი მოქმედი ულვაშსაკრი საქართველოში). და გასწევდა სადალაქოსაკენ.

ქალაქშიაც ხშირად ჩადიოდა ხოლმე შვილებთან, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებდა, რადგან იქ მისი ლაპარაკის მოსასმენად იშვიათად თუ ვინმე მოიცლიდა. (ქალაქს საკუთარი ნასყიდებიც თავზესაყრელად ჰყავდა). უამისოდ კი ნასყიდას სიცოცხლეს რა ფასი ჰქონდა. სამაგიეროდ, სოფელში დაბრუნებული ენას ვეღარ აჩერებდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა ქალაქურ ჭორ-მართალის საკუთარ ვარიანტებს.

ახლაც თითქმის მთელი კვირა თბილისში გაატარა, გაავსო ხურჯინი ნანახ-გაგონილ-გამოგონილი ამბებითა და ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა დინგაზე, როდის გადააფერთხავდა ხალხს თავზე ამ ხურჯინს და გააოცებდა. იმ დღეს შაბათი უნდა დალამებულიყო და კაკლის ქვეშ კარგა ძალ მოცლილ ხალხს მოეყარა თავი, წრეში შუახნის თეთრხალათიანი კაცი ჩაეყენებინათ და ისეთი გულისყურით უსმენდნენ, თითქოს ნასყიდა ლაპარაკობსო.

ნასყიდა მივიდა, დამხვდურებს ჩვეულებრივად მიესალმა და მერე ვითომ სხვათაშორის იკითხა: ეს თეთრი მტრედი საიდანღა მოფრენილაო. რაიონიდან ახალი დალაქი გამოგვიგზავნეს, პარიკმახერიაო, უპასუხეს. ცქვიტი, ხმელხმელი კაცი იყო პარიკმახერი, ლაპარაკის დროს მთელი სხეულით ისე მოძრაობდა, იფიქრებდი, საკუთარი საუბრის უხილავ თოკს ჯამბაზივით ასდევს და ჩამოსდევსო. კარგა ხანს უსმინა იმის მომლოდინე ნასყიდამ, ან ახლა შემოაკლდება სიტყვა ან ახლაო, მერე კი რომ მიხვდა, არც პარიკმახერი აპირებდა ლაპარაკის დამთავრებას და არც ხალხს ბეზრდებოდა ყურის გდება, ვეღარ მოითმინა და შეუძახა:

— შენა, ძმისშვილო, ეს სოფელი უპატრონო ხომ არა გგონია, ენად რომ გაიკრიფე და ყურს აღარავის უგდებ. აქ ამ ხალხის გასაკრეჭ-გასაპარსად გამოგგზავნეს, მოსატყუებლად და თვალის ასახვევად კი არა. ულვაში ნუ შემირცხვება, ეგრე თუ გააგრძელე, მალე მოგიწევს აქედან აბარგება. იქნება შენ შენი მომრევი აღარავინ გეგულება? გამოჩნდება იცოდე, ბიჭოს! არ გამიხდა ესეც ნაპოლეონი, სხვისი ტერიტორიების დაპყრობა რომ მოინდომა!

— რაა? — დაიბნა ამ უეცარი თავდასხმისაგან პარიკმახერი.

— რა რაც! ვერ გაიგე?

— ეგ „რა რაც“ რაღაა? — ღიმილით მიმოიხედა მხარდაჭერის მძებნელმა პარიკმახერმა.

— ჰოდა, შვილო, როგორ არა გრცხვენია, ისიც კი არ იცი „რა რაც“ რა არის და მაინც დამდგარხარ და ენას აღარ აყენებ. არა სჯობია, სხვას მოუსმინო და ისწავლო?

— ამ კაცს სახლში ჰყავს ვინმე თუ მარტო ცხოვრობს? — ხალხს გადახედა პარიკმახერმა.

— როგორ არა, კაცო, ჰყავს რომელია... — უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— მერე და თუ პატრონი ჰყავს, გარეთ რათ უშვებენ, საავადმყოფოში წასაყვანად თუ ვერ იმეტებენ, ჩაკეტონ მაინც.

ნასყიდა მოულოდნელობისაგან გაშრა და ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში, ენა დროზე ვეღარ მოატრიალა. არა, ნამდვილად აკრძალული, უპატი-

ოსნო ილეთი იხმარეს, სინდისიერ მოწინააღმდეგეს მამისტოლა კაცისათვის ეგეთი სიტყვა არ უნდა ეკადრებინა. სოფელში მცხოვრებთაგან ასეთ რამეს არავინ იკადრებდა. ამ დროს საპარიკმახეროსთან მსუბუქი მანქანა გაჩერდა და ყველას ყურადღება ამან მიიპყრო. მანქანის კარი გაიღო, ჯერ ვიღაცის პატარა თავი გამოჩნდა, მერე შიგნიდან ისე ნელა გადმოიზლაზნა კლდის პითონივით უსაშველოდ გრძელი კაცი, ხალხს იმედი გადაუწყდა — აღარ დამთავრდება. „ეგ ვიღა ოხერია, — გაოცებული ფიქრობდა ნასყიდა, — იმ სიმაღლიდან რომ იყურება, ნეტავი არ ეშინია?“.

— ჩემი კლიენტია, — მკვირცხლად თქვა პარიკმახერმა, — სახეზე სხვის სამართებელს არ იკარებს, აქაც იმიტომ მომაკითხა.

ჟულაყუდამ მხარზე ხელი ჩამოადო პარიკმახერს და ორივენი ქოხში შეიმალნენ.

ნასყიდას ლაპარაკის ხალისი აღარა ჰქონდა, ეს რა დამემართაო, სირცხვილით თვალი ველარავისთვის გაესწორებინა. ის მუდრეგი მაინც არ მოთრეულიყო, ალბათ რამეს მოვახერხებდიო, მაღალ კაცზე ბრაზობდა. ცოტა ხანს კიდევ იდგა ხალხში, მერე დაადო თავი და შინისაკენ გასწია. „ჰმ, მოთრეული მამაძაღლი, — ფიქრობდა გზადაგზა, — მე შვილო-მეთქი ვუთხარი და იმან დასაბმელ გიჟად არ გამხადა! მოიცა, გაჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ნასყიდა, ეგეთ დღეში ჩაგაგდო, კარი კედელი გეგონოს და ვირი მჭედელი. ან ეს დოყლაპიები რაღამ გამოაშტერა ეგრე, როგორც ეტყობა, მაგათთვის სულ ერთია, კარგად ელაპარაკებიან თუ ავად, ოღონდ კაცს პირიდან ხმა ამოსდიოდეს, ლაპარაკი არ ეზარებოდეს და ყველას მოუსმენენ, ვინც გინდა იყოს“.

მეორე დღეს ჩვეულებრივ შუადღისას ადგა. თამროს ჩხუბისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ეგ იყო, თავისთვის ჩაილაპარაკა, დილიდანვე რომ საკუთარი ცოლი ეგრე დაგთარსავს, უცხოსაგან რაღა სიკეთეს უნდა ელოდეო და გარეთ გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ სიმართლით შენ იარე, როგორი დილა ადრიანიც ეხლა იყოსო. — მიაწყევლა თამრომ.

ნასყიდამ ხელი ჩაიქნია და სალაყბოსაკენ აიღო გეზი. პარიკმახერი უკვე შუაგულში მოჰქცეოდა ხალხის წრეს და ლაპარაკობდა. „აჰა, მანდ დამიცადე, მტრედო, მანდა!“ — გაიფიქრა ნასყიდამ და ტუსტუსით წავიდა საპარიკმახეროსაკენ, წუხელ მთელი ღამე გეგმას ადგენდა და ახლა ამ გეგმის მიხედვით აპირებდა მოქმედების დაწყებას.

— შენ კიდევ აქა ხარ, ძმისშვილო, გუშინდელი რჩევა არ შეუშვი ყურებში, არა? ჯობია, წახვიდე და შენს საქმეს მიხედო, სამართებელი ალესო, წყალი გააცხელო, თორემ ისევ დათებას დაძახება მოგვიწევს, როგორც ვატყობ.

— ლაბრი-ლარი-ლარალი, — უთხრა პარიკმახერმა.

— რაა?

— რა რაც! — გადაიხარხარა პარიკმახერმა, — როგორ ატყობ, მისწავლია თუ არა გუშინდელს აქეთ?

ხალხმაც ჩაიცინა აქა-იქა.

— ეჰ, შვილოსა, — იხტიბარგაუტეხლად თქვა ნასყიდამ, — შენ ეგეთი უპრაგონო ლაპარაკი მოგიღებს ბოლოს, ხელოსნის ამდენი ლაპარაკი ვინ გაიგონა, დალაქი ხარ თუ პარიკმახერი, სულერთია, ხალხი უნდა პარსო. შენ კი, ულვაში ნუ შემირცხვება, სამართებელზე მეტად ენა გაქვს ალესილი.

— ჰოდა, მაინც სხვა საქმე არა მაქვს და მეც ენით ჩამოგპარსავ მაგ ულვაშებს, მიყარე მერე კაკალი!

ხალხის ხარხარმა შეაკრთო ნასყიდა. სანამ ნათქვამის აზრს ჩასწვდებოდა, გაკვირდა: ნეტავი ამ ხალხმა რა ნახა ან სასაცილოს რას მოჰკრა ყური. მოსწრებული სიტყვა-პასუხისა თუკი გაეგებოდა რამე, და ალბათ სხვაზე მეტი ნამდვილად გაეგებოდა კიდეც, პარიკმახერის სიტყვებში არაფერი იყო სასაცილო. მერე გული ეტკინა, არა, მოსუ-

ლისაგან კი არ სწყენია, იმან იმდენი რა დაუშავა, თანასოფლელთაგან მიყენებულმა ტკივილმა მოუწურა გული, მათ ხომ აქამდე თავის არმიად თვლიდა, არ ეგონა, ასე უცებ თუ უგანებდნენ, მტრის მხარეზე გადავიდოდნენ და საკუთარ ფალავანს დააყრიდნენ სიცილს, ვიღაც მოთრეულის უკბილო ხუ[illegible]ბაში გასცვლიდნენ და მრავალი წლის ამაგს ხელის ერთი მოსმით ჩაუყრიდნენ წყალში. რა გამოვიდა, თურმე წლების მანძილზე სულ ტყუილად ირჯებოდა, ისიც ვერ უსწავლებია ამ ხალხისთვის, გაერჩიათ, რა იყო ნამდვილად სასაცილო და რა არა. ვისთვის რაღა უნდა ეთქვა, ხელი ჩაიქნია და თავჩაღუნული დაადგა სახლისაკენ მიმავალ გზას.

შინ სიჩუმე და მარტოობა დაუხვდა, თამროც წასულიყო სადღაც. უაზროდ იბორიალა ეზოში, ვერაფრით ვერ მოიფიქრა რა ეკეთებინა, რისთვის მოეკიდა ხელი. ხან სახლში შევიდა, ხან ბოსტანში გადავიდა, არაფერმა უშველა. გული ვერაფერს გადააყოლა. „ე რა დღეში ჩამივარდა თავი, კაცო, — ფიქრობდა, — ამას თუ მოვესწრებოდი, რა მეგონა. ნახე, როგორ უცებ მიგანეს მაგ ბრიყვებმა და ბენტერებმა, როგორ უცებ დაივიწყეს ძველი ამაგი! აკი თქმულა კიდეც: სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმა იგი ვერ იცნა...“

თუთის ჩრდილში ჩამოჯდა დაღონებული. მიხვდა, დღესვე რომ ამდგარიყო პარიკმახერი და სამუდამოდ გადაქაჯულიყო სადმე დასაკარგავში, ნასყიდას შელახულ სახელს მაინც აღარაფერი ეშველებოდა, ერთხელ შერცხვენილი და გაბიაბრუებული ძველ პატივისცემას ვეღარ დაიბრუნებდა. მიხვდა, ან რიგითი კაცის ცხოვრებას უნდა შეგუებოდა, ანდა სიცოცხლის დარჩენილი დღეები მარტოობაში გაეტარებინა. მიხვედრით კი მიხვდა, მაგრამ ვერაფრით შეეგუა ამ აზრს. არა, ეგეთ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნიაო, გაიფიქრა. მერე უცებ რაღაც გადაწყვიტა, წამოდგა და მარანში შევიდა, იქ დიდხანს არ დახანებულა, გრძელი თოკი და წალდის სატარე გამოიტანა. საპარიკმახეროსაკენ გაიხედა და მუშტი მოუღერა:

— უჰ, თქვენი! უმადურებო. დაიცადეთ, კიდევ მოიგონებთ ნასყიდას, მაგრამ გვიან იქნება!

თოკის ცალი ბოლო თუთის გამოშვერილ ტოტზე გადააგდო, დაბლა ჩამოსწია, დაატოლტოლა და ორივე წვერი წალდის სატარეს მოაბა. საღამომდე ამ საქანელაზე იჯდა და ქანაობდა. „გავალ მეც პენსიაზე, — ფიქრობდა ღიმილით, — რა ვქნა, მუშაობაში ხომ არ უნდა ამომხდეს სული...“

ნუ გაამტყუნებთ ნასყიდას, მთავარია, გული გერჩოდეს ბოლომდე. გეხალისებოდეს საქანელაზე ქანაობა. თორემ ასაკს რა მნიშვნელობა აქვს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ჯაბადარი

# მოთხრობები

## ოსტანკინო

თენგიზას ბრიგადის ბიჭები ელმეთაანთ ეზოში, კაკლებს ქვეშ მოგროვილიყვნენ, ლორთქო ბალახზე საერთო სუფრა გაეშალათ და საუზმობდნენ. მზე კარგად გამძლავრებულიყო, მათ კი ჯერ პირში ლუკმაც არ ჩაეშვათ. დილაადრიანად დაიწყეს ვენახების ხვნა, ახლა კი ხორაგეულს მადიანად შეექცეოდნენ.

— რობიზონას ბრიგადა ჯერ არ ახმაურებულა, ჩვენ დავიღალენით კიდეც, — წამოიწყო მგელ-ვასილამ, თან ყბა არ გაუჩერებია.

— ისინი გეთაყვა, კულტურული ხალხია, სამუშაოს ცხრა საათზე იწყებენ, თანაც სოფლიდან ზვრებამდე მანქანით დაბრძანდებიან, — განუმარტა ბერიკაანთ აკაკიმ.

— ჩვენ რა, ფეხით ჩამოვედით?!

— არა თენგიზავ, ისინი მოტოციკლეტს არა კადრულობენ, ქვეშიდან კუბო ახატიაო.

აკაკის ხუმრობაზე ყველამ ჩაიცინა.

— ე, მწარიაანთ ჯიშისავ, სხვების დაცინვას თავი გაანებე და შენ იმისი გვითხარ, ოსტანკინოში როგორ იქეიფეთ შენ და შენმა ძმაკაცებმა.

— ერთი კვირაც არ არის, რაც დავბრუნდით და, რა მალე ჩაუხარებია მერცხალაანთ ბესოსა; შენი მეზობელია და გეტყოდა, მაშ რა აქაო და კარგი რუსული ვიცი და ჩვენი კახელი ბიჭები სულ მე დამდევენო, ყველაფერი მიუხარებია თენგიზისთვის...

— რა მიუხარებიაო, რაშია საქმე, ჩვენც გვითხარი, ჩვენ ველარ გავიცინებთ!? — ჩაჰკითხა ტურაანთ გოგიამ.

— შენ უთხარი, თენგიზ, ბესომ ხო ჩაგიკაკლა.

— იმან მოკლედ მიამბო, შენ კარგად იტყვი, ლაპარაკიც არ შეგეშლება, მიდი, დაიწყე! — გაამხნევა თენგიზმა.

— ძველი დრო ხომ არ არი, ვინმე მოსკოვში წასვლით გააკვირვო. კუშხანა ლუსიკა, გეგონება მამადიაანთ მივდივარო, ისე იტყვის ხოლმე, ორ დღეში მოსკოვში წავალ და ჯინსებს ჩამოგიტანო. რაღა ჩემი წასვლა გაუკვირდათ ყველასა. ეშმაკაანთ გოგიას ცოლს საღამოთი ერთი ქალის თავზე ქუდი მოსწონებია, დაენახვებინა ქმრისათვის, — და, მოგიკვდეს გოგიაო, მეორე დღეს დილაადრიან გაფრენილიყო მოსკოვში და საღამოთი უკვე მოართვა ქუდი ცოლსა. რაღა

ჩემი გაუკვირდათ ყველაფერი ამ ხალხსა...

— კაცო, გოგიას ამბავი ქვეყანამ იცის, შენ შენი ჩამოყარე და ჩამოფქვი, — შეედავა თენგიზა, ნუ გადაუხვევ.

— ისიც, ჩემით ხო არ წავსულვარ, ძმაო და შვილო, გამაგზავნეს, გამოფენაზე გამგზავნეს, მოწინავე ხარო. ჩვენნაირი კაცი ზაფხულში ხო ვერ მაიცლის სადმე წასასვლელათა, ეხლა არ გამგზავნეს, ამ თებერვალშია!

— კარგი, ბიჭო, რა ძაღლის ყბა გამოიბი, ეგ ვიცით, შენ ოსტანკინოს ამბავი თქვი, სული ნუ დაგვალევინე, — შეუტია აყლაყუდა ილომ.

— იმას არ ვამბობ, ე, მაშ რას ვამბობ, პატარა შესავალი აღარ გავუკეთო!?

ბიჭებმა ჩაიცინეს.

— შესავალი, შენც ეხლა დისერტაციას იცავ, — წაუბუზღუნა ტუჩაანთ გოგიამ, — მოსჭერ მოკლედ და გაათავე.

— მოკლედ ხო მერცხალაანთ ბესომაცა თქვა, ნელ-ნელა, დაჯინებით მომისმინე, თან მგელ-ვასილასავით ყბა არ გააჩერო. რუსეთში მეც ვიყავი, ჯარში როსტოვში ვმსახურობდი, მაგრამ იმოდენა ქალაქი, როგორიც მოსკოვია, პირველად ვნახე. შემოგვატარეს ავტობუსით იქაურობა, ჩვენც ბევრს დავდიოდით ქალაქში, დავდევდით ამ მერცხალაანთ ბესოს, თავისი რუსულის გამო კაცს თავის ნებაზე აღარ ვუშვებდით...

მართლა ეყოფა, ამდენი შესავალი! ჰო და, ტელევიზიის კოშკი რომ დგას ოსტანკინოში , ისიც მოვინახულეთ; ძალიან მაღალია, ბიჭებო, ძალიან, ქუდი გადმოგივარდება რომ ახედო. ჰო და, ბესომ გვითხრა, ზემოთ რგოლივით გამოწეული რომ არის, იქ რესტორანიაო. თურმე იმ რესტორანში შეხვალ, გადაიხდი ფულს, გაგიწყობენ სუფრას, რაც გინდა, სულო და გულო! შენ ზიხარ, შეექცევი სასმელ-საჭმელს, ის რესტორანი კიდევა ტრიალებს ნელა და სულ მთლიანად დაათვალიერებ მოსკოვის ყველა კუთხე-კუნჭულსა, მოვილაპარაკეთ და ბილეთების ასაღებად მივედით. ჩვენ ექვსნი ვიყავით, იმათ კიდევა — გინდათ თუ არა, ან ოთხნი უნდა იყვნეთ, ან რვანი, ექვსკაციანი მაგიდა ჩვენ არა გვაქვსო. ისევ ბესომ გამოგვიყვანა მდგომარეობიდან. მოიტა, ილო, ერთიც დავლიოთ, თუ გინდა, რომ ყველაფერი დაწვრილებით მოგახსენო.

— აბა, მალე ჩაცეცხლე და გააგრძელე!

— ჩვენ ჯგუფში სხვა რაიონების ბიჭებიც იყვნენ. — აკაკიმ ამოისუნთქა და ლუკმა დააყოლა, — ბესომ უმალ მოძებნა ორი იმერელი, იმათ გაუხარდათ კიდეც და შემოგვიერთდნენ. ეხლა, რა აწყვია სუფრაზე: თევზეული, ხიზილალა, ყველი, ნაირ-ნაირი საუზმე, თითო კაცზე ორასი გრამი არაყი, ლიმონათი, ბორჯომი... არ დაივიწყოთ, ქაღალდის ვარდებიც კიამშვენებს სუფრას. ჩვენ შეკვეთა რომ მივეცით, არაყი არ გვინდა, თითო ბოთლი ჩვენებური ღვინო დაგვიდგითო ვუთხარით. ეგეც შეგვისრულეს, „გურჯაანი“ მოგვცეს.

კაცო, ლიფტი ეხლა ვის უკვირს, მაგრამა იმ მსხვილ მილში თუ ისე ჩქარა ივლიდა, არ მეგონა: ხელდახელ მოგვაქცია მაღლა. რომ გადმოვხედე, ეგრე მეგონა, სასტუმრო „ლენინგრადს“ ჩავავლებ ხელს და მაღლა ავწევ-მეთქი...

ბიჭებს პურის ჭამა მოეთავებინათ, ზოგი სიგარეტს აბოლებდა, ზოგი წამოწოლილიყო და ისე უსმენდა ბერიკაანთ აკაკის, მხოლოდ ერთი მგელვასილა ამუშავებდა ყბებს.

— მივედით, კოხტაპრუწა ოფიციანტი მიგვიძღვა მაგიდებთან. ჰაი, მგელო, სად იყავ, რა ხელდახელ ჩააბინავებდი იქაურობას მაგ სტომაქშია, პირის ქარად არ გაგწვდებოდა.

— ჩემგან რაღა გინდა, ე!?.

— მოიცა, მოიცა, როცა კაი ადგილას მივიდა, სწორედ მაშინ გააწყვე-

ტინე, — ჩააჩუმა თენგიზმა, — მიდი, შენ შენი ჩამოფქვი, აკაკი!

— ჰო და, კოხტაპრუწა ოფიციანტი მიგვიძღვა მაგიდებთან, მაგრამ იმას ვინ უგდო ყური; ჩვენ ჩვენებურად ორი მაგიდა ერთმანეთს მივადგით. ყველამ დაგვიწყო ყურება, მერე აუხსნეს, ქართველები არიანო, და არ გაჰკვირვებიათ. აიტეხა ამ მერცხალაანთ ბესომ, გინდა თუ არა, თამადა შენ უნდა იყოო; მე კიდევა, იქ რა ენაზე ჰალი მომედებოდა, დავიწყე, კარგად გემრიელად დავხატე ჩვენი თვალით ნანახი და ჩვენი მასპინძელი დიდი მოსკოვი, კარგი პურ-მარილით რო გაგვიმასპინძლდა, ვთქვი და დავლიე მოსკოვის სადღეგრძელო. ერთი ხანობა ფეხზედაც ავდექი, ჩვენებურად, მაგრამ რო მივხედ-მოვხედე, ზეზე არავინ არ იდგა, მეც დავჯექი და ისე ვლაპარაკობდი...

— მოიტა სიგარეტი, ილო! მერე ის როგორიღაა, კაცი მოსკოვში ქართულ ღვინოს მიირთმევდე და საქართველო არ ადღეგრძელო!? თანაც ჩვენი ბიჭებისა რომ არაფერი ვთქვათ, ორი იმერელი გვყავს სტუმრად. მეც მოვიქაჩლე თავი და რიხიანად დავიწყე: მეგობრებო! აქ უსწავლელი და გაუნათლებელი არავინ არა ზის, რა ვუყოთ, თუ რუსული არ ვიცით კარგადა, საშუალო მაინც დაგვიმთავრებია და მეექვსე კლასში ყველას გვისწავლია-მეთქი დიდი აკაკის „თორნიკე ერისთავი". აკაკი იქ ძალიან კარგად ამბობს: „პირველ სმაზე ახსენებდნენ საქართველოსა და უფალსა, დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ მეფესა და დედოფალსა, მერე გმირებს იხსენებდნენ. მამულისთვის ომებში მკვდართა და მღვდელთმთავრის კურთხევითა სვამდნენ იმათ შესანდობარსო" ჰო და, ჩვენც ხომ უნდა დავლიოთ ჩვენი პატარა საქართველოს — ღმერთის ბაღჩის სადღეგრძელო. ახლა იმას მოვყევი, ღმერთი რომ მიწებს არიგებდა, დაურიგა ყველას თავისი, ქართველებს რომ დააგვიანდათ, ეს ყველამ იცით, ღმერთმა რო ჰკითხა, რად დააგვიანეთო, და, — დიდი გზა გვქონდა გამოსავლელი, შუა გზაში პური ვჭამეთ, შენი სადღეგრძელოც დავლიეთ და იმიტომ შეგვაგვიანდაო. მიწები რომ აღარა მაქო, და — არა უშავს რა, გექნება სადმე, ერთი პატარა მიწა მაინც მოგვეცი, ჩვენც ხალხი ვართო. ღმერთმა კიდევა — აი, ეს ერთი პატარა ბაღჩა დარჩა, დედაჩემის მარიამის ნამზითვარია, ჩემთვის ვინახავდი, ხრიოკი და მთაგორიანი, წაიღეთ, თქვენზე ალალი იყოსო... ახლა ის იმერელი კაცი, ჭაღარა სოლომონი, ჩემზე უკეთესი მოლაპარაკე გამოდგა, იმანაც გამოიდო თავი და, მოკლედ ერთი ჩვენებური გრძელი მრავალჟამიერი შემოძახებაღა გვაკლდა, სხვაფრივ სუფრას, ხო გვიხარიათ. მგელ-ვასილაც ვერ დაიწუნებდა.

ბიჭებმა ჩაიხითხითეს. კასილა მხართეძოზე წამოწოლილიყო და ღიმილით უსმენდა. ამ ჩონჩროხა კაცს ყველაზე მეტად შეეძლო ბიჭების ხუმრობის ატანა. ახლაც უსმენდა აკაკის და მიამიტად იღიმებოდა.

— ის იყო წინაპრების სადღეგრძელო დავიწყე, ჩვენებურად შევათამაშე ხელში ბროლის ჭიქა და კოხტაპრუწა ოფიციანტიც გამოგვეჭიმა, ღიმილით მოგვახსენა; კიდევ კარგი, იმდენი რუსული მაინც ვიცი: ამხანაგებო, თქვენი ადგომის დრო მოვიდა, რესტორანმა ერთი წრე გააკეთა, ახლა ამ მაგიდასთან სხვები უნდა დასხდნენო. მე შევედავე, ჯერ ღვინო არ დაგვილევია, პური არ გვიჭამია, სადღეგრძელო წესიერად არ გვითქვამს და რად უნდა ავდგეთ-მეთქი, მაგრამ მერცხალაანთ ბესომ გამაჩერა; ახლა იმას მივუბრუნდი, შენც მაგის მხარეზე ხარ, ფული ხომ გადავიხადეთ და ჩვენს გემოზე პური ვერ უნდა ვჭამოთ-მეთქი. ბესომ გვითხრა — ახლავე ავდგეთ, წავიდეთ და დაბლა რომ ჩავალთ, იქ აგიხსნი ყველაფერსო. ჩვენც ავდექით და წამოვედით. სანამ ლიფტით ძირს

ჩამოვიდოდით, ყველაფერს მივხვდი, ზესოს ახსნა-განმარტება აღარ დამჭირვებია.

რაკი საღერღელი აშლილი გვქონდა, ბევრიც აღარ გვიფიქრია, წავედით რესტორან „არაგვში“ და ერთი კაი პური ვჭამეთ.

— მერე და რატომ ოსტანიკონზე არ დაამთავრეთ პურის ჭამა? — ეკითხა მგელ-ვასილამ.

— ეხლა იმას ჩაუკაკლე კიდევა! შენ რომ მიხვალ, მგელო, თქვენებიანთ ვანუასა ჰკითხე, ისიც ხომ ჩვენთან იყო, ზოგს ის გეტყვის და გაიგებ. ეხლა ადექი, წავიდეთ, აკი რობიზონას ბიჭები ჩამოსულან, ადე, წავიდეთ, ვაზებში ვაჭენოთ ცხენები.

## შინაბერა

„..ეე³! ყველაფერი შენი ბრალია, ლევან. ყველაფერი... შენ უნდა ყოფილიყავ ამ სილამაზის ბატონ-პატრონი, შენ!.. მერე რა კარგი ჩანს ამ სარკეში ჩემი სხეულის ნაკვთები... სახეზე არა მიშავს, მხოლოდ თვალებთან თუ მეტყობა ორიოდე ნაოჭი... მერე და რას მიშველის ეს მე?! იმას, რომ პატიოსანი და წესიერი ქალის სახელს ვატარებ, იმას, რომ მხოლოდ ჩემი თავი მახსოვს, და სამსახურის გარდა სხვა საზრუნავი არაფერი მაქვს?! მერე და რა არის ეს?.. ესაა ცხოვრება?! შენ გეკითხები ლევან, შენ! თუმცა, შენ რად უნდა გეკითხებოდე, ან შენ რა მოვალე ხარ, ყველაფერზე აგო პასუხი?!“ — ნელა შემობრუნდა, მარჯვენა მხარს ზემოდან თავის ზურგს დახედა სარკეში და აბაზანისაკენ წარსდგა ორიოდე ნაბიჯი. აბაზანაში ორი მილიდან ჩხრიალით ჩადიოდა წყალი და ოხშივარით ივსებოდა ოთახი. ორთქლი ნახევრად ღია სარკმლისკენ მიიწევდა, იქ გარედან შემოსული ცივი ჰაერის ნაკადი ეჯახებოდა და უკანვე აბრუნებდა ტრიალით, ხან კი ერთბაშად გავარდებოდა გარეთ.

ციალამ წყალი ხელით მოსინჯა, ცივი წყლის ონკანი გადაკეტა და მარჯვენა ფეხი აბაზანის კიდეზე შედგა.

„როგორ გებრძოდი მე შენ — ცივსა და მიუკარებელს, ლევან, მაგრამ შენი სწორედ ის სიცივე და მიუკარებლობა, თავდაჭერილობა მომწონდა. ჩემს თვალში ერთადერთი შენ იყავ ისეთი, ქედს რომ არ უხრიდი ქალიშვილებს, არ გიყვარდა ლაზღანდარობა, რაც უნდა ეთქვათ, როგორც არ უნდა გაექილიკებინეთ, შენ ერთს ოდნავ ჩაიღიმებდი, თავს ჩაღუნავდი და გაეცლებოდი, ან ისე ამაყად, მომნუსხველად გახედავდი შენი ბრიალა თვალებით, თითქოს ეუბნებოდი, ეს როგორ შემომკადრეთო. ქალიშვილები უფრო უმატებდნენ ქილიკს, მაგრამ შენ უკვე აღარ უსმენდი მათ. იქნებ უსმენდი კიდეც, იქნებ გსიამოვნებდა მათი გადაკრული სიტყვები, მაგრამ ვერაფერს შეგატყობდა კაცი, არც მორცხვი იყავ, რომ წამოწითლებულიყავი. სწორედ ის დუმილი, ის სიამაყე, ის გულქვაობა მომწონდა შენი და იმიტომ ვიფერფლებოდი მეც მდუმარედ, იმიტომ ვცდილობდი უფრო ამაყი და თავდაჭერილი ვყოფილიყავი, მაგრამ... ვერ დაგჯაბნე, შენ მუდამ გამარჯვებული რჩებოდი“... — ნელა მოსწვდა ცხელი წყლის ონკანს, გადაკეტა და აბაზანაში ჩაეშვა.

თბილი წყალი ესიამოვნა, თვალები მილულა და გაირინდა.

„...მაშინ მეცხრე კლასში ვიყავით, ლევან, დიდი სიხარულის დღე რომ გათენდა, ომი დამთავრდა. იმ დღისით გაკვეთილები ჩვენ თვითონ ჩავშალეთ, დიდი თუ პატარა ჩვენი ქალაქის ქუჩებში გამოეფინა, ყველა ერთმანეთს ულოცავდა, ერთმანეთს კოცნიდა. მთელი ჩვენი კლასი ქალაქის განაპირა ტყეში წავედით სამწყაროზე.

ბიჭებმა საიდანღაც ღვინო გააჩინეს, ვისაც რა ებადა, ხელწამოსაკრავი, წამოიღეს. ვერხვების ძირას გავაწყეთ პურ-მარილი, ჩვენი სამშობლო და გმირები დავლოცეთ, ბევრი ვიმხიარულეთ. მერე ზემოთ, ფიჭვნარში ავედით და გავიფანტენით. იქნებ შენ შემთხვითობა გეგონა, მაგრამ ასე არ მომხდარა, ჩემი ბრალი იყო, მე შეგიყოლიე საუბარში და ამხანაგებს საკმაო მანძილით დავშორდით. მე ფიჭვის ძირას ჩამოვჯექი, შენ კი იდექი და მესაუბრებოდი. დაღლილობა მოვიმიზეზე, თავი მტკივა-მეთქი. შენ ფრთხილად მომხვიე მხრებზე ხელი, წამომაყენე და საიდანაც ხმაური მოისმოდა იქით წამიყვანე. ო, როგორ მინდოდა მაშინ რომ გეკოცნა, როგორ მინდოდა მოგხვეოდი მაგრად, შენც უფრო მძლავრად მოგეხვია ხელი, შენ კი მხრებზე ხელი შემიშვი, მრავალძარღვას ყვავილებს სამი ღერო მოწყვიტე და შოლტისმაგვარი რაღაცის დაწნა დაიწყე. მე გეუბნებოდი რომ ჩემი ორი ძმა მალე დაბრუნდებოდა ჯარიდან, ჩვენს ოჯახში დიდი ზეიმი იქნება. ამხანაგებსაც დავპატიჟებ... შენ კი ალბათ ერთი სიტყვა არ მოგისმენია, ფიქრებში იყავი გართული... მალე ჩვენი ამხანაგებიც გამოჩნდნენ"...

ციალამ ყელზე მოისვა ხელები, მერე თავქვეშ ამოიდო და აბაზანაში გაყუჩდა.

„რა ვქნა, ეს რა ფიქრები ამეშალა, რა მემართება, ლევან?! ბავშვები ხომ აღარა ვართ, ორმოცდახუთი წელი არც ისე ცოტაა... ეჰ! თუმცა ჩემთვის ახლა წლებსაც აღარა აქვს მნიშვნელობა. რის მაქნისი ვარ, რა გავაკეთე სასახელო? ის, რომ მოწინავე ინჟინრად მთვლიან და მალე მაღალ ჯილდოს მივიღებ, განა ეს არის მთავარი?! მე შვილების დედა უნდა ვიყო, დედა, ოჯახი უნდა მქონდეს, ხალისითა და სიცოცხლით სავსე ოჯახი. მე კი რა ვარ!! — არარაობა".

„სტუდენტობისას რამდენჯერ შემოგვივლია ფეხით მთაწმინდა და კომკავშირის ხეივანი, ნარიყალა, ლისის ტბის შემოგარენი... მუდამ შენს გვერდით-ყოფნას ვცდილობდი, ვსაუბრობდით ნანახსა თუ წაკითხულზე, იმ თემაზე, სადაც სიყვარული პირველობდა. შენ კი ვერა და ვერ მიგახვედრე, რომ მიყვარდი: ერთხელ არ წამოგცდენია სიტყვა ჩემზე, ხელი არ მოგიხვევია, ერთხელ არ მოგიწადინია ჩემი კოცნა!.. არ ვიცი, უგრძნობელი ქვა იყავი თუ ხე. სად გქონდა ასეთი თავდაჭერის უნარი, ნუთუ ნერვები არ გაწყდებოდა ბიჭო?! ისე როგორ იქცეოდი, რომ არც კი წამონთებულხარ. სხვაზე ლაპარაკი აღგზნებულმა იცოდი, დიდი გატაცებით და ხელეჰის ქნევით მომითხრობდი უცხო ამბებზე... მე კი მინდოდა რომ ჩვენზეც გეთქვა ერთი სიტყვა, რამდენჯერ მიგახვედრე კიდეც, მაგრამ არა და არ წამოგცდა არაფერი. მე კი... მე ქალიშვილი ვიყავი, მეც მქონდა ჩემი სიამაყე და თავდაჭერილობა და ხომ არ გეტყოდი, მიყვარხარ-მეთქი"...

„ინსტიტუტი დავამთავრეთ და ჩვენი გზები გაიყარა, შენ ჩრდილოეთში ისურვე წასვლა, მე ჩვენს პატარა ქალაქს დავუბრუნდი, შენი შვებულებით ჩამოსვლა მიხაროდა, იქნებ ახლა მაინც ამოიდგას ენა და მითხრას „მიყვარხარ, ციალაო" მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვეღირსე ამ ორ სიტყვას... ეეჰ, საბოლოოდ იმას ვეღირსე, რომ ერთხელ, რთველობას შენ ცოლით ჩამოხვედი და მეც გამაცანი. ნეტავ ჩემს გულში ჩამოგეხედა, მაშინ, ნეტავ ოოტისოდენად მაინც გეგრძნო რა დღეში ვიყავი, მაგრამ მაინც ღიმილით მოგილოცეთ ორივეს ახლად შექმნილი ოჯახი და ყველა სიკეთე გისურვეთ. მაშინაც გადაგიკარ სიტყვა — ბიჭო, გეთქვა, იქნებ ჩვენებური გოგოებიც არ გეუბნებოდნენ უარს ცოლობაზე. რაღა ცხრა მთასიქითელი მოგყავდა-მეთქი, შენც მაშინ გამოტყდი, აბა, იმ ერთი ვაჟკაცივით ჩემს ამხანაგს ხომ არ შევირთავდიო, ამით შენ გურამსა და ნუნუს გადაჰკარი, მე კი მაგრძნობინე, ვიცი გიყვარდი, მაგრამ ასეთი იყო ჩემი პრინციპიო! ეეჰ, ლევან, მე მიამიტი

მეგონე, შენ კი თურმე სულ სხვა რამ გამოძრავებდა, ამიტომ არ პასუხობდი ჩემს გრძნობას“...

წყალი გადაივლო, ონკანი გადაკეტა, გადმოვიდა. პირსახოცი მხრებზე მოისვა და ერთი წუთით გაირინდა: მოქუფრული სახე უცებ დაუმშვიდდა, ბაგეზე ღიმილი აუთამაშდა, თვალები მოუწყლიანდა და თითქოს დაკარგული ძვირფასი ნივთი იპოვნაო, ისე აუციმციმდა. სწრაფად გაიმშრალა ტანი, სარკისწინ დადგა, თავის ორეულს თვალი ჩაუკრა და ჩაცმა დაიწყო.

„...ბოლოს შენც ხომ დაბინავდი ამ ჩვენს პატარა ქალაქში, ხომ ვერ გაექეცი ადგილის დედას, ხომ ვერ გაექეცი; ოჰ, არა, ეს როგორ გავიფიქრე, ნიშანს კი არ გიგებ, მეცოდები. არც შენ გქონია კარგი ბედი, ახლა შენც მარტო ხარ, მარტო შენს შვილებთან, შენ აღარ გყავს ქომაგი, აღარავინ არის შენი მოზიარე. მე უნდა მოვიდე, შვილო, მე... ეს რაღა ბოდვაა?! თუ ვჭირდები თვითონ მოვიდეს, მე იქ რა მინდა?! მე რა მინდა მასთან?!“

თმა ჩამოივარცხნა, მაღლა აიკეცა, დაახვია და ხილაბანდით შეიკრა. სააბაზანოს კარი გამოკეტა და ოთახში რომ შევიდა, სარკეში კიდევ დაინახა თავისი თავი; ღაწვებზე ალმური მოსდებოდა, თვალები ლაღი, მიამიტი გოგონასავით უციმციმებდა, მოკუმულ ბაგეზე კი ეშმაკური ღიმილი უკრთოდა.

„ეეჰ. ლევან, ლევან!“...

ერთი ხმამაღლა ამოიგმინა და სამუშაო მაგიდისაკენ წავიდა. ტელეფონის ყურმილს დაწვდა, ხელში შეათამაშა, სკამზე ჩამოჯდა, იდაყვით დაეყრდნო მაგიდას, ნიკაპი ხელს დააბჯინა და ჩაფიქრდა.

## ცისკრის ვარსკვლავი

სხვისი ნაჭარბი ადგილი მომიზომეს სასახლკაროდ, წიფლის ხევის პირას. პატრონს ვკითხე, ხომ არ გეწყინება, აქ რომ დავსახლდე-მეთქი, და როცა პასუხად მივიღე — ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი — ძაღლსაო, — მაშინ დავიწყე ქვისა და ხრეშის მოზიდვა.

ჩვენს უბანში პირველად ძია თედო გავიცანი: შუადღე იყო, პურს ვჭამდით დიდი პანტის ქვეშ მე და ჩემი დამხმარე ბიჭები; გამოიარა, მოგვესალმა, ღვინო შევთავაზეთ, დაგვლოცეო. იმანაც თავპატიჟი აღარ დაიდო, კარგი სახლის აშენება და გამრავლება დაგვალოცა, ჭიქა გამოცალა, ლუკმა დააყოლა და გაბრუნდა. ბიჭებმა კიდევ შესთავაზეს ღვინო, ერთიც დალიეო.

— შვილო, მე ჩემთვის ქვაცა მაქვს და კაკალიც, განა ღვინისათვის გამოგიარე, — მერე მე მომიბრუნდა,— შენც რომ ამ გზაზე გამვლელ-გამომვლელს ყველას ღვინო ასვა, ეგრე სახლს ვერ ააშენებ, ახლა მეტი მომჭირნეობა გმართებს,— გატრიალდა და წავიდა. ცოტას რომ გაგვცდა, ახლა ბიჭებმა დაიწყეს, რა სწორი სიტყვა გვითხრა იმ ბერიკაცმაო.

მას აქეთ არ მახსოვს, ძია თედო სასმელს მისძალებოდეს სადმე. ჩვენთანაც ხშირად ტრიალებდა, ხელს გვახმარებდა, ჭამდა, სვამდა, მაგრამ ოთხ-ხუთ ჭიქას არ გადაცდენდა, — ყველაფერი საკმარისია. გმადლობთო, ადგებოდა და წავიდოდა.

...როგორც იქნა მოვახუხულავეთ ჩემი სასახლე. მოხუხულავებას განგებ ვამბობ, თორემ ეხლა ვინლა აშენებს პატარა სახლს. ჩვენს უბანში არავის სახლს არ ჩამოუვარდება.

აგვისტოს ერთ დღესაც ძველი მამაპაპისეული სახლიდან ავიკარით გუდანაბადი. ჰამლეტას მანქანაზე შევყარეთ ჩვენი ავლადიდება და ნახევრად გაუმართავ სახლში დავბინავდით. ნახევრად გაუმართავი კი არა, ერთ პატარა ოთახში იყო დაგებული იატაკი მეორე სართულზე. ორ დიდ ოთახსა და აივანზე კი ფიცარი იყო გაშლილი. გა-

ულესავი კედელების ფარღალალებში სინათლე შემოდიოდა; კიბის ნაცვლად ორი კოჭი იდო ერთად, ზედ ლარტყის ნაჭრები ეკრა საფეხურებად. რა ვიცი, რაღა არ აკლდა ჩემს სახლს, კარები იმას არ ჰქონდა და ფანჯრები, ნუ დამძრახავთ, ნახევრად გაუმართავი რომ ვთქვით. ხანდახან კვეხნა იციან ახალმოშენეებმა.

ჩემი უფროსი გოგონა გამართულად დაცუნცულებდა, მეორე — აკვანში იწვა. ჩემმა კნეინამ — ლალიმ თქვა, მაღლა რა გვინდა. იქაც გასამართია და აქაც, თანაც ძირს უფრო გრილა, აქ ვიყოთო.

მაშინ გამოგვიარა ძია თედომ; თავისი ჭაშნიკით აევსო ხელადა და მოგვადგა, ფუძე უნდა დაგილოცოთო. ჩვენც ხახვი, პური და კეთილი გულიო... ორიოდე ჭიქით დავლოცეთ ჩვენი სახლის კედელ-კუთხე, თედო ძიამ ბოლო ჭიქა ძირამდე გამოცალა. ათასი საფუსფუსო და თავში სახლელი გაქვთ, იმას მიხედეთო, და წავიდა.

— ერთი შეხედვით მოღუშული, უკარება კაცი გეგონება, — მითხრა ლალიმ — თითქოს თავის დღეში არ გაუცინიაო და როგორი კარგი გულის კაცია...

— აქ რა, უსაქმურობაში და დროსტარებაში ექნება გატარებული ცხოვრება! რაც მაგას დუხჭირი გადაუტანია, ნახევარ სოფელს ეყოფა.

აკვანში ბავშვი ატირდა, ლალი მისკენ გაეშურა, ათასი წვრილმანის დაბინავებაში როგორ შებინდდა, ვერც კი გავიგეთ. ის იყო ლამპა ავანთე და მაგიდას გადავხედე, რომ დაიქუხა და გარედან წვიმის მსხვილი წვეთების თხლაშუნი მოისმა. ეზოში გამოვედი, შავად ჩაქუფრებულ ცას ავხედე, არ მომეწონა, მაგრამ მე ვინა მკითხავდა. ერთი კიდევ დაიჭახჭახა და უმატა წვიმამ. ხან იქ, ხან აქ, მთიდან მთამდე იკლაკნებოდა ელვა, იდგა ერთი გრუხუნ-გრიალი, წვიმა კი ასხამდა კოკისპირულად. სახლის აქეთ-იქიდან ნიაღვარი გამოვარდა და ნაგვალავ ეზოს მოედო.

— ირაკლი, ირაკლი! შემოდი შიგნით, მიშველე რამე! — სასოწარკვეთით დაიძახა ლალიმ: ოთახის კარი შევაღე და ნიაღვარიც მეცა ფეხებში.

— ფიქრის დრო აღარ არის, მაღლა უნდა ავიდეთ, — ვთქვი მე, დაბლიდან ორი ფიცარი ავაბრუნე, ასაძრომი გავაკეთე და ავედი, — ჯერ აკვანი მომაწოდე, მერე — კრუხ-წიწილა, — ჩამოვძახე ლალის და უფრო გავაფართოვე საძრომელა.

მაღლა ოთახებში ყველა მხრიდან ასხამდა წვიმა. მაგრამ უკანა კედელთან, ორი ოთახის მიჯნაზე, სადაც მომავალში კედელს გავაკეთებთ, სიმშრალეა, აქ შეიძლება დამკვიდრება: აკვანი, საწოლები, ჩვენ და კრუხ-წიწილა. დანარჩენი ხარა-ხურა ეყაროს დაბლა, რა დაუშავდება.

— ირაკლი, ფქვილის ყუთი როგორ უნდა ავიტანოთ?! — დაბლიდან მეძახის ლალი, თან მუხლებამდე წყალში დგას.

— ახლავე ჩამოვალ! — ის იყო ჩამოხტომა დ ვაპირე, რომ უეცრად გამკრა თავში და ვიყვირე: — ბავშვი სად არის?!

ჯერ მაღლა მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ არ ამიყვანია და რას დავინახავდი. მაშინვე ჩამოვხტი ძირს, ფანჯრის რაფაზე შედგმული ლამპა ავწიე და ოთახში მივანათ-მოვანათე. წყალში ყველგან ჩვენი ხარა-ხურა ეყარა. გარეთ გამოვედი, თან ლამპას ვუფარებდი ხელს, ლალიც უკან მომყვა და თამრიკოს დაუძახა. ღერეფნის ერთ კუთხეში, პატარა ოთახის ქვეშ მიწა მოსასწორებელი იყო, ბორცვივით იდგა. სწორედ ამ ბორცვზე ჩამომჯდარიყო თამრიკო, სადღაც გრძელი ჯოხი ეპოვნა და აქაფებულ წყალს უტყაპუნებდა. ჰმ, რა არის ბავშვი! ჩვენ ერთი გაწამაწია გვაქვს, ის კი... ვითომც აქ არაფერიო არც სიბნელისათვის მიუქცევია ყურადღება და არც ჭექა-ქუხილისთვის. ლალის ლამპა მივაჩეჩე, დავტაცე ბავშვს ხელი და მაღლა ავსვი. ის მამაძაღლი სწორედ მაშინ ატირდა. ფქვილის ყუთს წყალი შესდგომოდა, სკამებზე შევდ-

გით. ლალიც მაღლა ავგზავნე. ცოტა ხანს კიდევ დავრჩი დაბლა, ორ სკამზე ფიცარი გავდე და ზოგი რამ ზედ დავაწყე. ლალიმ დამიძახა, ქარმა ლამპა ჩააქროო. ავედი, ორი მხრიდან ფიცრის ნაჭრები შემოვუწყვე და უკანა კედელთან მივდგი, ახლა ქარი ვეღარ აქრობდა.

...დილალამიანად გამეღვიძა, ვგრძნობდი თავი მტკიოდა, სხეულში ჟრუანტელი მივლიდა, თითქოს განძრევა მიჭირდა მეღვიძა და თვალის გახელა არ მინდოდა, ვფიქრობდი რომელ გვერდზე ვიწექი, როგორ იდგა საწოლი და ვერ ვსაზღვრავდი, თვალის გახელა კი არ მინდოდა. კარგა ხნის შემდეგ ჯერ ლურჯი, ულრუბლო ცის ნაჭერი დავინახე ფანჯარაში, მერე წითლად შემომანათა ცისკრის ვარსკვლავმა, მის გვერდით მკრთალად კიაფობდა მცირე ვარსკვლავი. შეუმინავ კარებსა და ფანჯრებში კარგად მოჩანდა ცა, ისეთი კამკამა იყო, თითქოს გუშინ საღამოს ერთი ღრუბელიც არ გაჰკარებია, წვიმას და ქარიშხალს ქვეყანა არ დაუნგრევიაო. ისევ ცისკრის ვარსკვლავს მივაჩერდი: არ ციმციმებდა, ანათებდა მშვიდი, მოწითალო იერით და გარეთ მიწვევდა.

ახლა ჩემი სახლის გაულესავი კედლები მოვათვალიერე, მერე თანდათან გავერკვიე, რომელ გვერდზე ვიწექი და საით მედო თავი, მარცხნივ ლალი იწვა და თვალდახუჭული არწევდა აკვანს. მარინეს ეღვიძებოდა, პირსაფარი უკან გადაეტანა, მარჯვენა ხელი არტახიდან ამოეძრო, აკვნის კამარაზე ჩამოკიდებულ მძივს ეპოტინებოდა ღიმილით. მარჯვნივ თამრიკოს პატარა ბადეშემოვლებული საწოლი იდგა, გოგონას მშვიდად ეძინა. წამოდგომა ვცადე, იდაყვზედაც წამოვიწიე, მაგრამ დამძიმებულმა თავმა თავისი გაიტანა. ისევ დავწექი, საბანი შემოვიკეცე და თვალები მივლულე. ვგრძნობდი, დიდი სიცხე მქონდა და სამსახურში წასვლის მაგიერ ექიმთან წავიდოდი — ვფიქრობდი, რომ მარჯვნივ მშვიდად ეძინა თამრიკოს, მარცხნივ ეღვიძა მარინეს, ღიმილით შესციცინებდა ქარვის მძივს და არტახიდან ამოღებული მარჯვენა ხელით ეთამაშებოდა, ლალი კი თვალდახუჭული ნელა არწევდა აკვანს. ვიცოდი, რომ ცა იყო ლურჯი, კამკამა და იქ მეწამულად კიაფობდა ცისკრის ვარსკვლავი. ყველაზე კარგად კი ის ვიცოდი, რომ ჩემი სახლის ქვემო სართული, დერეფანი და ვაკე ეზო წყლით იყო სავსე.

ფრინველთა ჟრუანტელმა იმატა. თავს ძალა დავატანე, ავდექი. ახლა იმასლა ვფიქრობდი, როგორ გამოვსულიყავი სახლიდან, როგორ გამევლო ეზო და გზაზე გავსულიყავ, რომ წყალსა და ტალახში არ შემეტოპა. ჩავიცვი, აივნიდან გავიხედე ეზოში; ბილიკი სველი იყო, მაგრამ გუბეები არსად ჩანდა, კარგად ვერ ვარჩევდი ყველაფერს.

...ოჯახში ყველამ გაიღვიძა. ლალის ვუთხარ, ექიმთან უნდა წავიდე-მეთქი და ძირს ჩამოვედი.

ბილიკს რომ დავადექი, მაშინღა შევნიშნე, წყლისათვის გზა მიეცა ვიღაცას, გაერუებინა. „ნეტავ ვინ შეიწუხა თავი შენთვის, ირაკლი?“ ვკითხე ჩემს თავს, თან ახალ გარუებულს ვაკვირდებოდი: რუ ბოლომდე ჩასდევდა ბილიკს, დროებითი ჭიშკარი მქონდა ჩამომბული ბოლოში, ისიც ვიღაცას გაეღო, რუ გარეთ გაეყვანა, და ისევ ჩამოება მავთულებით. დიდ საფიქრებელში და საგონებელში ჩავვარდი, ვერა და ვერ გავარკვიე, რა მოხადა წუხელ ჩვენს ეზოში.

...ათიოდე ნაბიჯი გავიარე გზაზე, ძია თედოს ჭიშკარს შევავლე თვალი: ცალი კარი ღია იყო, იქვე კიბის თავთან ტალახიანი თოხი ეყუდა, კიბის ძირას, მესალზე კი ბრეზენტის სველი ლაბადა იყო ჩამოკიდებული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

## მოდი, იხილე ზუგდიდი

ცა მზის სიტურფით სავსეა,
გზები — მზეთუნახავებით,
ვერსად წაუხვალ თუ ერთხელ
პალმების ჩრდილში გაები.

მთვარემდე გახსნილ ჭიშკართან
ისე კრთის მოლი კრიალა,
ღამეც ქცეულა კოცონად,
მარტო ცისკარი კი არა.

აქ არის დაბუდებული
თუ სადმე ჰანგი გეგულვის.
აქ რომ სიმღერას იტყვიან
მთებში ცეცხლს იწვევს ენგური.

მიდიხარ, ვარდი გეშლება,
მოდიხარ ლომის ფაფარი.
გჯერა დასრულდა იგავი,
თურმე იწყება ზღაპარი.

და რაკი ღია სარკმლიდან
ღიმილი ჩაგეზიარა,
სულ ტრფობის ეტლით გატარებს
მოურჩენელი იარა.

ფრთებაწეული ჭადრების
რაკი ნიავმა დაგქროლა,
გწამდეს, რაც გულში დარდი გაქვს
შეჰკრავს და სადღაც ჩაქროლავს.

გზა და გზა ვარდი გეშლება,
გზა და გზა ლომის ფაფარი...
მოდი, იხილე ზუგდიდი
და მერე მითხარ ზღაპარი.

## ნ ა რ ა ზ ე ნ თ ა ნ

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საბჭოთა მეურნეობაში შევხვდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ჩაის პლანტაციებში მუშაობდნენ.

ცის თაღებიდან
ელვა კვესავს თუ ვერცხლი ჟონავს,
ჰგავს თვალთა მზერა
უმცდარად გასროლილ ისრებს.
ჩაის ბუჩქების
კათედრაზე ასულა შრომა

და თქვენ პირდაპირ
ლია ცისქვეშ ლექციებს ისმენთ.

ახლა შრომაში
ნათელს აფენს სწავლა, ძიება,
ერთვის ღიმილი
სამეგრელოს ოქროს აისებს.
დაბუდებულა
ნარაზენის პლანტაციებთან
ეგ სტუდენტური
სილამაზე და სიხალისე.

ახლა საქმეში
იჭედება ტრფობა მამულის,
წამი ყოველი
ალმაფრენას გულზე ცეცხლს უჩენს.
რარიგ უხდება
ეგ სიმღერა და ქრიამული
ამ ცას, ამ მიწას,
ამ წყაროებს და ჩა[illegible]

ვიცი, რომ ახლა
ენატრებით რუსთველის გამზირს,
თეთრი ტაძარი
გელოდებათ ვარაზისხევთან.
თქვენს სიჭაბუკეს
ახლა უფრო დაედო ფასი,
დღეს უფრო მეტად
იამაყებს მშობელი დედა.

მკერდის ძგერაა
თუ გრიგალი ლაჟვარდებს მისწვდა,
ალისფერ ვარდებს
დღეს სხვა ეშხით შვენით ნათება.
ნუ მოჰკლებოდეს
ნურასოდეს ამ ცას, ამ მიწას,
ეგ სტუდენტური
სიხალისე და შემართება.

## ეს ინგირის ჩაი გახლავთ

რომ ინათა ოქროს დილამ,
ლაჟვარდებს რომ ვარდი სტყორცნეს,
მზეჩახვეულ ნაკადულთან
მითხარ რატომ გაიოცე?

ეს არც ვეფხვის ზოლებია,
ეს არც ლომის ფაფარია,
ეს ინგირის ჩაი გახლავთ,
ზედ ღვთის მადლი აფარია.

ფოთოლია, განა ნისლი,
ანგელოზს რომ მოაქვს ფრთებით,
იმის კვალზე მიმოდიან
ჩაის ზღვაში ხომალდებიც.

რომ ვერ მისწვდა ფერებს თვალი
გული ისევ ნატვრებს ენდო
და ვთქვი, ღმერთო, ეს სიუხვე
ყველა სოფელს დაებედოს.

გოგონებო, მაგ თქვენს ხმაში
დღეს იმდენი ზვირთი გალობს,
მინდა თქვენმა შრომის ალმა
ყველას მკერდში იტრიალოს.

მირანგულ ავსაჯანიშვილი

## ჯვრის უღელტეხილიდან

გაიგოს მთელმა ქვეყანამ,
არა მითქომს რა წყენითა!
გადავილალე ამდენი,
ლექსის თქმითა და მღერითა.
მადლია სხვა რამ ბუნების,
წვდომა, აფრენა ზევითა,
ვისთვის რა არის ალმართი,
ავლილი ცოდვა-ქშენითა...
დამძიმებული მიწა სწუხს,
გოლიათ მთების ბჯენითა,
ქარაფა კლდენი ღმუოდნენ,
ბებერი ჯიხვის რქენითა,
ტაფობი ყორნებს აევსოთ,
არწივთა ნადენთ-თხემითა,
იკორტნებოდა შლამებად,
გზა-გამოჭმული თერგითა.
გადაღლილიყვნენ ორბები,
მდუმარე ზვავთა ცქერითა,
გადაეყარათ ნისლები.
დრო-ჟამს წავარნა გზებითა.
იმას ვამბობდი, გახედავ —
კაცი უნახავს წლებითა,
რა სჯობს რომ ამოისუნთქებ
სამშობლოს მთების შვებითა!
ეს ყოველივე ჰო, მაგრამ,
როდემდის ქვეყნის რჩენითა?
რას ვარგებთ მამულს სანაცვლოდ,
რამ გასახარებს ჩვენითა?
თორემ სხვაც ბევრი ჩაივლის
უვალო — ჩვენი გზებითა...

## პირველი დღე სამყაროისა...

ეს ვებერთელა — მთა?!
ასე მშფოთვარე — ზღვა?!
უკიდეგანო — ხმა?!
ეს რამხელაა ცა?!!
ნეტავ, რა ძალამ შვა?!
ნუთუ ეს ხელმა ქმნა?!
პირველად ვინ რა თქვა?!..
ოდითგან ვის რა ხვდა?
ვინ უყო დღეებს ძვრა?
ათი მეზიდან ცხრა,
ღამეთ ფერფლა და წვა,
პირველად ვინ რა თქვა?!
ვინ მოიცალა — რა?
ვარსკვლავს ხელი რამ ჰკრა?
მეტეორი თუ ქვა?
ცრემლის გუბე თუ ტბა?
პირველად ვინ რა თქვა?!
ყოვლის ხედვა და წყვა!
მადლს — უმთავრესი ზღვა!
ქვეყნად პირველი ხმა,
რომელმაც ლექსი თქვა?
ადამიანის ხმა,
მიწას დააკლდა რა?
იქნებ სიმძიმე, ჰა?
მაშ სადღა არის ხსნა?!
მეხის მგრგვინავი ხმა...
ეს რამხელაა ცა?!
პირველად ვინ რა თქვა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი წასვლიდან

მთვარე რომ ჩადის, მას როდი
ჰნაღვლობ,
განა შენ ვინ ხარ, თუ არა მთვარე!
გამეხებული გეძებ ღრუბლებში,
ვარ ქარიშხალი, შენით მშფოთვარე.

ვერ გპოვე ცაში, გეძებ ხმელეთზე,
ფრთებდალეწილი გადვუვლი შენს
სახლს,
ქარაშოტთაგან თვალებდათხრილი,
ველარ ვპოულობ შენსკენ სავალ გზას.

უკუნით ღამით მოვითხოვ შველას,
როგორ ვიარო უშენოდ მარტომ...
სადღაც ვილოცას მესმის ხარხარი,
დაგემალოთ, და მერე რატომ!

სავალი გზებიც ჩაუქცევიათ
ცრემლთადინებისას გაჩენილ ხრამებს,
შენგან ნაბეჭდი ნაფეხურები
დაუფარიათ მოტანილ შლამებს;

საიდან? როგორ? საით? რა გზებით?
რამ უმკურნალოს გაჩენილ შრამებს!?.

სანთლები იწვის, ცრემლებად
წვეთავს,
მიწას გართხმული ვავედრი ტაძარს,
რომ დაგიბრუნოს ჩემდამი გრძნობა,
რომ ჩამაფერფლოს მოვარდნილ
ხანძარს.

მინდა გიყვარდე, მინდა გინდოდე,
მზით ამოვანთო ზღაპრის ლამპარი...
ო, ეს სურვილი რამ შემიჩეროს,
მსურს ცად ავანთო გრძნობა
გამთბარი...
შენი წასვლიდან რა დრო გასულა,
მზეობას ელის დღე-ღვთისიერი,
თუმცა ასეთად რაა სიცოცხლე,
მაინც რაღაცა აქვს მშვენიერი,
რაღაც ფაქიზი, თან ულმობელიც,
არა! ტოლდაა ეს წამიერი...

## მხოლოდ მთამ იცის ეს საიდუმლო

გზას არ ჰკარგავსო სანთელ-საკმელი,
გზა გაბრუნებულს — სილაღე მიხმობს,
ახლა თუ არ თქვი შენი სათქმელი,
ვაი თუ მერე გვიანიც იყოს.
დასდევენებია კალამი სიტყვას,
გაშმაგებული გზა-გზა გასძახებს,
ლექსი ისაა რაც ჯერ არ გითქვამს,
სისხლში რომ გიზის და გაძაგძაგებს.
განა და არა, ადრეც ვერავინ,
მათ შორის თვისად არ დაიგულა...

ერთხელ გავტყორცნე ლექსი-მზვერავი,
და ჩემმა ხალხმა არ დამიბრუნა.
ეს ასე იყო; ეს იყო გუშინ,
ან იქნებ ადრეც, მას საით ვუხმო...
რა ცეცხლი მწვავდა პოეტ-კაცს
გულში,
მხოლოდ მთამ იცის ეს საიდუმლო.
თუმც გვიანია დღეს გვერდის ავლა,
თვითონვე ვიქეც ჯვარცმის ხატებად,
მე ლექსში მოველ, და მისგან წასვლა,
უკვე ჩემს ძალას აღემატება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ გულაშვილი

# ვედრება

*ხაშურის რაიონში არის ნასოფლარი —*
*ნიკორთი*

მზეში დამწვარო შავო ხნულებო,
ჩემო თვალჭრელა გაზაფხულებო!
ულევ ქარისგან გადაგრეხილო...
ფიქრო, ბავშვობის დღეებს შეხლილო!
მე ვხედავ წარსულს...
      მე ქართლის ველზე,
            ვდგავარ.
            ვოცნებობ.
                  დავიწვი მზეზე.
ვიწვი, გავყურებ ჰაერის ლივლივს,
      ვიწვი,
          ნიკორთო,
              მე შენი შვილი.
მსურს შენს წყალს ვსვამდე,
      შენს ულოს ვგრეხდე,
          აღარ გახსოვარ,
                  მე, შენი მეხრე...
შენ დამბადე და...
            მე გაგეცალე
და ახლა მაშინ გამოგეცხადე,
როცა აღარ ხარ, ჩემო სოფელო,
და მიწა კვნესის — რაღად მოხველო!
დაგავიწყდათ შენი ბილიკი,
შენი ცა ლურჯი,
        წყაროს ლიკლიკი.

შენც უღალატე შენს გამჩენ კერას,
      შენს ვაზს...
          შენს თავთავს...
              ქარის სიმღერას.
მოკვდა ნიკორთი, შენი გაცლითაც,
შვილთა ლოდინში გული გაცვითა.
მოშლილი ფუძე წლებმა წაშალა,
გადაბალახდა კერა, გზა-შარა.
ახლა დგახარ და ბავშვობას ნატრობ,
      ახლა ოცნებობ...
          ვაი, შენს პატრონს!
გულისტკივილით ვის რას უშველი?
   ხედავ?
        ნაფუძვარს ეხამუშები.
თითქოს სულ სხვა ხარ...
            ხარ მოღალატე,
რად მიატოვე შენი სახატე!
თავისმართლება ვით ძალგიძს ახლა,
შენი ბავშვობის ნატვრის ხე გახმა!
მონანიება და ცრემლი შენი,
აბა მითხარი, რაღას უშველის!
მე მაინც გკოცნით ჩემო ხნულებო,
ჩემო თვალჭრელა გაზაფხულებო.

მე ვხედავ,
          ვხვდები,
                    აღარ დამინდეთ,
ცივად მხვდებით და თვალსაც
                                        მარიდებთ...
მუხლს ვიყრი...
          შენთან მინდა ვიშფოთო,
გადანაცრულო,
          ჩემო ნიკორთო.
როცა ძალები შემომელია,
როცა გაძლება უკვე ძნელია,
მოველ,
          მოგნახე,
                    სულის ვედრებით,

ერთ დროს სოფელი...
          ერთ დროს [illegible]
ნუ მთხოვ ანგარიშს
               — რა გზით ვიარე,
გთხოვ, ნუ გამიხსნი გულის იარებს.
მე მოველ შენთან, შენი შობილი,
შენს წმინდა მკერდზე ვარ დამხობილი.
სულის ცახცახით ისევ ვბრუნდები
ასე სანუკვარ ჩემს თბილ ბუდეში.
შენთან დავრჩები, შენთან დავტკბები,
შენივ შობილი შეგემატები.
გთხოვ სამუდამოდ მომცე ადგილი,
რომ აღსრულება იყოს ადვილი.
ჩემო სოფელო, შენ, ჩემო ღმერთო,
მე შენი ვარ და გთხოვ შემიერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

## სახალხო მსაჯულები

ცივ-გომბორის კალთაზე, დამცხრალი ბაზრის განაპირას, ვეება ხის ჩრდილში ხუთი სოფლელი — ორი კაცი და სამი დედაკაცი, — გაზეთზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მისჯდომოდა. ლაპარაკზე ეტყობათ, ახლო ნათესავები არიან, ერთმანეთს ძვირადღა ხვდებიან და რაკი შემთხვევით შეყრილან, ერთმანეთის ავანჩავანს გებულობენ და თან გლეხურად ილუკმებიან, რომ შინ მისვლამდე კუჭი მოიტყუონ.

სამოცდაათიოდე წლის ვარა ბებიას დახატვა ყველაზე იოლია: შავი ჩუსტები, შავი წინდები, შავი კაბა, შავი თავსაფარი, ნაჯაფი ხელები და ომში დაკარგულ ბიჭებზე დარდისაგან გამოფიტული სახე.

დაკეცილ ტომარაზე მუხლშეკეცვით მჯდომი კაფანდარა ნატო ტარიბნის ხორშაკიან მინდვრებში მუშაობისაგან თავით ფეხამდე ისეა გაშავებული, გეგონება ქვანახშირის ერთი მთლიანი ლოდისაგან გამოუხარატებიათო.

სახემშვენიერ, დიდმკერდა სალომეს დასთაკილებია დანარჩენებივით პირდაპირ მიწაში ჩაჯდომა: გაზეთგადაფარებულ ხელკასრზე უხერხულად წამომჯდარა და ჯიშიან მუხლებზე ქმრისათვის ნაყიდი პოლონური ფლანელის ხალათი გადაუფარებია. აყალოსფერ ქაკეტქვეშ იმ სისხო ქონის ტომსიკები ებურცება, რომ აშკარაა: ჯდომელა სამუშაო აქვს სოფლის რომელიმე დაწესებულებაში. აქეთ-იქით შემკრთალი იყურება — თითქო ეშინია ნაცნობებმა არ დამინახონო და მოფარებით ცლის პირველ ჭიქას, რომელიც გაჯიუტებულმა ცაცანამ ყველასათვის სავალდებულო გახადა.

ცაცანა ნატოზე დიდი იქნება, სალომეს კბილა, ორმოცდახუთიოდე წლისა. მზერაც ისეთივე მოუსვენარი აქვს, როგორც ქალბალნიანი ხელები, რომლებიც ბოლოცეცხლასავით დახტიან სუფრაზე და ხან კიტრს ფცქვნიან, ხან აპოხტს ანაფოტებენ, ხან ჭიქებს ავსებენ, ხან კი მწვანილს ჰყუნავენ და პირისკენ აგზავნიან. სუფთად ჩამოფხეკილი, ნაყვავილარი სახე გამადიდებელ შუშაში დანახულ ნუშის ნაჭუჭს მიუგავს. ისეთი სილაღით ლაპარაკობს, როგორც დედაკაცებთან გაშინაურებულ კაცებს შეუძლიათ მხოლოდ.

მარტო აყლაყუდა, თუშურქუდიანი

პართენა ზის თავისთვის და ლაპარაკში არ ერევა. ჯდომელაც კი ერთი პატარა კაცის სიმაღლე მოჩანს. კნაჭა ფეხები ისე დაუდევრად გაუშხლართია ბუქში, თითქო აღარ ჭირდება და სანაგვეზე გადაუყრიაო. კაცი ვერ მიხვდება ისმენს, თუ არ ისმენს დანარჩენების ლაპარაკს. ისეთი აუმღვრეველი და ჩლუნგი გამომეტყველება გადაჰკვრია, უცხოს შეიძლება ყრუ-მუნჯიც ეგონოს. ფარჩხატი ულვაში მხოლოდ უმახინჯებს ლაზათიან პირისახეს, მაგრამ, ეტყობა, ქუდის, ულვაშის და სინდისნამუსის ცნება ამ კაცს გულში ღრმად გასჯდომია. ახლადნაყიდ უნაგირს მალმალ გახედავს ხოლმე — გამოდგება თუ არაო და წიწაკის გადამლაშებულ მწნილს ისე მადიანად ლუკმავს, თითქო ამაზე უკეთესი საჭმელი აღარ მოიძებნება ქვეყანაზეო.

— სადა? — განაგრძო ცაცანამ და ხელიდას წაეტანა, — სადა და ერთი კვირა ბორჯომის ტყეში ჰყოლოდა გადამალული.

— ვიშ ქა, რაღა ვქნა! — შეიცხადა ვარა ბებიამ, — უბედური გოგო როგორ წაიყვანა, ან თითონ ნანო რათ გაჰყვა. თუ ბელგას...

— ბელგა! ბელგა! — გამოაჯავრა ცაცანამ, — ბელგა — ნიკოლოზის დრო ხომ არა გგონია?! ეხლა როგორც კი...

— მაშ, პირისანახავი მაინც არ...

— ოჰ! გაიგე, ვარა ძალო, პირისანახავი კი არა, ხაშურში ამხანაგის დაბადების დღეზე ყოფილიყვნენ და შუაქეიფიდან აეყენებინა — უნდა გამომყვეო!

— უი. უი!

— ეხლა გინდა „უი" იძახეთ, გინდა „ვაი", — ჩაიცინა ცაცანამ, — მშვეღივით გოგო კი გაუბედურდა და!

— მერე, ცაცო, მერე? — იკითხა ნატომ.

— რაღა „მერე", გო, — განუმარტა ცაცანამ, — ერთი კვირა დაატოვა ბორჯომის ტყეში, კვირის თავზე კი უკან მოუგდო საცოდავი გოგო — ჩაიბარეთ თქვენი შვილიო!

— გატიალდეს! — ალმური ავარდა ნატოს.

— მომიკვდა თავი! — ხმა აუტირდა ვარა ბებიას.

— შენ კიდე ერთი! — გამომწვევად შეუტია სალომემ.

— რა „შენ კიდე"?! — წამოეჭალყვა ცაცანა, — ტყუილსა ვლაპარაკობ?

— არა, მე კიდევ ისე გავიგე, ვითომ... — ორაზროვნად შენიშნა სალომემ და ძნელი მისახვედრი იყო მან მართლა სხვანაირად იცოდა მომხდარი ამბავი თუ ნუნუანაყლაპ ცაცანას წმინდად აფქვევინებდა ყველაფერს, — ვითომ ჩვენ წავართვით გოგო, რადგან...

— მეტი რაღა ეთქმით! — ცაცანამ ძეხვის ნაჭერს დანის წვერით ამოაყრევინა კამათლის სიმსხო ქონის ნამცეცები, — მა იმას ხო არ იტყვიან...

—მეც ისე გავიგე, — შეაწყვეტინა ნატომ, — ბიჭი ხულიგანი იყო, უხეირო დედმამის შვილიო და...

— არა გცოდნიათ კარგა! — ჩაუჭრა ცაცანამ, — ბიჭიც კარგია და დედმამაც რიგიანი ჰყავდა.

— ისე ლაპარაკობ!.. — ჩაიცინა სალომემ და ნატოს გადახედა.

—მე ყველანი ვნახე და იმიტომ ვლაპარაკობ! — ყინჩად განაცხადა ცაცანამ.

— სად? როდის? — იკადრა შეფუცხუნება სალომემ.

— გოგო სოფელში რომ ჩამოჰგვარათ, ბიჭმა მშობლებიც მოიყოლა. გოგოს დაებარებინა — აი ასეთი ამბავია, გადმოგვეშველეო. მეც წავედი. შუაღამემდე ვიდავიდარაბეთ, მაგრამ ტყუილად. ბოლოს სადედამთილომ პირდაპირ აჯახათ: თქვენ გოგოს რძლად ვერ დავისვამთ, ქალიშვილი არა ყოფილაო!

— ვიშ! — სახე ჩამოიხოკა ვარა ბებიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საზიზღრები! — გამოსცრა სალომემ.

— მეხი კი დავაყარე იმათ! — მუხლზე მუშტი შემოიკრა ნატომ, — ვასკვლავივით გოგო ჯერ გაიტაცა, ეხლა კიდე ეგ მოუგონეს!

— არ იყო ქალიშვილი და რაღას გიჯდა ერთი კვირა ბორჯომშიო?! — შენიშნა სალომემ.

— რა ვიცი, აბა!

— თინამ რა უთხრა?

— თინას ამბავი არ იცით: რა იყო, აბრუს გაიტეხდა რა! არ გინდათ და ნუ გინდათ, ნეტა, ვინ გეხვეწებათ, თქვენზე უკეთეს ბიჭს გავაყოლებო.

— ელაპარაკე! — გაოცებით წამოიძახა ნატომ — თითონ ნანო?

— იჯდა თავჩაქინდრული. არც ამას ამბობდა, არც იმას.

— გიგო, შვილო, გიგო?

— გიგო! ოჯახში გიგოს კითხული არაფერია. თინას ავგრე ჰყავს ჩამუჭული! — აუწყათ ცაცანამ და კბილები გაალრჭიალა, — ოხ, იმის ადგილზე რატო მე არ ვიყავი!

— რას იზამდი ერთი! — გამაღიზიანებლად წაუკეტა სალომემ.

— როგორ თუ რას ვიზამდი?! გადმოვიღებდი ხანჯალსა და ბიჭს თავზე დავადგებოდი: ერთი კვირა ტყე-ღრეში ათრიე, ეხლა კიდე აღარ გინდა — დედას გიტირებ, სახინკლესავით აგკეპავ-მეთქი. არადა, ცოლ-შვილს ვწვდებოდი თმებში: ეს რა გაიგო ჩემმა ყურებმა, მართალია თუ ტყუილი-მეთქი!.. მაგრამ გიგოს კრინტიც არ დაუძრავს. იდვა კუნძივითა და თითებზე იგრე დაიყურებოდა, იტყვი პირველადა ხედავსო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— თანაკურსელები არიან? — იკითხა სალომემ.

— გახლავან. — მიუგო ცაცანამ და ხვრიშიან ლორის ნაჭერს ფხეკა დაუწყო.

— ჰოდა, მშობლებს ჯერ არ ენდომებათ ბიჭის დაცოლშვილიანება, — დაასკვნა სალომემ, — ადრეა, დაიჩაგრებაო და მაგასღა მოუსაბაბებდნენ — ვითომ და... ისაო.

— მეც ეგ უნდა მეთქვა და შენ დამასწარი, — ალაპარაკდა ლუკმით ლოყაგამობერილი ნატო. — თორემ სხვა რაც გინდა მოუგონონ, ნანოს ის... ვის გაუგონია?

— არავის! — დაბეჭდა ვარა ბებიამ, — ან ჯერ რა დროს მაგისი ეგ იყო?.. გოგო აქ ანგელოზივით...

— ეეჰ, აქ ყველა ანგელოზია, მაგრამ იქ რო ჩადიან, მერე ზოგს ღმერთი უწყრება! — ორაზროვნად ისე შენიშნა ცაცანამ, არც თავი აუწევია, არც ფხეკა შეუწყვეტია.

ქალებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

— შენ რა მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობ? — მუქარით ჩაეკითხა ვარა ბებია.

— კარგი, მაგრამ სანამ აქ იყო, ხო სულ მშობლების თვალქვეშ იზრდებოდა, — ახლა ნატომ შემოუტია, — მოეწყო და ი სასიკვდილე პირველი დღიდანვე თავს დასტრიალებდაო. ჰოდა, როდისღა...

— მანამდე, მანამდეო!

— ღმერთო, შენ დამიხსენი ჭირისა და ნაცილისაგან! — თეატრალურად შესძახა ხელკასრზე წამოსკუპებულმა სალომემ და პირი იბრუნა: მე მეტი არაფერი ვიცი, არც რაიმე მჯერა და საერთოდ ვეთიშები კამათსო.

— მანამდე და მაშ ვინა? — აწრიალდა ნატო და გაშავებულ შუბლზე იტკიცა, — სკოლაში აიმათი ბიჭი რო...

— ვინა, პიკა? — ჩაეცინა ცაცანას, — იმას მაგის შნო სადა ჰქონდა! რატო პირობას არ მაძლევსო, იდგა და შურდულით კრამიტებს ქვას ესროდა. მერე ერთხელ მე დავკივლე: დედმამის სულს გიტირებ, თუ ე გოგოს არ დაეხსნები, იცოდე, თავდაყირა დაგკიდებ-მეთქი. ის დღე და ეს...

— მაშ ვინა, ბიჭო? — ჩაიჩურჩულა ნატომ და კონდახის მომლოდინე ძაღლივით დაეწკურა ჭრუტა თვალები.

ცაცანამ თავი დაიფასა.

— ეხლა ყველაფერი ჩემგან ხო არ უნდა გაიგოთ!

— ოჰ, — ვეღარ აიტანა სალომემ დუმილი, — გავიქცევით და თინას ჩავუკაკლავთ!

— რას ამბობთ, თუ არ ჩაუკაკლეთ! — ცაცანამ ხელების გასავსავება გამოაჯავრა ქალებს, — ქვეყანამ...

— ჰოდა, მაშ ვინა!

— ვინა და ვინც ამზადებდა, იმან... იმას შეეცდინა!

დედაკაცებმა ვიშვიში მორთეს.

— თინამ გითხრა ეგა, ბიჭო? — ცრემლი გადმოუგორდა ვარა ბებიას.

— თინა მაგას მეტყოდა, ვარა ძალო?! — დამრიგებლურად მიუგო ცაცანამ და პურის ნატეხს აპოხტის ნათალი დაადო, — ერთმა სხვა მხრის ქალმა მიამბო.

— სადაური იყო? ვინ იყო? — ვერ მოითმინა სალომემ.

— ეჰ, თქვენ ხო კაცს აღარ დაეხსნებით! — ხელი ჩაიქნია ცაცანამ, რომელსაც სათქმელი არ ასვენებდა და წელში გასწორდა.

— შარშან სექტემბერში მე და დედაკაცმა ბელაქანში ფარდაგები წავიღეთ გასაყიდად. მუშტარი რომ შეგვითხელდა, მე მაღაზიებს ჩამოუარე — ერთი რუსულა ცული მინდოდა. ჰოდა, ის ქალი მაშინ გავიცანი შემთხვევით. რაკი...

— ვინ იყო? — წამოიძახა ნატომ.

— არა, მაგას არ ვიტყვი, რათ გინდათ — ვინც იყო, იყო! —მრავალმნიშვნელოვნად იუარა ცაცანამ, — ისე, აქეთა მხრისა იყო, ერთ-ერთი რაიონიდან. ჰოდა, რაკი შემატყო, მეც ქართველი ვიყავი, გამომელაპარაკა — ის კიდე კაკალზე გამოსულიყო. ჩემი სადაურობა რო უთხარი, ცოტა... რაღაცა... სახეზე სხვანაირად აილანძა. ხო შეატყობ ადამიანს, არა?

— აბა, რა!

— მაშინვე ისა მკითხა: ნანო ხოხობაშვილს იცნობო! მე ეშმაკობა ვიხმარე: იქნება სადედამთილოთა, და რომ გაიგოს ნათესავები ვართ...

— დიდი ისა ხარ, ვინც ვერ გიცნობს! — წააქეზა სალომემ.

— რატო არ უნდა ვიყო, სალი! — შეიფერა ცაცანამაც, — ჰოდა, მე უუთხარი, ისე კი ვხვდები ვისზეც მეუბნები, მაგრამ ახლოდან ვერ ვიცნობ: ჩვენი სოფელი დიდი სოფელია და ისენი თავში ცხოვრობენ, ჩვენ ბოლოში-მეთქი. ნანო იმასა და დიდი ჭირიო, ჩამოსწყევლა, იმან გამიუბედურა შვილიო!

— გამიუბედურაო? — ყბა გაალო ნატომ, — იმის ბიჭსაც ყვარებოდა?

— ბიჭს კი არა ყვარებოდა, იმის გოგო და ეს ჩვენი ნანო თურმე ერთ ლექტორთან ემზადებოდნენ. ჰოდა, იმ ლექტორს ნანოსთან რო საქმე დაეჭირა... ვინ იცის რა ჩაალანდა: სხვებზე კარვა შენ მოგამზადებო, მოწყობაშიაც დაგეხმარებიო...

— ცოლობასაც დაპირდებოდა, მიწადასაყრელი! — აპილპილდა ნატო.

— ცოლობას! — დაიღრიჯა ცაცანა, — სამი ცოლი გამოუცვლია და პირველიდან შვილიშვილიცა ჰყოლია იმ მკვდარძაღლს!

— აძაღლდეს ისა! — წაისისინა სალომემ.

— აბა, შენ ლექტორი დაუძახე! — ხელები თავისით გაეშალა ვარა ბებიას.

— ლექტორი, თორემ აკადემია ებარა! — მოუჭრა ცაცანამ, — ერთი ოხერი, ჩურუქა მეცნიერი ყოფილა. სადაც კი დაიწყებს მუშაობას, ემაგეთი მამაძაღლობისათვის ამოჰკრავენ წიხლსა და გამააგდებენ — შენისთანა გათახსირებული კაცი არა გვჭირდებაო. რაკი ვერსად მოუკიდნია ბინა, ამდგარა და სტუდენტების მომზადებისთვის მიუყვია ხელი. ჩვენნაირ ტეტიებს გააბამს თურმე მახეში და ლაპარაკით ყურებს გამოუჭედავს: შვილს მე მოგიმზადებ და მოგიწყობ კიდევაცო, აქ ლექციასა ვკითხულობ, იქ კომისიაში ვარო, მავანსა და მავანს ვიცნობო. ი მამაძაღლს თან ისეთი თავისდაჭერა ჰქონია, თურ-

მე იქით ახვეწნებთ — ნუ დაგვღუპავ, ჩვენი შვილიც აიყვა და მოამზადეო. ორივეს ფული — მომზადებისაც და მოწყობისაც — წინასწარ უცინცლია ყველასთვის. თუ ჩააბარა სტუდენტმა, თითონ იბრალებს — მე მოვაწყეო, თუ ჩაიჭრა — რა ვქნა, არ გამოვიდაო. წადი და უჩივლე!..

— ვაი ჩვენი ბრალი! — აწუწუნდა ნატო, — მემრის ხვიჩაც ამთავრებს და...

— ეხლა უყურეთ იმის თვალთმაქცობას: თურმე ბიჭებს არ იღებს—ბიჭები და გოგოები ერთად რო დავსხა, გაკვეთილებს გულისყურს ველარ დაუდებენო. იმ გადაბენტრებულ მშობლებს კი უხარიათ — ეს რა აზრიანი ლექტორიაო. რა იციან კი რაშია საქმე!.. ერთი სიტყვით, თან ამზადებს, თან რომელი გოგოც მოეწონება...

— დაიხრაკოს ისა! — ჩაიფიჩვინა ვარა ბებიამ.

— ჰოდა, ამ ნანოსთან რაკი გაუნაღდებია, ხან ადრე იბარებს, ხან გვიან, ან დაიტოვებს და... ერთხელაც ცოლს ეზვერა და ზედ წაესწრო!

— ცოლმა რაღა იცოდა? — გახეტდა ვარა ბებია.

— რა იცოდა?!—ეგ პირველი კი არა ყოფილაო! თურმე სიცოცხლე ჰქონია გამწარებული იმ საწყალს. გაუგებს, წაეკიდება, ი ნაგავიც დაუდებს პირობას — აღარ ვიზამო, მაგრამ კაცია თუ ქალი, ცუდ საქმეს თუ მიეჩვია, მერე რაღა მოაშლევინებს!

— როცა იცოდა თავისი ქმრის ამბავი, — შენიშნა ნატომ, — მოწაფეები აღარ უნდა აეყვანინებინა!

— აბა, როგორ არააყვანინებდა, ნატო, ცხოვრებაც რო გინდა! — მიუგო ცაცანამ, — თურმე თხუთმეტამდე შეგირდსა შოულობდა. თითოსათვის ათასი-ათასხუთასი მანეთი ერთმია. სეზონზე ოჯახში ოციათასი და მეტი რო შემოგივიდეს, არ ივარგებდა?

— ეჰ, როგორ არ ივარგებდა!

— ჰოდა... მოკლედ, წაესწრო რა ზედა. აეტეხა წივილ-კივილი. ეს საწყალი ნანო სუ თმებით ეთრია. ის ქალი, მე რო გითხარით, შემთხვევით სწორედ მაშინ არ მისულიყო!

— იმას იქ რაღა უნდოდა? — გახეტდა ვარა ბებია.

— იმისი გოგოც ხო იქ ემზადებოდა-მეთქი!.. ჰოდა, ან ფულს ჩაუტანდა, ან შვილის ამბავს იკითხავდა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — დაუმოწმა სალომემ.

— ამ განევრიანებულ ცოლს ეს ქალი ნანოს დედა ჰგონებოდა და კრაზანასავით მივარდნოდა — მომაშორე შენი კახპა გოგოო! ქალმა ქმარ-შვილი დაიფიცა: გული წამივიდა და წყლითღა მომაბრუნესო. მეორე ოთახიდან თმებით რო გამოეთრივნა ნანო, მაშინღა ეთქვა — ეს ჩემი შვილი არ არიო.

— მეტი საჯაყი საქმე გაგონილა, — თავი აუკანკალდა ვარა ბებიას, — რატო არა სცხვენიათ ხალხიდან!

— მერე, მერე? — ისე იკითხა სალომემ, თითქო არაბული ზღაპარი შეუწყვიტესო.

— ცოლი დამუქრებოდა ქმარს: ამ საათში მილიციას დაგაყენებ თავზე და ციხეში ამოგალპობო! როდემდე და სადამდეო! ღმერთმა შენც დაგწყევლოს, ეგეთი ფულიცა და შენი მოწაფეებიც — დაღუპე სუყველა, მაგათი დუხი აღარ ვნახო აქაო! მეორე დღეს სუყველა — ბრალიანიც და უბრალოც — სუ დაეფრინა და აღარავინ გაეწაწანებინა. ჰოდა, იმ ქალმა მითხრა: ეს ამბავი რო მოხდა, გამოცდებამდე სამი თვეღა იყო დარჩენილი და ჩემი გოგო აღარავინ აიყვანა — გვიანიაო. დავრჩით აგრე შუა წყალშიო. პირველსავე გამოცდაზე ჩამეჭრა და ფული კიდე ფულად დავკარგეო.

— რატო არ მოვედავეთო? — იკითხა ნატომ.

— როგორ არაო, მაგრამ რაც არა მაქვს, რაღა მოგცეთო, შემემეხარჯაო, მერე მოგცემთო.

— მერე არა, ჰირი! — ხელი ჩაიქნია

ნატომ, — კი მაგრამ მაშ თინამ როგორ...

— ეგეცა ვკითხე! — მიაგება ცაცანამ, — მაშ თინას გოგომ როგორ ჩააბარა-მეთქი. ქალმა დაიფიცა, აბა, როგორ ვთქვა ტყვილი და ცოდო ავიკიდოო, დანამდვილებით არ ვიცი: ან გოგომ ჩააბარა თავისით, ანდა თინა ჩივილით დაემუქრა იმ ლექტორს და კაცი აშოვნინაო. მაგრამაო, ესეც მითხრა: ჩემი შვილი ხომ გამიუბედურეს და გარეთ დამიტოვეს, თითონ კი სტუდენტის დედა გახდა, დაიხსომე ეს დღე — ბელაქანში ფარდაგებსა ჰყიდიო — ეგ იგეთი ზნის გოგოა და დედაც იმნაირი ჰყავს, სულ ერთია, ბოლო არ ექნებაო. იარა, იარა, იარა და ეგე!

გაყუჩდნენ. საუბრის ხალისი წაერთვათ და გუნებაში ყველა რაღაცას ჩაუფიქრდა.

— აი, მე ხო აჯამი კაცი ვარ და არა ვიცი რა! — მოულოდნელად ხმა ამოიღო პართენამ. ქალები, რომელთაც ახლაღა გაახსენდათ პართენას არსებობა, ერთბაშად მიაჩერდნენ — რას იტყვისო.

— მართალია, უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ მე ჩემი მაინც უნდა ვთქვა, — რიხით გაიმეორა პართენამ და ზეთში ამოვლებული მტკავლიანი წიწაკის წნილი ყუნწიანად შეჭამა, — შე შტერო და ოხერ-ტიალო, ვისაც არ გეყურება, ნანინანატრად გამოზრდილი მარწყვივით გოგო სად ჯახნაძასა და ჯოჯოხეთში მიგყავს და ვის აბარებ საალდგომო ბატკანივით! იცნობ? გიცნობს? შენი მაზლია, თუ ძმა? რატო არ უფიქრდები?! ზოგი აგეთი სისხლძალლია, გოგო კი არა, დამხრჩვალი კატა არ ენდობა! ჰოდა...

პართენა წელში გასწორდა და მსაჯულის პოზა მიიღო.

— ერთი ათი წლით უნდა ჩააყუდონ და მაშინ გაიგებს!

— ათი წელი კი არა, — აპილპილდა ნატო, — უნდა გამაიყვანო და სახალხოდ ხორცები ჩამააჭრა!

— ეგ არი! — გაექილიკა ცაცანა, — რომელ ერთს ჩამააჭრი? ან ერთი მიჩვენე — რომელ კანონში გვიწერია ხორცების ჩამოჭრა?! ხორცები და ძვლები კი არა, გოგო არ უნდა გაუშვა უპატრონოდ, არა! ხო ხედავთ თავიანთი სიჯგილით როგო ტყუვდებიან! თინას ათასჯერ უთხარი: მაგ მთვარესავით გოგოს ქალაქში უთვისტომოდ ნუ გაუშვებ, თავში საცემი არ გაგიხდეს-მეთქი. სად იცხოვრებს, ვინ მოამზადებს, ვისთან იამხანაგებს, აბა, იცი, ვინ როგორია და რას წარმოადგენს-მეთქი. იჰ, მაშ უსწავლელს ხო ვერ დავტოვებო. ვინ ეუბნებოდა, უსწავლელი დატოვეო, მაგრამ ხო უნდა სცოდნოდა ვის აბარებ შვილს, ვინ არი, რა კაცია?! ის ლექტორიც შემთხვევით ავტობუსში გაეცნო, ქორწილიდან მომავალი, მთვრალი. ავტობუსში გაცნობილი ოხერ-ტიალი საქმეს გაგიკეთებს, კაცო? არ უნდა ჩაუფიქრდე ცოტას მაინც? ეგე, კარგა ასწავლა!

— ეჰ! — კისერი მოიღრიცა პართენამ და ჯამიდან წიწაკა ამოიღო.

ახლა ვარა ბებიამ ჩააკერა.

— ისეთი დროება დაგვიდგა, სწავლას დიდი ავალა მიეცა, მაგრამ... მაგრამ იმნაირად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ქალებს ქალი მეცნიერი ამზადებდეს, ბიჭებს — კაცი მეცნიერი, მაშინ ხო ნანოც არ გაგვიუბედურდებოდა!

— მაგრე კი არა, — შორს დაიჭირა ცაცანამ, — აი, როგორ უნდა იყოს!

— აბა, როგორ? — შეეკითხა ვარა ბებია და დანარჩენებს გადახედა.

— როგორ და მთავრობამ კანონი უნდა გამოსცეს: არ გავიგო კერძო მომზადება-გადამზადება. მე ამოდენა სკოლებში ფულს იმიტომა ვხარჯავ, რომ ვისაც სწავლა სწყურია, იქ ისწავლოს! მორჩა და გათავდა!

— მაგის შესახებ ეწერა გაზეთში. — გულგრილად აცნობა სალომემ.

— აბა, სად არი, თუ ეწერა? — მოუჭრა ცაცანამ, — ეგენი მაინც არ იშლიან და ამზადებენ!

— არც დაიშლიან! — დაუდასტურა სალომემ.

— არ დაიშლიან და მაშინ კანტორა უნდა გახსნან. — კვლავ ჩაერთო პართენა.

ყველანი ისევ პართენას მიაჩერდნენ.

— რა კანტორა?

— რა კანტორა და აი რა კანტორა: მთავრობამ დავთარში უნდა გაატაროს სინდის-ნამუსიანი, ხეირიანი ლექტორები. ჩახვალ თბილისში არა? — გამოცხადდები იმ კანტორაში და ეტყვი. შვილი ჩამოვიყვანე ამა და ამ საგანში მოსამზადებლადო. ისინიც მოგცემენ მავანი და მავანი ლექტორის მისამართსა და მორჩა. ჰა, ამ სამსახურისთვის თუნდა პროცენტიც დამარიცხოს. გაუშვი! პროცენტის გადახდა არ მირჩევნია იმდენი ფულის დაკარგვასა და გოგოს გაუბედურებას?! გული მშვიდად მაინც მექნება!

პართენა გაჩუმდა. მძიმე დუმილი ჩამოწვა. ეტყობა, მისმა „კანტორამ“ მხარდაჭერა ვერა ჰპოვა მსმენელებში.

— მაშინ ამ კანტორაში... — ისევ დაიწყო პართენამ.

— ეს ისევ თავის კანტორას გაიძახის! — წამოიძახა სალომემ, — მთავრობა საერთოდ წინააღმდეგია [illegible] კერძო რეპეტიტორებისა და [illegible] რას გაგიხსნის?!

— რა ვიცი, ერთსაც თქვენ იძახით, მეორესაც. — ფარ-ხმალი დაყარა პართენამ და საბოლოოდ დადუმდა.

დანარჩენებმა კიდე დიდხანს იჭიჭინეს. ვინ იცის, სადამდე გასტანდა მათი კამათი, მტვრის სქელი ღრუბელი რომ არ წამოსულიყო: ბაზრის დაცარიელებულ კუთხეში მეეზოვე ციბრუტივით ტრიალებდა და ჯოხზე წამოცმულ შოროქნის ცოცხს ლონივრად უსვამდა.

— ბუქს ზედ გვაყრის!

— ბაზარიც დაცლილა!

— მზე სად გადამდგარა — გამიქრეს თავი!

— გავაბით და!

— ვისია ეს დანა?

— არ გადააგდო პურის ნატეხი — ცხვარს შევაჭმევ!

— რას უნდა გავყვეთ...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახეს ფუცხუნით აშლილმა წელანდელმა მსაჯულებმა და თავთავიანთ ბარგს მიმართეს.

## მეგარმონე ცრეხო

კვირა დილით სოფლის სადალაქოსთან ჩვეულებრივზე ადრე მოგროვდნენ ბიჭები. ძალზე ცხარე კამათი გაიბა. ყველა რაღაცის დამტკიცებას ცდილობდა, მაგრამ მათ მიერ ნაამბობი განზე გაგონილს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე სინამდვილეს. მართალია, ზოგიერთმა მათგანმა იმ ღამეს ვარლამ ჩუთლაშვილის ქორწილში იქეიფა, მაგრამ საქმის ასავალ-დასავალი არც იმათ იცოდნენ ხეირიანად. ანდა საიდან ეცოდინებოდათ: მეორე სართულზე გაშლილ მთავარ სუფრას ახლოს არ გაეკარეს — თქვენ რა გამოსაჩენი ხართ საპატიო სტუმრებთანო და როგორც უბრალო ხალხი, მეზობლის ნავიან მარანში ჭილღო-მილღოსათვის გაშლილ ტრაპეზთან დასხეს. ჩხუბი კი სწორედ იმ დიდ დარბაზში მომხდარიყო!

ესენი ამ დავასა და კამათში იყვნენ გართულნი, რომ სწორედ იმ დროს უბნის ინსპექტორმა ამოიქროლა განუყრელი ეტლიანი მოტოციკლეტით.

მილიციელის დანახვაზე მოკამათენი წუთით მიყუჩდნენ და მერე ისევ აყაყანდნენ.

— ხო ვთქვი — ცრეხოს წასაყვანად ჩამოვიდოდა!

— შენცა ხარ რა! ცრეხო რა შუაშია?

— არა, ბიჭო, მე ვარ შუაში!

— ცრეხოს კი არა, ი ქალაქელს ჩააყუდებენ!

— ცრეხოს კიდე ტუჩებს მოუკოცნიან, არა?

— არა, მაგრამ...

— დაიცათ, მევლუდამ საბჭოში შეუხვია!

— ალბათ თავმჯდომარესაც გაიყოლებს.

— გაიქეცით ვინმე — გააფრთხილეთ!

— რა ჩვენი გაფრთხილება უნდა, აქამდე სამების ტყეში გადავიდოდა!

— ტყეში კი არა, ისე მძიმეთა ყოფილა, წუხელვე საავადმყოფოში წაუყვანიათ.

— რას მიედ-მოედები, დილას ეზოში მოვკარი თვალი!

— აგე, ცრეხო არ მოდის!

გზაზე მართლაც გამოჩნდა დინჯად მომავალი ოცდაათიოდე წლის კაცი. ეს იყო განთქმული მეგარმონე ფირანა ჯიხვაშვილი. სოფლელებს მეგარმონესათვის „ც რ ე ხ ო" შეერქმიათ და ისიც ისე მიჩვეულიყო ამ მეტსახელს, არცა თაკილობდა, არაფერი. (გარმონის წევისაგან მარცხენა მხარი მართლაც მოცრეხილივით დაჰქონდა და კისერიც რაღაც არაბუნებრივად ეჭირა ხოლმე).

ტანად მაღალი იყო, ზორბა მოყვანილობისა. ყარაჩი სახე სულ უციმოდა. ხშირი, უკან გადაყრილი თმა ფისივით უბზინავდა. მშრალსა და მაგარ თავზე ყინჩად ისხდნენ მგლისებური წვერწვერა ყურები.

მოკლესახელოებიანი აბრეშუმის ყვითელი პერანგი ეცვა. დიდკაცურად წამოსხმულ საგარეო კოსტიუმქვეშ სოფლელებმა მყისვე შენიშნეს იდაყვთან სქლად შეხვეული მარცხენა.

დასანიშნი ბიჭები წამოიშალნენ გრძელი სკამიდან და მეგარმონეს საპატიო ადგილი გაუნთავისუფლეს.

— ძალიან არი? — შეეკითხა დალაქი.

— ისეა, მტრისას... — მიუგო ცრეხომ, რომელსაც პრილობა უკვე მოეგლოვა, და დინჯად ჩაჯდა კაცებში.

სეტყვასავით დააყარეს კითხვები.

— სუყველამ ხმა გაიქრეთ! — ბიჭები ხელისკვრით მიყარ-მოყარა გარაყის გამგემ და ისევ ცრეხოს მოუბრუნდა, — ერთი, სულ თავიდან დაიწყე და წვრილად გვიამბე, როგორ იყო, თორემ ამათ რო უსმინო: მოგკლავენ და გაგაცოცხლებენ, მოგკლავენ და გაგაცოცხლებენ!.. აბა, გისმენთ!

მეგარმონემ თვითკმაყოფილებით ჩაიღიმა და დაიწყო.

— გულმა მიგრძნო თუ რა იყო, ვარლამას უარი ვუთხარი — არა მცალიან, შაბათს ალიზი უნდა მოვჭრა-მეთქი. არ დამეხსნა: მე შენ მინდიხარ, ჩემს ქორწილში შენ უნდა დაგაკვრევინო. ალიზი რასა ჰქვიაო. რა მექნა — გამეტეხა ხათრი? ავიკიდე გარმონი, გავუარე ჭიღლას და წავედით. რაც მართალია, მაყარიც კარგი ჰყავდა და ხალხიც სულ დარჩეული მოუვიდა, ბლომა ქალაქელები ერივნენ. თამადა თავში ზის, ჩვენ კედელთან, ფარდაგქვეშ დაგვსხეს. სწორედ ჩვენს წინა და გვერდზე მოხვდნენ ქალაქელები. ი წითელხალათა ჯეილიც, ჯანიკოა თუ რაღაცა ჩემფეხები, იმ დასტაში ერია. აბა, გახურდა ქეიფი! ამ ჯანიკომ ერთი ბოთლი წარაფულა რო გადაუშვა, ფინთად აათამაშა თვალები! მე ვთქვი გუნებაში: ოოვე, ეს ისე გიჟივით აბრიალებს თვალებსა და ცმუკავს, ამაღამ თავს ვერ დაიჭერს-მეთქი. კაცს ხო ეტყობა, არა?! მართლაც არა და არ მოისვენა: აქეთ ბალთა-იოსებას გოგოებს დაუწყო არშიყობა და ხელის სმა, იქით დუროს ცოლს გადააწოდა ქაღალდის ხელსახოცზე დაწერილი წერილი. რა ვიცი, რა ეწერა: რო წაიკითხა, ქალი ჭარხალივით გახდა და ნაკუწებად აქცია!

— იქა ყოფილიყო დურო! — ჩაიცინა რამაზმა.

—რას ლაპარაკობ, ჯლანმანიანად შეჭამდა! — მიუგო ცრეხომ და სიგარეტის ბოლებით განაგრძო, — ჰოდა, ეს ჯანიკო რაღას არა ჩადის...

— თავიაანთები არაფერს ეუბნებოდნენ?

— როგორ არა, მაგრამ ვის უგონებ-

და! გარყვნილმა ბავშვმა რო იცის, სწორედ ისე იქცეოდა!.. აჭაურები სუყველა ლაჩრები ხართო...

— დახე, ეგ გაფუჭებულა!

— ჩემი ყველას გეშინიათო, ტყუილად გამოგატანეთ ქალი — ეს რა სოფელიაო. აბა, რას ვეტყვით — ვიცინით ჩუმჩუმად და ერთმანეთს თვალს ვუშვრებით: არავინ რა უთხრათ, სირცხვილია, სტუმარი კაციაო. მერე მე ამიხორდა...

— ერიჰააა!

— მაშ! თავსა ზოგავო!.. რაღა თავსა ვზოგავდი, არ გესმოდათ? იმდენი ვიღლერე, ყელი ამომეხრინწა! მერე გარმონი ამოიღო თავლში: რას უფრთხილდები — გასწიო. ჩემი თავი შენ გენაცვალოს, გავწევ კი არა, თუ იტყვი, გავფხეწავ-მეთქი! ჭილლასაც გაებრაზა და ისე დასცხო, ლამის გახეთქოს ღოლი. მეც ისე ვეწევი, საწყალი გარმონი მშიერი ბატივითა ყიყინებს!.. შუაღამე გადავიდა. წვრილფეხობა ლიმონათით დაიჭყირპა და წავიდ-წამოვიდა. ამ ჯანიკომ ახლა ცეკვა მოინდომა და გადმოვიდა...

— ის მამაძაღლი, ცეკვით კი მაგრა ცეკვავდა, — შენიშნა დიმომ, — მწვადები რო შემოვიტანე, მაშინ დავინახე!

— ვინ ამბობს ვერა ცეკვავდაო, — შეეპასუხა ცრემო, — რაც მე ქორწილებში...

— ჰო, ჰო, თხელი ჯეილი იყო, კარგი მაცეკვარი იქნებოდა, — ჩაერია ღლოქი, — მერე, მერე?

— მაგრამ ისეთი კაცისა ან ცეკვარათ მინდა, ან სიმღერა, თუკი... — განაგრძო მეგარმონემ. — თუკი... ჰოდა, სანამ გადმოხტებოდა, მანამ ოცდახუთიანი გამომიწოდა — დაუკარიო. მეზობლის ქორწილია და, შაბაშს არ ვიღებ-მეთქი. მე რო გელაპარაკები, უნდა გამიმართვაო — ფული მაგიდაზე დააგდო. მე ხელი არ მიხლია. მერე ბადოს ბიჭმა აიღო და ჩამიდო ჯიბეში. აბა, დავცხეთ საცეკვაო! ეს ჯანიკო მიიკლანკმოიკლაკნა, ერთ-ორი შემოუარა და კინტოსავით მომითამაშა: ოსური დაუკარიო! დავუკარ! ერთი ხელი იცეკვა და — ქართული დაუკარიო! დავუკარი! მე აღარ მინდა — ლეკურზე გადამიბრუნეო! გადავუბრუნე! მოკლედ, დაღლაზეა, რა! გადაგვდის ხვითქი, მხრები ისე მეწვება, იტყვი, ნაკვერჩხლები დამაწყესო. მაგრამ რას იზამ — კაცი თამაშობს, უნდა დაუკრა! ერთი თავიაანთი შეღებილი გოგო აცეკვა და — ახლა შალახო დამიკარიო! ეგეც დავუკარ! კინტაურზე გადადიო!

— გაწვალებთ რა?!

—აბა! გადადი კინტაურზეო! გადავედი! ცოტა წაითამაშა და — ბაღდადურიო! ეგეც დავუკარ! ეგ აღარ მინდა — დავლურიო! ახლა დავლური დავუკარ! აბა, გრეხული გამიჭიმე — „სირტაკში“ რომ არისო! ისიც გავუჭიმე! ცეკვა-ცეკვით ჩამომიბზრიალა, მომიახლოვდა — ისიც სულ ოფლით იყო გაწუწული — მომიახლოვდა და თითი დამიქნია: აბა, თუ ბიჭი ხარ, ბოლოს როკ-ნ-როლი, თუ რაღაცა კი მითხრა — ისიც დაუკარიო! რა გიყო, ძმაო, ეგ არც ვიცი და საერთოდ არც გამიგია-მეთქი. არადა, შენს კეთილებსაცაო.. და შემომაგინა.

— უჰ!

— პირდაპირ ქაკანივით მაჯახა! თანაც ხმამაღლივ! მაყვალა, თინა, ვარდიკო, ქუქუნა, ზაირა, ანგელინა, ჩაფიაურის რძალი, ზიზო ჯერ კიდე იქ ისხდნენ, სუყველამ გაიგო! გავშრი. გავშრი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ვესროლო გარმონი? ხო აღარც გამოდგება და ამ შობელძაღლისთვის როგორ გადავაგდო ათასასი მანეთი-მეთქი. თან იმნაირად ესხედნენ, უცბათ ვერც გადმოუხტებოდი. წამოვვარდი და ბოთლსლა ვტაცე ხელი — ვგლეჯამ კეინჩში-მეთქი, მაგრამ აქეთ-იქიდან დამეჯაჯგურნენ. აწეხეს ქალებმა წივილ-კივილი. ესღა მივაძახე: ჩემი კი არა, შენი კეთილებიცა და შენი ახლობლებიც-მეთქი! ცოლიც თურმე იქვე სჯდომოდა. უფრო შეიშალა და გამოიწია — ეს რა მკადრა, ნათესავების ლანძღვა როგორ შეიძლებაო!

მსმენელებმა გადაიხარხარეს.

— კეთილებისა კი შეიძლებაო?!

— კეთილებისა შეიძლებაო. — გაეცინა ცრეხოსაც, — ორივე დაგვიჭირეს. ვარლამამ გამომძახა — მანდ შენი ხმა არ გავიგო, დაჯექ ჭკვიანადაო! აბა, სიძე რიღას სიძეა, თუკი იმის სიტყვას ძირს დავუშვებთ — დავჯექი უხმოდ და ისევ ავიღე გარმონი. ისიც დაამშოშმინეს. შევრიგდეთო, მერე მითხრა, გადმოწვა მაგიდაზე და გადამკოცნა. მეც გადავკოცნე.

— მა როდისღა დაგჭრა?

— თენებისას ხალხი დაიშალა. ჯანიკო სხვა კაცებთან ერთად შალტაანთას წაიყვანეს დასაძინებლად. ნეფე-დედოფალიც გავიდა ცალკე. სუფრას გაჯეჯილებული მსმელებიღა შემორჩნენ. აბა, აქ ვიღას დავუკრათ, ბარემ ჩვენც წავალთ, ცოტას შევისვენებთ და დილაადრიან ისევ გადმოვალთ-მეთქი, შევეხვეწე თამადას. მაგრამ კანკარას ამბავი ხო იცით: თუ ერთი მოიკეცა, ხუთი დღე-ღამე რომ იჯდეს და სვას, არ გატოკდება. ვერსადაც ვერ წახვალთ, აქ უნდა ისხდეთ და მე დამიკრათო. ვისხდეთ, ვისხდეთ — მეტი რა ჩარაა! ჰოდა, ი ნაგავმა სწორედ მაშინ შემომიგზავნა წერილი კაი საყვარელივით და გარეთ გამითხოვა. შიგ თან ერთი მაგარი ლანძღვაც ეწერა...

— გიჟი ყოფილა! — დაასკვნა ფორელამ.

— გავხეტდი კაცი! ჯერა მლანძლა, მემრე შემირიგდა, ახლა ისევ საჩხუბრად მიწვევს. გიჟია, ცეტია, ვინ არი, ვის დაჰკარგვია, მართლა რა ჭირად გამიხდა ეს გაფუჭებული-მეთქი! მაგრამ კაცს უკვე დაძახებული ვყავდი და ქვეშიდან ხომ არ გამოვიდოდი? თამადასა ვთხოვე, მე ცოტა ხანს გავივლი და სანამ შენ ახალ სადღეგრძელოს იტყვი, მანამ მოვალ-მეთქი. წადიო. გარმონი დავდე და ჩავედი ეზოში. ახალი ნანათია. კაციშვილი არავინა ჩანს. მე ვიფიქრე, ჭაჭანას ბიჭმა ხო არ გამამასხარავა, უყვარს ეგეთები-მეთქი. ამის გუნებაში გავლება და ჯანიკოს გამოქანებაც ერთი იყო. თურმე წკურაანთ სახლის კუთხესთან, ფშატქვეშ ყოფილიყო ატუზული. აი ამ სიგრძე ბებუთი ეჭირა! — ხელით აჩვენა ცრეხომ.

— ბებუთი კი არა, ხანჯალი ყოფილა!

— როგორც მომახტა და შიგ გულმუცელში მივაზილე წიხლი. მკლავშიღა ჩამიქნივა. ვიგრძენ, წვერი ძვალზე რო აცურდა. წიხლი რომ არ მეგლიჯა, ან გულში გამიყრიდა, ან ნაწლავებს გამომარიდებდა.

— გიჟია, კაცო!

— ეს წიხლნაჭამი ჯანიკო ტყრუშულს მიებღერტა და ჩაიჩოქა, მაგრამ ისევ წამოხტა და დამიტურტურა ბებუთი. გავქანდი და გადავხტი ბაღჩაში. გადმომყვა! ვიყურები აქეთ-იქით და ერთი ხელსატაცი არა გდია რა. იღბლად სათივეზე პანტის კეტი არ ეყუდა! დავტაცე ხელი და ვდრუზე ცალ გვერდში. აი, სწორედ აეგრე დაიკლაკნა: რას შვრები, ტო, ასე ჯერს არა ვართო.

ბიჭებს ისეთი ხარხარი აუვარდათ, ავტობუსის გაჩერებიდან ქოლგიანმ. ქალებმა ყურება დაიწყეს.

— ტოოო?

— ასე ჯერს არა ვართო?

— ჰა-ჰა-ჰა, მართლა ასე გითხრა?

— ორი ბავშვი არა მყავს — იმათმა სიცოცხლემ, რო აი, როგორც ვიძახი, ასე დაიჩხავლა: რას შვრები, ტო, ასე ჯერს არა ვართო. მე ვუთხარი: შე მართლა კეთილძაღლო, ამაზე ჯერს არა ვართ და ემაგსიგრძე ხანჯლით თუ ფაშფუშს წინ დამილაგებდი, იმის ჯერს კი ვიქნებოდით — რაღა პასუხს აძლევდი ჩემ ცოლ-შვილსა-მეთქი და ახლა მეორე გვერდში მივატიალე! მეორეც რო მოიხვედრა ნეკნებში, ბებუთი გაუვარდა და იქვე ჩაიკეცა. საცა შენა დაიკვეხო, იქ ჩემიც თქვი-მეთქი და კეტი ზედვე მივაგდე.

— ბებუთი არ წამოიღე?

— რა ჭირად მინდოდა — ავიღე და ანწლიანში მოვისროალე. ამასობაში

სულ გავსვრილიყავ სისხლით. მალამო დავიდე ჭრილობაზე და ქაღალდით შავიკარი. მერმე ავედი მაღლა და თურმანა ძიას ვუთხარი — დაბლა კაცი გდია, ჩაჰხედეთ-მეთქი. ატყდა წრიაკოლი. ავიღე გარმონი და წამოვედი. სულ ეს იყო!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ინსპექტორი დადიოდა წეღან, — ფრთხილად შეაპარა ელგუჯამ, — მოფარებულიყავი... არ წაგიყვანოს...

— ვინა? — ტუჩი აიკრა ცრეხომ, — წამიყვანოს მინდორში დავარდნილი მწყერი კი არა ვარ! რაზე უნდა წამიყვანოს? წამიყვანოს კი არა, იმისი ცოლი და ბიძა ფეხდაფეხ მომყვნენ: ნუ დაგვღუპავ, არ იჩივლოო; ორჯელ იჯდა ხულიგნობაზე და ეხლაც რო გაუგონ, ციმბირი აქეთ დარჩებაო. ცხრა თვის ბავშვი გვყავს, ის მაინც შეიბრალეო. საწყალმა ცოლმა შამომტირა — ჩემი სიჯიელით მოვტყუვდი და ასეთი ფხუკიანი, ლოთი, ჩხუბისთავი და ნაგიჟარი გამომადგაო, მაგის ხელში ერთი ტკბილი დღე არ მახსოვს — სულ გამწარებული ვარ და თქვენც ნუ დამიმატებთო.

— ბიძა? ბიძამ...

— ოჰ, იმან კიდევ ცალკე გამისივა ნაღველი. ოღონდ ნუ განაცხადებ და „ფიატის“ ფულს ხვალვე ჩამოგიტანო, ჩვენვე გიწამლებთო. მე ვუთხარი: „ფიატისა“ კი არა, თქვენგან კევის ფულიც არ მინდა, ჩემს ჭრილობასაც თითონ მივხედავ-მეთქი. მე მაგის კაცი არა ვარ, შპიონობაზე ვირბინო-მეთქი. დამჭრა, დამჭრა! არც იმას დაადგა კარგი დღე! მოკლედ, ბარდაბარხა ვართ — თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის-მეთქი. მაინც არ მიჯერებდნენ: იქნება ცოტაობო! რაც მართალია, გამებრაზა: არა გრცხვენიან, კაცი არა ხარ, აბა, რას ამბობ — სტუმარს გავატყავებ, ან ჩემ სისხლს ფულზე გავყიდი-მეთქი. ერთი საათი მაფიცა ცოლ-შვილი. ძლივს მოვიშორე თავიდან. მერმე ვარლამიც მომიგზავნა.

— ნეკნებდაჟეჟილი ვაჟი?

— ჯარიაულმა სუ ცხვრის ტყავებში შეკრა — ერთ კვირაში გამოგასაღებო!

ხარხარი სადალაქოს ჭუჭყიან მინებს ზათქით მიაწყდა, დაიმსხვრა, უკუიქცა, ღობეებს გადაევლო და ნართვლევი ვენახების მწკრივებში ჩაიკარგა.

## პოზიცია

ბაზრის სასადილოსთან კაცები ატუზულან. ზედვე აწერიათ — ხინკალს ელოდებიან. ყველანი ერთი თარგისანი და მზისაგან ერთნაირად გამოჯეკილი უბრალო გლეხები არიან. მაგრამ რაჟდენა მაინც ყველასაგან გამოირჩევა.

ორმოცდაათისა იქნება რაჟდენა. იმ სიმაღლეა, თუგინდ ზედ ცხვარს ჩამოატყავებ. ჩამომხმარია, მაგრამ ჯანმაგარი და ბარგის ცხენივით ამტანი. ნაბდის ქუდი ისე დაჰკოსებია, თითქო აფშეკილ ქოჩორს ხელი უკრავსო. მიამიტმა რომ შეხედოს, იფიქრებს: ვიღაცის გასაბრიყვებლად ძუის პარკი დაუხურავს, თორემ როგორ შეიძლება კაცს ასეთი ჯაგარა თმა ჰქონდესო.

ოთხღილა, ცოლის შეკერილი სატინის ხალათი მუხლზე სცემს. ლურჯ ხალათზე ომიდან ჩამოყოლილი გაცრეცილი სალდათური ქამარი არტყია. ისეთი გაჩხიკული წელი აქვს, ქამრის ბოლო ბალთას სწვდება. გამოხუნებული გალიფეს ტოტები მაღალყელა ბამბის წინდებში ჩაუტანებია. წეროსავით კანჭებიდან წინდის ყელები რომ არ ჩამოეჩაჩოს, ინგლისური ქინძისთავებით მიუბავს გალიფეზე. დაცრეხილ სანდლებს, რომლებიც ორმოცდაექვსი ნომერი მაინც იქნება, შაბიამნის ხსნარის ახალი კვალი აჩნევია.

— ოც წუთში იქნება, ოც წუთში! — ყვირის გახვითქული მზარეული და გაფქვილულ ხინკლებს პანტაპუნტით ის-

ვრის მდუღარეში, — ოთხასი ცალია — ბევრნი ნუ გაჩერდებით!

რაჟდენა მოთმინებით ქაჩავს „პრიმას“ და ისიც სასადილოს ღია ხარკმელში იყურება.

ხინკლის მუშტრებს სამოციოდე წლის გლეხი შეერია. ჩასკვნილია, ზანტი, ლაყლაყა. ქუთუთოები წნევადარტყმულივით დაჭრიჭვლებია, იღლიაში დაკეცილი ტიკი უჭირავს.

ტიკიანმა ხელი მოიჩრდილა და გაკვირვებით შეაშტერდა ახმახს.

— ჩვენი რაჟდენა არა ხარ, კაცო?

— მაშ ვინა ვარ, კოლავ!

— ბიჭო, ამ გულის კალოობაში შენ აქ რათა ხარ?

— მაშ სად უნდა ვიყო?

— სადა და მთაში — ცხვართან!

— დამანებე თავი!

— რათა, კაცო?

— მორჩა, მოვუბრუნე ქუდი!

— ერიჰააა! როდის?

— შარშან, ოქტომბერში.

— რათა, კაცო, არ იტყვი ერთი?!

— რათა და ბრიგადირებს ჩვენი ხალხი აღარ უნდათ, არა. გზათაუკან აკრეფილი მწყემსებით გაავსეს ფერმები. ბრიგადირმა...

— რა, წყენა მოგივიდათ?

— წყენაო?! წყენა კი არა, დავჭამეთ ერთმანეთი!

— რაზე, ადამიანო, რაზე?

— რავი, რაღაზე არა, კოლავ, ყველაფერზე! მუნჯებივით მარტო მემსახურებით და მორჩაო. ბატკანია, მატყლია, ყველია — ნახევარსაც არ ატარებს შემოსავალში და ჯანდაბაში ეზიდება!

— ნუ გაატარებს, შენ რაღა გედარდება, — ჩაერია ჭრელსვიტრიანი ღრეჯია ბიჭი, — კოლექტივისა არ არი?!

— რატომაგრე აბლაკივითა ლაპარაკობ! — შეუტია რაჟდენამ, — ჯამაგირი ნამატზე გვეწერება და ნახევარი რომ დამალოს, რაღამ უნდა მოგვიწიოს?

— ჰო, მერე, მერე? — ქეჩო მოიფხანა კოლამ.

— შარშან ქურანჩაში გვედგა ცხვარი, — რაჟდენამ სიგარეტი ამოიღო, — სექტემბრის ოცში, როგორც კი ჩამოთოვა, საბაროდ გავემზადენით. აბა, დილით დავიპარსეთ პირები, დავნაწილდით და... ერთი სიტყვით, უნდა ავიყარნეთ, რა! ჰოდა, ამ დროს ბრიგადელმა ათი გუდა ყველი გადაარჩივა და ფურგონზე დასადებად გამოზიდა: ტროიცკაში უნდა ჩავიტანოო. ვითომდა ჩასაბარებლად! ხაზეინებმა იციანო. ვუცდი და სიტყვას არავინ ეუბნება. ან ვინ ეტყოდა: ჩემს გარდა ბრიგადაში ჩვენი სოფლელი სამი კაციღა იყო. ისიც ერთი თითონ ბრიგადირის ქვისლია, მეორე ფერმის გამგის ბიძა და ის მესამეც იმათთან არის შემძვრალი. დანარჩენები კი სულ დროებით დაქირავებული იორმუღანოელი თათრებია, ქართული არც კი იციან, ვერ იგებენ რაზეა ლაპარაკი. სხვებს კი ყველი კი არა, მთელი ფარა რომ გაყიდონ, ყასიდადაც არ წამოსცდებათ: ეს პატრონდავსილო, ერთი კოჭლი თოხლი მაინც ეგდოს წამლადო. აპაპაპაპაპა, არა!.. რაკი ყველამ მუცელში ჩაიგდო ენა, მერე მე ვუთხარი: არცა სწონი, არცა სთვლი. არც ზედნადებები გიჭირავს, ასეთი ჩაბარება სად გაგონილა-მეთქი. ეგ მე ვიციო! თოვლ-ჭყაპში ჩვენა გვხდება სული და ჩვენც უნდა ვიცოდეთ-მეთქი. მამა გიცხონდა, დამანებე თავი, ეგ შენი საქმე არ არიო და — ხელი წამკრა! აბა თუ არ არი და ყველს არ გატან-მეთქი — გუდები ხელში წავართვი! რაღა ბევრი გავაგრძელო, კოლავ, იგრე მაგრა შევლაპარაკდით რომა, ერთმანეთს დავკარით კიდეც!

— ერიჰა! ბიჭოს! — მიაძახეს აქეთ-იქიდან გლეხებმა, რომელთაც თურმე ყური ეგდოთ რაჟდენასთვის, — მაგრა შეგიტოპნია, კაცო!

— შესატოპი იყო და შევტოპე! — თავმომწონედ ჩაახველა რაჟდენამ, — მოკლედ, დავკარით ერთმანეთსა. ბიჭებმა ძლივს დაგვაშველეს. შევარდა ბინაში და შეკრული ნაბდიდან ბერდენკა გამოაძრო — ამსაათში გაგაგორებო!

მაშინ კი ამიდუღდა სისხლი: თეთრფინელებსა და ფაშისტებს იმიტომ ვებრძოდი, შენ აქ გამაგორო-მეთქი — ქალიდან ჩამოვგლიჯე ხანჯალი და გავუქანდი. მაგრამ აბა, რას გაგვიშვებდნენ — ჩაგვიცვივდნენ შუაში და ორთავეს წაგვართვეს იარაღი. ამ შენს ბრიგადელს კაცის ფერი აღარ ედო: იტყოდი, სამარიდან ამოულიათო. მე უთხარი, რაკი ჯიბრია, ჯიბრი იყოს — დაუდე ყველი და წაიღე, ოღონდ მეც უნდა გამოგყვე და დავინახო ერთი სად ჩააბარებ-მეთქი. ხმა არ ამოუღია, გაწყრა. განზე დაჯდა და ზურგი მომიშვირა: ბრიგადელი მე კი არა, შენა ყოფილხარ, ეგე ყველი და ეგე შენ — რაც გინდა ის უყავიო. მივადექი და რაც არ იქნებოდა, ის უთხარი: შე გაფუჭებულო, შე გათახსირებულო, რატო ვერ გამძლარხარ-მეთქი. ნაცარცვითა და ნაარმალით ორ-ორი ბატიტვინა გოგო უმაღლესებში მოაწყე და ქალაქში ბინებიც უყიდე, სიძეს „ვოლგა" მიართვი, თითონ „კოლხოზნიკი" დაიოხრე, სახლი სუ მარმარილოში ჩაისვი, დედაშენი ბაზარზე ბზესავითა ჰყიდის მატყლსა და ყველსა... მწყემსებს შენი შიშით ყველი ვერ გაგვიჭრია: ერთი რო შევჭამოთ, სამ თავს გვაწერებ უსირცხვილოდ-მეთქი! ეხლა სად მოვიგონო, რეები მოვახსენე... შენ დორანში ხარ ჩავარდნილი, ჩვენ კი სუფთა ჯამაგირზე ვსხედვართ და ისიც არ გინდა ამოდენა ყველი უწყისში აჩვენო და თითოოროლა კაპიკი წაგვემატოს-მეთქი. მოკლედ, მაგრა შევაჩვენე — რაც კი გულში ღარღლი მქონდა, სუ ამოვიღე! ამ დავიდარაბაში ვართ და უცბათ რაიკომის პირველი მდივანი არ წამოგვადგა მანქანით!

— ოლოლო შენ! — შესძახეს გლეხებმა, რომლებიც ისე გაეტაცა ნამწყემსარის თხრობას, რომ სულ გადავიწყებოდათ ხინკალი და რაჟდენას ირგვლივ უფრო შემჭიდროვდნენ, — მაშ კარგი დღე დაუდგებოდა იმ შენს ბრიგადირსა!.. უთხარით?.. ვერ მიხვდებოდა!.. ფინ ეტყოდა!..

— აჯმობა ხომ არ არი — თქმა რაღათ უნდოდა! — გააწყვეტინა რაჟდენამ, — რა, თითონ კი ვერ დაინახა რო ბრიგადელს გულმკერდი სისხლითა ჰქონდა მოსვრილი, მე ვიყავ და წარბგახეთქილი და ხალათჩამოფხრეწილი. იქით გუდები ეყარა უპატრონოდ. იმ ძიძგილ-ძიძგილაობაში ერთი გუდა გახსნილიყო და ყველები ბალახებში გაფანტულიყო.

— რა თქვა მდივანმა?

— რას იტყოდა? როგორც დაგვხედა და მაშინვე წარბი შეიკრა: ეს რა ამბავი გქონიათო. ყველა დამუნჯდა. მივედი მანქანასთან და ყველაფერი მოვახსენე: რა მოხდა და ეს ბრიგადაა ჩაფურთხებული და გაოხრებული-მეთქი. ჩვენ ბრიგადელს აეს დანაშაული აქვს, აეს, აეს, აეს, აეს, აეს! სუ ჩამოვუთვალე! მეტწილ კოლექტივებში ას დედა ცხვარზე ოთხმოცდათოთხმეტ ბატკანს იღებენ, ჩვენთან კი უწყისში სამოცდაათზე მეტს არ აჩვენებენ, ერთი რატომ არავინ დაინტერესდება, რაშია საქმე — ჩვენც ხომ საბჭოთა კავშირს ვეკუთვნით-მეთქი! გინდა მატყლი ავიღოთ: რაიონის საშუალო მაჩვენებელზე — ორ კილოსა და ორასზე მეტსა ვპარსავთ, მაგრამ კილო და სამასზე მეტს არ აჩენენ-მეთქი. „ეგ ყველაფერი წერილობით უნდა შეგეტყობინებინა პროკურატურისათვისო", მითხრა მდივანმა. „ორმოცდაათი წლის კაცი შპიონობაზე ვერ დავდგები-მეთქი, თუ არადა, რაღა წერილები და რაღა პროკურატურა და მილიცია, ეგე, არ ვიძახი — მიიღეთ ზომები-მეთქი. შეჭამეს ფერმა, როგორც მგლები, იგრე არიან შიგ დარეულები-მეთქი, ათას ცხრაასსამოცდაექვს წელს იქნება ცარიელი კომბლებითღა შევხვდეთ-მეთქი. ბრიგადირი ფერმის გამგესთან არი შეკრული, ფერმის გამგე — ზოოტექნიკოსთან, ეგენი თავმჯდომარესთან, თავმჯდომარეს კი ვინ იცის ზევით ვისთან ექნება კავშირი?! მოკლეთ, ესენი სუ დასაჭერები არიან-მეთქი!"

— აი, გენაცვალე მაგ ენა-პირში, რა

კარგად გილაპარაკნია! მერე, მერე? ა ბრიგადელს ხო მისდიოდა ფერიფერი! მერე, კაცო?

რაჟდენამ ამოიოხრა და ნამწვავი ფეხის წვერით გასრისა.

— მდივანმა მისმინა, მისმინა და თითო ათ, აეგრე გადამიტრიალ-გადმომიტრიალა: ამხანაგო, არ მომწონს თქვენი პოზიციაო!

— რა არ მომწონსო?

— პოზიციაო!

— პოციცია რაალაა? — იკითხა ცალთვალა ჩია ბერიკაცმა.

— რა არი და... ესე იგი... სიტყვა-პასუხი, გარემოება, — განუმარტა რაჟდენამ და ისევ „პრიმას“ დაჰსაქმა, — მოკლეთ, მე შენი ლაპარაკი და მიხრა-მოხრა ჭკუაში არ მიჯდებაო. არადა, არც მე მაცუცუნდება გულზე თქვენი პოზიციები-მეთქი!.. აბა, გზაში კი ვერ მივატოვე ცხვარი, რაც მართალია, დამენანა, მაგრამ როგორც კი ჩავედით ჭაჭუნაში და დავბანაკდით, მივაგდე ბრიგადელს კომბალი: ეგე თქვენა და ეგე თქვენი ცხვარი-მეთქი. თავმჯდომარეც იქ იყო, ფერმის გამგეც, ვეტექიმიც. ოცდასამი წელიწადი ცხვარს დავდევდი, კვეხნით არ ვიტყვი — აი კაცმა კი იცის: რაიონში ჩემისთანა მცნობი არავინ იყო, სანამ ის ბრიგადელი მოხირდებოდა, ჩემი გადიდებული სურათი სულ მოწინავეთა დაფაზე ეკიდათ და ერთმა ყასიდად მაინც არ მითხრა: აბა, რასა სჩადი, სად მიხვალ, მოდი, ან საქმე გავარჩიოთ, ან მტყუან-მართალი ვიპოვნოთო. აპა! როგორც ჭირიანი მოიშორონ, ეგრე გაუხარდათ ჩემი წამოსვლა. საბადლოდ იორმუღანლოელი პატარა ბიჭი მიუყვანიათ, მეზობელმა მითხრა, ასამდე თვლაც კი არ იცისო. ჰოდა, ეხლა ბრიგადას როგორც უნდათ, ისე თლიან და ჭამენ!.. გაუშვი, ჭამონ, მაგრამ არც მაგათ შერჩებათ ერთი დრო!

— მართალია, სულ ეგრე კი არ იქნება!

— მაგათაც მოეკითხებათ!

— ეეეჰ, როდისლა!

— დაიცათ, დაიცათ!

სასადილოდან საამო სუნი გამოვარდა.

— ორმოცი ხინკალი ვისი იყო? — დაიყვირა დახლიდარმა, — ეს თუმნიანი ვინ დამიგდო?.. მე რა ვთქვი: ბევრნი ნუ დაიცდით-მეთქი!..

— ეეე, მეხინკლე გოგიავ, არ მომწონს შენი პ ო ზ ი ც ი ა! — იმასხრა ვილაცამ და სასადილოში სიცილ-ხარხარით შელაგდნენ რიგის დასაწყობად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ქავთარაძე

## სამშობლო

ერთხელ, ერთადერთხელ —
თრიალეთის ზეგანი,
ქართლს დახედე ჯვარიდან,
შეიტკბე და... ეგ არი.
ერთხელ, ერთადერთხელ
უშგული თუ სადმელი,
ღამე — ცისქვეშ სათევი,
ლექსი — გულით სათქმელი.
კიდევ კარგი, ვისმინე —
მთაში წყაროს წკრიალი,
ველზე — ყანის ბუბუნი,
ტყეში — ფოთლის შრიალი.
ერთხელ, ერთადერთხელ
თოვლის ზვავის გუგუნი,
მთვარის თეთრი ნათება,
თხილიანში — გუგული.
რა კარგია, ტყის პირას
ჩემი ცეცხლიც ენთო,
მივდივარ და რა ვუყოთ,
მაინც მადლობთ, ღმერთო!

## დარეკე ზარი

გაკიდულია ასი ზარი მთვარის კიბეზე —
ინატრე რამე,
მოისურვე,
მოიმიზეზე.
წყალდაწყალ გარბის გაზაფხული,
ეშვება ბინდი,
გამოიხედავს დღე გარდასული
და ბინდში მიდის.
რას აისრულებ,
რას გაიტან,
რას მოგცემს ბედი...
მხოლოდ სურვილი,
მხოლოდ სწრაფვა,
არარა მეტი.
მიდის მდინარე,
გულმოსული მიდის მდინარე,
და ცისარტყელებს
ულრანებში აუჩინარებს.
გაკიდულია ასი ზარი მთვარის კიბეზე—
ინატრე რამე,
მოისურვე,
მოიმიზეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკვე გადადის

ასე იწყება ჩვენი საღამო —
შიშით,
ეჭვებით,
საყვედურებით...
ამაოდ ვცდილობ, კვლავ გაგახარო —
მზით,
სიყვარულით,
გაბედულებით.
ვერ მოვიძიეთ ჩვენი ბაღდადი,
ავი სიზმრების
ახდენას ველი...
უკვე გადადის,
ჩუმად გადადის,
მძიმედ გადადის შუადღე ცხელი.

* * *

ნუთუ არაფერს შეცვლის ქვეყნად არყოფნა ჩემი?
ნუთუ ასევე მოვარდება დილით არაგვი —
დაფეთებული,
სიმარტოვეს გამოქცეული,
და მთვარის ფერფლი გორაკებზე დაიფანტება!
ნუთუ, ასევე გაიწევა მსუბუქად ფარდა,
ნუთუ, ასევე, სხვათა შორის, გახედავ ქუჩას?
ქუჩას ბიჭუნა გადაირბენს,
ან ფანჯრის მიღმა
ვიღაცა მთვრალი ჩაიღიღინებს...

მე უკვე ვიცი,
ასე თეთრად იელვებს მარტი,
მე უკვე ვიცი,
ასე სავსედ ენთება მთვარე,
მე უკვე ვიცი...
დაძაბული გიყურებ მაინც —
ნუთუ არაფერს შეცვლის ქვეყნად არყოფნა ჩემი!?

* * *

გული როგორ ავდება...
ბერდები და ბერდები
და სპექტაკლი მთავრდება
მშვენიერი ხედებით.
დიდი მსახიობებით,
დიდებული მხატვრობით,
თოვლიანი ქედებით,
სხივიანი მნათობით.
ლურჯი მდინარეებით,
მთვარიანი მინდვრებით.
ვაჟკაცებით,
მონებით,
უქონლებით,
მდიდრებით.
ქარმა თან წაიყოლა
სიყვარულის მოტივი,
არც არავინ გეძახის,
არც არავინ მოგტირის.
მხოლოდ გული ავდება...
ბერდები და ბერდები,
და სპექტაკლი მთავრდება
მშვენიერი ხედებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ა მ შ ვ ი დ ე ბ ა

დასასრულს ასე შიშით რომ ელი,
ასე რომ გტკივა დაღლილი მხრები...
იქნებ არ არის სიბერე ძნელი,
იქნებ აღმოჩნდეს,
რომ ყველა ვცდებით
და სიჭაბუკე კი არა, თურმე,
სიბერე არის ბედნიერება,
როცა ტაატით მიჰყვები ურმებს
და ზეზეულად ძილი გერევა.

როცა ბუნებას უდგახარ გვერდით,
წყნარი,
დაღლილი,
ვნების გარეშე
და დაწრეტილი გზითა და ბედით
მშვიდად ჩაჰყურებ ღამეს თვალებში.
ჩვენს ვნებებს,
ჭიდილს,
ტკივილს და ურვას,
იქნებ სიბერე შველის და ჰკურნავს.

## ი ქ ნ ე ბ

განვლილი გზა ისე მოჩანს,
თითქოს ღმერთმა თარგზე მოჭრა.
თითქოს დამსვეს მტვრიან გზაზე,
მომიმიჯნეს ჩემი ლელო,
თითქოს ასე,
მხოლოდ ასე,

მხოლოდ ამ გზით უნდა მევლო.
რად მიტაცებს ხვალის გზები,
რისთვის ვუკრავ დაფს და ბუკებს?!
იქნებ ბოლოც, ღმერთის ნებით,
გარკვეული არის უკვე.

სიმონ გალახაძე

## ბ ი ლ ი კ ე ბ ი

მთებზე დაკიდულ ბილიკებზე დავეხეტები,
სად მონასტრებში ლოცულობენ მხოლოდ ხატები.

გადავიარე ბილიკ-ბილიკ მრავალი გორა,
მამულო ჩემო, შენს სიმღერად ვინ მომიგონა?

ამ ბილიკებმა გამიყვანეს ფართო შარაზე,
უფსკრულებისკენ მიმავალი გზები ჩარაზეს.

ამ ბილიკებმა გზა კეთილი და გზა ბოროტი
შემაცნობინეს, ერთგული ვარ მათი ბოლომდის.

ეს ბილიკები სამშვიდობო გზებისკენ მიდის,
ჩემო პატარა ბილიკებო, მადლობა დიდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ტაო-კლარჯეთში, არტანუჯში მინდა შევიდე
და უხილავი დავინახო, ავანთო კვარი...
არაფერს ამბობს ეს, ეს ფრესკაც (ღმერთო, შემინდე!)
და საქართველოს სიყვარულში დაღლილი მტკვარი.

დავაკვირდები საფლავის ქვებს, ხავსიან ლოდებს,
მთაწმინდელების ნაფეხურის დასანახავად,
სადაც წარსული საქართველოს მიწაზე გოდებს,
ნაქალაქარად, ნასოფლარად, ნავენახარად.

და ვეძებ, რადგან უფრო მეტი იყო ვარძია,
ვიდრე დღეს ვიცით, მეტი იყო ჯვარიც და გრემიც,
ყველა მონასტერს ანაფორა შემოძარცვია,
და ყველა ციხე თითქოს ამბობს: — მე ვარ ნანგრევი!

* * *

დაცხრა მურვან-ყრუ განრისხებული,
უძლეველობის და ძარცვის ფასად,
გამძღარი სისხლით ჩემი სხეულის,
ბალახზე უშვებს არაბულ ფაშატს.
მონგოლი ხმალზე აგებს სოფლებს,
ქალაქს, ქონგურებს, ციხე-გალავანს,
თავის ქალაზე დამადგამს კოჭლ ფეხს,
ღვინოს სვამს, რადგან თავის ქალა ვარ.

პაპის ძვლებისთვის საფლავის გათხრას
ოხვრით რომ ვიწყებ შამქორს, ბასიანს,
ვიღაცა ბეჭზე გადამკრავს მათრახს,
მივიხედავ და შაჰ-აბასია...
გავხედავ წარსულს ისნის კორდიდან
და ძველებური ყრუოლა დამიარს,
ვაი, რამდენი სვავი მკორტნიდა —
კავკასიონის ქედზე ამირანს!

* * *

სადღაც ბავშვობა ჩემი,
ხეებზე ჩიტებს იჭერს,
არც არავისთან ვჩხუბობ,
ვუძმაკაცდები ბიჭებს.

და გვიყვარს ერთი გოგო,
ძმაკაცებს ათიოდეს,
ნეტა ისევ იმ ტყეში,
სოკოზე დავდიოდე...

## მ ი წ ა

მიწაზე დავალ
ციცქნა სიცოცხლით
და ვიცი ახლა
მიწა რაც არის!

ვეებერთელა
ოქროს ზოდივით,
ხელში მიჭირავს
ხორბლის მარცვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გაგვიფრინდება დაფრენილი ბლის ტოტზე ჩიტი,
იების მინდორს გადაივლის ჩვენი ბილიკიც,
ზოგჯერ პირიქით გაგვიგებენ, თუ რამეს ვიტყვით,
ზოგჯერ ნანატრის ასრულებაც ხდება პირიქით.

თუ პოეზია სხვაზე მეტად არ გიხარია,
თუკი წიქარა შენთვის მხოლოდ ნიშა ხარია,
თუკი მამული სიკვდილამდე არ შეიყვარე,
თუ მიწად იქეც და ყლორტი არ ამოიყარე,
რაა სიცოცხლე?!.

* * *

მე გამოვედი ღამით სახლიდან
და დიდ ქალაქში შენ დაგეძებდი,
სხვა სამზერიდან, სხვა სიმაღლიდან,
სხვა მიზეზით და თვალისცეცებით...
და ცარიელი დავტოვე ბინა
და ცარიელი იდგნენ ქუჩები
და დადიოდა ქალაქში ფრთხილად
სიმარტოვე და სიჩუმე ჩემი.

**ვაჟა ოთარაშვილი**

## სინანული

ღამეა, ნედლი კუნელის კუნძი,
მთვარის შუქზე რომ იისფრად ხრჩოლავს...
ხედავ, მეც გავხდი დღეს სიტყვაძუნწი,
ჩემო ოცნების მორჩილო, მონავ!..
შენ ისევ გცივა,
ვერ მოგახურე, ვერ მოგახურე მხრებზე ნაბადი,
მეც რაღაც მტკივა, ჰო, რაღაც მტკივა,
როგორც ყოველთვის, ვერ ვთქვი ნახვამდის.
ცა ვარსკვლავებმა ისე დანამეს,
რომ აღარც მინდა დილა მოვიდეს,
მე ღამეშიაც დავკრეფ მანანებს
და თანაც იმდენს, გვეყოს ორივეს...
ისე წავედი, როგორც ყოველთვის,
ვერ მოგახურე მხრებზე ნაბადი...
ვერ მოვასწარი მეთქვა: მოვედი,
რომ უკვე გითხარ სიტყვა „ნახვამდის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ბოთლში ჩადებული წერილი,
ზღვაში გასროლილი ბედი,
ნატვრის გადამხმარი ჯეჯილი,
მთათა გაყინული ხედი...

გემი უიალქნოდ დარჩენილი,
წარსულს მიყინული შუქი,
სულში იარები გაჩენილი,
ნაჭრილობევები მუქი...

ბოთლში ჩადებული ჩვენი ბედის
ცხოვრების ტალღებზე ტივტივი,
უკანასკნელი სიმღერა გედის
და ბავშვის პირველი ტიტინი...

როგორ მოგვსევია წლების ჯარი,
როგორ შეიცვალა ყველა წმინდა,
ველარ გვიხმარია მარტო ფარი,
უხმლოდ გამარჯვება გაგვიფრინდა...

ბევრმა მეგობარმა თავისი გზა
თვისკენ მოზნიქა და აირჩია,
ზოგმა აღიმაღლა უაზროდ ხმა,
ზოგმაც ოჯახები გაიჩინა...

მე ერთი დავდივარ ისევე,
ძველ ნაჭრილობევებს ვახორცებ...
ვიცი გაკვირვებით მიმზერენ,
სულში რომ ხედავენ ნაკორძებს...

ალბათ ასე მქონდა დაკვებილი:
ბოთლში ჩადებული წერილი,
ზღვაში გასროლილი ბედი...
ნატვრის გადამხმარი ჯეჯილი,
მთათა გაყინული ხედი...

## ლოდინი

დგას ელოდება, ათამდე ითვლის,
უკვე ასია, მერე ათასი...
და ბოლთას სცემენ გორები ფიქრის,
ლოდინს უჭირავს მოთმენის თასი...

ხე ელოდება კვირტის ამოსვლას,
ყინული დნობას, ნაჟურად ქცევას,
გოგონა — სიზმრად ნახულის კოცნას,
დარდები ყველას გულში ჩატევას.

...და თვით სიკვდილსაც კი ველოდებით,
ძილში ლოდინი ლურჯი ლოდია,
წასულთ ვაცილებთ ჩუმი გოდებით,
თუმცა არც ერთნი აღარ მოდიან...

## გალაკტიონს

ლექსი მოგიძღვნა? მე მეშინია,
ღმერთებს ხომ მუდამ სანთლებს
უნთებენ...
რამდენი წლები ისე მიდიან,
მე „მე და ღამეს“ ღამეს ვუთენებ...
და მაინც ჩანხარ შეუცნობელი,
როგორც თიბათვის მზე და ეს ზეცა,
თუმცა ამაყი, ბედის მგმობელი,
ფიქრიან შუბლზე დარდს რომ იკეცავს.
... და როგორც ღმერთმა შექმნა ადამი
და როგორც ღმერთმა ევაც აკინძა,
როგორც ბუნებამ ღრუბლის საბანი,
ამ მიწას ირგვლივ შემოამტკიცა,
ისე აკინძე სიტყვა ქართული,
რითმათა თიხა სცერი და ზილე
და ჩაუყარე მამა-პაპური
რითმის დუღაბი ლექსის ქვითკირებს...
რამდენი წლები ისე მიდიან
და რამდენს ბედი არ გაუთენებს...
ლექსი მოგიძღვნა? მე მეშინია,
ღმერთებს ხომ მუდამ სანთლებს
უნთებენ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუდენტობის გახსენება

*გიას, მერაბის, ჯემის,*

შუაღამეა. სახურავებზე
მთვარის ყვითელი მტვერი...
სამი ბიჭი და...
სიგარეტის უკანასკნელი ღერი.
როგორც ყოველთვის, სიტყვა
ქალებზე
ხმაში ჩამჯდარი დარდით,
ტრაბახი, ნაღდი, ანდა იმედი
განუსაზღვრელი ვადით...
ძილის ღმერთი კი მოდის ნელ-ნელა,
ფშვინვით, ხვნეშით და ოხვრით
და ეძინებათ რკინის საწოლში
სიცივით ოთხად მოხრილთ.
ძალით დაცლილი, ვით ბოლო ჭიქა,
მიდის ღამე და კვნესის
და ისე მოჩანს ახალი მთვარე,
როგორც ნაჭერი ნესვის.
დრო მიგვაქროლებს, როგორც
ყოველთვის,
გულს ემატება დარდი,
წარსულს ვშორდებით,
წარსულს ვშორდებით,
განუსაზღვრელი ვადით.

### ვაჟა გიგოლაშვილი

## აპრილი

ნისლივით მსუბუქად მოდის აპრილი,
ზამთარი გატყდა და დაიძლია,
იმედს დაუთმე გულო ადგილი,
გულო, იქუხე, რაც შეგიძლია!

მოდის აპრილი მწვანე ფერებად,
და ისე ნაზად თითქოს მითია,
ნეტავ ამდენი ბედნიერება,
გულო, ამ მკერდში რამ დაიტია!

აპრილი მოდის ლურჯი იების
და ენძელების ცეცხლის თანხლებით,
არ დაიღლები ვიცი ძიებით,
გულო, სიმღერით არ დაიღლები!

და განა არის სხვაგანაც საქმე
ეს მთა და ველი უფრო ზღაპრული,
უფრო ლამაზი, უფრო მკერდსავსე
საქართველო და ლურჯი აპრილი.

* * *

გამოქცევია ღამეს ცისკარი
და ახლა ღიმილს ქუჩებში აბნევს,
ოთახში თრთოლვით იჭრება ქარი,
მიყვება ზღაპრებს და ახალ ამბებს.

და დღე იწყება, როგორც გათავდა,
ისევ ალერსით, ფიცით, ჭორებით,
გაივლის დრო და დღე დაღამდება,
კვლავ უშენობით, კვლავ განშორებით.

კვლავ მონატრება დანისლავს მზერას,
ნაცნობ ბილიკებს დათქერავს ქარი,
ღიაც დამრჩება ისევ და ისევ,
ლოდინით დაღლილს ოთახის კარი.

მაგრამ სახსოვრად პატარა კვალი,
შენგან არც რწმენის არ დამრჩა რამე,
და ისე, როგორც უცნობი ქალი,
ოთახში ზანტად შემოდის ღამე.

შემოდის ისევ, ვნებით და მძაფრად,
შემოდის, როგორც დღემდე მოსულა,
და მშველივით უხმოდ და სწრაფად,
შლის, კამეჩივით დილა მოცურავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედა

სიტყვა, რომელიც მე პირველად ვთქვი,
ლექსი, რომელსაც მე ახლა ვბედავ,
პირველი სიტყვა, პირველი ლექსი,
უპირველესად ეკუთვნის დედას.

რომ გავახილე პირველად თვალი,
იმ ტკბილ სანახავს მე ახლაც ვხედავ,
ის გახლდათ, ერთი, უბრალო ქალი,
პირმოცინარი მშობელი დედა.

ის მატარებდა სიმართლის გზებზე,
ჩემს ბედზე სწუხდა ყველაზე მეტად,
სწორედ ამიტომ მომინდა ასე,
ეს სტრიქონები მივუძღვნა დედას.

დღეს ასე მინდა მადლობა ვუთხრა,
ქალს, რომელიც მე ვიწამე ღმერთად,
დავლოცოთ მისი წმინდა მანდილი,
შვილის ღიმილით იხაროს დედამ!

* * *

სერები, სერები ნაცნობი სერები,
ბაია — ყვითელი მზე...
ფერები, ფერები, ყვითელი ფერები
მისდევენ ოქტომბრის გზებს.

პატარა სოფელი ფოთლებით მოფენილ
შორეთში ეულად დგას...

და ბილიკები მთებში ასული,
ფოთლებს წაუშლიათ მთლად;

და ჩუმად მერევა და ფრთხილად მერევა
ოქტომბრის ყვითელი მზე,
სერები, სერები, ნაცნობი სერები
ფერებით მისდევენ გზებს.

## ზაფხულის საღამო ალაზნის პირას!

მზე ჩადის, როგორც დაჭრილი ხოხობი, ალაზნის პირად.
შორს, სადღაც ჭალებში, იცინის წყარო,
მე ისე გეხები, როგორც ჩალის ღერო,
                    მე ისე ფრთხილად...
ცხელა და თივაში თიბათვე ცხარობს.

ზაფხულის საღამო, ხმელი ბალახების შრიალა ხმები,
შემოდის და მომკლას მწუხარებამ ლამის,
ჩურჩული ჩალის, რომელიც გათიბეს, —
                    „როდესაც ვხმები...“
და გამეორება წარსული ღამის.

მე თვალებს დავხუჭავ. რომ არ დამეკარგოს ამინდი მწარე,
მე ვივლი, რომ არ მითხრა, დაღლილი ხარო,
თიბათვის ღამეა, ვართ ბედნიერი ალაზნის მხარეს,
შორს, სადღაც ჭალებში, იცინის წყარო.

ვახტანგ გოგიჩაიშვილი

## გზები მეტყვიან

დიდი რუსთველის გულგაშლილ მიწას
რა ასულდგმულებს ტრფიალის მეტი,
ვით არ გახსენოთ ლადო და მირზა,
ამ ძველ ჭადრებთან თუკი მოვედი!
დღესაც ოცნებით მწვავენ ეს გზები
და მსურს ვიმღერო ბულბულის ხმაზე,
დღესაც მიტაცებს თქვენი ლექსების
აშადრევნება და სილამაზე.
ამ გაზაფხულს და ამ ტრფობას მარად
თრთოლვით ელიან ხეთა რტოები
და მაღალმთიან ლექსების დარად
კვლავ გიზგიზებენ ყაყაჩოები.
ო, მჯერა, მას რაც ნიაღვრად რბოდა,
ჟამთა სიავე ვერ დაგვაცილებს,
გზები მეტყვიან, რარიგ გწყუროდათ
მზე და სიცოცხლე ფრთალაღ
ყმაწვილებს.

რარიგ გართობდათ მშობლიურ მიწის
ცვარ-ნამი, ვარდზე ამოქარგული,
რარიგ განთებდათ მამულის ფიცი
და ხატოვანი სიტყვა ქართული...
ვით არ მიხმობდეს შრიალი ბუჩქთა
და სიანკარე მთების წყაროთა,
მეც მიხარია კვირტების ფურჩქვნა
როგორც ოდესმე თქვენ გიხაროდათ;
მეც მწვავს ოცნება —ცისფრად ნაგები
ამ აფეთქებულ ყვავილთა გზაზე,
მეც მატყვევებენ წრფელი ჰანგები,
ეს ჩემი გული მათ შევთავაზე...
ამ მოელვარე ფილაქანს თქვენი
ნაფეხურები ახლაც ატყვია...
ვით დავიჯერო სასტიკი სენი
და ვერაგულად ნასროლი ტყვია.

## კრწანისის ყაყაჩოთა გახსენება

მე უკვდავება გადმომედება
თუ ამიტაცეს შენმა ქედებმა,
თუ ამიტაცეს შენმა ქედებმა
და შემომძახეს არაგველებმა.
ვინ გაექცევა ტურფა სანახებს,
ამ ელვარებით ვინ არ იწოდეს?!
აქ ენძელები ჩუმად მანახეს
ჩუმად მანახეს და მომაწოდეს.
მე მიხარია, ყვავილთა ჯარი
რომ გადმოგიშლის სანუკვარ ფერებს
და ახდენილი სურვილით დამთვრალს,
აქ უსიმღეროდ რა გაგაჩერებს!

აქ მომიხელთა ცხელმა ყაყაჩომ,
აქ შევიყვარე შენი წარსული
და განა ძალმიძს არ გიდარაჯო
და არ მოვიხმო დრო გარდასული...
აქ უომიათ ქართველ ვაჟკაცებს,
მზეს ნატრულობდნენ ტურფა ქალები,
მეც ყაყაჩოსებრ გავიკაშკაშებ
და იმ ვაჟკაცებს დავემგვანები!
მეც ვუპატრონებ შენს წითელ ყანას,
არ მოგაკლდება ძველი ღირსება
და ჩუმ ოცნებას ვით იავნანას,
აქ გახუნება არ ეღირსება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ფეხშიშველა სასიძო

## სახელდახელო დიდი თათბირი

თეონამ სკოლას თავი რომ დაანება, ყურადღება თითქოს არავის მიუქცევია: ქალია, გათხოვდება, შვილებს გაიჩენს და ყოველგვარ სწავლას ეს აჯობებსო. ტუხას ამბავი კი მაშინვე გახმაურდა. ზოგი ტერენტის გამოექომაგა, ზოგი ტუხას. ზოგმაც დუმილი ამჯობინა საქმის საბოლოო გარკვევამდე.

სკოლის დირექტორმა პლატონ ლაცაბაძემ სახელდახელო თათბირი დანიშნა თავის კაბინეტში, რომელიც სამასწავლებლოდან სქელი კედლით იყო გამოყოფილი.

მასწავლებელთა უმრავლესობას ტუხაზე ცუდი არაფერი ჰქონდა სათქმელი, დასაძრახი და სააუგო, გარკვეული მოსაზრებით ტერენტის გამტყუნებასაც ერიდებოდა და გაპარვა ამჯობინა. გერმანულის ახალბედა მასწავლებელმა, თვალ-წარბ შეღებილმა გოგომ თქვა, შინ საზღვარგარეთელი სტუმარი მიზის და სირცხვილია დროზე რომ არ მივიდეო. ფიზიკის მასწავლებელმა, ჭარმაგმა სათვალიანმა მამაკაცმა, ავადმყოფობა მოიმიზეზა: სიცხიანმა გაკვეთილი ძლივს ჩავატარეო.

— ქალბატონო მერი, თქვენც მღალატობთ? — ჰკითხა ბოტანიკა-ზოოლოგიის მასწავლებელს დირექტორმა და პასუხს არ დაუცადა, დამცინავად დაუმატა: — ავად ხართ, შინ უცხოელი სტუმრები გყავთ, თუ გადაუდებელი საქმე გელოდებათ?

— ბატონო პლატონ, ვითომ ხუმრობთ და მართლა გადაუდებელ საქმეზე მიმეჩქარება, ოღონდ შინ კი არა, სხვაგან. ველარ გამიგია, მასწავლებელი ვარ თუ გადასახადების ამკრეფი აგენტი?! ჩემ სააგიტაციო უბანში რამდენიმე კომლს სახელმწიფოსთვის კვერცხის ჩაბარების გეგმა არ შეუსრულებია, ზოგსაც ღორის ჯაგარი არ ჩაუბარებია დროულად და პასუხს მე მთხოვენ: რა აგიტატორი ხარ, აქამდე ეს ამბავი ვერ მოგიგვარებიაო, გაზეთებს ხალხი თვითონაც კარგად კითხულობს, შენი მთავარი მოვალეობა ეს არისო. რატომ არ დაიწვა და დაინაცრა ის დღე, მე რომ მასწავლებლობა ავირჩიე და ისიც სოფელში. ქალაქში ასეთ რამეს ვინ ავალებს მასწავლებელს?! სამარცხვინოა, ღმერთმანი. ამან დამტოვა გაუთხოვარი, თორემ ვისზე ნაკლები ვარ? თვალტანადობა მაკლია თუ ოჯახიშვილობა? შევაბერდი გადასახადების აკრეფას. მალე კვარტალი მთავრდება და თუ რაღაც არ ვიღონე, საყვედური არ ამცდება... უპირველეს ყოვლისა, თქვენგან, ბატონო პლატონ! კარგს იზამთ, თუ სათანადო ადგილას თქვენთვის ჩვეული მთელი

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

პირდაპირობით დასვამთ ამ საჭირბოროტო საკითხს. მოგვიხსნან მასწავლებლებს ეს არაპედაგოგიური სამარცხვინო საქმე. ოჯახს რო კვერცხისთვის და ჯაგარისთვის მიადგები, იმ ოჯახის ბავშვი გაკვეთილზე რა გულით მოგისმენს? ძირფესვიანად გაგვიფუჭდა ავტორიტეტი, გენაცვალე. ბოლოს და ბოლოს, მასწავლებლები ვართ, თუ...

მერი ალბათ კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, დირექტორს რომ არ შეეჩერებინა:

— კარგი, მერი, კარგი, გენაცვალე, წადი, გათავისუფლებ! ბევრჯერ ჩაგვიტარებია თათბირი უშენოდ და როგორმე ახლაც შეველევით!

დირექტორს თავის კაბინეტში მხოლოდ სამი მასწავლებელი დახვდა: თვითონ ტერენტი ტაბლაძე, ქართული ლიტერატურის მასწავლებელი მარიამ კაშკაშიძე და ისტორიკოსი აბიათარ მუხურელი.

— მაშასადამე, უმრავლესობამ უგანა თათბირს? — ცალი თვალი ორჭოფულად მოჭუტა.

— ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, — მიუგო კუთხეში ცალკე მჯდარმა მარიამმა. — ბატონი ტერენტი განათლების განყოფილების გამგის ღვიძლი დეიდაშვილია და...

პლატონმა წაუყრუა, ისევ თავისი სიტყვა გააგრძელა:

— არა უშავს, სამი კაცის აზრი უკვე თავისთავად ნიშნავს თათბირს, სრულუფლებიან თათბირს. მეოთხეც მე ვარ. შეგვიძლია ვიმსჯელოთ, — წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდას მიუჯდა, წინ ფურცელი დაიდო, ხელში ავტოკალამი შეათამაშა და კარადაზე დასკუპებულ მაღვიძარა საათს შეავლო თვალი. — აბა, ვინ გატეხავს ნავსს? დავიწყოთ! ოღონდ, მოკლედ და მკაფიოდ ვილაპარაკოთ. სდუმხართ? კეთილი. მაშინ პირველი თვითონ დავიწყებ. — ისევ მაღვიძარას ახედა, შუბლი ფიქრიანად შეიჭმუხნა და, როგორც იქნა, ამოიღო ხმა. — მოწაფე, რომელიც მასწავლებელს მთელი კლასის წინაშე ჩანთას ესვრის, თანაც წიგნებით გატენილ ჩანთას და თანაც პირდაპირ თავში დაუმიზნებს, რა თქმა უნდა, სასტიკ სასჯელს, გარიცხვას იმსახურებს. სამწუხაროდ, ეს მოწაფე დამამთავრებელ კლასშია და ასე ხელაღებით ვერ გავწირავთ... როგორმე დავამთავრებინოთ და მერე ჯან... — კინაღამ წამოსცდა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო, ასე უხეშად თქმაც ეუხერხულა, ხელქვეითებმა არაპედაგოგიურად არ მომინათლონო, მით უმეტეს, ეს გამოცდილ დირექტორს არ შეშვენისო და შეყოვნების შემდეგ დაუმატა, — ჯანღონით სავსე ჭაბუკი თვითონ მიაგნებს თავის სავალ გზას. გეზი მოცემული გაქვთ, ახლა თქვენი ჯერია, კოლეგებო, როგორია თქვენი ვარაუდი?.. თქვენი აზრი?

— ესე იგი, ბატონო დირექტორო. არც მწვადი დავწვათ, არც შამფური? ტერენტიც გავამართლოთ და სკოლაც? — შენიშნა მარიამმა.

— მარიამ?! — დირექტორმა ხელით ანიშნა, ჯერ შენ გაჩუმდიო.

ისტორიის მასწავლებელმა აბიათარმა კარგად იცოდა არა მარტო კაცობრიობის ისტორიის დიდი გზის შუქ-ჩრდილები, არამედ ისიც, ცხვირწინ რა ხდებოდა, ირგვლივ რა ამბები ტრიალებდა და ვისთან რა ეთქვა. იცოდა, ძაღლსა და კატასავით გადაკიდებული ტერენტი და მარიამი მუდამ რომ ჩხუბობდნენ ხან აშკარად, ხან ფარულად, იცოდა, მარიამს ტუხა რომ უყვარდა, ტერენტის კი სძულდა რატომღაც, არც ერთი კოლეგის წყენინება არ უნდოდა და საკითხი მისთვის ჩვეული ფილოსოფიური ასპექტით განიხილა:

— მეგობრებო, პატივცემულო პლატონ, ბატონო ტერენტი და ქალბატონო მარიამ, მე, როგორც საერთოდ მჩვევია, მოკლედ მოვჭრი. ტუხა ამჟამად ისეთ ასაკშია, როცა ახალგაზრდის საქციელს არ განაპირობებს არავითარი ლოგიკური თავდაკვირვება და წინასწარჭვრეტა.

— კონკრეტულად, ბატონო აბიათარ! — გააფრთხილა დირექტორმა.

— კი, ბატონო, კონკრეტულადაც მო-

გახსენებთ. მე ზედმიწევნით ვიცი არა მარტო მთელი კაცობრიობის წარსული ისტორია, არამედ, თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებიც. ამჟამად კონკრეტულად ფრიად ძნელია იმის ზუსტად დადგენა, ტუხა ჩვენმა ძვირფასმა კოლეგამ, ბატონმა ტერენტიმ გააღიზიანა და აალელვა თუ განსაკუთრებულმა სხვა რამემ. დიახ, დიახ, წუთიერი ჩაფიქრება ამის საანალიზოდ არ კმარა. ხანგრძლივი დაკვირვებებია საჭირო. ეგების პატივცემული ბატონი ტერენტი არაფერ შუაშიც არ იყოს...

— ეგების უმჯობესი იყოს თუ დავუმატებთ: განათლების განყოფილების გამგის ღვიძლი დეიდაშვილის გამტყუნება სკოლაში ყოვლად შეუძლებელია, როგორადაც არ უნდა მოიქცეს-თქო, — სიტყვა ჩაურთო მარიამმა.

— ქალბატონო, აქ იმისთვის არ შევკრებილვართ, ვარკვიოთ, ვინ ვისი დეიდაშვილ-მამიდაშვილი თუ ნათლიაა. რა დროს რეპლიკებია, თქვენც მოგეცემათ სიტყვა და მაშინ ილაპარაკეთ! — შენიშნა დირექტორმა მარიამს და აბიათარს მიუბრუნდა. — განაგრძეთ, გეთაყვა!

და აბიათარმაც დაუყოვნებლივ გადაისვა მელოტ თავზე ხელი და განაგრძო:

— დიახ, დიახ, ბატონმა პატივცემულმა დირექტორმა შესანიშნავად და სავსებით სამართლიანად ბრძანა, აქ განათლების განყოფილების გამგის დეიდაშვილობა აბსოლუტურად არაფერ შუაშია ისევე, ვითარცა პატივცემული ბატონი ტერენტი არაფერ შუაშია ტუხას ამ ამბავში. შემჩნეულია, რომ ტუხა ხატეველს ფეხშიშველა სიარული ყველაფერს ურჩევნია და ყოველგვარი ფეხსაცმელი ჭირივით სძულს თვით თოვლიან-ყინვიან ზამთარშიც კი. სკოლაში კი იძულებულია უეჭველად ფეხსაცმელებით იაროს, ქალამნებით, წუღებით ან სანდლებით. ჩექმას ხომ სათოფეზეც არ ეკარება. ფეხჩაცმულად იძულებითი სიარული ალბათ ყელში ამოუვიდა უკვე-ტანჯვა-წამებად ექცა, ამიტომაც აჰყარა ტლინკები და აჩუ! გაჭენდა!

— გავიგე, თვითონ უთქვამს, მასწავლებელი გადამემტერაო. ეს როგორღა ავხსნათ, აბიათარ? — უფრო მოკამათის ენის დასამუხრუჭებლად იკითხა დირექტორმა, ვიდრე საქმის არსის გარკვევის მიზნით.

— თვით რას ამბობს, არ არის რეალური. მთავარი და უპირველესია, რას კარნახობს ადამიანს მისი გაუცნობიერებელი ინტუიცია. დიახ, ინტუიცია. ბატონებო. როცა ადამიანმა თვითონაც არ იცის, რა იცის, უფრო სწორად, რა იმალება მასში. ტუხა, ეტყობა, ბევრ რამეს მხოლოდ ქვეშეცნეულად გრძნობს, ბუნდოვნად, ნისლეულად, ქაოტურად, შორეული ინტუიციით, ოღონდ ამას იგი აშკარად ვერასოდეს გამოთქვამს, მაგრამ ამჟღავნებს, როცა სათანადო მომენტი დაუდგება. პატივცემულო ბატონო პლატონ, თქვენ რომ ბრძანეთ, თვითონ უთქვამს, მასწავლებელი გადამემტერაო, ეს მის ნაღდ შეგრძნების რეალიზაციად არ უნდა მივიჩნიოთ. მასწავლებლის გადამტერება თუ ახირება ტუხას, ეტყობა, მოეჩვენა, ან განგებ მოიჩვენა, რომ სკოლიდან თავისი გაქცევა თვალისმომატყუებელი სიტუაციით გაემართლებინა. დიახ, უფრო სარწმუნოა, რომ მოეჩვენა, ხოლო როცა რაიმე მოგეჩვენება ადამიანს, რა არ ხდება. ზოგს კაციც კი შემოაკვდება ხოლმე. ჩანთის სროლა გაუცნობიერებელი აქტია. მან უპირველეს ყოვლისა ეს ჩანთა გადაგდებით მოიშორა და იგი ვის მოხვდებოდა და სად მოხვდებოდა, ამას ტუხასთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც სხვა მიზანდასახულობა. აქ ფრიად ნათლად გამომჟღავნდა ტუხას ინტუიციური, ფარული, თავის თავში დამალული უარყოფითი დამოკიდებულება სკოლისადმი, რომელიც აიძულებს მუდამ ფეხსაცმელჩაცმულმა იაროს. ტუხამ მოახდინა ქვეშეცნეული გრძნობების რეალიზაცია, უფრო მკაფიოდ რომ გამოვხატოთ, არალეგალურის ლეგალიზაცია. სწავლაზე კი არ აიცრუა გული, ან, კერძოდ, რომელიმე მასწავლებელზე, გული აიყარა

სკოლაზე, სკოლაში მისვლა შესჯავრდა ჰირივით მხოლოდ და მხოლოდ ფეხსაცმელების გამო. თორემ თვითონ სწავლის პროცესი სულაც არ ეზარებოდა. ჩემს საგანს, მაგალითად, დიდებულად სწავლობდა. სახელმძღვანელოს გარდა სხვა წიგნებსაც ხშირად კითხულობდა. ისეთ რამეებსაც მიყვებოდა ხოლმე, მე არც ერთ გაკვეთილზე რომ არ ამიხსნია. რაც მართალი მართალია, დედამისს წიგნი უყვარს. მერე რა, ინტელიგენტი ქალი რომ არაა, პირველი ქმარი ფრიად განათლებული ინტელიგენტი კაცი ჰყავდა, ცხონებული აბესალომი. ბერხევში ყველაზე წიგნიერი ადამიანი იყო, დაკვირვებულიც, პრაქტიკოსიც... დიდი გლეხიც იყო და დიდი ინტელიგენტიც. ამბობენ, სული არ კვდებაო. ეტყობა, იმ სულმნათის სული დარჩა ოჯახში, დარიკომ შეინახა და შვილსაც აზიარა. დიახ, დიახ, კომპენტენტურად ვერ განვაცხადებ, როგორ სწავლობდა სხვა საგნებს, მე კი უყოყმანოდ ვუწერდი ყოველთვის ფრიადს... ალალიც იყო. ქალბატონო მარიამ, თქვენგანაც ხშირად მსმენია მისი ქება.

— დიახ, ლიტერატურაც ფრიად ემარჯვება, — დაეთანხმა მარიამი. — ლექსს ერთი წაკითხვით იმახსოვრებს ხოლმე... ერთხელ, არ შევაჩერე და ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი" თავიდან ბოლომდე ზეპირად ჩამიბულბულა. ამიტომაც არ მჯერა, რომ ასეთი მეხსიერების ახალგაზრდამ მაინცდამაინც გეოგრაფია ვერ ისწავლოს და ორიანები დაიმსახუროს ზედიზედ, აქ სხვა ძაღლის თავი მარხია...

—რამდენი კითხულობს ბევრ წიგნს და ზეპირადაც კარგად იმახსოვრებს ზოგ რამეს, მაგრამ საერთოდ ჩერჩეტია !— აყვირდა ტერენტი. — ჩემს საგანს ვერ სწავლობდა და რა მექნა მე? ძალით ჩამეტენა გეოგრაფიის წიგნი მის ბორუა თავში? ქალბატონო მარიამ, მეხსიერება ერთობ პირობითია, ზოგი ერთ რამეს ჩინებულად იმახსოვრებს, სხვა რამეს კი — აბსოლუტურად ვერა.

— ნუ გადავუხვევთ, ნუ გადავუხვევთ თათბირის გზიდან! — დირექტორმა მაღვიძარას ახედა და ავტოკალამი მაგიდას დაუკაკუნა. — აბიათარ, კიდევ იტყვი რამეს, თუ?..

— აბა, სიტყვას შუაზე ხომ არ გავწყვეტ? შუაზე გაწყვეტილი სიტყვა მკვდარია. ჰოდა, იმას ვამბობდი, ტუხამ კონკრეტულად ბატონ ტერენტის კი არ ესროლა ჩანთა, მთლიანად სკოლას მიახალა. მოკლედ ესაა ჩემი პირუთვნელი აზრი და თუ საჭიროა, შემიძლია, ამ საკითხზე ვრცელი ლექციაც წავიკითხო საჯაროდ დღესვე... ამგვარი ლექციისათვის მე ყოველთვის მზად გახლავართ...

„ახლა აქ ამის ლექცია მაკლია კიდევ", — გულში გაივლო დირექტორმა და აბიათარისთვის ლაგამი რომ ამოედო, კვლავ აზრის დაკონკრეტება მოსთხოვა:

— რა დროს ლექციაა, შე კაი კაცო?! ის გვითხარი, ახლა როგორ მოვიქცეთ, კონკრეტულ შემთხვევაში? მივუშვათ ის ბიჭი თავის ნება-სურვილზე? სკოლაში რომ არ დავაბრუნოთ, ეს ხომ ნაკლად ჩაგვეთვლება, ეგრეთ წოდებულ, განთესვად?

— ჰო, ეს არ ვიცი... რთული ამბავია.

— მაინც, მაინც? კონკრეტულად-მეთქი! ამ სიტუაციაში!

— ამ სიტუაციაში კონკრეტულად ყველაფერი თქვენ უნდა გადაწყვიტოთ პირადად — დირექტორის ყოვლისშემძლე ავტორიტეტული სიტყვით. მოელაპარაკეთ ტუხას. თუ თავის უხიაგად გამოვლენილ საქციელს შეიგნებს და პატივცემულ ბატონ ტერენტის საჯაროდ ბოდიშს მოუხდის...

— აბიათარ, ნუ გავიწყდება, განათლების განყოფილების გამგის ღვიძლ დეიდაშვილს-თქო, — შეახსენა მარიამმა.

აბიათარმა წაუყრუა, აქაოდა, ეს მე არ მეხებაო:

— დიახ, თუ ტუხა ბატონ ტერენტის მთელი სკოლის წინაშე გულმართალ ბოდიშს მოუხდის, მხოლოდ მაშინ დავაბრუნოთ. ეს კი არც ისე ძნელი გასა-

კეთებულია. რაღაც ოთხიოდე თვეღა აკლია საშუალოს დამთავრებას და მართლაც ცოდვაა ტუხა...

— არ მინდა იმ ველურის არავითარი ბოდიში! — წამოხტა ტერენტი. — ციხეში ამოვაყოფინებდი თავს, ციხეში, მაგრამ... უმადლოდეს იმას, რომ მე ფრიად კეთილი კაცი ვარ და... და მთლად ასე არ ვიმეტებ. თავის შეუგნებლობასაც უმადლოდეს, რომ... ის ხომ ნადირია, წიგნი რამდენიც უნდა კითხოს, მაინც ნადირად რჩება. დიახ, ნადირია და ნადირის ადგილი ტყეშია და არა სკოლაში.

— აქ მთლად მართალი არც შენ უნდა იყო, პატივცემულო ბატონო ტერენტი. თუ ტუხა ნადირია, მით უმეტეს საინტერესოა ასეთის აღზრდა, გარდაქმნა და ადამიანობის გზაზე დაყენება. მოგეხსენებათ, ძაღლი მოშინაურებული მგელია, სხვა კი არაფერი. მხოლოდ ესაა, მგელივით გაშეშებული კისერი არ დააქვს და კუდის ქიცინი იცის გემრიელად. მოშინაურდება ეგ ველურიც, თუ მოვინდომებთ...

— ტუხუნია აღარ მოშინაურდება, აღარ. თუ გასაწვრთნელი და მოსაშინაურებელი იყო, აქამდე უნდა მოთვინიერებულიყო. ყველა ნადირს ვერ მოიშინაურებ. განა ტყეში კვლავაც ცოტა ნადირი დაძრწის? რატომ აქამდე ვერ მოიშინაურა ადამიანმა?!

— ტუხას ისეთი პირი უჩანს, მოშინაურდება. მოშინაურდება და თუ დღეს მავანსა და მავანს მგლად ეჩვენება, მალე ეგების კუდქიცინა ძაღლადაც იქცეს, ყველას ერთგული გახდეს. — აბიათარმა ცალ-ცალკე მიუთითა ტერენტის, მარიამს და პლატონს. — თქვენი, თქვენი და თქვენი! დიდია საზოგადოების გარდამქმნელი ძალა. ასე მოშინაურდება, რომ მგლობის არაფერი დარჩება. მერე ეგების შეგეცოდოთ კიდეც. ჩვენ მარქსისტები ვართ და ადამიანის გარდაქმნა უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია, ეს აქტი გვჯერა კიდეც.

— მეც მარქსისტი გახლავარ და მჯერა ადამიანის გარდაქმნა, მაგრამ მხოლოდ ადამიანის და არა — მხეცის. არა, ტუხა არ მოშინაურდება-მეთქი, მე არაფერი მეშლება, ვთქვი და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, ჯვარი უსვია! სანამ ის მგელი მოშინაურდება, ჩვენ კი შეგვჭამს და... მერე იყეფოს ძაღლივით ჩვენს აბალახებულ საფლავზე! აი, ბატონმა პლატონმა რომ ბრძანა — თურმე ტერენტი მასწავლებელი გადამტერებიაო...

— ბატონო ტერენტი, — დირექტორმა მასწავლებელს პირიდან სიტყვა გამოაცალა. — მე აგრე არ მითქვამს. პედაგოგიური ეთიკის ნორმებს ნუ დავარღვევთ, აგერ, ორი ადამიანი მყავს მოწმე... ღმერთმანი... მე ჯერჯერობით სკლეროზი არ მჭირს და რასაც ვამბობ, ზუსტად მახსოვს. გავიგე, თვითონ უთქვამს, მასწავლებელი გადამემტერაო და ეს როგორ ავხსნა-მეთქი. ასე არ ვთქვა, ასე არ ვთქვი? — რაღაცის შეეშინდა პლატონს.

— კაი, როგორც იყო... — დაუთმო ტერენტიმ. — აი, ვილაცებიც ხომ ამბობენ, ტერენტი მოწაფეს გადაემტერაო? დიახაც ამბობენ და ხშირადაც. მერედა, იმ ჭორიკანებს ვინმემ ჩასჩარა ბურთი პირში — სტყუითო? არა. მე ეს მიკლავს გულს, ეს, მართალ ადამიანს ქომაგი რომ აღარა ჰყავს. — თავი მოისაწყლა ტერენტიმ და თან ქარაგმულად საყვედურიც შეაპარა დირექტორს, რაკილა მე არ მექომაგები ყოველნაირად, ესე იგი, რაღაცას მიშავებ და სადაც საჭიროა პასუხს გაგებინებო. — რა მქონდა, ბატონო, მე იმ ტყის ნადირთან გადასამტერებელი? ჩემი ყანა-ვენახის მოზიარეა თუ ხაცოლეს მეცილება?.. მაცალეთ, ბატონო, მაცალეთ, მე ხომ არ გეცილებოდით სიტყვას, როცა თქვენ ლაპარაკობდით. ველურია, თავაწყვეტილი და უჭირს წესიერ ხალხთან წესიერი ურთიერთობა, დარბაისელ ადამიანებს ჩირქსა სცხებს. ისიც საკითხავია, ნორმალურობის სცხია რამე? ვერა ხედავთ, ამხელა ოქლაქი შერისხულივით ფეხშიშველა დატრატუნობს ალთა-ბალთას! სტყუით, ბატონებო, სტყუით, ოდნავა-

დაც ჩემი ბრალი არაა, იმან რო გატენილი ჩანთა მესროლა და წამლიგინდა. მე კი არ გამექცა, სკოლის დისციპლინას ვერ ეგუება, ვერც სხვა წესიერ რამეს. ყველაზე დიდი მერხი დოუდგით და ის აყლაყუდა ბოლო ხანს მაინც ვერ ეტეოდა მერხზე, შიგ უზარმაზარი ჯირკივით იყო გახერილი. მოგეხსენებათ. ძაღლის საქმე ყეფაა და ვირის საქმე — ყროყინი. ტუხა გადარეულმა ორივეს წაართვა ხელობა, ვირივით ყროყინებდა და ძაღლივით უყეფდა ყველას. სისხლი გაგვიშრო მეც და სხვებსაც. იმის გვერდით დაჯდომაც კი ეშინოდათ მოწაფეებს, უცებ არ წამოუფრიკინოს და ავი არაფერი აგვიტეხოსო. მუდამ მარტოდმარტო იყო დაზვავებული.

— ტერენტი, რატომ კადრულობ ამდენ ტყუილსა და ცილისწამებას? — წარბები შეიკრა მარიამმა. — ტუხა ცალკე სწორედ იმიტომ იჯდა, მერხზე რომ ველარ ეტეოდა და არა იმიტომ, თითქოს ვინმეს მისი ავზნეობის ეშინოდა. ტუხასგან გალახული და განაწყენებული ჯერ არავინ მინახავს. მაგაზე კეთილი და თვინიერი ჭაბუკი დედამიწის ზურგზე არ დადის, მგონი. ერთი კია, უსამართლობას და სიყალბეს ვერ ითმენს. ჰოდა, ვინც უსამართლოდ ექცევა, ზოგჯერ სიტყვით უცხადებს პროტესტს, თავისი ძალ-ღონის დაუხმარებლად, ეს არის და ეს, მთელი მისი აზავთება. ტუხას მკლავიც ღონიერი აქვს და გონებაც, მაგრამ ფიზიკურ ძალ-ღონეს მხოლოდ მუშაობისას იყენებს, მთელი სოფელ-ქვეყანა ხედავს ამას. რაღაც უცნაურობა ყველას გვჭირს — ავი ან კარგი. ტუხას ყველა უცნაურობა კეთილია. თქვენ გინდათ, უსამართლობაზეც არ ამოიღოს ხოლმე ხმა? თოფ-ზარბაზანს ხომ არავის ესვრის? მართალი გულიდან ამოსული მართალი სიტყვით იბრძვის. არა მგონია, ეს რაიმე დანაშაული იყოს, ან — ცოდვა. რაც შეეხება ძაღლივით ყეფას და ვირივით ყროყინს, პედაგოგს სიტყვის უკეთ შერჩევა მართებს. ტუხას ხმა აქვს ისეთი, მთიდან რომ გადმოიძახოს, ცხრა სოფელს გაადვიძებს, მისი ჩურჩულიც კი ქუხილივით ისმის. რა ქნას, არ დაილაპარაკოს? რასაც ადამიანს ბუნება დაანათლავს, ნაკლად არასოდეს არ უნდა მივაწეროთ.

— მარტო ხმა რა შუაშია, ეგ, წელანაც გითხარი, არანორმალურია. საერთოდ ჭკუაათრაკადაა დაბადებული. ხალხი ამბობს, მამა რომ მოუკვდა, ლეკვს ტიროდაო, — გაიხსენა ტერენტიმ.

— ტერენტი ბატონო, დიდად ბოდიში და, ასე შორსაც ნუ წავალთ, შენი ჭირიმე! — საუბარში ჩაერია აბიათარი. — პატარაობისას ყველა ასე იქცევა. ეს ისეთი ფსიქოლოგიური ამბავია, ორიოდე სიტყვით ძნელია ახსნა.

— ასეა თუ ისე, — წყნარად განაგრძო მარიამმა. — მე მოვითხოვ სკოლაში ტუხას დაუყოვნებლივ დაბრუნებას. დანას ხარის კუდზე ნუ გადავტეხავთ. ბარემ დავამთავრებინოთ ათი კლასი და მერე მისი ნებაა, წავიდეს, სადაც სწადია, ახლა ახალგაზრდას ბევრი გზა აქვს.

— არავითარ შემთხვევაში! — სასტიკად იუარა ტერენტიმ. — რაკი პრინციპულობაზე მიდგა საქმე, ნეტ! კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სკოლაში ტუხუნიას დაბრუნების. მგელი დავაბრუნოთ სკოლაში და სხვებიც წავაქეზოთ თავხედობაზე? არა!

— მე არ მესმის, რატომ წავაქეზებთ სხვებს თავხედობაზე? — მხრები აიწურა მარიამმა.

— პედაგოგს თუ ამდენი არ ესმის!.. ყველა იფიქრებს, რაც არ უნდა ჩავიდინო, ვიდრე ათ კლასს არ დამამთავრებინებენ, უბატონოდ ხმას არავინ გამცემსო, ყველაფერი ხახვივით შემრჩებაო. ერთის პატიებითა და დაუსჯელობით ათასი გავაფუჭოთ. იმ ტყიურს მაინც ალარაფერი ეშველება, რანაირიც გაიზარდა, ეგ არის, ველარაფერი გამოასწორებს. ურტყი რამდენიც გინდა წყალს დანა, დაკლავ? ასევე წყალწაღებულის საქმესაც ჯობია დროზე მოვეშვათ. რაკილა ბიბლიური წმინდანივით მთა-ბარად ფეხშიშველა დაჯლაგუნობს, იქნებ ზოგს მართლა წმინდანი ჰგონია? ყოვლად უწმინდურია! ყოვლად უწმინდუ-

რი, უგუნური და ველური ერთდროულად. არა, ბატონებო, შარახვეტია ტუხუნია სულელი არ არის... აბიათარ, რას ჩაიქნიე ხელი, ბოლომდე მოისმინე, სიტყვის თქმა მადროვე!.. სულელი არ არის, სულელზე მეტია. აბა, რა უგავს ნორმალურს? სიარული, საქციელი, ჭკუა-გონება თუ რა?

— ისევ პროვოკაცია! ისევ პროვოკაცია! — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მარიამმა. — შენ ყოველნაირად ცდილობ, ყველა დააეჭვო ტუხას ნორმალურობაში და ამით შენი სათაკილო საქციელი გაამართლო ხალხის თვალში. ის უსამართლობა არ გეყო? შენ, ბატონო ტერენტი, ბეჯითი მოსწავლე თეონაც გააქციე სკოლიდან, ჩუმი და შველივით უწყინარი გოგო.

— ვოტ ტებე ი ნა! ჩემი ბრალია, თეონას სწავლა რომ ეზარებოდა და წაკუნტრუშდა? — იქნებ გათხოვება მოუნდა, რა ვიცი მე! რაკი აქ ყველამ დაკარგა სამართალი, მე ვიცი, სადაც ვეძებო! ახლავე მივდივარ რაიონში, ახლავე! — ტერენტი გაგულისებული წამოხტა და ქუდი დაიხურა.

დირექტორი ლამის ფეხებში ჩაუვარდა თავის ხელქვეით მასწავლებელს:

— ბატონო ტერენტი, რაიონში რა გინდა, აქვე გავარკვიოთ ყველაფერი! შენ სიმართლეს არავინ დაგიკარგავს! მე მენდე!

ძლივს დააშოშმინა პლატონმა აფუცხუნებული ტერენტი და თათბირი დახურულად გამოაცხადა.

იმდღევანდელი დავა-შეხლის გამწვავება სკოლის დირექტორს ხელს არ აძლევდა. საქმის მშვიდობიანად მოგვარება სცადა. ტუხას მოციქულად მარიამი მიუგზავნა: სკოლაში დაბრუნდი და ტერენტი მასწავლებელს კლასის წინაშე ბოდიში მოუხადეო.

— მარიამ მასწავლებელო, თქვენ რატომ შეწუხდით? — მიუგო ტუხამ. — ჯერ ერთი, მე ბოდიშის მოსახდელი არაფერი მჭირს, მეთქი, რატომ დავბრუნდე? სკოლიდან კი არავის გამოვუგდივარ, ჩემით წამოვედი.

— უმიზეზოდ? — ჩაეკითხა მარიამმა.

— მინდოდა და წამოვედი, — მოკლედ მოუჭრა ტუხამ.

— უმიზეზოდ არავინ გარბის არსაიდან. შენ სკოლიდან გამოგაქციეს. კეთილი, ბოდიშს ნურავის მოუხდი, სკოლაში კი დაბრუნდი.

— თქვენი დიახაც მეხათრება, მარიამ მასწავლებელო, ძალიანაც მიყვარხართ, მწამხართ და პატივს გცემთ, მაგრამ, სკოლაში დაბრუნებას ნულარ მთხოვთ. რაკილა წამოვედი, აღარ დავბრუნდები.

— სამიოდე თვეღა გაკლია ატესტატის მიღებას.

— მერედა, რად მინდა ატესტატი? უმაღლესში წასვლას მაინც არ ვაპირებ და რა მნიშვნელობა აქვს, ატესტატი მექნება თუ არა.

— შენისთანა ბიჭი უსწავლელი არ უნდა დარჩეს, ტუხა. დედა-შვილურად გირჩევ. ჩვენ დროში ვიღას უნდა უსწავლელი ადამიანი?

— მე უსწავლელი არა ვარ. რაც მინდოდა, ვისწავლე. კვლავაც ვისწავლი. მთელი ოთახი წიგნები მაქვს შინ. სკოლაში სიარული კი მეტი აღარ მჭირდება. მგონი, ცოტა ზედმეტიც მომივიდა.

— გაგიჭირდება ცხოვრება, ბიჭო!

— ვიცხოვრებ როგორმე. არ არის სწორი ყველას რომ აძალებენ, მაინცდამაინც საშუალო დაამთავრე და მერე უმაღლესში შედიო. ცოტაა სკოლაში უვლელი კაცი, ნასწავლს რომ სჯობია? რამდენი ბრძენი ვიცით, სკოლაში სულ რომ არ უვლია. ვინც საშუალოს ამთავრებს, მერე უმაღლესში მოსაწყობად ქალაქში გარბის და ეწყობა თუ არა, იქ რჩება. არა, თუ? ყველა თუ ბრძენნასწავლი, მეთვალყურე და ჭკუის დამრიგებელი გამოვიდა, მიწაზე ვინღამ იმუშაოს? ნასწავლ კაცს ძალიან უჭირს მიწაზე მუშაობა, არც მიწას უყვარს ამდენი ნასწავლი ხალხი. ჰოდა, ცოდვაა მიწა. არა, თუ?

— მიწა ცოდვაა, დიახ, — კვერი დაუკრა მასწავლებელმა, — მაგრამ შენ

მაინც გირჩევ სკოლაში დაბრუნებას, თუნდაც შენი სიმართლის დასამტკიცებლად.

— მე ხომ ვიცი, მართალი ვარ, სხვა კი არაფერი მაინტერესებს. ვილაცებს არ ვუგდებ ყურს.

— აბა, ის გინდა, ხალხმა დაიჯეროს, ტერენტი ტაბლაძე მართალი იყოო? შენ ტერენტის არ უნდა შეაწიო სულმდაბლობა, გესმის?

— დრო მოვა და ტერენტის ფუყეს თვითონ გავუსწორდები... ოჰ, მისი სალავათი! ყოფას ვუტირებ, დამაცადოს!

— მაინც რას უზამ, მამაცხონებულო? სცემ? დაგიჭერენ. რა მართალიც არ უნდა იყო, ახლა შენს სიმართლეს ვერ დაამტკიცებ. შეგრჩება გულის ხეთქვა, — მარიამი აქ შეყოვნდა. — მაინც რა გაქვს განზრახული? თუ პატივს მცემ, გამიმხილე!

— განზრახული ჯერ არაფერიც არა მაქვს. ვალში რომ არ დავრჩები, ეს ვიცი.

— ეჰ, ჩემო ტუხა!.. შენ კეთილი ბიჭი ხარ. ეგ მუქარა მალე დაგავიწყდება. ისევ სკოლაში დაბრუნება გერჩიოს. — ადრინდელ აზრს დაუბრუნდა მარიამი.

— კეთილი, მაშინ ასე ვქნათ: გადაეცი დირექტორს, ცრუპენტელა ტერენტი მოხსნას და გააგდოს სკოლიდან.

— არ გააგდებს, ჩემო ტუხა!

— არ გააგდებს და ჩემ სიცოცხლეში მე იმ სკოლაში ფეხის შემდგმელი არა ვარ, სადაც ტერენტისთანები მასწავლებლობენ. ან ტერენტის შეელიოს სკოლა, ან — მე.

ასეც გადასცა ქართულის მასწავლებელმა დირექტორს, რადგან თვითონაც ამ აზრისა იყო.

პლატონი განათლების განყოფილების გამგის ნათესავს მოხსნას როგორ გაუბედავდა, თუნდაც ტერენტი ათასჯერ მტყუანიც ყოფილიყო. ისევ ტუხას შეელია. განა ამისთვის ისეთ რა საყვედურს მეტყვიანო. ანდა — თუ ტერენტი კმაყოფილი მეყოლება, საყვედურსაც ვინ გამიბედავსო. ეს საქმე რომ ასე გაირიგა, მერე ტერენტის მაინც ურჩია: გავიგე, თურმე ის დარტყმული ბიჭი გემუქრება და სიფრთხილეს თავი არ სტკივა, იმ შენს ნათესავს მოელაპარაკე, სადმე სხვა სკოლაში გადაგიყვანოს, ადგილი ვინმეს გაუცვალეო.

ტერენტი ისედაც დამფრთხალ-შეშინებული იყო, საქციელწამხდარს დღე და ღამ, შინ თუ გარეთ თურმე ელანდებოდა, ტუხა მოსაკლავად მეპარებაო და პლატონის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, დეიდაშვილს მიაკითხა და მალე ქალაქადქცეულ დაბა ლარულაში ამოყო თავი საშუალო სკოლის დირექტორად. დააწინაურეს.

მარიამ კამკამიძეს კი საყვედური გამოუცხადეს.

მხრებაწურულმა რომ გაიკვირვა — რატომო?! უთხრეს: არაპედაგოგიური საქციელისთვის, განათლების განყოფილების გამგის სახელი ენის წვერზე აუგად რომ გიტრიალებიაო. თუ ასეთ ლაყბობას არ მოიშლი, პენსიაში გაგაგდებთო. ჰო, ზუსტად ასე უთხრეს — პენსიაში გაგაგდებთო.

მარიამს რატომღაც გულში გაეცინა, ეს იყო და ეს.

შავ დაფასთან თეთრი ცარცი აღარავის დაუფშვნია.

## ჭადრაკული ცხვირსახოცის ფრიალი

— ნაუ! ნაუ! ნაუ! ნაუ! — რეკავს ბერხევის სკოლის ზარი და ეს ხმა მთელ სოფელს ესმის.

ამ ზარის რეკვასავით ესმის მთელ სოფელს, სკოლაში თუ რამე უცნაური მოხდა. ტუხამ ტერენტის მწარე სიტყვის მათრახი რომ გადაჰკრა: თავმჯდომარე შინ თაფლს და ყველს გიზიდავს

და შენც მის ქალიშვილს ხუთიანებს ამიტომ უხატავო, ესეც ენიდან ენაზე გადახტა კალიასავით და აჭრიჭინდა- ქალბატონმა არიშამაც, რა თქმა უნდა, მალე გაიგო; სოფელში რა ამბავი უნდა გაფაჩუნდეს, ავიც თუ კარგიც, უპირველეს ყოვლისა, არიშას რომ არ მიურბენინონ, მით უმეტეს, თუ მისი ოჯახის ძვირი ან ქება თქვა ვინმემ, ამის დამალვა ყოვლად შეუძლებელია. მოსალოდნელი იყო სკოლაში მომხდარი ამბავი პირველად მანანას გაემხილა: ისეთი რამ წამომძახეს, ვიტირეო. მანანამ კი გულში ჩაიმარხა ხვაშიადი. არც იმ ამბის თვითმხილველ მოწმეს, ნადირას გაუმხელია ბიძა-ბიცოლასათვის: სკოლაში ასე და ასე მოხდაო. არიშას ბრიგადირ ბენიას ცოლმა ბალიკომ მიუტანა ენა, თან დაიფიცა — დღესვე დამეხოცოს ქმარ-შვილი, თუ გატყუებდეო.

— რას ამბობ, ქალო? იმ ბოთე ტუხიას უთქვამს ეს? აი, მეხი კი დაათხლიშე რეტიან თავზე! შენ ეს მითხარი, ხალხი რას ამბობს, ხალხი?

— ჭრელია ქვეყანა- რა დაგიმალო და, ზოგი წყევლის: უზრდელი და თავხედი ყოფილაო. ზოგიც ლოცავს: კარგა გვარიანი ქომაგი გვეზრდებაო.

— მაინც ვინ წყევლის და ვინ ლოცავს?

ბალიკომ დიახაც იცოდა, არიშა ამას რომ ჰკითხავდა უეჭველად და მზად დახვდა- თავის ყურით არ გაუგონია არც ლოცვა, არც წყევლა, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტად იცის, ნესტორას ოჯახს ვინ შესციცინებს თვალებში და ვინ უბღვერს; ჰოდა, მაწყევარ-მლოცველნიც ამის მიხედვით გაანაწილა, ოღონდ მაწყევრების მარაქაში დამატებით ჩართო ის ხალხიც, თვითონ რომ არ ეხატებოდა გულზე დაე, სოფლის პირველმა ქალბატონმა ისინიც შერისხოსო.

არიშამ ყველაფერი დაკვირვებით გაზომ-გამოზომა, აწონ-დაწონა და გაჩუმება არჩია, თითქოს არც არაფერი გაუგიაო. სოფლის პირველ ქალბატონს ისღა აკლია, უბადრუკ დარიკოს თავი გაუყადროს და მისი სულელი ბიჭის სიტყვას აჰყვეს. ტუხიას ნაზორითალებს რა ჭკუა აქვს. რამდენ რამეს ვინმე იჩერჩეტებს, ყველას თუ ყური დაუგდო, რა ნერვები შერჩება. არიშას იმხელა საზრუნავი გაუჩნდა წელს, ასეთი წვრილმანებისთვის სად სცალია. მანანა უკვე მეათეშია და.-

რას იტყვის ხალხი, ნესტორა ჩიხრაძის ქალიშვილი უმაღლესში რომ ვერ მოეწყოს? ხალხი კიდევ ჯანდაბას, მთავარია, ზევით რას იტყვიან. იქ სხვანაირად ფიქრობენ ხოლმე: ერთადერთ ქალიშვილს ვერ უპატრონა და ეგ კიდევ სოფლის მომვლელად გამოდგებაო და იქნებ.- ღმერთმაც ნუ ქნას! მაშინ მანანას კიდევ უფრო ჩაეხერგება ცხოვრებაში გზა და ეგებ ბედმაც სასურველად აღარ გაუჭრას.

ასე რომ, მანანას უმაღლესში მოწყობა მარტოოდენ შვილის ბედნიერ გზაზე დაყენებას არ ნიშნავს. თანაც ისეთ უმაღლესში უნდა მოაწყონ, რო.-

— დედიკო ენაცვალოს, ჩემს მანანას, ამის მეტი ვინ მყავს, ესეც რომ ფართო გზაზე არ დავაყენო! უეჭველად ექიმი უნდა გამოვიდეს, ექიმი! აბა, მასწავლებლობა აღარაფერი აღარაა, გენაცვალეთ, არც სახელი აქვს, არც სახრავი. მასწავლებელ ქალთა უმრავლესობა შინაბერად რჩება- აგერ, ჩვენი მასწავლებლები ხან უბან-უბან დაწოწიალობენ: სახელმწიფოს კვერცხი და ჯაგარი დროზე ჩააბარეთო, ხან ბავშვებს ტყეღრეში დაატარებენ ანაგვირილას, ასკილის და რკოს მოსაგროვებლად. ჩემი მანანიკო ბერხევში თეთრი ხალათით რომ გაიფრთქიალებს, ყველას ზედ უნდა დარჩეს თვალი, ცოლიანსაც და უცოლოსაც, აბა! — ადრევე გააფრთხილა არიშამ ქმარი.

— აჰ, ეგ არა! ოღონდ ეგ არა! — მსხვილი თავი გადააქნია ნესტორამ.

— რა არა, კაცო?

— ეგ ძალიან გაგვიჭირდება, ჩემო არიშა.

— რა გაგვიჭირდება, ადამიანო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— სამედიცინო ინსტიტუტში გოგოს მოწყობა.**

**— დიდუ! რას ამბობს ეს კაცი?**

**— გაგვიჭირდება-მეთქი თბილისი ღარული არაა. ძნელია იქ...**

**— იცი, რას გეტყვი? ადვილი ფაფის ჭამაც არაა, სულის შებერვა უნდა.**

— სამედიცინოზე მოწყობას სულის შებერვა არ ყოფნის, ჩემო კარგო. ერთობ ძვირი ღირსო, ამბობენ.

— უკანასკნელი პერანგის გაყიდვა რომ დამჭირდეს, მაინც არ დავიხევ უკან. ვისთვის დავზოგო რამე, მანანას მეტი ვინ მყავს? ყველაფერს რო თავი დავანებოთ, სხვებზე ნაკლები რითი ვართ? თუ მანანა სამედიცინოზე არ მოგიწყვია პირველსავე წელს, იცოდე, შენც გამოგჭრი ყელს და არც მე ვიცოცხლებ თავს! თუ რამედ ვარგიხარ, ახლა გამოიჩინე მარიფათი!

**— ძნელია, ქალო, უსაშველოდ ძნელი! ჩემი მარიფათი ყველგან კი არ ჭრის. მაგ ამბავს სხვა რამეც უნდა.**

**— მეფე ხარ სოფლის.**

— სოფლის მეფე ვარ, მთელი ქვეყნის კი არა.

— ვაი, ვინც შენ კაცი დაგარქვა და მე — ქალი!.. რასაც გეუბნებიან, გააკეთე, თვარა, მამაჩემის ცხონებამ, ისეთ საქმეს დაგაწევ!.. — არიშამ უცებ ვერ მოიგონა, ისეთ რა საქმეს დააწევდა და სიტყვა შეარბილა. — თუ ახლავე დაიჭერ თადარიგს, ყველაფერს მოასწრებ!

— ქალო!..

— ხმა! კრინტი! მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! ხვალიდანვე საქმეზე იზრუნებ! კოლექტივის საქმეებისგან დროებით გამითავისუფლებიხარ!

— შენ?

— ჰო, მე!

— კეთილი, რაკი შენ მათავისუფლებ!.. — ნესტორამ მსუყედ ჩაახველა მუჭაში.

— რამდენს ილაპარაკებ კიდევ! — მაღალ თეძოებზე დოინჯი შემოიყარა არიშამ და ქმარს თვალები დაუბრიალა.

**ბიჭი იყო ნესტორა და ცოლს კიდევ შეუბრუნებდა სიტყვას.**

**— ჰო, კაი, კაი, ვეცდები!**

— ეცდები კი არა, უსიკვდილოდ გააკეთებ! — დაბეჭდა თავისი განკარგულება არიშამ.

ათას ერთი საქმის მოსაგვარებლად ნესტორა მეორე დღესვე გაეკრა გზას ბერხევიდან თბილისამდე. ვისაც სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებთან თუნდაც შორეული კავშირი ჰქონდა, ყველა უნდა ენახა ცალ-ცალკე, დარაჯის ნათესავ-მოყვარე და ნათელმირონიც კი. ნახვა კი იმას გულისხმობდა, სოფლიდან ჩატანილი ძღვენი მიეტანა, ზოგისთვის პატარა, ზოგისთვის ხვავრიელი. ხოლო ვისაც ეს ამბავი უშუალოდ ეხებოდა, მარტოოდენ პურ-მარილის ძღვენით ვერ მიადგებოდა კარზე, ასმანეთიანების დიდრონი დასტაც უნდა მიერთმია და საქმის კეთილად დაგვირგვინებისას ოქროს სასახლის აშენებასაც დაჰპირებოდა.

ნესტორა კვირაში ერთხელ მაინც მიგრიალობდა დატვირთული „კოლხოზნიკით" ბერხევიდან და ცარიელი მოჯაყჯაყებდა უკან. სამაგიეროდ თანდათან მეტი და მეტი იმედი მოჰქონდა. საჭეს თვითონ უჯდა. ერთგული მოწმეც კი არ სჭირდებოდა, არც გზაზე გამყოლი. მხოლოდ ერთს ენდობოდა — ჭადრაკულ ცხვირსახოცს თბილისშიც დააფრიალებდა.

არიშამ შვილის ინსტიტუტში მოწყობის იმედი რომ ჩაიდო გულში, სხვა საზრუნავიც გაიხსენა.

— კაცო, რაღას უცდი, დაიწყე ბარემ!

— რა დავიწყო, ქალო?

— სახლის მშენებლობა.

— სახლი იმხელა უნდა, მე რომ ავაშენე. უკეთესი ვის უდგას ბერხევში?

— ბერხევში კი არა... თბილისში, შე კაცო, თბილისში! რავა, ერთადერთი ქალიშვილი სტუდქალაქში გინდა ამოახრჩო? ან ვინმე შორეულ ნათესავთან შეხიზნო? ა, პა, პა, პა! ჩემს ქალიშვილს თბილისში თავისი ბინა უნდა!

მერე იქნებ ჩვენც დაგვჭირდეს. მთელი სიცოცხლე ამ გამოყრუებულ ბერხევს ხომ არ შევაბერდებით! ეგების არც შეგვაბერონ, ისე ამოგვისკვნან კუდი! რა იცი, ხვალ-ზეგ რა ქარი ჩამოგვიქროლებს. ყველაფერს წინდაწინ უნდა გაანგარიშება და გათვალისწინება! ადამიანს ღმერთმა თვალები წინ იმიტომ გამოაბა, რო...

ქმარს ეს ვარაუდი ნამდვილად დაუჯდა ჭკუაში, შუბლზე კოცნაც კი დაუპირა და უმალვე გადაიფიქრა: თუ ვეამბორე, უფრო გამიამაყდება და რაღა გაუძლებსო. აქ უკვე ნესტორამ გამოიჩინა წინდახედულება.

თბილისში სახლის მშენებლობამ ბევრი სადავიდარაბო გაუჩინა, მაგრამ ენერგიული კაცი არც ამას შეუშინდა. კისერზე ოფლი ჭადრაკული ცხვირსახოცით შეიმშრალა და ვაჟკაცურად შეება ახალი საზრუნავის უღელში.

არიშას სამას სამოცდახუთი პერანგი ელაგა შინ, სულ სხვადასხვა, არც კაბები ჰქონდა ნაკლები, პალტოებიც ბლომად ეკიდა გარდერობში, და მაინც, ქმარს თბილისში ყოველ წასვლაზე ხან რას აბარებდა და ხან რას: თუ არ ჩამოგიტანია, შინ არ შემოგიშვებო.

ნესტორას უერთგულესმა ბრიგადირმა ბენიამაც კი ველარ დამალა სიმართლე და სხვასთან რომ მოერიდა ხვაშიადის გამხელა, ცოლს შესჩივლა:

— ბალიკო, რას იტყვი შენ, ჰა, ხომ შვება ნამეტანს ეს ჩვენი თავმჯდომარე? ლამის კოლმეურნეობის მთელი ავლადიდება თბილისში გაზიდოს. საწყობებში რომ აღარაფერი დარჩა, ახლა ჩვენ გვთხოვს, ვითომ სესხად, შინიდან მომიტანეთო. მაგის დაბრუნებული სესხი ვის უნახავს.

— შენ მაინც ნურსად იტყვი! — ურჩია ცოლმა, — სანამ გავუძლებთ, გავუძლებთ.

ერთობ მარიფათიანი და ხელგაშლილი კაცია ნესტორა იქ, სადაც მისი არაფერი იხარჯება. გასჭრა ამ მარიფათიანმა ხელგაშლილობამ და ჭადრაკული ცხვირსახოცის ყველგან ფრიალმა: ქალიშვილიც მოაწყო სამედიცინო ინსტიტუტში და ოროთახიანი ბინაც აიშენა თბილისში.

არიშამ ოფლშემშრალი ნესტორა შუბლზე კოცნით დააჯილდოვა:

— ა, შე გლახა, ხომ მოგვარდა ყველაფერი ჩვენს საგუნებოდ, შენ კი გეშინოდა. რა გეშველება, მე რომ არ გყავდე!

— კაი ახლა, ნამეტანს ნუ იზამ! სიტყვის მეტი არაფერი დახარჯულა შენი. მე გავიწურე ოფლში.

— სიტყვა ცოტაა, ჭკვიანური სიტყვა? ზოგი მარტო სიტყვით ცხოვრობს.

ორივე კარგ გუნებაზე იყო და ერთმანეთს ალერსით ეჩხუბებოდნენ.

— ესეც ასე! — თქვა ბოლოს არიშამ. — ახლა კი დროა, კოლმეურნეობის საქმეებსაც მიხედო ხოლმე, თვარა...

მეტი არაფერი უთქვამს. ამ ორიოდე სიტყვითაც აგრძნობინა, ეს განძი ხელიდან არავინ გამოგაცალოს, ჩვენი ცხოვრება ამიერიდან იწყებაო.

■ ■ ■

— ტუხა, შენი ამბავი ზევით უნდა ვაცნობო...

— სადაც გნებავთ, იქ აცნობეთ, არავისიც არ მეშინია, ჩემ საქციელზე ყველგან ვაგებ პასუხს!..

— შენ ასე რიგად გაფიცხება რომ არ გიყვარს? შესაშინებლად სულაც არ მითქვამს, პირიქით. მე შენი მოკავშირეობა უფრო მწადია, ვიდრე... ვიდრე, ვთქვათ, სხვა რამე. არც ისეა საქმე, ქვეყანა ჩალით არაა დახურული.

— ინდიკოც მაგრე ამბობს ხოლმე, მაგრამ... აქამდე ვერ ეწია საწადელს.

— ჰო, მართლა, ინდიკო დავლიანიძე რა არის შენი? ნათესავი თუ მოყვარე?

— არც ერთი, არც მეორე. ალბათ, გახსოვთ, ერთხელაც ვახსენე, ქალამნები ამომისხა-მეთქი.

— ასე თავგადაკვლით რატომ გექომაგება?

— ინდიკომ თავის თავზე გამოსცადა უსამართლობა და ახლა ყველა მართალ

ადამიანს ექომაგება, პირიქით ეჯავრება ყოველგვარი უსამართლობა...

— მწყემსია, არა?

— დიახ, ახლა უბრალო მწყემსია, ფერმის პირუტყვს უვლის მთაში.

— როგორ თუ ახლა? ადრე რას აკეთებდა?

— ადრე თურმე კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსად მუშაობდა, გამგეობის წევრიც იყო. ნესტორა თავმჯდომარის ეჩოკაცური ხრიკები თავიდანვე აითვალისწუნა და პირში ახლიდა სიმართლეს: ბერხევი შენი საწველი ფური ნუ გგონიაო. ჰოდა, ნესტორამ მალე მოიშორა მართლისმთქმელი კაცი. ზოოტექნიკოსობიდან მოხსნა და გამგეობიდანაც გააგდო — ხელს მიშლიო. ინდიკომ თავის აღდგენა მოინდომა, კარგა ხანს ეძება სიმართლე ღარულაში, მაგრამ ვერ იპოვა. მის დასაცავად ყური არავინ გააპარტყუნა, ამ თქვენმა არისტომ ცილისმწამებლადაც კი მონათლა: ნესტორას სკამი გწადია და ამ პატიოსან ადამიანს კრიჭაში იმიტომ უდგახარ, თუ არ გაჩერდები, ცას გისოსებიანი სარკმლიდან გაყურებინებო. ინდიკომ მერე თურმე ზევითაც გაგზავნა წერილობითი საჩივარი: ნესტორა ჩიხრაძე სოფელს ჰამს და სანამ მთლიანად გამოხრავდეს, ლაგამი ამოსდეთო. ეს საჩივარი შესამოწმებლად თვითონ ნესტორას გამოუგზავნეს. ყველას ეგონა, სიმართლის ვერპოვნით განაწყენებული კაცი აქედან სულ გადაიკარგებაო, მაგრამ ინდიკომ გული არ გაიტეხა: გარბის მხოლოდ ხარბი და მტყუანიო, ბერხევშივე დარჩა და ფერმაში მწყემსობა დაიწყო. ნესტორას, დიახაც, ეწადა, ინდიკოსთვის მწყემსობიდანაც ამოესკვნა ფეხი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

— ეგ როდისღა მოხდა?

— მე რომ სკოლას თავი დავანებე.

— თავმჯდომარე აღარაა, თუ...

— ცოტა გრძელი ამბავია.

— მოკლედ მიამბე.- ხმთვის ახლა ყველაფერი საინტერესოა.

— ინდიკოს ფალაფზე წყვილი ხარი დაეკარგა. ტყე-ღრე შემოატყავა და ვერც ცოცხალი იპოვნა, ვერც მკვდარი, კვალსაც კი ვერსად გადააწყდა. ადგა და განაცხადა, ეტყობა, მომპარესო. ნესტორა ხიშტით დაუხვდა: კი არ მოგპარეს, ჩუმად გაყიდეო. საფასური ერთ კვირაში თუ არ გადაგიხდია, ციხეში ჩაგსვამო. ინდიკოსაც თავს ზემოთ ძალა არ ჰქონდა, რაღაცეები მიჰყიდ-მოჰყიდა და ხარების საფასური მთლიანად გადაიხადა. ჯიბრზე მწყემსობას თავი მაინც არ დაანება, გულში გამოისკვნა, სანამ იმ პირუტყვის მომტაცებელს არ მივაგნებ და ჩემს სიმართლეს აქვე არ დავამტკიცებ, ბერხევიდან ფეხს არ მოვიცვლიო. ქურდს დღემდე ვერ მიაგნო.

— ხომ არ იცი, ვისზე ეჭვობს?

— გულში არ ვუზივარ, ფიქრი კი არავისთან წამოსცდენია. ერთი კია, ახლაც კრიჭაში უდგას ნესტორას. ბოდიში და, ინდიკო რამ გაგახსენათ?

— წუხელ შინ მომადგა.

— რაო?

— სოფელმა დამაბარა, ტუხას არაფერი აუტეხოთ, თორემ მთელი ბერხევი საჩივლელად თბილისში წავალთო. შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს. სამართალმა პური არა ჭამოსო.

— მერედა, დაამშვიდეთ?

— ვუთხარი ნუ გეშინია-მეთქი, მაგრამ არა მგონია, დამშვიდებულიყოს. საერთოდ შენმა ამხანაგმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა და ააფორიაქა: გვეყო რაც აქამდე ვითმინეთო. მართლაც, ზოგი ჰირი მარგებელი ყოფილა.

• • •

ნესტორამ დილაადრიანად მიაშურა კოლმეურნეობის კანტორას. გზადაგზა ყანა-ვენახებსაც გადახედა.

ბერხევის კოლმეურნეობის კანტორა წითელი აგურით ნაგები კარგა მოზრდილი ორსართულიანი შენობაა, ღია აივნით დამშვენებული. კიბის ახლო დამის დარაჯისთვის ჯიხურის მსგავსი ოთახი აკრავს.

— ბუსილო, ჰე, ბუსილა! გძინავს?

— არა, არა მძინავს! — თვალების ფშვნეტით გამოვიდა ჯიხურიდან თმა-

აბუწული და პირდაუბანელი ბიჭი. — დილა მშვიდობისა, ნესტორა ბატონო!

თავმჯდომარეს სალამი არც დაუბრუნებია.

— კანტორაში არავინაა?

— ჯერ არა, ბატონო! ხალხს ხის წვერზე კი არა სძინავს.

— არც დამლაგებელი მოსულა?

— ჯერ არა, ბატონო.

— აპა, გაიქეცი ახლა შენ და ბენიას დამიძახე.

— კი, ბატონო, ახლავე. — ბუსილა ზოზინით წავიდა.

ბუსილა შერქმეული სახელია. დედა ვარლამს ეძახდა მამით ობოლს. დედაც რომ მოუკვდა, შინ მარტო რა გააჩერებდა, ხან სად ათევდა ღამეს და ხან სად. მუდამ გაბუსუნებული დადიოდა და დიდრონ თვალებს აქეთ-იქით ბუსავით აბრიალებდა. ერთხელ აბელა დალაქმა დაუძახა: სწრაფად გამოადგი ფეხი, შე ბუსილა, ზეზეურად ნუ გძინავსო. იმ დღიდან ბუსილას ეძახის ყველა და არცა სწყინს. მისთვის სულ ერთია, ვინ რას დაუძახებს. ბუსილას პირის დაბანა და თმის დავარცხნა ჭირივით ეჯავრება. ოღონდ პირს ნუ დააბანინებთ და საჭმელს არ მოგთხოვთ. არც თოხი და ბარი უყვარს. სიარული კი არ ეზარება. ბავშვობიდანვე კანტორის ეზოში ტრიალებდა და ფეხებში ებლანდებოდა გამვლელ-გამომვლელს. რომ წამოიზარდა, იფიქრეს, სხვა რამისთვის მაინც არ უქნია ღმერთს, კანტორის ეზოში ყოფნაც უყვარს და ბარემ ღამის დარაჯად დავაყენოთ აქ, თან შიკრიკობასაც გაგვიწევსო. კანტორაზე საგანგებოდ მიუშენეს ეს ჯიხური, შიგ რკინის ზამბარებიანი საწოლი დაუდგეს, ზედ თივით გატენილი ლეიბი დაუფინეს და ბუსილას მეტიც არაფერი უნდოდა. კანტორას, აბა, რა დარაჯი სჭირდება. ბუსილაც არის თავის ნებაზე: როცა უნდა იძინებს, როცა უნდა ილვიძებს. სამაგიეროდ ლუკმას ველარავინ დააყვედრებს. ესეც კაცობაა.

ბუსილა რომ წავიდა, ნესტორა ხის კიბეს აუყვა; თავმჯდომარის კაბინეტის ლინოლიუმგადაკრული დახურული კარი გასაღებით არ იყო დაკეტილი. ნესტორას ყველაფერი ისე დახვდა, როგორც დატოვა. ეტყობა, ამ ოთახის კარი კარგა ხანია არავის გაუღია თუნდაც ჰაერის გასანიავებლად. თავმჯდომარის მყუდრო კაბინეტის გვერდით, უზარმაზარი სათათბირო დარბაზია პლაკატებით, ლოზუნგებით და ძველისძველი, სიყვითლეშეპარული სურათებით კედლებაჭრელებული. შუაში გრძელი მაგიდა გაჭიმულა, წითელმაუდგადაფარებული. დარბაზის ერთ კუთხეში მიკუნჭული მომცრო ტელევიზორი კარგა ხანია გაფუჭებულია. რაკი საერთოა, მისი გაკეთება აქ არავის აინტერესებს. ნესტორას შინ დიდი ტელევიზორი უდგას და ეს არ სჭირდება. მეორე კუთხეში, ცალკე, ტელევიზორზე უფრო ადრე დაზიანებული დიდი რადიომიმღები დგას. მის ირგვლივაც და თავზედაც უწესრიგოდ ყრია რაღაც წიგნები, ბროშურები და ჟურნალ-გაზეთები. ათასმა ექსპერტმა რომ გასინჯოს, აქ ნესტორას თითის ანაბეჭდს ვერ აღმოაჩენს, ყველაფერ ამას კოლმეურნეობას ყოველ წლობით აწერინებენ კანტორისთვის. მოანგარიშე კოკონა კი ასე ახვავებს. ნესტორა ვერც იგებს, როდის რა მოაქვთ. თვალში კი ეჩხირება ხოლმე, მაგრამ გადაყრაც ეუხერხულება. ნეტავი ერთიანად მოიპარავდეს ვინმეო, მაგრამ ასეთ რამეს აქ არავინ იპარავს. ქაღალდადაც კი არავის მიაქვს.

ნესტორამ თავისი რბილი სკამი აივანზე გაიტანა, ჩამოჯდა, იდაყვებით მოაჯირს დაეყრდნო და გიჟურას გაღმა კლდოვან ქედს დაუწყო ყურება დროის მოსაკლავად.

— ნესტორ ალმასხანიჩ, მომილოცავს, მომილოცავს ქალიშვილის უმაღლესში ასე დიდებულად მოწყობა! უბედნიერესი მამა ხარ, უბედნიერესი და მუდამ ასე ბედნიერი გამყოფოს გამჩენმა ღმერთმა! — ბრიგადირი შეუმჩნევლად წამოადგა თავს თვლემამორეულ თავმჯდომარეს. ნესტორას ძივნის იატაკის ჭრაჭუნიც არ გაუგონია. იქნებ ბრიგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირს არც დაუჭრაჭუნებია. ბენიამ ნესტორასავით მძიმე-მძიმე სიარული როდი იცის, ფუმფულა კაცია.

— გმადლობ, ჩემო ბენია, გმადლობ! დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგეხარდებოდა. — თავმჯდომარემ ბრიგადირს თვითონ გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად.

ბენია თავმჯდომარის ხელს ორივე ხელით ეცა და მაგრად მოუჭირა, თან ნესტორას ფინია ძალლივით შეაჩერდა თვალებში.

— გამეხარდა და მეტი არა! თუნდაც ჩემი შვილი მოწყობილიყოს! ცოლ-შვილი გამიწყდეს დღესვე, თუ გატყუებდე, წუხელივე მინდოდა ამოსვლა, მაგრამ ბალიკომ იუარა: ასე ხელცარიელი ხომ არ მიულოცავ, კაი მოსაკითხი მოვუმზადოთ და ხვალ ერთად ვეწვიოთთ. შენზე უკეთესი სოფელ-ქვეყანაში ვინ მყავს!

— თქვენი პატივისცემა არ აკლია ნესტორას ოჯახს, ჩემო ბენია, — თავის მხრივ თავმჯდომარეც მიეფერა ბრიგადირს. — ჩამოჯექი!

ბენიამ ფიცრის გრძელი სკამი მოაჯირთან მოაჩოჩა და კიდეში ფრთხილად ჩამოჯდა, არ ამიყირავდესო. საერთოდ ყველაფერში სიფრთხილე სჩვევია ბენიას, თორემ ბუმბულივით მჩატე კაცი რისი ამყირავებელ-დამყირავებელია. ჩამოჯდა და თავმჯდომარეს მიაჩერდა თვალების ცეცებით.

დუმილი ნესტორამ დაარღვია:

— ყანა-ვენახები ჩამოვიარე. ხელმიშვებულია ყველაფერი, შეუჭამია ბალახს. სიმინდი გაუთოხარი დაგიტოვებიათ.

— კი, დაგვრჩა. — კვერი დაუკრა ბენიამ.

— ვენახებშიც ისე გაზრდილა ჩალამ-კალამი, ვაზი საცოდავად აქა-იქლა ჩანს.

— თოხი ვერ მივაშველეთ და ერთობ გაიზარდა ის ვერანა, — დააზუსტა ბრიგადირმა.

— ნამგლით მაინც გამოგეთიბათ. ბალახიც ხომ გვინდა.

— ნამგლით რამდენს მოერევი.

— შეწამლვაც აკლია ვენახებს.

— ყველაფერს აკლია ხელი, ნესტორ ალმასხანიჩ, რა ჭირი ვქნა, ბრიგადას ათასი ხელი სჭირდება, ხალხი კი ფაფუ — დღითი დღე მადნება ხელში. სოფელში აღარავინ გვიჩერდება. ყველას დათვის ჯაჭვით ხომ ვერ დააბამ!

— ვინც შემოგრჩა, მთელი დატვირთვით გამოიყენე.

— ვინც შემომრჩა, კი. ჩემ ბრიგადაში შვიდიოდე კაცილა დაღოღავს, ისიც მოფამფალებული მოხუცი ან უკბილო დედაბერი, სული კბილით რომ უჭირავს. ვინც საშუალო დაამთავრა, მიწაზე მუშაობას აღარავინ კადრულობს. ტყუილს ვამბობ, თუ?

— მართალი ხარ, ბენია, მარა, რაღაცა უნდა ვიღონოთ. ეს ჭირი მარტო ჩვენ ხომ არა გვჭირს. ჰო, მართლა, დარიკო ხომ შენს ბრიგადაშია?

— მერე რა, რომ ჩემ ბრიგადაშია?! წინათ, დიახაც, ყოჩაღად მეხმარებოდა, სამი-ოთხი ქალის საქმეს აუდიოდა, მაგრამ, იმდენი სადღა შეუძლია. რკინაც კი ცვდება, ნესტორ ალმასხანიჩ. და ადამიანის რა გაგვიკვირდეს.

— დარიკოს ბიჭი შემოდგომაზე სკოლაში ხომ არ აპირებს დაბრუნებას?

— აჰ, არა. რაკიღა ერთხელავე წამოსცდა — არაო, უბედურის ერთი ჯიუტია, აღარ გადათქვამს.

— ძალიანაც კარგი, ძალიანაც კარგი, — გაიხარა ნესტორამ. — თუ სკოლა აღარ უნდა. ჰოდა, რომ შემომჩივი, ხალხი მაკლიაო... აგერ, ისეთი ვინმე შემოგმატებია...

ბრიგადირმა ჩაიქირქილა.

— რა?! — ჰკითხა ნესტორამ. — ავად ხომ არ არის?

— თავის სიცოცხლეში არ ყოფილა ავად. ექიმი თვალით არ უნახავს, კაჟივითაა.

— აბა, რა?! — ჩაჰკითხა თავმჯდომარემ.

— არაფერი — ჯიბიდან ხელები ამოიღო ბრიგადირმა და გაშალა.

— ხომ ბერხევშია? ჯერ აქედან ხომ არ უდურთია თავი?

ბრიგადირმა ჩლუნგად შეხედა თავმჯდომარეს, ვერ გავიგეო.

— ქალაქში ხომ არ გაქცეულა-მეთქი ის ცუღლუტი? — დაუზუსტა ნესტორამ.

— ჰოო! — ახლაღა მიუხვდა ბენია. — არა, კაცო. ტუხა სოფლიდან გამქცევი არაა, თბილისში მიმავალ მანქანაზე მსხვილი მორების სათრევი ტროსით რომ მიაბა, ძაფივით გაგლიჯავს.

— ძალიან კარგია. რაც კარგია, კარგია. გიხაროდეს შენ. ის ერთი ბრიგადაში ცხრა კაცის საქმეს გაგიკეთებს.

— ცხრა კაცისას კი არა, — ისე დაიჰყანა ბენია, თითქოს პირში ვიღაცამ ძალით მკვახე ტყემალი ჩაუდოო. — კოლექტივში სულ არ მუშაობს ის სახეძაღლი!

— რას ჰქვია, არ მუშაობს?! მოწაფეობისას, მახსოვს, ყანა-ვენახშიც მუყაითად გეხმარებოდა და სათიბშიც ვერავინ ჯობნიდა. ყველა აქებდა, სიზარმაცე სიკვდილივით სძულს, ტყუილადმყოფელს რომ დაინახავს, უწყრება, ცოდვას სჩადიხარო, და სკოლას თავი რომ დაანება, ახლა რამ გააზარმაცა თვითონ?!

— არ გაზარმაცებულა, მაგრამ, კოლექტივის საქმეზე ერთხელაც ვერ გამოვიყვანე. ახლო აღარ გვეკარება.

— მერე, ვერ გააძვრე ტყავი რიგიანპირიანად?

— ნესტორ ალმასხანიჩ, თქვენი არ მიკვირს?! იმხელა ოულაყის ტყავის გაძრობა ჩემთვის ასე ადვილია? შეუძლია, წაბლის ბუძგების კალო ფეხშიშველამ გალეწოს.

— თუ კოლექტივში არ მუშაობს, აბა, რას აკეთებს ის ღდინძაღლი?

— ყველაფერს. თოხნის, შეშას ჰრის, ვენახს აქიმობს, თიბვა ხომ მაგის მოგონილია. თორმეტი კაცის საქმეს აუდის დღეში. კვირაში ერთ დღეს რომ თავისთვის ირჯება, დანარჩენს მეზობლებს ეხმარება. როცა საქმე შემოელევა, გიჟურას რიყეზე დაჯლაგუნობს, ლოდებს და ბავშვებს აბურთავებს ცაში, ბიჭბუჭებს რაღაც-რაღაცებს ასწავლის. ხოლო კოლექტივის საქმეს რომ ვუხსენებ, სათოფეზეც არ მეკარება.

— ეს რა ახირებაა? ვითომ რატომ? იმ უხეიროს რაღაცა მართლა ხომ არ აკლია ცხრიანში? მიზეზად რას ამბობს?

— არ გამოდის სამუშაოდ, ეგ არის და ეგ.

— თავისი ნებაა?

— კი, ასე ამბობს ის სახეძაღლი, ჩემი ნებააო.

— გვეურჩება უფშტვინე?

— გვეურჩება თუ გვეთავხედება, არ ვიცი. მე არ მემორჩილება...

— ასე რომ გვედიდგულება, თოფი ან სხვა იარაღი ხომ არა აქვს შინ? — სერიოზული დაფიქრებით იკითხა თავმჯდომარემ.

— იარაღი? ვერ გეტყვი. რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— გამიგე, ოღონდ ჩუმად გაიკითხ-გამოიკითხე!

— კი, ბატონო, ჩუმად ვეცდები! — დაიმედა ბრიგადირმა.

— დედამისი თუ გააფრთხილე? — გაახსენდა თავმჯდომარეს.

— ეგ გამომრჩებოდა? ვუთხარი: ასე არვარგა, შვილს ჭკუა ასწავლე, დაარიგე, რავა მოიქცეს, თვარა ორივე მწარედ ინანებთ-მეთქი.

— მერე?!

— შენი თქმისა არ იყოს, თვითონ ხომ უხეიროა ის სახეძაღლი, დედა უარესი ჰყავს. ჩემი ტუხა ალუა ბავშვი აღარაა, თავისი საქმისა თვითონ უკეთ იცისო, აბა! კი, ასე მითხრა, შენს მზესა ვფიცავ!

— მერე, მაგის წამალიც მე გასწავლო? კაცი რომ გაგიურჩდება, თუ მაშინვე სასტიკად არ დასაჯე, თავს უფრო აიშვებს, აგიჯანყდება და სხვებსაც აიყოლიებს. შე უშნო, ერთ თავქარიან ბიჭს ვერ მოუარე უჩემოდ? — უსაყვედურა თავმჯდომარემ ბრიგადირს. — ხვალვე, დილაუთენია გააგდე სამუშ

ოდ. თუ კიდევ გაგიბედოს უარი, მე მომიყვანე აქ!

— სათქმელად ადვილია, ბატონო ნესტორ! — დამფრთხალი აცეცებს ღრმა სოროში შემძვრალ წვრილ თვალებს ბენია, — მე მოვერევი იმ დევს? ერთი მუშტი რომ შემომკრას, მეტიც არ მინდა, მთავარ სულს გამაცხებინებს. მე შენ გეტყვი, ჭკუა დაუშლისდევს რომ დაეჭიდოს ის სახეძალლი, ყელამდე ჩაფლავს მიწაში.

— შენც ჩხუბსა და ჭიდაობას კი ნუ დაუწყებ, უთხარი: თავმჯდომარე გიბარებს-თქო.

— ვიცი, მკითხავს, რაზე მიბარებსო და რა ვუთხრა?

— რაზე და, რეგვენი ხარ, უვიცი, გაუთლელი და ჭკუა უნდა გასწავლოს-თქო.

— აჰ, მაგას ვერ ვეტყვი, თოფით რომ ვინმე დამადგეს თავზე, მაგას ვერ ვეტყვი. — ხელები გაასავსავა ბენიამ.

— მართლა კი არა, ჭკუათხელო, — დაუყვავა ნესტორამ, — მიხვალ და გაიგებ-თქო. ჰო, ასე ეტყვი. ერთი აქ მომგვარე და ვაჩვენებ, რაფერ უნდა ურჩობა!

— არ წამომყვება, — თითქმის ტირილით ამოღერღა ბენიამ.

— წამოგყვება. ცეკვა-თამაშით და დოლ-გარმონით წამოგყვება. — თავდაჯერებულად წამოისროლა ნესტორამ.

— ტუხას არც ცეკვა-თამაში უყვარს, არც — დოლ-გარმონი. ჩემი ხუთი თითივით ვიცი, არ წამომყვება.

— შენ უთხარი, ჩემი სახელით უთხარი, და თუ არ დაგემორჩილება, მერე მე ვიცი.. მისი სული ა, აგერ მიჭირავს! — ნესტორამ მარჯვენა ხელი მაგრა მომუჭა და აივნის მოაჯირს სამჯერ დაარტყა.

— ნესტორ ალმასხანიჩ, ნუ!.. არ გინდა! — შეემუდარა ბრიგადირი.

— რა არ მინდა, კაცო?

— შენც თუ მოერიდები, ურიგო არ იქნება. ჰო, ჯობია, ორივე მოვერიდოთ. გეხვეწები! თუ ჩემი და შენი სიკეთეც გინდა!

— თითიც რომ გამიქნ-გამომიქნიოს, დავაჭერინებ. მილიცია კი არ გამწყდა— რა. მე და არისტოს ძმებს გვეძახიან.

— მერე ციხიდან გაბრაზებულ-გაბოღმებული გამოვა და ჩვენს ბუნდღას არ გაუშვებს დედამიწის ზურგზე! ცხრა უღელი ხარ-კამეჩის ღონე აქვს, ერთი თუ დაგვავლო ხელი და მოგვიქნია, ორივეს გიჟურას გაღმა გაგვყრის რიყის ქვებივით. მთას რომ დაეტაკოს, წააქცევს. პიტალო კლდეს შუბლით რომ დაეჯახოს, კლდე დაიმსხვრევა, შუბლი კი მთელი დარჩება..

ბენია კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, ნესტორამ შეაწყვეტინა:

— კაი, კაი, ნუ აზვიადებ! აბა, იმ აშაღერას ვათქმევინებ, ეგ რა თავმჯდომარეა, ერთ ბიჭს ვერ მომერიაო? მთელი სოფელი ჩემს ხელშია, აგერ ა! — თავმჯდომარემ ისევ მომუჭა მარჯვენა და მუშტი კვლავ აივნის მოაჯირს დაარტყა. — ეგ ვინ მიგდია ისეთი? შენ რაც გითხრეს, ის გააკეთე!

— ბატონი ბრძანდები! ამ საღამოსვე გავაფრთხილებ.. — ბენია აქ წუთით შეჩერდა და მერე დაუმატა, — შენი სახელით.

დარიკომ ძროხა მოწველა და ის-ის იყო მომინანქრული მწვანე ვედროთი შინ რძე უნდა შეეტანა, კიბეზე ასვლისას თავისი სახელი გაიგონა. ხმაზე იცნო ბრიგადირი და უმალვე შემოტრიალდა:

— რა ჭიშკრიდან მეძახი, მეზობელო, შემოდი ეზოში.

— არა მცალია. — ჯიბეებში ჩაიწყო ხელები ბენიამ. — ბიჭი შინა გყავს?

— კი, შინაა. ახლახან მოვიდა ვენახიდან და წიგნს კითხულობს. რა ვუთხრა?

— გამომხედოს ერთი.

— აგერა ვარ, ბენია! — ხელში წიგნით აივანზე გამოვიდა ტუხა. — რამ შეგაწუხა?

— მე არაფერმა. ხვალ ზვარში ვენახის წამლობაზე წამოხვალ, გესმის?

— ვერა! — მოკლედ მოუჭრა ტუხამ.

— ჩემით არ მომიგონია. თავმჯდომარის განკარგულებაა, გესმის.

— მით უმეტეს. იმ შენი მუცელბეღელა თავმჯდომარის სიტყვაზე ერთ ნაბიჯსაც არსად გადავდგამ, ნეკსაც არ გავანძრევ.

— რატომ, ბიჭო, რატომ?

— მამაძაღლია და მამაძაღლისთვის არ ვიმუშავებ. იმისთვის დავაკლა მიწას თავი, ჩვენმა თავმჯდომარემ ყველა თავისი უფროსი მოიმადლიეროს, სხვასაც აჭამოს და თვითონაც ჭამოს ჩემი ნაშრომ-ნაჭირნახულევი?

— კაი, კაი, ახლა, მოუკრეფავში ნუ გადახვედი.

— რატომ მოუკრეფავში? ისეთი უვიცი ალარავინაა, დღე და ღამე ვერ გაარჩიოს.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემო ტუხა, თავმჯდომარეს შენთვის არაფერი დაუშავებია, გესმის? — ბენიამ შარვლის სათავე ჯიბეებიდან ხელების ამოუღებლად აიწია მაღლა.

— აი, ეგა ხართ თქვენ. მაინც და მაინც მე უნდა დამიშაოს? ეს სოფელქვეყანა ჩვენი არაა? მოკლედ, შევთანხმდეთ! ამ ამბავზე ჩემთან ნულარ მოხვალ. ნურც შენ შეიწუხებ თავს, ნურც მე შემაწუხებ.

— უარს მეუბნები, ხომ?

— რამდენჯერ გითხრა? მე არ მიყვარს ათასჯერ ერთი და იგივეს გამეორება, თუთიყუში არა ვარ.

— მაშინ მიდი და ეგ უარი თვითონ უთხარი, მე შენთან ჩხუბის თავი სადა მაქვს, ბიძიკო!

— არც მე მაქვს შენთან რამე საჩხუბარი. მივალ. თუ გინდა, ახლავე წავიდეთ ერთად. წავიდეთ?

— ახლა არ იქნება კანტორაში. ხვალ დილით მოვიდესო.

— ხვალ დილით მივიდეთ. როცა გინდა გამომიარე, დაგელოდები.

— ეჰ! — ამოიოხრა ბენიამ, შეტრიალდა და წავიდა. ტუხამ თვალი გააყოლა.

ბენიამ ისეთი სიარული იცის, გეგონებათ, შარვალზე ღილები აუჭრიათ, გამუდმებით სძვრება და ხელების ჯიბეებში ჩაყოფით იჭერსო. ერთხელ თურმე ნესტორამ შენიშნა კიდეც: რაა, შე ღდინძაღლო, ხელები რომ სულ ჯიბეებში გიწყვიაო. ჩემ ჯიბეებში მიწყვია, ზოგიერთივით სხვის ჯიბეებში ხომ არაო, — ვითომ უხუმრია ბენიას მაშინ. კიდევ კარგი, მარტონი ყოფილან და იმ დღეს ნესტორაც ადრევე ხუმრობის გუნებაზე აწყობილა, თორემ ნახავდა ბენია თავის სეირს. თუ შნო გაქვს, შენც სხვის ჯიბეებში ჩაყავი ხელებიო, დაურიგებია ჭკუა ბრიგადირისთვის თავმჯდომარეს, — ასე სიარულს მაინც ის სჯობიაო. ახლა ბენიას თუ ნესტორა ახლომახლო ეგულება, ერიდება ჯიბეებში ხელჩაწყობით სიარული, სხვა დროს კი წინანდებურად დადის.

— საცოდავი! მაგასაც თუ კაცი ჰქვია და!.. — თავისთვის ჩაილაპარაკა ტუხამ და გაუკვირდა, ნეტავ რამ შემაცოდაო? მერე რომ დაუკვირდა, იმასაც მიხვდა, მარტოოდენ ბენია კი არა, ზოგჯერ ნესტორაც ეცოდებოდა, ნესტორაც და ნესტორასნაირი ყველა ადამიანიც. ოღონდ რატომ ეცოდებოდა, ეს არ იცოდა.

ტუხა კანტორისკენ მიმავალ გზას ჩუმი ღიღინით მიჰყვება; ბენია ჩვეულებრივ, დინჯად მიმავალ ტუხას გვერდი-გვერდ მისდევს.

— ბენია, ის რავა იყო, ნესტორამ რო გითხრა, ხელები სულ ჯიბეებში რატომ გიწყვიაო?

— ეჰ, რა გასახსენებელია. — ბრიგადირს არ უყვარს, როცა ამას მოაგონებენ, ვაითუ თავმჯდომარის ყურამდეც მივიდეს ეს მოგონება და მაშინ თუ ხუმრობად მიიჩნია, ახლა საწყენად დაურჩეს და წყენა სხვა რამედ იქცეს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

იმ ამბის მოგონებას დუმალი ურჩევნია ბენიას, თუმცა ახლა ენა კი ექავება, ნესტორასთან მისვლამდე ტუხას ჭკუა დაარიგოს, რამე კარგი ურჩიოს, თავმჯდომარესთან შემარიგებელი.

ველარ მოითმინა დუმილი ბენიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, შინაურულად, მოვეფერები ტუხას და მამაშვილურადაც გავაფრთხილებო. ნაძალადევი ღიმილით შეხედა და, ვითომ სხვათა შორის, წამოიწყო:

— მე სახეძაღლო, ყველაფრით შემკობილი ვაჟკაცი ხარ და დაუკვირვებელი, როყიო ლაპარაკი კი იცი. მე არაფერი, მეზობელი ვარ შენი და რაც არ უნდა მითხრა, არ მეწყინება. თავმჯდომარეს კი მოერიდე, შენებურად გადაბრუნებული სიტყვა არ წამოგცდეს, გესმის?

— თქვენ მართალ სიტყვას ყოველთვის გადაბრუნებულს ეძახით, ბენია. — მოუჭრა ტუხამ.

— შენ იცი. მე ჩემი მითქვამს.

წყაროსთან შეჩერდნენ. ტუხამ პეშვით სამჯერ ზედიზედ დალია წყალი და განაგრძეს გზა. ბენია ისევ ალაპარაკდა:

— ერთი ლექსი რომ არის, ბიძიკო — „მგელი და კრავი“, შენც ხომ გასწავლეს სკოლაში? აი, ის: დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო?

— ეგ ძველ დროშია ნათქვამი, ბენია.

— კი, ძველ დროშია ნათქვამი ბიძიკო, ოღონდ... ზოგის საბედნიეროდ და ზოგის საუბედუროდ ეს არასდროს იცვლება, ასე რომ, მამაშვილურად გირჩევ!..

— კი, მაგრამ, ეგ შენი თავმჯდომარე რითია ჩემზე დიდი, ბენია? უფრო გრძელფეხებაა, უფრო მსხვილმკლავებაა, ჩემზე მაღალია თუ მხარბეჭი აქვს უფრო გაშლილი? — სიტყვა ბანზე აუგდო ტუხამ.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, ჩვენს დროში კაცის სიდიდე იმით იზომება, ვინ რა სკამზე ზის. ჯირკი რომ დაგისვან უფროსად, უნდა უძახო, ალვისხე ხარ-თქო. არ შესცდე და თავმჯდომარეს ჩხუბი არ დაუწყო. ნესტორა შენთან შედარებით ლომია, გესმის! ლომი კი ნადირების მეფედ თქმულა და ვაი მისი ბრალი, ვინც ბუზად წარმოიდგენს. რაც გითხრას, დაუჯერე და ყველაფერზე ბოდიში მოუხადე, გესმის? რაც აქამდე შეცდომა ჩაიდინე, ახალგაზრდობით მომივიდა-თქო.

— კი, ბებია უცხონდება ნესტორას, ყველაფერს დავუჯერებ და ბოდიშსაც მოვუხდი.

— მე ჩემი მითქვამს და...

კანტორის მაღალი ხის კიბე ტუხამ სწრაფად აათავა, სამ საფეხურზე ერთად აბიჯებდა.

— მოიცა, სახეძაღლო! — ქოშინით აედევნა ბრიგადირი. — ცხოვრებაშიც თუ ასე იარე, ვინ დაგეწევა, ყველას გაუსწრებ!

თავმჯდომარის კაბინეტისა და სათათბირო დარბაზის კარიც ღია დახვდათ.

ნესტორა წითელმაუდგადაფარებული გრძელი მაგიდის თავში იჯდა თამადასავით და საანგარიშოს კოჭებს აჩხაკუნებდა, რაღაცას ითვლიდა თუ ერთობოდა.

ნესტორამ ფეხის ხმის გაგონებისთანავე საანგარიშოს ხელი გაჰკრა, ქვები გააჩხაკუნა და წამოდგა.

ტუხამ ხელი გაუწოდა უხმოდ. თავმჯდომარემ ეს თითქოს ვერც შეამჩნიაო, ხელი არ ჩამოართვა. არა, იმიტომ არა, აქაოდა, შენზე გულმოსული ვარ, გემდური და ხელის ჩამორთმევის ღირსადაც არ მიმაჩნიხარო. მიზეზი სხვა იყო.

ნესტორას კარგა ხანია აშინებდა ტუხას მაგარი ხელი: ჩამორთმევისას თითები არ დამიმტვრიოსო.

ტუხა ასე განგებ სულაც არ იქცევა. თვითონ ჩვეულებრივ ართმევს ყველას ხელს, მსუბუქად, ძალდაუტანებლად, სხვებს კი უჩვეულოდ ეჩვენებათ; ჰოდა, ვინც ეს იცის, ტუხას განგებ აღარ ართმევს ხელს.

— შენ აქ საჭირო აღარა ხარ! — ნესტორამ ბრიგადირს ხელით ანიშნა, გადი, კარი მოხურე და გარეთ მოგვიცადეო.

ბენია წუთით დაიბნა. ჯერ ყურაწეული ბავშვივით გადგა განზე, თითქოს დატუქსვამ შეაშინაო, რაღაცის თქმაც კი დააპირა, ტუჩები შეათამაშა და ღრმად შემალული წვრილი თვალები აქეთ-იქით გაექცა, მერე შეტრიალდა,

ფეხაკრეფით გავიდა დარბაზიდან და კარი ფრთხილად მოხურა, ოღონდ ღრიჭოდ.

— რა სტრაქნიკივით დგახარ ფეხზე, ბიჭო, დაჯექი! ა, აგერ, რბილად, თან ჩემს ახლო!

მიპატიჟება არ მიიღო ტუხამ, — არ მცალია, მეჩქარება, საქორიას მთაში ვარ წასასვლელიო.

— ბიჭო, ამხელა ახმახი თავზე რომ დამყურებ, მეშინია! — გაუცინა ნესტორამ, აქაოდა, ტკბილად ვილაპარაკოთო.

— მთას ძირს თუ არავინ გამოუთხრის, თავზე თავისით არავის დაეცემა. — მიუგო ტუხამ ასევე სიცილით.

ამ სიცილმა ორივეს მხრივ განმუხტა დაძაბულობის მოლოდინი. თითქოს ერთმანეთთან სადავო არაფერი ჰქონდათ, წყნარად დაიწყეს საუბარი.

— საქორიას მთაში რა გინდა, ყაზახო?

— სათიბავად.

— იქ სად არის სათიბი?!

— კლდეების ზურგზე აბრეშუმივით ბალახი იზრდება. ათიოდე ზვინი მოითიბება.

— კი, მაგრამ, ბილიკიც რომ არსაიდან უდგება?

— ზამთარში, როცა თოვლი შუროს ამოლესავს, ზვინს ფარჩხლებზე დავუდებ და ჩამოვათრევ ვაკემდე. მერე მარხილით წამოვასრიალებ.

— უფრო დასამხრის ადგილას გაგეთიბა, დალოცვილო!

— დასამხრის ადგილას ყველგან გავთიბე.

— ამ ზაფხულს რამდენი ზვინი წამოჭიმე უკვე.

— ას სამოცამდე.

— ას სამოცამდე?! ყოჩაღ! და კიდევ უნდა თიბო?

— რატომაც არა.

— სანამდე?

— სანამ სათიბი არ გამოილევა და მოვასწრებ.

— კეთილი, კეთილი! — ნესტორამ ჭადრაკული ცხვირსახოცი ჯერ პირისახეზე მოისვა, მერე ღაბაბსა და კისერზე. — რაც კარია, კარგია. შენ ეს მითხარი, მიუვალ მთებში იაქესავით მარტოდმარტო რომ დადიხარ, არ გეშინია?

— რაა საშიში. ვისი უნდა მეშინოდეს ან რისი?

— ტყე-ღრეში ცოტა ნადირი დაძრწის?

— არ მეშინია მე ნადირის, ნესტორ.

— ჰო, თუმცა, როცა თოფი გიჭირავს ხელში, მართლაც საშიში არაფერია.

— რა თოფი?!

— გატენილი თოფი, რითაც ნადირობთ ხოლმე.

— მე ვნადირობ? ვინ მოჭორა? ჩემ სიცოცხლეში არ მინადირნია. ერთხელ ბავშვობისას შურდულით ბეღურა შემომაკვდა, ეგ იყო და ეგ.

— აპა, ტყუილად დაგაქვს თოფი?

„აი, თურმე რა აინტერესებს ამ საცოდავს!“ — გაიფიქრა ტუხამ, გულში გაეცინა და ნესტორას ღიმილით უთხრა:

— რა თოფი, რის თოფი? სადა მაქვს მე თოფი? მთაში ცელის მეტი არაფერი მიმაქვს.

— აპა, ხალხს შენი ცელი ელანდება თოფად? — გამომცდელად მიაშტერდა ნესტორა.

— ჩემთვის არავის გაუმხელია, ვის რა ელანდება. მე თოფი არა მაქვს.

— რატომ, შე კაცო, სანადირო თოფის ტარების უფლება ყველა სრულწლოვანსა აქვს.

— არ მიყვარს მე თოფი, ნესტორა.

— რატომ, შე კაცო? ზოგჯერ საჭიროა.

— მე არ მჭირდება და არც მიყვარს. სიკვდილივით მეჯავრება. სიზრმრადაც არასოდეს მჭერია.

— დაგიშავა რამე?

— მეც დამიშავა და სხვასაც... კაცის მოსაკლავადაა მოგონილი. თოფ-იარაღის ბრალია ომი. ომმა მომიკლა მამა.

— მამა?! ომმა, ბიჭო, დედაშენის პირველი ქმარი მოკლა. ეგება ის გგონია მამაშენი?

— მე არაფერი მეშლება. ომმა მოკლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიც და მამაჩემიც. მამაჩემი ომში რომ არ დაჭრილიყო, თურმე იმხელა ჯან-ღონის პატრონი იყო, ორას წელიწადს იცოცხლებდა.

— შე ღდინძაღლო, ასე შორსაც იყურები ხოლმე?

— მე ჩემ გულში ვიყურები... ჩემთვის ვფიქრობ ამას. ამბობენ, თოფი ეშმაკის ნაბიჭვარიაო. შემთხვევით ადამიანის სისხლი რომ დამაღვრევინოს, მერე რაღა პირით შევხედო მზეს?

— მაშასადამე, შენ არც სხვა იარაღი გაქვს?

— რა სხვა იარაღი?

— ვთქვათ, რევოლვერი, მამის ჩამოტანილი ნადავლი პარაბელუმი ან... იარაღის მეტი რაა ქვეყანაზე.

— არაფერიც არა მაქვს. რა ჭირად მინდა. რევოლვერიც თოფის ძმა არაა?

— აპა, მარტო ბებუთის იმედად დადიხარ ტყე-ღრეში?

ტუხას ისევ გულში გაეცინა.

— არც ბებუთი მაქვს... ცელია ჩემი ბებუთიც და სხვა იარაღიც. ჰო, ნაჯახი და წალდიც დიმაქვს ხოლმე, სარების და ფარჩხლის მოსაჭრელად. ერთი დასაკეცი ჯაყვაც მიდევს ჯიბეში...

— ჰო, შენისთანა ყოჩაღ ბიჭს ამდენი რამე კი ეყოფა ნადირის მოსაგერიებლად. გალესილი ნაჯახიც მარჯვე იარაღია, როცა... როცა საჭიროა... ნადირის მოსაკლავად...

— ნადირს არ დავდევ. თუ თვითონ გადმომიხტება, უთოფოდ და უბებუთოდაც მოვიგერიებ, ოღონდ ჯერ მთაში არც ერთ ნადირს არ გადავყრივარ. კიდევ რა გაინტერესებს? — გაჩეხილი წარბი შეათამაშა ტუხამ და თავმჯდომარეს ჯიქურ მიაჩერდა.

— არაფერი, შე კაცო, შინაურულად გეკითხები რაღაცას. ჯან-ღონეზე ხომ ხარ მაგრად?

— ჯერჯერობით არაფერს ვუჩივი. ექიმთან ყასიდადაც არასოდეს მივსულვარ. ერთხელ სკოლაში ძალით ამიცრეს, ეგ იყო და ეგ.

— აბა, მთაში ვთიბავთ, ჰა? — ჩაილაპარაკა მცირე დუმილის შემდეგ ნესტორამ.

ტუხამ მხრები აიწურა, აქაოდა, ერთი და იგივე რამდენჯერ უნდა მკითხოო.

— ღდინძაღლო, ამდენს რომ თიბავ, რად გინდა? ზამთარი ხუთ თვესაც რომ გაიჭიმოს, შენს ერთ ძროხას შვიდიოდე ზვინიც თავს აუვა.

— მარტო ჩემთვის არ ვთიბავ.

— აჰ, დანარჩენს ყიდი? — გაიხარა ნესტორამ, ტუხას დანაშაულის გორგალს წვერი ვუპოვეო.

— არ ვყიდი, ისე ვურიგებ ჩვენებურებს.

— მაინც ვის ურიგებ?

— ცოტაა უკაცო ოჯახი, ქვრივ-ობოლი და გაჭირვებული?

— ბიჭოს! გამომიჩნდა ახალი არსენა ოძელაშვილი! აი, ეს კი დაგიჯერე უმალვე! ალუა ბავშვები რომ გეყოლება, ასეთი საკენკით ისინი მოატყუე.

— თუ ბერხევში ან სხვაგან ერთი ვინმე მაინც იტყვის, ტუხამ თივაში ფული გამომართვა ან რაიმეში გამიცვალაო, იმ წუთშივე თავს სასიკვდილოდ დავდებ.

— ცრუობ! მომკალი და არ მჯერა... არ მჯერა, შენ რომ თივას არ ჰყიდი.

— სულაც არ გამტყუნებ, რომ არ გჯერა. შენისთანებს საერთოდ, ალბათ, ისიც აღარ სწამთ, უანგარო სიკეთე თუღა არსებობს, რადგან ხეირს თუ არ გამოელით, ადამიანისთვის სალმის მიცემაც კი გენანებათ.

— გვაკრიტიკებ კიდეც, შე უღმერთო?

— ვინც ყველაფერში მხოლოდ გამორჩენას ეძებს და ყველაფერს ეჩოსავით თავისკენ მიითლის, რა თქმა უნდა, ვერ დაიჯერებს, მე რომ თივას არ ვყიდი ან არ ვცვლი. რაც შეეხება უღმერთობას, უღმერთო სწორედ შენა ხარ, რაკი ქვეყნად აღარავითარი უანგარო სიკეთე არ გწამს.

ნესტორა წუთით მსხვერპლის მომლოდინე ნადირივით გაიტრუნა და მერე ამოიხავლა.

— ბიჭოს! თავის გასამართლებლად

ფილოსოფოსობაც რომ დამიწყო! ეს კიდევ უფრო გამხილებს, რომ ჰყიდი შენ თივას.

— არა-მეთქი, ურწმუნო კაცო!

— იქნება ფული არ გიყვარს?

— პატიოსანი გარჯით მონაგები — რატომაც არა. ნამამაძაღლები ფული კი ღმერთმაც დასწყევლოს და ეშმაკმაც!

— ესე იგი, შენი ცელით მოთიბული ფული გიყვარს, რაკილა მიგაჩნია, რომ ეს პატიოსანი გარჯითაა მონაგები.

— გიმეორებ, თუ სადმე გაიგო, ტუხა ხატეველმა იმ მიუვალ მთებში მოცელილი ბალახი გაყიდაო, ჩივილი არ დაგჭირდება, ჩემი ფეხით წავალ ციხეში. ეს თქვენისთანებისთვისაა ფული ღმერთი, ჩემთვის სულ სხვა რამეა ღმერთი. ფულის მოსახვეჭად მე არც არაფერი გამიყიდია და არც გავყიდი.

— ერთი ეს მიბრძანე, ვაჟბატონო, სხვა თუ არაფერი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელს, ცელს, ბარსა და მისთანებს რითი იძენ? შენი ცალკე ღმერთი გიყრის ციდან?

— რა ბევრი რამე მე მჭირდება?! დედაჩემი დავრდომილი ან ზარმაცი ქალი არაა, რაც შეუძლია, შინაც მუშაობს და ჯერჯერობით არც კოლექტივის საქმეს აკლებს ხელს, თავისი მუყაითობით ასეთ ცოტა რამეს ვერ შემიძენს?

— კი, დედაშენი, დიახაც, ყოჩაღი ქალია, ავ-კარგიანი, არაფერს დაგამადლის, მაგრამ, როდემდის, ბიძიკო?.. როდემდის აპირებ მის ხარჯზე სიკეთის თესვას ხალხში? ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და როცა აღარ გეყოლება, მაშინ ვინღა გიყიდის რამეს? მაშინაც მუქთად დაურიგებ თივას ყველას?

— მაშინ ვნახოთ. რა ღმერთი გაწყრება, არაფერი შეიცვალოს?

— რა უნდა შეიცვალოს, ბედოვლათო? — ნესტორამ ჰადრაკული ცხვირსახოცი ცხვირწინ აუფრიალა ტუხას. — სიტყვა ნუ გაწყვიტე, რა უნდა შეიცვალოს აქ?

— შეუძლებელია, ბერხევში ზოგიერთების პარპაშს ბოლო არ მოეღოს, — წარბი შეათამაშა ტუხამ.

— მაინც ვის პარპაშს? ვინ არიან ეგ შენი ზოგიერთები? — ნესტორა ისე მიაშტერდა ტუხას, თითქოს ოროლულიანი თოფი დაუმიზნაო, ხმაშიც სიანჩხლე და ზიზღი შეეპარა. — ჩაგივარდა ენა? ის მაინც მითხარი, ტანტრე, კოლექტივში რატომ არ გინდა მუშაობა?

— სანამ შენ იქნები აქ თავმჯდომარედ, თითსაც არ გავანძრევ.

— ბიჭოს?! ვითომდა ვინა ვარ მე ასეთი?!

— მოგონილი კაცი ხარ.

— მოგონილი კაცი რას ჰქვია შტერო?

— იმას ჰქვია, რაც წეღან გითხარი. ჩემთვის შენისთანა ეჩოკაცსაც ჰქვია მოგონილი.

— მე ჩამიდექი კრიჭაში?

— შენისთანებს! — დაუზუსტა ტუხამ.

„ერთი ამ აყლაყუდას დამიხედეთ?! — ნესტორამ მსუყედ ჩაახველა მუჭაში — ან დარტყმულია, ან... კაცს ეგონება, ჩვენი სოფლის გადაღმა მარტო რომ გაუშვა, გზა დაებნევა და დაიკარგებაო, აგერ, „ფილოსოფოსობა“ არ დამიწყო? ამას მაგრად თუ არ დავუდექი, გადათელვასაც მიპირებს!“ — ნესტორამ ისევ ჩაახველა მუჭაში, პირისახეზე ცხვირსახოცი მოისვა და წითელმაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდას ბოლთის ცემით წრე დაარტყა. ფანჯრიდან შემოპარული და ფარდებს გამოქცეული მზის სხივები რამდენჯერმე მოტვლეპილ თავზე დაეცა, თავმა სხივები უმალვე აისხლიტა, როგორც ყინულოვანმა პიტალომ, და ამ შუქის ათინათი დარბაზში არიალდა. კედლებზე გაკრული პლაკატები, სურათები და ლოზუნგები ამ სულმილეული სხივით დროდადრო განათდა, გეგონებოდათ, ვიღაც უხილავი არაამქვეყნიურ მკრთალ შუქს ანთებს და აქრობსო.

ნესტორა წუთით შეჩერდა და მერე კბილებში გამოსცრა:

— ესე იგი, მთიდან შენ მარტო თივას კი არ ეზიდები, ასეთ ბურბუშელა აზრებსაც. მარტო ბალახს კი არ თიბავ, სხვა რამესაც უქნევ ცელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუხა გაუჩუმდა. ახლა იგი ხელებჩაშვებული დგას ქანდაკებასავით, თვალსაც კი არ ახამხამებს. ელოდება, ნესტორა ახალ შემოტევას როდის დაიწყებს.

ნასტორა კი აღარ ჩქარობს. ხელებს ხან ღიპზე იწყობს ჯვარედინად, ხან ზურგზე შემოიდებს ხოლმე და თითებს თითებში უყრის, თითქოს საკუთარ ხელებს თვითონ ინასკვავსო. ბოლთას სცემს და მსუქანი, დაკიდებული ღაჟღაჟა ლოყები უთახთახებს.

— მაშასადამე, შენი აზრით, მე მოგონილი კაცი ვარ და სოფელს არ ვჭირდები.

— დიახ. მე თუ მკითხავენ, ასეა. — არ დაუმალა ტუხამ.

— აბა, ვის ვჭირდები, თუ კაცი ხარ, უფრო გარკვევით ამიხსენი.

— ვიღაცეებს.

— რას ამოიჩემე ვიღაცეები? ვინ არიან ეგ ვიღაცეები?

— ჩემზე უკეთ იცი. ზედმეტი ლაპარაკი არ მიყვარს.

— ვაი შენს პატრონს! — მკვახედ ესროლა ნესტორამ.

— ჩემს პატრონს სავაიო არაფერი სჭირს, ვაი შენს პატრონს! — დაუბრუნა ტუხამ. მის სიტყვაში სიბრალული უფრო ერია, ვიდრე გულმოსვლა ან ზიზღი.

უხილავმა არაამქვეყნიური შუქი აანთო და ჩააქრო. კედლებზე გაკრულ სურათებს ახლა დროდადრო ისეთი ელფერი დაედო, მომაკვდავი რომ გაიღიმებს.

— გვებრძვი, ვაჟკაცო?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავის ვებრძვი, შენც კი აქ თვითონ რომ არ მოგეწვიე საკამათოდ, ჩემით არც არასოდეს მოვიდოდი. დიახაც, არ მომწონხარ, მაგრამ, რა ვქნა, მხოლოდ გაგირბივარ... არ მინდა შენს ახლომახლო ყოფნა. ამას თუ ბრძოლა ჰქვია, ასე ნამდვილად გებრძვი... ცარიელი ხელებით. თავიდანვე ხომ დამკითხე ჩინებულად? ხომ გაიგე, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებდა და ხომ დაიმშვიდე გული?

— რა გავიგე?

— არავითარი იარაღი რომ არა მაქვს არც შინ, არც გადამალული. თოფ-ზარბაზნის კაცი არა ვარ. ტყვიას და ყუმბარას მე არავის ვესვრი. ცელია ჩემი ერთადერთი იარაღი და ამ ცელს სხვისი კი არა, ჩემი სისხლიც არასდროს მოსცხებია. ნადირის მოსაკლავადაც კი არასდროს შემართულა. ჩემმა ცელმა მხოლოდ ბალახის თიბვა იცის და ისიც მიუდგომელ ადგილებში.

— კი, ბატონო, თუ, ვთქვათ, ჩემი გამოისობით არ გინდა კოლექტივში მუშაობა, მაშინ მიბრძანდი, სადაც გენებოს, ოღონდ ბერხევს კი მოშორდი. წადი სხვებივით ქალაქში.

— არსადაც არ წავალ. ქალაქში რა დამკარგვია.

— ყველა ქალაქში გარბის და შენ ვითომ ვისზე ნაკლები ხარ?

— არ მაინტერესებს ქალაქი, არ არის იქ ჩემი ადგილი. ყველაფერს რო თავი დავანებოთ, დედას ვერ მივატოვებ მარტო. ქალაქმა მიწის დავიწყება იცის, მიწის დავიწყებამ ბევრი სხვა რამის დავიწყებაც... ზოგ შვილს დედაც ავიწყდება თურმე... ჩვენშიდაც გამრავლდნენ ასეთი დედები, შინ მარტო რომ დაფრატუნობენ და შვილებს სიზმარშიღა ხედავენ. იქნებ არც გაგიგია, ამ ზამთარს მუხლეთში რაც მოხდა.

— მუხლეთის ამბებისთვის მცალია სწორედ.

— ერთ შვიდშვილიან დედას ყველა შვილი ქალაქში გაქცევია და მთელ უბანში მარტოდმარტო დარჩენილა. ზამთრის ერთ დღეს ძროხის მოსაწველად შესულა ბოსელში, იქვე ღორიც ჰყოლია დამწყვდეული და კარი შიგნიდან ურდულით ჩაუკეტია — არ გამექცესო მერე, ეტყობა, წველისას ქალს ძროხამ თავში წიხლი ჩაარტყა და მოკლა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გვიანობამდე ვერავინ გაიგო, ჰოდა, კარდაკეტილ ბოსელში ღორს ძალიან რომ მოშივდა, შეჭამა ის უბედური ქალი. ქალაქს რო ვინმე

მიხსენებს, მაშინვე ეს ამბავი მაგონდება. არ მინდა ბერხევსაც ასეთი დღე ეწიოს, შენი ეჩოკაცობით შეწუხებული ხალხი აქედან სულ გაიქცეს და სოფელი დაიცალოს.

— ბიჭოს, თურმე ისიც მხოლოდ ჩემი ბრალი ყოფილა, ქალაქში რომ ხალხი გარბის.

— შენი ბრალიცაა. ვისაც შენ არ მოსწონხარ და სიმართლის თქმას გაგიბედავს, ყველას ეშუღლები და დევნი, იძულებულს ხდი აქაურობას გაეცალოს. იმიტომ დარჩა ბერხევში ცოტა მუშახელი. კვლავაც თუ ასე გაგრძელდა, კოლექტივში ბენიასთანების გარდა არავინ შეგრჩება, ყველა აქეთ-იქით გაგეფანტება და მოკვდება სოფელი. ყველა სოფელი თუ მოკვდა, ქალაქიც მოკვდება. აი, მე კი ბერხევიდან არსადაც არ წავალ, აქ მინდა ყოფნა და დავრჩები კიდეც.

აინთო და ჩაქრა მელოტი თავიდან ასხლეტილი შუქი. ორიოდეჯერ ჭადრაკულმა ცხვირსახოცმაც გაიფრიალა.

— ოქშოტო, თავქარიანი ინდიკო დავლიანიძის ბეუტურს აჰყევი? იმ ბედოვლათმა წაგაქეზა ასე ხომ?

— არავითარ სხვის წაქეზებას არ ავყოლივარ. სხვისი კარნახით მე არაფერს ვაკეთებ. რატომ გგონია, ნესტორა, რომ მე ჩემი თვალი, ყური და ჭკუა არა მაქვს? მხოლოდ იმას გეუბნები, რასაც ჩემი თვალით ვხედავ და ჩემი გუმანით ვგრძნობ. ადრე, სანამ სოფელში სალეწ მანქანას მოიტანდნენ, კალოობისას კევრში შებმულ ხარს პირს ტკეჩით დაწნული სატუჩარით აუკრავდნენ უეჭველად — თავთავი რომ არ შეეჭამა. ზოგ ბერხეველს ასეთი სატუჩარი თუ პირბადე ახლაც მოუხდება, ქვეყნის ქონება რომ არ ჭამოს თავის ნებაზე.

— ჩამოღერღე ბარემ, ვის გულისხმობ მაგ ზოგში? ვის სჭირდება ბერხევში ეგ შენი ტკეჩის სატუჩარი თუ პირბადე?

— ყველა მოგონილ კაცს.

— ერთი, ესე იგი, მე ვარ, დანარჩენი ვიღაა?

— ხუთიოდე კაცი, შენი დამქაში. ეს ხუთიოდე კაცი ინელებთ მთელი კოლექტივის ქონებას — თავმჯდომარე, საწყობის გამგე, ბუღალტერი, ფერმის გამგე და აგრონომი. ყველაზე მსუნაგი კი შენა ხარ. დანარჩენები შენ გბაძავენ, ყველა შენ წაახდინე!

ტუხას პირდაპირმა სიტყვამ თავმჯდომარეს მწარედ გაჰკენწლა გულზე, მაგრამ მაშინვე არ შეიმჩნია, აქაოდა, შენს ნაბოდიალებს არაფრად ვაგდებ, ვინაიდან მართალს არაფერს ამბობო, ტუხას ერთი შემრიგებლურად გაუღიმა კიდეც და იქვე გაუწყდა მოთმინების ძაფი, ვეღარ მოერია თავს, მოჩვენებითი სიმშვიდე ვეღარ შეინარჩუნა, პირისახე მოენგრა და ქვედა ტუჩი განზე გაექცა.

— რაც შეეხება შენს ათვალისწუნებულ ინდიკოს, — მშვიდად განაგრძო ტუხამ, — სულაც არ ბეუტურობს, დიახაც, რომ სოფლისთვის ნამდვილად შესტკივა გული და ყოველთვის სიმართლეს ამბობს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს.

— ინტრიგანი, ცილისმწამებელი და ხალხისთვის გზა-კვალის ამბნევია ეგ შენი ინდიკო. ამას მარტო მე არ ვამბობ.

— ინდიკოსთანა პატიოსანი, ალალმართალი და ნამდვილი საქმის მოყვარული კაცი ბერხევში არ დადის, ნეტავ კი ეს ადამიანი იყოს აქ შენს ადგილას, მაშინ ნახავდით, კოლექტივში რა გულიანადაც ვიმუშავებდი.

— ახლაც იმუშავებ.

ტუხამ თავი გადააქნია:

— არა-მეთქი. უსაქმოდ გაჩერება ჩემთვის სიკვდილია, მაგრამ არც ის შემიძლია, შენისთანებისთვის გავისარჯო.

— მაგ ჭკუას ციხის კედლების ლესვა მოუხდება.

— წამიყვანეთ, სადაც გნებავთ, ყველგან იმას ვიტყვი, რაც დღეს აქა ვთქვი. ძალიანაც გინდა ჩემი მოშორება, მაგრამ სანამ შენისთანები სოფლის თავკაცებად იბოგინებენ, არც კოლექტივში ვიმუშავებ და არც სოფლიდან წავალ სადმე.

— კიდევ, კიდევ რას იტყვი?

— სხვათა შორის, მე არც ის მომწონს, ერთობ რომ გამრავლდით მეთვალყურენი: ერთი ნამდვილად მუშაობს, ათი მეთვალყურეა. თუ მაინცდამაინც საჭიროა მეთვალყურე და ნამუშევრის აღმრიცხველი, უშუალოდ საქმის მკეთებელ მუშაკაცზე მეტი მაინც არ უნდა იყოს.

— ჰმ! — ნესტორამ მსუყედ ჩაახველა მუჭაში და ცხვირსახოცი ააფრიალა.

ისევ აანთო და ჩააქრო უხილავმა არაამქვეყნიური შუქი. ამ შუქმა წამით ტუხას მშვიდ პირისახეზეც კი გადაირბინა და უფრო მკვეთრად გამოაჩინა ჭრილობის ნაკვალევი ცალ წარბზე.

თავიდან ამას როგორ წარმოიდგენდა ნესტორა, თუ ტუხასთან ასე გაუმწვავდებოდა კამათი. ეს აყლაყუდა ფიზიკურად რომ ძლიერი იყო, კარგა ხანია იცოდა, მაგრამ თუ ასეთი კამათიც შეეძლო, რას იფიქრებდა. ადვილად ირწმუნა, ტუხას ჩემს ჭადრაკულ ცხვირსახოცს ორიოდეჯერ ცხვირწინ ავუფრიალებ, სამიოდეჯერ გავულიმებ და თამაშს მოვიგებო. ასე იოლ გამარჯვებას ელოდა, ახლა კი, მგონი, თვითონ მარცხდება, თანაც სასტიკად.

რა ადვილად დაიჯერა ნესტორამ, ტუხას სული ჩემს ხელშიაო. რა დაგიკარგავს, რას ეძებ: თურმე სულის ხელში დაჭერა არც ისე იოლი ყოფილა. ახლა ნესტორას მხოლოდ ჭადრაკული ცხვირსახოცი უჭირავს ხელში, ისიც დაჭმუჭვნილი. ეს კი სულაც არ არის ტუხას სული.

რაც უფრო ჩაუფიქრდა ნესტორა ტუხას სიტყვასაც და საქციელსაც, უფრო ცუდ გუნებაზე დადგა. ეს სულ სხვა იყო, ვიდრე ინდიკო, სულ სხვა. გააკვირვა მისმა სითამამემ და შეაშინა კიდეც. მაგრამ რაკილა თვითონ მოიწვია ბიჭი აქ, ასე თუ ისე, ჯერჯერობით კამათს თავი არ უნდა დაანებოს, ბოლომდე მიჰყვეს და გაიგოს, რას ფიქრობს კოლექტივისგან განდგომილი ეს აყლაყუდა. ერთი გაბრძოლებაცაა საჭირო, თავი რომ არ იგრძნოს სამარცხვინო დამარცხებულად.

— შენ, ჩემო ტუხა, დავრწმუნდი, გვარიანი შტერი ხარ, ციდან ჩამოფრენილი შტერი, ამ ქვეყნიერების არაფერი გაგეგება. ან — განგებ იშტერებ თავს, თაღლითურად, რომ სხვები გააყეყეჩო... როცა გჭირდება, კაი ეშმაკიც ხარ.

— მე ვარ ეშმაკი და შენ ანგელოზი? ვაი, თუ სადმეა, რატომ არ გაიცინებს ღმერთი!

— ჰო, კაი ეშმაკი ხარ შენს სასარგებლოდ, ჭკვიანიც.

— ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

— იცი, რას გეტყვი, ბაიყუშო? ენას ეგ თოხა კბილები მაგრად დააჭირე, კერძო თიბვას თავი დაანებე და ახლავე გაჰყევი ბრიგადირს სამუშაოდ, თუ არა, გიშეორებ, ციხეში ჩაგაყუდებ. კი, ასე ვიზამ.

— ვერ ჩამაყუდებ! მუქთახორა ვარ? არა. სხვებივით ვინმეს ლუკმას ვაცლი პირიდან? არა. ზარმაცი ვარ და მხართეძოზე წამოწოლილი ჩრდილში ვნებივრობ? არა. ვინმეს რამეს ვპარავ ან ყაჩაღურად ვართმევ? არა. სხვის ნაოფლარს ვჭამ არმად, ან ზოგიერთივით ვაჭრუკანული ხრიკებით ვმდიდრდები? არა. ავსა და უკეთურ საქმეზე ვხარჯავ ჩემს მარიფათიან ძალ-ღონეს? არა. ერთადერთი, მზისა და მიწის შვილ ბალახსა ვთიბავ. ამას მიშლით? თიბვა რომ მიყვარს, ამას მიშლით?

— თიბვას არავინ გიშლის. გააჩნია, ვისთვის თიბავ. კოლექტივში, კი, ბატონო, თიბე სადაც გინდა და რამდენიც გინდა. ყველამ შენსავით კერძოდ რომ დაიწყოს თიბვა, ეჰეი, სად წავა!

— ვერ დაიწყებს. იმ მიუვალ მიდამოებში სათიბავად ჩემს გარდა ჯერ არავინასულა, ვერც ავა.

— ეგ მაინც კერძო თიბვაა. მორჩა! შენთვის მეტი აღარ მცალია. წადი, ბენია გელოდება ეგერ, ნუ აცდენ!

— არ წავყვები.

— რამდენჯერ გაგიმეორო, სანამ შენ აქ იპარპაშებ, ბრიგადაში არ ვიმუშავებ.

— რა უფლებით?

— მე ჩემი შრომა-გარჯით მოპოვებულ ლუკმა-პურსა ვჭამ, შენსავით სხვას კი არ ვაცლი პირიდან. მე თუ მკითხავენ, ციხეში ჩასაყუდებელი შენა ხარ.

— მემუქრები კიდეც, ბიძიკო? ვინაიდან კერძო თიბვას გიშლი, გამოდმაც მედავები?

— დიახ, იმიტომ გედავები, კერძო თიბვას რომ მიშლი... კერძო თიბვასაც და თაღლითობასაც. ბოლოს და ბოლოს, ვერ გაიგე, ამ თიბვას ჩემს აწინდელ ცხოვრებაში გარკვეული მიზანი რომ უძევს? წელან მართალი არ ვიყავი, რომ გითხარი, ქალაქში რა დამკარგვია-მეთქი. დიახაც, ვაპირებ წასვლას... უმაღლესში სასწავლებლად და... 

თავმჯდომარემ ყურები დაცქვიტა:

— კი, უმალვე მოგართმევენ ხონჩით! ჰკუათხელო, ჯერ საშუალოც არ დაგიმთავრებია, უმაღლესში ვინ შეგასუნებინებს?

— საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის შოვნას რა დიდი ამბავი უნდა, კოლმეურნეობის საწყობიდან უფაქტუროდ გამოტანილ თაფლსა თუ ყველს ბლომად მივართმევ ყოველ კვირაში მასწავლებლებს და ერთ პატარა ქაღალდს დამამადლიან, ატესტატი რომ ჰქვია?!.

ნესტორამ ახლაღა იყნოსა, ტუხა სიტყვას საითაც ეგრიხებოდა და მიახალა:

— არა გძინავს და რას ბოდავ!

— დამაცა, ნესტორა, სიტყვა ენაზე ნუ შემაწყვიტე! შენც იცი, ქალაქში ბინა არა მაქვს, სტუდქალაქში ცხოვრებაც მეთაკილება, ჰოდა, ასე უსაშველოდ ბევრს იმიტომ ვთიბავ, ნაწილს გავყიდი და თბილისში ორთვალიან სახლს ავიშენებ, ნახევარი მილიონის საღირალ თივასაც იმ ხალხს შევაჭმევ, უმაღლესში ჩარიცხვის ამბები რომ უნდა მომიგვაროს...

— წადი, წადი, გამოიძინე კარგად!

— მე გამოძინება არ მაკლია.

— ჭკუა გაკლია შენ. აქამდე მარტო ჭკუათხელი მეგონე, შურიანი და ბოროტიც ყოფილხარ, შხამიანი უხსენებელი!

— რამ აგიკორკოტა ეგ გული? ისეთი რა გაკადრე? იქნებ ვერ მიმიხვდი და მრუდედ გამიგე, რაც გითხარი? ჰო, მართლა! წელან რომ წამომცდა, კოლმეურნეობის მთელ ავლადიდებას ხუთიოდე კაცი ჭამთ-მეთქი, მთლად მართალი არ ვიყავი. სხვასაც აჭმევთ, ზევით, რომ თქვენი საქმეები მშვიდობიანად მოაგვაროთ და აქაური ჭამის გამოც არავინ შემოგწყრეთ. ხოლო ვინც დარსა და ავდარში, ყინვა-ყიამეთსა და თაკარება სიცხეში მიწაზე თავწაღუნული მუშაობს, იმას ბუს კვერცხები...

— რამდენს მიბედავ, ტყუილების გუდავ!

— რა გითხარი ტყუილი?

— უცხომ რომ მოგისმინოს, მართალი ეგონება. — საუბრის შერბილება და სხვა გეზით წარმართვა არჩია ნესტორამ, რაკი სიმკაცრით და დაშინებით ვერაფერს გახდა. — გაჩუმდი, ბიჭო! სუ! სუ!

დააგვიანდა. ტუხას შეჩერება აღარაფერს შეეძლო. კარგა ხნის დაგუბებულმა სათქმელმა სადინარი იპოვა და მონიაღვარდა.

— დამიმტკიცე, რომ თუნდაც ერთი ტყუილი ვთქვი და სამარის ლოდივით დავდუმდები. ხალხს ლუკმას არ აცლი პირიდან და სხვებს არ აჭმევ, რომ შენც არ დაგიშალონ ჭამა?

— გამოდმა ნუ მედავები-მეთქი. შენ უფლება არა გაქვს, ჩვენს დაუკითხავად თუნდაც ერთი მუჭა ბალახი მოთიბო. შენ კერძომესაკუთრე ხარ და ამისთვის დაისჯები კიდეც. არსებობს ამის სათანადო კანონი.

— ძალიანაც კარგი, თუ ყველა მესაკუთრე დაისჯება. ოღონდ, ისიც კარგი იქნება, თუ დაკვირვებით განვსჯით, ვინ არის ნამდვილად კერძომესაკუთრე. თუ ჩემს სასახლესა და შენს პატარა ოდასახლში შევიხედავთ, ყველაზე უკეთ აქ ჩანს, რომ მე კერძომესაკუთრეობით გამდიდრებული ბობოლა ვარ, შენ კი საქვეყნო საქმისთვის თავდადებული ნამდვილი ადამიანი. ამიტომაც, რა თქმა უნ-

და, კერძო მესაკუთრე დროულად უნდა დაისაჯოს და ძალიან მკაცრადაც, სხვები რომ არ აჰყვნენ. აი, ხომ ხედავ, ამ საკითხში ნამდვილად გეთანხმები, ჩემო ჭკუის დამრიგებელო უწმინდესო კაცო. ბოდიში, ნესტორა, აქ სალაპარაკოდ მეტი აღარ მცალია, ახლაც მთაში მიმეჩქარება და თუ ძალიან გაინტერესებს შენი თვალით ნახო ჩემი მამაძაღლობა, წამომყევი. არ გაინტერესებს, ხომ? მაშინ ისევ მარტო წავალ. — ტუხამ ნესტორას მოტვლეპილ თავსა და ჭადრაკულ ცხვირსახოცს ერთი ირიბად გახედა, მშვიდად შეტრიალდა და წავიდა.

კრიჭაშეკრულმა ნესტორამ მღვრიე თვალებით გააცილა თავისივე მოწვეული სტუმარი.

„ვითომ ინდიკო დავლიანიძე არ მყოფნიდა, გამომიჩნდა კიდევ ახალი თეთრი ყვავი! ისე უჭირავს თავი, თითქოს ამ სოფელ-ქვეყანაში ყველაზე ღონიერიც და გონიერიც მარტო თვითონ იყოს. ტუხუნია აყლაყუდა, ვის უბედავ ასეთ ურჩობას, თუ იცი, ვის? გეტყობა, ნესტორა ჩიხრაძეს ჯერ კარგად არ იცნობ! მე იმდენი დამცველი და ქომაგი მყავს, რო... შენ კი საქმე საქმეზე რო მიდგეს და გაგიჭირდეს, ვინ მოგეშველება? კაფანდარა დედაშენი? მყეფარა ინდიკო და ათიოდე ბერხეველი, მეტი ხომ არავინ? კაი, ბატონო, ვიდავოთ სიტყვითაც და საქმითაც!.. თუმცა!.. — აქ ისევ გაახსენდა ნესტორას, ტუხასთან დავამ რა დღეშიც ჩააგდო და შეუშინდა ფიქრი — ნეტავ დღესაც არ მედავა! გულის გამწარების მეტი არაფერი შემრჩა. ზოგჯერ გაჩუმება უფრო სახეიროა, ეტყობა...“

თიბოს იმ მიუვალ მთებში ტუხამ, კაცმა რომ თქვას, ვის რას უშლის? ნესტორა აღარ შეედავება ტუხას აღარაფერზე. ისეთი მოურიდებელი თავხედია ის აყალყუდა, თავის ვითომდა სიმართლეს ხალხშიც წამოაყრანტალებს, ხალხი კი ისეთია, თანდათან იქნებ აჰყვეს კიდეც. აუტკივარი თავი რატომ აიტკივოს? დროებით, გარკვეულ მომენტამდე იაროს ტუხამ თავის ნებაზე და იქნიოს ცელი. ათიოდე ზვინს თუ თვითონ მოიხმარს, ოჯახში, ასორმოცდაათს სხვებს დაურიგებს. მართალია, კოლმეურნეობის ფერმას არ მიართმევს, მაგრამ სოფლის ძროხები კი შეჭამენ.

„ის ძროხებიც ხომ რძეს მე მოცემენ? უშუალოდ მე კი არა, თავთავიანთ პატრონებს, მაგრამ ის ოჯახები ჩემი კოლმეურნეობის ხალხი არაა ძირითადად? ჰეშმარიტად: ტუხა საერთო დოვლათს კი არაფერს აკლებს, პირიქით, უმატებს. თიბვას თუ დავუშლით, სხვები მეტს იზარალებენ, ვიდრე თვითონ“.

ნესტორა აქ უნებლიეთ თავის თავსაც გამოუტყდა იმ ურჩი ბიჭის სიმართლეში და გაახარა ამ უეცარმა აღმოჩენამ, ცხვირსახოცი ხელის აქნევით შეაფრიალა და პირისახეზე სიამოვნებით მოისვა.

„ბიჭოს, რა კარგ რამეს მივაგენი?! თუ ვინმე მისაყვედურებს, ასეთი კერძომესაკუთრე კაცი სოფელში თავის ნებაზე რატომ დაგიდიხო, სწორედ ასე ვიმართლებ თავს. ჩვენს დროში ადამიანი როგორადაც არ უნდა განუდგეს სოფელს, ქვეყნიდან მოწყვეტილად ცალკე ვერ იცხოვრებს. კაცმა რომ თქვას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ტუხა კოლმეურნეობის წევრადაც არ მიწერია. თვითონ არ შემოუტანია განცხადება და... მის საქციელზე პასუხს მარტო მეც არ ვაგებ. თიბოს, თიბოს, თიბოს! ჯანდაბას მისი რეტიანი თავი!“

კაბინეტში ბენია შემოცუნცულდა, ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ჩაჩაჩული შარვალი აიწია და თითქოს აქამდე არაფერი გაუგონიაო, შეპარული ხმით იკითხა:

— რაო, იმ სახეძაღლმა?

— უშნოდ დაიქოქა და რაღაცები იტლიკინა. ხომ იცი, დამნაშავე ყოველთვის ბევრს ლაქლაქებს, თავი რომ იმართლოს.

— ბოლოს შენებურად ხომ მოიყვანე ჭკუაზე? ოხტში? — შარვლის სათავე აიწია ბენიამ.

— წასულია ხელიდან. ჩვენ მაგის მომრჯულებლები აღარა ვართ.

— მართლა?! მომიკვდეს თავი! მე კი ისე მქონდა იმედი, რავარც დაგიბარებია, აქედან პირდაპირ ზვარეში წავიყვან-მეთქი.

— გაუშვი, მაგის პატრონის დედაც!.. წინ წყალი და უკან მეწყერი მაგის გზა-კვალს! სულელია, რა ველაპარაკო. გიჟს გზაზე არ უნდა გადაუდგე. უჩვენოდაც მოუვლიან მალე... მანამდე კი, ჯანდაბას, თიბოს იმ მიუვალ მთებში, მაგის კერაზე კი ამოვიდეს გასათიბი ბალახი! წადი, ბენია, შენ მაინც ნუ მოსცდები საქმეს!

დრო-ჟამისაგან გახუნებულ-გაყვითლებული პლაკატებით, ლოზუნგებით და სურათებით კედლებაჭრელებულ დიდრონ დარბაზში, მოშლილი რადიოს და გაფუჭებული ტელევიზორის მეზობლად მარტო დარჩა ნესტორა.

მესამე დღეს რცხილნარით დაჩრდილულ მთის ალმაცერ ბილიკზე მიმავალ ტუხას მოჟღურტულე პატარა ღელესთან ინდიკო დავლიანიძე შემოხვდა.

— ვაჟკაცს გაუმარჯოს!

— ინდიკოს სიცოცხლე!

ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს. ეს კაცი ტუხას ხელის ჩამორთმევას სულაც არ ერიდება, აქაოდა, თითებს მატკენსო. თვითონაც ნიჩაბივით ფართო, მსხვილთითება ხელი აქვს.

— რაო, ნესტორა თავმსხვილამ, ინდიკო გაგულიანებსო? — სქელ შავ ულვაშებზე ცერი გადაისვა მწყემსმა და მზით დამწვარი, ხორბლისფერი პირისახე ღიმილით გაებადრა.

— უკვე მოგიტანეს ამბავი?

— შე კაცო!

— მე და ნესტორა მის კაბინეტში ჩაკეტილები მარტო ვკამათობდით და...

— მოანგარიშე კოკონას ყურის დაუჭერელი რა ხდება კანტორაში, ეს რომ გამოჰპარვოდა?! თურმე იმასაც კი იგებს, ვინ რას ფიქრობს. იმ სულძაღლმა მართლა ასე გითხრა?

— კი, ინდიკო გაქეზებსო.

— ჰო, მაგისი კეთილები!.. ვისაც ნესტორას მამაძაღლობა არ მოსწონს, ჰგონია, ყველას ინდიკო აქეზებს, თითქოს ხალხს თავისი თვალი არ უჭრიდეს და საკუთარი მიხვედრილობა არ გააჩნდეს. კაი ვქენი ბერხევიდან სხვებივით რომ არ გავიქეცი. გუშინ ერთი შეებრძოლა, დღეს — მეორე, ხვალ მესამე აუბამს მხარს, ზეგ მეოთხე, მე ვიტყვი სიმართლეს, შენ იტყვი, ის იტყვის და, ეტირება ყოფა! ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, ამოვდებთ პირშ ლაგამს, თუ არა, ნამეტანი გაუვიდა თავს, მშიერი მგელივით აღარავის ერიდება. აგაშენა ღმერთმა, იმედი მომეცა, მარტო რომ აღარა ვარ. შენისთანა მოკავშირე რომ ადამიანს გაუჩნდება, ნამდვილად სასიხარულოა. ოღონდ, ბიჭო, შენ მე ცოტაც შემაფიქრე, ხომ იცი.

— რითი შეგაფიქრე, უზნეო ჩავიდინე რამე? — გაუღიმა ტუხამ.

— არა, უზნეო შენ რა უნდა ჩაგედინა. აი, ნესტორას რომ შეეჭიდე, ეს, დიახაც, მომწონს, ოღონდ, შენ რომ ბრძოლის გზა აირჩიე, ვერ გეტყვი, რამდენად მართალია. ვაითუ, ზოგმა სხვა რამედ მოგინათლოს და... ერთად ხომ არ გვემწყემსა ფერმის საქონელი? თანაც ერთად ვთიბავდით... ჭრელია ქვეყანა...

— ვერა, ბიძია ინდიკო. შენს მოკავშირედ და ფიქრის მოზიარედ მიგულე, მაგრამ... მე ჩემი ფიქრის კაცი ვარ... შენც იცი, ჩემი ნათქვამი სიტყვა ღმერთად მწამს და ამ ღმერთს ვერ ვუღალატებ. როგორადაც არ უნდა მონათლოს ვინმემ ჩემი საქციელი, გინდა პოხონდრია დაარქვას და გინდა სხვა რამე, მოვკვდები და სიტყვას არ გადავალ. რა ვქნა, ჯერჯერობით ბრძოლის უკეთესა გზა ვერ გამოვნახე... თვითონ ნესტორასაც ვუთხარი და, აგერ, შენც გეუბნები, ბიძია ინდიკო, საძრახის საქმეს არაფერს ჩავიდენ, დანარჩენად კი, სანამ ნესტორა სოფლის თავკაცად იბოგინებს, ბრიგადაში სამუშაოდ არ გავალ, ისიც არამია, დედაჩემი რომ მუშაობს. ჩემისთანებმა იმუშაონ და ნესტორასთანებმა ჭამონ? რატომ? რატომ? რატომ? ადამი-

ანის პირველი ბედნიერება, მე რომ მკითხონ, ის არის, როცა კაცი იმ საქმეს აკეთებს, თვითონ რომ უყვარს. ბერხევს მე ვერ მოვშორდები უსიკვდილოდ. არ მწადია ქალაქში წასვლა და ვაკეთებ იმას, რაც სულით და გულით მიყვარს... აი, შენისთანა პატიოსან და სამართლიან კაცს თუ დააყენებენ ბერხევის თავკაცად, მოვკვდე, თუ იმ დღესვე არ გავიდე კოლექტივში სამუშაოდ და ცხრა კაცის საქმე არ გავაკეთო. — ახლა კი — ვერა... — ტუხა გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ იკითხა, — შენ ეს მითხარი, ბიძია ინდიკო, იმ დაკარგული ხარების კვალს ვერსად მიაგენი?

— ეჰ, ჯერ ვერა, მაგრამ იმედსაც არა ვკარგავ. შეუძლებელია, ამხელა ორი ხარი ნემსივით მთლად უკვალოდ დაიკარგოს. დრო უეჭველად გამოაჩენს ქურდსა და ყაჩაღს. ვიღაცას რაღაცა წამოსცდება სადმე. ო, ერთი ის გამაგებინა, ვინ მომპარა და მერე თუ მოვკვდები, ჯანდაბას! დღეს ვის უთიბავ?

— მოვთიბავ და, ვისაც დასჭირდება...

— ჰო, კარგად მეყოლე, კარგად! შენს გვერდით მიგულე ყოველთვის!

ინდიკო ბილიკს თავქვე დაუყვა, ტუხამ მთას მიაშურა.

## დანის ამაო შიში და ხანძრის ამაო ელდა

ბენიამ ახალი ამბავი ძვირფასი მოსაკითხივით მიუცუნცულა თავმჯდომარეს თავის კაბინეტში:

— გვიხაროდეს, გვიხაროდეს, გვიხაროდეს ჭეშმარიტად! ტუხამ სამხედრო კომისარიატიდან ჯარში გაწვევის უწყება მიიღო.

— ხომ ვთქვი, მალე უჩვენოდ მოუვლიან-მეთქი! — ნესტორა მეცხრე ცას ეწია სიხარულით, ურჩ ბიჭს ახლა კი ნამდვილად მოვიშორებო.

მის დიდ სიხარულს მეორე დღესვე ცივი წყალი გადაესხა — ტუხა შინ თეთრი ბილეთით დაბრუნდა.

გადაირია დაეჭვებული ნესტორა: ამ საქმეში ქრთამი ან რაღაც სხვა ეშმაკობაა გარეულიო, უმალვე თავის „კოლხოზნიკს“ მოახტა და ღარულაში გაჭენდა.

ასეთი აყლაყუდა ხალხი, თანაც ბრტყელტერფიანები მშვიდობიანობის დროს ჯარში არ მიგვყავსო, აუხსნა კომისარმა.

აქ იმედგაცრუებულმა კაცმა კიდევ უფრო ჩამოყარა ყურები — ეს რა მოუშორებელი ჭირი გადამეკიდაო.

სწორედ იმ ხანად ბერხევს ცირკი ესტუმრა. ვინაიდან უკლუბო სოფელი დახვდათ, სახელდახელო კარავი სკოლის ეზოში დასცეს და წარმოდგენაც იქვე აჩვენეს — ღია ცისქვეშ. ამ წარმოდგენის ნახვის შემდეგ ტუხას ერთი რამ დასჩემდა: ხმელ ხეზე პატარა წრეს შემოხაზავდა და ოცდაათიოდე ნაბიჯიდან ესროდა შავტარიან დანას. ისე გავარჯიშდა, დანის წვერს დანის ნაწვერალშივე არჭობდა. ტუხას ნადირობა არ უყვარდა, ავი ზრახვაც არასოდეს სდებია გულში. ბავშვობისას შურდულის სროლისა არ იყოს, მოსწონდა, დანას მიზანში ზუსტად რომ ახვედრებდა, ეგ იყო და ეგ. ტუხა ცირკობიას თამაშობდა.

ნესტორამ ეს ამბავი მალე გაიგო და ელდანაცემს ფერფური ეცვალა. შიში მხოლოდ ცოლს გაანდო საიდუმლოდ:

— გაიგე, ქალო? თურმე ტუხუნია ბებუთის სროლაში ვარჯიშობს. მთელი ჩვენი ოჯახი სძულს. ჰოდა, რა იცი, როდის რა ოფოფებსააფრენს. ადგება ერთ დღეს, ოციოდე ნაბიჯზე ჩაგისაფრდება, დაგიმიზნებს იმ შავტარიან ბებუთს და პირდაპირ გულში გაგიყრის. დანას რევოლვერივით ხმა კი არა აქვს, ძეხორციელი ვერაფერს გაიგებს. რა ვიღონოთ, ჰა?

— ვაი, შენს პატრონს, ტყუილად ხარ ამხელა კაცი? ერთ ხულიგანს ვერ მოა-

შორებ სოფელს? არისტო ტყუილად არის შენი ძმობილი?

ნესტორამ მეორე დღესვე გააჭენა ლარულაში თავისი „კოლხოზნიკი“ და მილიციის თავკაცს შინ მიადგა მოსაკითხით:

— ჩემო არისტო, — მიუკიბ-მოუკიბავად დაიწყო სტუმარმა, — მე და შენ ზოგს ძმებიც კი ვგონივართ, ისე ვგავართ რაღაცეებით ერთმანეთს. ეს ძმობა, მე რომ მკითხონ, უფრო ჩვენი ურთიერთობით გამოიხატება. როცა დამჭირვებია, ყოველთვის გიცია ჩემთვის პატივი და, მგონი, არც მე დავრჩენილვარ ვალში.

— რავა გეკადრება, შენგან მეტი პატივისცემა მახსოვს. უმადური ღორი არა ვარ, — დაიწყო. — შინაური გულახდილობით მიუგო არისტომ. — ახლა რაზე დაგჭირდა ჩემი თავი, ბიჭო?

— ბერხევში ერთი წიხლია მუტრუკი დამირბის, ტუხა ხატეველი, ის უნდა მომაშორო რამენაირად.

— რა გააფუჭა? გაძარცვა ვინმე? მოკლა ვინმე? მოიპარა რამე?

— არა, მაგისთანები ჯერ არაფერი ჩაუდენია, მაგრამ დანარჩენად ყაჩაღის ერთია. ჰოდა, უნდა დაიჭირო.

— შინ ჩუმად ცეცხლის მსროლელ იარაღს თუ ეგულები?

— არ უყვარს იმ ღდინძაღლს. ბებუთი კი აქვს ნამდვილად, გრძელი, შავტარიანი, მგონი, თავისი გაჭედილი, თანაც ისე გალესილი, ბეწვს შუაზე ყოფს თურმე. ბებუთი, რავარც გამიგია, აკრძალულ ცივ იარაღადაა მონათლული. ხეს ესვრის ხოლმე წვერით. სროლა იცის, მტრისას!

— ხე არაფერია. ადამიანისთვის ან პირუტყვისთვის თუ დაუმიზნებია ერთხელ მაინც? თუნდაც ხუმრობით?

ნესტორამ აქ ტყუილის თქმა ვერ გაბედა, იცოდა, არავინ დაუმოწმებდა.

— ჩემო ძმობილო, შენგან დიახაც ბევრჯერ ვარ პატივნაცემი და არც მე მინდა, ვალში დაგრჩე, მაგრამ, თუ ადამიანმა თუნდაც აკრძალული ცივი იარაღი საავკაცოდ არასდროს გამოიყენა, თუ, მაგალითად, იმ იარაღით არც არაფერს აშავებს, დასაჭერად რანაირად მოვდოთ შარი? რაღაცა პატარა მიზეზსაბაბი ხომ გვინდა? ვთქვათ, უბრალოდ მოვუგონეთ და ჩავაყუდეთ ციხეში. მერე? ეს არც ჩემთვის ივარგებს, არც შენთვის. ციხიდან გაბოღმებული გამოვა და ყელს გამოგვღადრავს ორივეს იმნაირივე ბებუთით. ამნაირმა ხალხმა ძალიან იცის გაბოროტება და შურისგება.

— აბა, ვუცადოთ, სანამ იმ ბებუთს გულზე არ დამარჭობს?

— დაგემუქრა, თუ?

— მუქარა არ წამოსცდენია, თუ არა, კაი შენ! გულზე რომ არ ვახატივარ, ვიცი. წინასწარ თუ არაფერი ვიღონეთ, ვაითუ, მერე გვიან იყოს.

— თუ ღმერთმა ქნა და ბებუთით თუნდაც შემთხვევით ვინმეს ხელი გაუჭრა, იმ წუთში შემატყობინე და ერთ წვეთ სისხლს სისხლის მდინარედ მივაწერ... უსაფრთხოებისათვის. ჯერჯერობით კი, ბოდიშს ვიხდი, არ შემიძლია.

მერე ნესტორა სიზმარ-ცხადში ნატრობდა, რა იქნება, ტუხამ ვინმეს თუნდაც წვეთი სისხლი დააღვრევინოსო. „ღმერთო, ერთი მიზეზი, ერთი პატარა მიზეზი და... მერე მე ვიცი!“ — ხშირად იმეორებდა გულში ჰადრაკულ ცხვირსახოციანი კაცი.

ბერხევის მშვიდი საღამო საყვირების ამაზრზენი განგაშით აივსო. სოფელში შემოიჭრა წითელზე წითელი, ჯირკის ნაკვერცხალივით ვარვარა, ჩამავალი და ამომავალი მზისფერი მანქანა. სახანძრო რაზმის უეცარმა გამოჩენამ მთელი ბერხევი გზაზე გამოფინა და აგანგაშა:

— რა მოხდა? ვინ იწვის?

ზუსტად ერთი საათისა და ოცდაჩვიდმეტი წუთის წინ ლარულას სახანძრო რაზმის მდუმარე შენობაში დაჟინებით აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ყურმილი მორიგემ აიღო.

— ბერხევში, ძველ ეკლესიასთან, ნახიდარის მეზობლად საკირეს ცეცხლი

უკიდია. უშველებელი სქელი კვამლი შავ სვეტად ადის ცაში. სასწრაფოდ მიეშველეთ!

არც მორიგე დაინტერესებულა და არც სხვა ვინმე, ვინ დარეკა. არც იყო ამის გამორკვევის დრო. ორიოდე თვის წინათ, ასევე დარეკეს, სოფელ საქორიაში სახლი იწვისო, არ აჩქარდნენ და... ხანძარმოკიდებული სახლის მხოლოდ ქვები გადაარჩინეს. ალბათ, იმასაც ვეღარ გადაარჩენდნენ, ქვა რომ იწვოდეს. რა თქმა უნდა, სახანძრო რაზმს საყვედური სთხლიშეს. დაშინებულებმა ახლა უმალვე გამოაცხადეს განგაში. შედარებით სწრაფად ამოძრავდნენ რკინის მუზარადიანი თავები. რამდენიმე კაცს სიზმარი გაუწყდა, დომინოს მოთამაშეებმა ქვები უწესრიგოდ მიყარეს, ზოგმა შეჩანჩლებული ფართო ქამარი მაგრად გაიჭირა, ახრიგინდა ბრეზენტის ტანსაცმელი და სახანძრო რაზმი ცეცხლისფერ მანქანაზე მოკალათდა. მერე კი გაიქცა ეს მანქანა თავქუდმოგლეჯილივით და ბერხევის ძველ ეკლესიასთან ერთი ბღუილ-ზრიალით მიიჭრა.

ხედავენ რაზმელები, მართლაც უშველებელი კვამლია ასვეტილი წოწოლა საკირის თავზე. არც აციეს, არც აცხელეს, უმალვე მიუშვეს წყლის შადრევნები.

და ატყდა ერთი ბათქაბუთქი. გეგონებოდათ, ზარბაზნები დააქუხესო. ექო ხეობაში რომ ვერ დაეტია, ქედზე გადაგორდა.

— რას შვებით?! — იყვირა ლუხუტამ, რომელიც საკირისკენ მსხვილ შეშას მოათრევდა.

— ხანძარს ვაქრობთ, ხანძარს! ხელს ნუ გვიშლი!

— რა ხანძარს, ხალხო?!

— ვერა ხედავ, საკირეს რო უკიდია! ფეხებში ნუ გვებლანდები!

— საკირის ხანძარი ვინ თქვა, შტერებო?

— თქვენ არ დარეკეთ?!

— რა დავრეკეთ?!.

— საკირეს ცეცხლი უკიდია და მოგვეშველეთო!

— ჩვენ დავრეკეთ?! აი, დიდება შენდა, უფალო! რას არ მოესწრება კაცი! შეჩერდით! შეჩერდით!

— რატომ? არ გინდათ, რომ ჩავაქროთ?

— შტერებო, ბითურებო, საკირეს ცეცხლი უნდა ეკიდოს, აბა, ქვა რაფერ გამოიწვება კირად? ეტყობა, ვიღაცამ იგლახავა, მასხრად აგიგდოთ, თქვენ კი!.. აიღირეთ თავები და გულმოდგინედ გვიქრობთ საკირეს! აბა, მოუსვით აქედან და ეს სიშტერე არსად გამხილოთ მაინც, თვარა თავი მოგვეჭრებათ სამუდამოდ.

ლუხუტა საკირის გავერანებას სწუხდა, ერთი დიდთავა სახანძრო რაზმელი კი ამ დროს სულ სხვა რამეს დარდობდა: ისე სწრაფად გამომაქციეს, დომინოს ქვები ხელში შემრჩა, ჯიბეში ჩავიყარე და აქაურ დავიდარაბაში სადღაც დამეკარგა, იქნებ საკირეშიც კი ჩამიცვივდა და რაღა გვეშველება, სანამ ახალ დომინოს არ ვიყიდით, ვეღარ ვითამაშებთო. ერთი ჯიგრიანად დაიწყევლა, დაიწყეს ამ ხანძრის მომგონიო და მოჭერილი ფართო ქამარი ისევ შეიჩანჩლა. სახანძრო რაზმი შინ ყურებჩამოყრილი გაბრუნდა.

რაზმის უფროსმა ამ ამბავს სათანადო ადგილას თავის გასამართლებლად ფსიქოლოგიური ახსნა მოუძებნა:

— დღე და ღამე გაშტრინკულები ხომ არ ვიდგომებით სმენაზე. ზოგი დომინოს თამაშობდა, ზოგი თვლემდა. ჰოდა, რაც მორიგეს დაურეკეს, ჩვენც ის შევასრულეთ სასწრაფოდ. ხანძარი ისეთი ამბავია, თუ დროზე არ მიეშველე... გარდა ამისა, ხანძარი კარგა ხანია გვენატრებოდა და, მოგეხსენებათ, ადამიანს რაც ენატრება, ის ელანდება კიდეც. ხანძარიო, რო გავიგონეთ, გონმიუცემლად გავფრინდით. ჩასაქრობად. დამნაშავეა ის, ვინც ჩვენ მოგვატყუა.

აბა, სახანძრო რაზმელები თავის უვიცობას და დაუკვირვებლობას ხომ არ დააბრალებდნენ ყველაფერს! იმ დღესვე დაიწყეს დამნაშავის ძებნა, ვინ დაგვირეკაო. ვერ მიაგნეს. ამ შემთხვევაში

ძნელია ჰაიჰარად ვინმეს ხელი დაადო. ბოლოს ნესტორას მიადგნენ: შენი ვარაუდით ვინ იზამდაო?

ნესტორამ ხალხის თანდასწრებით აგდებულად მიუგო სახანძრო რაზმელებს, მე რა ვიცი, გულთამხილავი კი არა ვარო. გუნებაში კი გაიხარა: ეს დიდებული საბაბი მომეცა, საკირის დაწვის დავიდარაბას ჩუმად ტუხას დავაბრალებო და მაშინვე არისტო კორჩიოტაძესთან გაჭენდა თავისი მწვანე „კოლხოზნიკით“. მანქანა, რა თქმა უნდა, წინანდებურად დიდი ძღვენით იყო დატვირთული.

— მიზეზს რომ ვეძებდით, ჩემო არისტო, ა, თავისით მოგვიფრინდა. ტუხუნიას გარდა ასეთ ოინს ვინ მომიწყობდა? ამისთანა სისულელეებისათვის ტუხუნიას მეტს ვის სცალია? სხვა რომ ვერაფერი მომიხერხა, საკირე გაატიალებინა შტერ მეხანძრეებს. ოღონდ ეგ ყალთაბანდი მომაშორე ბერხევიდან და სამაგიეროდ პატივისცემა ჩემზე იყოს, შენი ხმალი და ჩემი კისერი, რა ბეგარაც გინდა, შემომაწერე.

ნესტორას ამყამად დაეთანხმა ძმადნაფიცი არისტო. თავმჯდომარემ ბენიას წინდაწინ დაზვერვის წყალობით შეიტყო, დარიკო სოკოს საკრეფად მთაში წავიდა, ტუხა კი შინ საქმიანობსო. უმალვე დაურეკა არისტოს და...

ეჭემიტანილს თვითონ მილიციის უფროსი მიადგა კარს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ახმახი შაკო მილიციელის თანხლებით:

— ტუხა ხატეველი შენა ხარ?

— მე გახლავართ?! რამ შეგაწუხათ?!

— დაპატიმრებული ხარ!

— დაპატიმრებული?! მიზეზი?!

— იქ გაიგებ. შეკარი ბოხჩა!

— მე არავითარი ბოხჩა არ მჭირდება.

— არ გჭირდება და, გამიძეხი წინ!

ტუხამ ფართო მხრები აიწურა, ნაიარევი წარბი შეათამაშა და არისტოს გაჰყვა.

ტუხა შავი დახურული მანქანით წააგრიალეს და ცალკე საკანში ჩაკეტეს. არისტო მილიციის გამომძიებელს არ დაელოდა, დაკითხვა თვითონ ითავა:

— ჩამოყაჭე, ყალთაბანდის ერთო, რისთვის დაგჭირდა ეს ოინი?

— რა ოინი? — ტუხამ დოინჯი შემოიყარა.

— სახანძრო რაზმი ტყუილ-უბრალოდ რატომ წამოშალე და საკირე გააფუჭებინე...

— მეე?! — პატიმარმა დიდრონი ხელები ფართო მკერდზე მიიდო.

— აბა, მე! ქვეყანამ იცის, რა მამაძაღლიც ხარ. გამოტყდი!

არისტოს ახალთახალი მუქლურჯი კიტელი ეცვა, ორდენების და მედლების ორსართულიანი ჭრელი დუბლიკატებით დამშვენებული. ცალკე დაჭრილობის ნიშანიც ებნია წყვილად. კიტელზე ცინცხალი, ნემსიდან ახლად გამოსული სამხრეები ეკეთა, სამხრეებზე კი, ორზოლშუა, თითო დიდი ვარსკვლავი უბრწყინავდა — მაიორის. აშკარად ეტყობოდა, ღელავდა, ხან ოქროსფერ მობრჭყვიალე ღილებს იწვალებდა, ხანაც ჭადრაკულ ცხვირსახოცს ნერვიულად ისვამდა სამად შეკეცილ, ნაოჭებით მდიდარ კისერზე.

— რამ დაგამუნჯა, ხმა ამოიღე!

— რაც არ ვიცი, რა ვთქვა?

— იცოდე, რამდენადაც გვიან გამოტყდები, მეტ სასჯელს აიკიდებ, გმირთა გმირო!

— ცალი ულვაში ახლავე გავიპარსო საციმბიროდ, თუ... საბოლოო განაჩენს დაველოდო? — გემრიელად გაიცინა ტუხამ.

— სულ ანგლობის გუნებაზე რომ ხარ, მაგან მოგიყვანა ციხის კართან.

— მილიციელთა თავკაცო, მე საიდან დავრეკავდი? შინ იდუმალი ტელეფონი გავიჩინე თუ ცელის ტარში ფარული რადიომიმღები მიდგას? სახანძრო რაზმში რომ შტერებს მოუყარეთ თავი, ტუხა ხატეველის ბრალია? საკირეს რომ ცეცხლი უნდა ეკიდოს ქვის გამოწვამდე, ეს რომელმა ჰკუათმყოფელმა არ იცის? ალუა ბავშვები ხომ არ არიან? ვთქვათ, მართლაც, დაიბნენ და გონმიუცემლად მიაშურეს ბერხევს, საკირეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან რომ მივიდნენ, მაშინ მაინც ველარ მიხვდნენ, ვილაცამ გაგვაშაყირაო? ის მიკვირს. ასეთმა შტერმა ხალხმა უარესი რომ არაფერი ჩაიდინა. თურმე ერთხელ სახლის ქვები გადაარჩინეს მხოლოდ და ის უხაროდათ, დროზე რომ არ მოგვესწრო, ესეც დაიწვებოდაო. მამა ვაცხონე მისი, ვინც დარეკა და ისინი გააპამპულა. ვაი, რომ ამ გამასხარავებას საკირის გაფუჭება მოჰყვა, თორემ თქვენი სახანძრო რაზმი, დიახაც, უარესის ღირსია.

— თავის დოყლაპიობაზე პასუხს ისინი აგებენ, შენ შენს დანაშაულზე აგე პასუხი. ვინ გეხმარებოდა? ვინ ააგულიანე კიდევ?

ტუხამ ნაჭრილობევი წარბი შეათამაშა და ულვაშებზე გადაისვა ხელი, ეს იყო და ეს.

— იცოდე, სანამ არ გამოტყდები, ციხეში გაყურყუტებთ!

— სიზმარში თუ გავიგე, გეტყვით.

ამასობაში არისტომ კიტელის შუაღილი იმდენი აწვალა, ხელში რომ შერჩა, გაუკვირდა, მე შემომაწყდა, თუ უხილავმა ვინმემ მომაგლიჯა და ხელში ჩამიდოო. ღილი ცხვირსახოცთან ერთად ჩაბღუჯა და კბილები გაახრჭიალა.

— იქნებ ისიც უარყო, დანას არ ვისვრიო?

— სიმართლეს არასოდეს ვმალავ, დანას ვისვრი.

— რისთვის? რატომ?

— ისე, ჩემთვის... თვალსა და ხელს ვავარჯიშებ. ხეს ვესვრი. ნედლ ხესაც კი არ ვესვრი, ვაითუ ხემ ტკივილი იცისმეთქი. მხოლოდ ხმელს ვესვრი.

— ო, რა დაქოქილი ხარ. პირძაღლო! გამოტყდი, ვინ გყავს იმ ხედ წარმოდგენილი?

ტუხამ ნაჭრილობევი წარბი შეათამაშა და მცირე დუმილის შემდეგ წაიბურტყუნა:

— ჰიტლერი.

— ჰიტლერი კარგა ხანია ჩაძაღლებულია. კაპუტ ჰიტლერ! თვითონ ვიყავი ბერლინში, როცა ჩაძაღლეს. — არისტომ კვლავ კიტელის ღილს დაუწყო წვალება. — ნუ თვალთმაქცობ!

— მაშინ ასე ვიტყვი: ჰიტლერი და ყველა, ვინც ჰიტლერს ჰგავს.

— ვინ ჰგავს ჰიტლერს?

— არ ვიცი. ჯერ ამაზე არ მიფიქრია.

— ჰიტლერთან შენ არაფერი გესაქმება. დაბადებულიც არ იყავი, ჰიტლერი საიქიოში რომ გაგვექცა.

— ჰიტლერმა მე მამა მომიკლა... იმდროინდელმა ჭრილობამ იმსხვერპლა...

— და ახლა მამაშენის მკვლელ ჰიტლერს ესვრი დანას? სააქაოდან საიქიოში მკვდარს უმიზნებ დანას?

— ჰო, მეშინია, არ გაცოცხლდეს და წინასწარ ვიგერიებ...

— ყოჩაღ! რატომ ომის დროს არა მყავდი ასეულში! კიდევ ვის ესვრი?

— რას ჩამაცივდი, არისტო?! დანას არავის მოსაკლავად არ ვისვრი. ადამიანის სისხლი რომ დავღვარო, მერე რა პირით შევხედო მზეს? ვინმე რომ შემომაკვდეს, იმავე წუთში მოვიკლავ თავს. ვინც არ უნდა შემომაკვდეს: მტერიც კი დამენანება...

— გყავს მტრები?

— არავისთვის დამიშავებია რამე, მტერი კი მყავს.

— ვინ?

— ყველა მამაძაღლი.

არისტოს მეორე ღილიც შეაწყდა. ამასაც გაკვირვებით დახედა და მეორე ღილთან ერთად დაიჭირა მუჭაში.

— კოლმეურნეობაში რატომ არ მუშაობ? ხელი გაკლია თუ ფეხი?

— არაფერი არ მაკლია. ასხელა და ასფეხა ვარ.

— აბა, რატომ არ მუშაობ?

— სანამ ასე იქნება, თითსაც არ გავანძრევ კოლექტივში.

— ასე რას ჰქვია?

— მაშინ ვიმუშავებ, ყველა რომ პატიოსნად იმუშავებს და სამართლიანად მოიქცევა.

— ახლა არ მუშაობს ყველა პატიოსნად? არ იქცევა სამართლიანად?

— არა. ჩემისთანები მუშაობენ, სხვები ჭამენ... ქურდულად ჭამენ.

— ვინ სხვები?

— ვინც არიან. თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

— მაინც? სახელდობრ?

— რომ ჩამოგითვალოთ, დაიჯერთ?

— თუ ქურდები არიან, რატომაც არ დავიჯერთ.

— ხუთი თითივით იცით, რომ ისინი ქურდობენ, მარა, არ დაიჯერთ.

— ვითომ რატომ არ დავიჯერთ?

— იმიტომ, რო ისინი თქვენისთანებსაც ბლომად აჭმევენ.

— ოჰო! ეგ ვინ გითხრა? ჰკუა ვინ დაგარიგა, ასე თქვიო?

— მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ჩემი თვალით ვხედავ...

— გაჩუმდი! თურმე რა ტყუილად არა მჯეროდა, შენზე რომ მეუბნებოდნენ, შერეკილია, ცხრიანში რაღაც აკლიაო.

— ახლა ხომ დაიჯერე?

— კი, დავიჯერე. — კიტელის მესამე ღილი შერჩა ხელში არისტოს.

— ესე იგი, ვინც სიმართლეს გეტყვით, ყველა შერეკილია?

— შენ ავანტურისტი და ცილისმწამებელი ხარ, ტუხა.

— თვარა, შენ თვითონ, ბებია გიცხონდება, უცოდველი კრავი ხარ, ბერხევის ფერმიდან გოჭები და წიწილები არასდროს წამოგიყვანია უფასოდ!

— ეგ შავი ენა დაგლუპავს შენ!

— გავეჯიბროთ, ვინ ვის დაღუპავს. თქვენ თქვენი იარაღით, მე ჩემი იარაღით.

— რომელია შენი იარაღი?

— სიმართლე.

არისტოს კიტელზე ერთი ღილიღა შერჩა.

— მთაში რას დახეტიალობ?

— ვთიბავ.

— სხვას რას აკეთებ?

— სხვა რაღა გავაკეთო? მე იქ თიბვაც მყოფნის.

— შენისთანა ასხელას და ასფეხას ერთი საქმე რას ეყოფა.

— ჰო, მართლა! ბავშვობისას მამა ზღაპარს მომიყვა. გადავეკიდე: კიდევმეთქი. მეტი ზღაპარი შინ აღარ მიბია, ყველამ ერთბაშად აიწყვიტა და მთაში გამექცაო. წავიდეთ, დავიჭიროთ და ისევ შინ დავაბათ-მეთქი. ახლა ღამეა, გამოქვაბულში დაიმალებოდნენ, ხვალ წავიდეთო. მერე მამაჩემი მოკვდა და ის ჩემი ზღაპრები მთაში დარჩნენ. ბავშვობისას რამდენჯერ მინატრია: ნეტავი ის ზღაპრები მაპოვნინა-მეთქი. იმდროინდელი ნატვრა ახლაც იღვიძებს ხოლმე. მთაზე რომ შევდგები, ტყის ბილიკს რომ მივუყვები, სათიბში ცელს რომ ვიქნევ, თითქოს ისევ ბავშვობას ვუბრუნდები და მგონია, სადღაც აქ უცებ წავაწყდები და დავიბრუნებ იმ ზღაპრებს, მამაჩემს რომ გაექცა-მეთქი.

— და მაშინ რაღაცით თვითონაც ჰგავხარ ზღაპრის გმირს, არა?

— მე ყოველთვის ჩემს თავს ვგავარ, მხოლოდ ჩემს თავს. ეჰ, ცხონებული მამაჩემი ერთობ მალე წავიდა ამ ქვეყნიდან, თორემ იმ ზღაპრებს ნამდვილად იპოვიდა და დამიბრუნებდა.

— შენ სხვა არაფერი გელანდება, ბიძიკო?

ტუხამ მხოლოდ ნაჭრილობევი წარბი შეათამაშა.

— ვერ მიგახვედრე? ასეთი მოჩვენებები ხშირად გემართება-მეთქი?

— მეცოდები!

— მე რა მჭირს, ბიჭო, შენი შესაცოდებელი?

— თქვენ მაინც ვერ გაიგებთ და ტყუილად რატომ მალაპარაკებთ? ეს საქმეს მაინც არ ეხება.

— ყველაფერი ეხება საქმეს, ყველაფერი! — არისტოს კიტელს უკანასკნელი ღილი შეაწყდა. — შენ იმაზე დიდი თაღლითი ხარ, ჩვენ რომ გვქონდა წარმოდგენილი. ახლა კი დავრწმუნდი, საკირის ამბავი ნამდვილად შენი ნამამაძაღლებია, აღარ უნდა ფიცი-მტკიცი რაც უფრო მალე აღიარებ, უკეთესია. არადა, ყველაფერი შენს თავს დააბრალე! — არისტო კართან მივიდა და გასძახა: — წაიყვანეთ!

კაბინეტში ჩოფურა ზედამხედველი შემოვიდა და ჯერ ტუხას შეავლო თვალი, მერე — არისტოს.

— ამხანაგო მაიორო, ფიზიკურად თუ შეგეხო, რატომ არ დაგვიძახე?

— ფიზიკურად არავინ შემხებია.

— აბა, ეს რა არის?! კიტელზე ღილები ვინ დაგაგლიჯათ?

— წაიყვანე-მეთქი! ვოტ დურაკ!

ტუხა ისევ საკანში შეაგდეს, სადაც მხოლოდ ფიცრებდაჯღვარკული შიშველი ტახტი იდგა, ისიც დანჯღრეული. რკინის რიკულებით აჭედილი, თითქმის ჭერთან გამოჭრილი ციდამტკაველა სარკმლიდან ერთი მუჭა შუქი შემოდიოდა.

არისტოს ორი მილიციელი ჰყავდა. ერთს პირისახე ნაჯახს მიუგავდა, მეორეს — პირნისკარტა წალდს. მეორე დღეს სწორედ ისინი დაიბარა და ტუხას საკანში შეგზავნა: სანამ არ გამოტყდეს და დანაშაული არ აღიაროს, პატიმარი თქვენებურად მიზილ-მოზილეთო.

მილიციელებმა საკანში შესვლისთანავე ჯერ თვალით ტუხა აზომ-ჩამოზომეს, მერე ერთმანეთს გადახედეს — არა შენ ეცი პირველი, არა შენო. ყოყმანის შემდეგ ნაჯახური პირისახის მილიციელმა ხელმოუზომავად გაარტყა მუშტი ტუხას ყბაზე. ტუხამ ხელი არ შუბრუნა, პირისახეზე წყრომაც კი არ გამოხატვია, მხოლოდ ნაიარევი წარბი შეათამაშა და ხმელ ტახტზე გულაღმა დაწვა მშვიდად — მობრძანდით და მირტყითო.

იმის მაგივრად, რომ ტახტზე გაშოტილ ტუხას მილიციელები წყვილად მივარდნოდნენ მისაბეგვად, უნებლიეთ დამფრთხალნი უკან გადაბარბაცდნენ ერთდროულად.

— რაღას უყურებთ, მობრძანდით და მირტყით! — მიიპატიჟა ტუხამ.

მილიციელები ამ მიპატიჟებამ უფრო დააფრთხო, ერთმანეთის ზურგს დაუწყეს ამოფარება, მერე, ანაზდად კარი გამოაღეს და გაჰკურცხლეს.

— რამ შეგაშინათ, ვაჟკაცებო, სად გამექეცით? კაციჭამია კი არა ვარ, შემოდით! — გასძახა ტუხამ.

აქეთკენ პირიც აღარ უქნიათ: ვინაა ეს უცნაური ადამიანი?! ტყვიითაც ვერავინ მოერევა, მგონი, თვითონ კი ცარიელი მუშტითაც დაგვხოცავსო.

საგონებელში ჩავარდა არისტო — რა ვიღონოთ?! ხელჩასაჭიდი ვერაფერი უპოვა ტუხას და ინანა, ამ საქმეს ხელი რატომ მოვკიდეო. არადა, ნესტორას გამოტანებული გოჭები და ქათმები უკვე შეჭმული ჰქონდა და ცოლ-შვილი კიდევ სთხოვდა.

ფიქრით თავს რომ იმტვრევდა, რა ვქნაო, სწორედ იმ წუთში შეატყობინეს სახანძრო რაზმიდან, დავიდარაბის ამტეხი აღმოვაჩინეთო.

— ვინაა?

— ნიკიფორე ბაზაძე.

— შარშან ბაზრის კონტროლიორობიდან რომ მოხსნეს?

— ზუსტად ის გარეწარი. თურმე სახანძრო რაზმის უფროსის ადგილი სდომებია და იმას დაურეკია ქურდულად თვითონ ღარულადანვე: ეგ შტერები უეჭველად მოტყუვდებიან, ეს ამბავი სასაცილოდ გახმაურდება, უფროსს მოხსნიან და მის ადგილს ხელში მე ჩავიგდებო.

— ერთობ მოკლე ჭკუისა ყოფილა საწყალი.

— კი, ნამდვილად ჩერჩეტია. აბა, ასეთ სულელურ რამეს სხვა ვინ მოიფიქრებდა.

— როგორ გაიგეთ, რომ იმან დარეკა?

— სასადილოს გამგეს დაუნახავს, იაგელოს, და ახლაღა გასცა.

— ჰო, იაგელოს სიტყვა დაეჯერება, სანდო კაცია.

არისტომ შვებით ამოისუნთქა და უმალვე ტუხას მიახარა ეს ამბავი. აჭყლოპინებული მოეფერა კიდეც:

— ო, ერთი შენისთანა მილიციელი მომცა, ბიჭო! მოდი, იმუშავე ჩემთან, ორმაგ ჯამაგირს დაგინიშნავ. კი უდრიხარ სამ-ოთხ კაცს.

ტუხამ მხოლოდ ნაიარევ-ნაჭრილობევი წარბი შეათამაშა, თავისებური დაცინვა აკმარა მილიციის უფროსს.

არისტო მაინც არ მოეშვა:

— დაუფიქრდი, ვაჟკაცო, ბედნა

გწევ! მეც მახეირებ. შენც მოგებული დარჩები. შენისთანა მილიციელი ნამდვილად მომნათლავს.

— ვერ მოგნათლავს, მილიციელთა უფროსო. მე შენისთანების მონათვლა სად შემიძლია, თქვენ სხვა რჯულის ხალხი ხართ, მე — სხვა. თქვენ ერთს ამბობთ და მეორეს აკეთებთ, მე კი ეს რჯულად არ მომდგამს. ასე რომ, გული ნუ დაგწყდება!

ტუხა იმავე დღეს დაბრუნდა ბერხევში. მისი გამართლება ბევრს გაეხარდა. მხოლოდ ნესტორას [illegible]. გულზე მოედო ბოღმის ისეთი ხანძარი, რომლის ჩაქრობაც ათას სახანძრო რაზმსაც არ შეეძლო, მგონი.

არისტომ მეორე დღეს ოქროსფრად მოელვარე ღილები კიტელზე მაგრად დააკერებინა და ამ კიტელით დამშვენებულმა სამჯერ ზედიზედ ამაყად აუარჩაუარა ღარულას ორივე ქუჩას.

## თივისა და ქალის თმის სურნელი

კლდეზე უამრავჯერ ვწოლილვარ, გამოქვაბულშიც, კლდის იატაკზე, ბევრჯერ გამითევია ღამე. არც შემცივნია, არც ულეიბობას შევუწუხებივარ. ციხის ვიწრო საკანი რაღაცით კი ჰგავს გამოქვაბულს, მაგრამ იქ ფიცრის ტახტზე ვერაფრით მოვისვენე. იმიტომ კი არა, ტახტი ხმელი და შიშველი რომ იყო, მწოლარეს განსაკუთრებით არ მსიამოვნებდა ციხის სუნი. მეჩვენებოდა, ამ შენობის ქვა და აგური ერთობ სხვანაირ სუნს გამოსცემს-მეთქი. თითქოს კედლებში რაღაც დამპალი იყო ჩატანებული და ნასვრეტებიდან მისი სუნი ჟონავდა სინესტესავით. წოლას ისევ განუწყვეტლივ ბოლთის ცემა ვამჯობინე. იატაკი ათასჯერ გადავზომე ყოველნაირად: გარდი-გარდმო, ირიბად, ჩველა კედელი ცალ-ცალკე, ოთხკუთხივ. აბა, ციხეში სხვა რა გამეკეთებინა?

ერთადერთი, მსხვილი რკინის რიკულებით აჭედილი ციდამტკაველა სარკმელი მაღლა იყო ამოჭრილი, თითქმის ჭერთან. იმ სარკმელში მხოლოდ ცა იყურებოდა, ისიც მუდამ უმზეო. ღამით ორიოდე ვარსკვლავს კი ვხედავდი ხოლმე. მაშინ ის შორეული ვარსკვლავები ჩემი მეგობრები მეგონენ. თითქოს მხოლოდ მათ იცოდნენ, სად ვიყავი. სარკმელში ღრუბლები რომ გაივლ-გამოივლიდნენ ზოგჯერ, ესეც მსიამოვნებდა, მარტო აღარა ვარ-მეთქი. თუმცა ის ღრუბლები საკანში ჩრდილის მეტს არაფერს მიგზავნიდნენ, უმზეო ჩრდილის მეტს. ღრუბლების ჩრდილს ჩემამდე არაფრის სუნი არ მოჰქონდა, რომ ოდნავ მაინც გაეფანტა ციხის უსიამოვნო ჰაერი.

ღრუბლების დანახვა ახლა ალბათ იმიტომაც მსიამოვნებდა კიდევ, რომ ვიცოდი, ისინი დედამიწას მაღლიდან დაჰყურებდნენ და, რა თქმა უნდა, ხელისგულზე დადებულივით ხედავდნენ ბერხევსაც.

ღარულადან ბერხევის არც თავი ჩანს, არც ბოლო. მხოლოდ მთების დანახვა შეიძლება, ისიც თუ ცა მოწმენდილია.

იქნებ ამ პატარა სარკმლიდანაც ჩანს ბერხევის მთები-მეთქი, — გავიფიქრე — კედელზე როგორმე რომ ავფორთხდე, ალბათ, ცის გარდა ჩემს მთებსაც დავინახავ-მეთქი.

ირგვლივ ოთხი გლუვი ჭუჭყიანი კედელი მერტყა და ამ კედლების მიღმა გასახედად ის ერთადერთი სარკმლის თვალი არსებობდა.

ტახტი კედელზე რომ ამეყუდებინა და ზედ შევმდგარიყავი, სარკმლის რიკულებს უთუოდ შევუწვდენდი ხელს, ავიწევდი და თუმცა გისოსებში თავს ვერ გავყოფდი, აქეთ-იქით გახედვას კი მოვახერხებდი.

მხოლოდ ასე შემეძლო იმ მთების დანახვა, სადაც ვთიბავდი ხოლმე.

ვინაიდან ამის საშუალება მეძლეოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მომენატრნენ ისინი თუნდაც შორიდან თვალის მოსაკრავად. მომენატრა ბალახის სუნი და ისიც კი გავიფიქრე, მთები თუ დავინახე, ეგებ ბალახის სუნიც ვიგრძნო-მეთქი.

ტახტის მსხვილი ფეხები ლურსმნებით იყო დაჭედილი და მერე დაცემენტებულიც. მისი აგლეჯა ოდნავადაც არ გამიჭირდებოდა, თუ მოვინდომებდი. ოღონდ თავის შეკავება ვამჯობინე, ვინმესთვის საბაბი რომ არ მიმეცა, ხომ ხედავთ, აქაც ხულიგნობსო.

არადა, ამ ვიწრო საკანში ველარ ვეტეოდი.

ერთ რამეს ვერიდებოდი მხოლოდ: ვაითუ, გაბოღმებულმა აქაურობა მოვლეწ-მოვლეწო-მეთქი. გაბოროტების მეშინოდა. რატომღაც მგონია, ერთხელავე თუ გავბოროტდი, მერე მტრისას! ალბათ, ბრალიან-უბრალოს გარჩევა გამიჭირდება და... უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს დავკარგავ, სხვა ტუხა ხატეველად ვიქცევი. ამას კი სიკვდილი მირჩევნია.

ციხიდან გათავისუფლებულს ბერხევში პირველი აბელა დალაქი შემომეგება: წვერიც გასაპარსი გაქვს და თმაც გასაკრეჭიო.

როცა აბელა კარგ გუნებაზეა, ლაზღანდარობა სჩვევია. იმ დღეს აბელა კარგ გუნებაზე გახლდათ.

ერთმანეთს რაც არ უნდა ვუთხრათ, აღარც ერთს არ გვწყინს.

პირს რომ მპარსავდა, განგებ მკითხა:

— ბიჭო, ხომ არ გაწუხებს სამართებელი?

— არც ისე... შალაშინის პირს სჯობია.

— ხომ კი. ძალიან სასიამოვნოა. შენ უკვე ნაციხარი კაცი გქვია, ყველას მორიდება გვმართებს, არაფერი გეწყინოს და ცელით ყელი არ გამოგვჭრა.

ვიცოდი, იმდენად მე არ მახელებდა, რამდენადაც ნესტორასი და მისი ძმაკაცის, არისტოს შიშს დასცინოდა, ამიტომ გული ოდნავადაც არ მომსვლია.

— ჩემო აბელ, იშვიათია დიდი ადამიანი, ციხეში არ მჯდარიყოს. ნამდვილი ვაჟკაცი ორიოდე დღით ციხეში ჯდომასაც არ ითაკილებს.

— ოჰო?!

— ოჰო არ უნდა ამას. აბა, შენა ხარ ვაჟკაცი? ამდენი ხანია ხალხს სისხლს ღვარად ადენ და სამიოდე საათითაც არავინ დაგიჭირა.

— მე ვადენ, ბიჭო, ხალხს სისხლს?

— არა, ბიჭო, მე!

— შენთვის თუ გამომიდენია ოდესმე წვეთი მაინც?

— ჩემთვის საგანგებოდ ლესავ სამართებელს, იცი, სისხლის დანახვა რომ მაღიზიანებს. ჩემი გახელების გეშინია.

— მოდი და ამისთანა კაცს პატივი ეცი. რჯულძაღლო, შენი წვერი და სხვების ერთნაირია? ელექტროხერხით საჭრელი ჯაგარი გეზრდება. შენი ნაცელავი თივა უფრო რბილია.

— ჩემს ნაცელავზე, ჩემო აბელ, აბრეშუმივით რბილი ბალახი იზრდება, იმიტომ, რომ კეთილი ხელი მაქვს, შენ კი უკუღმართი ხელის პატრონი ხარ და შენს ნაპარსზე ჯაგარი იმიტომ ამომდის, გაიგე?

— აი, შენ თუ იცი, ციხიდან შენი გამოშვების ამბავი პირველად მე რომ გავიგე? — შემომიბრუნა კითხვა მოულოდნელად.

— მაგას რა ცოდნა უნდა, პირველად შენ გამოგეცხადე.

— არა, სანამ გამომეცხადებოდი, მანამდე გავიგე.

— ბიჭოს?! მაგ სამართებელში ჯამუშის იდუმალი რადიომიმღები გაქვს ჩატანებული?! მოუჩქარე მაგ ზანტ სამართებელს, გამიშვი მალე!

— სად მიგეჩქარება, ბიჭო? ქალი ხომ არ უნდა დანიშნო?

— სათიბავად ვარ წასასვლელი, დროულად თუ არ მივეშველე, კლდეების ზურგზე ბალახი მთლად გახმება და ცელს აღარ მიიკარებს.

— ა, მოერჩი, გაამოს!

შინ მისულს დედამ მხოლოდ ეს მითხრა:

— შვილო, რა მწარედაც არ უნდა გაწყენინოს ვინმემ, არ გაბოროტდე. კე-

თილი ადამიანი თუ გაბოროტდა, ყველაფერი შესძულდება, თავისი თავიც კი. მაშინ მის სიცოცხლეს ადამიანის სიცოცხლე აღარც ერქმევა.

იმ დღესვე მივაშურე მთებს, ყვავილოვანი ფერდობი ავირჩიე, მონატრებული ბალახს ჩავეხვიე. ნეტავ გენახათ, მთელი ქვეყნიერება, ცა და მიწა, ჩემი ბედნიერებისთვის გაჩენილი მეგონა. ალბათ ორი ჩაფი ღვინო რომ დამელია, ასე არ დავთვრებოდი და გავბრუვდებოდი. სადღაც უსასრულობაში გავფრინდი, უსიზმრო ძილმა დამრია ხელი.

შუადღის მზემ გამომაღვიძა. თავზე რუხი ნაბდის სვანური ქუდი დავიხურე, ცელს ორიოდეჯერად გავუსვ-გამოვუსვი სალესი და ისე ლაღად დავიწყე ქნევა, თითქოს კი არ ვთიბავდი, ვთამაშობდი, თან პირმოკუმული გულში ვღიღინებდი:

ნუ გაუწყრები ცელსაო,
თუ ვერ უმარჯვებ ხელსაო...

ვიდრე ამას ერთჯერად ჩავიღიღინებდი, ცელს ოთხჯერ მოვუსვამდი. ასე გამოვზომე ზუსტად, კრიალოსნის მარცვლებივით.

ერთ სვეს რომ ამ ღიღინით ჩამოვთიბავდი, მერე სხვა ღიღინს შევუნაცვლებდი:

თიბონ ნამიანზეო,
დაგროვდეს დარიანზეო.

ამ ერთ წაღიღინებასაც ცელის ოთხჯერ მოქნევას ვუფარდებდი.

სტვენაშერეულად შხუოდა ცელი და მწვანე ბალახი ფენა-ფენა წვებოდა უჩუმესი შრიალით. ვინმეს რომ დავენახე, იფიქრებდა, ტუხას ლაპლაპა ცელი ბალახისფერ ნაპერწკლებს ისვრისო. აქეთ-იქით მიფირინავდნენ დამფრთხალი კალიები და უმალვე ისევ უჩინარდებოდნენ ბალახში ჩამქრალი ნაპერწკლებივით.

ბევრჯერ მითიბია მხიარულად და თავდავიწყებით, ასე გატაცებით კი — არასოდეს. ცელს რომ ვიქნევდი, თითქოს უხმოდ მღეროდა ჩემი სხეულის ყველა ნაკვთი. ასე სცოდნია საყვარელი საქმის მონატრებას!

ჩემს თავს ახლაც ვხედავ ხოლმე იმ შავი კლდეების ზემოთ, დაფერდებულ პატარა მინდორზე.

კაცის ჭაჭანება არსადაა, პირუტყვიც კი არსად ძოვს.

შეუძლებელია, აქ ოდესმე ადამიანს ფეხი არ დაედგა. ოღონდ ვინმეს ბალახი რომ გაეთიბოს, ეს ნამდვილად არავის ახსოვს. ამ პატარა, წაფერდებულმა მინდორმა ცელის შხუილი პირველად შარშან გაიგონა, ჩემი ცელის. აქაურობა ისე მომეწონა, ერთი სული მქონდა, კიდევ როდის ამოვიდოდი. დამიდგა თიბვის დრო და.. ციხეში არ მიკრეს თავი! ამან კიდევ უფრო მომანატრა ეს მინდორი.

ცალკერძ თოვლიანი მწვერვალები და ფიქალმკერდიანი კლდეები გადმოსცქერიან, ცალკერძ, შორს, ძალიან შორს, მოწმენდილი ცის დასალიერში ზღვა ილანდება, ოდნავადაც რომ მოიღრუბლოს, ზღვა უჩინარდება. რაკიღა ვიცი, იქ ზღვაა, მგონია, რომ მაინც ვხედავ მუდამ.

აქ რომ ვდგები, უცნაური ფიქრი ამეკვიატება ხოლმე: სანამდეც თვალი მიმიწვდება, ჩემი კუთვნილი სამყაროა-მეთქი. აქ მარტო ამოსვლაც სწორედ იმიტომ უფრო მიხარია — ამ სამყაროს მოზიარე არავინ მიდგას გვერდით.

ღვთისშობილა ადამივით მარტოდმარტო ვარ ამ უკაცრიელ მთებში, მაგრამ მარტოობას სულაც არა ვგრძნობ. თუ ცელი მიჭირავს და ვთიბავ, უეჭველად ვღიღინებ კიდეც და თუ ვღიღინებ, მარტოც აღარა ვარ. საერთოდ, როცა ვმოშაობ, მარტო არასოდეს არა ვარ, ჩემი ღიღინი თითქოს განუწყვეტელი ლოცვაა, მთიბავი კაცის ლოცვა, მლოცველი კი თურმე მარტო არასოდეს რჩება, რადგან ლოცვა უხილავთან აკავშირებს ადამიანს. ეს უხილავი კი თითოეულს თავისებურად ჰყავს წარმოდგენილი. ერთი კია, ყველას თავისი ფიქრის მოზიარედ ეგულება, ჭირისა და ლხინის მოზიარედ.

აქ რომ მოვკვდე, კაციშვილი ვერ გაიგებს. ან ნადირი შემჭამს, ან ჭია-ღუა,

ან მზე, ან ქარი. ან: ყველაფერი ეს — ერთად. ოღონდ შეუძლებელია ჩემი აქ სიკვდილი. ვიდრე ამ შავი კლდეების ზემოთ, პატარ-პატარა მინდვრებში ვთიბავ, მჯერა, სიკვდილი სათოფეზე ვერ მომეკარება. დარწმუნებული ვარ, მიქელ-გაბრიელს ჩემი ცელის ეშინია, ჯანიანად მოქნეული შხივანა ცელის.

ბავშვი რომ ვიყავი, ნადირისა მაშინაც არ მეშინოდა. სხვა კი ჩემ მოსაკლავად აქ ვინ ამოვა? ჯერჯერობით არავინ მეგულება ისეთი მტერი, თოფით დამდევდეს. ორიოდე კაცი კი დამიდის ნაწყენი, მაგრამ მე მათთვის არაფერი დამიშავებია, ყველაფერი მათივე ბრალია და ჯავრი მაინცდამაინც ჩემზე რატომ უნდა იყარონ? არა მგონია, ისინი მოსაკლავად აქ ჩამისაფრდნენ.

ანდა: მე არც ისე დიდი და სახელგანთქმული კაცი ვარ, ჩემი მოკვლით ვინმემ უკვდავება მოიპოვოს.

ჰო, მართლა, დიდკაცობაზე გამახსენდა.

ერთხელ მეწისქვილე სარდიონმა მითხრა: შუბლზე გაწერია, ნაღდად დიდი კაცი გამოხვალო. რა დიდი კაცი-მეთქი, ვკითხე. მე რომ გულთმისანივით ყველაფერი ვიცოდე, მეწისქვილე კი აღარ ვიქნებიო, — მომიგო სარდიონმა. მესამე დღეს ფერმის მწყემსმა ინდიკომ მთხოვა, თიბვაში მომეხმარეო. უარი კაცისთვის არ მითქვამს და ინდიკო ისეთი კარგი ადამიანია, სული რომ მთხოვოს, არ დამენანება. წავყევი. თიბვას რომ ვამთავრებდით, მისი ცელიც გავსინჯე. მომეწონა. ფეშქაშო, მითხრა. უარი არ გამივიდა.

— კეთილი! — დავყაბულდი ბოლოს.

— რაკი შენსას არ იშლი, ამ სიკეთეს დიდი კაცი რომ გავხდები, მაშინ გადაგიხდი ასმაგად.

— დიდი რომ გაიზრდები, ეგ დაგავიწყდება. — გაიცინა ინდიკომ.

— დიდი რომ გავიზრდები კი არა, დიდი კაცი რომ გავხდები. — დავუზუსტე მე.

— ოო! დიდი კაცი რომ გახდები, ეგ ამბავი კიდევ უფრო დაგავიწყდება. დიდ კაცებს, ვიცი მე, ერთობ გულმავიწყობა სჩვევიათ, ზოგჯერ ისიც კი არ ახსოვთ, ვისი შვილები არიან? — ისევ გაიცინა ინდიკომ და მერე მკითხა: — კი, მაგრამ, რა დიდი კაცი უნდა გახდე შენ?

— არ ვიცი.

— ვინ გითხრა, დიდი კაცი გახდებიო?

— სარდიონა მეწისქვილემ.

— შენც უმალვე დაუჯერე, არა?

იხტიბარი არ გავიტეხე:

— სარდიონს არ დავუჯერებდი, მაგრამ, თვითონაც მიგრძნობს ტანი. ნამდვილად გავხდები დიდი კაცი, ოღონდ რა დიდი კაცი, ჯერჯერობით არ ვიცი.

ეს ისე წამომცდა, ჰაიჰარად, თორემ დიდ კაცობაზე ჩემ დღეში არ მიფიქრია. ხუთიოდე წლის წინათ ისიც კი არ ვიცოდი, დიდკაცობა რას ნიშნავდა, ნამდვილი დიდკაცობა. მერე გავიგე, დიდი კაცები ერთმანეთს ჭამენ, თანამდებობებს ეცილებიან, ასე და ისეო. რაღაცნაირად შემძულდა კიდეც დიდკაცობა.

ერთხელაც სკოლაში ფეხგამოცლილ გლობუსს სადერძე ნახვრეტში საჩვენებელი თითი გავუყარე და დავატრიალე: შეხედეთ, მსოფლიო ჩემ თითზე დგას, აი, ასე წამოვიცვამ მთელ დედამიწას თითზე და ჩემ ნებაზე ვატრიალებ-მეთქი. ეს ჩემი ხუმრობა რამდენიმე ბავშვმა დაიმახსოვრა. ნადირამ ისიც კი თქვა: ენამ უყივლა, წინათგრძნობამ თუ ვიღაც უხილავმა უნებლიეთ წარმოათქმევინაო, აი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, თუ ასე არ ახდესო.

მაშინდელი ამბავი რომ მომაგონდება, გულში მეცინება ხოლმე.

ერთადერთი, სადაც ჩემი დიდკაცობა მომწონს, ეს არის მთაში ყოფნა.

ზოგჯერ მკლავებს გავშლი და გავხედგამოვხედავ. ერთ ხელთან თოვლიან მთებს ვხედავ, მეორე ხელთან — ზღვას. აქედან თითქოს ორივეს ვუწვდენ ხელს, ორივე მიჭირავს, მთაც და ზღვაც.

ასე დგომა მსიამოვნებს ძალიან: ჩემზე დიდი კაცი ქვეყნიერების ზურგზე არ დადის-მეთქი. მხოლოდ აქ ვფიქრობ ასე, მხოლოდ აქ, სხვაგან არსად:

ეს ყველაფერი ამიერიდან მხოლოდ ჩემია და ვერც ვერავინ შემეცილება-მეთქი.

თავისი დიდკაცობით ჩემს ამ დიდკაცობას გაეჯიბროს ვისაც სწადია. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს. სანამ ცელის ხელში დაჭერა შემეძლება, ამ ჩემს დიდკაცობას ვერავინ წამართმევს.

— შხაა! შხუუ! შხაა! შხუუ! — შხუის ჩემი ლაპლაპა ცელი და მთის, თავმომწონე, ყვავილებშერეული მწვანე ბალახი ნება-ნება წვება. ძირს დაფენილი ნედლი ბალახის მწვანე სურნელი, მზის სურნელებასთან შეზავებული, ულევაშებთან ალერსით მეღიტინება და სულში მიძვრება. მთელი სხეულიც ამ სურნელებით მექლინთება.

გადაცელილი ბალახის უხეშად წამოშვერილ ღეროებს თუ წვეტიან ქვებს მოურიდებლად ვადგამ შიშველ ფეხს. არც ცელით ფეხის გაჭრის მეშინია, არც სხვა რამის.

კალიები, თითქოს მორბენლებივით სტარტის ხაზთან ჩაყუნცულან და ნიშანს ელოდებიანო, ცელის შხუილის მიახლოებისთანავე გარბიან, ოღონდ მორბენლებისაგან განსხვავებით — სხვადასხვა მხარეს.

ზოგჯერ მზე ღრუბლებს ეფარება და თითქოს ჩრდილს მოჰყვაო, უმალვე ნიავი შემოუბერავს და მზეს მცხუნვარებას უკარგავს. ასე მხოლოდ მთაში იცის. აქ მზე უფრო თაკარაა, ჩრდილი კი — უფრო გრილი და საამო.

სამ დღეს შეუსვენებლად ვთიბე და ვთიბე. დაღლა წამითაც არ მიგრძვნია, არც შიმშილი. გავძეხი ცელის ქნევით, დავთვერი ბალახის სურნელით და სიამოვნებით გაბრუებულმა ღიღინით გამოვწიე შინისკენ.

მერე ჩვეულებრივი დღეები დამიდგა. კვლავინდებურად ვთიბავდი იქ, სადაც სხვისი ცელი ვერასდროს მისწვდებოდა ბალახს. არც სხვა სამუშაო მლიდა, მაგრამ თიბვისას მეტად ვხალისობდი, ოღონდ მეთიბა და სხვა არაფერი მინდოდა. დაღლილობით კი არა, მუშაობით ვბრუვდებოდი და ეს გაბრუება საოცრად მსიამოვნებდა. მაშინ ერთ რამ საბოლოოდ დავინამდვილე: ყველაფერს მერჩივნა ის სურნელება, მოთიბული ბალახი რომ აუშვებს ხოლმე და ჯაფით თუ არ გავბრუვდებოდი, მერე რიგიანად ვერც ვისვენებდი.

ნესტორასთვის დაყვედრების საბაბი რომ არ მიმეცა, კოლმეურნეობაში არ მუშაობ, თივას კი ჩვენი ხარებით ეზიდებიო, ზაფხულსა თუ შემოდგომაზე ზვინს ზურგზე მოვიგდებდი და ისე მიმქონდა შინაც და სხვებთანაც, ზამთარში კი სახელდახელოდ გაკეთებულ მარხილზე დავუდებდი, ხარივით თვითონ შევებმებოდი და არხეინად მოვასრიალებდი. .

ნესტორა რაღაცნაირად მომეშვა. არ ვიცი, დარწმუნდა, დანას მის გულს რომ არ ვუმიზნებდი, თუ სხვა რამის გამო, თურმე ჩემი სახელის ხსენებასაც კი ერიდებოდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ფეხებზე ვეკიდე.

ასე შემოტრიალდა წელიწადი.

რაც სკოლის კარი გამოვიხურე, თანდათან მეტს ვფიქრობ, ათას რამეს ვეკითხები ჩემს თავს და პასუხს ვერ ვპოულობ. ყველაზე მეტად კი ერთი რამ მაწუხებს: აქამდე ვერ მოვახერხე, თეონასათვის გულის ხვაშიადი გამემხილა. რატომღაც მთელ წელიწადში ერთხელაც არ ამეწყო ამბავი ისე, თეონა დამემარტოხელებინა სიყვარულის ასახსნელად. თითქოს ვიღაც უხილავი მიშლისო ხელს. არადა, ასეც აღარ შეიძლება. ბედი გზაზე როდი უცდის ადამიანს, ძებნა უნდა. სამიოდეჯერ ის და ნადირა ერთად დავინახე. მართალია, გაბუტულებივით მიდიოდნენ, მაგრამ ეშმაკს თვალი არ უჩანს, იქნებ სწორედ ასე სიარულია მათი სიყვარულის შემაერთებელი ხიდი?

თეონას რომ ახლო დავუდგები და რამეს თქმას დავუპირებ, თითქოს ყველაფერს წინდაწინ ხვდებაო, ჯერ ზედა ტუჩს დააჭერს ქვედა კბილებს, მერე ქვედა ტუჩს — ზედა კბილებს და კარ-

გა ხანს უჭირავს ასე, გეგონებათ, ვინმემ არ წამართვასო, ერთს ალმაცერად გამომხედავს, შებრუნდება და მიუყვება გზას თავჩაღუნული. ვერაფრით ამიხსნია, რატომ იქცევა ასე.

მეც რა მბორკავს ყოველნაირად, როცა თეონას ვუახლოვდები?

მთაში არც სიყოჩაღე მაკლია, არც სითამამე და შეუპოვრობა, გამოქვაბულში მარტოდმარტო ვიძინებ და არაფერი, არც ნადირის მეშინია, არც სხვა რამის. ასეთივე რომ ვიყო თეონას ახლო, რაღა მიშავს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, კარგა ხანია თეონა შინ მეყოლებოდა. ეტყობა, ჩემში, და არა მარტო ჩემში, ალბათ, ყველა ადამიანში, არის რაღაცის დიდი გაბედულება, სიმამაცე, შეუპოვრობა და იქვე — რაღაცის შიში. ბუნება ერთ რამეს თუ ზედმეტად აძლევს ადამიანს, მეორე რამეს აკლებს. სიმამაცე და შიშიც ერთდროულად ალბათ ასე იბუდებს ერთ ადამიანში.

ხანდახან იმასაც ვფიქრობ: მე რომ თეონას თამამად არ ვექცევი, მგონი, უფრო მორიდებულობაა, ვიდრე შიშიმეთქი.

ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც ხომ უნდა გადავლახო მორიდებულობის ეს მიჯნა? ერთხელ მაინც ვაჯობო ჩემს ამ შიშს?

დიახ! ოღონდ როდის?

წინათ ცელს რომ ვიქნევდი, თან ვლიღინებდი. ახლა გორინდება დამჩემდა, თანაც წუთიერად კი არა, დიდხანს.

ლამაზი პეპელა რომ გაიფარფატებს ჩემს წინ, ვნატრობ: თეონას პატარძლობისას ასეთ კაბას ვუყიდი-მეთქი.

მართალია, მუდამ თეთრკოპლებიან ლურჯ კაბას იცვამს, მაგრამ მე თუ ვეტყვი, შეიცვლის. ისეთი თვალტანადია, დარწმუნებული ვარ, ყოველნაირი კაბა მოუხდება. ჯვალოც რომ ჩაიცვა.

ძილის წინ მუდამ ვოცნებობდი, ნეტავი თეონა დამესიზმრებოდეს-მეთქი. მაშინაც კი, როცა რიგიანად არც გამეგებოდა, სიყვარული რა ხილი იყო. თვითონაც არ ვიცოდი, რატომ ვნატრობდი. განა ადამიანი ყოველთვის კეთილად გვესიზმრება, როგორც გვინდა? მაინც ვნატრობდი. ახლა ხომ სულ ნატვრად გადამექცა, ვნატრობ და ვნატრობ. როდესაც თეონა არ დამესიზმრება, დილით სიზმარზე მომდის გული. მაგრამ სიზმარს რას ვუზამ? ვერც დაიჭერ და ვერც სხვანაირად დასჯი. არადა, ის ღამე ღამედ არ მიღირს და ძილი — ძილად.

არადა, მარტო სიზმარს ვინღა ჩივის, ბოლო ხანებში თეონა თითქოს ცხადადაც გამირბის. ან გამირბის, ან ჩემთან სიახლოვისა ერიდება, რაღაც აშინებს. ნუთუ ყველაფერი ეს მხოლოდ მეჩვენება და თეონა უბრალოდ თავს იჭერს, როგორც სჩვევიათ ხოლმე გასათხოვარ გოგოებს?

ვინაიდან თეონას სიტყვის თქმას ვეღარ ვუბედავ, ღამით, თითქოს თეონაა, ბალიშს ჩავეხვევი ხოლმე. ვეფერები, ვეალერსები და თან უხმოდ ვესაუბრები. თეონაც მეჩურჩულება.

— ტუხა, საცოლე ბიჭი ხარ უკვე, ახალ სახლს რატომ არ იშენებ? ხის მოჭრა და დახერხვა არ გემარჯვება თუ სხვა რამე? ვილას უდგას ასე ძველი ოდა-სახლი?

— არ მინდა ახალი, ჯერ არ მინდა. ქალს მამის დანატოვარ სახლში მოვიყვან, მერე მე და ჩემი ცოლი ორივეს საგუნებო სახლს ერთად ავიშენებთ. ერთად რომ ავიშენებთ, ის უფრო გვეყვარება.

თეონა ყველაფერს ხვდება და უხარია. ჩემ ფიქრში თეონას ყველაფერი უხარია, რასაც ვეუბნები, და ბედნიერებით ევსება თვალები, სულ მიღიმის. ფიქრში ყველაფერი ჩემს ნებაზეა, ნამდვილად კი... ვერ ვხედავ მე თეონას ღიმილს. კარგა ხანია ამ ღიმილს სიზმრებშიდაც ვეღარ ვპოულობ და ეს მიფორიაქებს გულს.

მხოლოდ ჩემი ოცნება მაიმედებს და მასულდგმულებს.

დედაჩემს ძალ-ღონე აკლდება თანდათან. მეც მინდა დამხმარე შინ და გარეთ. თუნდაც თივის დადგმაზე.

ვერ გეტყვით, თივის დადგმა მარტო მიჭირდეს, მაგრამ დამხმარე რომ მყავდეს, საქმე უეჭველად უფრო გამიადვილდებოდა.

ბულულებს თხილის მრავალტოტა ფარჩხლზე ვდებ და ასე ჩამაქვს თრევით სამარხილე გზამდე, იქ კი ზვინებს ვამწკრივებ. ალბათ, გინახავთ, ზვინს ჩვეულებრივ როგორ დგამენ: ერთი აყრის, მეორე ტკეპნის თივის ბულულს წინასწარ მაგრად დასობილი სარის გარშემო. მე რაკი არავინ მახლავს, ჯერ დამყრელიც თვითონა ვარ და დამტკეპნიც. შუაწელამდე კეტს ვურტყამ, მერე კი იქვე სახელდახელო ოწინარს ვმართავ და ფიწლით ზვინზე შეყრილ თივას ჯირკჩაცმული ოწინარის თავს ვუმარჯვებ. ბოლოს ქუდს ფიწლით ვახურავ. ბულულის მომწოდებელი რომ მყავდეს, მე ზვინზე შევდგებოდი და ოწინარით წვალება აღარ დამჭირდებოდა.

დედა ამ მაღალ მთებში ვერ მომყვება. კიდეც რომ წამომყვეს, ცოდოა ამდენი ნაჯაფ-ნაჯახირევი ქალი, მე თვითონ ვერ წავიყვან. თეონას კი გამოვიყოლიებდი. მძიმე საქმეს კი არ გავაკეთებინებდი, ფიწლით ბულულების შემოყრას დავავალებდი და ორნი საქმეს უფრო მოვაბამდით თავს, როგორც ეს ამ სამიოდე კვირის წინათ მოხდა.

საღამო იყო. თეონას მამიდა თეკლე მეწვია, ჯერ ჩვეულებრივ მომიკითხა, ხომ კარგად ხარო და მერე მორიდებით მითხრა:

— სათხოვარზე ვარ მოსული, შენი ჭირიმე. ბოდიში, უკაცო ოჯახი ვართ, თვარა არ შეგაწუხებდი... — აქ სტუმარი შეჩერდა.

ისეთი რა უნდა მთხოვოს თეონას მამიდამ, მე შევწუხდე-მეთქი, გავიფიქრე.

— ბრძანეთ, ქალბატონო თეკლე, ბრძანეთ, ნუ მომერიდებით!

— ჩვენი ნავენახარის ზემოთ, კლდეებთან რომ ფერდობია, წელს მშვენიერი ბალახი გაზრდილა. იქნება ცელი მომაშველო, ღმერთიც გიშველის ყველა საქმეში. დადგმაზე მე და თეონაც მოგეხმარებით. სამიოდე ზვინიც რომ მოითიბოს, მაინც კარგია, ჩალა-ბზეს დავუმატებ და ჩემს ძროხას მეტიც არ დასჭირდება, რაც არ უნდა დიდი ზამთარი დაიჭიროს. ბოდიში, შენი ჭირიმე, სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს მერე...

რისი ბოდიში, რა პატივისცემა, თეკლემ თვითონ დამდო აქეთ პატივი, ასე რომ შემომასახელა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო თეკლე, მეზობლობაში ბოდიში რა სახსენებელია.

— რა ვიცი, შვილო, ეგების არ გცალია და... ის ბალახი ხვალ-ზეგ თუ არ გაითიბა, ერთობ ფიცხ ფერდობზეა, მალე გახმება და... მერე ცელის მიკარებისთანავე ჩაიფშვნება და გავერანდება.

მე საქმე შემომელევა და ისიც ზაფხულში? მაგრამ ერთად ათასი გადაუდებელი საქმე რომ მიცდიდეს, ყველას მივატოვებ და თეკლეს უარს არ ვეტყვი.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო თეკლე, ისეთს რას ვაკეთებ, რომ... ხვალვე გავთიბავ, ზეგ კი ერთად დავზვინოთ.

ცელი გაწყობილი მეკიდა ბეღლის კედელზე — გამოკვერილიც და გალესილიც. იმ საღამოს მაინც შევავლე ხელი.

ბალახს ცელი უკეთ ედება, როცა ნედლიცაა და ცვრიანიც. ცოტა სველიც თუა, კიდევ უკეთესია სათიბავად. მშრალი და გამხდარი ბალახი ცელს იცურებს, რა კარგადაც არ უნდა გალესო, სველი კი თითქოს თავისით ეჭრება ცელის პირს.

რაკი ის ფერდობი ფიცხიც ყოფილა, დილა-ადრიანად უნდა ვსტუმრებოდი.

სავსე მთვარის ჟამი არ იდგა, თორემ მე ღამითაც მარჯვედ ვიქნევ ცელს.

სწრაფად წავივახშმე და დავიძინე. რიჟრაჟზე გამეღვიძა. ხელ-პირი წუთში დავიბანე, ნაძალადევად წავიხემსე და დედა არც გამიღვიძებია, ისე მივაშურე სათიბს ღიღინით. ფერდობს თავზე მოვექეცი და ვიდრე ცელს მოვიქნევდი, სამჯერ ჩავიბუტბუტე:

— დაგელოცოს! დაგელოცოს! დაგელოცოს!

ასე დამაჩვია პატარაობიდანვე დედამ: საქმის დაწყებამდე უეჭველად უნდა დაილოცო, მით უმეტეს თუ რაიმეს სხვისთვის აკეთებო.

მერე რა რომ ღმერთი არა მწამს, სამაგიეროდ, ლოცვის მადლი მჯერა.

ზემოდან ქვევით დავუყევი თიბვა-თიბვით. ფერდობი აქა-იქ ისე დაბრეცილ-გაფრიალოებულიყო, ფეხს ძლივს ვიკიდებდი.

ეს ადგილი, ეტყობა ,იშვიათად ითიბებოდა, ქვა-ღორღისაგან არ იყო გაწმენდილი და ცელი ხშირად ნაპერწკლებს ისროდა. ჯახანს რომ გავიგონებდი და ნაპერწკლებსაც დავინახავდი, უმალვე წელზე შებმულ ტყავის ბუდეში ჩადებულ სალესავს ამოვიღებდი, ცელს გავუსვ-გამოვუსვამდი, პირს ავუწყობდი, ფხას ცერით გავუსინჯავდი და ისევ საამოდ ავაშხივილებდი:

— შვიტ! შვიტ! შვიტ! შვიტ!

ასე შვიტინებს ცვრიანი ბალახი, მერე, სიცხე რომ გააფიცხებს, სხვა ხმას იძენს.

ცვრიანი ბალახის ხმა უფრო მიყვარს.

ნარნარი ყვავილით მოჩითულ მწვანე ფერდობს დილის ნიავი ეთამაშებოდა და ისე ლამაზად აბიბინებდა, გეგონებოდათ, ყვავილები და ბალახი ერთმანეთს ფეხაყოლებით ეცეკვებიანო.

ფერდობის დაბრეცილი ადგილი ჩამოვპარსე და ჩამოვივაკე. ახლაღა ავაყოლე თვალი ნათიბს. ფერდობის ზემოთ აყუდებული კლდე პირქუშად გადმომცქეროდა. იმ კლდის ზურგზე ორი პატარა მინდორი მეგულებოდა. რადგან წელს ფერდობზეც კი ასე მოიწონა თავი ბალახმა, შეუძლებელია, იქ არ იყოს სათიბი. კლდის ზურგზე კი ასიცხებისას ვაღარ გავთიბავ. ეს პატარა ვაკე კი მომიცდის-მეთქი, გავიფიქრე და კლდისაკენ გავაბოტე.

დარწმუნებული ვიყავი, იქ სათიბს ვიპოვიდი და რომ დავინახე, მაინც ისე გამეხარდა, თითქოს მოულოდნელად აღმომეჩინოს. მაშინვე მოვიმარჯვე ცელი.

ქვემოდან ზანზალაკების ხმა მომესმა. ბილიკზე მწყემსი გერვასი გამოჩნდა, ძროხებს და ხბორებს მიერეკებოდა ღელისგაღმა საბალახოებისაკენ. იქით რომ გავიხედე, ფეხქვეშ ლოდი გამომეცალა და დაგორდა.

— ჰეი, გერვასი, ფრთხილად!

ვიდრე ჩემი ხმა მწყემსამდე ჩააღწევდა, ლოდმა გვერდით ჩაუქროლა გერვასის, ბრახუნ-ჩახანით ჩაირბინა მეორე კლდის ოღროჩოღრო მკერდი, ფერდობის კალთაც, დიდ მუხას დაეჯახა და გაჩერდა.

— რომელი ხარ, კაცო, მანდ?

— მე ვარ, გერვასი ბიძია, ტუხა.

— კი, მაგრამ, მანდ ამ დილა-უთენია რამ აგიყვანა?

— ვთიბავ, გერვასი ბიძია.

— თიბავ! ღმერთო, შენ შემეწიე! მაგ კლდეებში ჩემი დღე და მოსწრება არავის მოუთიბია რამე, მგონი, ცელის მოსაქმევი მიწაც არაა და შენ რას თიბავ, ადამიანო.

— ბალახს.

— ნამეტანი მოუსვენარი ხარ. სად ნახე მანდ ბალახი?! ეგ კლდე რომ გასაპნო და აბელა დალაქს სამართებლით გააპარსვინო, ისიც საკითხავია, მოჰყვება თუ არა რამე. ქოსა კლდეებში თიბვა გაგონილა, ბიჭო?

— მე სხვანაირი ცელი მაქვს, გერვასი ბიძია. სათიბს თვითონ აჩენს და მერე თიბავს.

— ხუმრობა იქით იყოს და, მგონია, მართლა მასთეა.

ზანზალაკების ხმა ღელის გაღმა გავიდა. გერვასი იმ ხმას გაჰყვა და მე ისევ ჩემი ცელისა და პირქუში კლდის ამარა დავრჩი.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა იმედაშვილი

# მითი და თანამედროვე ქართული პროზა

## წერილი პირველი

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ პროცესში მითოლოგირების ორი მძლავრი ნაკადი შეინიშნება: 1910-20-იანი და 1960-70-იანი წლები. ერთის შეხედვით, მათ შორის თითქოს გენეტური კავშირი არსებობს, მაგრამ თუ პროცესის ბუნებას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, პრინციპული ხასიათის განსხვავებასაც აღმოვაჩენთ, რომელიც ამ ორ ნაკადს დამოუკიდებელ მოვლენებად წარმოგვიდგენს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ლიტერატურის სხვა პერიოდებთან შედარებით, ყველაზე დიდ ახლობლობას ისინი მაინც ერთმანეთთან ავლენენ.

ათიანი და ოციანი წლების ლიტერატურულ პროცესზე უდიდესი გავლენა მოახდინეს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურულმა, თუ ფილოსოფიურმა ტენდენციებმა და მიმართულებებმა; იმდენად დიდი, რომ გარკვეულად დაჩრდილეს კიდეც ვაჟა-ფშაველას ცოცხალი ლიტერატურული ტრადიცია, მითოლოგიზირების ის ორგანული და ხალასი გამოვლენა, რომელიც გაგრძელების გარეშე დარჩა სწორედ თავისი მასშტაბურობისა და განუმეორებლობის გამო.

დრომ, „ევროპის დაისმა“, მისტიციზმში გადავარდნილმა თაობამ რუსეთში — თავისი პრობლემები მოიტანეს, თავისი გმირები, რომელნიც არასგზით არა ჰგავდნენ ვაჟას რენესანსულ პიროვნებებს არც თავისი ხასიათით და არც თავისი ტკივილებით.

მითისქმნადობის გამომწვევი მიზეზი და საფუძველი 10-20-იანი წლების ქართულ მწერლობაში გარკვეულად ფრიდრიხ ნიცშე და მის შეხედულებებთან დაკავშირებული ლიტერატურა იყო. ეს საკითხი კვლავაც საჭიროებს სპეციალისტთა განსაკუთრებულ ჩაკვირვებას, რადგან მხოლოდ უბრალო გავლენებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ხშირ შემთხვევაში ორიგინალურ სიახლეებთან, რისი მიზეზიც ერთი მხრივ, რეალურ სინამდვილეშია საძიებელი, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართული მითოლოგიური პანთეონის თავისებურებასა და მისი რეარანჟირების ლიტერატურულ ტრადიციაში, თუნდაც, იმავე ვაჟა-ფშაველას ტრადიციაში.

ქართულმა სიმბოლიზმმა თუ ექსპრესიონიზმმა ევროპული თუ რუსული მწერლობის ბევრი პრობლემა გაითავისა, გაითავისა ისტორიასთან და მითთან დამოკიდებულებაც. ამავე დროს, თავის წიაღში მონახა იმისი ენერგიაც, რომ ორიგინალური დარჩენილიყო თავისსავე მხატვრულ მიგნებებში. სწორედ სიღრმისეულმა ენერგიამ მისცა ძალა ოციანი წლების ქართულ მწერლობას ახალი ყოფის რეალისტური ასახვისათვის, მითისქმნადობის იმ სტილისტური მიგნებების გამოყენებისათვის, რომელმაც შემდგომშიც იჩინა თავი ოცდაათიანი წლების თუნდაც ისეთ რომანში, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაა“.

„მთვარის მოტაცება“ გამოქვეყნდა 1935 წელს და იგი იქცა არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა პროზის მნიშვნელოვან ნაწარმოებადაც. მან გაითავისა ყველა ის საუკეთესო, რაც ქართულ რეალიზმს თუ ექსპრესიონიზმს გააჩნდა, მაგრამ მანვე დასახა ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროზაში სოციალისტური რეალიზმის ფორმირების ახალი გზები; თუმცაღა, ისიც სათქმელია, რომ ამ რომანიდან მოყოლებული ვიდრე 60-იან წლებამდე ქართულ პროზაში დემითოლოგირების პროცესი მიმდინარეობდა თავისი დადებითი თუ უარყოფითი გამოვლინებებით.

ოცდაათიანი წლებიდან ვიდრე ორმოცდაათიანის ბოლომდე მითოლოგიზების პროცესი ლიტერატურაში წყდება. ამ მოვლენის მიზეზები ჯერ საძიებელია ისევე, როგორც საძიებელია რემითოლოგირების მიზეზები 60-70-იანი წლების პროზაში.

სანამ ამ კითხვებზე გავცემთ პასუხს, მანამდე თვით სურათი უნდა წარმოვიდგინოთ თავის სისრულეში: როგორ, რა სახით იჩენს თავს რემითოლოგირების პროცესი 60-70-იანი წლების ქართულ მწერლობაში.

რემითოლოგირება თუ დემითოლოგირება ლიტერატურაში მწერლობის სიღრმისეული პროცესების გამოვლენაა; მას თავისი მიზეზები აქვს, თავისი კანონები და არ არის დამოკიდებული არც ამა თუ იმ შემოქმედისა და არც დროის კაპრიზზე.

ამ მიზეზთა და კანონთა კვლევა და დადგენა მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით ძნელია და საჭიროებს სპეციალურად გამიზნული შრომატევადი სამუშაოს ჩატარებას. ამჯერად მე შემოვფარგლები — ქართული პროზის 60-70-იანი წლებით, რომელშიც რემითოლოგირების პროცესი არც გარე გავლენის შედეგია და არც ვინმეს, თუნდაც ძალზე ნიჭიერი მწერლის სურვილისა.

ყველაფერი შედარების გზით ხდება ცხადი, მათ შორის, ლიტერატურული პროცესის თავისებურებანიც. ამ პროცესს კი ბევრი რამ განსაზღვრავს — უპირველეს ყოვლისა კი საზოგადოებაში მომხდარი ის ცვლილებები, რომელიც ადამიანის ახალ კონცეფციას წამოაყენებს — ახალი იდეალებით, ახალი შეხედულებებით, ახალი ესთეტიკური საწყაოთი...

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრისთვის ჩვენს საზოგადოებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა წინა პლანზე დააყენეს ახალი ადამიანი — პიროვნება ახალ ღირებულებათა ძიების მძაფრი პათოსით. ამ ძიებებმა ლიტერატურაში შემოიყვანეს ახალი გმირი — ახალგაზრდა მაძიებელი კაცი და თავისი კვალი დააჩნიეს ლიტერატურის ჟანრობრივ, ფორმალურ მხარესაც: წინა პლანზე წამოვიდა აღმსარებლობითი პროზა და ე. წ. „ლირიკული პოემა", ენა პროზისა თუ პოეზიისა გახდა სადა, განთავისუფლდა გარეგნული „სამკაულებისაგან", დაუახლოვდა ყოფით მეტყველებას. ტიპური მაგალითია ამისა გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, გურამ გეგეშიძის, თამაზ ჭილაძის, მერაბ ელიოზიშვილის პროზა, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, არჩილ სულაკაურის, ოთარ ჭილაძის პოეზია.

ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრება იქცა ამ პერიოდის ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დამახასიათებელ თემად. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მაშინვე თავს იჩენდა ამ ჩვეულებრივში (თუნდაც იმავე დუმბაძის, ინანიშვილის, სულაკაურის, იოსელიანის, ნაწარმოებებში), არაჩვეულებრივის დანახვის ტენდენციაც, რაც შემდეგ, ვფიქრობ, ყოველდღიური სინამდვილის რომანტიზების და ენის მეტაფორიზების საფუძვლად იქცა, ეს უფრო შემდეგ, 70-იანი წლებისაკენ. იმ დროისთვის კი ძალზე ბევრი ტკივილი ჯერ მეტად მწვავედ იგრძნობოდა, ადამიანს ჯერ ძალზე ბევრ რეალურ შეკითხვაზე ჰქონდა პასუხი გასაცემი, ბევრი რამ გასარკვევი დროსთან და სინდისთან და სინამდვილისაგან მოწყვეტა, რომანტიზება ამ სინამდვილისა მას არ შეეძლო.

ეს იყო პიროვნების თვითდადგინების ხანა ჩვენს მწერლობაში.

მომდევნო საფეხური ამ ლიტერატურული პროცესისა (დაახლოებით 60-იანი წლების შუა ხანებიდან) აღიბეჭდა პუბლიცისტიზმისა და კრიტიციზმის მოძალებით (ლადო მრელაშვილი, გურამ ფანჯიკიძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, ოთარ ჩხეიძე, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ციციშვილი). მწერლობა ოპერატიულად უპასუხებდა მის წინ დასმულ ამოცანებს, მაგრამ ამ თავის მცდელობაში მისი დროის ლოკალი უპირატესად ამწამიერი გახლდათ, ხოლო ადგილისა — ერთი რესპუბლიკის კონკრეტული სინამდვილე. ჟურნალიზმი, პუბლიცისტიკა იქცა ამ პერიოდის ერთი ნაკადის პროზის დამახასიათებლად, ისევე, როგორც მოწოდებლობა პოეზიისა. ყოველივე ამან ბევრი დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნა, თუმცა, არანაკლები — უკვე დავიწყებულიც. რადგან ბოროტებასთან ბრძოლა არცთუიშვიათად არ იქცა ამ ბოროტების ღრმა ანალიზად, მიზეზთა გლობალურ რკვევად, შედეგთა განზოგადებად. მაგრამ ხელოვნება ვერ იკეტება დროისა და ადგილის საზღვრებში: ამიტომაც მიმართა შემდეგ ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ (განსაკუთრებით კინომ) გარდათქმას, გამოგონილ სამყაროს, სიმბოლურ გმირებს. სიმართლე მაინც უნდა თქმულიყო, თქმულიყო თუნდაც ანალოგიების მეშვეობით, თუნდაც წარმოსახულ სამყაროში, ხილვებში, ოცნებაში. ლიტერატურაში კვლავ შემოდიან: დონ-კიხოტი, აბელი, ბარაბა, ტარტიუფი... მათ სხვა სახელები ჰქვიათ, მაგრამ სტრუქტურულად ისინი იმეორებენ ლიტერატურულ არქეტიპებს (კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გურამ დოჩანაშვილი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე). ასეთი „გამეორება" აფართოებს დროის ლოკალს. ყოველდღიურ სი-

ნამდვილეს აზოგადებს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულად აშორებს კიდეც მკითხველის ყურადღებას ამ სინამდვილეს, რადგან ყოველდღიურობას ცვლის ყოველდღიურობის არა კონკრეტული, არამედ დროის გარეთ მდგომი მოდელით, მისი მეტაფორული გარდათქმით, მითოლოგიზებით. ესთეტიკური და ეთიკური თვალსაზრისით ამ პერიოდის მწერლობის მიგნებანი უდაოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ზემოთ აღნიშნული, მის ნაკლსაც წარმოადგენს. თუმცაღა, არა ყოველთვის. მაგალითად, ნოდარ წულეისკირისა და ნოდარ დუმბაძის რომანებში თანამედროვეობა სწორედ მუდმივად არსებული მითოლოგიური სიმბოლოების მეშვეობით განზოგადდა, მაგრამ მათ არ დაუკარგავთ არც კონკრეტულობა და არც აქტუალობა. აქვე ხაზგასმით ისიც უნდა ითქვას, რომ მითოლოგიზების პროცესმა სამოციანი წლების ქართულ მწერლობაში თავდაპირველად პოეზიაში იჩინა თავი — ლირიკულ პოემაში (ოთარ ჭილაძის — „სიყვარულის პოემა“, „თიხის სამი ფირფიტა“, ტარიელ ჭანტურიას — „ძე შეცთომილი“), რაც საკმაოდ სიმპტომატურია — კონკრეტული პიროვნების ბედი არქეტიპების მეშვეობით დაუკავშირდა კაცობრიობის ბედს.

ძირითადი განმსაზღვრელი აღნიშნული პერიოდისა საზოგადოებისა და პიროვნებისა თვითგანწმენდის პათოსი გახლავთ. ამიტომ, როდესაც პარტიამ სამოცდაათიანი წლებიდან მთელის სიმწვავით, ოფიციალურად და შეუფარავად დააყენა დღის წესრიგში პიროვნებისა თუ საზოგადოების მორალური სიწმინდის საკითხი, მწერლობა დადგა აუცილებლობის წინ — თავისი პათოსი მიემართა არა მხოლოდ მხილებისა და კრიტიკისაკენ (რადგან ოფიციალურ დოკუმენტებში ყველაფერი საკმაოდ შეუფარავად იყო ნათქვამი), არამედ ყოველივე არსებულისა თუ მომხდარის მიზეზთა მიზეზის კვლევისაკენ. მწერლობას უნდა აერჩია ორი გზიდან ერთი: ან გაემეორებინა უკვე ცნობილი შეფასებანი ( რაც მისი შინაგანი ბუნებისთვის მიუღებელი უნდა იყოს), ან ძირის-ძირობამდე ჩაღრმავებოდა მოვლენას, ჰორიზონტალის ნაცვლად ეკვლია ვერტიკალზე, ეთქვა უფრო მეტი ვიდრე მანამდე ითქვა, ეთქვა უფრო თამამად, უფრო ოსტატურად, ეთქვა ესთეტიურად და ეთიკურად უფრო ღირებული... ჯერ-ჯერობით ეს სათქმელი ნაწილობრივაა ნათქვამი. ასე რომ ამ მიმართულებით ძიებანი ჯერ კიდევ წინ არის, რადგან ძიების პროცესი არ მისულა აპოგეამდე.

ყოველივე ამის შემდეგ (ფაქტიურად მის პარალელურად) ჩვენს მწერლობაში განსაკუთრებული აქტუალობით დადგა პრობლემა პიროვნების ბედის თანაზიარობისა ერის ისტორიულ ბედთან, რამაც თავი იჩინა როგორც პროზას (გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი) და პოეზიაში (მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი), ისე კინოში (ნოდარ მანაგაძის „ამაღლება“). პრობლემის სპეციფიურობამ მოითხოვა მხატვრული ტექსტის მნიშვნელოვანი გადახალისება. პროზასა და პოეზიაშიც აქცენტი გადატანილი იქნა დროის გარეთ მდგომ მუდმივ სიმბოლოსა და სიტუაციაზე, რამაც პრინციპული სიახლე შემოიტანა ისტორიულ პროზაში, გამოიწვია მისი ჟანრული გაახლება. მხედველობაში მაქვს ისტორიული პროზის ისეთი თავისებური ფორმები, როდესაც ნაწარმოების დრო ნაირკითხვაობას იძლევა, პოლივალენტურია. მასში კონკრეტულად აღწერილი ისტორიული დრო თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი პროეცირება „სხვა დროზე“, ან მთლიანად ერის არსებობის დროზე, წარსულზე თუ თანამედროვეობაზე ამ კონკრეტულობას ზოგადეროვნულ და არც თუ იშვიათად ზოგადკაცობრიულ მოვლენად აქცევს. ამ ეფექტის მისაღწევად მწერალი მიმართავს პარაბოლას, იგავს, მითს, სიმბოლოს — როგორც დროის გარეშე მდგომ მხატვრულ ტექსტებს, ან ფიგურებს.

ასეთი მიდგომა ქმნის ახალ ისტორიულ რომანს, ეპოპეის ტოლფარდს; მხედველობაში მაქვს გარსია მარკესის „ასი წლის სიმარტოვე“ და „პატრიარქის შემოდგომა“, ხოლო ჩვენთან ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმა“ და „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. გარდათქმითი ხასიათი აქვს ასევე ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასაც“, თუმცა მასში პარაბოლური პოეტიკა უფრო ჭარბობს, ვიდრე მითოლოგიზება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მითოლოგიურ არქეტიპსაც მიმართავს. ასეთ ნაწარმოებებში ადამიანები საოცრად მიწიერნი არიან და კონკრეტულნი, მაგრამ, ამავე დროს, სიმბოლურნი, უზოგადესნი და დროის გადამლახავნიც. პიროვნულ ისტორიაში ვლინდება ერის ისტორია, პიროვნულ მისიაში — ეროვნული მისია, პიროვნულ დრამაში — ეროვნული დრამა.

მასშტაბურობა არის ამ ტიპის ნაწარმოებთა ერთი მთავარი დამახასიათებელი, მასშტაბურობა და ეროვნულობა. ასე რომ, ეპოპეა ზემოთ შემთხვევით არ ყოფილა ნახსენები.

ამჟამად სამივე აღნიშნული ტენდენცია ქართულ მწერლობაში ერთმანეთის გვერდით მოქმედებს და მეტ-ნაკლები სიმძაფრით იჩენს თავს; რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება დიდი შეცდომა იქნებოდა. რამეთუ ყოველი მათგანი როგორც ძლიერ ისე სუსტ ნაწარმოებებში ვლინდება.

აღნიშნული ლიტერატურული პროცესი მარტო ქართული მწერლობისთვის არ არის დამახასიათებელი. ზემოთ მე მარკესი დავასახელე. ეს კიდევ საკვლევია და პასუხგასაცემია რატომ იჩინა თავი ორ ასეთ დაშორებულ წერტილში ერთგვარი მხატვრული კონცეფციებისადმი ლტოლვამ, მაგრამ ამ ორ წერტილს შორის არ-

სებულ სივრცეშიც ვლინდება მითისა თუ პარაბოლისადმი მიდრეკილება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მსოფლიო ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მოვლენასთან და მისი ტიპოლოგიური შესწავლა ბევრ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანს.

ამჯერად საბჭოთა ლიტერატურაზე შევჩერდები.

1978 წლის მარტში „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე გაიმართა დისკუსია მითის ადგილის შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში. დისკუსიამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტი გამოავლინა განსაკუთრებული რელიეფურობით: პირველი — თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში მითოლოგირების გეოგრაფიული კონტურები საკმაოდ დიდია — რუსეთი, მოლდავეთი, შუა აზიის რესპუბლიკები, უკრაინა, აზერბაიჯანი, ესტონეთი, სომხეთი, საქართველო. მითს მიმართავენ ვ. ბელოვი, ი. დრუცე, გ. მათევოსიანი, ჩ. აიტმატოვი, ნ. ჰუსეინოვი, ელჩინი, ვ. დროზდი, ვ. ზემლიაკი, ი. კროსსი, ე. ვეტემაა, ვ. რასპუტინი, პ. ზაგრებელნი, მ. იბრაგიმოვი და სხვანი და სხვანი, ქართულ პროზაზე რომ აღარაფერი ვთქვათ; მეორე — მითოლოგიზირების პროცესის კვლევა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მასალაზე დაყრდნობით ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

ამ დისკუსიის დროს მ. აუეზოვმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება:

**«Тяготение к традициям фольклора и мифов наблюдается сегодня главным образом в младописьменных и новописьменных (!) литературах» («ЛГ», 1978, № 23).**

ეს შეიძლებოდა გაუგებრობად ჩაგვეთვალა, მაგრამ იგივე პოზიცია მეთოდოლოგიურ ამოსავლად იქცა ისეთი კრებულისათვის, როგორიცაა „საბჭოთა რომანი. პოეტიკა. ტიპოლოგია. „ნაუკას“ გამოცემა, 1978 წ. (რუს. ენაზე). ამ შეხედულების საწყისი კი, ეტყობა, რობერტ ვეიმანის წიგნში („ლიტერატურის ისტორია და მითოლოგია“, „პროგრეს“. 1975), უნდა ვეძებოთ, სადაც აფრიკის ახალგაზრდა ლიტერატურათა მაგალითზე განიხილება მითოლოგიზირების ერთი ასპექტი.

მ. აუეზოვის სიტყვების შებრუნებით უკუდასკვნაც შეგვიძლია მივიღოთ: მითოლოგირება გარკვეულად ლიტერატურის სინორჩეზე მიუთითებს. მაშინ როგორ შევაფასოთ მითოლოგიების პროცესი ევროპულ ლიტერატურაში, რომელსაც სინორჩეს ვერ დასწამებ? სინორჩეს ვერ დასწამებ ვერც ქართულ ლიტერატურას, რომელიც დისკუსიაში არ იყო გათვალისწინებული. მისი დღევანდელი დღე კი რემითოლოგირების გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ აზროვნების ინერციას ეტყობა დიდი ძალა აქვს, რადგან როდესაც მე ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ მითისა თუ ბიბლიის მოდელები დავძებნე, ზოგმა თუ მხარი დამიჭირა (ლ. ანთ-სკიმ, რომელიც ხელთნაწერში გაეცნო ჩემს წერილს, გ. გვერდწითელმა), ზოგმა საკმაოდ მკაცრად გამაკრიტიკა კიდეც (ლ. ნოვიჩენკო).

რა თქმა უნდა, ყველაფერზე საბოლოო პასუხს თვით მხატვრული ტექსტი იძლევა, მაგრამ როდესაც მისი წაკითხვის დროს აზრთა პრინციპული სხვაობა იჩენს თავს, ვფიქრობ, მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ავტორის განმარტებასაც. შარშან „მნათობში“ და წელს „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე (№ 1) გამოქვეყნდა ჩემი საუბარი ნოდარ დუმბაძესთან, სადაც სწორედ მითთან მისი მიმართება იყო გამოვლენილი: „დრო კი დადგა, — ამბობდა იგი, — მთელი სიღრმით გაირკვეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მითოლოგიისა და მითისქმნადობის როლი, მაგრამ ვეჭვობ მე და თქვენ ამ პატარა ინტერვიუში ესოდენ დიდი პრობლემა გადავწყვიტოთ. პირადად მე ამის არც საშუალება და არც უფლება გამაჩნია, ისე კი ჩემს მოსაზრებას სიამოვნებით მოგახსენებთ, ოღონდ ძალიან მოკლედ.

მითოსისა და ბიბლიის გამოყენება ლიტერატურაში ახალი არ გახლავთ. ამას ჩვენს ლიტერატურაში დიდი და შორეული ტრადიცია აქვს. უფრო მეტს მოგახსენებთ: მითიცა და ბიბლიაც ორთავე, მე თავად უდიდეს ლიტერატურად მიმაჩნია.

ერთი რამ არის აღსანიშნავი. ვიდრე ბიბლიაცა და მითოსიც ავტორთა მიერ, როგორც პირველწყარო ან სიუჟეტის დამხმარე მასალა მხოლოდ ისტორიულ რომანებში გამოიყენებოდა, მათდამი განსაკუთრებული პრეტენზია არავის არ გააჩნდა, მაგრამ როგორც კი ბიბლია და მითოსი თანამედროვე ლიტერატურაში გადმოსახლდა და მის ორგანულ ნაწილად იქცა, ამან დიდი აურზაური, დაბნეულობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკაში.

მითოლოგიური და ბიბლიური თემების, სენტენციების და დოგმების გათანამედროულება მათი თემატიკისა და თუნდაც სიუჟეტური მომხიბვლელობით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ გაჩენის დღიდან ადამიანის ხასიათისა და მისი ბუნების სტაბილურობით.

საკითხი გაცილებით უფრო ნათელია, ვიდრე ზოგს ჰგონია. საქმე ის არის, რომ მითოსსა და ბიბლიაში ბიბლიურ გმირთა — ღვთაებათა და ადამიანთა შორის აღწერილი ურთიერთობანი, ვნებები, ფსიქოლოგიზმი და, თუ გნებავთ, ფილოსოფიაც კი ზოგ შემთხვევაში იმდენად რეალურია, მიწიერი და აქედან გამომდინარე თანამედროვეა, რომ მათი მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტში წაკითხვა, ჩემის აზრით, შეცდომაა და მკრეხელობა.

ეს თემები უზომო სიმკვრივის კვაზარულ

ვარსკვლავებს ჰგვანან, რომლებიც თავის თავში გასაოცარ ენერგიასა და მასას იტევენ. უზარმაზარია მათი მაგნიტური ველი და მიზიდულობის ძალა; ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირი, თუ ეს ძალა თანამედროვეობასაც მისწვდა. ტყუილად როდი თქვა თომას მანის პირადმა მდივანმა, როდესაც „იოსებისა და მისი ძმების“ ხელთნაწერი წაიკითხა: — მადლობა ღმერთს, ძლივს არ გავიგე როგორ მოხდა ყოველივე ესო — ასევე საოცარი დამაჯერებლობით არის დაწერილი მარკესის „ასი წლის სიმარტოვე“. მეოცე საუკუნის ეს ორი შედევრი ყოველივე ზემოთ თქმულის უტყუარი საბუთი და დადასტურებაა.

როდესაც მე „თეთრი ბაირაღების“ მოდელად, ანუ სიუჟეტურ ჩარჩოდ, ბიბლიური თემა, ნოეს კიდობანი გამოვიყენე, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს საკუთარი არ მქონდა და ამიტომ სხვისი მოურგებელი პერანგი ჩავიცვი, არა. მე, როდესაც ამას ვაკეთებდი, მშვენივრად ვიცოდი, რომ ნოეს კიდობანმა ადამიანთა მოდგმა გადაარჩინა და რომ მე თავად ვარ იმ გადარჩენილ ადამიანთა ერთ-ერთი ნაშიერი, მაგრამ მე ამ მოვლენაზე უფრო ის მაინტერესებდა, თუ რა მოხდა იმ ორმოც დღეში, რა ვნებები, რა განცდები აწუხებდა და რა მოლოდინით ცოცხლობდა კიდობანში ნოე და მისი „ეკიპაჟი“.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ამ ორმოცმა დღემ განსაზღვრა და განაპირობა ნოეს აქეთ არსებული კაცობრიობის მორალური და ზნეობრივი საქციელი. შემთხვევით როდია ლექსიკონში კიდობანი ასე განმარტებული: — ფიცრის კოლოფი, რომელსა შინაცა იუდეანთა აქუანდათ დამარხულ ფიცარნი სჯულისანი: — სწორედ ის ორმოცი დღე გახლდათ დრო იმ სულიერი კათარზისისა, რომელიც განიცადა კაცობრიობამ, რამეთუ იმ ორმოც დღეში არ შეიძლება ნოეს ანალიზი არ გაეკეთებინა იმ შემზარავი სასჯელისათვის, რომლითაც დასაჯა გამჩენმა მისმიერვე შექმნილი და სულჩადგმული ადამიანი. მხოლოდ ასე და ამ ასპექტში უნდა იქნას წაკითხული ყოველგვარი მითოლოგიური და ბიბლიური. სხვანაირად მე ვერც წარმომიდგენია და ვფიქრობ არც შეიძლება“.

ყოველივე ზემონათქვამის დასკვნად ბორის ანაშენკოვის სიტყვებს უნდა მოვუხმოთ იმავე „ლიტერატურნაია გაზეტადან“;

**«Нет никакого сомнения в том, что сегодняшняя проза со всеми присущими ей «излишествами» не с неба упала — ее подготовили сложные, глубинные течения общественно-литературной жизни».**

ზემოთ გაკვრით ითქვა რემითოლოგირების მიზეზებზე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, თუმცაღა მიზეზთა ამომწურავი კვლევა ჯერ კიდევ წინ არის, რადგან ჩვენ პროცესის შუა გულში ვიმყოფებით, ყოველივე ჩვენს თვალწინ და ჩვენს გარშემო ხდება. ეს აძნელებს პროცესის პირუთვნელ შეფასებას. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართული ლიტერატურა მითოლოგიური მოტივების, მითოლოგიური კონსტრუქციების, მითოლოგიური არქეტიპების, მითოლოგემებისა და დროის მითოლოგიური ინტერპრეტაციის გარეშე წარმოუდგენელია. ყოველივე ეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მთელის აქტუალობით აყენებს მითის პრობლემის შესწავლას. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ეს პრობლემა ჯერ კიდევ ვერაა სათანადოდ გარკვეული. ქართულმა მასალამ აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას, რამეთუ მისი მნიშვნელობა მთელი საბჭოთა ლიტერატურული პროცესის თვალსაზრისით საკმაოდ დიდია. შემთხვევითი არაა, რომ ცალკეულ ნაწარმოებთა ინტერპრეტაციისა და შეფასების თვალსაზრისით სწორედ ქართულ კრიტიკაშია გამოთქმული ბევრი მეტად საყურადღებო მოსაზრება. ხშირ შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით და გავიმეორებთ კიდეც ამ შეხედულებებს.

რემითოლოგირების პროცესმა ისეთ ნაწარმოებებშიც იჩინა თავი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია 60-70-იანი წლების ჩვენი მწერლობა: გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, თამაზ ჭილაძის „გასეირნება პონის ეტლით“, „შუადღე“, არჩილ სულაკაურის „აბელის დაბრუნება“, „ლუკა“, ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირაღები“, „მზე“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“. გივი მაღულარიას „მეამბოხენი“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“.

ეს ნაწარმოებები მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით რთულია, რთულია მათი პოეტიკა, მრავალპლასტიანი მხატვრული ტექსტი; ასე რომ, მათი მხატვრული ანალიზი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ,მოითხოვს ამ ტექსტის დეტალურ ანალიზს.

უპირველესი, რაც უნდა აღინიშნოს, თვით იმ წყაროს მითითებაა, იმ მითოლოგიური არეალის შემოსაზღვრაა, რომელსაც ეყრდნობა ქართული თანამედროვე პროზა: ქართული მითოლოგია, ბერძნული, შუა მდინარეთის, ახალი და ძველი აღთქმა...

**ქართული მითოლოგიური წარმოდგენები თავს იჩენს** რომანებში — „მკვდრის მზე“, „თუთარჩელა“, „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირაღები“, „დათა თუთაშხია“, „გზაზე ერთი

კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, მოთხრობაში „მზე“.

ბერძნული მითოლოგია — რომანებში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. „მეამბოხენი“.

შუამდინარეთის მითოლოგია — მოთხრობაში „ლუკა“.

ახალი და ძველი აღთქმა — მოთხრობებში „გასეირნება პონის ეტლით“, „შუადღე“, „აბელის დაბრუნება“, რომანებში — „თუთარჩელა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირაღები“, „დათა თუთაშხია“, „სამოსელი პირველი“, „ცოდვილი“.

როგორც ამ ჩამოთვლიდან ჩანს, სხვადასხვა მითოლოგიური წყარო არცთუ იშვიათად ერთ სისტემაში ნახულობს ადგილს, ერთ მხატვრულ ტექსტში ცოცხლდება. ბუნებრივია, რომ მათი გაერთსხეულების დროს, მათი გათანამედროვეობის დროს მწერლები საკმაოდ ხშირად თვით მიმართავენ მითისქმნადობას. იქმნება ახალი სიმბოლოები ან ძველი მითოლოგემები ახალ კონტექსტში ახლებურად გაიგება. დგება საკითხი მითისქმნადობის მექანიზმისა და ფუნქციისა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში. შესანიშნავი საკვლევი მასალა ამ პრობლემის შესასწავლად, ისევ და ისევ ქართული თანამედროვე პროზაა — ნოდარ დუმბაძის, ნოდარ წულეისკირის, ჭაბუა ამირეჯიბის, არჩილ სულაკაურის, გურამ დოჩანაშვილის თუ სხვათა ნაწარმოებები.

მითი, მითის პოეტიკა, მითოლოგიური წარმოდგენები, დროისა და სივრცის მითოლოგიური გაგება ნახულობს ადგილს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე და ფილოსოფიურ რომანში, მითის გამოყენების არეალი არ არის შემოსაზღვრული არც თემატიკითა და არც პრობლემატიკით, მრავალგვარია მითის გამოყენების ფორმებიც თანამედროვე პროზაში — მისი უშუალო ციტირებიდან დაწყებული და პაროდირებით დამთავრებული, მაგრამ ერთია უმთავრესი ფუნქცია — ხაზი გაუსვას მოვლენათა ტიპიურობას, მუდმივობას და შეაფასოს იგი დღევანდელი პოზიციებიდან.

თანამედროვე რემითოლოგირებული პროზის პოეტიკა მეტად რთულია, მაგრამ ძირითადი მომენტები ამ პოეტიკიდან მაინც უნდა გამოეყოს — ციტირება, არქეტიპი, პარალელიზმი, შექცევადობა (დროის, მოვლენის, გმირის...), მითის გავრცობა, მითის დამოწმება, მითის პაროდირება, მითისქმნადობა.

ციტირება. მითის ციტირების წყაროდ ძირითადად გამოიყენება სახარება და ქართული მითოლოგია. ფუნქცია ციტირებისა ძირითადად ორგვარია — ეთიკური და კონცეფციური.

მითის კონცეფციური ფუნქცია მკაფიოდ გამოვლინდა ქართულ პროზაში ჯერ კიდევ ოცოცდაათიან წლებში (გავიხსენოთ თუნდაც „მთვარის მოტაცება“). ასე რომ 60-70-იანი წლების პროზა აქ ტრადიციის უშუალო გამგრძელებლად გვევლინება, მაგრამ ბიბლიის, ახალი თუ ძველი აღთქმის, ფსალმუნთა ციტირება, ამა თუ იმ კონცეფციის გამოხატვის ფუნქციით ტიპიური აღარ არის. დღეს ამ ციტატთა ეთიკური ფუნქცია წამოვიდა წინა პლანზე, რადგან ზემოხსენებული რელიგიური წიგნები თანამედროვე ავტორისთვის იქცა იმ ეთიკურ კანონთა კრებულად, რაიც კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი არსებობის მანძილზე; ამიტომ მისი გაზიარება, მისი გახსენება, მისი გათავისება ნიშნავს კაცობრიობის მახსოვრობის შემორჩენილ საუკეთესო ჭეშმარიტებებთან ზიარებას.

ეთიკურისა და კონცეფციურის გარდა, მითის ფუნქცია ასოციაციურია, რადგან იგი მიუთითებს მოვლენის შორეულ არქეტიპზე, იწვევს უკვე წაკითხულის, ერთხელ უკვე ფიქსირებულის ასოციაციას.

მაგალითად, თამაზ ჭილაძის მოთხრობაში (ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებში, სადაც მითოლოგირება იჩენს თავს. ესაა 1967 წელი) „შუადღე“ სახარების ციტატა: „მიუგო მთავარმან მან და რქვა მათ: ვინ გნებავს ორთა ამათგანი და მიგიტეო თქვენ? ხოლო მათ ჰრქვეს: „ბარაბა...“; გვახსენებს სახარების ცნობილ სიტუაციას, ქრისტეს გაწირვასა და კაცისმკვლელი ბარაბას შეწყალებას. ამ ისტორიულ არჩევანს უპირისპირდება არჩევანი დღევანდელი, არჩევანი მოთხრობის გმირისა — თებროსი, რომელმაც არჩევანი უკვე გააკეთა — პავლე, მართალი და მისთვის ლამის ღმერთკაცი აირჩია.

თავისთავად სახელი „ბარაბაც“ ციტირებაა ცნობილი მითოლოგიური „ბარაბასი“, ამავე დროს, იგი არქეტიპიც არის. სახარების ბარაბა, არის არქეტიპი დღევანდელი ბარაბასი, უფრო დახვეწილი ბოროტმოქმედისა.

არქეტიპულია აბელი „აბელის დაბრუნებაში“, გიორგი (გუგუ) — „თუთარჩელაში“ და გიორგა — რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

„აბელის დაბრუნებაში“ ტრავესტირებულია ბიბლიური მითი ძმის მიერ გაწირული აბელის შესახებ, გიორგი კალანდარია („თუთარჩელა“) და გიორგა („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) კი როგორც სახელით, ისე სხვადასხვა მითოლოგიური აქსესუარით გენეტურად უკავშირდებიან თეთრ გიორგის. თუმცაღა ამ სახეთა არქეტიპები მარტო თეთრი გიორგით არ ამოიწურება, აქაა ოდოიაც, არგიც, ქრისტეც.. სხვათაშორის, რამდენიმე არქეტიპთან გენეტური მიმართება სულაც არ არის გამონაკლისი, რადგან თვით ეს არქეტიპები ტიპოლოგიურად უკავშირდებიან ერთმანეთს.

რემითოლოგირების პროცესში თავს იჩენს მითის პოეტიკის ძირითადი დამახასიათებელი — დროის, სივრცის, მოვლენისა თუ გმირის შექ-

ცვალდობა. ყველაფერი მუდმივია, ყველაფერი მეორდება, ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები გადადიან ერთმანეთში, ავლენენ ერთმანეთს და ფუნქციურად ცვლიან ერთმანეთს. ასე მიიღწევა მხატვრული ტექსტის პოლივალენტობა. ერთი მაგალითი, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა..." მასში „თითქოს დროცა და გარემოც დაკონკრეტებულია, მაგრამ ამავე დროს, მწერალი განზრახ თვალსაჩინოდ არღვევს ერთსაც და მეორესაც. თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ თუ ფრიქსე ზუსტად ოცდახუთ წელს ცხოვრობდა ვანში, სამაგიეროდ იქვე, მის გვერდით არიან ბოჩია და ფოთოლა, ვისი ასაკიც არავინ იცის, რადგან ისინი თითქოს მარადისობიდან არიან გადმოსულნი. „ეს უცნაური ცოლქმარი დროს არ ეპუებოდა" — გვეტყვის ავტორი და მართლაც, მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა განუწყვეტლივ მრავლდებოდა, „იბადებოდნენ, ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ. ბოჩია კი უცვლელი რჩებოდა. „მწერალი ასე იმიტომ იქცევა, ხაზგასმულად იმისათვის არაფრად დაგიდევთ დროს, რომ არ შევცდეთ და მთელი ეს ტრაგედია რაიმე კერძო ისტორიულ შემთხვევად არ აღვიქვათ" (გ. გვერდწითელი, „მითი და რეალობა", „ლიტ. გაზ.", 1979. 24. VIII). სხვათაშორის, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ეს რომანი უდაო ახლობლობას ავლენს გაბრიელ გარსია მარკესის „ასი წლის ხიმარტოვესთან", მაგრამ ეს სიახლოვე შემოქმედებითი კონცეფციების სიახლოვეზე მიუთითებს მხოლოდ და კიდევ იმაზე, რომ მითში თვითაა ჩამარხული მისი გამოყენების ერთგვარი შესაძლებლობანი.

მითის დამიწება, გაჩვეულებრივება, მითისაგან მითოლოგიური საბურველის მოხსნა, რაც ახასიათებს ოთარ ჭილაძის რომანის ერთ პლასტს (ერთს, რადგან იქვე შეინიშნება უბრალო სინამდვილის მითამდე აყვანაც) იქცევა გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი" შემოქმედებით კონცეფციად. ასეთ კონცეფციას იცნობს ლიტერატურა. მხედველობაში მაქვს თომას მანის „იოსები და მისი ძმები", რომელშიც იოსებ მშვენიერის პატარა მითოლოგიური მოტივი გავრცობილია დიდ რომანად. ასევე, გურამ დოჩანაშვილის რომანში გავრცობილია უძღები შვილის მითოლოგიური მოტივი, რომელიც უკვე თავის თავში შეიცავს ყოფითობას. მაგრამ მითოსის უზოგადესი ხასიათი, მისი რომანტიკული საბურველი და ზოგ შემთხვევაში ფანტასტური ლოგიკა მასში მაინც შენარჩუნებულია. მასშივე ფილოსოფიურადაა განზოგადებული სახარების სხვა ცნობილი მოტივებიც, ახალ ხატში ტრანსფორმირებულია ცნობილი, ფანტასტური ეპიზოდი: ერთი მაგალითი: მაცხოვარმა, ღვთისშვილმა და „ცხოვართა მწყემსმან", თავისი სიწმინდისა და მაღალი მიზანდასახულობის წყალობით სასწაული მოახდინა, ზღვა ფეხით გადაიარა. ანალოგიურ სასწაულს ჩადის დოჩანაშვილის მენდეს მასიელიც, სერტანელთა მრჩეველი, მათი წინამძღოლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, კონსელეირო: „რაღაცნაირად გოროზად მოდიოდა მგზავრი, და მომაკვდინებელ ბუჩქნარში კუშტად რომ შემოაბიჯა, დიდად განცვიფრდნენ, არც ერთ ვაკეიროს არ ენახა ამდაგვარი რამ — კაატინგის ბუჩქნარი გადაიწია, გადაიშალა და განზე განერთხო".

არის აქ სხვა მითოლოგემებიც, თითქოს გაუბრალოებული და ყოფით რეალობამდე დაყვანილი, თუმცა ეს გაუბრალოება მაინც მოჩვენებითია, რადგან მკითხველის აღქმაში არქეტიპი ცოცხლობს და რეარანჟირებული მითოლოგემა გენეტურად აუცილებლად უკავშირდება მას. აღქმის ასეთი პროცესი შეუმჩნევლად აზოგადებს ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრებას. რამდენიმე მაგალითი: უპირველესი — მენდეს მასიელი არქეტიპს რომ უკავშირდება, ამას მარტო ზემოთმოხმობილი მითოლოგემა არ ადასტურებს. მენდეს მასიელსაც, როგორც მითშია, თავდაპირველად ორი მიმდევარი, ორი მოწაფე ჰყავდა. აქვეა ანალოგია და ასოციაციური მითითება კანუდოსელთა განბანვაზე, რომელიც მდინარე იორდანეში განბანვის მოდელზეა შექმნილი: „ყველანი მიხვდნენ — ამ მდინარეში სერტანელებად ჩავიდნენ და ახლა კი, ახლა, განბანილები, გრილნი, ძლიერნი — კანუდოსელები იყვნენ".

სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა შევნიშნო მითოლოგიური ფონის შესახებ, რომელსაც მწერლები ქმნიან ამა თუ იმ მითოლოგემის გამოყენებით. ესაა თითქოს შემთხვევით დაცდენილი ფრაზა, სიმბოლო. მაგალითად, — „აქ ერთმა კაცმა შვიდი თევზი გაუშვა ადრე" (გ. დოჩანაშვილი), „ღამით დაადგნენ აღქმული ქალაქისკენ გზას" (გ. დოჩანაშვილი), წითელი თუ წითელბიბილოვანი მამალი თამაზ და ოთარ ჭილაძეების ნაწარმოებებში („ეასეირნება პონის ეტლით", „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან"), მტკვარი არჩილ სულაკაურის მოთხრობებში და ა. შ. უმეტეს შემთხვევაში ყოველივე ეს მხატვრული ტექსტის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია, მეტიც, ე. წ. ხარაჩოს როლს ასრულებს, ზოგჯერ კი მხოლოდ მითოლოგიურ სამყაროს წარმოადგენს. ეს ხარაჩო კი სხვადასხვაგვარია. ნოდარ წულეისკირის რომანში „თუთარჩელა" იგი პარალელიზმის პრინციპზეა აგებული. ავტორი ქართულ მითოლოგიაზე დაყ-

რდნობით ქმნის არგისა და ოდოიას მითს, ამ მოდელის შემდეგ იქმნება რეალური პლასტი — გიორგის ამბავი, რომელიც გენეტურად უკავშირდება როგორც ერთს, ისე მეორეს. მაგრამ ეს დაკავშირება დამთხვევას არ ნიშნავს — გიორგის ხაზი ზოგადად იმეორებს მითოლოგიური მოდელის ლოგიკას, იგი ასევე ახლობლობას ავლენს თეთრი გიორგისა და ქრისტეს მითთან ამა თუ იმ მითოლოგემით, მაგრამ ამჯერად გიორგის სახეზე არ ვლაპარაკობ, არამედ რომანის სტრუქტურაზე, რომელშიც სამი პლასტი — არგის, ოდოიასი და გიორგის ერთმანეთის პარალელურად არსებობს და, ამავე დროს, ავრცობს, აგრძელებს კიდეც ერთმანეთს. ასეთივე პრინციპითაა აგებული არჩილ სულაკაურის „ლუკა“.

ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მითი მთლიანად გათავისებულია, იგი იმდენად განუყოფელია სინამდვილისაგან, რომ შეუძლებელია მისი გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველი მუდამ გრძნობს მითის ლოგიკას, ცნობს მითოლოგემებს ან ასოციაციათა მეშვეობით სწვდება მითის და, ამდენად, რეალური მოვლენის სიღრმეებს. ესაა მითის გამოყენების ასოციაციური გზა. მაგალითად, ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ოჯახური ისტორია, „მაკაბელთა ისტორია, ერის ცხოვრებაზეა პროეცირებული. მეტიც, ასოციაციათა მეშვეობით ეს ისტორია კაცობრიობის ისტორიას, მისი არსებობის ლოგიკას უკავშირდება თუნდაც ერთი რეალიით (სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). მართალია, მოქმედება რომანისა საქართველოში მიმდინარეობს, მაგრამ ყოველივე ურუქში ხდება. „შუამდინარეთის ნახევრადზღაპრული ბინდიდან შემორჩენილი სახელი — აქადელთა ქალაქი ურუქი — ძველთაძველი ექოთი ჟღერს და მარადული არსებობისა და დინების სიმბოლოა. ურუქი მთელი სამყაროა, ეთნიკურად და სოციალურად შემოგარსული“ (ო. პაჭკორია, „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979, გვ. 136). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მითის ხარაჩოდ გამოყენება სულაც არ გამორიცხავს მითის წვდომის ასოციაციურ გზას, რადგან რემითოლოგირების პროცესისათვის ასოციაცია ძირითადი დამახასიათებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მითი პაროდირებულია (თამაზ ჭილაძის „შუადღე“), ან მითს გამოცლილი აქვს მითისთვის დამახასიათებელი ლოგიკა — შემოზღუდულია დროისა და სივრცის საზღვრებით, დამიწებულია (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), რადგან ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მაინც ხდება ახალი მხატვრული ტექსტის შედარება ჭეშმარიტ მითთან — ჯინსებიანი ღმერთისა ბიბლიურ ღმერთთან, ოქროს ვერძისა ჩვეულებრივ ვერძთან და ა. შ. მოსაზრება, რომ თითქოს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ანტიმითია (ო. პაჭკორია, დასახ. წიგნი, გვ. 137), არ არის მართებული, რადგან ისტორიის ინტერპრეტაციას, მისი კანონზომიერების გამოვლენას, ხასიათების სტრუქტურის ამოცნობას და თვით მხატვრული ტექსტის წაკითხვას საფუძვლად მითთან, მითოლოგემებთან, არქეტიპებთან თანაზიარობა უდევს საფუძვლად. ისტორია აქ მითის ლოგიკითა და კანონებით იკითხება, სული ისტორიისა, მისი უზოგადესი ხასიათი სწორედ მითით არის აღდგენილი. სათაურიდან დაწყებული (შდრ. შესაქმე, თავი 4: „უფროის არს ცოდვა ჩემი მოტევებისა ჩემისა და უკეთუ განმაძებ მე დღეს პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან ჩემისა დავიმალო, და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქუეყანასა ზედა და იყოს: „ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე“), გიორგას გასისხლიანებული ტანსაცმლითა თუ მისი ჰიპოსტასით ირმით დამთავრებული, ეს რომანი იმეორებს და ავრცობს მითს, მეტიც, ქმნის მითის ლოგიკით ახალ მითოლოგემებს, იქნება ეს საათი, თოჯინა თუ სხვა, რომელთაც მითოლოგიური დროის გამოხატვის ფუნქცია აკისრიათ.

მითისქმნადობა დამახასიათებელია ნოდარ დუმბაძისთვის, ჭაბუა ამირეჯიბისთვის, ნოდარ წულეისკირისთვის, არჩილ სულაკაურისთვის, გურამ დოჩანაშვილისთვის, საერთოდ, იმ თანამედროვე ქართველი პროზაიკოსებისთვის, რომელნიც მითს მიმართავენ, როგორც მოდელს. ორიოდე მაგალითი, ერთმანეთისგან განსხვავებული: ნოდარ წულეისკირი თვითვე თხზავს არგის მითს, ნოდარ დუმბაძე ქმნის გაუცნობიერებლის, ბუნდოვანი, მაგრამ დადებითი ემოციის მითოლოგემას — ვარდისფერს, გურამ დოჩანაშვილი შემზარავ სიმბოლოს — გველკაცს და ა. შ. ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ძველი ქართულის წაბაძვით დაწერილი ტექსტი თუთაშხიასი და ურჩხულის ორთაბრძოლის შესახებ. ამ მითით „მოიკვეთა თუთაშხიამ თავისითავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან. მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქა მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ. მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან. მოიკვეთეს და მიუგდეს მათცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გადმომდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და რომელთამე აგრეთვე აჰმიეს ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, აღმოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა

დანთქა მან, არამედ ჰრქვა მეტყველებით კაცურითა:

— არღა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთა.

და მიეცა მყის ყველაკახა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ახონი თვისნი.

— არა ჰკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა.

დაუტევა სულმან თუთაშხასამან ხორცი მიწასა ზედა, აღევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“.

ქართულმა მითოლოგიამ ეს ტექსტი არ იცის, იგი ავტორის მისტიფიკაციის ნაყოფია, მაგრამ ეს მისტიფიკაცია ეყრდნობა მითის შინაგანი კანონზომიერების ზუსტ ცოდნას. მითის ლოგიკა უცვლელია. ახალია მსოფლმხედველობრივი მომენტი — მოყვასისთვის თავგანწირვა ბოროტებას სიკეთედ გადააქცევს — ამდენად, თვისობრივად ახალია ავტომითის ბოლოც. მიუხედავად „სიახლისა“, ეს ტექსტი რომანისა მაინც ეროვნულია და მითოლოგიური, რადგან მასში ერის მითოლოგიური წარმოდგენების „კრებითი სული“ ჩანს. მითისქმნადობის ამ მექანიზმის გასახსნელად ჯერ სიმბოლოები უნდა გავხსნათ. დავიწყოთ თუთაშხიადან:

თუთა მეგრულად მთვარეს ნიშნავს, თუთაში — მთვარისას. თუთა — მთავარი ღმერთია ქართულ მითოლოგიურ პანთეონში მის გარკვეულ ეტაპზე.

თუთას ანუ მთვარეს შემდეგ დაუკავშირდა ქრისტიანობის თეთრი გიორგი (უფრო სწორედ, ქრისტიანული და წინარექრისტიანული რელიგიური შეხედულებანი შეერთდნენ თეთრი გიორგის სახეში).

ამირეჯიბის მიერ რეკონსტრუირებულ მითში ეს ორი წარმოდგენა ურთიერთდაკავშირებულია თუთაშხას ურჩხულთან ბრძოლით. ომი გამოძახილია თეთრი გიორგის ურჩხულთან ბრძოლისა. თუ უფრო შორს გავადევნებთ თვალს, მასში უფრო ძველი წარმოდგენის კვალიც მოჩანს. ვგულისხმობ ურჩხულის ერთი მოჭრილი თავის ნაცვლად შვიდი თავის წამოზრდას და საკუთარი ხორცით ურჩხულის დაპურებას.

ამირეჯიბისეულ მოტივში აგრეთვე თავს იჩენს ქრისტეს მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად თავის განწირვა და ამის შემდგომ მისი ცად ზეასვლა.

თუთაშხა კულტურული ღმერთების ტოლფარდი პერსონაჟია, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს ცოდნის, სიყვარულის, სიწმინდის, თავშეწირვის სიკეთე.

ერის მახსოვრობაში შემორჩენილი სამი არქეტიპი — თუთა (მთვარე) — თეთრი გიორგი — იესო ქრისტე განსხეულდა ერთ პიროვნებაში— თუთაშხაში.

თავად თუთაშხა არაა ერთსახოვანი. იგი ჯერ „სულია კრებითი“, შემდეგ ძე ხორციელი, ბოლოს ღმერთი — მთოვარე ანუ თუთა.

თავისთავადაც ეს გარდასახვა, სახეცვლა მითოლოგიური მოდელის მხატვრული რეალიზება, ისევე, როგორც სახეცვლა ურჩხულისა — ადამიანად გადაქცევა. (მთვარე, თეთრი გიორგი, ურჩხული ის მითოლოგემებია, რომელნიც თანამედროვე ქართული სწერლობისათვის ტრადიციულია. თუმცაღა, სხვადასხვა მწერალთან ისინი სხვადასხვა ფუნქციით გვევლინებიან).

აღნიშნული მითოლოგიური ეპიგრაფები ძირითადად ორმაგი ხასიათისაა.

პირველი — ისინი მითის იმიტაციას წარმოადგენენ. ეს თითქოსდა ძველი ტექსტები დღესაა შექმნილი, მისტიფიცირებულია.

მეორე — მითის იმიტირებული ტექსტი წარმოაჩენს წიგნში განვითარებულ მოვლენებს იმ კუთხით, რა კუთხითაც ავტორს სურს ისინი დაანახოს მკითხველს.

ესაა ავტორის აქტიური ჩარევა მოვლენების განვითარებაში, მათი წინასწარი შეფასება, მათთვის ეთიკური, ზოგადადამიანური მნიშვნელობების მიცემა, აქცენტირება მოვლენის ამა თუ იმ ასპექტისა.

მესამე — ფორმალურად ცალ-ცალკე მდგომი ტექსტები — ავტომითი და ჩვეულებრივი ტექსტი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს განმარტავენ. ერთი მეორის გარეშე ნაკლული იქნება, ორივე ერთად ზედროულ გაგებას იძენს.

რომანი „დათა თუთაშხია“ ერთის შეხედვით გასაგებად თავდება: შვილის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი დათა კლდის თავზე, რომლის ფერხთით ზღვა ღრიალებს, დალევს სულს და ზღვაში დაინთქმება.

ავტომითის მიხედვით „დაუტევა სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე ხორციელი ღმერთად“.

ახლა ისიც გავიხსენოთ: „დათა თუთაშხიას მტრები, კეთილისმსურველები, გუდუ პერტია — ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აბრაგი კვლავ ცოცხალი და სალ-სალამათი გამოცხადდებოდა“.

მითი სწორედ ამ რწმენას აძლიერებს, რადგან მითი თავისთავად რწმენაა და არა ცოდნა.[1]

მითი აქ დათას უკვდავს ჰყოფს, დროისა და ადგილის მიღმა აყენებს, მაგრამ ისე კი, რომ კონკრეტულ ადგილზე და კონკრეტულ დროში მის ყოფნას ადასტურებს.

---

1. აქ შეიძლება პარალელისათვის გავიხსენოთ მარკესის „ესტებანი“ ზღვის მიერ მოტანილ ბრწყინვალე და სასწაულებრივ მიცვალებულზე, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ზღვისპირელთა ცხოვრება და რომელიც ისევ ზღვამ მიიბარა, მაგრამ ნაპირზე დატოვა ახალი, მანამდე არარსებული სურვილები და ოცნებანი მცხოვრებლებისა.

ასე — ორი პლასტი: მითოლოგიური და რეალური ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთს ავრცობს, ერთმანეთს ხსნის. მითისქმნადობა აქ ბუნებრივია, კონტექსტით აუცილებელი და მრავლისმთქმელი.

ერთი რამეც უნდა შევნიშნოთ აქვე, მითის ერთი ფუნქციაც მივანიშნოთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მითი შეიქმნა ხასიათის, გმირის უზოგადესი ლოგიკის გამოსავლენად. ავტორისათვის ცნობილი იყო დათას „ხასიათის განმსაზღვრელი პათოსი“ და ამ პათოსს მიუსადაგა ავტომითი. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელაში“. არის ხასიათისა და მითის მიმართების საპირისპირო გზაც, როდესაც მითი კი არ ამოდის ხასიათიდან, არამედ ხასიათი ავლენს არქეტიპულს, მითოლოგიურს — უკვე არსებულს მანამდე, როცა ხასიათი იქცევა მითოლოგემის გარკვეულ ილუსტრაციად, მის თანამედროვე გავრცობილ სახედ. ასეთი მაგალითები ქართულ მწერლობაში ბევრია, მხოლოდ ერთს დავასახელებ: ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებს“, რომლებშიც გმირები ამა თუ იმ წმინდა ცნების დარღვევის იდეის პერსონიფიკაციას წარმოადგენენ — მებურიშვილი, რომელმაც ოცდაათ ყალბ საფლავში გაყიდა პარტია და მანდატი — „არა მიიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“; გულოიანი, რომელმაც კაცი მოჰკლა — „არა კაც ჰკლა“; გოგოლაძე, რომელმაც „მილიონსჩემტა“ შეჭამა — „არა იპარო“, გამცემლიძე, რომელმაც მეგობრის ცოლზე ძალა იხმარა — „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“ და ა. შ.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვაგვარობა არ გამორიცხავს ამ ორი თითქოს განსხვავებული გზების საერთო საფუძველს — მითს — მხატვრული აქსესუარის, ეთიკური პრინციპების, დროისა და სივრცის შემოქმედებითი ათვისების უშრეტ წყაროს.

სამოციან წლებში ქართულ მწერლობაში შემოდის უსამართლოდ დევნილი გმირის, მსხვერპლის სახე და მასთან დაკავშირებული თემატიკა. ამ გმირთანვე დაკავშირებით დგება პრობლემა განსჯისა და სამაგიეროს მიგებისა. ამ სახესვე უკავშირდება შესაბამისი ბიბლიური ასოციაციები თუ ბიბლიური კონცეფციები.

ირაკლი აბაშიძე წერს დრამატიზმით აღსავსე ლექსს, რომელშიც კაენის აჩრდილზეა ლაპარაკი, არჩილ სულაკაური აქვეყნებს მოთხრობას „აბელის დაბრუნება“ (1961), რომელშიც გმირის სახელიცა და ავტორის დამოკიდებულება პრობლემისადმი („10. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი; 11. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუდრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვს (მათე, თავი 5, 10-11)“ მკითხველში აღძრავს ძველი თუ ახალი აღთქმის ასოციაციებს; აღნიშნულ მოტივს ავითარებს ნოდარ დუმბაძე თავის მნიშვნელოვან რომანში „მზიანი ღამე“ — ასე მკვიდრდება ჩვენს პროზაში სახე უდანაშაულო მსხვერპლისა და პრობლემა დამნაშავის მიტევებისა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ძველსა და ახალ აღთქმაში მიმართება მოღალატე ძმის მიმართ თითქოს სხვადასხვაა, წინააღმდეგობრივია (უფრო სწორედ, დამნაშავის დასჯის უფლება ადამიანს წართმეული აქვს). მივმართოთ პირველწყაროს.

შესაქმე, თავი მეოთხე, 8-11:

„8. და ჰრქუა კაინ, აბელის მიმართ ძმასა თვისსა: განვიდეთ ზოგად ველად და იყო ყოფასა მათსა ველსა, აღდგა კაინ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოკლა იგი.

9. და თქუა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ: სადა არს, აბელ, ძმა შენი; და თქუა, არა უწყი. ნუ მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე.

10. და თქუა უფალმან: რაი ესე ჰყავ, რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამი ქუეყანით.

11. და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განაღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისა ხელისაგან შენისა“...

მკვლელ ძმას აქ მიეგო მისაგებელი (თუმცა არა ადამიანის მიერ, არამედ მამაღმერთის მიერ. ეს მნიშვნელოვანი დეტალია). იესო ქრისტე ადამიანებს უკრძალავს დამნაშავის მიმართ შურისგებას, რამეთუ შურისგება და განსასჯელთა განსჯა მხოლოდ ღმერთს ხელეწიფების. ამიტომ ქრისტეს შეგონებით (მათე, თავი 5, 39-75): „ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა. ...ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი მძლავრობდენ და გდევნიდენ თქუენ“.

თვრამეტი წელი იყო დასჯილი უდანაშაულო აბელი და თვრამეტი წელი სხვებიც და უკვე იგიც არწმუნებდა თავის თავს, რომ დამნაშავეა. გადასახლებაში ყოფნისას დაეღუპა მას მეუღლე, შვილი, მის ბინაში მისი ნივთების გვერდით ის კაცი ცხოვრობს, ვინც პირველად უთხრა აბელს, რომ იგი დამნაშავეა, ვინც იყო თანამონაწილე აბელის ღმერთის, გიორგის დამხობისა (სხვათაშორის, ეს სახელიც და მოწამებრივი გმირიც აღძრავს წმინდა გიორგის ასოციაციას). „მაშინ პირველად ნახა აბელმა ასე დაპატარავებული, დამცირებული გიორგი, კაცი, რომელმაც სიჭაბუკეში თვალი აუხილა აბელს და მისცა სინათლე, დაანახვა ქვეყანა ბნელი და ქვეყანა ნათელი. ის იყო დიდი კაცი და უკვა-

რდა აბელი და აბელიც ენდობოდა, როგორც მამას...“ (გვ. 291. ა. სულაკაური).

აბელი გაამართლეს, დააბრუნეს, ახლა მან უნდა განსაჯოს განსასჯელნი, მიუზღოს საზღაური ბოროტებისა ბოროტთ და აბელმა, უპირველეს ყოვლისა, თვითვე, თავის თავში უნდა გადაწყვიტოს დასაჯოს თუ არა ძმაი თვისი კაენი...

ხასიათი იხლიჩება, ორდება და ექსტერიორიზებული პერსონაჟი იმედით ჩურჩულებს — „შენ, ალბათ, შეგეკითხებიან, როგორც მექცეოდი, აბელ... მე შენი იმედი მაქვს, შენ ჩემზე ცუდს არ იტყვი, აბელ...“ (ა. სულაკაური, გვ. 299). სიმბოლური და მრავლისმთქმელია მოთხრობის ბოლო, რომელშიაც ვლინდება დროის მიერ ნაკარნახევი კონცეფცია შეწყალებისა, მიტევებისა:

„მერმე გავიდა დრო და აბელი იჯდა გაჩირაღდნებულ, დიდ დარბაზში. მართლმსაჯულებამ მიიწვია და დასვა ყველაზე მაღალ სკამზე, რათა დაენახა ყველას, როგორია სიმართლე, ხოლო ისინი — უსახონი და უპირონი — შეშინებულნი აცეცებდნენ წყლისფერ და უაზრო თვალებს.

ისინი აბელისგან შეწყალებას ელოდნენ...

ამგვარი შეწყალების კონცეფცია მხოლოდ ერთი ნაწარმოებისთვის არ იყო დამახასიათებელი; იგი იყო გამოვლენა ადამიანთან იმ ფრთხილი დამოკიდებულებისა, რაც ძირითადი ტენდენცია გახლდათ 60-იანი წლების ქართული პროზისა. გაგება, მიზეზთა ჩაწვდომა, თანალმობა და თანადგომა, მიტევება, მოყვასის სიყვარული — იყო ერთგვარი რეაქცია წინარე წლების უკომპრომისობაზე, ადამიანის მხოლოდ დადებითად ან უარყოფითად წარმოჩენაზე.

განსაკუთრებული რელიეფურობით აღნიშნულმა მოტივებმა თავი იჩინა ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეში“. აქ არის კაენიც — აბიბო თოდრია, უდანაშაულო მსხვერპლიც — თემურ ბარამიძის დედა, რომელიც თორმეტი წელი გადასახლებული იყო, და დაყენებულია მიტევების პრობლემაც, ოღონდ მსაჯულის როლში უშუალო მსხვერპლი კი არ გამოდის, არამედ შვილი მისი (თემურ ბარამიძე) — მომდევნო თაობა — რომელიც ფაქტიურად მართლა მსაჯულია წინა თაობათა განვლილი ცხოვრებისა.

„თემურ ბარამიძეს სურს აბიბო თოდრიას მოკვლა. აბიბოს წვლილი მიუძღვის თემურის დედ-მამის დაღუპვაში, მისი ამხანაგის — რამაზ კორხაველის დაპატიმრებაში. აბიბო გულცივი, ცბიერი და ბნელი ადამიანია. ეს იცის თემურ ბარამიძემ და სწორედ ამიტომ მან უნდა მოკლას აბიბო თოდრია. და აი, იგი თავზე ადგას აბიბოს, რომელიც საავადმყოფოში წევს და სულსა ღაფავს: „ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვადგივარ და მე მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა, ათასი ური მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა, მოჰკალი, მოჰკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან.

— აბიბო! — ვთქვი მე ისეთი გამოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა. აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემხედა.

— ეს მე ვარ, აბიბო, — ვუთხარი მე.

— მიშველე! — მთხოვა მან“.

და თემურ ბარამიძე, რომელიც აბიბო თოდრიას მოკვლას სიამოვნებასავით განიცდიდა, ამ ერთმა სიტყვამ განაიარაღა. „მიშველე“ — თხოულობს ადამიანი და მეორე ადამიანს არა აქვს უფლება ამ ძახილს არ გაეპასუხოს. სადღაც ქრება პიროვნებათა შუღლი, სისხლის წყურვილი, ადამიანს სჭირდება მეორე ადამიანი — ეს დიდი კანონი ცხოვრებისა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ყველაფერი და თემურ ბარამიძის გულშიც იმარჯვებს ეს დიდი ადამიანობა. იგი გადაარჩენს მომაკვდავ ადამიანს და თვითონაც გადარჩება.

„დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩაეძინა და მე სახლში ავედი. ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, რაღაც დიდი, მძიმე, აუტანელად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის სანაცვლოდ რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული“.

ერთი ადამიანის სიმაღლე მეორეშიც იწვევს საპასუხო რეაქციას, მეორეშიც იწვევს წმინდა გრძნობებს. ასე დაემართა აბიბოსაც. იგი დაამარცხა თემურის დიდსულოვნებამ და მისი ატირებული თვალები თემურის გამარჯვებაა.

სამაგიეროს მიგების, ადამიანის მოკვლის თუ არმოკვლის პრობლემა აქ ახალი კუთხით არის დასმული. ოცდაათიანი წლების ქართული პროზის გმირისთვის, მაგალითად, არც არზაყანისთვის, არც მექისთვის და არც თარაშისთვის არ ქცეულა პრობლემად „არა კაც-ჰკლა“ და არც ერთი არ მისულა დიდსულოვნებითა და სიკეთით ბოროტების დათრგუნვამდე.

„რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა“.

ამ კონცეფციაში არის კაცობრიობის გამოცდილებით დადასტურებული უდიდესი სიკეთე, მაგრამ მასშივეა საწყისი სისუსტისა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სიკეთით ბოროტებასთან ბრძოლა ყოველთვის არაა გამარჯვების საწინდარი.

1966 წელს წერილში ნოდარ დუმბაძის ალნი-

შნული პოზიციის შესახებ ვწერდი: „საიდან არის ეს ყოვლისმომცველი სიკეთე, გაგება და პატიება ყველაფრისა? საიდან არის მარჯვენა ლოყის შემდეგ მარცხენის მიშვერაც?“ „მე შეიძლება ბევრი რამ მომწონდეს ამ შეხედულებათაგან, შეიძლება ბევრ რამეს არ ვიღებდე — ბოროტებასთან ბრძოლა ძნელი საქმეა და ფორმაც ამ ბრძოლისა მრავალგვარია, მაგრამ... ჩხუბი? საქმისათვის ჩხუბი?“ (ც. იმედაშვილი, „ოცდაათი წლის შემდეგ“, გვ. 197).

სამოცდაათიანი წლების ქართულმა მწერლობამ გარკვეულად პასუხი გასცა ამ შეკითხვაზე, როდესაც უარყო ნებისმიერი კომპრომისის და მიტევების გზა.

სხვათაშორის, იმავე მათეს სახარებაში ნათქვამია: „ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვსსა რაკა, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვსსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მათე, თავი 5, 22).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამოცდაათიანი წლების მწერლობამ შესანიშნავ მემკვიდრეობად მიიღო სწორედ სამოციან წლებში გამოკვეთილი კონცეფცია მოყვასის სიყვარულისა, რამაც განსაკუთრებული სისავსით იჩინა თავი ნოდარ დუმბაძის რომანებში — „თეთრი ბაირაღები“ და „მარადისობის კანონი“. ნოდარ დუმბაძის გმირების ადამიანად, პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სიყვარული, „სიყვარული ფართო, ადამიანური გაგებით (მე აქ მინდა ნოდარ დუმბაძის წაბაძვით სწორედ ბიბლიას დავესესხო), ის სიყვარული, რომელსაც ასე შესანიშნავად უმღერა მოციქულმა პავლემ თავის პოეტურ ნაწარმოებში და რომლის მსგავსი, აკადემიკოს ჟებელიოვის თქმით, მსოფლიო საერო ლიტერატურაშიც კი ნაკლებად მოიპოვება.

როგორც ვხედავთ, მითის ტრავესტირებას კონცეფციური ხასიათი აქვს, თუმცა ფაქტიურად ეს მითის ტრავესტირებაც არაა, რადგან თანამედროვე ავტორი ღებულობს მითისგან არა მითოლოგემას, მითოლოგიურ მოტივს, მითოლოგიურ სიტუაციას და ა. შ., მითის ლოგიკაზე აგებულ კონსტრუქციას, არამედ იმ ეთიკურ კრედოს, რომელსაც შეუძლია მითის გარეშე არსებობა, რადგან იგი ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ნაყოფია, ადამიანური ურთიერთობის მოწესრიგების საშუალება. ამდენად, მითთან მიმართებაზე რომ არის ლაპარაკი, ანალოგიურ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მითის, როგორც ტერმინის პირობითობა, რომელიც ამჯერად მხოლოდ სიძველის, დროის ფაქტორზე მიუთითებს და კიდევ იმაზე, რომ ესა თუ ის ეთიკური პოსტულატი ჩართულია არსებულ მითში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან თანამედროვე ქართველი ავტორების მიმართება აშკარად გამოკვეთილია — ესაა მიმართება დიდ მხატვრულ ლიტერატურასთან, თანაზიარობა კაცობრიობის მახსოვრობასთან, მიღება ეთიკური ნორმებისა, მაგ**რამ არამც და არამც იმ რელიგიური შინაარსისა, რომლის გადმოსაცემად არის შექმნილი ეს წიგნები.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა კობალაძე

# რაც დრო გადის...

გიორგი შატბერაშვილი ოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე; მან ბევრი რამ ძვირფასი და სანუკვარი შემატა ქართული საბჭოთა მწერლობის საგანძურს.

რაც დრო გადის, მით უფრო მიმზიდველი ხდება ჩვენთვის გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება, მისი სიტყვა, მისი წიგნები...

დიდებული, მადლიანი, შთაგონებული ქართული ისმის ამ წიგნებიდან... ჩვენს ცნობიერებაში, უკვე კარგა ხანია, ცოცხლებივით დაიმკვიდრეს ადგილი მისმა გმირებმა... იქნება ეს მოხუცი მამალხინე, თენგო ბიჭი, თუ ხიზამბარელი...

მომხიბვლელი და საინტერესოა არა მარტო მისი მემკვიდრეობა, არამედ მისი პიროვნებაც... სიცოცხლე, რომელიც ლამაზად და უჩრდილოდ განვლო მან.

ბევრი რამ შეიძლება მისი შემოქმედებიდან წინა პლანზე წამოიწიოს. მაგრამ, პირველ უოვლისა, ამჟამად ერთი მისი წერილი გვინდა გავიხსენოთ. ამ წერილს „ლექსი და სახლი" ჰქვია.

ერთი ცნობილი მწერალი თავისთავს დიდ დამსახურებად თურმე იმას უთვლიდა, რომ თავისი სიცოცხლის მანძილზე გადაარჩინა დახრჩობას ერთი ქალიშვილი, ორი ჭაბუკი — მსახიობობას, ექვსი არც თუ ისე უნიჭო ახალგაზრდა — მწერლის პროფესიას, თუმცა, 106 ახეთ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდა.

ამ წერილშიც გიორგი შატბერაშვილი მსგავს ამბავს გვიამბობს. იგი ხომ წლების მანძილზე „მნათობის" პოეზიის განყოფილების გამგედ მუშაობდა. და აი, ერთხელ მასთან არც თუ ისე ახალგაზრდა კაცს, ხუთიოდე ლექსი მოუტანია.

ადრეც იცნობდა თურმე იგი ამ კაცს და მისი ადრინდელი ლექსები წაკითხულიც ჰქონდა. ამ ლექსებს პატარა იმედი აღუძრავს მწერლის გულში და უთქვამს: იმუშავე... გარკვეული დროის შემდეგ კი ისევ მაჩვენეო.

ხუთი-ექვსი წლის შემდეგ კვლავ მოსულა ეს ავტორი მწერალთან...

ცნობილია, რომ ლექსის ჭია აგრე ადვილად არ ეშვება თავის საკბილოს. ჭაბუკი შეცვლილიყო... თმებში ჭაღარაც გარეოდა, მისი ლექსები ისევ ისეთი იყო... იგივე აზრი, იგივე ფერი... წინსვლა არ ჩანდა. და ყოველივე ეს, თუმცა გულისტკივილით, მაგრამ მაინც დაუფარავად უთქვამს მწერალს.

მეტად ძნელია, ადამიანს უთხრა: ლექსებს ნუ წერ, სხვა რამეს მოჰკიდე ხელიო... ვინ იცის, რა გამოვა მისგან... ზოგჯერ შეიძლება სიყმაწვილეში კაცი იმედს იძლეოდეს. შემდეგ კი ვერაფერი ველარ გააკეთოს. პირიქითაც შეიძლება, თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც... შრომამ და ნებისყოფამ თავისი გაიტანოს და განსაკუთრებით დიდს არა, მაგრამ რაღაც გარკვეულ საფეხურს მიაღწიოს.

გამოვა თუ არა რამე ჩემგან?.. ეს კითხვა ქვეყნად პირველი შემოქმედის გაჩენის დღიდან არსებობს და აწვალებს ადამიანის მაძიებელ სულს. უამკითხვოდ დიდ შემოქმედებასაც არ უცხოვრიათ. და მწერალმაც იგივე უთხრა უკვე შეჭაღარავებულ. მაგრამ პოეზიაზე უცნაურად შეყვარებულ კაცს...

გადიოდა დრო... და აი, ერთხელ ისევ მოვიდა ეს კაცი... იგი ისე შეცვლილიყო, რომ პირველად ვერც კი იცნო... შემდეგ აილო მისი ლექსები, ისევ ისეთი ლურჯი რვეული, ისეთივე ხელი...

ლექსების წაკითხვამდე ამბავი გამოჰკითხა... გამოირკვა, რომ ეს კაცი უკვე კარგა ხანია დაცოლშვილებულია, სამი შვილის მამაა, ამ ზაფხულს სამთვალიანი სახლი აუშენებია. სახლი მხოლოდ მას, მარტოს აუშენებია, ქვის მტეხიც

თითონ ყოფილა. ქვიშის და კირის ამრევიც, კალატოზიც, დურგალიც და... ერთი სიტყვით, ყველაფრის ოსტატობა გაუწევია... და ლექსისთვისაც მოუცლია.

აქ კი პირდაპირ მოვიტანთ ამ წერილის ამონაწერს:

„ლექსები ახალია"... მაინც ჭერ არ ვკითხულობ, მინდა მისი ლექსები კარგი იყოს, ის ამის ღირსია. ბევრი რამ არის მოსალოდნელი ასეთი ნებისყოფის კაცისაგან. მან ხომ მარტოდმარტომ, სხვის დაუხმარებლად ააგო ეს სახლი. მისი მტკიცე, ენერგიული გამოხედვა ბევრი რამის მთქმელია. რა გახდა ერთი კარგი ლექსის დაწერა? უკანასკნელად რომ ლექსები მომიტანა, სახლის აშენებაც ხომ არ იცოდა... რა გახდა ერთი კარგი ლექსი?..

...არ მინდა ამ რვეულში ცუდი ლექსები იყოს... ვკითხულობ და ვფურცლავ, ხელახლა ვკითხულობ და მაღლა ვერ ამიხედავს, არ მინდა თვალებში შევხედო ლექსების ტრფიალში გაჭაღარავებულ კაცს... მეშინია მის თვალებში ცრემლი არ დავინახო... მას ხომ სამი კარგი ლექსი ერჩია იმ სამთვალიან სახლს..."

ახე მთავრდება ეს ამბავი...

როგორც ჩანს, იმ კაცმა ვერ დაწერა ერთი კარგი ლექსი... და მწერალი ისევ განაგრძობს ფიქრს მასზე...

„მახსენდება სვეტიცხოვლის კედელზე დაკიდებული მარჯვენა უბადლო ოსტატისა.

ნეტავ, რომელმა მეტი ღონე შეალია თავის საქმეს, სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარმა, თუ სამოთახიანი სახლის კალატოზმა?

თუ ფიზიკურ ღონეზე ვიტყვით, იქნებ ადრე გაჭაღარავებულმა დამწყებმა პოეტმა უფრო მეტი ძალა დახარჯა თავის პატარა სახლის მშენებლობას.

სვეტიცხოვლის მშენებელი შთაგონებული შემოქმედი იყო და თავის სულიერ ძალას აქსოვდა მცხეთის ტაძრის ცისფერ კედლებს.

სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის შემქმნელთა მძიმე უღელს ტოლს არ დაუდებდა ბარათაშვილის მიერ დახარჯული ღონე, როცათვი „მერანს" ქმნიდა, მისი ძლიერი სულის ნებისყოფა ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ნიაღვარივით მოედინებოდა მხოლოდ ერთი მიმართულებით — ლექსისაკენ.

ალბათ ამიტომ ვერ ააგო სახლი მიუსაფარმა, არაპრაქტიკულმა ბარათაშვილმა და ალბათ, ამიტომ ჩამორჩა პირადი ცხოვრების მოწყობაში ყველა ჯურის „ხახვის ფრანტებს", რომელნიც თავის სულიერ ძალას მხოლოდ თანამდებობის მაღალ კიბეზე ასვლაში ფლანგავდნენ და ბრწყინვალე სასახლეებს იშენებდნენ.

ჩვენმა დამწყებმა პოეტმა უთუოდ დიდი სულიერი კმაყოფილება განიცადა, როცა თავისი სამოთახიანი სახლის მშენებლობა დაამთავრა, დაბინავდა და ქერი დადლოცა.

სახლის აშენების შემდეგ დამწყები პოეტის მარჯვენამ დაისვენა, სვეტიცხოვლის ოსტატს მარჯვენა მოჰკვეთეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კარგი ლექსის დაწერა მხოლოდ პოეტს შეუძლია.

პოეტის ოცნება ისეთი ლექსის დაწერა უნდა იყოს, რომ მისი მარჯვენა მოკვეთის ღირსი გახდეს.

ნურავის შეაშინებს ეს ნათქვამი, ამას მეშურნეთაგან და ბოროტთაგან ხელის ფიზიკურ მოკვეთაზე არ ვამბობ... აქ ადამიანის ძლიერი მარჯვენა და მისი სვეტიცხოვლის სიმაღლეზე ატანა იგულისხმება".

ადამიანის ძლიერი მარჯვენა და მისი უშრეტი შემოქმედი სული გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების მთავარი თემაა. რა არის „მკვდრის მზე", ის საჭილდაო ქვა, რომელსაც მისი გმირები ეჭიდებიან, თუ არა შემოქმედის სულის ძახილი...

...ეს ცხოვრება ცოცხალი ადამიანის მკვდართან შეჭიბრებაა, ცოცხალი ადამიანი ცდილობს იმაზე მეტი გააკეთოს, რაც მის წინაპრებს გაუკეთებიათ, მოხნას და მოიწიოს იმაზე მეტი, გააშენოს და ააშენოს მათზე მეტი. იყოს მათზე ღონიერი, ასწიოს მეტი, იცხოვროს მათზე უკეთ და მეტ ხანს.

„კარგის საზღვარი არ არსებობს. ამიტომ არც ისე მკაცრად გამიმართლავს ჩემი ჭირნახული, დროს თავისი მიაქვს და მოაქვს. ღვარძლისა და სარეველას გათიბვას ყოველთვის მოასწრებს ჭიუტი მთიბავი.

დრო გავა და ეს წიგნიც გაიმარგლება, ნამარგლის ადგილს უკეთესი დაიჭერს..."

ეს სიტყვები მას თავისი მოთხრობების წიგნზე წაუწერია.

„ნამარგლის ადგილს უკეთესი დაიჭერს..." მაგრამ მისი წიგნი უკვე კარგა ხანია ჩვენი მკითხველის საყვარელ წიგნებს შეემატა.

ესაა მშობლიური ქვეყნისა და მისი ადამიანებისადმი თქმული სიმღერა — შემოქმედების გზნებით ანთებული ადამიანებისადმი თქმული სიმღერა, რომელსაც დიდი და მარადიული სიყვარული აცოცხლებს.

...ყველაფერი იხრწნება, იფშვნება, მტვერდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი...

...მწერალი ისაა, ვინც იმ სატკივარს შეგყრის, რომელიც მას წერის წუთებში სტანჯავდა. ვინც იმ სიხარულს გაგრძნობინებს, რომელსაც წერის დროს თითონ განიცდიდა...

...ის უნდა წერო, რაც მოსვენებას არ გაძლევს, მუდამ გახსენდება, უნებურად... რასაც სულში ღრმა ნაკვალევის ხნული დაუტოვებია და შენს მუდმივ საფიქრალად ქცეულა.

...ვისაც დიდის გაკეთება უნდა, სიამოვნება უნდა მოიკლოს, ჩაიკლას ცხოვრებით თრობის ნატვრით გამოწვეული სინანული და მიზნისკენ ტანჯვით გაიკაფოს გზა.

„...ყოველი ახალი დადებითი ლიტერატურული მოვლენა იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ის კაცის ხელით შექმნილა, შესაძლოა, ეს ახალი ნაწარმოები ვერ უსწორდებოდეს თავის მხატვრული ღირსებით უკვდავთა ნახელავს, მათსავით ძლიერი სულის გამომულავნელი არც იყოს... მაინც გვაინტერესებს, გვინდა ვირწმუნოთ ჩვენი თანამედროვე ადამიანის, თანამედროვე მწერლის ძალაც. ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, რომ ადამიანში შემოქმედი სული არ ამოწყვეტილა, კიდევ ფეთქავს.

„...რაც უფრო შევდივარ ხანში, მით უფრო ვუახლოვდები წარსულს... თითქოს ხელით ვეხები, უფრო აშკარად ვხვდები იმასაც, რაც ცუდი იყო და რაც კარგი იყო ჩემში. და ილვიძებს დიდი სურვილი დავწერო, უსათუოდ მოვასწრო და დავწერო ჩემი დიდი ხნის ნაფიქრი წიგნი ჩემი დროის შესახებ და ჩემს შესახებ — ეს უნდა იყოს არც რომანი, არც მემუარები, რაღაც საშუალო...“

ეს ჩანაწერები, მწერალს რომ დასცლოდა, ალბათ, ამ დიდი ხნის ნაფიქრ წიგნში მოიყრიდნენ თავს... დღეს კი მათ მხოლოდ ფრაგმენტულად და აქა-იქ ვკითხულობთ... მისი სამუშაო მაგიდის უჯრებში ბევრია ასეთი ჩანაწერი. ზოგი რვეულში, ზოგი ცალკეულ ფურცლებზე, ცალ-ცალკე. მაინც საინტერესოა... ისინი სათანადო გამოძახილს ჰპოვებენ მკითხველის სულში, კიდევ უფრო მოგვაახლოებენ მათი ავტორის ფიქრთან, უფრო მთლიან და სრულყოფილ სახეს მისცემენ მის თავისთავადაც მდიდარ შემოქმედებით სამყაროს.

განა სასურველი არ არის, მკითხველმა უსათუოდ რომ წაიკითხოს თუნდაც აი, ეს ჩანაწერი.

„...დღეს დედამ მთხოვა, შენი „ქაშნიკი“ რომ გამოვა, მომეციო. თუ აქ არ ვიქნები, სოფელში უსათუოდ გამომიგზავნეო... მერე დაუმატა: როცა მოვკვდები, შენი წიგნები გულზე დამიწყეო, მამაშენს უნდა წავუღოო.

მე გამეცინა და ვუთხარი: ჯერ ადრეა დედაჩემო, ეგეც არ იყოს, ნეტავ კარგი გამაკეთებინა, უშენოდაც მიუვა-მეთქი.

დედამაც გაიცინა და მაკოცა.

...მე მეშინია დედაჩემის სიკვდილის... არა მარტო იმიტომ, რომ ის ჩემი დედაა, ჩემი გამზრდელი და ჩემთვის თავშეწირული ადამიანი!..

არა! მე მეშინია მისი სიკვდილის იმიტომაც, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მე არ მეყოლება ჩემი „სიტყვის დედა“... ის არის ამოულეველი, ამოუცლელი ქვევრი, საიდანაც მე ყოველდღე ვსვამ ზედაშეს ქართულისას, ნაკურთხს თავანკარას, ნამდვილს...

დღეს მან თქვა ერთი სიტყვა — სიწლო (აი, ხედავთ, რა სიწლო ნიკაპი აქვს, იმ სიწლო არ არი...)

მე ჩავიწერე. შეიძლება თქვენ იცოდეთ, მე არ ვიცოდი. აქამდე არ გამეგონა რა არის: ხივანე? სიმსხო? რაღაც ზოგადი უნდა იყოს. ჩავიხედავ ლექსიკონში.

ღმერთო, მიცოცხლე დედა!

მე ძნელად მეგულება საქართველოში ისეთი კაცი, ვინც ასე ბუნებრივად მეტყველებდეს ქართულად, ხანდახან მისი ნათქვამი მოგონილი მგონია“.

• • •

მაგიდაზე ნაჩუქარი წიგნი დევს...

„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“...

გვახსენებს მისი ავტორი იოანე ზოსიმეს სიტყვებს. წიგნი ქართლის ერთ პატარა სოფელში გაგონილი სიტყვების კონაა. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს წიგნი დიდი ხნიდან იწერებოდა. მწერალი გვპირდებოდა, რომ სიტყვათა სათანადო დამუშავების შემდეგ გამოსცემდა ლექსიკონს, რომელსაც მისი სოფლის—თვალადის სახელი დაერქმეოდა. ამ პატარა სოფელში გაუგონია მას მშვენიერი ქართული, წლების მანძილზე უგროვებია და უსათუთებია, რომ შემდეგ სამზეოზე გამოეტანა და ჩვენთვის საჩუქრად მოეძღვნა.

ეს წიგნი მაგალითია იმ დიდი რუდუნებისა, იმ დიდი და უზომო სიყვარულისა, რასაც მშობლიური ენის სიწმინდისათვის ზრუნვა ჰქვია. წიგნისთვის კი მოკრძალების ნიშნად „ქაშნიკი“ დაურქმევია.

„თვალადური ქართულის ქაშნიკი“ თავისებური აღნაგობისა და ხასიათის ნაშრომია, ფიქრებია ქართულ სიტყვაზე, მის აღნაგობაზე, გენეზისზე, ქართული ენის სხვადასხვა კილოების ნათესაობა-დამოკიდებულებებზე, შინაარსით და ფორმით მსგავსებაზე; ერთგვარი ანგარიშია სიტყვებზე დაკვირვებისა, ფიქრისა და მეცადინეობისა, ცდაა ქართული ენის არსში ჩაწვდომისა... „იქნება ეს ანგარიში სხვასაც გამოადგეს და ქართული ენის შესწავლას ოდნავ მაინც შეუწყოს ხელიო“, წერს გიორგი შატბერაშვილი წიგნის შესავალში და კვლავ მოკრძალების ნიშნად, დიდი საბას სიტყვებით დასძენს: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დამიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელიაო“.

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

თვალადური ქართულის ქაშნიკი, ძიება და მიმოგონება.

ავტორი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს, რა ამოუწურავი სიმდიდრეა დაფარული ხალხის ცოცხალ მეტყველებაში... ალქატი, სისხვა, ქოჩახი, ანაგული, ჯუჯუკი... ეს სიტყვები თითქმის დავიწყებულია. ხალხში კი ცოცხლობს...

„ერთმა ჩვენმა ჩაწერილმა სიტყვამ ძალიან გაახარა ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერი აკაკი შანიძეო“ — გვიამბობს მწერალი. ეს სიტყვა ყოფილა „შეკვეთა“.

აკაკი შანიძე ძალიან დაინტერესებულა თვა-

ლადური ჭაშნიკით და უთქვამს: „ყველა საქ-მე გადასდე და ეს დაასრულეო".

სიტყვა „შეკვეთა" თვალადელი დედაკაცისაგან გაუგონია, რომელსაც გამვლელზე ასეთი რამ უთქვამს:

„ბატკანი შეკვეთილი ჰყავს და სულ უკან დასდევსო". მწერალი დაინტერესებულა ამ სიტყვით და გამოურკვევია, რომ შეკვეთილი შეჩვეულს ნიშნავს.

ეს სიტყვა რამდენჯერმე ჰქონია ნახმარი შოთა რუსთაველს ამ მნიშვნელობით და მისი ზუსტი მნიშვნელობის მიუგნებლობის გამო, აქამდე ეს ადგილები აუხსნელი რჩებოდა.

თავის სოფელში ჩაუწერია მწერალს მშვენიერი სიტყვები:

ბარულა (ქორფა ბავშვის შესახვევი), გულმეცნიერი (სხვათა გულის მცოდნე), ანაგული (შუაგული, გულის გული), ხახვის დიაკვანი (ხახვის თავის შიგნითა გული), მოქედურება (ქედის მოხრა), უმანკო თეთრი (ძალიან თეთრი), მოცოტავება, სიკვდილება, უსანდომო, ყურით ძოვება და მრავალი სხვა.

ჩაუწერია ხატოვანი თქმები: გვართხელი და გვარგამრავლებული, ხადა დღე და ხადა არიყი, ნასწავლი პური და პირუბანელა პური, აზნაური ყანა, გაფრენილი ნაბიჯი, კვირტის დაბრმავება. ნაყე-ნაყე კაცი, ყურძნის სიცილი, ფუტკრის გამომღერება, ძაან გაიჭეჭილაო და სხვა მრავალი.

მკითხველს აოცებს ამდენი ახალი სიტყვა, ახალი თქმა... ამას სოფელში სტუმრად ჩასული კაცი ვერ მიაგნებდა... მწერალი თითონვე ამბობს: ფანქარს ყველასთან ვერ ამოიღებ, ფანქრიანი კაცი სოფელში არ უყვართო და მით უფრო გიკვირს, როცა კითხულობ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი სოფლის მეტყველებიდან ამოკრეფილი სიტყვებია. სიტყვათა ეტიმოლოგიური ძიებანი და მათი ისტორიული მნიშვნელობის ახსნა უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი წიგნის მეორე ნაწილში.

საინტერესოდ იკითხება მწერლის მოგონებები ქართული საბჭოთა მწერლობის დიდოსტატებზე: გალაკტიონ ტაბიძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, გერონტი ქიქოძეზე, გიორგი ლეონიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე; აქვეა წერილი უდროოდ დაღუპულ ნიჭიერ მწერალ გურამ რჩეულიშვილზე.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ძირითადად, მეცნიერული წერილების და გამოკვლევების კრებულია, იგი იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები... მასში შესული სიტყვები, რომელთა შორის ძალიან ბევრი მართლაც განსაკუთრებით საინტერესოა, მოსაწყენ სალექსიკონო ცხოვრებას როდი ეწყებენ. ისინი განაგრძობენ ცხოვრებას ისევე უშუალოდ და ბუნებრივად, როგორც მის პატარა სოფელ თვალადში.

* * *

...მწერლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მშობლიური ენის ჭეშმარიტ ბუნებასთან მოახლოება უნდა იყოსო — ვკითხულობთ მის ჩანაწერებში...

მარტო „თვალადური ჭაშნიკი" კი არა, მთელი მისი შემოქმედებაა ამ სიტყვების გამართლება.

ამ შემოქმედების მთავარი გმირი კი საბჭოთა ეპოქის ადამიანია... ადამიანი სიკეთით სავსე, სხვების მოყვარული, სიცოცხლის მოყვარული.

„მოკვდა პაპა თედო. მოკვდა სრულიად მოულოდნელად. ოთხმოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ მუდამ მხნედ გამოიყურებოდა. აივანზე რაღაცამ დაიჩხაკუნა, იატაკზე რაღაც კენჭების მსგავსი დაცვივდა და მიმოიფანტა.

— ატმის კურკები, — წამოიძახა მამამ.

— ჯიბეში ატმის კურკები ჰქონია.

— რად შეუნახავს პაპა თედოს ატმის კურკები? — გაოცებით გაიფიქრა პატარა რეზომ.

ამ დილით რეზომ და პაპამ ერთად ჩაიარეს ბაღში. პაპამ მსხმოიარე ატმის ხე შეარხია. ერთი მსხვილი ატამი რეზოს თავზე დაეცა. ეტკინა, ტირილი დააპირა, მაგრამ პაპამ გაიცინა და რეზოს ტკივილმა გაუარა. ასე იცოდა პაპა თედომ, როცა რეზო რამეს იტკენდა და სატირლად პირს დაალებდა. ჰოდა, ამ დილითაც ილიმებოდა რეზო, ატმებს ხლეჩდა, კურკებს ღობის იქით ისროდა... პაპას კი ჯიბეში შეუნახავს კურკები...

ამ კურკებს პაპა თედო გაზაფხულზე მიწაში ჩაფლავდა. მერე ატმის ხეები ამოვიდოდნენ... ხეების ჩრდილში პაპა თედო და მისი შვილიშვილები ჩამოსხდებოდნენ, გაიხარებდნენ...

ალბათ პაპა თედო ამას ფიქრობდა, როცა ატმის კურკებს ჯიბეში ინახავდა?

თუმცა არა... მან კარგად იცოდა, რომ ველარ შეესწრებოდა ატმის ხეების გაზრდას. ამ ატმის კურკებს კი მაინც ინახავდა სათუთად. როგორც ჩანს, სიკვდილის წინაც შვილიშვილებზე ფიქრობდა პაპა თედო...

ამ მოთხრობას „უკვდავება" ჰქვია.

პაპა თედომ თავისი სიცოცხლე შრომაში გაატარა...

უყვარდა მიწა და ახლა ამ მიწაზე მისი დარგული ხეები დარჩა... დარჩა მისი ნაამაგარი სახლი და ოჯახი... დანარჩენს მისი შვილიშვილები გააკეთებენ... გაზაფხულზე კი ამ ატმის კურკებს მიწაში ჩაფლავენ, აასრულებენ მის სურვილს და პაპა თედოც მუდამ იცოცხლებს.

ასეთია ბუნების კანონი... ბუნების გარდაუვალი კანონი.

ლამაზი დასასრული აქვს ამ მოთხრობას... მწერალი თავის დროზე სვამს წერტილს და მკითხველს რჩება ფიქრი, რომელსაც ყველაზე ფაქიზი გრძნობა აღვიძებს.

ასე დაიწერა მისი ბევრი მოთხრობა და ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი... ასე დაიწერა მისი წერილები და ლიტერატურული გამოკვლევანი.

ეს არის ერთი შეხედვით, მართლაც უბრალო, ყოველდღიური ამბები, რომელსაც ჩვენც ხშირად ვხედავთ და რომელიც ყოველთვის ტოვებს რაღაც კარგსა და საგულისხმოს.

რა უბრალო და ნათელი ფერებია თუნდაც მოთხრობაში — „მამალხინე" — ხედავთ მოხუც მამალხინეს, რომელსაც სამშობლოს დასაცავად შვილი ფრონტზე გაუგზავნია, თვითონ კი სახლს უვლის და ნატვრით ამბობს — „ოღონდ ბიჭი დამიბრუნდეს და ავნვარიც იყოს, რთველში დაგპატიჟებ, ვენახში აგიყვან, ჩხებს აგაჭრევინებო".

ეს მოთხრობები კარგად ამახსოვრდება მკითხველს... თითქოს ვიცნობთ იმ ადამიანებს, შევხვედრივართ, გვინახავს, გვახსოვს... გვამახსოვრდება არა მარტო ხასიათები, არამედ, მათი გარეგნობაც. ესენი არიან უბრალო, ბრძენი მოხუცები, ბავშვები, ახალგაზრდები, კოლმეურნენი...

ამ მოთხრობებში მწერალი [illegible] თავისი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულს უმღერის. ეს სიყვარული ცოცხლობს მის ყველა სტრიქონში, მის ყველა ლექსში.

ეს სიყვარული აცოცხლებს მის წიგნებს და მწერალი ფიქრობს ამ წიგნებზე...

ყველა სათქმელი უკვე სთქვეს სხვებმა,
მე მათი სევდა შემყვარებია,
მე მათ სინაზეს, თუ განრისხებას,
როგორც ხის ჩრდილებს, შევფარებივარ...
მათ შრიალს ვუსმენ, მათ ფესვებს ვნატრობ,
მათ ნაფუძვარზე ამოსვლას ვცდილობ,
იქნებ საწუთრომ მეც არ დამაზროს,
ვინ იცის, ერთ მგზავრს მეც მოვუჩრდილო.

რაც დრო გადის, მით უფრო მიმზიდველი ხდება ჩვენთვის გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება, მისი წიგნები, მიმზიდველი და საინტერესოა არა მარტო მისი მემკვიდრეობა, არამედ მისი პიროვნებაც... სიცოცხლე, რომელიც ლამაზად და უჩრდილოდ განვლო მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია რურუა

# ტბელობა

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეში — აჭარაში ამ შემოდგომაზე პირველად აღინიშნა ტბელობა. მას ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა და ამიერიდან ყოველ წელს ტრადიციულად ჩატარდება.

აბუსერისძე ტბელი, რომლის სახელსაც ეს დღესასწაული უკავშირდება, რუსთაველის უმცროსი თანამედროვეა. გასაკვირი როდია, თუ მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. იმ რვა საუკუნის მანძილზე, რაც აბუსერისძე ტბელისაგან გვაშორებს, საქართველოს მრავალი ძნელბედობა გადახდა; განსაკუთრებით აჭარას, რომლის ერისთავთ-ერისთავის სახლის შთამომავალიც მწერალიც გახლდათ.

საბჭოთა ისტორიკოსების მეცადინეობით, ამ დიდი მწერალი-მოაზროვნის მემკვიდრეობის შესასწავლად საკმაოდ ბევრი გაკეთდა. ქართველი ხალხის ამ საამაყო შვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით უკანასკნელ წლებში საგანგებოდ დაინტერესდა პროფესორი იური სიხარულიძე. ისტორიკოსის მიერ 1963 წელს გამოცემულ წიგნს — „ტბელი აბუსერისძე — XIII საუკუნის ქართველი მწერალი", მიემატა ახლახან გამოსული „ნათელი დაულამებელი", რომელშიც უფრო გავრცობილად და სრულად არის წარმოდგენილი მეცნიერული კვლევის საგანი.

ჩვენამდე მოუღწევია ტბელი აბუსერისძის სულ რამდენიმე თხზულებას, რომელთაგან ერთი კალენდარულ-ასტრონომიული ხასიათისაა, სხვა კიდევ — აგიოგრაფიული. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ექცეოდა ასტრონომიულ განათლებას. ის ფაქტი, რომ ერისკაცს ხელი მიუკიდია ასტრონომიის თავისებური სახელმძღვანელოს შექმნისათვის, თავისთავად მოწმობს ავტორის ღრმა განსწავლულობას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ქართული წელთაღრიცხვების თავისებურებათა დახასიათებისას იგი მიუთითებს უცხოური კალენდრების მრავალ ცდომილებაზე. საყურადღებოა ისიც, რომ მთვარის ასაკის განსაზღვრის მისეულ ზუსტ და მოხერხებულ წესს აქამდე არ დაუკარგავს ღირებულება. ამ უდაო ღირსებების გამო ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა-ორიენტალისტმა მარი ბროსემ ძეგლი გაცნობისთანავე თარგმნა და გამოსცა ას წელზე მეტი ხნის წინათ, როგორც შუა საუკუნეების ქართული ასტრონომიული აზროვნების მაღალი დონის დამადასტურებელი.

დიდია ტბელი აბუსერისძის აგიოგრაფიული თხზულებების ღირებულებაც. საისტორიო ხასიათის ცნობებს გარდა, მათში მრავლად შემონახულია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელი ფაქტები. განსაკუთრებით დიდია მათი მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვითარების გასარკვევად, რომელსაც ერთ-ერთს პირველს დაჰყვა XIII საუკუნის ავბედითი მოვლენები. ი. სიხარულიძე სწორად შენიშნავს, რომ ტბელ აბუსერისძის იდეები „დამარცხებებით და განადგურებით შეშფოთებული ამაყი სულის ხსნისათვის ღრმად გააზრებული პროგრამაა", რომ ასეთი ფხიზელი და ფართო საზოგადოებრივი აზროვნების ნაკადი არც შემდგომში დაშრეტილა და რომ ამ იდეების განხილვის სათავეებთან ქართულ მწერლობაში სწორედ ტბელი აბუსერისძის მონუმენტური ფიგურა დგას.

როგორც ჩანს, მწერალს სალი პოლიტიკურ-კულტურული აზროვნების უნარი წინაპართაგან მოსდგამდა. პროფ. ი. სიხარულიძე საკმაო სისრულით აღადგენს ამ უძველესი წარჩინებული გვარის აღზევების ისტორიას. აჭარის ერისთავთა პირველი სახელგანთქმული წარმომადგენელი თავისი გამბედავი გამჭრიახობით, ენერგიითა და სიმამაცით ფართო პოლიტიკ[illegible]

ელზე გამოსულა და ქვეყნის სასარგებლო ერთგული სამსახურისათვის დაუმსახურებია ხიმამაცის აღმნიშვნელი ეპითეტი აბუსერისა.

თუმცა ხიხათას მხარიდან ციხისჯვარ-აწყურის სანახებამდე გადაშლილი საერისთაო XI საუკუნის სამოციანი წლებიდან საგრძნობლად შემცირდა და მრავალი ციხე ჯაყელთა ხელში გადავიდა, აბუსერისძეებს მაინც გული არ გასტეხიათ. ისინი კვლავაც აგრძელებდნენ ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის მოღვაწეობის ტრადიციულ პოლიტიკას. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების კრიზისულ ხანაში.

არც თუ ისე უხვი მასალების საფუძველზე ი. სიხარულიძე ახერხებს მწერლის ოჯახური და საზოგადოებრივი გარემოს აღდგენას, ცხადყოფს, რომ ხიხათის მფლობელთა ოჯახი შესანიშნავ მოღვაწეთა პლეადას წარმოადგენდა: „ივანე ერისთავთ-ერისთავის ოჯახი დიდი კულტურული კერა იყო. ამას, რა თქმა უნდა, მამაპაპური ტრადიციები ედო საფუძვლად, მაგრამ თუ არა უფროსი ძმის, აბუსერის, დიდი კულტურული მისწრაფება, ძნელი წარმოსადგენია, რომ უმცროს და-ძმებს ეგზომ გაეშალათ თავიანთი შემოქმედება. რაც შეეხება ტბელს, დედის შემდეგ მასზე ყველაზე მეტი გავლენა სწორედ უფროს ძმას უნდა მოეხდინა. აქ არც მეორე ძმის ვარდანის, უაღრესად განათლებული და ავტორიტეტული პიროვნების, წვლილი უნდა ყოფილიყო მცირე“.

წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორი ახერხებს საკმაოდ ზუსტად მოგვინიშნოს არა მარტო აჭარის ერისთავთა სამკვიდრებელ-რეზიდენციის, არამედ იმ ეკლესიის ადგილმდებარეობაც, სადაც უნდა განისვენებდეს ტბელი აბუსერისძე. ამის დადგენაში მკვლევარს დიდი დახმარება გაუწია არა მარტო დიდი მწერლის „ანდერძში“ დაცულმა ცნობებმა, არამედ სხალთის ხეობის სათავეებში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრებმა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აჭარის ისტორიის კვლევა-ძიების დიდი მოამაგის, ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის ღვაწლი. რომ არა მის მიერ სოფელ თხილვანში დ. მამულაძის ეზოში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა XIII საუკუნისა, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დამაჯერებელი დასკვნების გაკეთება.

სხვადასხვა წყაროებიდან მოშველიებული ცნობების მეცნიერული შეჯერების გზით პროფ. ი. სიხარულიძე მიიჩნევს, რომ ტბელი აბუსერისძე XII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს არის დაბადებული. გამოდის, ჩვენ ფრიად მოკლე დრო გვაშორებს გამოჩენილი მწერლისა და მოაზროვნის დაბადების 800 წლისთავს.

დიდი კულტურული თარიღის ღირსეულად აღნიშვნას, შეიძლება ითქვას, უკვე დასაბამი მიეცა ტბელობის დღესასწაულის დაწესებით მწერლის მშობლიურ კუთხეში. ხალხის მარადიულ ხსოვნაში ღირსეული წინაპრის სახის გაცოცხლებაში ამ წიგნით უთუოდ გარკვეული წვლილი შეიტანა პროფ. იური სიხარულიძემ — ქართული ისტორიული მეცნიერების ერთმა ჩუმმა და გატაცებულმა მსახურმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# მოგონების რამდენიმე ფურცელი

ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოსს სერგი დურმიშიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მისი შრომები მცენარეთა ბიოქიმიის დარგიდან დიდი მოწონებით სარგებლობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე აქტიური საზოგადო მოღვაწეა, ქართული მწერლობის დიდი მოყვარული და ჩვენი მწერლების უახლოესი მეგობარი. ჟურნალ „მნათობის" რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს დაბადების დღეს, უსურვებს დღეგრძელობას და ახალ წარმატებებს საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მიწა

კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის-ძველადა.

ვაჟა-ფშაველა.

ოციანი წლების ბოლოსათვის უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრება ჯერ კიდევ არ იყო სავალდებულო და სტუდენტობა ერთმანეთს ნაკლებად იცნობდა. მიუხედავად ამისა, პირველი კურსის სტუდენტებმა, მე და თეოფანე დავითაიამ ერთმანეთი მალე მოვნახეთ. ერთი და იგივე საგნების ლექციებს ვესწრებოდით და მეცადინეობის შემდეგ ხშირად ვსაუბრობდით. მეორე კურსზე ჩვენი ინტერესები ნაწილობრივ ერთმანეთს დასცილდა: მე ქიმიისაკენ გამიწია გულმა, მან კი თავის სათაყვანებელ კერპად ფიზიკა გაიხადა. ჩვენ მაინც ახლო ამხანაგებად დავრჩით. გვიყვარდა ერთმანეთთან ყოფნა და მომავალზე ერთად ოცნება, ხშირად ვკამათობდით კიდეც. მე მასზე რამდენიმე თვით უფროსი ვიყავი და როდესაც პაექრობა გამიჭირდებოდა, მოვითხოვდი, რომ იგი, როგორც უმცროსი, დამმორჩილებოდა. უნდა გენახათ როგორი აღტაცებული იყო ხოლმე ამ დროს!

უმაღლესის წლებმა სწრაფად გაირბინა და 1932 წელს ორივემ საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამოვყავით თავი. პროფესორ სოლომონ ჩოლოყაშვილის რჩევით, იგი მალე ლენინგრადს გაემგზავრა კლიმატოლოგიაში მოსამზადებლად. ჩაირიცხა საკავშირო მემცენარეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და საფუძველი ჩაეყარა რუსეთში მის ხანგრძლივ მოღვაწეობას. ამდროინდელ ჩვენს მიწერ-მო-

წერას კვლავ დაჰკრავდა ჭაბუკური სიფიცხის ელფერი.

დადგა მოწიფულობის პერიოდი და ორივენი საპასუხისმგებლო ადგილებზე აღმოვჩნდით, ერთმანეთის მიღწევებით ვხარობდით. ათეულმა წლებმა განვლო და ყველა შევეგუეთ, რომ იგი სამუდამოდ ჩასახლდა რუსეთში. საქართველოში გადმოსვლაზე მტკიცე უარს ამბობდა ხოლმე:

— მე ჩემი საბოლოო ადგილ-სამყოფელი უკვე მოვნახე.

ომის მთელმა ქარცეცხლმა მასზეც გადაიარა; მოქმედ არმიაში მსახურობდა. ომის დამთავრების წლისთავზე, პირველ მაისს, ლენინგრადში სამი მეგობარი ვესტუმრეთ. ჩემთან ერთად გიორგი სეხნიაშვილი და გიორგი ბერიძე იყვნენ. საოცრად გაიხარა. აღარ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება და სიხარული. ნაჭრილობევი ლენინგრადი და პეტერჰოფი მოგვატარა, ათასი ადგილი გვიჩვენა და ათას ამბავს მოგვიყვა. წამოსვლის წინ დავიმარტოხელე და ისევ ძველ ჭრილობას შევეხე, იქნებ ახლა მაინც გადმოხვიდოდი საქართველოში სამუშაოდ-მეთქი. გულდასმით მომისმინა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მხოლოდ ორი სიტყვით მიპასუხა:

— აბა, სად?

მივხვდი, რომ ახლა მეტის თქმა აღარ იყო საჭირო, ყინული უკვე დამრღვეულიყო.

სამი წლის შემდეგ, ზაფხულში თეოფანე თელავში ჩამოვიდა. რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს მოაშურა და შემოსვლისთანავე განმიცხადა:

— სიტყვა მეცნიერებაზე არ გამაგონო. ახლავე სადმე, შორს წამიყვანე, საირმიდან მოვდივარ. ისეთ განწყობილებაზე ვარ, ჩემს თავს ვერ ვცნობ.

მივხვდი, ჩემს სიყრმის მეგობარს სევდა შემოპარვოდა და ბუნების წიაღში განმარტოება სურდა. მისი შინაგანი ბუნება ჩემთვის კარგად იყო ცნობილი და სასწრაფოდ საბუეს თავზე ყადორის გადასახვლელისკენ გავაქანე. გზაში ხმა არ ამოუღია. თამარის ციხისა, თუ ეკლესიის ძირას დავბინავდით. ჩვენს ირგვლივ ზღაპრული სანახაობა იყო. ალაზნის ველს „მწუხრის ზეწარი“ გადაფარებოდა, გარშემო კაკოს გაუვალი ტყე გვერტყა. ხელმარჯვნივ ხევში მთის მდინარე გაბმული კივილით მოედინებოდა. ჩრდილოეთის მხრიდან ალპური საძოვრები დაგვყურებდა თავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ცხვრის გაუთავებელი ფარები ამ საძოვრებიდან ძირს, ბარისაკენ მოცურავდა. თეოფანე დაიბნა, აღარ იცოდა ბუნების რომელ საოცრებაზე შეეჩერებია თვალი. მალე ძაღლების ყეფამ გამოგვაფხიზლა. მწყემსები მოგვიახლოვდნენ. გვთხოვეს მანქანა გზიდან გადაგვეყენებინა; ცხვარი ვიწრო გზაზე თავისუფლად ვერ გაივლის და აბა შირაქში როდის ჩავაღწევთო. თეოფანემ გზა უხმოდ დატოვა და მოშორებით, ერთი დიდი ხის ქვეშ ჩაიმუხლა. მეც მას მივყევი. მწყემსები თვალს მიეფარნენ.

— ნეტავ რაიმე დასალევი წამოგველოო, — ინატრა თეოფანემ.

მე ჩემს დიდი ხნის მეგობარს მიხეილ ტატიშვილს თვალით ვანიშნე. რამდენიმე წუთში სტუმრის წინ სუფრა გაიშალა. ის იყო პირველი ჭიქა უნდა შეგვესვა, რომ თავზე სარქალი დაგვადგა.

— ბატონო სერგო, ეს რა გიკადრებიათ, მიშასაგან გავიგეთ, რომ რუსეთიდან მეგობარი ჩამოგსვლიათ, ჩვენ იქ უკვე ვემზადებით და თქვენ აქ, უჩვენოდ გინდათ პური გატეხოთ? თქვენ ხომ ჩვენი ადათი კარგად მოგეხსენებათ; ეს არ გეპატიებათო.

ერეკლე ბუქარაულს მე კარგად ვიცნობდი, მასთან ერთად ყოფნა ყოველთვის საინტერესო იყო. პურმარილი შევაერთეთ და სუფრას შემოვუსხედით. ურთიერთობა მალე ლაღი და თავისუფალი გახდა. ჩვენი საერთო ტრაპეზი სულ ერთ საათამდე გაგრძელდა, მაგრამ მან ჩემი ლენინგრადელი ქართველი ძირფესვიანად შესძრა. ილიას, აკაკისა და ვაჟას შვილების სამშობლოსადმი სიყვარული პირველყოფილი სიწმინდით ილვრებოდა სუფრასთან. მწყემსებმა დაწვრილებით გაიგეს ჩვენი სტუმრის ვინაობა და მისი სადღეგრძელო მოწიწებით შესვეს. მხცოვანმა თუშმა ძია ნიკამ ცოტა მოგვიანებით იკითხა:

— მთიან სამეგრელოში სისხლის აღების ადათი ხომ არ არის, ბატონ თეოფანეს ისეთი რა დანაშაული აქვს, რომ ასე დიდი ხნით მოშორებია თავის კერასო.

რვა მწყემსმა დალოცა თეოფანეს მომავალი, ქართველ ქალზე დაქორწინება უსურვეს. დაუთქვეს, რომ ყოველ წელს, სწორედ ამ დროს, მასა და მის მეუღლეს აქ შეხვდებოდნენ. ვიდრე ცხვარი იარსებებს, მეცხვარეები მთიდან ბარისაკენ ამ გზით ივლიანო.

თელავში ღამით დავბრუნდით. თეოფანემ მთხოვა ერთი ჭიქა ჩაი დამალევინეო. დიდხანს ვერ დავწექით. მრავალი რამ გავიხსენეთ; მას განსაკუთრებით სტუდენტობის პერიოდის ამბების მოგონება უყვარდა. თვალწინ მიდგასო, თუ როგორ არიგებდი, როგორც „სტუდენტთა მთავრობის“ კაცი, უფასო სადილების ტალონებს და ორივენი შემდეგ რა სიხარულით შევექცეოდით ამ სადილებს სტუდენტთა სასადილოში, რა „წარჩინებულნი“ გავხდით, როდესაც ორივემ არასავალდებულო საგნები — გეოდეზია და უმაღლესი მათემატიკის შესავალი ჩავაბარეთ, პროფესორების ანდრია ბენაშვილისა და იასონ მოსეშვილის ლექციები თუ ოდესმე დაგვიწყდებაო...

მეორე დღეს გვიან ავდექით. ინსტიტუტში წამოსვლა არ მოინდომა, ვაზისუბანში გავემგზავრეთ. იქ ინსტიტუტს სულხან ჭავჭავაძის ყოფილ სასახლესა და მამულში საცდელი სადგური ჰქონდა. აქ თეოფანე ადრეც ყოფილიყო და ძალზე მოსწონდა. ახლა გამოღმა მხრიდან შესცქეროდა ალაზნის ველს და კავკასიონის სილამაზით ტკბებოდა.

სოფელს გავშორდით და ცივ-გომბორის კალთებისაკენ გავწიეთ. კარგახანს ვიარეთ. დაბრუნებისას ძველი ეკლესიის ეზოში მოისურვა დასვენება, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის ამბებს მაამბობინებდა. საცდელ სადგურში საღამომდე დავრჩით. მე ყველა თხოვნას უსიტყვოდ ვუსრულებდი. ვგრძნობდი, რომ მას ვაჟკაცურსა და შემტევ ბუნებას რაღაც უჩვეულო განწყობა შეჰპაროდა. საღამოს, როდესაც ნადიკვარზე ვისხედით და ახლა წყვდიადში ჩაძირულ ალაზნის ველს უცქეროდა, ვთხოვე:

— ეს რა მეგობრობაა. მითხარი რა დაგემართა, სხვა კაცი გგონიხარ. იქნებ რამეში შეგეშველო-მეთქი.

ნაღვლიანად მიპასუხა:

— გვიანღაა. ეტყობა რაღაც ისეთი დავკარგე, რომ მას უკვე ვერასოდეს ველარ დავიბრუნებ, მაგრამ ჩემს გულისტკივილს მაინც გაგიზიარებო.

მე აქ საირმედან ჩამოვედი. შენ კარგად იცი, თუ როგორ მიყვარს ხეტიალი. რკინისგზის სადგურიდან საირმისაკენ ფეხით გავწიე. ოდნავ ცრიდა და მეგონა მალე გადაიღებდა. მაიაკოვსკის მუზეუმიდან რამდენიმე კილომეტრი მექნებოდა გავლილი, რომ ცამ პირი მოაღო და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ძლიერმა წვიმამ ისეთ ადგილზე მომისწრო, რომ ახლომახლო მოსახლე არ ჩანდა. ფეხს ავუჩქარე, მაგრამ სად გაასწრებ! რამდენიმე წუთში გასაწური გავხდი. მესმის, ვიღაც მეძახის: ბატონო, აქეთ მობრძანდით, აქ ჩვენთან შეაფარეთ თავიო. გზის პირას კლდის ქიმი გადმოწეულიყო და ორი მგზავრი მის ქვეშ მოკალათებულიყო. მეორედ მიპატიჟება არ დამჭირვებია, მეც მათთან ერთად მოვიფრთხილე მიწაზე. ჩვენს შორის მალე გაიბა საუბარი. ერთი ჩემსავით დასასვენებლად მიდიოცდა, მეორეს კი ღვინო მიჰქონდა გასაყიდად. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც საშველი ღარსაიდან გამოჩნდა და ზესკნელი ინგრეოდა, ღვინის პატრონმა თხოვნით მოგვმართა:

— ბატონებო, სახლიდან პატარა საგზალი მაქვს წამოღებული — მჭადი, ყველი, მწვანილი, ღვინოც აგერაა და იქნებ ცოტა წაგვეხემსა, დიდი პატივი არ დაგვჭირვებია. ახლად გაცნობილი მგზავრის პურმარილს ხალისით შევექეცით. ღვინო ნელ-ნელა შემოგვეპარა, ჯერ გაგვათბო, მერე გაგვახურა და ბოლოს აგვამეტყველა კიდეც. მალე ლილინიც დავიწყეთ. ახლა სამივენი ვთამადობდით. დაგვავიწყდა, რომ ეს ღვინო საირმის დამსვენებლებისათვის იყო განკუთვნილი. როცა კარგად შებინდდა და წვიმა კი კვლავინდებურად ასხამდა, ღვინის ყოფილმა პატრონმა ხვეწნით მოგვმართა:

— მეზობლებო და საყვარელო მეგობრებო, მოდით გავიჭირვოთ და ერთი სამი კილომეტრი გავიაროთ. ჩემი სახლი გზის პირასაა. ღვინოც ბევრი მაქვს და პურიც. კარგა თბილადაც მოგასვენებთ. თუ ხვალ დილას კარგი ამინდი იქნება, ხომ კარგი, სამივე გავემგზავრებით საირმეს. და თუ არა, ჯანდაბას ეშმაკის თავ-ფეხი, ჩვენც მანამდე ვიქეიფოთ, ვიდრე ამ ქვეყნად მზე არ გამოგვეცხადებაო. წინადადებას კენჭისყრა არ დასჭირვებია. სულ მალე მივადექით ჩვენი მასპინძლის სახლს. შესანიშნავად მიგვიღეს და საუკეთესოდ მოგვასვენეს. დილით ჩვენი ტანსაცმელი წესრიგში მოყვანილი დაგვხვდა. საუზმის შემდეგ ჩვენი მასპინძელი საირმეში აღარ წამოგვყვა, დღეს საქმეები მაქვსო. დავემშვიდობეთ ოჯახის ყველა წევრს და როდესაც ოჯახის მეთაურმა ეზოს კარამდე მოგვაცილა, გვერდზე გამოვიხმე და ჯიბეში ფული ჩავუდე. მან დიდი ხარჯი გასწია და მინდოდა ნაწილობრივ მაინც შევეფარებოდი. მასპინძელი თითქოს უეცრად გაქვავდაო, არ განძრეულა, არც ფული ამოუღია ჯიბიდან. სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაუარა და ცივი ხმით მკითხა:

— რამდენი წელიწადია, რაც საქართველოდან წახვედი. ასე როგორ დაგავიწყდა ყველაფერი, სისხლი ასე რამ გაგიცივაო!

ფული დამიბრუნა, ჯიბიდან თამბაქოს ქისა ამოიღო, გადმოაპირქვავა. იქვე ერთი მუჭა მიწა აიღო, ქისაში ჩაყარა და მომაწოდა.

— ვიდრე ჩვენს დიდ მიწას დაუბრუნდები, მანამდე ეს მაინც ატარეო. შემდეგ ჩემი ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა და იმ კლდემდე მიმაცილა, რომლის ძირშიც გუშინ ერთმანეთი გავიცანით. განშორებისას დამაფიცა, რომ თუ ამ მხარეში როდისმე მოვხვდებოდი, აუცილებლად მისი ოჯახის სტუმარი გავმხდარიყავი.

თეოფანემ პორთფელი გახსნა, ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი მიწით სავსე ქისა მაჩვენა და განაგრძო:

— თოთხმეტი დღე დავრჩი საირმეში და ეს ჩემი შეცდომა ვერაფრით ვერ მოვინელე. შენ კიდევ ამ შენი მწყემსებით ცეცხლზე ნავთი დამასხი. ისინიც ხომ იმავე ფესვებზე მაჭერდნენ ფეხს, რაც მაიაკოვსკელმა კოლმეურნემ გამიშიშვლა.

— სერგი, მეგობრულად გამარკვიე, განა მე რომ საქართველოს გარეთ ვმუშაობ, ქართულ საქმესაც არ ვაკეთებ? იქ არ დავწერე გამოკვლევა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობისა კლიმატურ ზონებზე?

თეოფანე აღელვებული იყო და საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მისთვის უჩვეულო მდგომა-

რეობიდან გამოვიდა, შევთანხმდით, როდესაც დადგებოდა შესაფერი მომენტი, საქართველოში გადმოვიდოდა სამუშაოდ და ახლა მთელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებას აქედან მოემსახურებოდა.

გავიდა წლები და მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება თეოფანეს აქ გადმოსვლაში აქტიური მონაწილეობა მიმეღო.

1960 წლის 31 დეკემბერს თეოფანე ფარნას ძე დავითაია არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი სათავეში ჩაუდგა გეოგრაფიის ინსტიტუტს და საქართველოს აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას. ცხრამეტი წლის განმავლობაში საქართველოდან ემსახურებოდა იგი მთელს საბჭოთა მეცნიერებას.

1979 წლის 29 ივნისს თეოფანემ უდროოდ დატოვა თავისი საყვარელი საქართველო.

უკანასკნელ წუთს, როდესაც ნათესავები, მეგობრები, მოწაფეები, მადლიერი ქართველი ერი მწუხარებით ეთხოვებოდა თეოფანეს, რუსმა მეცნიერებმა, ნიშნად დიდი დაფასებისა და პატივისცემისა, სამუდამო სამყოფელში მისთვის საყვარელი ლენინგრადის მიწა ჩაატანეს.

## ახალი წიგნი და ძველი ღვინო

საქართველოში მეცნიერული მევენახეობის ფუძემდებელია სოლომონ ჩოლოყაშვილი. მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მეცნიერული მევენახეობის განვითარებას და მეცნიერული კადრების აღზრდას საქართველოში. იგი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის პირველი გამგე, საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი ქართველი ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი აკადემიკოსი მევენახეობაში. ბაკურციხის მკვიდრს უმაღლესი განათლება ავსტრიაში ჰქონდა მიღებული. მეცნიერული განსწავლის შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაში მუშაობდა.

მე ბ-ნ სოლომონ ჩოლოყაშვილს სტუდენტობის დროიდანვე დიდ პატივს ვცემდი, როგორც ჩემს საყვარელ პროფესორს. იგი ფართო ინტერესების პიროვნება იყო და მისი ლექციები ყოველთვის მეტად საინტერესო იყო. ბ-ნი სოლომონი ერთი იმათთაგანი იყო, ვინც მე რეკომენდაცია გამიწიეს ასპირანტურაში დასატოვებლად, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ მე ქიმია მიზიდავდა. ჩემი სტუდენტობის დროს ორგანიკოსი-ქიმიკოსების დიდი ნაკლებობა იყო. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩემი თაობის სტუდენტებმა ორგანული ქიმია ყველაზე ბოლო საგნად ჩავაბარეთ, რადგანაც არ გვყავდა მასწავლებელი. როდესაც გადაწყდა და მე ასპირანტურაში მოსამზადებლად დამტოვეს, სწავლის დაწყების პირველსავე დღეს ყველა იმ პროფესორს მივაკითხე, რომელთა რეკომენდაციითაც ვიყავი ასპირანტურაში დატოვებული. ყველაზე მეტხანს ბატონმა სოლომონმა გამაჩერა, მიყვებოდა ასპირანტურაში ჩემს უშუალო ხელმძღვანელ პროფესორ მიხეილ შალამბერიძეზე, რომელ მეცნიერებთან მუშაობდა იგი გერმანიაში, რა ხასიათის პიროვნება იყო და როგორი ურთიერთობა უნდა მქონოდა მასთან. გახსოვდეს, მეცნიერებას შემთხვევითი ხალხი არ უყვარს, მათ მეცნიერების ბობოქარი მდინარე, როგორც უცხო სხეულს, მაინც გარიყავსო. გამაკვირვა მისმა ჩემდამი ყურადღებამ.

შემდგომში მე ყოველთვის ვცდილობდი ბატონი სოლომონის შეგონება ჩემს სულიერ მოთხოვნად გადამექცია. მალე ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა ერთი გარემოების გამო. რამდენიმე თვის შემდეგ მან ახლად გამოსული მევენახეობის სახელმძღვანელო მაჩუქა. მას ბაბოსა და მახის სახელმძღვანელო გადმოექართულებინა და განეახლებინა, ქართული მასალებით შეევსო. პირველი წყარო გერმანულ ენაზე იყო და თარგმანი ქართული ტერმინოლოგიის შესამოწმებლად პროფ. მიხეილ შალამბერიძისათვის გადაეცა. როდესაც წიგნს დაწვრილებით გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი ქიმიური ნაერთის სახელწოდება ქართულად არასწორად იყო თარგმნილი. განსაკუთრებით სამწუხარო ის იყო, რომ ცხრილებში მეტალების ჟანგეულების და მეტალების სახელწოდებები ზოგჯერ ერთმანეთში იყო არეული. რამდენიმე დღე ვფიქრობდი როგორ მოვქცეულიყავი; ვერ გადავწყვიტე და რჩევისათვის ახალგაზრდა დოცენტს ვარლამ ღვალაძეს მივმართე. ყველა შენიშვნა ჩამოწერილი მქონდა, გვერდების მიხედვით დავწერე რა ეწერა და როგორ უნდა ყოფილიყო. მან ჩემი ნაწერი გადაათვალიერა და მირჩია ბ-ნი სოლომონისათვის პირადად გადამეცა. თუ იგი მოითხოვდა, უფრო ვრცლადაც განმემარტა.

რამდენიმე დღე კიდევ ვითრიე ფეხი, და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე.

პროფესორი თავის სამუშაო ოთახში მარტო იჯდა, ჟურნალებს ათვალიერებდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა და მიმიპატიჟა. მე უკვე გარკვევით მესმოდა ჩემი გულისცემა... როგორც იქნა, ჩემი გაჭირვება გადავეცი, გავაგებინე. ჯერ უხმოდ დამაკვირდა, შემდეგ უეცრად სავარძელზე გადაიწია და გადაიხარხარა.

— აი მოწაფე! იმ ბებერმა ალბათ ვინმე უცოდინარს მიანდო შემოწმებაო.

— შენ ხომ გჯერა, რომ შენს მასწავლებელს მიხეილ შალამბერიძეს ასეთი შეცდომა არ მო-

უვიდოდაო, მან გერმანულიც შესანიშნავად იცის და ბრწყინვალე მეჰართულეც არისო.

მე გავვოცდი, მეგონა მისთვის მთავარი ის იქნებოდა, რომ მის მიერ გამოცემულ წიგნში უზუსტობანი აღმოჩნდა, ის კი მე მარწმუნებდა, რომ ჩემი მასწავლებელი ამ საქმეში არაფერ შუაშია და მე მისი მუდამ უნდა მწამდეს და მჯეროდეს...

დამამშვიდა, ჩემი შენიშვნებიანი რვეული გამომართვა, მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რომ შემდეგ გამოცემაში გაასწორებდა. ცოტა ხანს მიყურა, როდესაც მიხვდა, რომ ვეღარ ვდგებოდი, ამაყენა, ხელი მომხვია და დერეფნის ბოლომდე გამომაცილა.

შემდგომში ხშირად მეკითხებოდა ხოლმე:

— სერგო, როგორაა შენი და მისას მეგობრობაო.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ხმა გავარდა, რომ სოლომონ ჩოლოყაშვილი ავად არისო. ამბის გასაგებად პროფ. კონსტანტინე მოდებაძეს მივაშურე. მან აღმითქვა, რომ ამ დღეებში სოლოს სანახავად წავიდოდა და მეც წამიყვანდა. ეს დღეც დადგა და მის მეგობრებთან ერთად მეც მოვინახულე ბ-ნი სოლომონი. ოდნავ ფერი შეცვლოდა, სხვამხრივ ძველი სოლომონი იყო. თუმცა ავადმყოფობა კიდევ როგორ უნდა შეტყობოდა, იგი მუდამ ისეთი გამხდარი იყო, რომ კიდევ უფრო გახდომა ალბათ შეუძლებელიც იყო.

თავისი ტოლ-მეგობრების მისვლა გაეხარდა. ყველა მოგვიკითხა. განსაკუთრებით უყვარდა სიტყვიერი კენწლაობა და 'საირი კონსტანტინე მოდებაძესთან. მათ ტრადიციას არც ახლა უღალატეს და მალე ყველანი გავმხიარულდით. ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენი ავადმყოფი ლოგინს მალე მოცილდებოდა. ავადმყოფის საწოლთან მეუღლემ მშვენიერი სუფრა გაშალა და თამადობა მასპინძელმა აიღო, თუმცა ღვინოს არ სვამდა. ის-ის იყო უნდა წამოვსულიყავით, რომ სასთუმალთან პატარა კარადაში ხელი შეყო და ერთი ბოთლი ძალზე ძველი ღვინო გამოიღო.

— მოდი, როგორც ყველაზე ახალგაზრდას, სერგოს დავავალოთ ამ ბოთლის გახსნა და პირველი სადღეგრძელოო — ბრძანა მასპინძელმა. ბოთლი წესისამებრ გავხსენი და ღვინო სპეციალურად ამ შემთხვევისათვის მოტანილ ჭიქებში ჩამოვარიგე. ახლა საჭირო იყო სადღეგრძელო შემომეთავაზებინა. ვიფიქრე, ავადმყოფს ჯანმრთელობას ვუსურვებ-მეთქი და ორიოდე სიტყვით ბ-ნ სოლომონს მოვეფერე. სადღეგრძელო ყველამ მომიწონა, ყველამ მხარი დამიჭირა და შვებით ამოვისუნთქე. სუფრა კვლავ მხიარულად გაგრძელდა. როდესაც სოლომონი სადღეგრძელოს ამბობდა, შევნიშნე, რომ ჩემი ჭიქა სავსე იყო, ხელუხლებლად იდგა. ეს როგორ მოხდა, არ მახსოვს.

— თამადა, რა მოგივიდა, ღვინოს რატომ არ მიირთმევო, — მომმართა მასპინძელმა.

კიდევ ერთხელ ვუსურვე დღეგრძელობა ბატონ სოლომონს, მზეგრძელობა და ჭიქა დავცალე. ვაი შენს მტერს, მე რომ დღე დამადგა. ავადმყოფმა უეცრად ლოგინზე წამოიწია და შემჰყვირა:

— შე ბრიყვო, ეს რა ჰქენი, ღვინო ასე როგორ დალიე. ვინა ხარ, სად გაიზარდე, ეს ღვინო ათი წელი იმიტომ ძველდებოდა, რომ კახური არაყივით გადაგეკრა?!.. — ამის თქმა იყო და ფერი კიდევ უფრო მეტად წაუვიდა, ბალიშზე მიესვენა და თვალები დახუჭა. აღარ ვიცოდი რა მექნა, ვერაფერი გავიგე. როდესაც გაწყრომას მოველოდი, მაშინ არაფერი უთქვამს, პირიქით, მომეფერა. ახლა კი რა მოხდა ისეთი, რა უბედურება ჩავიდინე.

სიჩუმე კოწია მოდებაძემ დაარღვია.

— სოლო, ვაპატიოთ! რა ქნას, მამამისს ათი შვილი ყავს, ბავშვებს ქვევრის ნარეცხს ახმევენ და ძველი ღვინის ყადრი საიდან ეცოდინებაო.

ყველანი წავიდნენ. მე კი ბატონმა სოლომონმა კარგახანს არ გამიშვა. დიდხანს მიხსნიდა რას წარმოადგენს ღვინო, მით უმეტეს, ძველი ღვინო და როგორ უნდა შესვას იგი კულტურულმა კაცმა. თან ერთი შეგონება გამომატანა: ღვინო ისე და იმდენი უნდა დალიო, რომ გონებას ბრწყინვალება, ენას სიმახვილე და ხასიათს კაცთმოყვარეობა შეემატოსო.

## უურძნის მტევანი

დიმიტრი უზნაძე თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფსიქოლოგიას კითხულობდა. ზოგჯერ ზაფხულობით აქვე ისვენებდა ხოლმე. უყვარდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვლა და ჩვენი მუშაობის გაცნობა. ბავშვობა ქვემო საქარაში ჰქონდა გატარებული და დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობას საფუძვლიანად იცნობდა. განსაკუთრებით კარგად ვაზის ჯიშები იცოდა. რამდენჯერმე დიმიტრი უზნაძე და ივანე ბერიტაშვილი ერთად გვეწვივნენ. ბატონ ივანეს განსაკუთრებით უყვარდა თელავში ყოფნა. იგი ხომ აქ, სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა და ჩვენი სახელოვანი მეცნიერები თავის მოვალეობად თვლიდნენ დაგვხმარებოდნენ. ბ-ნი ივანე იმხანად სოხუმში თავის აგარაკზე ვაზის გაშენებას აპირებდა და მევენახეობით იყო გატაცებული, ჯიშებს არჩევდა და მათ აგროტექნიკას სწავლობდა.

მათთან საუბარი საინტერესოც იყო და საფრთხილოც. დიმიტრი უზნაძე არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებდა ქართული სიტყვის არასწორად გამოთქმას, ივანე ბერიტაშვილი კი შენიშვნებს ისეთი პირდაპირობით და სიმკაცრით მოგცემდა, რომ მისი მონელება არც ისე ადვილი იყო. მათში დიდ ინტერესს იწვევდა ვაზისა და ღვინის კოლექციები, ყურძნის გადამუშავების, ღვინის ტექნოლოგიის ქართული წესები. ორივეს დიდი სურვილი იყო ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის მაღალმეცნიერულ დონეზე განვითარება.

თელავში ორივენი ოჯახით ცხოვრობდნენ ხოლმე და უყვარდათ ბაზარზე გამოსვლა, კოლმეურნე გლეხებთან საუბარი. ერთხელ, კვირა დილით, თელავის ბაღთან შევხვდი დიმიტრი უზნაძის მეუღლეს ქალბატონ შუშანას. იგი ბაზრიდან ბრუნდებოდა, თან სიძე — პროფესორი მიხეილ შიშნიაშვილი ახლდა და შემნიშნა თუ არა, პირდაპირ ჩემთან მოიჭრა და აღელვებულმა მომმართა:

— ბატონო სერგო, ეს რას ჰგავს, აკადემიას აქ ათეული ჰექტრობით ვენახები აქვს და ჩვენ კი ყურძენს მტევნობით ბაზარზე ვყიდულობთ. ნუთუ არ შეიძლება, რომ თქვენთან სახელმწიფო ფასზე შევიძინოთ. გვეცოდინება მაინც რას ვჭამთ. თქვენ ვალდებული ხართ ამ საქმეს დროულად მიხედოთ!

ბატონ დიმიტრის მეუღლეს მე არ ვიცნობდი და მისმა ჩემდამი ავრესიულმა კილომ დამაბნია. ვიდრე პასუხს მოვახერხებდი, მან კალათიდან ლელვის ფოთოლში გახვეული სამი მტევანი ამოიღო, გამომიწოდა და კვლავ შემომიტია:

— აბა შეხედეთ, რა ყურძენია, განა ეს შეიძლება ბავშვებს აჭამო!

ხელი გაშლილი ჰქონდა და ჩემგან პასუხს მოითხოვდა. მიხეილ შიშნიაშვილმა, რომელიც სიდედრის ზურგსუკან იდგა, რაღაც მანიშნა, მაგრამ ვერ გავიგე.

ის იყო ქ-ნ შუშანას ყურძენი უკანვე კალათაში უნდა ჩაედო, რომ მივწვდი ერთ მტევანს და გასასინჯად ავიღე; მინდოდა გამეგო, თუ რამდენად მწიფე იყო. რაღაც უცნაური ჯიშისა ჩანდა. ორი მარცვალი მოვწყვიტე თუ არა, ბატონი დიმიტრის მეუღლე უეცრად მოტრიალდა და ენერგიული ნაბიჯით წავიდა. ყველაფერი ისეთი ელვისებური სისწრაფით მოხდა, რომ ერთი სიტყვაც კი ვერ მოვასწარი. მეჭირა ხელში ყურძნის მტევანი და მიხეილს შევცქეროდი.

— ეს რა ჰქენით, — მომაძახა მიშამ და სიდედრს დაედევნა.

ყურძნის მტევანი სახლში მოვიტანე. მთელი საღამო უგუნებოდ ვიყავი. ვერ გავიგე რა მომივიდა. ხომ უნდა განმემარტა, რომ ჩვენი საადრეო ჯიშები ჯერ არ არის მწიფე და როდესაც დამწიფდებოდა, რა თქმა უნდა, მივართმევდი. ღამე რამდენჯერმე დავაწყვე ვეგმა, თუ ბატონ დიმიტრის როგორ ავუხსნიდი ყველაფერს და როგორ მოვიხდიდი მასთან ბოდიშს. დილით არცერთი ვარიანტი არ მომეწონა. ინსტიტუტში შინაგანად გამოცარიელებული წავედი.

მეორე დღეს 12 საათი იქნებოდა, როდესაც შემატყობინეს, რომ ინსტიტუტის ეზოში დიმიტრი უზნაძეაო. შენობის მთავარ შესასვლელთან შევეგებე. იგი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, ღიმილით მომესალმა და წყნარად მომმართა:

— შენთან იმისათვის მოვედი, რომ ბოდიში მოგიხადო. ვწუხვარ, რომ ჩემმა მეუღლემ თქვენ ახეთ დღეში ჩაგაგდოთ; მასაც და მეც უნდა გვაპატიო. დიასახლისის როლი და პოზიცია ყოველთვის თავისებურია.

მხრებზე ხელი დამადო, გულიანად გაიცინა და მითხრა:

— თუ მართალია, რომ სამი მტევნიდან ერთი, ყველაზე უკეთესი თქვენ აიღეთ და უსიტყვოდ დაიწყეთ მისი დამარცვლა, ეს ბრწყინვალე საპასუხო რეაქციაა, შესანიშნავი აქტია! ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ოჯახი გიხდით ბოდიშს, იმედია გაგვიგებთ.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. რას მოველოდი და როგორ შემიტრიალა ყველაფერი ბატონმა დიმიტრიმ.

იმ დღეს იგი დიდხანს დარჩა ჩვენთან, ინსტიტუტში. ბიბლიოთეკას ახალი მიღებული ჰქონდა უცხოური ლიტერატურა და ვაჩვენე. გაიცნო ცნობილი გოლიცინის ქალიშვილი, რომელიც ჩვენ დროებით თბილისიდან ჩამოვიყვანეთ ასპირანტების მასწავლებლად ფრანგულ ენაში. მათ მალე აღმოაჩინეს საერთო ნაცნობები და საუბარი მეტად საინტერესო აღმოჩნდა. განსაკუთრებული გულდასმით გერმანულ და ფრანგულ სპეციალურ ლიტერატურას ათვალიერებდა. გვესაუბრა, სწამდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიკაში დიდი როლის შესრულება შეეძლო. გაცილებისას გვისაყვედურა:

— ეს როგორ მოგივიდათ, რომ საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში დაარსდა და თქვენ იგი რამდენიმე წელში ხელიდან გაუშვით, სხვა რესპუბლიკას გადაულოცეთ. ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის რომ მეტი ყურადღება მიგექციათ, ეს არ მოხდებოდა. მე განსაკუთრებით სოლო ჩოლოყაშვილისაგან მიკვირს, მას არც განათლება აკლია, არც ცხოვრების გამოცდილება და არც ნამდვილი პატრიოტიზმი. თუ ჩვენი ვაზი და ღვინო მსოფლიოში საუკეთესოა, ამ დარგების მეცნიერებაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში უნდა ვითარდებოდეს.

ბატონ დიმიტრისთან საუბრისას, მასთან ყოფნისას რაღაც სულიერი სიმშვიდე, მომავლის იმედი დამეუფლებოდა.

როდესაც დაგვემშვიდობა, ისევ ღიმილით მომმართა:

— ხომ გვაპატიეთ, მე მგონია კვლავ მეგობრები დავრჩებით!

და მე მაინც მანამდე ვერ მოვისვენე, ვიდრე ქალბატონ შუშანას არ შევხვდი და ჩემი უდიერი საქციელისათვის ბოდიში არ მოვუხადე.

## იუბილარი

პროფესორი ვარლამ ზაქარიას ძე ღვალაძე ქართული სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. მან ჩაუყარა საფუძველი ტექნიკურ ბიოქიმიას საქართველოში და პირველმა შექმნა ენოქიმიის კურსი საბჭოთა კავშირში. ახევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მას მეცნიერული კადრების აღზრდაში. მისი მრავალი მოწაფე დღესაც წარმატებით მუშაობს მცენარეთა ბიოქიმიასა და ტექნიკურ ბიოქიმიაში. ვარლამ ღვალაძის შრომები სპირტული დუღილის ბიოქიმიაში საყოველთაოდ არის აღიარებული ჩემი პირველი მეცნიერული ნათლობაც მასთან მოხდა. ის იყო ჩემი პირველი მეცნიერული ხელმძღვანელი.

ვარლამი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე იყო. სამამულო ომის პერიოდში ამავე ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგს განაგებდა. შესანიშნავი პედაგოგი და უხპეტაკესი ადამიანი იყო. 1934 წელს მას 50 წელი შეუსრულდა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მისთვის იუბილე გადაეხადა. საინიციატივო ჯგუფში მეც შემიყვანეს და როგორც მის მოწაფეს, დამავალეს გამეგო, თუ რა სურდა მას, რას მოითხოვდა დირექციისაგან. ვემზადებოდით აგრეთვე საიუბილეო საჩუქრის შესაძენად; იმ დროს ძვირადღირებული საჩუქრები მოდაში არ იყო. 1943 წელს მას 50 წელი შეუსრულდა და კურ მხარეს ექცეოდა. ბატონი ვალიკო იუბილეზე ვერ დავითანხმეთ.

— ხომ არ გაგიჟდით, მე ისეთი რა გამიკეთებია, რომ იუბილე უნდა გადამიხადოთ. თქვენ რა, ნორმალურ ჭკუაზე ხართ?!

ვარლამის მტკიცე და პირდაპირი ხასიათი ყველასათვის ცნობილი იყო და მისი მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლის (ამ დროს იგი უკვე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იყო) საჯარო აღნიშვნა დღის წესრიგიდან მოიხსნა. ახლა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა სამახსოვრო საჩუქრის შერჩევას; პატივისცემის აღნიშვნის ერთადერთ ფორმად ესღა რჩებოდა. ომი იყო და ყველამ ვიცოდით, რომ მას მატერიალურად უჭირდა. ესეც უნდა მივველო მხედველობაში. იუბილარს მთელი კვირა ვეხვეწებოდი, რომ მიენიშნებინა მაინც, თუ ახლა ოჯახისთვის რა იქნებოდა ყველაზე სასურველი; ფულს ხომ ვერ მივამრთმევდით!

ერთ დღეს, როდესაც ყოველგვარი იმედი გადაწურული გვქონდა, დამიძახა სამუშაო ოთახში და გამენდო:

— ხომ ხედავ, ბიოქიმიის განვითარების რა პირობებია საქართველოში. რესპუბლიკაში არ მოიპოვება ბიოქიმიის არცერთი უცხოური ჟურნალი. ბიოქიმია ახალგაზრდა მენციერებაა და ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხოლოთ მნიშვნელობის ჟურნალების დროულად მიღებას. იმ დროს მოსკოვიდან უცხოური ჟურნალების დროებითი სარგებლობისათვის გამოწერა არ იყო მოგვარებული. ზოგჯერ მოსკოვს იმიტომაც მივემგზავრებოდით, რომ უკანასკნელი დროის პერიოდიკას გავცნობოდით. მაშინ რუსულ ენაზე რეფერატული ჟურნალები არ არსებობდა.

— თუ თქვენ მაინცდამაინც გინდათ მე განსაკუთრებული პატივი მცეთ, დამაჯილდოვოთ, — განაგრძო მან, — აი, წაიღეთ უცხოური ჟურნალების ეს სია და ერთ-ერთი ამათგანი გამოუწერეთ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, რომ ყველა მსურველს შეეძლოს იმით სარგებლობა.

ბატონ ვარლამის ეს სურვილი სასწრაფოდ მოვახსენე ინსტიტუტის დირექციას, პარტკომს, ადგილკომს. მათ გულწრფელად აღმითქვეს, რომ იუბილარის თხოვნას აუცილებლად შეასრულებდნენ. სამი თვე გრძელდებოდა მიწერ-მოწერა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის. საბოლოოდ გამოირკვა, რომ საჭირო ვალუტა იმჟამად რესპუბლიკას არ გააჩნდა და პროფესორ ვარლამ ღვალაძის საიუბილეო დაჯილდოება არ მოხერხდა; სხვა საჩუქარზე მან კვლავ მტკიცე უარი განაცხადა.

## კანონი

1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორად დამნიშნეს. ამ თანამდებობაზე ათ წელზე მეტ ხანს დავყავი, მაგრამ განსაკუთრებით ომის წლები ჩამრჩა მეხსიერებაში. ინსტიტუტის შენობის ნაწილი სხვა უწყებას ეკავა, ლაბორატორიები არ მოქმედებდა, საცდელი ნაკვეთები მოუვლელი იყო. დაწესებულებას არავითარი სატრანსპორტო საშუალება არ გააჩნდა, ვაზის უძვირფასესი ჯიშების კოლექცია

ლუპებოდა... ინსტიტუტი სულს ლაფავდა.

1944 წელს ფრონტზე ჩვენი ჯარების წინსვლამ, ქვეყნის სამამულო ომში გამარჯვების მოახლოებამ თავისი ცხოველმყოფელი სულიერი სითბო ჩვენც შთაგვბერა და ინსტიტუტის კოლექტივი შესამჩნევად გააქტიურდა. შენობა დავიბრუნეთ, ვენახში მიწის ბელტი გადაპრუნდა, ვაზის პწკალი კვლავ შემოეხვია საყრდენს, ყურძენი შეთვალდა და ჯიშნარი ძველებურად აფერადდა. ყველანი მოუთმენლად ველოდით დიდიხნის ნანატრ რთველს. საადრეო ჯიშის შასლა იმდენ მოსავალს გვპირდებოდა, რომ შეგვეძლო გაგვეყიდა კიდეც. თუ მას, როგორც სუფრის ყურძენს, აგვისტოში ჩავაბარებდით, მაშინ სექტემბრისათვის დაწესებულ ფასთან შედარებით ორჯერ მეტ თანხას გადმოგვირიცხავდნენ. საცდელი ნაკვეთები სამეურნეო ანგარიშზე იყო და უფლება გვქონდა ყურძნიდან მიღებული შემოსავალი ისევ ვენახების მოვლა-პატრონობაზე დაგვეხარჯა. საჭირო იყო მხოლოდ ერთი დახმარება: აკადემიას ნება დაერთო, რომ ჩვენი ნაადრევი მოსავალი სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციისათვის ჩაგვებარებინა.

იმ ხანად პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი მოსკოვში იმყოფებოდა და ნებართვისათვის მის დროებით შემცვლელს აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს მივმართეთ. ბატონმა ალექსანდრემ მისთვის ჩვეული დიდი თავაზიანობით მიმიღო და ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. გაიხარა მოსავალს რომ კარგი პირი უჩანდა და მითხრა:

— ყურძნის გაყიდვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების გარეშე უხერხული იქნება; სხდომა ორი კვირის შემდეგ გვექნება. ამ დროისათვის ბატონი ნიკოც ჩამოსული იქნება და პირობას გაძლევთ, რომ ამ საკითხს მე თვითონ მოვახსენებ.

ორი კვირის შემდეგ უკვე სექტემბერი დგებოდა და ჩვენი ნაცოდვილარი მოსავლის ღირებულება, როგორც უკვე მოგახსენეთ, თითქმის განახევრდებოდა. კვლავ შევეცადე შეძლებისამებრ დამეხატა ჩვენი უმწეო ფინანსური მდგომარეობა; ავწერე, თუ რა უბედურება იქნებოდა ინსტიტუტისათვის, რომ ძლივს ორი კაპიკის მოპოვების საშუალება გაგვიჩნდა და ახლაისიც რომ დაგვეკარგა.

— ბატონო სერგი, ვისი ბრალია მერე, ყურძნის გასაღების ასეთი წესი რომ არსებობდა ხომ იცოდით, სად იყავით აქამდე. — განმიმარტა ბატონმა ალექსანდრემ.

თვალწინ დამიდგა, თუ როგორ ელოდნენ ჩემს ჩასვლას და როგორ შეხვდებოდნენ ამ ცნობას ინსტიტუტში. კვლავ შევბედე:

— ორი კვირის განმავლობაში საადრეო ყურძენს ვერ დავიცავთ. ჩვენ ვენახებს ორხივე მხრიდან სოფლის გზები არტყია და სინამდვილეში ნახევარი კი არა, ღირებულების ერთი მეათედიც აღარ დაგვრჩება.

ბატონმა ალექსანდრემ ნებართვის გაცემა თავის თავზე მაინც არ აიღო.

— არა უშავსო, ახალგაზრდა კაცი ხარ და მომავალში კანონის მეტი პატივისმცემელი იქნები. ასეთი შეცდომა აღარ მოგივა. კანონი კანონია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვსო.

თელავში ხელცარიელი დავბრუნდი. დაიმსხვრა ჩვენი მაწვნის ქოთანი... არ სჯეროდათ, რომ ყურძნის ჩაბარების უფლება არ მოგვცეს. ეს შეუძლებელიაო, გაიძახოდნენ.

სექტემბრამდე შასლას მოსავლის დიდი ნაწილი დაგვეკარგა. რაც დარჩა, ისიც ნახევარ ფასად ჩავაბარეთ. ამის გამო მრავალი აუცილებელი სამუშაოს შესრულება, სულ მცირე, ერთი წლით მაინც გადაიდო.

გავიდა თორმეტი წელი. მე უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ვიყავი, ბატონი ალექსანდრე განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით. იგი ხშირად იგონებდა აქ აღწერილ შემთხვევას.

— ის ზედმეტად აღებული ფული ხომ მაინც დაიხარჯებოდა, თქვენ კი, ხომ ხედავთ, როგორი წესიერი კაცი დადექითო.

რა იცოდა ბატონმა ალექსანდრემ, რომ მე ისევ „უწესო“ კაცი ვიყავი და კვლავ შეცდომად მიმაჩნდა, რომ აკადემიის ხელმძღვანელმა ყურძნის გასაღების უფლება თავის დროზე არ მოგვცა.

**ნამვრა**

გიორგი ძოწენიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა, როდესაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს. მიუხედავად ასეთი დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობისა, მას აკადემიასთან კავშირი არ გაუწყვეტია და შეთავსებით დატოვებულ იქნა პრეზიდიუმის წევრად. პრეზიდიუმის სხდომის დღეებში მოდიოდა აკადემიაში, სხვა დროს კი, საჭიროების მიხედვით, მე მიხდებოდა მასთან მისვლა. ჩვენს ურთიერთობას ისიც აძლიერებდა, რომ მე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, მასთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა, ამავე დროს ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე ხშირად ვსაუბრობდით.

ერთხელ მთხოვნელთა მიღების დღეს მივაკი-

თხე და როდესაც საქმეს მოვრჩით, მთხოვა დავრჩენილიყავი, მოქალაქეებისათვის მომესმინა. განსაკუთრებით ერთი წითური, ჩვენი ხნის კაცის დაჟინებამ გამაკვირვა; იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ გიორგი პირადად დახმარებოდა ბინის მიღებაში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გიორგი მისგან დიდად უნდა ყოფილიყო დავალებული. როდესაც მთხოვნელთა მიღება დამთავრდა და ჩვენ მარტონი დავრჩით, მე ვკითხე მას ის წითური კაცი ასე კატეგორიულად რა უფლებით მოითხოვდა ბინას, რა დამსახურება აქვს-მეთქი. გიორგის სახის გამომეტყველება შეეცვალა და საკმაოდ ნაღვლიანად მიპასუხა:

— მისი ჩემდამი გაწეული ღვაწლი იმდენად დიდია, რომ დღემდე მაწვალებს. მისი წყალობით შევიძინე კოლიტი, რომელიც ახლაც მტანჯავს. აბა წარმოიდგინე, გეოლოგი მთაში, რომელსაც უფლება არა აქვს ცივი წყალი დალიოს, როგორი ნობათია!

ერთხანს გაჩუმდა და შემდეგ მომიყვა.

— სტუდენტობის დროს გაჭირვებულად ვცხოვრობდი. ლუკმაპური მე თვითონ უნდა მეშოვა. ჩემი შემოსავლის ძირითად წყაროს რეპეტიტორობა წარმოადგენდა. ზაფხულობით ოთხმოცდაათ-ას მანეთს მოვაგროვებდი ხოლმე და შემდეგ მთელი წელი ამ ფულით ვცხოვრობდი. მესამე კურსზე სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისიდან რომ ჩამოვედი, თან სამოცდაათი მანეთი ჩამოვიტანე. ჩემთვის ეს ცოტა არ იყო და მომავალს იმედიანად შევყურებდი. ერთხელ, საღამო ხანს ჩემს ბნელ ოთახში ეს წითური კაცი, როგორც მას შენ დღეს დაარქვი, შემოვიდა, ისიც უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. მომიკითხა ,მომიალერსა და რამდენიმე დღით სესხად ორმოცი მანეთი მთხოვა. აღმითქვა, რომ ერთ კვირაში აუცილებლად დამიბრუნებდა. სიმართლე უნდა გითხრა: სიმწრით ნაშოვნ ფულს გამო[illegible]ამილად ვხარჯავდი და ყოველთვის მეშინოდა ულუკმაპუროდ არ დავრჩენილიყავი. მერყეობა რომ შემატყო, მოვიდა, ხელი მომხვია და რიხიანად შემომიტია: არა გრცხვენია, შენ რა, ამხანაგებზე ასეთი ცუდი აზრისა ხარ. აღარ მომეშვა და ორმოცი მანეთი გამომართვა. ორი დღის შემდეგ გავიგე, რომ თბილისის უნივერსიტეტიდან საბუთები გაეტანა და სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის რომელიღაც ინსტიტუში გადასულიყო. რას ვიზამდი. ვიდრე რაიმე სამუშაოს ვიშოვიდი, უფრო მომჭირნეობით უნდა მეხარჯა ჩემი კაპიკები. შემოდგომა იყო და ჩემს პირობებში მყოფი სტუდენტობის ძირითად საჭმელს ხილი და პური წარმოადგენდა. უფრო ხშირად ჭანჭურს ვყიდულობდით. საუკეთესო ხარისხის ჭანჭური ჭავახეთიდან შემოჰქონდათ და მეტად იაფად ჰყიდდნენ. მეც იმხანად ჩემი ახალი ფინანსური კრიზისის გამო, ძირითადად ჭანჭურითა და პურით ვიკვებებოდი. ცალმხრივი კვება მალე შემეტყო და ავად გავხდი. სათანადო პირობების უქონლობის გამო ავადმყოფობას კარგა ხანს ვერ მოვერიე. გავიდა დრო და გამოირკვა, რომ საბოლოოდ შემომრჩა ქრონიკული კოლიტი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ეს შენი ახალი ნაცნობი წითური, სათოფე მანძილზე არ მეკარებოდა. არცერთხელ არ მოსულა, ბოდიშიც კი არ მოუხდია. დღეს პირველად გამომეცხადა და ხომ ნახე, თავი როგორ ეკავა, რა კილოთი მოითხოვდა მთავრობის დახმარებას. განსაკუთრებით მისმა პირველმა ფრაზამ ამაღელვა:

— ჩვენმა ძველმა მეგობრობამ გამაბედინა შენთან მოსვლა და იმედია, ძველებურად დამეხმარებიო, — ასეთი უსინდისო ადამიანის მნახველი არა ვარ. ჩემი და მისი იღბალი, რომ საუბარს შენ ესწრებოდი, მარტო რომ ვყოფილიყავი, თავს ვერ შევიკავებდი და არ ივარგებდა.

— სერგი, რატომ მოიწყინე. ასეთი ადამიანები იშვიათია. ჩვენს გარშემო დიდი უმრავლესობა ხომ კეთილი და პატიოსანია, — ცოტა ხნის პაუზის შემდეგ განაგრძო.

— ერთი დიდი ხნის ნატვრა მაქვს და ვერ იქნა ვერ შევისრულე. ერთ კაცთან შეხვედრაზე ვოცნებობ და ვერაფრით მის კვალს ვერ მივაგენით.

ოჯახში ექვსი ბავშვი ვიზრდებოდით: სამი და და სამი ძმა. ყველას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და დიდი მეგობრები ვიყავით. ერთ-ერთი ჩემი და — ქეთევანი ახლა იგი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია, ქართულ ენას ასწავლის. შენ მას კარგად იცნობ, სიმართლის დიდი ტრფიალია.

ჰოდა, ერთხელ დედამ ერთ ხელში ნავთის ბოთლი მომცა, მეორეში ხურდა ფული ჩამიდვა და ნავთის საყიდლად გამგზავნა. ჩემმა პატარა დამ ქეთინომ მარტო არ გამიშვა, ატირდა და იძულებული ვიყავი წამეყვანა. ნავთის სავაჭრო ჩვენი სახლიდან შორს არ იყო, მაგრამ იმ დროს ქუთაისის ქუჩები კარგად არ იყო მოვლილი და განსაკუთრებით ზამთარში ჭირდა სიარული. ნავთი ვიყიდეთ და გახარებულები, რომ ოჯახის დავალება შევასრულეთ, შინ ხელიხელჩაკიდებული ვბრუნდებოდით. ის-ის იყო სახლთან მივედით, რომ რაღაცას ფეხი წამოვდე და ორივენი დავეცით. ბოთლი ხელიდან გამივარდა, გატყდა და ნავთი მთლიანად დაიღვარა. ჩვენი დიდი სიხარული უდიდესი მწუხარებით შეიცვალა. ვიჯექით ორივენი ქვაფენილზე და ხმამაღლა ვტიროდით. გამვლელები გაკვირვებით გვიყურებდნენ, დაღვრილ ნავთს ასე ენერგიულად რომ დავტიროდით. არ ვიცი რით გათავდებოდა ეს ჩვენი მოთქმა, რომ ერთი ღვთისნიერი კაცი არ მოსულიყო ჩვენთან. ის ჯერ მოგვეფერა და შემდეგ აღგვითქვა, რომ დედასთან წამოგვყვებოდა და აუხსნიდა — ყველაფე-

ბიბლიოთეკა

რი ჩემი ბრალია, ბავშვებს შემთხვევით მე დავეჭახეო. ჩემი და გაჯავრდა: — ძია, ტყუილი როგორ შეიძლება, ჩვენ განა გალახვას მოველით, ღედიკო არაფერსაც არ გვეტყვის, ჩვენ ის გვწყინს, რომ ოჯახის პირველი დავალება ვერ შევასრულეთო.

ჩვენმა ახალმა მეგობარმა გაიცინა, ორივენი აგვაყენა, უკანვე ნავთის გამყიდველთან მიგვიყვანა, ნავთით სავსე ბოთლის ღირებულება გადაიხადა, ერთ ხელში ბოთლი დაიკავა, მეორე კი ჩვენ ჩაგვკიდა და სახლამდე მიგვაცილა. ჩემი და ჩვენს მთელ თავგადასავალს დაწვრილებით მოუყვა დედას. უფროსებმა მე დამტუქსეს: შენ ხომ დიდი ხარ, ვაჟკაცმა კაცმა ერთი ბოთლი ნავთისათვის როგორ იტირეო.

სერგი, ახლაც შესანიშნავად მახსოვს ჩვენი მხსნელის გარეგნობა და, შენ წარმოიდგინე, მისი ხმაც კი.

მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და ვერსად ის კაცი ვერ მივიკვლიე. რამდენი ხანია ვნატრობ, რომ მას სადმე შევხვდე და არ იქნა, ნატვრა არ ამისრულდა. ალბათ კვლავ ბრმა შემთხვევას უნდა ვუცადო, მეტი რა გზაა!

ხომ ნახე, ვინც არაფრის ღირსია, მან როგორ გაბედულად მომაკითხა, ხოლო ვისთან შეხვედრაც უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდა, ის არსად არ ჩანს.

ამ ჩვენი საუბრის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ გიორგის ნატვრა კვლავ შეუსრულებელი დარჩა.

## ხასიათი

ჩვენი გამოჩენილი მხატვრის ელენე ახვლედიანის გამოფენას ვათვალიერებდით. საიდუმლოდ გავიგეთ, რომ გამოფენიდან ზოგიერთი სურათის შეძენა შეიძლებოდა. მე და ჩემმა მეუღლემ ერთი სურათი შევარჩიეთ, მაგრამ ჩვენი განზრახვა ავტორს ვერ შევბედეთ. დახმარებისათვის ჩვენსა და მის საერთო მეგობარს გოგუცა აგიაშვილს მივმართეთ. ელენემ ჩვენი სურვილი რომ გაიგო, გამიჯავრდა.

— შენ რა, ლაპარაკი არ იცი? მცირეწლოვანი ხომ არა ხარ, რა გინდა თქვით.

მოწიწებით ვაჩვენე 1945 წელს შესრულებული ტილო — ძველი თბილისი („ღვინის ალმართი“).

უსინდისო ხართ, მოგვახალა და მიგვატოვა. ძალზე შევწუხდით, რა გვექნა აღარ ვიცოდით. ჩვენი დიალოგი ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ მოისმინა და დაგვამშვიდა:

— არ გეწყინოთ, ელენე საერთოდ ასეთია. იგი ხომ დიდი ბავშვივით არისო.

ორი დღის შემდეგ ელენემ დაგვირეკა. სურათი წაიღეთ და იცოდეთ: როდესაც ჩემი საყვარელი სურათი მიგაქვთ, ამით მე მძარცვავთ, ნამდვილი ყაჩაღები ხართ, თვალით არ დამენახოთო.

* * *

ელენე ახვლედიანს ნათესავი გარდაეცვალა და პანაშვიდზე მივედი. ხალხმრავლობა იყო, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მრავალი მოღვაწე მოსულიყო. ელენე მოუსვენრად იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი გვერდზე ამომიდგა და საკმაოდ მკვახედ მომმართა:

— აქ რა გინდა, ამ უტვინოს პანაშვიდზე რამ მოგიყვანა. მე შენზე უკეთესი წარმოდგენა მქონდაო.

გავშოცდი. მე გარდაცვლილს ვიცნობდი, მაგრამ უფრო მეტად ელენეს პატივსაცემად ვიყავი მოსული. მოკრძალებით შევბედე:

— ქალბატონო ელენე, თუ ასეა, თქვენ რატომ ბრძანდებით-მეთქი.

— ჩემი ნათესავია და, სამწუხაროდ, ვალდებული ვარ. შენ ვინ დაგპატიჟაო. ხმა ვერ ამოვიღე. ადგილიდანაც ველარ დავიძარი. პანაშვიდის ბოლომდე გაოგნებული ვიდექი.

* * *

გოგუცა აგიაშვილმა დამირეკა ელენე ახვლედიანს უნდა თქვენთან სახლში მოსვლა, რაღაც საკონსულტაციო საქმეზე და თუ შეიძლებაო. რა თქმა უნდა, მე ისინი დიდი სიამოვნებით მოვიწვიე. ქალბატონი ელენე ჩემს სახლში პირველად მობრძანდებოდა და ჩემი ოჯახის ყველა წევრი გახარებული იყო. საღამოს ელენე ახვლედიანი, ნათელა ურუშაძე და გოგუცა აგიაშვილი გვესტუმრნენ. მე და ჩემი მეუღლე მათ შემოსასვლელშივე შევეგებეთ და მოვიწვიეთ. ელენე სასტუმრო ოთახში შემოსვლისთანავე დამაცხრა:

— ეს ჩემი სურათები სად დაგიკიდია, ვერ ხედავ სინათლე არ ყოფნის; რაც მე დავაკელი ის არ კმარა, ახლა შენ გინდა ხელი მოუთავოო.

ელენეს „სტილს“ უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდი, მაგრამ განწყობილება მაინც შემეცვალა. მას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

* * *

ერთმა მეგობარმა მთხოვა ელენე ახვლედიანთან შუამავლად დამიდექი მცხეთის ჯვარი დამიხატოსო. დიდხანს ვფიქრობდი როგორ შემეპარებია ეს თხოვნა. ბოლოს მის ახლო მეგობარს გავენდე და ჩვენ ორივემ ცალ-ცალკე ვცადეთ. თქვენს მტერს ჩვენ დღე დაგვადგა.

— თქვენ რა, მე ფოტოგრაფი ხომ არ გგო-

ნივართ. რა ღვთის რისხვაა: ჯვარი, ჯვარი, ჯვარი... ეს რა მოდა შეიქნა! მე როდესაც მსურდა, ჯვარი დავხატე და გათავდა. და საერთოდ იცოდეთ, ვინც თქვენ მოციქულად დაგაყენათ, ჯვარი დახატულიც რომ მქონდეს, არ გავუგზავნი. ვინ მისცა მას უფლება ჩემი სურათი თავის სახლში დაკიდოს! ის ხომ ყოვლად უგემოვნო კაცია, სახლი, ღმერთმა იცის, რა სურათებით აქვს გაჭედილიო.

* * *

წელი მიიწურა. ყველა ახალი წლის სამზადისს შეუდგა. ჩემს ოჯახში მოწიწებით მსჯელობდნენ: წელსაც მოგვილოცავს თუ არა ახალ წელს ქალბატონი ელენეო. ჩემი ოჯახის წევრები მე მამტყუნებდნენ: როგორ ვერ აუწყვე ხასიათი ქალბატონ ელენეს, წელს ვინ იცის რამდენჯერ აწყენინეო. იგი ყოველ ახალ წელს ყველა თავის მეგობარსა და ახლობელს თავის მიერ დახატული ბარათებით ულოცავდა. ამ ძვირფას საჩუქარს ჩვენც ვღებულობდით.

საახალწლო ფოსტა მთელმა ოჯახმა გულისფანცქალით გადაათვალიერა. ჩემმა ვაჟმა იყვირა: არის! არისო!

ბარათის ერთ ფურცელზე ნარიყალას ფონზე მთვლემარე ძველი თბილისი ამშვენებდა. მეორეზე კი ეწერა:

„ქალბატონო ნანა, ბატონო სერგო,

იყავით ბედნიერნი და ჯანმრთელნი, ძალიან მიყვარხართ და თქვენი ნებართვით გაკოცებთ. თქვენი ელენე".

## ვარდის ფურცელი

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი აკადემიაში ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე. ხან თავის ლექსებსა თუ გამოკვლევას გვისახსოვრებდა, ხან კი რომელიმე იშვიათ წიგნს გვიჩვენებდა და საინტერესო ამბებს მოგვითხრობდა.

ერთხელ სოსომ უცნაური თხოვნით მომმართა:

— ამას წინათ რომ ლექსების კრებული მოგიძღვენით, თუ შეიძლება ის ეგზემპლარი დამიბრუნე და სამაგიეროდ იმავე გამოცემის ეს მეორე ცალი წაიღეო.

გამიკვირდა. ორი, ერთი და იმავე გამოცემის წიგნის გაცვლის აზრი ვერ გავიგე. როდესაც მას ჩემი ეჭვი გავუზიარე, გაეცინა და აღმითქვა:

— იმ ცალს რომ დამიბრუნებ, საიდუმლოებას მაშინ შეიტყობო.

წიგნი მეორე დღესვე მოვუტანე. სოსომ სწრაფად დაუწყო ფურცვლა და, მიაღწია რა ნარკვეულ ადგილს, შვებით ამოისუნთქა:

— ვარდის ფურცელი თავის ადგილზეა. რომ იცოდე, როგორ დავმშვიდდი, მომახარა სოსომ და გადაშლილი წიგნი მომაწოდა. შეცვლოდა და ჩემთვის სახსოვრად ლექსების ის კრებული მოეძღვნა, რომელშიაც მეგობარი ქალის მიერ ნაჩუქარი ვარდის ფურცელს ინახავდა.

ვარდს წითელი ფერი ოდნავ დაჰკარგოდა, მაგრამ მაინც ნაზად და ლამაზად გამოიყურებოდა.

გადაშლილ წიგნს ალბათ დიდხანს დავცქეროდი, რადგან სოსომ მკითხა:

— რა მოხდა, ასეთი რა იგრძენიო?

იმ ხანად მე ერთ ფრანგ მეცნიერთან — ჟან რიბერო-გაიონთან პოლემიკა მქონდა იმის თაობაზე, თუ რატომ უფერულდებიან ბუნებრივი საღებავები. ჩვენი ჰიპოთეზები პრინციპულად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან და თითოეული ჩვენგანი საღებავების გაუფერულების ყველა შემთხვევას საკუთარი ჰიპოთეზის შუქზე განიხილავდა.

მე მომეჩვენა, რომ სოსოს ვარდის ფურცელიც ჩემი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა და იმ დროს ჩემთვის ჩვეული ტემპერამენტით მოვუყევი მას, თუ რატომ უნდა ჰკარგავდნენ ფერს ბუნებრივი საღებავები.

სოსომ მოიწყინა.

— არ მეგონა, — გაიკვირვა, — ამ ვარდის ფურცელს რომ ვხედავ, მე ნარიყალას მიწისა და ჩემი მეგობარი ქალის მკერდის სურნელება მათბობს, შენ კი რაღაც მოლეკულების გადაჯგუფებაზე ფიქრობ, სერგი, მე და ჩემმა ღმერთმა, მეცოდებიო!

ჩემი თავი მეც შემეცოდა...

## სტუმარ-მასპინძელი

გიორგი ლეონიძეს ხშირად შევხვდებოდით თბილისისა და მისი შემოგარენის ისტორიულ ადგილებში; უყვარდა ქართული მიწის სუნთქვა. მის რაზმში ზოგჯერ მეც მოვხვედრილვარ და შეძლებისამებრ მიგრძვნია მისი სულისა და პოეზიის სიანკარე და სიძლიერე.

გოგლას ქალაქგარეთ გასეირნების თავისი „თეორია" ჰქონდა: განუმეორებელ მასპინძელს — ქართულ ბუნებასა და კულტურულ ძეგლებს შესაბამისი პურმარილი უნდა ამშვენებდესო; ქართული სუფრაც ხომ ქართული მიწისა და ქართველი კაცის შრომისა და ნიჭის მონაგარიაო.

ზედაზენი გოგლას ერთ-ერთი საყვარელი ად-

გილხამყოფელი იყო. მას სჯეროდა, რომ ლერმონტოვმა აქედან შეიგრძნო ჯვარისა და სვეტიცხოველის სიდიადე, არაგვისა და მტკვრის ძმობის უძლეველობა, საქართველოს ძველი კულტურის ყივილი...

და ერთხელ ზედაზენზე, მრავალი წიაღსვლისა და მოგონების შემდეგ, თბილისელი და მცხეთელი მეგობრები მწვანეზე გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. პოეტი სუფრასთან კიდევ უფრო გახალისდა. ლექსებს ისე აბუბუნებდა, რომ მისი ხმა ალბათ ჯვარსაც კარგად ესმოდა. ქართლის ნაზმა ღვინომ თავისი გაიტანა... აზრთა საგანძური ულეველი აღმოჩნდა. გოგლა მაცდური ღიმილით მოგვიყვა ილია ჭავჭავაძის ერთმა მეგობარმა მის სამზარეულოში, ნახადილევს, უჩუმრად თუ როგორ შეახრამუნა მთლიანად შემწვარი გოჭი, გოჭის ხსენებაზე იმდღევანდელი ჩვენი მასპინძელი — ბენო უჩვეულოდ შეწუხდა:

— ვაი დედასა, რომ საქართველოს სახელოვან მგოსანს შესაფერი მასპინძლობა ვერ გავუწიეთო.

ისტორიამ და პოეზიამ სულ მალე სუფრა ყველას დაგვავიწყა. გიორგი განსაკუთრებული აღტაცებით ყვებოდა, თუ როგორი პატივისცემით მიიღეს იგი ეგნატე ნინოშვილის იუბილეზე. გულწრფელად ნანობდა, რომ სრულიად საქართველოში ადრე ნაკლებად მოგზაურობდა.

რა არ მოვყევით, რა არ მოვიწონეთ, რა არ დავიწუნეთ, ვინ არ ვაქეთ, ვინ არ გავკილეთ! ჩვენს ერთად ყოფნას თითქოს დასასრული არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეკლესიის ჩრდილი მთელ ეზოში გაწვა და ყველა მივხვდით, რომ წასვლის დრო დამდგარიყო. ერთ მანქანაში მე და გიორგი მოვხვდით. დანარჩენები ორი მანქანით უკან მოგვყვებოდნენ. გზაში გოგლამ პატარა კალათი გადმომცა და ჩუმად გამენდო:

— ეს კალათა ბენომ მანქანიდან გადმოდგო, მასში შემწვარი გოჭი აღმოჩნდა. მე იგი სუფრის გაშლისას გადავმალე, როდესაც გავიგე, რომ ჩვენი დღევანდელი მასპინძელი ბენო იყო. შენ იცი, რომ მაგას სახლში ხუთი პატარა ბავშვი ჰყავს და სკოლაში მასწავლებლად მხოლოდ ერთ განაკვეთზეა?! ეს კალათა მამას უკანვე, შვილებთან უნდა გაატანო. საქმე შენს მოხერხებაზეა: თუ ეს არ გაგიკეთებია, იცოდე, დღევანდელი დღე ჩამმწარდება.

მცხეთის ხიდამდე არცერთ ჩვენთაგანს ხმა არ ამოგვიღია. სიჩუმე ისევ გოგლამ დაარღვია.

— სერგი, წარმოგიდგენია ბენოს სულში რა ხდებოდა?!... კაცი ერთდროულად ალბათ გაოცებულიც იყო და გამწარებულიც. ვინ იცის, რა სიყვარულით გვიმზადებდა სუფრას! შენ რას იტყვი, უარეს ჭრილობას ხომ არ მივაყენებთ ამ ჩვენი მოქმედებით? იქნებ ვცდებით კიდეც, მაგრამ მე რომ მისი ოჯახი მახსენდება, სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. დასწყევლოს ღმერთმა ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობა, კარგიცაა და მძიმეც.

ხიდის გაღმა შევჩერდით. მასპინძელი და მისი მეგობრები ჩვენს მანქანასთან მოვიდნენ. დაიწყო ჩვეულებრივი გამომშვიდობება, ბოდიში, მოფერება...

მე დრო ვიხელთე და კალათა ბენოს მანქანაში გადავიტანე. ერთმანეთს დავშორდით — დამხვდურები მცხეთაში დარჩნენ, ჩვენ კი მტკვრის ნაპირს გავუყევით...

მეორე დღეს გიორგიმ აკადემიაში საქმეზე შემოიარა და მოწყენილმა მითხრა:

— ამ დილით გუშინდელი ამბავი რომ მომაგონდა, ცუდ ხასიათზე დავდექი, არ ვიცი, ვერა გამიგია რა. მგონი, მწარედ შევცდითო...

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრა თოიძე
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

# პოეტის მეზობლად

მაჩაბლის ქუჩა არც ისე გრძელი ქუჩა გახლავთ. 1930 წლიდან ამ ქუჩის ბოლოში მე და ჩემი მეუღლე ვლადიმერ მაჭავარიანი ვცხოვრობდით, ხოლო მის დასაწყისში, გიორგი ლეონიძე ცხოვრობდა; ალბათ ესეც იყო ერთი ხელის შემწყობი მიზეზი ჩვენი ოჯახების დაახლოვებისა. მწერალთა კავშირი, სადაც ჩვენ ახალგაზრდობიდან ვხვდებოდით ერთმანეთს, დაახლოებით, იმავე ქუჩის შუაში, სარაჯიშვილისეულ სახლშია მოთავსებული.

ჩვენ ხშირად ვესწრებოდით დისპუტებს ლიტერატურის საკითხებზე, პოეზიისა და საიუბილეო საღამოებზე გავიცანით და დავუმეგობრდით ახალგაზრდა და უფროსი თაობის მწერლებს, ოჯახებითაც ვხვდებოდით ერთმანეთს.

გიორგის უყვარდა მუდამ საზოგადოებაში, ხალხში ტრიალი. თავისუფალ დროს უბრალოდ, ცერემონიების გარეშე, გვესტუმრებოდა ხოლმე: იხვენებდა საუბარში, ხუმრობაში, ცოცხალ ურთიერთობაში. უშუალოდ და გულწრფელად იტყოდა ხოლმე: მარტოობას ვერ ვიტანო, ინფორმაციას საზოგადოებაში ვიღებო; ილტვოდა მეგობრულ, ინტიმურ წრისკენ, ბუხრისკენ. ძველად ბუხრები გვენთო, რომელიც გვიზიდავდა, განგვაწყობდა ერთმანეთის მიმართ.

ერთხელ დღისით შემობრძანდა გიორგი, არ დამჯდარა, კედლებზე თოიძიანთ დინასტიის ნახატებს ათვალიერებდა. ზუსტად იტყოდა, ეს მოსეს დახატულია, ეს ირაკლის, ესეც კარგია, მგონი, გოგისაა; გოგი აქ ოცდაორი წლისაა, ავტოპორტრეტია მისი. გიორგიმ გაიკვირვა, — სამივე რეალისტია, მაგრამ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგანო. უყვარდა ბიბლიოთეკას დათვალიერება. ვლადიმერს ბავშვობიდან უყვარდა წიგნების ყიდვა, სახლში დაბრუნებისას ახლაც ერთ-ორ სიახლეს მოიტანს ხოლმე; გოგლას (ასე ვეძახდით შინაურულად) თვალში მოხვდა ახალი, საკმაოდ სქელი და კარგი გამოცემა; ეს იყო მწერალ ვიქტორ გოლცევის მიერ ჩემთვის საჩუქრად გამოგზავნილი, რუსი პოეტიქალის კაროლინა პავლოვნას ლექსთა კრებული. მე რამდენიმე დღეში ისე შევიყვარე ჩინებული პოეტი-ქალი, რომ გოგლას ვაჩვენე და ვუქე ძალიან. კინაღამ დამიჩოქა, — „შურა არ მიუარო, არ ვიცნობ, ძალზე მინდა გავეცნო“. როგორ მეთქვა შესანიშნავი პოეტისათვის უარი, ვათხოვე იმ პირობით, რომ უსათუოდ დამიბრუნებდა; ახლაც გოგლას ბიბლიოთეკაშია ჩემი საყვარელი წიგნი, არაფრით არ მოიტანა. ვიჩხუბეთ კიდეც, მაგრამ ვერ შეელია გოგლა, ალალი იყოს მასზე.

თეატრში რეჟისორი იოსებ თუმანიშვილი დგამდა ედმუნდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკს“. მე როქსანას როლს ვამზადებდი და დილა-საღამოს ვმუშაობდი თეატრში. საზოგადოებრივი დატვირთვაც მქონდა, ამიტომ ხშირად ვერ ვხვდებოდი მეგობრებს. ერთ საღამოს შინ ვიყავი. ფანჯრიდან დაუნახავარ გოგლას; დამირეკა — „შენთან მინდა გადმოვიდე, შურა, გცალია?—„მოდი, მოდი, გოგლა! დღეს ადრე მოვედი რეპეტიციიდან, ფეფიკოც წამოიყვანე და მოდით, მაგრამ გასამასპინძლებელი არაფერი მაქვს“. გოგლამ მითხრა — „ფეფიკომ ამტეხა და უცბად დაეზარა ჩაცმა — მე მაგიდიდან ავდექი და არ შემიძლია არ გამოვიდე, თავი გამისკდა და თვალიც ამიჭრელდა, თან საქმეც მაქვს შენთან და ვოვასთან“; „მოდი, ამ ორ ნაბიჯზე რა პრობლემაა, უცხოები ხომ არა ვართ“, ვუთხარი. გოგლა მარტო მოვიდა. ცოტა ხანში ვლადიმერიც გაჩნდა, გადაკოცნეს ერთმანეთი.

სექტემბრის საღამო იყო, თბილი, ფანჯრები ღია გვქონდა. მე წარმოვიდგინე, რომ პოეტი ლექსებით მოგვიალერსებდა: დაჯდომა ვერ მოვასწარით, ჩაის დასამზადებლად გავედი, რომ გოგლამ მითხრა — „შურა, ძალიან გთხოვ, რომ არაფერზე არ შეწუხდე, ძალიან პატარა ხნით

მოვედი. ხვალ ფისოს ქორწილი გვაქვს და, რასაკვირველია, მობრძანდებით, ორივე ჩვენი და ჩვენი გოგოების საყვარელი წყვილი ხართ". „— ჩემო გოგლა, — ვუპასუხე — სიამოვნებით მოვალთ, მაგრამ „სირანო დე ბერჟერაკის" რეპეტიციაზე ჩემი სცენებია დანიშნული და გვიანობამდე ვიმუშავებთ".

გოგლა აჩქარდა, სახლში უნდა მოვეხმარო, თორემ სიამოვნებით დავისვენებდი თქვენთან საუბარშიო.

გოგლა ოჯახში დიასახლისებს ძალიან ეხმარებოდა — ბაზარში ყოველთვის თითონ დადიოდა. არავის ნაყიდი ხორცი არ მოსწონდა. ფეფიკოს უთქვამს ჩემთვის — „ძალიან უყვარს გოგლას ბაზარში სიარული, ხორცის ამორჩევა იცის, მწვანილის, ხილის, მით უმეტეს თუ სტუმარს ელის. გამყიდველებს ესაუბრებათ, ხუმრობსო, ევაჭრება, ისეთ სანოვაგეს მოგვიტანს ხოლმე, რომ უკეთესი არ შეიძლებაო". ძალიან გამიკვირდა. იმ დროს იშვიათი ამბავი იყო, რომ მამაკაცს ოჯახში მეურნეობა გაეწიოს. სუფრა უყვარდა გოგლას. ოღონდ ღვინო ყოფილიყო და ერთად ვმჯდარიყავით. ფისოს ქორწილზე ვერ მივედით, უსაშველოდ დაღლილი ვიყავი. მახსოვს, მაჩაბლის ქუჩის მოპირდაპირე მხარეებზე შევხვდით ერთმანეთს, ორივე აჩქარებული მივდიოდით სხვა და სხვა მიმართულებით. გოგლამ შორიდან დამინახა, გამიღიმა და გადმომძახა — შურა, სუფრა დაგვიძველდაო. ოფიციალურ სუფრებზე, უცხოელების ჩამოსვლისას ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ეს უფრო გვახარებდა ვიდრე, სტუმრები, მაგრამ ზოგიერთი დელეგაციები საინტერესო იყო ძალიან. გოგლა ხალისიანი იყო ხოლმე, სტუმრებს ცოდნითა და ხალისით აჩვენებდა ღირსშესანიშნავ ადგილებს და თვითონ ისეთ ნეტარებაში იყო, თითქოს პირველად აღიქვამსო. გადამდები იყო გოგლას განცდა, ხუმრობა, სიცილი. მასთან არ მოიწყენდა ადამიანი, ტემპერამენტიანი კაცი იყო.

ფისოს ქორწილის შემდეგ, რამდენიმე ხანი იყო გასული, არც გოგლა და არც ფეფიკო არ შემხვედრია, მეგდურობდნენ. მწერალთა პოლიკლინიკაში შევედი, კარის სახელური ხელიდან გამისხლტა, კარი მაგრად გაიღო და მის უკან მდგარ გოგლას იდაყვში მოხვდა. ატკინა ძალიან — „უი, ბოდიში, ჩემო გოგლა, გენაცვალე, ვიცი რა მწარეა". „— რას იზამ, შენ ბოლო დროს არ მწყალობ, მითხრა, — რამდენი დაგპატიჟე, იქნები სუფრაზე ხელი ამიკარი". ვერ იყო კარგად. კარდიოგრამაზე იყო მოსული.

— როგორა ხართ გოგლა, არ გეწყინოს, მეც კარდიოგრამაზე ვარ მოსული. ვიღლები.

1944 წლის 2 თებერვალს, მახსოვს გოგლამ დამირეკა, „მოსვლა მინდა შენთანო. ცუდი ამბავი გავიგე და უნდა გაგიზიარო". მალე მოვიდა, ფერდაკარგული მომეჩვენა — „იცი შურა, პავლე ანტოკოლსკის 18 წლის ბიჭი ფრონტზე დაეღუპა და ისე განვიცდი, ადგილს ვერ ვპოულობ. საკუთარ წუხილად გადამექცა. ხომ იცი მე ვაჟის მონატრული ვარ, გოგონა გოგონაზე გვეყოლაო".

მეც შეწუხებული დავხვდი, ვაჩვენე ახალი მიღებული ჩემი მეგობრის ვიქტორ გოლცევის მოწერილი წერილი, რომ პავლე ანტოკოლსკის ვაჟი დაეღუპა და უბედურმა პავლიკამ გულსაკლავი პოემა „შვილი" დასწერაო. გოგლას ვუთხარი, რომ ჩემზედაც თავზარდამცემი შთაბეჭდილება დახტოვა პოემამ და თვით ტრაგედიამ. სამძიმრის წერილიც მივწერე ანტოკოლსკის, გოგლა განცდისაგან განაცრისფერებული, ცრემლს ნეკით იშრობდა.

ყურადღებიანი მეგობრობა იცოდა. ბევრ მწერალთან ძალიან ახლოს იყო, ხშირად აქებდა უშუალოდ, სიხარულით. სიმონი უყვარდა, ადრე — ტიციანი და პაოლო, ბევრჯერ ვყოფილვართ მე და ვლადიმერი პაოლოსთან დიდ შეხვედრებზე. ერთხელ ნინო ტაბიძე თამადობდა ისეთი ტემპერამენტით, ისეთი მაღალი პათოსით ამბობდა სადღეგრძელოებს სტუმრების ნიჭზე, ან მათს ადამიანობაზე, აღარც ხმა ყოფნიდა, აღარც ჰაერი. გოგლა ხარხარებდა — ქალო, დინჯად გვაქე, თორემ არ დაგიჯერებთ, და ისედაც გულს კი ნუ გაიხეთქავ. გოგლა ჩვილი გულის ადამიანი იყო, ყურადღებიანი, მოწყენილობას ხუმრობით, მოფერებით, მახლობელს უმალ განუქარწყლებდა.

— არა, არა, მითხარი შურა, რადა ხარ უგუნებოდ. გამიგე რა, გამიგე, — ბუზღუნებდა გოგლა, — არ დამძრახო, ჩვენ ხომ ანკარა წყაროსავით უმანკო მეგობრობა გვაკავშირებს, რატომ არ შეიძლება მე გამანდო შენი ფიქრი; შენ კი ყოველთვის ალმაცერად მიყურებ, არ მენდობი. შენ არ იცი როგორ სანდო მეგობრობა ვიცი. სახუმროდ ქორი-ქურები მიყვარს, მერე რა. ამით რა ფუჭდება, ხომ არავინ გაგილანძღე, ხომ იცი რომ ნიჭიერ, კეთილ ადამიანს სულში ჩავიძვრები!

— გოგლა, შენმა სიტყვებმა გასული საუკუნე გამახსენეს, ჭორ-ჭურებით გართობა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები — ეკატერინე და ნინო, მაიკო ორბელიანი და იმ დროის ყაბახი. შენც, ალბათ, ტატოს სიყვარულით მოხაყვედურებ იმ დროის ინტონაციებით... დაეშვი ღრუბლებიდან, ვითომ ჩვენი დრო ნაკლებად რომანტიკულია, ჩვენი იდეალებითა და თუნდაც დღევანდელობით...

ვლადიმერიც მოვიდა. — შურა, ჩაი მაინც დაგვალევინე.

გოგლა გამოცოცხლდა — შურა, თქვენთვის არ მითქვამს, ჩაფიქრებული მაქვს ტატოზე და მის ტრაგედიაზე კინო-სცენარი, ვფიქრობ, რამდენიმე ვარიანტიც კი მოვხინჯე. რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ჩავუჯდე და ისეთი რომ დავა-

კეთო, რომ არაფერი გამომრჩეს. მინდა გავაცოცხლო ტატო, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი... ქალები ხომ მზადა ხართ. ჩვენი სირცხვილი, რომ ჩვენმა სახელოვანმა კინემატოგრაფიამ იმდენ ხანს ვერ განახორციელა სურათი ბარათაშვილზე და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". მერე გვიან იქნება, ვინანებთ, რომ ჩვენი ბრწყინვალე ქალთა ვარსკვლავედი ვერ ალვბეჭდეთ.

მე ვუთხარი — ეგ ყველას აფიქრებს, არიან მწერლები, რომელნიც წერენ მაგ თემაზე. მთავარი — მსახიობია საჭირო ტატო ბარათაშვილის როლზე. ურთულესია გენიალური პიროვნების შექმნა კინოში. ვლადიმერმა უთხრა გოგლას — სერგეი ერმოლინსკის პიესა-სცენარიც მზადა აქვსო, მოგვიტანა კინოსტუდიაში, მაგრამ ბარათაშვილის შემსრულებელს ვერ ვხედავთო. დიდი სიძნელეებია დასაძლევი. 1945 წელს ბარათაშვილის იუბილეს ამზადებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგლა მობრძანდა ჩვენთან.

— რა ქენი გოგლა. დაიწყე „ბარათაშვილი" — ვკითხე. არა, ჯერ ვფიქრობო, მიპასუხა, — უბედურება, ერთ პერსონაჟს გაანათებ, სხვა მუქდება... არა და, თუ სულყველა ნათელია, ყველა კარგია, — აბა რამ დალუპა ტატო, განჯაში რამ ჩააგდო, რამ დააავადმყოფაო. ამდენ დიდკაცს მის ნათესაობაში რა გაუჭირდათ, იმ ზომამდე როგორ მიიყვანეს და არ იხსნეს პოეტი!

1945 წელს დაიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო საღამოები; ჯერ მწერალთა კავშირში გაიმართა საღამო. ყველაზე შთამბეჭდავი, მღელვარებით სავსე ბორის პასტერნაკის გამოსვლა იყო; ვიქტორ გოლცევიც, საქართველოს იშვიათი მოტრფიალე და მცოდნე მწერალი, ქვიანური სიტყვით გამოვიდა. საღამოს შემდეგ პასტერნაკმა სახლში გამომაცილა და მითხრა: განცდებით სავსე საღამოა დღეს, იქნებ ჩავიაროთ პოეტის სამახსოვრო ადგილებისკენო, მაგრამ გვიანი იყო და სახლშიც ვერ შემოვიპატიჟე. გოგლას ვუთხარი ამის შესახებ: — უცნაური ხარ, შურა! ეგ როგორ მოგივიდაო, მაგაზე ყველა ოცნებობსო, შენ კი თეატრის მეტი არაფერი გახსოვსო. — რაცა ვარ, ესა ვარ, ჩემო გოგლა, პასტერნაკი სეირნობის გუნებაზე მისმა წარმატებამ დააყენა. კმაყოფილი იყო თავისი გამოსვლით, მღელვარება ეტყობოდა. მეთქი, ჩემთან ისედაც აპირებს მოსვლას გოლცევთან ერთად.

22 ოქტომბერს უამრავი ხალხი, პოეტების მეთაურობით, ყვავილებითა და გვირგვინებით ხელდამშვენებული ავედით მთაწმინდის სავანეზე: გოგლამ გამიღიმა — რომ იცოდე როგორ განვიცდი ამ მშვენიერ წუთებსო. მიტინგზე ყველაზე გულთბილად, მღელვარედ გიორგი ლეონიძე გამოვიდა; შემდეგ ვ. კოჟევნიკოვი, სიმონ ჩიქოვანი, სოსო გრიშაშვილი — ყველა თავისებურად შთაგონებული გამოდიოდა.

ტევა არ იყო მამა დავითზე, მაგრამ პოეტის სიყვარულმა ხალხი დაადინჯა, ერთმანეთს უსმენდნენ. ახალგაზრდები მორიდებით, ხარბად ისმენდნენ პოეტთა გამოსვლებს. წარმოუდგენლად ამაღლებული წუთები განვიცადეთ ყველამ. თბილისი, ბრძენი და ბევრის მოწმე ქალაქი, ფიქრებში წასული დინჯად სუნთქავდა.

1946 წლის 8 აპრილს მწერალთა კავშირში აკაკი ბელიაშვილის რომანის „ბესიკ გაბაშვილის" საჯარო განხილვა იყო, რომლის შემდეგ გოგლამ და თინა ელიავამ სახლამდე გამომაცილეს. არ იყო გვიან, ჩემთან ვთხოვე. გოგლა ლექსების კითხვის გუნებაზე იყო და რამდენიმე თავისი ლექსის შემდეგ დიდი რუსი პოეტების — ვალერი ბრიუსოვის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას ლექსები დიდის განწყობით, მაგრამ ოდნავ გასაგონად, თითქმის ჩურჩულით წაგვიკითხა. მეც მთხოვა და განვაგრძე მისი ლექსების კითხვა, ესიამოვნა, რომ ზეპირად მახსოვდა. თვითონ თითქმის მთლიანად ახალი გამოცემული თავისი ლექსების წიგნი წაგვიკითხა. ეს ამბავი უჩვეულო არ იყო ჩვენი ოჯახისათვის, ასეთი კითხვები ხშირი იყო. გოგლა თავის წიგნზე ალტაცებული ლაპარაკობდა, არავის გაგვიკვირდა, უკლებლივ ყველა ლექსი მოსაწონი იყო. ვახშმად კუპატი შევწვი, მწვანილითა და ჯონჯოლით მივართვი. მერე მურაბიანი ჩაიც დალიეს. დილის 4 საათამდე ლექსებს ვკითხულობდით. მერე, დილის 4 საათზე, ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო.

მახსოვს, ჩვენ საყვარელ პოეტს სანდრო შანშიაშვილს და მის მეუღლეს — ჩემს ახლო მეგობარს მაროს 1946 წლის მაისში, დიდი წვეულება ჰქონდათ, იმის გამო, რომ 1941 წელს ჯარში წასული მათი სიძე რამაზ გვეტაძე, პოეტ რაჟდენ გვეტაძის ვაჟი, ჯარიდან დაბრუნდა. სიხარულით გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს ცისია და რამაზი, დალი გულში ჩაკვროდა მამას, მე და ვლადიმერი გულაჩუყებულნი ვუყურებდით მათ; სანდროს სიხარულის ცრემლები შევატყვეთ, რაჟდენი წყნარად იჯდა, მაგრამ გრძნობებს ვერ მალავდა, ორივე — რაჟდენიცა და ნინოც ბედნიერებას ვერ მალავდნენ; სტუმრებმა მოილხინეს. აკაკი ვასაძე გულიანად თამადობდა, მღეროდა მთელის ხმით. ხორავას ბანი გაისმოდა. გაღიმებული სიმონ ჩიქოვანი მარიკათი, ილო მოსაშვილი, ყოველთვის ენაკვიმატი ლევან ასათიანი და მომღიმარი თინა, ჩვენი უჩა და აპოლონი გულწრფელად ხარობდნენ. კახურ სიმღერებს, რომ მღეროდნენ, გოგლა ღიღინით აჰყვებოდა ხოლმე. სასიმღეროდ ხმა არ ჰქონდა, შემომჩივლა — შურა, არც ხმა მაქვს, არც მაინცდამაინც სმენაო, მაგრამ სიმღერა მიყვარს, ისე ვდუღვარ, მგონია ჭერს ავხდი, ისე ვიმღერებ! ამათი

სიხარული მაძლევებს და იმიტომ არის, რომ უხმოდ ვმღერი. თუ არ ვცდები, დები თარხნიშვილებიც ჰყავდათ სტუმრად. გოგლა მგონი მაშინ, თუ წამოსვლის შემდეგ, გზაზე ამბობდა, ჩემი მუშაობის დროს მაგათი სიმღერა და კიდევ ანა ვარდიაშვილისა ძალზე მსიამოვნებსო. „— გოგლა, რატომ კონცერტებზე არ დადიხარ, რა დიდებული მუსიკოსები ჩამოდიან ჩვენს ქალაქში-მეთქი, შევეკითხე“. მიპასუხა: — შურა, საღამოობით შინ გამოუსვლელად ვმუშაობო. მეგობრებმა თუ სუფრაზე არ წამიყვანეს, რადიოთი კარგ მუსიკას სიამოვნებით ვისმენო. საერთოდ კი, რომ არ ვიღლებოდე, სულაც არ გამოვალ ჩემი ოთახიდან, ვიმუშავებო, მაგრამ ჯანი არა მაქვს, შურა, ამოდენა კაცი ვარ, ვინმემ, რომ შემხედოს იტყვის ჯან-ღონით სავსეაო, მაგრამ არ დაიჯერებ, როგორ მალე ვიღლები, ჰაერი არ მყოფნის, არც აივანზე გამოსვლა მშველისო — არა და ლექსის დაუმთავრებლად მაგიდიდან ქვეყანაზე ვერაფერი ამაყენებს, გულიც რომ მიმდიოდეს. გულს კი ვგრძნობ ხოლმეო. ღამე მიყვარს მუშაობა, თუ სიცივე არ არის და სიწყნარეა, ფანჯარა გაღებულში ვზივარ, ან მიდი-მოვდივარ ოთახში, ისე ვმუშაობო. ეს ჩვენი ქუჩები ხომ ნამდვილი ხეივანია დიდი ხეებისა. ქალაქს ხძინავს, ნიავი ფოთლებს აშრიალებს, თავი ბაღში მგონია.

— მერე დიდხანს მძინავსო, — დაამთავრა. რაზე მუშაობდა, არც მე მიკითხავს, არც თვითონ იტყოდა — ბარათაშვილზე კი ხშირად ლაპარაკობდა. ეს იყო მისი მუდმივი ტკივილი და სევდა.

ძალზე მიყვარდა გოგლასთან საუბარი. დიდბუნებოვან ადამიანთან საერთოდ საინტერესოა საუბარი, მაგრამ გოგლასთან ეს დიდი ესთეტიკური სიამოვნებაც იყო, მხიბლავდა მისი ხავავიანი, მდიდარი, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, ლაზათიანი, უებრო დახვეწილი ქართული, მშვენიერი ლექსიკით. წარმოუდგენელი იყო ჩემთვის და სრულიად დაუშვებელი გოგლასთან საუბრისას, რაიმე თაფლასიანი ან მოარული სიტყვის მოსმენა, ვულგარული რამ ხომ გამორიცხული იყო მისთვის.

სიამოვნებით ვიგონებ ჩვენ საუბრებს ქართული სიმღერების შესახებ. გოგლას უყვარდა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ჩავუხტეთ მუხრანბატონსა“, „კახური მრავალჟამიერი“, ჩუმად ღიღინებდა გოგლა სუფრაზე, მაგრამ თავი ისე მაღლა ეჭირა სიმღერისას, თითქოს წამყვანი იყო. „მოკლე კახური“ მრავალჟამიერი“ უყვარდა კიდევ.

მახსოვს, 1949 წლის ივნისში ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, შესანიშნავი მოხსენებებით გამოვიდნენ ჯერ ვანო შადური, მერე გოგლა ლეონიძე.

გოგლა შთაგონებული ლაპარაკობდა, ლელვა ეტყობოდა; ეს მომეწონა, აზრიანი და გულუხვი იყო მოხსენება, როგორიც თვითონ გოგლა იყო. მალ-მალე შუბლს იწმენდდა. პარტერში შემხვდა და შემეკითხა — შურა, მართალი მითხარი, მოგეწონა ჩემი მოხსენება? მე ვუპასუხე, როგორც ყოველთვის ძალიან პოეტური მოხსენება იყო, ადამიანური, თბილი, ისეთი როგორც მხოლოდ პოეტს შეეძლო დიდ პოეტზე ლაპარაკი. გოგლამ მიპასუხა კითხვით — დიდ პოეტზე პატარა პოეტს ხომ? გამეცინა. ოპერისა და ბალეტის თეატრში ვითამაშეთ „ოტელო“. დიდძალი უცხოელები მოეყვანათ, მეტი წილი მწერლები იყვნენ; მშობლიური თეატრი დაგვეწვა და საშინელ გუნებაზე ვიყავით ყველა მონაწილე. მაგრამ რას იზამ, თამაშმა ისე გაგვიტაცა, რომ ყველაფერი დაგვავიწყა და სადღაც თეატრის მიღმა დარჩა.

გოგლა აღტაცებული იყო სპექტაკლით, რომელიც მესამედ ენახა და გულწრფელად მეუბნებოდა პანკეტზე: — შურა, იცი რომ მატირე? ისე განვიცადე შენი ცრემლები, კინაღამ ვიბღავლე. გასაკვირი, სასწაულმოქმედი რამ არის თეატრი. ვნანობ, რომ ხშირად არ დავდივარო.

გოგლაანთ სახლში დიდი სტუმრიანობა მახსოვს. განსაკუთრებული სილაღე, პოეტური ატმოსფერო სუფევდა, გოგლას ქალიშვილის — თინას დაბადების დღეს, ქ-ნ ეფემიას მშვენიერი დიასახლისობის გამო. ქეიფი რომ გახურდა და ზენიტში ავიდა, მაშინ გოგმანით, დაირით ხელში შემოვიდა ფეფიკო, დაუკრა და დაამღერა, ისეთი ეშხი შემოიტანა, სუფრისთვის, რომ თვალი გადაგევლოთ, ყველას მომღიმარსა და ნასიამოვნებს დაინახავდით. სუფრას ჩვენი ინტელიგენციის ნაღები ამშვენებდა, ყაბარდოელი პოეტები ჰყავდათ სტუმრად, შუა ქეიფსა და მხიარულებისას, ლექსების კითხვასა და სიმღერისას გრძელი სუფრა უცბად ცენტრში ჩაიზნიქა და უეცარი ხმაურით ჩაიტანა ზედიზედ ჭურჭელი, ჭიქები, შეკაზმულები, დაიქცა ღვინო. სტუმრები შევცბით, შევწუხდით, შეკივლებას ჩუმი პაუზა მოჰყვა. გოგლას ქალიშვილები შემკრთალი ფრესკებივით კედელს აკვროდნენ. ყველამ ფეფიკოს შევხედეთ. მას წარბიც არ შეუხრია. იდნავ ფერგამოცვლილმა გაიღიმა და სიტყვებით — ეხლავე ყველაფერს მოევლება, ჩემო კარგებო, დაფაცურდა, ყველა ქალი დატრიალდა, საჭმელი, შუშისა და ფაიფურის ჭურჭლის ნამსხვრევები აალაგეს. მამაკაცებმა მაგიდის ქვეშ სუფრას ფეხი შეუმართეს. ფეფიკომ ღიმილით შემოიტანა გოჭი და არ მახსოვს კიდევ რა, და რამდენიმე წუთში გაგრძელდა ლექსები, შაირები, სიმღერა, ცეკვა, სადღეგრძელოები; ფერშემკრთალი გოგლაც ისევ დარდიმანდობდა, ირმა აკაკიმ და ემანუელ აფხაიძემ სიმღერა დააგუგუნეს. სუფრის კატასტროფამ ეშხი და მიმზიდველობა შემატეს დარბაზობას, არ მახსოვს ვინმე უწინდელ დამთვრალიყოს,

ან ღვინო მასპინძლებს დაეძალებინოთ. დროს ატარებდნენ ადამიანები, რომელნიც მთელის არსებით ემსახურებოდნენ თავის ხელოვნებას, ზომაზე სვამდნენ, ამიტომ საერთო განწყობილებას გრადუსები პეწსა და შნოს არ აკლებდა, პირიქით, მატებდა. პოეზიისა და ხელოვნების ქურუმები და მათი მუზები თავის სიმაღლეზე იყვნენ.

**1950** წლის **8** აპრილს გიორგი ლეონიძეს **50** წლის იუბილე გადაუხადეს; ხალხით სავსე იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი. მწერალმა სერგი ჭილაიამ დიდის სიყვარულით მოახსენა საზოგადოებას გიორგი ლეონიძის პიროვნებასა და პოეზიის შესახებ. გოგლასადმი მიძღვნილი ლექსებით გამოსული პოეტები — ირ. აბაშიძე, ალ. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი, სომეხი პოეტი აშოტ გრაში, დიდი ტაშით დააჯილდოვეს. ასევე თბილად, მადლიერების გრძნობით მიიღეს სტუმრებმა დემნა შენგელაიას, ლევან ასათიანის, ბესო ჟღენტის, შალვა დადიანის მშვენიერი, გულწრფელი სიტყვები. როგორც ყოველთვის, დიდი მეცნიერის აკაკი შანიძის გამოსვლამ ხალისი და კმაყოფილება გამოიწვია. პოეტის ლექსები ოსტატურად აჟღერეს თამარ ჭავჭავაძემ, სერგო ზაქარიაძემ, ნატო ვაჩნაძემ და ნოდარ ჩხეიძემ. ყველაფერი უშუალოდ, ექსპრომტივით ბუნებრივი იყო. დიდებულმა ცეკვის ანსამბლმა ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ცეცხლოვანი ხელოვნებით გოგლას უზომო სიხარული მოგვარა.

საღამო გვიან დამთავრდა; იმ საღამოს დარბაზობაზე ვერ წავედით, მაგრამ მეორე საღამოს, გიორგის სახლში ვეახლდით სადილზე. ირაკლი აბაშიძე მომხიბლავად თამადობდა. მხიარულება იყო დაუვიწყარი. შინაარსიანი საღამო გამოვიდა. ახალგაზრდული შემართებით და უზომო იუმორით ცეკვავდნენ ცეროულს სერგო კლდიაშვილი და ირაკლი აბაშიძე. მერე ხილაბანდებითა და პირსახოცებით თავწაკრულები, ვითომდა დები იშხნელები ვართო, გამოვიდნენ ირ. აბაშიძე, იუმორით სავსე ლევან ასათიანი, სერგო კლდიაშვილი და კარლო კალაძე. მერე წარმოუდგენელი ტემპერამენტიანი იმიტაციით ირაკლი აბაშიძე და კარლო კალაძე შეძახილებით მთიულურს ბაძავდნენ და, ბოლოს, ყველაზე მომაკვდინებელი იყო სერგო კლდიაშვილის „მომაკვდავი გედის“ ცეკვა. ყოველ ილეთში, ყოველ მოძრაობაში იყო ზღვა ღიმილისა, ზღვა იუმორისა. დავიხოცეთ სიცილით, ერთი მეორეზე უკეთესი, მახვილი თვალით დანახული სახასიათო მოძრაობები, გამოხედვები და ილეთები გასაკვირი იყო; მიხეილ ჭიაურელი ხომ ცნობილი იყო თავისი ხუმრობით, იმიტაციით, მაგრამ ისიც გაოგნებული ხელს-ხელზე შემოჰკრავდა — ვაშ-ს შეძახილით.

თამარ აბაკელია გვერდში მეჯდა, კინაღამ გული შეგვიწუხდა ცრემლნარევი სიცილისაგან. მახსოვს, სიმონ ჩიქოვანის ბინაზე გაიმეორეს ეს სცენები სუფრაზე. მაშინ ლეონიდ ლეონოვიც იყო. მაშინაც ვნახე ეს შესანიშნავი ცეკვები ჩვენი პოეტებისა. ლეონოვი იცინოდა და თან იძახდა:

— განსაცვიფრებელია, განუმეორებელია!

გოგლა ყველაზე უფრო ცდილობდა სტუმრის გართობას. ხურათები ბევრი გადაგვიღეს, ახე რომ, ეს ყველაფერი აღბეჭდილიც არის.

გოგლა ამბობდა, მარტოობა მუშაობის დროს მეყოფაო. ჩემი ლექსი ველად, ტყეში, თუ აგარაკზე, ან ჩემს სამუშაო მაგიდაზე, როცა იბადება, მაშინ მარტოობა ჩემი სუნთქვაა, არც ვამჩნევ მას. ლექსთან ვარ და იმას ვესალმუნებიო, ხოლო როცა ლექსი დაჭაბუკდება, მაშინ უნდა წავუკითხო მახლობლებს, ფეფიკოს პირველ რიგშიო.

მახსოვს გოგლა დიდი მწერლის ნ. გოგოლის საიუბილეო საღამოზე თავმჯდომარეობდა, გახსნა კრება და შესავალ სიტყვას ამბობდა. ხმა ჩახრინწოდა, ფეფიკოსგან ვიცოდი, რომ გადაიღალა, ხმა წაუვიდა და ღელავსო. გოგლას ეტყობოდა, რომ ვერ იყო კარგად, ძლივს ლაპარაკობდა, ვერც გვესმოდა კარგად, შევშინდი — რა მოუვიდა გოგლას; საღამო რომ გათავდა, ფოიეში შეგვხვდა მე და ვლადიმერს. — რომ იცოდეთ როგორ გაცივებული ვარ, მაგრამ რაც შემეძლო გავაკეთე, რომ საღამოსთვის არაფერი მომეკლო, რა ვიცი, მგონი, უკმაყოფილო არ უნდა იყოს საზოგადოება. მე — ვუთხარი, ნუღარ ღელავ, გოგლა, ყველაფერი კარგი იყო, შენი სიტყვა, მერე აკაკი ვასაძე „შეშლილის წერილების“ კითხვისას, მერე სიმფონიური ორკესტრი — ყველაფერი ვილონე, რაც შევძელიო. ესეც იცოდა გოგლამ, თუ მოჰკიდებდა ხელს საზოგადო საქმეს, მთლიანად მიეცემოდა, თავდაუზოგავად.

**1964** წლის **10** ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა პაოლო იაშვილის ხსოვნის საღამო, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ მისი ახლო მეგობრები — გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, ირაკლი აბაშიძე; გოგლა წარმოუდგენლად ღელავდა — პაოლოს დიდ სახელს ეს დარბაზი რას ეყოფაო. უამრავი ახალგაზრდობა იყო, ადგილი აღარ იყო ფეხზე დასადგომიც და ღია კარებს მოადგა ყველა, დერეფნიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა. — სწორედ რომ გასახარია ასეთი სიყვარული პოეტისადმი და პოეზიისადმიო და უფრო ის, რომ სიყვარული მატულობსო. სიყვარული მატულობს და ხალხს იზიდავსო, განცდით ამბობდა ამას გოგლა.

მახსოვს, **1965** წლის **24** აპრილს დიდუბის პანთეონში დავკრძალეთ ნინო ტაბიძე, გოგლამ აქაც დიდის მღელვარებით და სიყვარულით ად-

ხავსე სიტყვა წარმოთქვა და სამგლოვიარო სუფრაც მანვე ძმურად გადაუხადა.

დაუვიწყარია ჩემთვის 1966 წლის 28 აპრილი... მწერალთა კავშირის დარბაზი ძაძებშია, გაისმის ირაკლი აბაშიძის სიტყვა, მერე ძლივს ლაპარაკობს გოგლა, ფაქტიურად ტირის საყვარელ სიმონის გასვენების წუთებში. მერე აქვითინებული ქალები. მეორე დღეს, ჩვენს ბინაზე გოგლა, ვლადიმერი და მე ტელევიზორს ვუსხედით და აცრემლებულნი ვუსმენდით სიტყვებს სიმონის გამოსვენებისას. გოგლამ თავი ვერ შეიკავა, ატირდა, ძლივს დავამშვიდეთ — გოგლა, რა მოგივიდა, გოგლა დაწყნარდი! ვლადიმერი საერთოდ ცუდად გახდა, გასაკვირიც არ იყო. მწერალთა კავშირში ვერ მივიდა, წერილი დასწერა მეგობარზე და მოსკოვს გაგზავნა, ძლივს დავაწყნარე, ისევ მე გამოვდექი ორივეზე მაგარი; გოგლამ სთხოვა ვოვას,—შენი ჭირიმე, გვიამბე შენი მოგზაურობის შესახებ მოსკოვშიო. მე ჩაით გავუმასპინძლდი სტუმარს.

გოგლას თვითონ დიდხანს არ ეწერა ამის შემდეგ სიცოცხლე.

საყვარელი პოეტი და კეთილი ადამიანი, მუხის ფოთლების გვირგვინებში იწვა სამუდამოდ თვალდახუჭული, და ველარ ისმენდა პოეტ ონდრა ლოსოგორსკის სიტყვებს, — ზოგი ადამიანი მოდის ამ ქვეყნად და აღარ მიდის, აქ, ამ მიწაზე სამუდამოდ ცოცხალი რჩებაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაშრომი კავკასიის მთიელთა შესახებ

„ნაუკამ“ სულ ახლახან გამოსცა ბ. კალოევის მონოგრაფია „მ. მ. კოვალევსკი და მისი გამოკვლევები კავკასიის მთიელთა შესახებ“, რომელშიც ავტორი სპეციალისტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას აცნობს მ. კოვალევსკის, როგორც ისტორიკოსს, ეთნოგრაფს, სოციოლოგს და იძლევა გამოჩენილი აკადემიკოსის მრავალრიცხოვანი შრომების მეცნიერულ ანალიზს, რომლებშიც მრავალმხრივადაა შესწავლილი კავკასიის მთიელთა და მათ შორის ქართველ მთიელთა: სვანების, თუშების, ხევსურების და ფშაველების საზოგადოებრივი წყობა, ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა.

XIX საუკუნეში დიდი გაქანება მიეცა საზოგადოებრივ დისციპლინათა განვითარებას. ხალხთა ისტორიული წარსულის შესასწავლად, გარდა წერილობითი წყაროებისა, საჭირო გახდა მატერიალური და სულიერი კულტურის, ყოფითი მოვლენების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა, რამაც საზოგადოების შორეული წარსულის შესწავლის საქმეს მეტი დამაჯერებლობა და რეალურობა შესძინა. თუმცა საზოგადოებრივი ურთიერთობის წინა საფეხურების ზუსტი სურათის აღდგენა ამ პერიოდისათვის მეტად ძნელი იყო, ვინაიდან ეროვნებათა დიდმა უმრავლესობამ, სოციალ-ეკონომიურ განვითარებასთან ერთად, დაივიწყებას მისცა თავისი პირვანდელი ადათ-წესები და ჩვეულებები. ეს მაშინ, როდესაც მეცნიერულ აზრს სწორედ კაცობრიობის პირველი ნაბიჯების, მისი შემდგომი ყოფითი ურთიერთობის სურათის აღდგენა იზიდავდა. გამოირკვა, რომ პირვანდელმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გარკვეული სახით შეინარჩუნა არქაული ელემენტები მცირერიცხოვან ეროვნებებში და განსაკუთრებით კი მთაში. ამან განაპირობა ამ ხალხების შესწავლითა და გამოკვლევით არა მარტო მათი ისტორიული წარსულისა და ყოფითი ურთიერთობის აღდგენის, არამედ მათი საშუალებით საზოგადოების მიერ განვლილი საფეხურების კვლევის საქმეში ზოგადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობაც.

კავკასია თავისი მთის მოსახლეობით მსოფლიოს ის რეგიონი აღმოჩნდა, რომლის შესწავლით შესაძლებელი ხდებოდა კაცობრიობის მიერ განვლილი გზის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა და ამ გზის ზეაღმავალ ხაზში დიალექტიკური კანონზომიერების დადგენა. გაიზარდა ინტერესი შეესწავლათ კავკასიის ხალხების ისტორია, ენა და განსაკუთრებით მათი ყოფითი და საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ჯერ კიდევ ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდა არქაულ ელემენტებს. კავკასიის მთიანეთს XIX საუკუნეში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში არაერთი გამოჩენილი ევროპელი და რუსი მეცნიერი ეწვია, შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტები თუ განყოფილებები ევროპის დიდ ცენტრებში: პარიზში, ბერლინში, პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგან. და იმ მეცნიერებს შორის, რომლებმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასია მოინახულეს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მ. კოვალევსკის, რომლის ნაშრომებს კავკასიის მთიელთა შესახებ, როგორც ბ. კალოევი წერს, დღესაც არ დაუკარგავს დიდი მეცნიერული ღირებულება და კვლავაც იწვევს ინტერესს მკითხველთა შორის.

ავტორს მონოგრაფიაში თავმოყრილი და გაანალიზებული აქვს მ. კოვალევსკის მიერ კავკასიის მთიელთა შესახებ შექმნილი მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებიც ცალკეულ წიგნებად თუ სტატიებად ქვეყნდებოდა პერიოდულ პუბლიკაციაში, მათ შორის საზღვარგარეთაც, და ამდენად დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. ბ. კალოევი თვითონაც აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ მიღებული იქნა განკარგულება მ. კოვალევსკის კავკასიოლოგიური შრომების თავმოყრისა და

* ბ. კალოევი — „მ. მ. კოვალევსკი და მისი გამოკვლევები კავკასიის მთიელთა შესახებ“. (რუს. ენაზე).

ხელმეორედ გამოცემისათვის, რაც დღემდე ვერ განხორციელდა. ბ. კალოევის მონოგრაფიაში დაინტერესებული მკითხველი ბევრი საინტერესო მოვლენისა და მასალის ანალიზს შეხვდება, რომელიც მ. კოვალევსკის მრავალრიცხოვან შრომებშია გაბნეული.

მონოგრაფია თავების მიხედვით არის დაყოფილი: პირველ თავში შესულია ბიოგრაფიული ცნობები მ. კოვალევსკის შესახებ, მეორე თავში მისი მოგზაურობანი კავკასიაში და მესამე თავში გამოკვლევები კავკასიის მთიელთა შესახებ. ნაშრომისათვის ავტორს თან დაურთავს მ. კოვალევსკის წერილები გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, ირანისტ ბ. ფ. მილერისადმი, რომელიც ავტორი იყო ცნობილი „ოსური ეტიუდებისა". აქვეა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიც ცალკეა მოცემული მეცნიერის შრომების სია კავკასიის შესახებ, ლიტერატურა მ. მ. კოვალევსკის შესახებ, საარქივო მასალები, ნაშრომს ასევე დართული აქვს სახელთა საძიებელი.

ბიოგრაფიული ცნობებიდან საინტერესოა აღინიშნოს მ. კოვალევსკის ახლო ნაცნობობა კ. მარქსთან, რაზეც ავტორიც საგანგებოდ ჩერდება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მ. კოვალევსკის ნაშრომები კავკასიის შესახებ: „კანონი და ადათები კავკასიაში", „ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება" გამოყენებული იქნა ფ. ენგელსის მიერ წიგნში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" (მე-4 გამოცემაში), რომელიც 1891 წელს გამოვიდა, გასაგები გახდება მ. კოვალევსკის, როგორც იმ დროის მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის დიდი ავტორიტეტი. ბ. კალოევის მიერ მოტანილი მ. კოვალევსკის წერილებიდან ჩანს, რომ კ. მარქსი დედანში ეცნობოდა მის ნაშრომებს და ავტორს გულახდილად უზიარებდა თავის მოსაზრებას, რომელიც ხშირად სერიოზულ კრიტიკას შეიცავდა.

დაწვრილებით აღწერს ავტორი მ. კოვალევსკის მოგზაურობებს კავკასიაში, რომელსაც მეცნიერი სამჯერ — 1883, 1885 და 1886 წლებში ეწვია. მეორე მოგზაურობის ძირითადი მიზანი, როგორც ბ. კალოევი უთითებს ყოფილა სვანებთან შეხვედრის სურვილი, ხოლო მესამე მოგზაურობა, ყველაზე ხანგრძლივი, მკვლევარმა მთუძღვნა ფშავ-ხევსურეთის შესწავლას. როგორც ავტორი მიუთითებს: „მ. მ. კოვალევსკის მიერ კავკასიაში ამ სამი მოგზაურობისას, შეკრებილი იქნა უზარმაზარი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ მხარის მთის ხალხების საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებისა და სოციალური ისტორიის შესწავლას მის მრავალრიცხოვან შრომებში".

მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერის შრომების შეფასებას კავკასიის მთიანეთის სხვა ეროვნებების შესახებ. ამასთან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკმაოდ დიდი ქვეპარაგრაფი „საქართველოს მთიელები" (სვანები, ფშაველები, თუშები, ხევსურები), რომელშიც ავტორი იძლევა მ. კოვალევსკის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგების ანალიზს. აქ ვრცლად არის განხილული სვანების პოლიტიკური და სოციალური ისტორია, სულიერი კულტურის მრავალმხრივი მონაცემები. ბ. კალოევი ხაზს უსვამს მეცნიერის მიერ სვანებთან საკვლევი მუშაობის დროს მეთოდურ და მეთოდოლოგიურ მხარეებს. ცნობილია, რომ მ. კოვალევსკი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა გეოგრაფიულ გარემოს, და სწორედ გეოგრაფიული გარემოთი ახსნა მან საკითხი იმის შესახებ, რომ თითქოს სვანები ერთგვარ იზოლაციაში იყვნენ მოქცეულნი, მოწყვეტილნი გარე სამყაროსაგან, რის შედეგადაც გადაურჩნენ ქართველ მეფეთა ჩაგვრას, მაგრამ სვანები ადგილობრივი თავადების გავლენის ქვეშ მოექცნენო. მ. კოვალევსკის აზრით, მათში ჩამოყალიბდა გვაროვნული თემი და ფეოდალური სამთავრო, განსხვავებით კავკასიის მთის სხვა ხალხებისაგან, სადაც თავისუფალი თემები იქმნებოდა, რომელსაც თემის უხუცესთა საბჭო განაგებდა. ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

საბჭოთა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ამა თუ იმ მოვლენის ახსნისათვის საკმარისი არ არის გეოგრაფიული გარემოს როლი, რომ მოვლენის შესწავლა უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიულ-ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში, რაც ამა თუ იმ საფეხურის გენეტიკური შესწავლის საშუალებას იძლევა შედარებითი მეთოდის დახმარების გზით. სვანთა ეთნოგრაფიული ყოფა საბჭოთა მეცნიერებმა, მ. კოვალევსკის შემდეგ, უფრო ღრმად და მრავალმხრივად შეისწავლეს; ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით საქართველოს ეთნოგრაფებს: გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძეს, რ. ხარაძეს, ს. მაკალათიას, ა. რობაქიძეს და სხვებს, რომელთა ღვაწლის გათვალისწინებაც საჭირო იყო ბ. კალოევის მონოგრაფიაში, რათა უფრო ღრმად ეჩვენებინა მ. კოვალევსკის მიერ კვლევის პროცესში დაშვებული შეცდომები.

ბ. კალოევი განიხილავს მ. კოვალევსკის მეცნიერულ შეხედულებებს სვანთა იურიდიული კანონების შესახებ და აღნიშნავს, რომ მანამდე საქართველოს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამ საკითხებს არ შეხებიან. ამ მხრივ მკვლევარის მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა პირადად შეკრებილ და მოძიებულ მასალებს ეყრდნობოდათ, რომელშიც უხვად იყო წარმოჩენილი საარქივო მასალებიც.

ბ. კალოევი, აანალიზებს რა მ. კოვალევსკის მეცნიერულ მემკვიდრეობას, ავლენს მის მიერ ზოგიერთი საკითხის შეფასებისას დაშვებულ

შეცდომებსაც, ზოგჯერ ფრიად სერიოზული ხასიათისას. ასე, მაგალითად, მ. კოვალევსკი, ადარებდა რა სვანების საზოგადოებრივ წყობას და ადათ-წესებს ოსებისა და ბალყარელების მასალებს, თვლიდა, რომ სვანებშიც არსებობდა გვაროვნული წყობა, რის არგუმენტადაც მას შვილად აყვანის წესის („ძეობის ინსტიტუტის") უქონლობა მიაჩნდა და ასკვნიდა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი გვაროვნული წყობის დაშლის დროს უნდა წარმოქმნილიყო. ავტორს სვანებში გვაროვნული წყობის დადასტურების კოვალევსკისეული სხვა მოსაზრებებიც მოყავს, მეცნიერის აზრით სვან ქალებს არ ქონდათ მემკვიდრეობის უფლება, მათ ქონდათ თავისი საოჯახო თემი 40 ქალის შემადგენლობით, რომელიც გვაროვნულ საბჭოს ექვემდებარებოდა.

ბ. კალოევი ხაზს უსვამს მ. კოვალევსკის ისეთ შეცდომასაც, როგორიცაა მეცნიერის მიერ სვანეთში ეგზოგამიური ქორწინებისა და ქალის მოტაცების წესების არსებობის დაშვება, რომელსაც იგი ჯგუფური ქორწინების გადმონაშთად თვლიდა. ამ მოვლენას კი იმითი ხსნიდა, რომ სვანებში მამაკაცები მეტი იყვნენ, ვიდრე ქალები. ავტორი არ იზიარებს მ. კოვალევსკის ისეთ შეხედულებასაც, როგორიცაა ძლიერი და სუსტი გვარების დანათესავების წესის საკუთრივ სვანური სინამდვილით ახსნა, ბ. კალოევი მიუთითებს, რომ ამგვარი წესი სხვა მთიელ მოსახლეობასაც ჰქონდა და ის მხოლოდ სვანური არ ყოფილა. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვ. ბარდაველიძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თემის ადრეკლასობრივი საფეხურის სოციალ-ეკონომიური ორგანიზაციის (თეოკრატია) ბუნების დადგენა, რითაც საფუძველი გამოეცალა მთაში გვაროვნული წყობის მარადიულობის თეორიას. სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერის ამ მნიშვნელოვანმა მიკვლევამ ბ. კალოევის ნაშრომში ასახვა ვერ ჰპოვა.

მონოგრაფიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მ. კოვალევსკის კვლევის ისეთ მხარეებს, როგორიცაა საზოგადოების განვითარების საფეხურების გარკვევა მთის ხალხების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, და კერძოდ კი მატრიარქატისა და პატრიარქატის არსებობის საკითხი. სვანების მაგალითზე მ. კოვალევსკის გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ მთაში მატრიარქატი არ დასტურდებოდა და ამის დასამტკიცებლად მოჰყავდა მაგალითები იმის შესახებ, რომ ბალყარელებისა და ოსებისაგან განსხვავებით, სვანთა საოჯახო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დედის ძმა არავითარ როლს არ თამაშობდა.

ქორწინების ფორმების განხილვის დროს ბ. კალოევი სპეციალურად ჩერდება თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში აღიარებულ ისეთ პრობლემურ საკითხზე (საოჯახო ურთიერთობის სფეროდან), როგორიცაა სყიდვითი ქორწინების არსებობა. ავტორი მიუთითებს, რომ მ. კოვალევსკი ადასტურებს სვანეთში „ურვადის" არსებობას, იძლევა მისი [illegible]ნობის სახეებს და მოქმედების ფორმებს. მ. კოვალევსკი სვანებში აღნიშნავდა ისეთ ჩვეულებასაც, როგორიც იყო ახლად შობილ გოგონათა მკვლელობა, რომელსაც იგი „ურვადის" სიმცირესა და მზითვის რაოდენობას უკავშირებდა. მისი აზრით, ქალი ოჯახში შემოსავლის გადიდების წყაროს წარმოადგენდა და რადგან სვანური მძიმე ცხოვრების პირობების გამო „ურვადი" ძნელი გადასახდელი იყო, ქალებს იტაცებდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მომტაცებელი ვალდებული იყო ქალის ოჯახისათვის „სისხლის გადასახადი" გადაეხადა. ზემოთ აღნიშნული სირთულეები მ. კოვალევსკის მიაჩნდა კიდეც ჩვილ გოგონათა მკვლელობის მიზეზად, რომელიც, როგორც შემდგომმა კვლევაძიებამ ცხადყო, საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა.

საინტერესოა მონოგრაფიაში ქრისტიანული სარწმუნოების წეს-ჩვეულებებთან ერთად წარმართული რელიგიის დამახასიათებელი ელემენტების გამოკვლევაც, რომელიც მ. კოვალევსკის ჰქონდა შესწავლილი „ჭვრის წერის" და საოჯახო-საქორწილო ურთიერთობის კვლევისას.

განსახილველ ნაშრომში ავტორი საგანგებოდ ჩერდება ფშაველებზე, აღნიშნავს, რომ მ. კოვალევსკი ხაზს უსვამდა რა ფშაველთა წარმოშობას, მიიჩნევდა მათ ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომად, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ისტორიაში. მ. კოვალევსკის აზრით, ფშაველები, ჩაკეტილები მთიან ხეობაში, მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს და შეინარჩუნეს ყოფის ყველაზე ძველი ელემენტები. მეცნიერის შეხედულებით, ფშაველებში შენარჩუნებული იყო გვაროვნული წყობაც, მათ არ განუცდიათ ქართველ ფეოდალთა ექსპლუატაცია, ხშირად გამოსულან ისინი სხვა მთიელებთან ერთად საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ ფშაველები მეცნიერის კავკასიაში მოგზაურობის დროს, როგორც ამას თვით მ. კოვალევსკი აღნიშნავდა, მართალია ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს, მტკიცედ ინარჩუნებდნენ წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელ რიტუალებს. ძველი ელემენტების მხრივ საინტერესოა ფშაველთა დამარხვის, დატირების და „სულის მოხსენიების" რიტუალები.

მ. კოვალევსკიმ აგვიწერა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები ფშავში და ასაბუთებდა, რომ მათ საგვარტომო, საოჯახო მიწები ჰქონდათ და სახნავ-სათესი მიწების საკუთრების ფორმათა ცვლა მხოლოდ XIX ს-ის 80-იან წლებში მომხდარა და ისიც ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩარევის შედეგად. ინტერესს იწვევს აგრეთვე მ. კოვალევსკის მიერ აღწერილი ფშაველთა საოჯახო თემი.

ფშაველთა დიდ ოჯახებს (გაუყოფელ ოჯახებს) იგი ადარებს იუგოსლავიურ „ზადრუგას“ და აღნიშნავს, რომ როგორც იუგოსლავიაში, ისე აქაც ოჯახის უფროსობა მემკვიდრეობითი კი არ ყოფილა, არამედ მას საფუძვლად სდებია ასარჩევის პირადი თვისებები, და თუ ღირსეული ხანდაზმულებში ვერ შეირჩეოდა, მაშინ მას ახალგაზრდებიდან აირჩევდნენ. ოჯახში საკითხები ერთმანეთთან შეთანხმებით წყდებოდა, იხილებოდა იგი საღამოს ვახშმობისას ან საოჯახო სხდომაზე.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე ხევსურეთსა და თუშეთში მ. კოვალევსკის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგები. ამ მხრივ აღსანიშნავია მეცნიერის დაკვირვებანი ხევსურების საოჯახო ურთიერთობის, მისი ორგანიზაციის, ქალის მოტაცებისა და სხვა ადათ-ჩვევების შესახებ. ბ. კალოევი ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ მ. კოვალევსკიმ თუშებში ა ხევსურებში ვერ დაადასტურა „ლევირატი“. საგანგებოდ ჩერდება ავტორი მეცნიერის მიერ თუშებსა და ხევსურებში ხალხური სამართლეობრივი ნორმების შესწავლის საკითხებზეც.

ბ. კალოევი მ. კოვალევსკის მიერ ზემოთ აღნიშნული კავკასიის მთის მოსახლეობის (სვანების, თუშების, ხევსურების, ფშავების) საზოგადოებრივი წყობის, მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის შედეგების განხილვის შემდეგ სპეციალურ თავს უთმობს კავკასიათმცოდნეობის საერთო პრობლემებს, სადაც ის ერთგვარად აჯამებს მ. კოვალევსკის ფართო სამეცნიერო მოღვაწეობასაც. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პარალელები, რომელსაც მ. კოვალევსკი ავლებდა კავკასიის მთის ხალხების, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხების ყოფით მოვლენებს შორის.

მ. კოვალევსკი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა კავკასიის ხალხების მატერიალურ და სულიერ კულტურაზე ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ გავლენას. მეცნიერს ასევე მიაჩნდა, რომ არ შეიძლებოდა კავკასიაში თავისი კვალი არ დაეტოვებინა ჰუნების, ხაზარების, ყიჩაღების, თათარ-მონგოლების თარეშს. მ. კოვალევსკი დასაფლავებისა და დატირების ზოგიერთ ჩვეულებაში ჰუნების გავლენას ხედავდა. ბ. კალოევს კი მიაჩნია, რომ ეს წესები ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს და თუ ის გარედანაა მიღებული, უფრო სკვითებისაგან, რადგან ჰეროდოტეს სკვითებთან ეს წესი ანალოგიურად აქვს აღწერილი. ნაშრომში ასევე გამახვილებულია ყურადღება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაზე ირანული გავლენის შესახებ. განსაკუთრებით დასაფლავების წესებში, სადაც მეცნიერის აზრით მაზდეანური ელემენტები ჩნდება.

ბ. კალოევის მიერ ზემოთ აღნიშნული მ. კოვალევსკის კვლევის შედეგები და ზოგად კავკასიური პრობლემები მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. მონოგრაფიაში ვრცლად არის წარმოდგენილი გამოჩენილი აკადემიკოსის სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი და ფართო გზა, მისი დამსახურება ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე. ავტორს ასევე აღნიშნული აქვს მ. კოვალევსკის მიერ კვლევის პროცესში დაშვებული შეცდომებიც, რომელთა შორის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მ. კოვალევსკის არა სწორად ესმოდა საზოგადოების ეკონომიური განვითარების საკითხი და მასში გადამწყვეტ ფაქტორად მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები მიაჩნდა. ასევე ცდებოდა მეცნიერი, როდესაც საზოგადოების პროგრესის სოციოლოგიურ კანონად სოციალური სოლიდარობის თეორიას მიიჩნევდა. „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შეჯამებულია რა მ. კოვალევსკის მეცნიერული შემოქმედება, აღნიშნულია, რომ: „თუ ის თავის ადრინდელ ნაშრომებში საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორად სოციალ-ეკონომიურ პროცესებს ხედავდა, მოგვიანებით, რევოლუციის პერიოდში და რევოლუციის შემდგომ შექმნილ შრომებში, ისტორიული პროცესების განვითარებაში გარკვეულ როლს ანიჭებდა ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს. ასევე განიცდიდა ნეოკანტიანელების გავლენას, როცა საზოგადოებრივ მეცნიერებებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უპირისპირებდა და იყენებდა ამისათვის სუბიექტურ მეთოდს“. ბ. კალოევის მონოგრაფიაში ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მ. კოვალევსკის შეხედულებების კრიტიკა თითქმის არ არის მოცემული, მაშინ როდესაც მონოგრაფია მ. კოვალევსკის კავკასიოლოგიური შრომების შეფასების ცდას ისახავს მიზნად და სწორედ ეს ნაშრომები და კავკასიაში მოძიებული მასალა ედო კიდეც საფუძვლად მეცნიერის არა ერთ ზოგად მნიშვნელობის დასკვნას. მიუხედავად ამისა, მოცემულ საკითხთა გაანალიზება თანამედროვე მეცნიერების მიღწევებისა და მოთხოვნების შუქზე ცხადყოფს, თუ რაოდენ განვითარდა ეთნოგრაფიული მეცნიერება, რამდენი სიახლე და ნათელი შეიტანა საბჭოთა ეთნოგრაფიულმა აზრმა კლასიკურ ეთნოგრაფიაში.

ზ. გოცირიძე
ა. მარაზაშვილი

6100/33

ფასი 80 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ